

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი



**Tbilisi Ivane Javakhishvili State University
Arnold Chikobava Institute of Linguistics**

**Тбилисский государственный университет имени
Иванэ Джавахишвили
Институт языкознания имени Арнольда Чикобава**

Arn. Chikobava

**Works
XIII**

А. С. Чикобава

**Труды
XIII**

Tbilisi 2018 Тбилиси

არნოლდ ჩიქობავა

შრომები

XIII

თბილისი
2018

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო ს ა ბ ჯ ო

ი. აბდულაევი (მაჰაჩყალა), **ა. აბრეგოვი** (მაიკოპი), **ლ. აზმაიფარაშვილი** (სწავლული მდივანი, თბილისი), **შ. აფრიდონიძე** (თბილისი), **ბ. ბერსიროვი** (მაიკოპი), **თ. გამყრელიძე** (თბილისი), **გ. გოგოლაშვილი** (თავმჯდომარე, თბილისი),
† **ტ. გურიევი** (ვლადიკავკაზი), **კ. ვამლინგი** (შვედეთი), **ხ. თაოვი** (ნალჩიკი),
† **ა. თიშაევი** (გროზნო), **ნ. მაჭავარიანი** (თბილისი), **მ. ი. მაჭომელოვი** (მაჰაჩყალა),
† **ე. ოსიძე** (თბილისი), **ს. პაზოვი** (კარაჩაევსკი), † **თ. უთურგაიძე** (თბილისი),
ბ. უტიე (საფრანგეთი), **ი. ჩანტლაძე** (თბილისი), **ლ. ჭკადუა** (სოხუმი),
ზ. ჭუმბურიძე (თბილისი), **ა. ხალიდოვი** (გროზნო), † **რ. ჯანაშია** (თბილისი),
ა. ჰარისი (აშშ)

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა

ა. არაბული, ც. ბარამიძე, გ. კვარაცხელია, მ. სუნიშვილი,
ვ. შენგელია (მთავარი რედაქტორი), **მ. ჩუნუა**

ტომის რედაქტორი **ვ. შენგელია**

E d i t o r i a l C o u n c i l

I. Abdulaev (Makhachkala), **A. Abregov** (Maikop), **Sh. Apridonidze** (Tbilisi),
L. Azmaiparashvili (Scientific Secretary, Tbilisi), **B. Bersirov** (Maikop), **I. Chantladze**
(Tbilisi), **Th. Gamkrelidze** (Tbilisi), **G. Gogolashvili** (Chairman, Tbilisi), † **T. Guriev**
(Vladikavkaz), **A. Harris** (USA), † **R. Janashia** (Tbilisi), **A. Khalidov** (Grozny),
M. I. Magomedov (Makhachkala), **N. Matchavariani** (Tbilisi), † **E. Osidze** (Tbilisi),
B. Outtier (France), **S. Pazov** (Karachaevsk), **Kh. Taov** (Nalchik), **L. Tchkadua**
(Sokhumi), **Z. Tchumburidze** (Tbilisi), † **A. Timaev** (Grozny), † **T. Uturgaidze** (Tbilisi),
K. Vamling (Sweden)

E d i t o r i a l B o a r d

A. Arabuli, Ts. Baramidze, M. Chukhua, G. Kvaratskhelia,
V. Shengelia (Editor-in-chief), **M. Sukhishvili**

Editor of the volume **V. Shengelia**

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN (მრავალტომეული)

ISBN (ტომი XIII)

არნ. ჩიქობავა

იბერიულ-კავკასიურ
ენათა
შესწავლის ისტორია

Арн. Чикобава

**ИСТОРИЯ ИЗУЧЕНИЯ
ИБЕРИЙСКО-КАВКАЗСКИХ
ЯЗЫКОВ**

Arn. Čikobava

**HISTORIA INVESTIGATIONIS
LINGUARUM
IBERICO-CAUCASICARUM**

სარჩევი

წინასიტყვაობა	9
-------------------------	---

შესავალი

§ 1. მიზანი და ამოცანები	17
§ 2. კავკასიის ენები და იბერიულ-კავკასიური ენები	17
§ 3. იბერიულ-კავკასიურ ენათა შედგენილობა: ენები და ძირითადი კილოები	20
§ 4. სტატისტიკური ცნობები იბერიულ-კავკასიურ ენათა გავრცელებულობის შესახებ	28
§ 5. სინონიმური ტერმინები	28
§ 6. იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიის პერიოდიზაციისათვის	29

ნაწილი პირველი

§ 7. პირველი პერიოდის შრომები ზოგადად	35
§ 8. შემთხვევითი ლექსიკური (თუ სხვა ხასიათის) ჩანაწერები	36
§ 9. სტეფ. პაოლინისა და ნიკ. ირბახის ქართულ-იტალიური ლექსიკონი	38
§ 10. ფრ. მარ. მაცოს ქართული გრამატიკა	42
§ 11. საბა-სულხან ორბელიანის „სიტყვის კონა“, პირველი განმარტებითი ლექსიკონი ქართული ენისა	69
§ 12. ზურაბ შანშოვანის მოკლე გრამატიკა	90
§ 13. ანტონი პირველის ქართული გრამატიკა	98
§ 14. ი. გიულდენშტედტი და იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლა	110
§ 15. იულიუს კლაპროთის „მოგზაურობა“ და „კავკასიური ენები“	122
§ 16. პირველი გრამატიკები მთის იბერიულ-კავკასიური ენებისა	136

ნაწილი მეორე

§ 17. მარი ბროსე და ქართულის ინდო-ევროპულ ენებთან ნათესაობის დებულება	139
§ 18. გეორგ როზენის შრომები ჭანურის, მეგრულის, სვანურისა და აფხაზურის შესახებ	144
§ 19. ფრ. ბოპი და ქართველურ ენათა ინდოევროპულობის დამტკიცების ცდა	157
§ 20. მ. ბროსეს გამოკამათება ფრ. ბოპთან	168
§ 21. ანტ. შიფნერი და მისი შრომები ბაცბურისა, ხუნძურისა და უდურის შესახებ	171

§ 22.	პეტრე უსლარი და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევა	187
§ 23.	მაქს მიულერი კავკასიურ ენათა თურანულობის შესახებ	212
§ 24.	ფრიდრიხ მიულერი და კავკასიურ ენათა განკერძოებულობის საკითხი	214
§ 25.	რიხარდ ერკერტის შრომა „კავკასიური ძირის ენები“	222
§ 26.	პ. შუხარდტი და იბერიულ-კავკასიურ ენათა სტრუქტურის საკითხები	256
§ 27.	ად. დირი, იბერიულ-კავკასიურ ენათა მკვლევარი	267
§ 28.	დ. ჩუბინაშვილი და ქართული ენის შესწავლის დაწყება პეტერბურგის უნივერსიტეტში	281
§ 29.	ალექსანდრე ცაგარელი და ქართველურ ენათა შედარებითი შესწავლის დასაწყისი პეტერბურგის უნივერსიტეტში	291
§ 30.	ნიკო მარის იაფეტური თეორია და იბერიულ-კავკასიური ენები	311
§ 31.	იაფეტური თეორიის ევოლუციის ძირითადი ეტაპები	314
§ 32.	იაფეტური თეორიის ევოლუციის პირველი, ქართველოლოგიური, ეტაპი	316
§ 33.	იაფეტური თეორიის ევოლუციის მეორე, კავკასიოლოგიური, ეტაპი	331
§ 34.	იაფეტური თეორიის ევოლუციის, მესამე, მედიტერანისტული, ეტაპი	344
§ 35.	იაფეტური თეორიის ევოლუციის პალეონტოლოგიური ეტაპის დასაწყისი	352
§ 36.	იაფეტური თეორიის პოზიტიური შედეგები იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლაში	353
§ 37.	იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლა ლენინგრადსა და მოსკოვში (ნ. მარის შემდეგ)	356
§ 38.	იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლა ჩრდილო-კავკასიის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში	360
§ 39.	იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლა თბილისის უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში	363
§ 40.	იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლა უცხოეთში	368

დასკვნა

§ 41.	იბერიულ-კავკასიური ენები, როგორც სტრუქტურულ-ტიპოლოგიური და გენეალოგიური კლასიფიკაციის ერთეული	374
-------	---	-----

პერიოდული გამოცემანი და კრებულები	378
ლიტერატურა (გვერდობლივ)	381
პირთა საძიებელი	383
იბერიულ-კავკასიურ ენათა საძიებელი	389
ტომის რედაქტორისაგან	397

წინასიტყვაობა

1. თბილისის უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებაზე იკითხება ორი თეორიული საენათმეცნიერო კურსი: I. „**იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია**“ და II. „**იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლის შესავალი**“.

უკანასკნელი კურსი გულისხმობს, რომ მსმენელი იცნობს წინა კურსის მასალას.

ორივე ეს კურსი პირველად თბილისის უნივერსიტეტში¹ იყო შემოღებული (ჩვენი ინიციატივით). საბჭოთა კავშირის სხვა უნივერსიტეტებში არც კავკასიურ ენათა სპეციალობა არსებობდა და არც ხსენებული კურსები იკითხებოდა.

ამჟამად იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია იკითხება დაღესტნის ენათა სპეციალობაზე — დაღესტნის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც, რომელიც 1958 წელს დაარსდა.

2. **იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია** ბუნებრივია განვიხილოთ საერთოდ **ენათმეცნიერების ისტორიასთან კავშირში**.

ვერ ვიტყვი, რომ ენათმეცნიერების ისტორია სათანადოდ იყოს შესწავლილი. ეს ენება **ფაქტობრივი ვითარების** აღნუსხვას საჭირო სისრულითა და ზედმიწევნობით²; კიდევ უფრო ეს ითქმის თეორიული საკითხების შესახებ, როგორცაა ენათმეცნიერების ისტორიის **პერიოდიზაცია**.

პერიოდიზაციის საკითხი, თავის მხრივ, ძირითად საკითხთა წყებას აღძრავს. პირველ ყოვლისა, აქ ენათმეცნიერების რაობის საკითხია, დავას რომ იწვევს.

3. მეცხრამეტე საუკუნეში **ენის ისტორია** ქმნიდა ენათმეცნიერების საფუძველს. „ისტორიული“ უღრიდა „მეცნიერულს“, აღწერითი ენათმეცნიერების საკითხებს საჭირო ყურადღება არ ექცეოდა („ლოგიციზმი“, „ფსიქოლოგიზმი“ ანდა „ნარევი თვალსაზრისი“ ცვლიდა მეტ-ნაკლებად ფილოლოგიური გრამატიკის ტრადიციულ სქემას).

¹ ასევე პირველად იქნა შემოღებული კავკასიურ ენათა განყოფილებაზე (1934 წლიდან) საუნივერსიტეტო კურსები ლაკურისა, ხუნძურისა, უღურისა, ბაცბურისა, ადიღურისა (აფხაზური უფრო ადრეც იკითხებოდა ჩვენს უნივერსიტეტში).

² ამის შესახებ ლაპარაკი გვქონდა წერილში: „Несколько соображений о построении курсов по общелингвистическим дисциплинам“ — ჟურნ. „Вопросы языкознания“, 1956, №3.

მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედის შემდეგ დასავლეთის ენათმეცნიერებაში კვლევა-ძიების ცენტრმა თანდათანობით გადაინაცვლა **აღწერით ენათმეცნიერებაზე**: რიგ გავლენიან მიმართულებაში უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ისტორიული თვალსაზრისი ენის ფაქტების შესწავლისას ან სრულიად უგულვებელყოფილია ანდა დაქვემდებარებული ადგილი უჭირავს: ამ მიმდინარეობათათვის **„აღწერითი“ („სინქრონიული“) უღრის და ამოსწურავს „მეცნიერულს“**. სინქრონიამ დაიკავა დიაქრონიის ადგილი.

ამას ბოლო ხანებში ხელს უწყობს შემდეგი გარემოებაც: **გამოყენებითი ენათმეცნიერება** (კერძოდ, მანქანური თარგმნა) **არ საჭიროებს ენობრივი ფაქტის ისტორიას**; ეგვე ითქმის **მათემატიკური ენათმეცნიერების შესახებ**.

„სამუშაოები გამოყენებითი ენათმეცნიერების ხაზით აქტუალურია, — ვამბობდით მანქანური თარგმნის საკითხებთან დაკავშირებით 1958 წელს სლავისტების IV საერთაშორისო კონგრესზე, — მათემატიკური ენათმეცნიერება მეცნიერულად კანონზომიერი და მნიშვნელოვანია. მაგრამ ვერც მათემატიკური ენათმეცნიერება და მით უფრო ვერც გამოყენებითი ენათმეცნიერება ვერ შეცვლის ენის შესახებ მეცნიერებას, რომელიც, პირველ ყოვლისა, ენის ფაქტების ისტორიულ-შედარებითს შესწავლაზე დაფუძნებული. ისტორიულ-შედარებითს ენათმეცნიერებას აქვს შესაძლებლობა თეორიულად გააანალიზოს და ორგანულად შეისისხლხორცოს ენათმეცნიერული ცოდნის ახალი დარგის მიღწევები. მაშასადამე, არ არსებობს მეცნიერული საფუძველი იმისათვის, რომ ენათმეცნიერების ახალი დარგები დავუპირისპიროთ ისტორიულ-შედარებითს ენათმეცნიერებას“¹.

რაც შეეხება აღწერითი — სინქრონიული — ენათმეცნიერების დაპირისპირებას **ისტორიული — დიაქრონიული — ენათმეცნიერებისათვის**, საკითხს წყვეტს შემდეგი გარემოება: ენის სისტემის **გაგება** შეუძლებელია მისი **ისტორიის** გაუთვალისწინებლად (გაუგებარის აღწერა, როცა ფაქტის ისტორია არ ვიცით, მექანიკური რეგისტრაციის სახეს იღებს).

¹ „Работы по прикладной лингвистике актуальны. Исследования по математической лингвистике научно правомерны и важны. Но ни математическая лингвистика, ни, тем более, прикладная не могут подменить собою науки о языке, основанной прежде всего на историко-сравнительном изучении фактов языка. Наука о языке может теоретически осмыслить, органически впитать достижения новой отрасли лингвистического знания. Следовательно, нет научных оснований противопоставлять новые отрасли лингвистики историко-сравнительному языкознанию, науке о языке“ — А. С. Чикобава: IV Международный съезд славистов. Материалы дискуссии, том второй, Москва, Изд. АН СССР, 1962 г., стр. 503.

4. ენის სპეციალისტი ვერ დაივიწყებს იმ კარდინალური მნიშვნელობის ფაქტს, რომ ენა და მისი ისტორია კულტურასა და კულტურის ისტორიას უკავშირდება, **ენათმეცნიერება ჰუმანიტარული სამეცნიერო დისციპლინა იყო და არის თავისი არსებით.**

ენის შესწავლა მის მიმართებაში სათანადო **სინამდვილის რეალიზაციას**, მის მიმართებაში **ხალხის ისტორიასთან**, ერთი მხრივ, **აზრის კატეგორიებთან** და **აზროვნების ისტორიასთან**, მეორე მხრივ, ესაა **ყველაზე არსებითის** შესწავლა ენაში.

არც წინათ, არც ამჟამად ენათმეცნიერების არც ერთს მიმდინარეობას არაფერი გამოუვლენია ისეთი, რომ **ენის შესწავლას უფრო მეტ შედეგებითს ღირებულებას ანიჭებდეს.**

ამიტომაც, რომ ენის ისტორია (მასთან დაკავშირებული აღწერითი შესწავლითურთ) ენის მეცნიერული შესწავლის არსს შეადგენს: ენის ნამდვილი ისტორიის გარეშე მეცნიერება ენის შესახებ დაკარგავდა მეცნიერულ ხასიათს.

ენათმეცნიერების ასეთი გაგებიდან გამომდინარეობს, რომ ენის შესწავლის ისტორიაში ბუნებრივია გაირჩეს ორი ძირითადი პერიოდი: **I. ისტორიული თვალსაზრისის დამკვიდრებამდე ენის შესწავლაში** და **II. ისტორიული ენათმეცნიერების შექმნის შემდეგ.**

ეს ორი პერიოდი გამოიყოფა იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიაშიც: I. მეცხრამეტე საუკუნის **ოცდაათიან წლებამდე** და II. ამ დროიდან მოყოლებული. მიჯნას ქმნის მარი ბროსეს „ქართული გრამატიკა“ (1834 წ.), სადაც პირველად არის ნაცადი ქართული ენის ნათესაობა სხვა ენებთან (ამ შემთხვევაში — ინდო-ევროპულ ენებთან) დამტკიცდეს **გრამატიკულ მოვლენათა** მოხმობითაც (და არა მხოლოდ ლექსიკური მასალის ჩვენებათა მიხედვით, როგორც მანამდე იყო მიღებული).

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მოგვეპოვება თითო-ოროლა ცდაც სტრუქტურული თვალსაზრისის მომარჯვებისა იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლისას (W. Allen, E. Lewy, A. Kuipers...). ამის მიხედვით ნაადრევი იქნებოდა ახალი პერიოდის გამოყოფა გვეცადა.

5. იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორია **მთლიანი სახით** დალაგებული ჯერ არ ყოფილა. ალ. ცაგარლის შრომა „ქართული ენის შესახებ გრამატიკული ლიტერატურისათვის“ განიხილავს ანტონი I-ის გრამატიკას საკმაოდ დაწვრილებით (გვ. 1-35), ანტონის მიმდევართა (გაიოზის, ვარლამის, ი. ჩუბინაშვილის, ფირალოვის, ს. დოდაშვილის) გრამატიკულ შრომებს, აგრეთვე პლ. იოსელიანისა და დ. ჩუბინაშვილის გრამატიკებს — მოკლედ (გვ. 35-46).

უცხოელ ავტორთა შრომებიდან შედარებით ვრცლად ეხება მაჯოს გრამატიკას (გვ. 46-55), მარი ბროსეს საგრამატიკო შრომებს (გვ. 56-63).

ქართული ენის სხვა ენებთან ნათესაობის შესახებ გამოთქმული მოსაზრებანი (მ. ბროსესი, ფრ. ბოპისა, ფრიდ. მიულერისა...) აღ. ცაგარელს დახასიათებული აქვს ცალკე თავში (გვ. 64-78). ქართულის გარდა ჭანურისა და მეგრულის, აგრეთვე სვანურის შესახებ შრომებიც გ. როზენისა არ გამორჩენია აღ. ცაგარელს (გვ. 78-82). ამრიგად, აღ. ცაგარლის ეს შრომა პირველად მიმოიხილავს მეტ-ნაკლები სისრულით სპეციალურ ლიტერატურას ქართულისა და სხვა ქართველური ენების შესახებ.

მთის იბერიულ-კავკასიური ენები, ცხადია, აღ. ცაგარლის ამ მიმოხილვაში ვერ შემოვიდოდა.

1928 წელს არის გამოსული მიხ. ნემიროვსკის შრომა „კავკასიური ენათმეცნიერების წარსულიდან და აწმყოდან“ (М. Я. Немировский: „Из прошлого и настоящего кавказской лингвистики“, Владикавказ, 1928); მიმოხილვა 55 გვერდს შეიცავს და მოკლედ მოგვითხრობს, რაც გაუკეთებიათ XVIII და XIX სს. მკვლევრებს (გიულდენშტედტს, კლაპროთს, ბროსეს, როზენს, შიფნერს, უსლარს, ფრ. მიულერს, ერკერტს, შუხარდტს, ვინკლერს) კავკასიურ ენათა შესწავლის საქმეში; მეოცე საუკუნის ავტორთაგან მ. ნემიროვსკის მიმოხილვა ეხება დირს, მარს, ტრუბეცკოის, ფინკს, ტრომბეტის.

ორი წლის შემდეგ დაიბეჭდა მიხ. ნემიროვსკის ნაშრომი¹: „კავკასიური ენათმეცნიერების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ“ (М. Я. Немировский: „К современному состоянию кавказской лингвистики“, Владикавказ, 1930, გვ. 25).

აქ ლაპარაკია მოსკოვ-ლენინგრადის მკვლევართა შესახებ (კ. დონდუა, ა. ჰენკო, ნ. იაკოვლევი, ლ. ჟირკოვი, რ. შორი), აგრეთვე უცხოელი მკვლევრების შესახებ (ნ. ტრუბეცკოი, რ. ლაფონი).

კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტი მიხ. ნემიროვსკი ორჯონიკიძეში (კავკავში) მუშაობდა (პედაგ. ინსტიტუტში), მაგრამ კავკასიურ ენებს სპეციალურად არ იკვლევდა (აქვს კი წერილი გრამატიკულ კლასთა შესახებ, როგორც მიმოხილვა, საინტერესო).

„კავკასიური ენათმეცნიერების თანამედროვე მდგომარეობის“ შეჯამებისას მიხ. ნემიროვსკი გახაზავს: „კავკასიურ ენათა შედარებითი შესწავლა დასავლეთში დაიყვანება ფორმალისტურ კომპარატივისტიკამდე (წინარე ენის ფაქტების რეკონსტრუქციით), საბჭოთა კავშირში კი ენობრივი ფაქტები შეისწავლება არა გამხოლოებულად და არა ფორმალისტურად, არამედ მატერიალური კულტურის ისტორიასთან, საზოგადოებრივ-სამეურნეო ფორმების ისტორიასთან კავშირში“ (და იმოწმებს ნ. მარის იაფეტურ

¹ მ. ნემიროვსკის ეკუთვნის ბროშურა: „Ад. Дирр и кавказская лингвистика“, Владикавказ, 1930 (17 გვ.).

თეორიას... გვ. 23-24), „კავკასიური ენები მეტად ფასეულ მასალას იძლევა იაფეტური თეორიის, მარქსისტული, მატერიალისტური ენათმეცნიერების დასაბუთებისთვის“ (გვ. 25).

ივ. ჯავახიშვილის კაპიტალურ მონოგრაფიაში „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ (თბილისი, 1937 წ., 754 გვ.) მთელი თავი (კარი პირველი, გვ. 1-91) აქვს დათმობილი სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვას. რიგი ავტორის (ალ. ცაგარელი, პ. შუხარდტი, ა. შიფნერი...) შრომათა შესახებ თითო-ოროლა გვერდზეა მოთხრობილი; შედარებით ვრცლად არის დახასიათებული: გიულდენშტედტის (გვ. 13-25), კლაპროთის (გვ. 25-31), უსლარის (გვ. 34-43), დირის (გვ. 44-49) შრომები, ყველაზე მეტი ადგილი უჭირავს ნ. მარის შეხედულებათა და შრომათა დახასიათებას (გვ. 9-13, 49-78).

ივ. ჯავახიშვილს უყურადღებოდ არ დარჩენია ის მუშაობაც, რასაც მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესასწავლად ეწევიან დალესტის, ჩაჩნეთ-ინგუშეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, აფხაზეთის ავტ. რესპუბლიკების, ყარაჩაეთ-ჩერქეზეთისა და ადიღეს ავტ. ოლქების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, მოსკოველი და ლენინგრადელი მკვლევრები (გვ. 81-88), აგრეთვე ჩვენში წარმოებული მუშაობა; დასასრულ, მოთხრობილია დასავლეთ ევროპის ენებზე გამოქვეყნებულ ახალ გამოკვლევათა შესახებ (მეკელაინის, ბლაინშტაინერის, ცორელის, დეტერსის, ლაფონის, ზელმერის, ტრუბეცკოის, კარტის... შრომები), რაც იმხანად იყო ჩვენში ცნობილი.

ენათმეცნიერულ საკითხთა გარდა ამ მიმოხილვაში ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარესაც (მაგ., გიულდენშტედტთან) ექცევა ყურადღება (ივ. ჯავახიშვილის ძირითადი მიზნის შესაბამისად).

ბ. წინამდებარე ნაშრომი **პირველ-წყაროთა შესწავლას** ემყარება. ასეთ პირველ-წყაროს სათანადო შრომა წარმოადგენს. ზოგი შრომა უფრო დაწვრილებით გვაქვს გადმოცემულიცა და გაანალიზებულიც, ზოგი — უფრო მოკლედ.

დაწვრილებით არის განხილული, მაგალ., მაჯოს გრამატიკა (1643-1670 წწ.), — **პირველი გრამატიკა** ქართული ენისა (**დღემდის ცნობილთა შორის**), დაწერილი **ლათინურ** ენაზე, ანტონი I-ის გრამატიკა (1753-1767 წწ.), — **პირველი ვრცელი გრამატიკა ქართული ენისა ქართულ ენაზე**: ეს გრამატიკა საფუძვლად დაედო მოკლე გრამატიკათა წყებას. მასში ხმარებული საგრამატიკო ტერმინების მეტი წილი დღემდე შემოგვრჩა.

მაჯოს გრამატიკა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად არის ქცეული, მასთან, რაკი ლათინურად არის დაწერილი, არცთუ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. ამიტომ მისი შინაარსი დაწვრილებით გადმოვეცით (გვ. 27-56)¹.

შედარებით მეტი აგილი დავუთმეთ პ. შუხარდტის პატარა, მაგრამ მეტად საყურადღებო ნაკვლევს „ქართული ენის შესახებ“ (1895 წ.; იგი სულ 100 ცალი დაბეჭდილა — ავტორისეული გამოცემა! — და რარიტეტს წარმოადგენს); ფრ. მიულერის წერილს „კავკასიურ ენათა ადგილი ენათმეცნიერებაში“ (1864 წ.); ამ წერილში მოცემული **დასკვნითი დებულებები** ფართოდაა ცნობილი, წერილის შინაარსი (და სათაურიც კი!) უცნობი იყო (ეს წერილი ლენინგრადის სააკადემიო წიგნთსაცავში დაიბეზნა).

ერკერტის წიგნის („კავკასიური ძირის ენები“, 1895 წ.) შინაარსიც ვრცლად გადმოვეცით ორი მიზეზის გამო: სპეციალურ ლიტერატურაში მას სრულებით არ ეწევა ანგარიში — მასალა საიმედო არაა! მართლაც, ბევრი ფაქტი სიზუსტეს მოკლებულია, მაგრამ შიგადაშიგ საინტერესოც გვხვდება — როგორც მასალაში, ისე საგრამატიკო მიმოხილვასა და ზოგადს დასკვნებში, ამიტომ ამ წიგნს გვერდს ვერ ავუვლით... ამას ისიც ერთვის, რომ ერკერტის წიგნი ძნელი საპოვნელია.

7. ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ჩამოყალიბების შემდეგ ფილოლოგიურ (resp. სასკოლო-ტექნიკურ) გრამატიკებს არ შეუწყვეტიათ არსებობა: ასეთი გრამატიკები მერეც იწერებოდა; არა ერთი ასეთი გრამატიკა დაწერილა ქართული ენისათვის, ეს გრამატიკები არა ერთ საინტერესო დაკვირვებას შეიცავს.

მაგალითად, ზმნის უღვლილების პარადიგმების სათანადო ფუძეთა („საკონიუგაციო ფუძეთა“) მიხედვით დალაგება საუნივერსიტეტო კურსებში დაინერგა ნ. მარის შრომების წყალობით („ძირითადი ტაბულები“, „ძვ. ქართ. სალიტერ. ენის გრამატიკა“); რამდენადაც ვიცით, პირველად ეს პრინციპი დ. ჩუბინაშვილის „ქართულ ღრამატიკა“-შია გამოყენებული (§ 27).

დომ. ყიფიანის „ახალი ქართული გრამატიკა“ (ს.-პეტერბურლი, 1882 წ.) განასხვავებს ზმნის უღვლილებას: ა. „მიუმართველად“ და ბ. „მიმართულე-ბითად“ (ე. ი. მიმართვით; გვ. 78); „მიუმართავია“, მაგ.: გააკეთე, გააკეთე, გააკეთა... „მიმართვით“ გვექნება: „გაკეთე“, „გამაკეთე“... (გვ. 91 და შემდ.)...

დ. ყიფიანი იძლევა ზმნის პარადიგმებს „**მიუმართავად**“ და „**მიმართვით**“ — „პირველი პირისა — მეორე და მესამე პირთან“, „მეორე პირისა — პირველთან და მესამესთან“, „მესამე პირისა პირველთან და მეორესთან“ (გვ. 92-94)...

¹ ასევე დაწვრილებით უნდა გადმოვეცა ანტონის გრამატიკის შინაარსი, მაგრამ ამ გრამატიკის შესახებ მონოგრაფიული გამოკვლევა გამოდის დოც. ნ. ბაბუნაშვილისა, ამიტომ ისე სრულად არ გადმოვიცია, როგორც მაჯოს გრამატიკა.

მესამე პირი რომ მესამე პირთანაც მიმართებაში შეიძლება იყოს, დიმი. ყიფიანს გათვალისწინებული არა აქვს... მაგრამ ერთი ძირითადი პრინციპი ქართული ზმნის უღვლილებისა — მიუმართავი („აბსოლუტური“) და მიმართვითი („რელატიური“) ფორმები, რაც პოლიპერსონალიზმს წარმოშობს — დიმი. ყიფიანს გარკვევით აქვს ნაჩვენები (ამის შესახებ შემთხვევა გვქონდა წაგვეკითხა მოხსენება ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებაში 1928 წ.)...

საგულისხმო დაკვირვებებს შეიცავს პოლ. კვიციანიძის (1888 წ.), თედო ჟორდანიას (1889 წ.), მოსე ჯანაშვილის (1906 წ.) და სხვ. გრამატიკები...

ყოველივე ამაზე შეჩერება წინამდებარე შრომაში შეუძლებელი იყო. ამგვარი საკითხების განხილვა **ქართული ენის შესწავლის ისტორიის ამოცანაა**¹.

8. ისტორია **ქრონოლოგიური თანამიმდევრობის** დაცვას მოითხოვს, მაგრამ **შრომათა სინქრონიულად განხილვა** ზოგჯერ გააერთიანებდა ისეთ ფაქტებს, რომელთაც ერთმანეთთან კავშირი არა ჰქონიათ (ა. შიფნერის შრომები მაქს მიულერისა და ნაწილობრივ ფრ. მიულერის შრომათა თანადროულად ქვეყნდებოდა, იგივე ითქმის ა. დირისა და ნ. მარის შრომების შესახებ...), და, პირუკუ, გათიშავდა ისეთ კონცეფციებს, რომელთა განხილვა ერთმანეთთან კავშირში ბუნებრივი იქნებოდა; ასე, მაგ., ნ. მარის იაფეტური თეორია ალ. ცაგარლის ძირითადი დებულების უარყოფით დაიწყო. ამიტომ ალ. ცაგარლის შემდეგ ნ. მარის იაფეტურ თეორიაზე გადასვლა ბუნებრივი გვეჩვენა, თუმცა ამ თეორიის დასაბუთების პირველი ცდა ოცდაათი (და მეტი) წლითაა დაშორებული ალ. ცაგარლის საენათმეცნიერო შრომების გამოქვეყნების თარიღს.

პეტერბურგის სკოლა პირველი საუნივერსიტეტო სკოლაა ქართველოლოგია-კავკასიოლოგიისა, ხოლო თბილისის კავკასიისმცოდნეობა იმავე სათავიდან მოდის.

თბილისში მთის კავკასიურ ენათა ინტენსიური შესწავლა გაჩაღდა 1860-1870 წლებში (პ. უსლარი), ე. ი. თითქმის იმავე დროს, როდესაც პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართველოლოგიის წამყვან დარგად ქართველურ ენათა შესწავლა იქცა... ოღონდ პ. უსლარს თბილისში გამგრძელებელი არ გამოუჩნდა.

მხოლოდ **თბილისის უნივერსიტეტის** დაარსების (1918 წ.) შემდეგ შეიქმნა პირობები როგორც **ქართველოლოგიის**, ისე მთლიანად **კავკასიისმცოდნეობის ინტენსიური განვითარებისათვის**.

¹ ერთგვარად მოულოდნელია, რომ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში „ქართული ენის შესწავლის ისტორია“ სპეცკურსის სახითაც კი არ იკითხება (არც ზოგადი კურსების პროგრამაში ეთმობა მას ცალკე თავი).

9. უკანასკნელი 40 წლის კავკასიოლოგიური ლიტერატურა, ჩვენის აზრით, **ისტორია აღარ არის**, იგი თანამედროვეობას ეკუთვნის; მისი ანალიზი „იბერიულ-კავკასიურ ენათა **ისტორიულ-შედარებითი შესწავლის შესავალში**“ ივარაუდება.

აქ კი სისრულისათვის კვლევა-ძიების ცენტრები და ძირითადი შრომებია დასახელებული, მასთან თითქმის ყოველთვის მხოლოდ ის, რაც **ცალკე წიგნად** არის გამოსული. ამრიგად, ეს ნაწილი არსებითად ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვად გვესახება.

10. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ გამოვლენილი გვექონდეს ყველა შრომა, რაც იბერიულ-კავკასიურ ენებს ეხება (მეტადრე ეს ითქმის ცალკეულ წერილებზე ჟურნალებსა, კრებულებსა და გაზეთებში)¹.

ჩვენი მიზანი იყო, აღგვეჩვენებინა ყველაფერი, რამაც **კვალი დატოვა** შემდგომს განვითარებაში და გვეჩვენებინა, **რა გავლენაც** — დადებითი თუ უარყოფითი — **მოახდინა შრომამ**, მკვლევარმა, მიმართულებამ — და რატომ.

მხოლოდ ასეთ **ფაქტებზე** და მათს **ანალიზზე სწავლობენ აზროვნებას**. უმაღლესი განათლების მიზანი ხომ, პირველ ყოვლისა, ის უნდა იყოს, რომ **აზროვნება** — სათანადო სპეციალობის მასალაზე — **ასწავლოს მსმენელს**.

არნ. ჩიქობავა

10 ივნისი, 1965 წ.

წიგნის ბეჭდვას მონდომებული მუშაობით ხელი შეუწყვეს გამომცემლობის რედაქტორმა **ეთ. გელაშვილმა** (და მისი ავადმყოფობის დროს — რედაქტორმა **შ. ბაჩიძემ**), გამომცემლობის კორექტორმა **ნ. ჯანელიძემ**, უნივერსიტეტის სტამბის საამწყოზო საამქროს უფროსმა **ვანტ. გურგენიძემ**, ასოთამწყოზებმა **ნათ. გოჭოშვილმა**, **რუს. მჟავანაძემ**, **ევ. პირველმა** და **ს. ტიბილოვმა**.

კორექტურა გადაიკითხა და საძიებლები შეადგინა ფილოლ. მეცნ. კანდიდ. **გურ. თოფურიაძე**. ყველა მათ მადლობა ეკუთვნის.

ა. ჩ.

¹ ჟურნალებისა და სპეციალურ კრებულთა შესახებ იხ. ბოლოს ლიტერატურის სიაში.

შესავალი

§ 1. მიზანი და ამოცანები

იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია მიზნად ისახავს გათვალისწინოს, თუ რა საკითხებს სვამდნენ ხსენებულ ენათა შესწავლისას, რა საშუალებებს მიმართავდნენ ამ საკითხთა რკვევისას, რა შედეგებია მოპოვებული და რა პრობლემები დგას იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წინაშე. ყოველივე ამის გარკვევამ უნდა დაგვანახოს, რა წესით მუშაობას მოუცია წარმატება და რავგარ მუშაობას მოსდევდა მარცხი. ამდენად იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიას აქტუალური მნიშვნელობა აქვს იბერიულ-კავკასიურ ენათა შემდგომი მეცნიერული შესწავლის თვალსაზრისით. უკვე მოპოვებული შედეგების გათვალისწინება მოწოდებულია ხელი შეუწყოს იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიის ძირითად საკითხთა მეცნიერულ შესწავლას.

§ 2. კავკასიის ენები და იბერიულ-კავკასიური ენები

კავკასიის მიწა-წყალზე სხვადასხვა წარმომავლობის (და აგებულების) ენებს ვპოვებთ: რიგი მათგანი ინდო-ევროპული ოჯახისაა, რიგი — ალთაური (თურქულ-თათრული) ოჯახისა, ვხვდებით უნგრულ-ფინური და სემიტური ოჯახის ენებსაც.

ინდო-ევროპულ ოჯახს ეკუთვნის კავკასიაში: 1. სომხური ენა — სომხეთის სს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა (მწერლობა აქვს V საუკუნიდან); 2. ოსური ენა — ჩრდილო-ოსეთის ავტ. სს რესპუბლიკასა და სამხრეთ-ოსეთის ავტონ. ოლქში; 3. თალიშური ენა — აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის სამხრეთის მიჯნაზე, კასპიის ზღვის სანაპიროზე; 4. ქურთული ენა — სომხეთის სსრ-სა და, მცირე ოდენობით, საქართველოში (უბირატესად, თბილისში). 5. რუსული და რ. უკრაინული — კომპაქტურად — ჩრდილო-კავკასიაში — (უკრაინული — მეტწილად კრასნოდარის მხარეში).

ოსური, თალიშური, ქურთული — ინდო-ევროპულ ენათა ირანულ შტოს განეკუთვნება, რუსული და უკრაინული — იმავე ოჯახის სლავურ შტოს; სომხური ენა კი ცალკე დგას, ინდო-ევროპულ ენათა არც ერთ შტოს არ განეკუთვნება (ძველად ირანულ ენათა წრის წევრად მიაჩნდათ).

სომხური ენის ფონეტიკაში, ლექსიკასა და მორფოლოგიაში არაინდოევროპულ, კერძოდ, იბერიულ-კავკასიურ მასალასაც გამოყოფენ (როგორც სომეხი ენათმეცნიერები — ჰ. აჭარიანი¹, გრ. ხაფანციანი, ა. ასმანგულიანი, ისე უცხოელი ენათმეცნიერებიც — გ. დეეტერსი, ჰ. ფოგტი... ნ. მარი სომხურს ნარევ ენად თვლიდა). შეიძლება სადაო იყოს, თუ რა ხვედრი წონა აქვს სომხურის შედგენილობაში არაინდოევროპულს და, კერძოდ, იბერიულ-კავკასიურ მასალას, შეიძლება სხვადასხვაგვარად ახსნან ამ არაინდოევროპული მასალის წარმომავლობა, მაგრამ სადაო არ არის ორი რამ: ერთი ის, რომ სომხური ენა ამჟამად ინდო-ევროპულ ენას წარმოადგენს, მეორეცაა-და, ის, რომ სომხურის შედგენილობაში იბერიულ-კავკასიური მასალა შეიმჩნევა. სარკვევია, ოღონდ, მხოლოდ ქართველურ ენებთან აქვს ამ მასალას კავშირი თუ სხვა ჯგუფის იბერიულ-კავკასიურ ენებთანაც (აფხაზურ, ნახურ, დაღესტნურ ენებთან).

ოსურ ენაშიც მსგავსი ვითარება გვაქვს: იბერიულ-კავკასიური ენები, მეტ-წილად ადიღური და ნახური (ჩაჩნური) ჯგუფისა, საუკუნეების მანძილზე ახდენდნენ გავლენას ოსურზე. შედეგი საგრძნობია ბერათ-მედგენილობასა და ლექსიკაში, აგრეთვე სახელის მორფოლოგიაში (ვ. აბაევი).

ა ლ თ ა უ რ (თურქულ-თათრულ) ენათა ოჯახის წევრებია კავკასიაში: 1. ა ზ ე რ ბ ა ი ჯ ა ნ უ ლ ი — აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა; 2. ყ უ მ ი კ უ რ ი ე ნ ა — დაღესტნის ასს რესპუბლიკის მიწა-წყალზე, უპირატესად ბარში; 3. ბ ა ლ ყ ა რ უ ლ ი — ყაბარდო-ბალყარეთის ასს რესპუბლიკაში; 4. ყ ა რ ა ჩ ა უ ლ ი — ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის ავტ. ოლქში; ბალყარული და ყარაჩაული ძალიან ახლოს დგას ერთმანეთთან (უკეთ, ერთი ენაა), მაგრამ კონტაქტი არა აქვთ, გარდა ამისა სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულებში შედიან და ეს ხელს უწყობს მათს დაშორებას.

ყველა ეს ენა — აზერბაიჯანული, ყუმიკური, ბალყარული, ყარაჩაული — შედის ალთაურ ენათა წრეში, რომელთაც განეკუთვნება თურქმენული, ყარა-ყალბაკური, უზბეკური, ყირგიზული, ყაზახური, იაკუტური, თათრული (ყაზანის თათართა ენა) საბჭოთა კავშირში... თურქული — საბჭოთა კავშირის ფარგლებს იქეთ.

აზერბაიჯანის მიწა-წყალზე ალთაური წრის ენა დამკვიდრდა XI საუკუნის შემდეგ; მან ხმარებიდან გამოდევნა ძველი ალბანური ენები, რომლებიც აქ იყო გავრცელებული. აზერბაიჯანის ჩრდილოეთ ნაწილში აქა-იქ კუნძულებად მოჩანს ალბანურ ენათა გადმონაშთები უღურის, წახურულის, ხინალულურის, ბუღუხურისა და კრიწულის სახით. თანამედროვე

¹ სათანადო შრომების სია იხ. ბოლოს (გვ. 401).

აზერბაიჯანული ენის ზოგი დიალექტის თავისებურება ძველ ალბანურ სუბსტრატს უნდა გვანიშნებდეს (სამწუხაროდ, ამ მხრივ კვლევა-ძიება ჯერ კიდევ არ არის გაშლილი).

სემიტური ოჯახის ენათაგან კავკასიაში გვაქვს არამეულ-სირიული — სომხეთისა და საქართველოს ცალკეულ სოფლებში (აგრეთვე ქალაქებში — კ. წერეთელი).

უნგრულ-ფინური ოჯახის წარმომადგენელია ესტონური (გაგრის რაიონში).

იბერიულ-კავკასიური ენები, რომლის შემადგენლობაშიც ოთხი ჯგუფი გამოიყოფა (ქართველური, აფხაზური-ადიღური, ნახური და დაღესტური) არ მიეკუთვნება არც ინდო-ევროპულ ოჯახს, არც ალთაურს (თურქულ-თათურულს), არც უნგრულ-ფინურსა და არც სემიტურს.

კავკასიის მიწა-წყალზე ინდო-ევროპული, ალთაური (თურქულ-თათური), უნგრულ-ფინური თუ სემიტური ენები გვხვდება, მაგრამ ხსენებულ ენათა დიდი უმეტესობა სხვა ქვეყნებშია გავრცელებული. იბერიულ-კავკასიური ენები ამჟამად მხოლოდ კავკასიაში მოგვეპოვება. კავკასიის გარეთ ბასკურია ერთად-ერთი ცოცხალი ენა იბერიულ-კავკასიურის წრისა (უბიხურმა ენამ თურქეთში გადაინაცვლა კავკასიიდან გასული საუკუნის მესამოცე წლებში). შეიძლება გვეთქვას: იბერიულ-კავკასიური ენები კავკასიის ენდოგენური ენებია, სხვა ენები კავკასიაში კი ეგზოგენური იაო, მაგრამ ეს არ იქნებოდა ზუსტი: ენდოგენურობა-ეგზოგენურობის საკითხი ახლანდელი ვითარების მიხედვით ვერ გადაწყდება, იგი ისტორიულ ვითარებას გულისხმობს; ისტორიული ვითარება კი არ უჭერს მხარს იბერიულ-კავკასიურ ენათა ენდოგენურობას. იბერიულ-კავკასიური ენები „იმთავითვე“ კავკასიაში არ ყოფილა გავრცელებული, აქ ეს ენები გარკვეული დროიდან გვაქვს. იბერიულ-კავკასიური ენები თავისებური სტრუქტურისანი არიან (ერგატიული ბრუნვა, აკუზატივის უქონლობა, ზმნის უღვლილება, — კლასიანი თუ პოლიპერსონალური, — ერგატიული კონსტრუქცია გარდამავალ-ზმნიანი წინადადებისა...). მაგრამ ამ ენებს მხოლოდ ტიპოლოგიური მომენტი არ აერთიანებს. იბერიულ-კავკასიური ენები წარმოშობით (გენეზისის თვალსაზრისით) ერთიანდებიან: ეს ენები მონათესავე ენებია. „იბერიულ-კავკასიური ენები“ გენეალოგიური კლასიფიკაციის ცნებაა.

იბერიულ-კავკასიურ ენებს ხშირად არ მიიჩნევენ მონათესავედ (მეტადრე ექვემდებარე მთის კავკასიურ ენათა ნათესაობა ქართველურ ენებთან); გვერდს უქცევენ ტერმინსაც „იბერიულ-კავკასიური ენები“ და მარტივად „კავკასიური ენები“ იტყვიან. „კავკასიური ენები“ გენეალოგიური კლასი-

ფიკაციის ცნება კი არ არის, იგი „გეოგრაფიული“ ნიშნის მიხედვით შექმნილი ცნებააო (ნ. ტრუბეტკოი, კრებულში: *Les langues du monde, Paris, 1924*, გვ. 327). ვინც ასე ფიქრობს, მას არა აქვს მეცნიერული საფუძველი „კავკასიური ენები“ იხმაროს „ინდო-ევროპული“, „ალთაური“, „სემიტური“ თუ „უნგრულ-ფინურის“ გვერდით: ყველა ეს ტერმინი გენეალოგიური კლასიფიკაციის ცნებებს აღნიშნავს (მონათესავე ენებზე მიუთითებს) და მათ გვერდით გაუმართლებელია მოვაქციოთ გეოგრაფიული (ანდა სხვა არაგენეალოგიური) ნიშნის მიხედვით გამოყოფილი ცნება („კავკასიური ენები“); ვინც კავკასიურ ენებს გეოგრაფიულ ცნებად თვლის, ის, საერთოდ, უარყოფს ასეთ ზოგად ცნებას („კავკასიური“), მას შეუძლია იხმაროს: „ქართველური ენები“, „დადესტნური ენები“, „ნახური (ჩაჩნური) ენები“, „აფხაზურ-ადიღური ენები“, რამდენადაც თითოეული მათგანი მონათესავე ენებს აერთიანებს. ერთი სიტყვით: ან „კავკასიური ენები“ მონათესავედ მიგვაჩნია და მაშინ გეოგრაფიულ ცნებად მას ვერ დავსახავთ. ანდა „კავკასიური ენები“ გეოგრაფიულ ცნებად გვესახება და ასეთ შემთხვევაში მას ვერ გავმიჯნავთ ცნებისაგან „კავკასიის ენები“ და ვერ მოვაქცევთ გენეალოგიური კლასიფიკაციის ერთეულებს შორის, როგორცაა „ინდო-ევროპული ენები“, „სემიტური ენები“, „ალთაური ენები“, „უნგრულ-ფინური ენები“ (უფრო დაწვრილებით იხ. § 40, 41).

„კავკასიური ენები“ უფრო მცირე მოცულობის ცნებაა, ვინემ „კავკასიის ენები“. „კავკასიური ენები“ რომ გაირჩეს „კავკასიის ენებისაგან“, მიზანშეწონილი ჩანს ვიხმაროთ „იბერიულ-კავკასიური ენები“, ე. ი. ის ენები კავკასიისა, რომელნიც იბერიულს (ქართველურ) ენებს უკავშირდებიან წარმოშობით და იბერიულ ენებთან ერთად ქმნიან ერთ ოჯახს, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს.

§ 3. იბერიულ-კავკასიურ ენათა შედგენილობა: ენები და ძირითადი კილოები

აქ, როგორც ითქვა ზემოთ, გაირჩევა ოთხი ჯგუფი: **ქართველური, აფხაზურ-ადიღური, ნახური და დადესტნური.**

ქართველური ენები: ქართული, ზანური, დასვანური¹.

¹ ქამესური ენები — ა. შანიძის სიტყვახმარებით: „ქამესური ენებია“, წერს ა. შანიძე, — ქა(რთული), მე(გრული) და ს(ვანური). „იხ. წელიწადი“, III (1923/24, გვ. 7. შენიშ. 2). „მეგრულში“ ა. შანიძე გულისხმობს: „რიონის მეგრულს“ ანუ „საკუთრივ მეგრულს“ და ჭოროხის მეგრულს (ანუ ჭანურს)... იქვე, გვ. 2, შენიშვნა 1.

ქართული ენა — მთელი ქართველობის ეროვნული ენა, ერთადერთი სამწერლო ენა ყველა ქართველი ტომისა; ძველი დამწერლობის მქონე; დამწერლობის ძეგლები V საუკუნიდან: ბოლნისის წარწერა 493/5 წლ. (ა. შანიძე; პალესტინის წარწერები — გ. წერეთელი). ამ ძველ დათარიღებულ წარწერაში ასოთა მოყვანილობა ისეთი სახისაა, რომ წინა განვითარების არა ერთ საუკუნეს გულისხმობს (ივ. ჯავახიშვილი).

ქართული ენის ისტორიას შეიძლება თვალი გავადევნოთ წერილობითი ძეგლების მიხედვით ხუთმეტრი საუკუნის მანძილზე¹. ამის შესაძლებლობა არც ერთ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენაში არა გვაქვს. ეს გახაზავს დიდ მნიშვნელობას, რაც ქართულ ენას აქვს იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებისათვის, როგორც ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისათვის.

ქართული ცოცხალი მეტყველება რიგი კილო-კილოკავის სახით წარმოგვიდგება; ძირითადი სხვაობა მთისა და ბარის მეტყველებაში შეინიშნება; ბარის კილოებია: ქართლური (მესხურ-ჯავახურით), კახური (ქიზიყურითა და ინგილოურით; უკანასკნელი აზერბაიჯანის სსრ-ში), იმერული (ლენხუმურითურთ), გურული, აჭარული, იმერხევური (1918 წლიდან თურქეთის ფარგლებში მოქცეული); საქართველოს გარეთაა აგრეთვე ფერეიდნული — სპარსეთში, ისფაჰანის პროვინციაში, ქ. თეირანიდან სამხრეთისკენ დაახლოებით 150 კილომეტრის დაშორებით (ფერეიდნული ეწოდება იმ ქართველთა მეტყველებას, რომლებიც შაჰ-აბაზმა მეჩვიდმეტე საუკუნეში კახეთიდან აყარა; ფერეიდნული ქართველები გაამაჰმადიანეს, მაგრამ მათ შეინარჩუნეს დედა-ენა და მით — კავშირი ქართველობასთან). ფერეიდნული ბარის კილოს (კახურის) ნაგლეჯია, სპარსული მეტყველების გარემოცვაში.

მთის ქართული კილოებია: ხევსურული, თუშური, ფშაური, მთიულური (გუდამაყურითურთ), მოხეური, რაჭული. მთის და ნაწილობრივ ბარის კილოებს უკავშირდებოდა მოზდოკისა და ყიზლარის ქართველთა

¹ VI-VIII საუკუნეებისა — წარწერები გვაქვს (მცხეთისა — VI ს., წყისისა — 616-619 წწ., 853 წ.), აგრეთვე ხანმეტი და ჰემეტი ძეგლები, მეტწილად პალიმფსესტებში. არაპალიმფსესტური ხანმეტი ტექსტი შუხარდტისეული ხელნაწერისა გამოცემული აქვს ა. შანიძეს (მისი აზრით, ტექსტი VII ს. მეორე ნახევრისა უნდა იყოს). სინური მრავალთავი 864 წლისა, ჰადიმის ოთხთავი 897 წლისა (ასე თარიღდება გადაწერის თარიღის მიხედვით, — ტექსტის თარგმანი, ყოველ შემთხვევაში მეცხრე საუკუნისა არ უნდა იყოს: უფრო ადრეა შესრულებული). მეათე საუკუნისა — დაბადებისა და ოთხთავის ნათარგმნი ტექსტი მოიპოვება (ჯრუჭისა, პარხლისა, ქსნისა, ურბნისისა...) და ორიგინალური ტექსტები: იოანე ბოლნელის ქადაგებანი, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება... XII საუკუნეში გვაქვს საერო პოეზია და — „ვეფხისტყაოსანი“.

მეტყველება (ჩრდილო-კავკასიაში ყიზლარ-მოზდოკში ქართველები სხვადასხვა ადგილიდან არიან გადასული მეთვრამეტე საუკუნიდან. ამჟამად ახალ თაობას ქართული დავიწყებული აქვს — სტ. ჩხენკელი). — ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე „ქართული დიალექტოლოგია“, I, გვ. 166-167.

სალიტერატურო ქართული ენის საყრდენი დიალექტი ქართლური იყო (ჯერ ქვემო-ქართლური V საუკუნიდან და მერე — არაბობის დროს — ზემო-ქართლური; უფრო ადრინდელ საფეხურზე — სხვა ქართული დიალექტის მონაწილეობაც უნდა ვივარაუდოთ: ძველ ქართულში სათანადო დანალექი გამოირჩევა). თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის საყრდენს კვლავ ქართლური წარმოადგენს კახურთან ერთად (კახურიც ისტორიულად ქართლურის ფილიაციად ისახება).

საერთო სახალხო ქართულიო რომ ამბობენ, მასთან ყველაზე ახლოს ქართლურ-კახურია, მასთან ფშაური და რაჭული.

ზ ა ნ უ რ ი მეგრულსა და ჭანურს მოიცავს: ორივე კილო ერთ ენას უდრის, მასთან ეს ენა ქართულთან ძალიან ახლოს დგას (სვანური უფრო განირჩევა). ჭანების მიწა-წყალი 1918 წლიდან მთლიანად თურქეთის ფარგლებში მოყვა (სოფ. სარფის ნაწილი შემოგვრჩა, ბათომის რაიონში). 1918 წლამდე კი სარფის გარდა მაკრიალი და ლიმანი (შავი ზღვის სანაპიროზე), რიგი ჭანური სოფელიც (სანაპიროს დაშორებით ჭოროხის აუზში) ბათომის ოლქში შემოდიოდა.

ზანურის კილოებია: ჭანური (ანუ ლაზური) და მეგრული. ჭანურის კილოკავებია: ათინური, ვიწურ-არქაბული და ხოფური; მეგრულის კილოკავებია: ზუგდიდურ-სამურზაყანული და სენაკური.

ჭანური და მეგრული ცალკე ენებად მიაჩნდათ და ქართველურ ოთხ ენას (ქართულს, მეგრულს, ჭანურს, სვანურს) გამოყოფდნენ (პ. შუხარდტი, ნ. მარი, ი. ყიფშიძე, ად. ღირი, ანტ. მეიე). ამჟამად ჭანურისა და მეგრულის მასალა უფრო სრულად არის შესწავლილი, ჭანური და მეგრული ცალკე ენებად აღარ მიაჩნიათ (ა. შანიძე, ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა, ე. დიუმეზილი...). ტერმინი „ზანური“ ჭანურ-მეგრულის აღსანიშნავად შემთხვევითი არ არის: სოფლების სახელები „ზანა“, „ზანათი“, „საზანო“ იმას მოწმობს, რომ წარსულში ტომის აღმნიშვნელი ტერმინი ზან-ი უცხო არ ყოფილა ქართული სინამდვილისათვის; ზანი ამჟამადაც ცოცხალი ეთნონიმიკური ტერმინია: ზანი ეწოდება სვანურად მეგრელებს (ზან-არ „მეგრელები“, მგ-ზან „მეგრელი“). ასევე უწოდებენ ყაბარდოელები მეგრელებს.

ს ვ ა ნ უ რ ს ენაში ა. შანიძე ოთხ დიალექტს გამოყოფს: 1. ბ ა ლ ს - ზ ე მ ო უ რ ს ა და 2. ბ ა ლ ს - ქ ვ ე მ ო უ რ ს (მდ. ენგურის ხეობაში); 3. ლ ა შ ხ უ რ ს ა და 4. ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ს (ცხენისწყლის ხეობაში). ბალს-

ზემოთურისა და ბალს-ქვემოური კილოების ფარგლებში რიგი კილოკავი (და თქმა) გამოირჩევა (ნ. მარი, ა. შანიძე, ვ. თოფურია).

აფხაზურ-ადიღურ ენათა ჯგუფში გამოიყოფა: აფხაზური, ადიღური (ანუ ჩერქეზული), უბიხური.

აფხაზური ენის კილოებია: სამხრული — აფხაზეთის ასსრ-ში — 1. აბჟუური (ოჩამჩირის რ.) და 2. ბზიფური (გუდაუთის რ.); ჩრდილოური: 3. აშხარული და 4. ტაპანთური — ჩრდილო-კავკასიაში (მეტწილად ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის ავტ. ოლქში). ამხარული სამხრულ დიალექტებს უფრო უახლოვდება, ვინემ ტაპანთურს (ქ. ლომთათიძე). ჩრდილო-აფხაზურ დიალექტებს აბაზურს უწოდებენ (აბაზა ეწოდება ადიღურად აფხაზებს). სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად აბაზური დიალექტები ცალკე ენად მიაჩნიათ („აბაზური ენა“).

აფხაზური ენის აბჟუური კილო საფუძვლად უდევს აფხაზურ სამწერლო ენას, ტაპანთური კილო — აბაზურ სამწერლო ენას. ამრიგად, ერთი ენის, აფხაზურის, ორი კილოს ნიადაგზე ორი სამწერლო ნორმა („ენა“) არის შემუშავებული (ანალოგიური ვითარების ნიმუშს გვაწვდიან ენები: მორდოული ენა — მისი ორი დიალექტის ნიადაგზე — ერზია და მოკმა — ორი სამწერლო ენა შექმნილა; ასევე: მარიელთა ენის — ერთი დიალექტი, ადმოსავლური, ერთ სამწერლო ენას ასაზრდოებს, მეორე, მთიური, დიალექტი — მეორეს; გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — ორი სამწერლო ენა გამოუმუშავებიათ სლავ ლუჟიცელებისათვის... ეს კია: ლუჟიცელები ტერიტორიულად გათიშული არიან ისევე, როგორც „აფხაზები“ და „აბაზები“; მორდოულად და მარიულად მოლაპარაკეთა შესახებ ეს არ ითქმის; მორდოულად მოლაპარაკენი ერთს ავტ. რესპუბლიკაში მკვიდრობენ, მორდოულში, მარიულად მოლაპარაკენი მარიის ავტ. რესპუბლიკაში ცხოვრობენ).

ადიღური (ჩერქეზული) მეტყველება განარჩევს: **ადიღურს** (ქვემო-ადიღურს ანუ კაახურს) და **ყაბარდოულს** (ზემო-ადიღურს); ორივე სალიტერატურო ენაა: ადიღური — ადიღეს ავტ. ოლქში (ცენტრი — ქ. მაიკოპი) კრასნოდარის მხარეში; ყაბარდოული — ყაბარდოს ავტ. სს რესპუბლიკაში (ცენტრი — ქ. ნალჩიკი), ქვემო-ადიღურზე დაახლოებით 80 ათასი კაცი ლაპარაკობს, ზემო ადიღურზე (ყაბარდოულზე) — 230 ათასი კაცი. **ყაბარდოულს** ხმარობენ ადიღელები (ჩერქეზები) ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის ავტ. ოლქშიც (ცენტრი — ქ. ჩერქესკი).

ადიღურის დიალექტებია: ჭემგუური (ანუ კემგუური, თემირგოული), ბჟედულური, აბძახური (აბაძხური), შაფსულური. სალიტერატურო ადიღურს საფუძვლად უდევს ჭემგუური კილო (ფონეტიკურად უფრო მარტივი, ვინემ ბჟედულური).

ყაბარდოულში უფრო კილოკავები გამოირჩევა, ვინემ კილოები (დიალექტები); ეს კილოკავებია: ბ ა ქ ს ა ნ ი ს ა, მ ა ლ კ ი ს ა, თ ე რ გ ი ს ა, ყ უ ბ ა ნ ი ს ჩ ე რ ქ ე ზ თ ა (მდინარეთა სახელების მიხედვით), მ ო ზ დ ო კ ი ს ა, ბ ა ს ლ ი ნ ე უ რ ი. სალიტერატურო ყაბარდოულს საფუძვლად უდევს ბაქსანის კილოკავი.

1864 წელს თურქეთში გადასახლდა (პირველი ექვსი თვის განმავლობაში) ოფიციალური ცნობების თანახმად 258 ათასი ადიღე (იხ. Г. Лопатинский. СМОНПК, т. XII, 1891 წ. გვ. 5). გადასახლება შემდეგშიც გრძელდებოდა; ამჟამად ადიღეელთა რიცხვი მარტოოდენ თურქეთის ქალაქებში 100 ათასს აღემატება; ადიღეური მოსახლეობა ბლომად არის სირიაში, იორდანიაში და ლიბანში, ეგვიპტეში... (ეს ქვეყნები მეცხრამეტე საუკუნეში თურქეთის იმპერიაში შედიოდა).

უბიხური ენა თურქეთში გვაქვს (უბიხები 1864 წ. ერთთავად გადასახლდნენ). ამჟამად თხუთმეტიოდე კაცმა თუ იცის უბიხური: სხვები ან ადიღეურზე გადავიდნენ ანდა თურქულზე (ჰ. ფოგტი H. Vogt. Dictionnaire de la langue oubykh, Oslo, 1963; მისივე წერილი ჟურნალში В. Я. 1960, №5, გვ. 149).

ნახური ენებია: **ჩაჩნური**, **ინგუშური** და **ბაცბური**. ჩაჩნური და ინგუშური სამწერლო ენებია ჩაჩნეთ-ინგუშეთისა (ცენტრი ქ. გროზნო), თუმცა სპეციალისტების აზრით ინგუშური ჩაჩნურთან ერთ ენას ქმნის (დ. მალსაგოვი). 1934 წლამდე ინგუშეთის ცენტრად ქ. ორჯონიკიძე ითვლებოდა, ჩაჩნეთისა — გროზნო, და ამ გარემოებამ შეუწყო ხელი ინგუშურის სამწერლო ენად დამუშავებას. ბაცბები ამჟამად კახეთში ცხოვრობენ სოფ. ზემო ალვანში (ახმეტის რ.). კახეთში, პანკისის ხეობაში, ჩამოსახლებულა ჩაჩანთა სამი სოფელი: დუისი, ომალო და ჯოყოლო (პანკისის ქისტები). ყველა ბაცბი (წოვა-თუმი) ფლობს ქართულს (და თავს ქართველად თვლის). პანკისელმა ქისტებმა (ყოველ შემხთვევაში, მამაკაცებმა) ქართული კარგად იციან; გვარები ისევე, როგორც ბაცბებს, ქართული აქვთ.

ჩაჩნების რიცხვი 418 ათასს სცილდება, ინგუშებისა — 105 ათას კაცს. ინგუშურში გაირჩევა ბარისა და გალანჩოყის კილოკავები; ჩაჩნურში: ბ ა რ ი ს ა, ი ტ უ მ კ ა ლ ი ს ა, ჭ ა ბ ე რ ლ ო ს, შ ა ტ ო ი ს, ა ჯ ი ს კილო და კილოკავები. აჯის კილო ტერიტორიულად მოწყვეტილია სხვა კილოკავებს და ყველაზე მეტად შორდება ჩაჩნურ სამწერლო ენას. 1944-1957 წლებში გადასახლებაში ყოფნისას ჩაჩნური კილოების აღრევა დაიწყო. 1957 წლიდან დაბრუნებული მოსახლეობა ახალ სოფლებში დაბინავდა; კილო-თქმათა აღრევა გრძელდება: ძველ თავისებურებათა მიკვლევა ჭირს.

დალესტნის იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფი ყველაზე მრავალრიცხოვანია; **დალესტნური** ენა-კილოები თავს იყრიან ორ ქვეჯგუფში: ერთია — **ხუნძურ-ანდიურ-დიდოური** (ჩრდილო-დასავლური ზონა), მეორე — **ლეზგური** (სამხრულ-აღმოსავლური ზონა); მათ შორისაა — **დარგული** და **ლაკური** (ცენტრალური ზონა).

ხუნძურ ენაში გაირჩევა ოთხი დიალექტი (უკეთ: კილოკავ-თქმათა ჯგუფი): 1. ხუნძახური ანუ ჩრდილოური, 2. ანწუხური, 3. ჭარული (ორივე—სამხრული) და 4. ჰიდურ-ანდალალურ-ყარახული — გარდამავალი ჩრდილოურიდან სამხრულისაკენ. ჭარულის გარდა ყოველი დიალექტი კილოკავ-თქმათა წყებას შეიცავს. ხუნძური სამწერლო ენაა; საყრდენ დიალექტად მას ხუნძახური აქვს (ერთგვარი გავლენა ანდალალურისა, კერძოდ, ჭოხურისა, იგრძნობა).

ანდიურ ენა-კილოთა წყებას ქმნიან: 1. ანდიური; მისი კილოკავებია: 1. საკუთრივ ანდიური და 2. მუნიბ-ქვანხიდათლური (ილ. ცერცვაძე); 2. ბოთლიხური; კილოკავები არა აქვს; 3. დოდობერიული (ბოთლიხურთან ახლო მდგომი); 4. ჭამალალური; მისი კილოკავებია: 1. ჰაკვარიული და 2. ჰიჰათლური (ზ. მაგომედბეკოვა); 5. ბაგვალალური; მისი დიალექტებია: 1. ტინდიური და 2. კვანადური (ტ. გუდავა); 6. ახვახური; 7. კარატაული (ახლოსაა ბაგვალალურთან და ახვახურთან; კარატაულის კილოკავებია: 1. საკუთრივ კარატაული და 2. თოქიტური (ზ. მაგომედბეკოვა).

დიდოური ენა-კილოები: 1. **დიდოური** — კილოკავებით: 1. საკუთრივ დიდოური (თქმებით: შაიტლური, ასახურ-შაფიხური) და 2. საჰადური; 2. ხვარშიული — კილოკავებით: 1. საკუთრივ ხვარშიული და 2. ინხოყვარული (თქმებით: საკუთრივ ინხოყვარული, სანთლადური, ქვანთლადური, ხვანური — დ. იმნაიშვილი); 3. კაპუჭურ-ჰუნზიბური — კილოებით: 1. კაპუჭური (კილოკავებით: ბეჟიტური, ხაშალხუტური, თლადალური) და 3უნზიბური (თქმებით: ნახადური, ღარბუთლური — ელ. ლომთაძე); 4. ჰინუხური; ზოგი მკვლევარი მას დიდოური ენის კილოდ მიიჩნევს (ელ. ლომთაძე).

ანდიურ-დიდოური ჯგუფის ყველა ათი ენა როდია თანაბარი ოდენობა (განმასხვავებელ ნიშან-თვისებათა თვალსაზრისით); ზოგჯერ ენად აქვთ გამოყოფილი ის, რაც შეიძლებოდა კილოდ მიგვეჩნია (და კილოდ კიდევ ის, რაც კილოკავს წარმოადგენს); უთანაბრო კვალიფიკაცია იმიტომაც ეძლევა ამ ერთეულებს, რომ ჩვეულებრივ მკვლევრები თითო კილოს (თუ: კილოკავის) მასალას იცნობენ; როცა ყველა კილო (და კილოკავი) იქნება შესწავლილი, მაშინ შესაძლებელი იქნება ანდიურ-დიდოური წრის ენათა

ურთიერთობისა და რაოდენობის ზედმიწევნით გარკვევა. ამიტომაც, რომ აქ ვრჩეობთ გამოთქმებს: „ანდიური ენა-კილოები“, „დიდოური ენა-კილოები“...

ხუნძური ენა ურთიერთობის საშუალებაა ანდიურ-დიდოურ ენა-კილოებზე მოლაპარაკეთათვის (დაწყებით სკოლაშიც ამ ენაზე სწავლობენ); ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენა-კილოებზე მოლაპარაკეთა რიცხვი 270 ათასს აღემატება.

ლენგიური ქვეჯგუფს განეკუთვნება: **1. ლენგიური** ენა; მისი დიალექტებია: კიურული, ახთიური, ყუბური; ლენგიური სამწერლო ენაა; მისი ფუძე-დიალექტი კიურულია; ლენგიურ ენაზე 223 ათასი კაცი ლაპარაკობს. **2. თაბასარანული.** გაირჩევა ორი დიალექტი: 1. ჩრდილოური და 2. სამხრული; თაბასარანულ ენაზე არის მწერლობა; სამწერლო ენის ფუძე-დიალექტია სამხრული; თაბასარანულზე ლაპარაკობს 35 ათასი კაცი; **3. აღლური;** მისი თქმებია: 1. საკუთრივ აღლური, 2. ქერენული, 3. ქომანური, 4. გეკხუნური (ალ. მაჰომეტოვი); **4. რუთულური;** გაირჩევა — ოთხი კილოკავი: 1. რუთულურ-მუხადური, 2. შინაზური, 3. იხრეკ-მეხრე-ვული, 4. ბორჩული. უმწერლო ენაა (სამწერლო ენად რუთულელები აზერბაიჯანულს ხმარობენ); **5. წახურული;** კილოკავები: 1. ქილმიწ-ლექური, 2. მიქიქური, 3. წახურული, 4. მიშლემური (ნაწილი აზერბაიჯანის სსრ-ში, ზაქათალისა და კახის რაიონებში — ევგ. ჯეირანიშვილი). **6. უდური** ორი კილოკავით: 1. ნიჯური თა (სოფ. ნიჯში აზერბაიჯანის სსრ) და ვართაშნული თ სოფ. ვართაშენში (აზერბაიჯანის სსრ) და სოფ. ოქტომბერში (საქართველოს სსრ., ყვარლის რ.). **7. ბუდუხური** (მთის სოფ. ბუდუხში, აზერბაიჯანის სსრ კონახკენდის რ. და სოფ. ბუდუხიდან ჩამოსახლებულნი ხაჩმასის რ., აზერბაიჯანის სსრ). **8. ხინალულური** — მთის სოფ. ხინალულში (აზერბაიჯანის სსრ კონახკენდის რ.), **9. კრიწული** (ჯეკური კილოკავით) მთის სოფ. კრიწში (აზერბაიჯანის სსრ კონახკენდის რ.).

ბუდუხური, ხინალულური, კრიწული შაჰდადის მთის სოფლებში გვაქვს; ამიტომ მათ „შაჰდადის ჯგუფის“ ენებადაც სახელს დებენ; ამათგან ბუდუხური და კრიწული ახლოს არის ერთმანეთთან; ხინალულური უფრო განმხოლოებული ჩანს. უდური, ბუდუხური, კრიწული და ხინალულური კავკასიის ძველი ალბანეთის ენათა ნაშთებს უნდა წარმოადგენდნენ.

ლენგიურ ჯგუფს ზოგჯერ მიაკუთვნებენ აგრეთვე არჩიბულს, რომელიც მოქცეულია წახურულს, ხუნძურსა და ლაკურს შორის. რა ჯგუფს მიეკუთვნება არჩიბული, სარკვევია. არჩიბულ ენაზე ლაპარაკობენ შვიდ დასახლებულ პუნქტში; ესენია: არშა (ანუ ხმერე), კაშილლა, კესერა, ხილიხ, ხიტაბ, ალჩუნიბ, კუბათლ (ოტ. კახაძე).

ხუნძურ-ანდიურ-დიდოურისა და ლეზგიური ჯგუფების ენათა შორისაა მოქცეული დარგუული და ლაკური.

დარგუული რიგ დიალექტს განასხვავებს; ძირითადი დიალექტებია: აჯუშური, ურახული, ურკარახული, წუდახართლი, კუბაჩური და ხაიდაყური.

უკანასკნელი ორი იმდენად განსხვავებულია, რომ რიგი ავტორი კუბაჩურსა და ხაიდაყურს ცალკე ენებად მიიჩნევს. დარგუულ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი 158 ათასს აღწევს. დარგუული სამწერლო ენაა; ფუძე დიალექტს აჯუშური წარმოადგენს (უსლარის კვლევის საგანი ურახული იყო).

ლაკური რამდენიმე კილოკავს (თუ თქმას) განარჩევს; ესენია: კუმხური, ვიცხიური, ვიხლიური, აშტიკულიური, ბალხარული. ლაკური ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი სამოცდახუთ ათასს არ აღემატება. ენათმეცნიერული თვალსაზრისით ლაკური ენა მეტად საინტერესოა. დარგუული და ლაკური ის რგოლია, რომელიც ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ქვეჯგუფის ენებს აკავშირებს ლეზგიური ქვეჯგუფის ენებთან. ლაკურსა და დარგუულს რიგი არქაიზმი შემოუნახავს.

დაღესტნის იბერიულ-კავკასიურ ენათა საერთო რიცხვი, ამრიგად 23 აღწევს (ჩვეულებრივ გაცილებით მეტს ითვლიან); ქართველური, აფხაზურ-ადიღური და ნახური ენებიც რომ მივათვალოთ, სულ 33 ენა გვექნებოდა. მათში 12 სამწერლო (ქართული, აფხაზური და აბაზური, ადიღური და ყაბარდოული, ჩაჩური და ინგუშური, ხუნძური, დარგუული, ლაკური, ლეზგიური და თაბასარანული) და 21 — უმწერლო. ნამდვილად უმწერლო ენათა ამ სათვალავში ისეთი ერთეულებიც ურევია, რომ დიალექტად მისაჩვენია და, დღესდღეობით თუ ცალკე ენად ითვლება, ეს იმიტომ, რომ უმწერლო ენათა დიალექტების მეტი წილი შეუსწავლეია, შესაბამისად გაურკვეველია, რა უნდა დარჩეს ენად და რა კიდევ დიალექტად (მაგალ., პინუხური, ლოდობერიული, ტინდიური და ბაგვალაღური...). სამწერლო ენათაგან, როგორც უკვე ნათქვამი გვაქვს ზემოთ, აბაზური ტაპანთური კილოს ნიადაგზეა შექმნილი, ინგუშურიც არსებითად კილოა, ადიღური და ყაბარდოულიც ერთ ენად (ადიღურად) ესახება ადიღეხალს.

იბერიულ-კავკასიურ ენათა, მეტადრე უმწერლო ენათა, შეუსწავლელობა არის იმის მიზეზი, რომ ამ წრის ენები მეტად მრავალრიცხოვნად ესახებათ.

§ 4. სტატისტიკური ცნობები იბერიულ-კავკასიურ ენათა გავრცელებულობის შესახებ

იბერიულ-კავკასიურ ენებზე მოლაპარაკეთა რიცხვი 1959 წლის აღწერილობის მიხედვით 4.350.000 აღწევს (აქედან: ქართულ ენაზე ლაპარაკობს ორი მილიონ ექვსას ორმოცდაათი ათასი, აფხაზურ-ადიღური ჯგუფის ენებზე — ოთხას ათასამდე; სამასოც ათასამდე ადიღე და ყაბარდოელი და სამოცდათხუთმეტ ათასამდე აფხაზი და აბაზა; ნახური ჯგუფის ენებზე — ხუთასოცათასზე მეტი; დაღესტნის ენებზე შვიდასამოცდაათასამდე კაცი); ეს არის ძირითადი მოსახლეობა საქართველოს სსრ რესპუბლიკისა, დაღესტნის ავტ. სს რესპუბლიკისა, ჩაჩნეთ-ინგუშეთის ავტ. სს რესპუბლიკისა, ყაბარდო-ბალყარეთის ავტ. სს რესპუბლიკისა, ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის ავტ. ოლქისა და ადიღეს ავტონ. ოლქისა.

§ 5. სინონიმური ტერმინები

იბერიულ-კავკასიურ ენებს ხშირად მარტივად „კავკასიურ ენებს“ უწოდებენ (იხ. § 1).

ნ. მარი ამ ენების აღსანიშნავად ხმარობდა ტერმინს „იაფეტური ენები“ მისი იაფეტური თეორიის ევოლუციის მეორე საფეხურზე, ე. ი. 1916-1920 წ.წ. (პირველ საფეხურზე — 1908-1916 წ.წ. — „იაფეტური ენები“ „ქართველურ ენებს“ უდრიდა).

ივ. ჯავახიშვილმა (1937 წ.) ამ ენების აღსანიშნავად იხმარა ტერმინი „ქართულ-მარომატული ენები“ („მარომატული“ ანუ „სავრომატული“ აქ მთის იბერიულ-კავკასიურ ენებს მოიცავს).

ფრ. ჰომელმა (1926 წ.) იბერიულ-კავკასიური ენები მოაქცია ალპ-როდიულ ენათა წრეში (მასში წინა აზიის ის ძველი მკვდარი ენები შედიოდა, რომლებიც არც ინდო-ევროპულია და არც სემიტური).

ცალკეულ ჯგუფთა და ენა-კილოთა აღნიშვნისას რიგი სინონიმური ტერმინი იხმარება. ქ ა რ თ ვ ე ლ უ რ ი ენების გვერდით გვაქვს ი ბ ე რ ი უ ლ ი¹ ენები (მას ჯერ კიდევ ფრ. ბოპი ხმარობდა).

აფხაზურ-ადიღური ჯგუფის ენებს ივ. ჯავახიშვილი უწოდებს „სინდურ ენებს“ (ძველი ისტორიული წყაროების „სინდების“ მიხედვით), ჩაჩნური ჯგუფის ენები აღნიშნული აქვს ტერმინით „ქისტურ-ლილლური ენები“ (სადაც ქისტური = ჩაჩნური, ლილლური = ინგუშური), დაღესტნის

¹ ტერმინად „ქამელური ენებიც“ უხმარიათ (ა. შანიძე, იხ. ზემოთ, § 3, გვ. 5).

იბერ.-კავკას. ენებისათვის ივ. ჯავახიშვილი ხმარობს ტერმინს „ლეგურ-ალბანური“: „ლეგური“ მოიცავს ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ჯგუფის ენებს, ლაკურსა და დარგულს; ალბანური მიუთითებს ლეზგიურ ჯგუფზე (ივ. ჯავახიშვილი. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი, 1937).

ცალკეულ ენა-კილოებს რაც შეეხება: „ჭანურის“ სინონიმად იხმარება „ლაზური“ (გ. როზენი, პ. შუხარდტი, რ. ერკერტი, პ. აჭარიანი, ა. მეიე, ყ. დიუმეზილი, ნ. მარი, თუმცა ნ. მარისათვის ძირითადია „ჭანური“). ტერმინი ჭანური ქართულ (და ნაწილობრივ — რუსულ) საენათმეცნიერო ლიტერატურაში იხმარება; უცხოელები ლაზურს ხმარობენ.

„ადიღურის“ სინონიმად ხმარობენ „ჩერქეზულს“; „ბაცბურის“ ნაცვალთა „თუშური“ (ა. შიფნერი), წოვა-თუშური; „დიდოურის“ სინონიმია „ცეზური“ (ნ. იაკოვლევი, ევგ. ბოკარევი); დარგულს გულისხმობს პ. უსლარის „ხიურკილიური“ (хюркилинский), ერკერტის — ჰიურკანული; ლეზგიურს — „კიურული“ (ამ ტერმინს პ. უსლარზე ადრე ხმარობდნენ ი. გიულდენშტედტი, ი. კლაპროთი; უსლარის შემდეგ — რ. ერკერტი, პ. შუხარდტი, ა. ღირი...).

გავრცელებული ტერმინი შეიძლება სრულიად უცხო იყოს სათანადო ენის მატარებელთათვის: ხუნძური — ქართულად გვიქვია, **аварский** — რუსულად იხმარება, თვით ხუნძები კი იტყვიან თავის ენაზე მაჰარულ მაწა „მთიელთა“ („მთიური“) ენაო... (მდრ. აგრეთვე: „ქართული“ — **грузинский, georgische, géorgien**; სომხური — ჰაიკაკან (სომხურად), სხვა ენებზე ჰქვია **армянский, armenische, armenien**; ქურთები სომხებს ფილ-ს ეძახიან... აფხაზი — აფსუა — აბაზა... ჩერქეზი — ადიღე — ქაშგ-არ (სვა-ნურად) — **косог** (ძვ. რუსულ მატრიანეებში) — ქასაგ (ოსურად)...

§ 6. იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიის პერიოდიზაციისათვის

როგორც ყოველი ისტორიის, ისე იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიის წინაშე ბუნებრივად დგება პერიოდიზაციის საკითხი: რამდენი და რა პერიოდი უნდა გაირჩეს იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიაში?

იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია არის ნაწილი ენათმეცნიერების ისტორიისა; ცხადია, მასში უნდა გაირჩეს იმდენი პერიოდი, რამდენიც — ენათმეცნიერების ისტორიაში.

ენათმეცნიერების ისტორიაში ბუნებრივია განვასხვაოთ ორი პერიოდი, იმისდა მიხედვით, თუ რას წარმოადგენს გრამატიკა: პირველ პერიოდში გრამატიკა „ხელოვნებად“ ითვლება („გრამატიკოსობითი ხელოვნება“), მეორეში — გრამატიკა მეცნიერებაა.

გრამატიკა ხელოვნებააო, რომ ამბობდნენ, „ხელოვნება“ აქ ნახმარი იყო თავისებური გაგებით, რაც ძველ საბერძნეთში იყო მიღებული: „ხელოვნება“ (ბერძნ. *technē*, ლათ. *ars*) ეწოდებოდა ემპირიულ დაკვირვებათა შედეგს, სადაც კანონზომიერებათა ცოდნა არ იყო მიღწეული; „ხელოვნებას“ უპირისპირდებოდა „თეორია“ (*theōria*), რაც კანონზომიერებათა ცოდნას გულისხმობდა, ე. ი. „თეორია“ უდრიდა „მეცნიერებას“ ახლანდელი გაგებით („ხელოვნება“ — დაახლოებით იგივე იყო, რაც ახლანდელი „გამოყენებითი დისციპლინა“). „მექანიკა“, „გეომეტრია“ თეორიად ითვლებოდა, გრამატიკა — „ხელოვნებად“.

მეორე საუკუნიდან (ჩვენ წელთაღრიცხვამდე) დაწყებული მეცხრამეტე საუკუნემდე „გრამატიკა“ იყო „ხელოვნება“, მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნიდან გრამატიკა იქცა მეცნიერებად. ამგვარად, „ფილოლოგიური გრამატიკა“, ძველი ბერძნების მიერ¹ შექმნილი (ფილოლოგიისა და ფილოსოფიის მონაწილეობით), რაციონალური ანუ ფილოსოფიური გრამატიკა XVII-XVIII საუკუნისა, ლოგიკაზე დაფუძნებული, აგრეთვე წარმოადგენდა „ხელოვნებას“ (სწორად ლაპარაკისა და წერისა).

მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში ჩამოყალიბდა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა, რომლის სახითაც ენის შესწავლას მეცნიერული ხასიათი ეძლევა. გრამატიკა იქცა მეცნიერებად და მეცნიერული გრამატიკის საფუძველზე შეიქმნა ენათმეცნიერება.

შესასწავლი ობიექტი, თვალსაზრისი, მეთოდი, დარგების შედგენილობა განასხვავებდა ისტორიულ-შედარებითს გრამატიკას (ანუ მეცნიერულ გრამატიკას) ხელოვნება-გრამატიკისაგან.

ფილოლოგიური გრამატიკა შეისწავლის სამწერლო ენას (ამაზე მიუთითებს ტერმინი „გრამატიკა“; ბერძნ. *grammata* „ასოები“, „ნაწერი“; *grammatikē* „წერითი“ „სამწერლო“): უმწერლო ენის გრამატიკის შედგენას გამორიცხავს თვით ცნება „გრამატიკა“ — უმწერლო ენას ფილოლოგიური გრამატიკა არ შეიძლება სწავლობდეს.

¹ მაღალ მეცნიერულ დონეზე იყო დამუშავებული ძველ ინდოელთა გრამატიკა ჯერ კიდევ III ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მაგრამ მას არ მოუხდენია გავლენა ევროპაში ენათმეცნიერული აზროვნების განვითარებაზე: ეს აზროვნება ბერძნების ტრადიციას უკავშირდება.

ფილოლოგიური გრამატიკა აღწერილია.

გრამატიკა შეისწავლის: ასოს, როგორც სამწერლო ენის ყველაზე მარტივ ელემენტს, შემდეგ — სიტყვასა და შესიტყვებას. შესაბამისად გვექნება: მოძღვრება ასოთა შესახებ, მოძღვრება სიტყვის, როგორც წინადადების შემადგენელი ნაწილის შესახებ („მეტყველების ნაწილი“) და მოძღვრება სიტყვათა შეკავშირების შესახებ (ანუ სინტაქსი).

რაკი შესწავლის საგანს სამწერლო ენა წარმოადგენს, ნორმის საკითხს ფილოლოგიური გრამატიკა გვერდს ვერ აუქცევს: რა გვაქვს და როგორ უნდა იყოს? გრამატიკა წესებს განსაზღვრავს და გამონაკლისებს აღრიცხავს (მართლწერა — დროთა ვითარებაში — გრამატიკის ორგანულ ნაწილად იქცა: თავიდან ასე არ ყოფილა). როგორ მივიღეთ ის, რაცა გვაქვს, ფილოლოგიურ გრამატიკას არ აინტერესებს.

ასეთია გრამატიკის, როგორც ხელოვნების საგანი, თვალსაზრისი, შედგენილობა და ხასიათი.

არსებითად განსხვავდება მისგან ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა ყველა ამ ნიშნის მიხედვით. ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის შესწავლის საგანია ენა, როგორც სამწერლო, ისე უმწერლო; უმწერლო ენა და მისი კანონზომიერებანი უპირატესობით სარგებლობს: უმწერლო ენაში მოცემულია მეტყველება, წერის ნორმატიულობით შეუზღუდავი. სამწერლო ენა საშუალებაა იმ მეტყველების შესასწავლად, რაც წერილობით აისახა.

ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა სწავლობს ბგერებს, სიტყვას — მის ფორმასა და მნიშვნელობას, შესიტყვებას — მის აგებულებასა და ფუნქციას; მისი დარგებია: ფონეტიკა, მორფოლოგია და სემასიოლოგია, სინტაქსი და სტილისტიკა. ყველა ეს დარგი თანაბრად დამუშავებული დღესაც არ არის, დარგთა შესასწავლი საგნების საკითხი, დარგთა ურთიერთობის საკითხი ახლაც დავას იწვევს; მაგრამ ენის მეცნიერული შესწავლა, ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისის შემოღებასთან დაკავშირებული, შინაგანის აუცილებლობით მოითხოვს ამ დარგების გამოყოფას, პირველ ყოვლისა, ენის აღწერისას, ე. ი. აღწერითს მეცნიერულ გრამატიკაში, რომელიც უპირისპირდება ფილოლოგიურ გრამატიკას.

ენის ისტორიულ-შედარებითი შესწავლა არკვევს, რა ცვლილებათა შედეგად მივიღეთ ის, რაც გვაქვს, რა კანონზომიერებებს ავლენს ცვლილებათა შესწავლა (მის ამოცანას არ შეადგენს იმის გარკვევა, თუ როგორ უნდა იყოს, როგორ უნდა გადაწყდეს მოცილე მოვლენათა საკითხი სალიტერატურო ენაში; მაგრამ იმის გარკვევით, როგორ წარმოიშვა ეს მოცილე

ფაქტები, როგორც განვითარების ტენდენცია, საჭირო ნიადაგს ქმნის იმისათვის, რომ ნორმების დადგენა მეცნიერულ საფუძველს ემყარებოდეს).

ისტორიულ-შედარებითს გრამატიკას მტკიცე საყრდენს უქმნის ისტორიული ფონეტიკა. ამ უკანასკნელმა ეტიმოლოგიური ძიება მეცნიერულ ნიადაგზე დააფუძნა. მრავალი საუკუნის მანძილზე ეტიმოლოგია სხვა არაფერი იყო, თუ არ სიტყვის ნებისმიერი დაშლა და დაშლის ნებისმიერი გააზრება, უკეთ ვთქვათ, ჯერ ნებისმიერი გააზრება და გააზრების შესაბამისად დაშლა (ლათ. *vulpes* „მელია“: *vul=volet* „ფრენს“, *pes* „ფეხი“: მელია — „ფრენ-ფეხი“, ე. ი. ფეხმარდი!).

ისტორიულ-შედარებითმა ძიებამ ცხადყო, რომ ლათინური *caput* „თავი“ უკავშირდება არა გერმ. *Kopf*-ს (თუმცა ეს უკანასკნელი მსგავსად ბგერს და მნიშვნელობითაც იგივეა), არამედ გერმ. *Haupt*-ს („მეთაური“, „თავი“), გუთ. *Haubip*: ამას გვიკარნახებს შესატყვისობა: ლათ. *c*: გერმ. *h*...

ფონეტიკური კანონზომიერება ავლენს, რომ ინგლ. *town* („თაუნ“) „ქალაქი“-ს შესატყვისად გერმ. *Zaun* („ცაუნ“) გვაქვს: „ლობე“; შდრ. *город – огородить, град, ограда*.

მეჩვიდმეტე საუკუნიდან, განსაკუთრებით კი მეთვრამეტე საუკუნიდან დიდ ინტერესს იწვევდა ენათა ნათესაობის საკითხი. საამისოდ შედარებას მიმართავდნენ, ოღონდ უდარებდნენ ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვებს, თუ ისინი გარეგნულად — ბგერითი შედგენილობით მსგავსნი იყვნენ.

ამრიგად დგებოდა შედარებითი ლექსიკონი, ნამდვილად კი „პარალელური ანუ თარგმნითი ლექსიკონი“; ბგერათა ფარდობას (შესატყვისობას) არ სწავლობდნენ; სიტყვის ფორმებს — ბრუნების, უღვლილების აფიქსებს (გრამატიკულ მოვლენებს) არ ადარებდნენ.

ისტორიულ-შედარებითი ძიება გრამატიკულ მოვლენათა შედარებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს: სიტყვის ფორმა ძნელად თუ შეიძლება ისესხოს ენამ; მასთან სიტყვის ფორმა ნელა იცვლება, ამიტომ ენათა ისტორიული კავშირი სიტყვის ფორმაში უფრო საიმედოდ აისახება: შედარებითი გრამატიკა ენათა ისტორიის კვლევის ძლიერი საშუალებაა. შედარებით გრამატიკას ავსებს შედარებითი ლექსიკონი — საერთო წარმოშობის ფუძეთა შედარება — იმის მიუხედავად, შენარჩუნებული აქვთ ამ ფუძეებს ერთი და იგივე მნიშვნელობა თუ არა; მაგალითისათვის: ქართ. ძმა — მეგრ. ჯიმა, კაცი — კოჩი, ძალი — ჯოდორი... პარალელურ ლექსიკონშიც შევა და ისტორიულ-შედარებითშიც: მეგრული შესატყვისები იმავე ფუძის სახეცვლად

(ამიტომ ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ობიექტს წარმოადგენს) და იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც — ქართულში (ამდენად ეს სიტყვები პარალელურ ლექსიკონშიც შევა).

მაგრამ ქართ. მიწა — მეგრ. დიხა (ჭან. ლეტა), ქართ. ღამე — მეგრ. სერი, ქართ. ხუცესი — მეგრ. პაპა — პარალელურ ლექსიკონში დაიჭერს ადგილს, მაგრამ შედარებითს ლექსიკონში ვერ შევა. ისტორიულ-შედარებითი ლექსიკონი მიზნად ისახავს გამოავლინოს იგივე ფუძეები, თუნდაც რომ მნიშვნელობა ამ ფუძეებს განსხვავებული ანდა სულ სხვა) აღმოაჩინდეს: „მიწა“ — ფუძის შესატყვისი დასადგენია; მეგრ. დიხა იგივეა, რაც ქართული თიხა; „ღამე“ — ფუძეს შეეფარდება მეგრ. ღუმა (ღომა, ღომან) „წუხელ“ (შდრ. ღუმან-ერ-ი „წუხანდელი“). „სერი“, მეგრულში ამჟამად რომ „ღამეს“ ნიშნავს, ძვ. ქართულში დასტურდება: „სერობა“ („ვანშობა“, ე. ი. „ღამე-ჭამა“ „ღამე-საჭმელი“), ახალ ქართულშიც შემორჩენილია იგი დიალექტურ „სერის-კულ“-ში (ქიზ.): „ვანშობის შემდგომი საჭმელი, ჭამა“ (სტ. მენთეშაშვილი).

მაგალითებში „ღამე“ — „ღუმან“... „თიხა“ — „დიხა“... მნიშვნელობა ცვლილა, მაგრამ იმავე ცნების ფარგლებში. სხვაგვარია ვითარება „ხუცესის“ შემთხვევაში.

ხუცესის — ეტიმოლოგიური შესატყვისია მეგრ. უჩაში „უფროსი“ (ნ. მარი) (იგულისხმება მღვდელმსახურებაში). აქ ერთსა და იმავე ფუძეს სულ სხვადასხვა მნიშვნელობა აღმოაჩნდა. ცხადია, ასეთ შესატყვისს მნიშვნელობის ანალიზი ვერ გვაპოვინებს: აქ ბგერათშესატყვისობა წარმართავს ძიებას: ფარდობა **ც—ჩ, ე—ა, ს—შ**... ქართულისა და ზანურის ფონეტიკური მასალის ფარდობას ასახავს კანონზომიერად (და არა მხოლოდ აქ). ეს ფარდობა საშუალებას იძლევა მივაკვლიოთ იმავე ფუძეს მიუხედავად მნიშვნელობის არსებითი ცვლისა.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში დაიწყო ახალი თვალსაზრისის გამოყენება ენის კვლევისას, მაგრამ ამ თვალსაზრისის დასაბუთება და დაცვა ესაჭიროებოდა ორმოციოდე წლის შემდეგაც XIX ს. მესამოცე წლებში: ახალ თვალსაზრისს — „შედარებითს ფილოლოგიას“ — კლასიკური ფილოლოგია არა სცნობდა.

გასაგებია, რომ ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ჩამოყალიბებისთანავე არ შეწყვეტილა ფილოლოგიური გრამატიკის ტრადიცია: ასეთი გრამატიკები შემდეგშიაც იწერებოდა; ტრადიციული გრამატიკის სისტემა მეტყველების ნაწილთა მეტ-ნაკლები ცვლილებით და ზოგჯერ უცვლელადაც — ახლაც არის ხმარებაში.

მაგრამ ისტორიულ-შედარებითი ძიება, ენათა ნათესაობის კვლევისას მორფოლოგიური ინვენტარის — ფორმანტების — ანალიზი, სიტყვათა შედარებისას საერთო წარმომავლობის ფუძეთა ძიება — მეცხრამეტე საუკუნემდე არა გვხვდება, იგი მეცხრამეტე საუკუნის შენაძენია.

დიდი გარდატეხა ენის შესწავლაში, რაც XIX ს. პირველ მეოთხედში მოხდა, ბუნებრივად მოითხოვს გავარჩიოთ ორი პერიოდი, საერთოდ, ენის შესწავლის ისტორიაში და, კერძოდ, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიაში: I. ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისის გამომუშავებამდელი და II. ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისის შემოღების შემდეგი.

ნაწილი პირველი

§ 7. პირველი პერიოდის შრომები ზოგადად

იბერიულ-კავკასიურ ენათაგან გრამატიკული მიმოხილვა და ლექსიკონი ყველაზე ადრე ქართულისათვის შედგა; იგულისხმება შრომები:

1. სტ. პაოლინი-სა და ნიკ. ირბახის „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, 1629 წ. რომში დაბეჭდილი.

2. მარია მაჯო-ს ქართული ენის გრამატიკა (ლათინურ ენაზე), რომი, 1643 წ. (პირველი გამოცემა), 1670 წ. — მეორე გამოცემა.

3. საბა-სულხან ორბელიანის „სიტყვის კონა“ — პირველი განმარტებითი ლექსიკონი ქართული ენისა — 1716 წ. (სტამბურად პირველად გამოიცა 1884 წ. რაფ. ერისთავის რედაქციით; მეორე გამოცემა იოს. ყიფშიძისა და აკ. შანიძის რედაქციით, 1928 წ.; მესამედ გამოიცა სოლ. იორდანიშვილის რედაქციით 1949 წ.).

4. ზურაბ შანშოვანის პირველდაწყებითი მოკლე გრამატიკა ქართული ენისა, შედგენილი 1737 წ. (გამოსცა ალ. ცაგარელმა 1881 წ.).

5. ანტონი I-ის „ქართული ლრამატიკა“, შედგენილი 1753 წ. (პირველი ვარიანტი), 1767 წ. — მეორე ვარიანტი (გამოიცა 1885 წ. რაფ. ერისთავის მიერ).

ანტონი I-ის გრამატიკას ემყარება რიგი გრამატიკა ქართული ენისა XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში და XIX ს. პირველ მეოთხედში.

საბას ლექსიკონზეა დაფუძნებული:

6. ნიკო ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონი (გამოიცა 1961 წ. ალ. ლლონტის რედაქციით).

7. დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი (1842 წ.).

8. მისივე ქართულ-რუსული ლექსიკონი 1845 წ. (მეორე გამოცემა 1887-1891 წ.წ.) და

9. მისივე რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1848 წ.

ყველა ამ შრომის შესახებ დაწვრილებით — იხ. ქვემოთ.

მთის იბერიულ-კავკასიურ ენათაგან, რამდენადაც ეს ამჟამად არის ცნობილი, ქრონოლოგიურად ყველაზე ადრე დამუშავდა გრამატიკა ადიღური ენისათვის. ესაა:

10. შორა ნოდმას ყაბარდოული ენის გრამატიკა, შედგენილი 1840 წ. (პირველი ვარიანტი მზად ყოფილა 1835 წ.). შემდეგ მოდის:

11. კარაბეტი ყარამანიანის უღური ენის გრამატიკა, 1842 წ.

12. იოზ. ცისკარიშვილის (ცისკაროვის) ბაცბური (წოვა-თუშური) ენის გრამატიკა, 1848 წელს შედგენილი (იხ. ქვემოთ).

იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარების პირველი ცდები — ლექსიკის მარტივი შეპირისპირების გზით — მოცემულია ი. გიულდენშტედტისა (1771-1773 წ.) და ი. კლაპროთის (1807-1808) „მოგზაურობაში“.

§ 8. შემთხვევითი ლექსიკური (თუ სხვა ხასიათის) ჩანაწერები

იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიის თვალსაზრისით გარკვეული მნიშვნელობა აქვს შემთხვევითი ხასიათის ცნობებს ამ ენათა შესახებ, ლექსიკურ ჩანაწერებს, ცალკეულ ფრაზებს და სხვა, რაც შეიძლება აღმოაჩნდეს უცხოელ მოგზაურებს ანდა დადასტურდეს წარწერებში (თუ სხვა ენაზე შესრულებულ ხელნაწერებში). ქართულისთვის ასეთი მასალა საინტერესო არაა: ქართული მეტყველების ნიმუში V საუკუნის წარწერიდანაა უკვე ცნობილი. მაგრამ უმწერლო ენების (ანდა ახალსამწერლო ენების) შესახებ ამას ვერ ვიტყვით: ყოველგვარი დოკუმენტაცია, რასაც შეუძლია ამ უმწერლო ენათა ძველი ვითარების შესახებ გარკვეული ცოდნა შეგვიძინოს, მეცნიერულად ფასეულია ამ ენათა ისტორიისათვის და, მასადაამე, ამ ენათა შესწავლის ისტორიაში შეძლებისდაგვარად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

პირველ რიგში არაბული წყაროებია გასათვალისწინებელი: არაბი გეოგრაფების ცნობებს მნიშვნელობა აქვს, მაგალითად, ძველი ალბანეთისა და დაღესტნის ისტორიული ეთნოგრაფიისათვის საშუალო საუკუნეებში.

დაღესტნის ენებისა, კერძოდ, ხუნძურის, საინტერესო დოკუმენტაციას წარმოადგენს ქართული წარწერები, ჩვეულებრივ ასომთავრულით შესრულებული, ხუნძური სოფლებიდან: ასე, მაგალითად, ხუნძური ფრაზა წობ თეგი... „წყალობა დაადევ“ — ე. ი. შეიწყალე, ჩართულია ქართულ წარწერაში მიახლოებით XV ს. ქვის ჯვარზე (არნ. ჩიქობავა).

არაბული ენიდან დაღესტნის ენებზე თარგმნილმა სამუსლიმანო (თუ სხვა შინაარსის) ძეგლმა შეიძლება შემოგვინახოს ამა თუ იმ ენის ძველი დოკუმენტაცია. ასე, მაგალითად, ლაკურ ენაზე 1734 წ. უთარგმნიათ არაბული სამედიცინო ტრაქტატი „ხანნალ მურად“ („ხანის სურვილი“ — იხ. ს. მ. ხაიდაკოვის წერილი: *Старокумухский диалект* — იბერ.-კავკას. ენათმეცნიერება, XIV, 1964 წ.). ლაკური ენისთვის ეს უძველეს დოკუმენტაციას წარმოადგენს, მასთან საკმაოდ ვრცელს.

XVI ს. თურქ მოგზაურს ევლია ჩელების თავის „მოგზაურობათა წიგნში“ მოეპოვება ცალკეულ სიტყვათა და ფრაზების ჩანაწერები აფხაზურსა და ჩერქეზულ (ე. ი. ადიღეურ) ენაზე (იხ. რ. ბლაიხშტიინერი).

XVI ს. იტალიელ მოგზაურს ბარბაროს მოეპოვება ცნობები მეგრულის შესახებ.

იტალიელი მოგზაური ინტერიანო XVI ს. დასაწყისში აღნიშნავს: ჩერქეზებს (ადიღეელებს) უკავიათ აზოვის ზღვის მთელი აღმოსავლეთი სანაპიროო (ამ ცნობას ჯერ კიდევ ი. კლაპროთმა მიაქცია ყურადღება).

XVII ს. მოგზაური ბრენერი იძლევა ლეზგიურის, კუბაჩურის, ხუნძურის ლექსიკურ მასალას.

XVII ს. იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი აგვიწერს მეგრელთა ყოფა-ცხოვრებას და აღნიშნავს ზოგ მეგრულ სიტყვას.

XVII ს. დამლევს მოსკოვში ხანგრძლივად ცხოვრობდა ქ. ამსტერდამის ქალაქის თავი ვიტზენი, რომელიც მაშინდელი რუსეთისა და მის მეზობელ ხალხთა მეტყველების ლექსიკურ ჩანაწერებს აგროვებდა: ყაბარდოული მასალა მისთვის მიუწოდებია არჩილ მეფეს, მოსკოვში გახიზნულს იმჟამად (არჩილს სჭირდებოდა ვიტზენის დახმარება: ქართული შრიფტი ამსტერდამში უნდა ჩამოესხათ; იხ. ქრისტინე შარაშიძის მონოგრაფიული გამოკვლევა¹).

შეგჩერდებით შტრალენბერგის მასალაზე, როგორც ფრანგ მეტყულის ჩანაწერის ნიმუშზე.

შვედმა გენერალმა შტრალენბერგმა, რომელიც რუსეთ-შვედეთის ომის დროს რუსებს ჩაუფარდა ტყვედ (რუსეთში დიდხანს დაყო), 1730 წ. გამოსცა შრომა „ჩრდილო და აღმოსავლეთი ნაწილი ევროპისა და აზიისა“², სადაც მოცემულია, სხვათა შორის, ცალკეული სიტყვები ხუნძურ, კუმიკურ (ლაკურ), კუბაჩურ, ჩერქეზულ, კურალი (ე. ი. ლეზგიურ), აგრეთვე ყუმიკურ ენებზე; ეს სიტყვებია: რიცხვითი სახელები ერთიდან ოცამდე, შემდეგ ათეულები ასამდე, ასი, ათასი; მერე მოდის საზოგადო სახელები: ღმერთი, ბატონი, ქალი, მსახური, გოგო, ახალგაზრდა, კაცი, თავი, თვალი, ყელი, ცხვირი, ენა, წვერი, წარბი, მარჯვენა ხელი, მარცხენა ხელი, მუცელი, კუჭი, ჭიბი, ცხენი, ძაღლი, სახლი, წყალი, ცეცხლი, მზე, მკერდი, მარჯვენა ფეხი, მარცხენა ფეხი, პირი, მკლავი, დღე, ღამე, ცივი, თბილი, დედამიწა... (სულ 55 სიტყვა).

¹ მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესახებ ზოგი ცნობა ძველ ბერძნულს წყაროებშიც მოიპოვება, აგრეთვე ქართულ ისტორიულ წყაროებშიც (პირველ ყოვლისა ამ მხრივ „ქართლის ცხოვრება“ საინტერესო).

² Strahlenberg: Das Nord- und Östliche Theil von Europa und Asia, Stockholm, 1730.

აქედან ხუნძური შესატყვისი გვაკლია ჩვიდმეტი სიტყვისათვის (ადგილი ცარიელია). რიცხვითი სახელი ყველა თარგმნილია, მაგრამ ბევრი სიტყვის ცნობა ჭირს: „ერთი“ ხუნძურად არის „ცო“; შტრალენბერგს უწერია: **Szw**: თუ იცი კაცმა ეს ხუნძური სიტყვა, მიხვდები, რომ აქ „ცუ“ წერია; ასევე: „ორი“ — **Giggu** (ხუნძურია: „კიგო“); „სამი“ **Hanku** (ხუნძ. ლ'აბგო, ანდალ. „ჰაბგუ“); „ოთხი“ — **Onku** (ხუნძ.: „უნყო“ ← უნყ-გო); ამ ოთხი რიცხვის სახელი ასე თუ ისე ახლოსაა; მაგრამ „ხუთი“ **Tziloku** („წილოკუ“) ხუნძ. „შუგო“-ს ვერ დაუკავშირდება (არც სხვა დადესტნურ ენებში ჩანს „ხუთის“ სახელი „წილოკუ“); ასევე: „რვა“ **Moskbegqu** (?), „შვიდი“ **Giuhka** (?)...

მასალა სხვისი ჩაწერილია, თავისებური ბევრები მიახლოებით არის გადმოცემული, მერეა გადაწერილი ავტორისათვის გაუგებარი მასალა, მერე — სტამბურად დაბეჭდილი: ამიტომ დამახინჯების მრავალგვარი შესაძლებლობა მოიპოვებოდა.

რიგი სიტყვა მიახლოებით მაინც არის გადმოცემული, ასეთია ზოგი რიცხვითი სახელის გარდა: **Ruck** „სახლი“ — ახლა ითქმის: რუყ... **Saan** „ცეცხლი“; ახლა გვაქვს „წა“ (← წ ა ნ?).

§ 9. სტეფ. პაოლინისა და ნიკ. ირბახის ქართულ-იტალიური ლექსიკონი

ეს შრომა დაიბეჭდა 1629 წ. რომში. შეიცავს 3084 სიტყვას. ლექსიკონის სრული სათაურია: „ლექსიკონი ქართული და იტალიური, შედგენილი სტეფანო პაოლინის მიერ, ქართველნიკიფორე ირბახის, წმ. ბასილის (წესის) ბერის დახმარებით — სახმარად სარწმუნოების გამავრცელებელი სასულიერო საზოგადოების მისიონერთა“¹.

ტექსტი სამ სვეტად მიდის: პირველ სვეტს ქართული სიტყვები შეადგენს, მეორე სვეტში ქართული სიტყვის ლათინური ტრანსლიტერაცია არის მოცემული (აქ მახვილიც არის აღნიშნული); მესამე სვეტი იტალიურ შესატყვისს უჭირავს. ნიმუშად მოვიყვანთ ლექსიკონის დასაწყისს.

¹ Dittionario Giorgiano et Italiano, composto da Stefano Paolini con l'aiuto del M. R. P. D. Niceforo Irbachi Giorgiano, Monaco di S. Basilio — ad uso de Missionarii della Sagra Congregatione di Propaganda Fide. In Roma Nella Stampa della Sagra Congr. de Propag. Fide. CICDCXXIX.

„ლექსი იბერიგო ფრანხი“
 „Dittionario Giorgiano – Italiano“

ა A

აბანო	abáno	Bagno
აბაროლა	abaróga	Mache?
აბახი	abáchi	Dilá
აბრეშომი	abresciómi	Seta
აგება	aghebá	Compunzione
აგმოზენებელი	aghmozenebéli	Biastemare
აგმოსაულეტი	aghmosauléti	Oriente
აგმოსაულეტისა	agmosaulétisa	Orientale
ადვილა შეფაცრუელი	aduila Scefazruéli	Inconstante
ადვილი	aduili	Facile
ადვილად	aduilid	Facilita
ადი	ádi	Di
ადიდება	adidebà	Inondatione
აერა	aèra	Aria
აეტილი	aetili	Coprire
ავადარი	auadári	Ammalarsi

ქართულ-იტალიურ ლექსიკონში ხშირია ქართული სიტყვის არაზუსტი დაწერილობა (აგმოსაულეტი, ადვილიდ, აგმოზენებელი, აბრეშომი...).

ცხადია, ლექსიკონის შემდგენელმა სტეფ. პაოლინიმ ქართული ენა არ იცოდა, ქართული მეტყველების თავისებურ ბგერებში ვერ ერკვეოდა.

მართალია, მას ეხმარებოდა ნიკიფორე ირბახი, ქართველი ბერი, მაგრამ არ ვიცით, რა გაკეთდა ლექსიკონში უმისოდ და რაში მიიღო მან მონაწილეობა. ცნობილია, რომ ნიკიფორე ირბახი ელჩად იყო გაგზავნილი თეიმურაზ პირველის მიერ ესპანეთსა და იტალიაში: თეიმურაზი ესპანეთის მეფესა და პაპს შევლას სთხოვდა. თეიმურაზის წერილი 1626 წლის 20 ნოემბრის თარიღითაა შედგენილი, ცხადია, ნიკიფორე ირბახი ამის შემდეგ გაემგზავრებოდა: იგი ჩავიდა ჯერ მესინას, მერე — ნეაპოლს; იქედან — მადრიდს; თეატინელი ბერების რეკომენდაციით მიუღია ესპანეთის მთავრობას, მადრიდიდან რომს გამომგზავრებულა; აქ ლათინურად უთარგმნიათ თეიმურაზის წერილი, რომელიც ქართულად ყოფილა დაწერილი. პაპს ნიკიფორე ირბახი მიუღია მას შემდეგ, რაც კათოლიკობაში გადასულა. რომში ნიკიფორე დარჩენილა წელიწადზე მეტი. ამ ხნის განმავლობა-

ში იტალიური უსწავლია, სტეფ. პაოლინისთვისაც ქართული „უსწავლებია“ და ქართულ-იტალიური ლექსიკონის შედგენაში დახმარებია სტეფ. პაოლინის. ქართული სტამბაც იმ ხანად დაუარსებიათ იტალიაში, და ნიკიფორეს ამაშიც მიუღია მონაწილეობა (მიხ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 95).

ლექსიკონის ბეჭდვის დროს ნიკიფორე რომში აღარ ყოფილა. იგი 1628 წლის დეკემბერს გამოემგზავრებულა იტალიიდან, გამოუვლია ესპანეთი, საფრანგეთი, უნგრეთი, პოლონეთი... და 1629 წ. აგვისტოს ჩამოუღწევია საქართველოში.

ნიკიფორე ირბახის ვინაობის შესახებ აზრთა სხვაობას აქვს ადგილი. ლექსიკონის სათაურში იგი ქართველად არის მოხსენებული. მიხ. თამარაშვილის აზრით, ნიკიფორე ქართველ დიდებულთა წრიდან უნდა ყოფილიყო (თავის მამაზე ამბობდა: ქართველთა ჯარის სარდალი იყო; ვინ იყო, სახელდობრ, ეს მამა, არა ჩანს). ნიკიფორეს ძმისწულს თუ დისწულს პრემეგია ზურაბ ერისთავი ყარაყალხანის, ე. ი. არაგვის ხეობისა (მიხ. თამარაშვილი, იქვე, გვ. 92).

დავ. კარიჭაშვილი მთელ რიგ გარემოებაზე დამყარებით იმ დებულებას იცავს, რომ ნიკიფორე ირბახი იგივე ნიკიფორე მიტროპოლიტია, ნიკოლოზად წოდებული (ნიკოლოზად ნიკიფორე ირბახი იხსენიებოდა), რომელიც ორჯერ — 1635 წ. და 1639 წ. გაგზავნილი ყოფილა მოსკოვს ელჩად (მიტროპოლიტი იგი გამხდარა 1634 წ.). ეს ნიკიფორე მიტროპოლიტი ტომით ბერძენი იყო (დავ. კარიჭაშვილი, „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია“, 1929, გვ. 17-22).

დავ. კარიჭაშვილს მიუქცევია ყურადღება, კერძოდ, შემდეგი ფაქტისათვის; ქართულ სიტყვათა ნაცვლად ლექსიკონში არა ერთგან ბერძნული ზის: „მამაკაცის“ (**Huomo**) ნაცვლად წერია: „ანირი“; „მეფე“-ს (**Re**) ადგილას გვაქვს „ვასილია“; „ცხენის“ (**Cavallo**) ნაცვლად ზის „იპო“; „ჯარისკაცი“ (**Soldato**) — „სტრატილატი“; „ზეთი“-ს (**Oglio**) ადგილი უჭირავს „ელეო“-ს... ყველგან ბერძნულითაა შეცვლილი ქართული (სულ 47 მაგალითია მოყვანილი). დავ. კარიჭაშვილი, იქვე, გვ. 25-26.

მთელი ბერძნული ფრაზა — „ეპიტროპუს ტუ ქრისტუ პაპა“ — **Vicario de Cristo e li Papa** შეუტანიათ ლექსიკონში ქართული ფრაზის — „ქრისტეს ნაცვალი არის პაპი“ — ადგილას (იქვე, გვ. 27).

„პაოლინი — წერს დავ. კარიჭაშვილი — თავისთავად ქართული სიტყვების ნაცვლად არ შეიტანდა ბერძნულ სიტყვებს თავის ლექსიკონში. ცხადია, ეს ბერძნული სიტყვები და მთელი ფრაზაც კი მისთვის უკარნახია მის თანამშრომელს ნიკიფორე ირბახს, რომელსაც შეეძლო ასე მოქცეული-

ყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იქნებოდა ბერძენი, ქართული ენის კარგი არ მცოდნე. წარმოუდგენელია, რომ ქართველს ქართულ-იტალიური ლექსიკონის შედგენის დროს ქართული სიტყვებისა და ფრაზის ნაცვლად ბერძნული, ქართულში არ ხმარებული სიტყვები და ფრაზა ჩაეწერინებინოს თავისი თანამშრომლისთვის მაშინაც კი, როცა მას რაიმე მიზეზით არ ეცოდინებოდა კარგად ქართული“... (იქვე, გვ. 27).

ზემოთქმული, რასაკვირველია, საგულისხმო და ანგარიშგასაწევია. ზოგი საკითხი მაინც გაურკვეველი რჩება; მაგალითად: როგორ შეიძლება და ნიკიფორე ირბახს (რომელიც დავ. კარიჭაშვილის ვარაუდით „ორი-სამი წლის ნამყოფი იქნებოდა საქართველოში, როდესაც რომს გაემგზავრა“ — იქვე, გვ. 27) არ სცოდნოდა ისეთი სიტყვები, როგორიცაა „მეფე“, „ცხენი“, „მამაკაცი“ (**Huomo**)... მერეა-და, როგორღა მოხდა, რომ ბერძნული სიტყვები „ანირ“, „ვასილია“, „იპო“... ქართულ სიტყვებად შეიტანა იტალიელმა სტეფ. პაოლინიმ, რომელმაც რასაკვირველია, ბერძნული ენა და ამ სიტყვათა სადაურობა კარგად იცოდა... მით უფრო — მთელი ფრაზა ბერძნულ ენაზე...

აქ დგას ქართულ-იტალიური ლექსიკონის ქართული ნაწილის საკითხი: ე. ი. ქართული სიტყვანის საკითხი... ვინ და რის მიხედვით შეადგინა ეს სიტყვანი? საეჭვოა, რომ რომში ჩასულ ნიკიფორეს 3084 სიტყვა შეედგინა, თუნდაც ის ქართულის კარგი მცოდნე ყოფილიყო (და თუგინდ — ქართველი წარმომავლობით... ზეპირად, წყაროების გამოუყენებლად სიტყვანი არ დგება).

უფრო საფიქრებელია, სიტყვანი შედგა რაღაც ლექსიკონის (ვთქვათ, ბერძნული ლექსიკონის) სიტყვანიდან¹ გამოკრებილი მასალის ქართულად თარგმნით, და ამ თარგმნის დროს ზოგი სიტყვა (ბერძნული) დაჩრახტა უთარგმნელად.

ნიკიფორეს შეეძლო ასეთი სიტყვანი შეედგინა. ასე თუ ისე, ფაქტია ის, რომ სტეფ. პაოლინის ქართულ-იტალიურ ლექსიკონში პირველად არის მოცემული ქართული სიტყვანი, ქართული ლექსიკონის ეს საყრდენი და მიუცილებელი წინაპირობა. მართალია, სამი ათასი სიტყვა მოყვა ამ სიტყვანში, მაგრამ ამ მოცულობის სიტყვანი იმ ხანად (1629 წ.) ქართული ლექსიკოგრაფიის საყურადღებო ფაქტია (ასიოდე წლის შემდეგ საბას „სიტყვის-კონაში“ 20 ათასამდე ერთეული გვაქვს).

¹ იქნებ სხვა რაიმე ხელნაწერი ლექსიკონი იყო გამოყენებული? ასეთი ლექსიკონების არსებობაზე გავკრით ლაპარაკობს მაჯო ქართ. ენის გრამატიკაში (გვ. 95). იხ. აქვე, გვ. 43.

§ 10. ფრ. მარ. მაჯოს ქართული გრამატიკა

ფრანცისკ მარია მაჯოს შრომის სათაურია: „ნაშრომი აღმოსავლურ ენათა შესახებ, რომლებიც საქართველოს მხარეებში იხმარება (ისმის). წიგნი პირველი, რომელიც შეიცავს ქართული ანუ იბერიული სასაუბრო ენის გრამატიკულ წესებს — შედგენილი ფრ. მარ. მაჯოს მიერ... რომში, სარწმუნოების გამავრცელებელი წმინდა კონგრეგაციის სტამბიდან, [მეორე გამოცემა] 1670, უზენაესი ნებართვით¹.

შრომა ავტორს მიუძღვნია „უწმინდესი და უნეტარესი მამის“ ურბანოს VIII პაპისადმი, როგორც წინასიტყვაობის თავშივე წერია (გვ. 3).

„ქართული ანუ იბერიული ენის გრამატიკულ წესებს“ უჭირავს მაჯოს შრომის პირველი ნაწილი (გვ. 1-130); წიგნის ამ ნაწილის სარჩევი მოცემულია გვ. 131-135; ხოლო დანართის სახით გვ. 137-143 წარმოდგენილია „ქრისტიანული კატექიზისი“ („სახელითა მამისათა...“, „წმიდაო ღმერთო“... „მამაო ჩუენო“, „სიმბოლო სარწმუნოებისა“ („მრწამს ერთი ღმერთი“...), „ათი მცნება“ („მე ვარ უფალი ღმერთი შენი“...), მარიამ ქალწულის ლიტანია...

ფ. მ. მაჯოს შრომის მეორე ნაწილი („მეორე წიგნი“) თურქული (აგრეთვე არაბული) ენის წესებს გადმოგვცემს. მისი სათაურია: „*Syntagmaton linguarum orientalium, liber secundus, complectens Turcicae, atque Arabicae Linguae Institutiones*“. ამ შრომას საკუთარი პაგინაცია აქვს: გვ. 1-96.

შრომა ორი ნაწილისაგან შედგება.

პირველ ნაწილში, გვ. 1-38 თურქული და არაბული ანბანი, ასოთა ბგერითი მნიშვნელობა, თეშიდილი თუ სხვა ნიშნები, ასოთა რიცხვითი მნიშვნელობა, ცალიფ-ის, ვავ-ისა და ზოგი სხვა ასოს გამოთქმის საკითხია განხილული; გვ. 38-46 ებრაული ანბანია აღწერილ-განმარტებული; გვ. 46-53 ქალდეურ ანუ სირიულ ანბანს გვაცნობს.

მეორე ნაწილი თურქული ენის ელემენტებს („საწყისებს“) გადმოგვცემს (*De linguae turcicae rudimentis*); აქ თავშივე აღნიშნულია, რომ თურქული ენა „ყველა სხვა ენაზე ადვილია“ (*omnium aliarum linguarum facillima est* გვ. 53); „მისი (მეტყველების) ნაწილები იგივეა, რაც ჩვენი (ე. ი. იტალიური) ენისა, მხოლოდ წინდებული (*praepositio*) ითქმის თანდებულად (*postpositio*)“... გვ. 53.

¹ Syntagmaton linguarum orientalium, quae in Georgiae regionibus audiuntur. Liber primus, complectens Georgianae, sen Ibericae vulgaris linguae Institutiones grammaticas – authore D. Francisco-Maria Maggio, clerico regulari, panormitano, – Romae, ex Typographia Sacrae Congregationis de Propaganda Fide, MDCLXX, Superiorum permissu.

პირველ გვერდზე, სადაც მოკლე სათაურია ნაჩვენები, ვკითხულობთ: Syntagmata linguarum orientalium, quae in Georgiae regionibus audiuntur, authore D. Francisco-Maria Maggio clerico regulari, panormitano.

სახელის ბრუნება, ნაცვალსახელები, რიცხვითი სახელები, ზმნის უღვლილება (გვ. 53-76), შემდეგ — სინტაქსი (შეხამება — სახელთა, ზმნათა) (გვ. 76-84). დაბოლოს: „თურქულ ზმნისართა წარმოება და გამოყენება“, „ყველა სხვა ნაწილაკის გამოყენება და შეხამება“, „თურქულის შორისდებულთა და კავშირთა შესახებ“ (გვ. 84-88). ამ მონაკვეთს უძღვის საყურადღებო განმარტება: „არაბთა და თურქთა ისევე, როგორც სხვა აღმოსავლელ ხალხთა ჩვეულებაა მეტყველებაში გაარჩიონ სახელი, ზმნა და ნაწილაკი; მაგრამ ისეთი ქვედაყოფა აქვთ, რომ ნაწილაკის სახელწოდებაში ზმნისართი და ყველაფერი სხვა იგულისხმებაო“ (გვ. 84).

არსებითად ამ წესის მიხედვით აქვს თურქული ენის მასალა დალაგებული და განხილული თავის წიგნში ფ. მ. მაჯოს.

ფ. მ. მაჯოს „ქართული ანუ იბერიული ენის“ გრამატიკა შედგება ოთხი ნაწილისაგან; ეს ნაწილებია: 1. ო რ თ ო გ რ ა ფ ი ა, 2. ე ტ ი მ ო - ლ ო გ ი ა, 3. ს ი ნ ტ ა ქ ს ი და 4. პ რ ო ს ო დ ი ა. ორთოგრაფია — მაჯოს თქმით — სწორად კითხვისა და წერის წესებს გვაწვდის და გრამატიკის პირველი ნაწილია. აქ ავტორი მკითხველს აცნობს ქართულ ანბანს, ჯერ მხედრულს (37 ასოს: ყოველი ასოს სახელის აღნიშვნით — ქართულად და ლათინური ასოებით), შემდეგ — მთავრულს, ბოლოს — ნუსხურს. მაჯო ცდილობს დაადგინოს ყველა ასოს ბგერითი ღირებულება, უწერს იტალიურ შესატყვისს, მოჰყავს ქართული სიტყვები, სადაც ესა თუ ის ბგერა იხმარება (**ე** — ელვა, **ი** — იდაყუი, **გ** — გული, **დ** — დედა, **პ** — პური, **წ** — წარბი, **ქ** — ქაჩალი, **ღ** — ღვინო, **ვ** — ვარი, **ყ** — ყელი)... მაგრამ, ჩანს, მაჯო ვერ არჩევდა ქართულ თავისებურ ფონემებს, ზოგჯერ ისეთებსაც, რაც მისთვის უცხო არ უნდა ყოფილიყო; სწორი დაწერილობის გვერდით მცდარიც გვხვდება, საკმაოდ ხშირადაც: ბიჩი (=ბიჭი); გმარძული (=ყმარწული), ძაგლი (=ძაღლი), ჰარჩან (=შარშან), პასსი (=ფასი), ვაჯი (=ვაჟი), კართუელი (=ქართუელი), ჰბო (=ჰბო), ჰარმალი (=ჰრმალი)... ჰერი (=ერი)¹ (გვ. 5-8).

მაჯოს დაჯგუფებული აქვს ქართული თანხმოვნები; სულ რვა ჯგუფია გამოყოფილი:

1. ყელისმიერნი (gutturales): **ჰ, ღ, ხ, ჳ, ჴ(?)**, **ჵ(!)**
2. სასისმიერნი (vuales): **კ, ქ, ყ**
3. შუაენისმიერნი (palatinae): **შ, ჩ, ც, ჟ, ჳ, ჴ**
4. სისინანი (sibilantes): **ზ, ს, ძ, წ**
5. ტიტინანი (balbutientes): **ღ, თ, ტ**

¹ პაოლინის „ქართულ-იტალიურ ლექსიკონში“ ეს სიტყვები სწორედ ასეა შესული. საკითხავია, ამ წყაროდან ხომ არ არის ამოღებული ეს სიტყვები (საერთოდ, ლექსიკური მასალა)?!

6. ლუნვილნი (*flexae*): **ლ, ნ, რ** („ენა კბილს რომ ეხება, ილუნება“ — გვ. 9).

7. ბაგისმიერნი (*labiales*): **ბ, მ, პ, ფ**

8. რბილნი (*molles*): **ვ, ი** (?!) გვ. 9.

სქემის სახით „ასოთა ჯგუფები“ (*divisiones literarum*) წარმოდგენილია გვ. 10: ხმოვნები, თანხმოვნები, სრულნი, ყრუნი, მარტივნი, ორმაგნი, ყულისმიერნი, სასისმიერნი, შუაენისმიერნი, სისინანი, ტიტინანი, ლუნვილნი, ბაგისმიერნი, რბილნი.

აქ პირველად არის ქართული ბგერები დაჯგუფებული; გაკვირვებას შეცდომები კი არ იწვევს, არამედ მიახლოებით სწორი დახასიათების მაგალითები, აქ რომ გვხვდება.

ქართული ანბანის ზეპირად დასწავლის მიზნით მაჯოს ასოთ რიგი გაულექსავს: ა ბ ა გ ა, დ ე ვ ე ზ ე ჰ, თ ი კ ლ ი მ, ნ ი ო პ, ყ ო რ ო ს ო, ტ უ ფ უ, ქ უ ლ უ პ, შ ო ჩ ი ც ო, ძ ე წ ი, ჭ ა ხ, ჯ ა ჯ ა ჰ ა, შ ო ე (გვ. 11)¹.

ეგ „ლექსი“ მოცემულია ლათინური ტრანსკრიფციით (*Abagha, Deveszeh...*), შემდეგ — ნუსხურად, ბოლოს — მთავრულად.

მაჯოს საჭიროდ მიუჩნევია ქართული ასოების დაწერისას ხელის მოძრაობა ნომრებით აღენიშნა: 1 ტ 4... (გვ. 14).

ცალკე აქვს გამოყოფილი ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით მსგავსი ასოები: ვ—კ; შ—მ—ძ; ყ, ყ, უ; ლ—ლ; ს—ხ და ა. შ. (გვ. 15).

შემდეგ ასოთა რიცხვითი მნიშვნელობა აქვს განხილული, მასთან რიცხვითი სახელებიც ჩამოთვლილია და განმარტებულიც: ოცდაათი *viginti et decem*, ორმოცი *duo viginti...* სამოცდაათი *ter viginti et decem...* ათასი *decem centum...* (გვ. 16-19).

ქართულ ასოთა გადაბმის შემთხვევებსა და ნიმუშებს ეთმობა გვ. 20-24. შემდეგ კი — მისიონერთა საჭიროების გათვალისწინებით — მაჯოს მოჰყავს სომხური ანბანი და არაბული ანბანი ქართული შესატყვისებით (გვ. 24-30).

გრამატიკის მეორე ნაწილი, ეტიმოლოგია, მაჯოს თქმით, მეტყველების ნაწილთა წარმოების წესებია (*hoc est de partium orationis formatione institutiones*, გვ. 33). ამ ენას ცხრა მეტყველების ნაწილი აქვს — წერს მაჯო: სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, მიმღეობა, ზმნისართი, წინდებული, თანდებული, შორისდებული და კავშირი (გვ. 23).

ზედსართავი და რიცხვითი სახელი მეტყველების ნაწილთა შორის არ არის დასახელებული. თანდებული კი გვაქვს, ასევე — მიმღეობა.

¹ შდრ. ანალოგიური ცდა ა. შანიძის სასკოლო გრამატიკაში: აბგად, ევზათ, იკალმანო... და მისთანანი (1939 წ., გვ. 13).

სახელი პირველია მეტყველების ნაწილთა შორის. სახელს აქვს ხუთი მდევარი (*nomini accidunt*): სქესი, რიცხვი, ბრუნება, სახე, შედარება.

სქესი ქართულში (*apud Iberos*) ერთია და უცვლელი (გვ. 33): ლამაზი: *pulcher, pulchra, pulchrum*: ლამაზი — კაცი, კალი, პირითკუი („პირუტყვი“)... დიდი — მთა, ჯივარი („ჯვარი“), თკული („ტყუილი“) — *magnus mons, magna crux, magnum mendacium*: (გვ. 34). ლათინურში სამი სქესის ფორმა აქვს ზედსართავს — სხვადასხვა სახელთან, ქართულში — ერთი.

რიცხვი ორია: მხოლოდობითი და მრავლობითი; უკანასკნელი ბოლოს დაირთავს ბი-ს: მამა — მამაბი (!, წერია: „მამბბი“), დედა — დედაბი (!), გოგო — გოგობი (!), წიცა (*nutrix* ე. ი. „ძიძა“) — წიცაბი (!), ურძხო (!) (*advena* „უცხოელი“) — ურძხობი (გვ. 34).

თუ სახელი ი-ზე ბოლოვდება, მრავლობითში თავდება **იბი**-თ (?) კი არა, არამედ **ები**-თ (იბი- მანამდე არ უხსენებია — **ა. ჩ.**).

ბიჩი („ბიჭი“) — ბიჩები, სოლი („ცოლი“) — სოლები, შვილი — შვილები, პათონი („ბატონი“) — პათონები, სმაკი („ემმაკი“ *demon*) — სმაკები (გვ. 34).

ბრუნება ერთია და მარტივი: ბრუნვა გაირჩევა ასოებით ანუ ნაწილაკებით, რომლებიც დაერთვის სახელის ბოლოს:

ნათესაობითის ნიშანია **ს** ანდა **სა**(!).

მიცემითში იგივე ასო ან ნაწილაკია, ოღონდ სახელს ეკვეცება **ი** ანდა სხვა ხმოვანი, რითაც იგი ბოლოვდება;

დაწყებითი -ის აგან, რაც ლათინურში გადმოიცემა **a, ab, ex** წინდებულებით;

აკუზატივი ისეა, როგორც დასახელებისას (*fit ad instar nominandi*).

მხოლოდობითში ძალიან ხშირად ემატება **მა**, როგორც ეს ნაჩვენებია იქნება მაგალითებში (გვ. 35).

საბრუნებლად აღებულია „ბიჭი“:

მხოლ.	Numin.	სახელ.	ბიჩი ანდა: ბიჩიმა(!) მრავლ.	ბიჩები
	Genit.	ნათეს.	ბიჩისა	ბიჩებისა
	Dat.	მიცემ.	ბიჩსა	ბიჩებისა
	Accus.	აკუზ.	ბიჩი	ბიჩები
	Voc.	წოდებ.	ბიჩი	ბიჩები
	Ablat.	დაწყებ.	ბიჩისაგან	ბიჩებისაგან

(გვ. 35).

ეს ბრუნვები ცხადია, ლათინური ენის ბრუნვათა შესატყვისების ძიებამ გამოაყოფინა ავტორს (ბრუნვათა რაოდენობაც, თანმიმდევრობაც ლათინურის გრამატიკისა გვაქვს). ამიტომ საჭირო

დარჩა დაწყებითი ცალკე ერთეულად გამოეყო (ლათინურში მას, **ablativus**-ს, მოქმედებითის ადგილი უჭირავს, სხვა ბრუნვათა მსგავსი ერთეულია, ქართულში — თანდებულისანი წარმოება); ასევე აკუსატივიც — ნათესაობითისა და მიცემითის გვერდით დგას, თუმცა განსხვავებული ნიშანი არ მოეპოვება; მეორე მხრით, „უადგილოდ“ დარჩა მოთხრობითი: **-მა** ნაწილაკიანი ფორმა რომ იხმარება, მასთან ძალიან ხშირად, ეს მაჯომ იცის, მაგრამ ცალკე ერთეულად არ მიუჩნევა: სახელობითის პარალელურ ვარიანტად დასახა: „ბიჩი“ ანდა „ბიჩიმა“... მრავლობითში თუ იხმარება, არ იცის.

ლათინურს არა აქვს დაწყებითისაგან განსხვავებული მოქმედებითი; ამიტომ ქართულ ბრუნვაში მოქმედებითი მაჯოს გამოჩენია.

სახელობითი და ფუძე გარჩეული არ არის; ამიტომ ნათესაობითის ნიშნად **ს**, **სა** გამოდის: ბიჩი-სა; **სა** მიცემითშიც აღმოჩნდა: აქ სახელობითის **ი** აკლდება¹. **-მა**-ც სახელობითს დაერთო: ბიჩიმ (=ბიჭმა). ასევეა „წვილიმა“ (გვ. 36).

ა-ზე დამთავრებულ სახელებს აკუსატივში **ი** დაერთვისო (გვ. 35): სახელ. მამა, აკუს. მამაი... მიცემითში — **ა** მოკვეცილი აქვს: მამსა (იქვე). მრავლ.: მამაბი (!). ასევე: დედა — მიც. დედსა, აკუს. დედაი, მრავლ. დედაბი. სახელობითის **-ი**, ცოცხალ მეტყველებაში შერჩენილი ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძესთან, მაჯომ აკუსატივს მიაკუთვნა (ასეთივე ცდა ანტონის გრამატიკაშიც გვაქვს, მაჯოსაგან დამოუკიდებლად).

მაჯოს თქმით — „ერთმარცვლიან სიტყვებში და ზოგ სხვა ძნელად გამოსათქმელ სახელებში“ მიცემითი ნათესაობითს ემსგავსება: ხბო — ნათ. მიც. ხბოსა, დრო — დროსა (გვ. 38), ასევე თურმე „მთა“: ნათ. მთასა (!), მიც. მთასა (გვ. 39).

მაჯოს დაკვირვების თანახმად სოფლების, მხარეების და სხვ. სახელებში, რომელთაც **-ტი** მოუდის ბოლოს, მიცემითში **ც** ექნებათ: კუბულეტი (ე. ი. ქობულეთი) — მიც. კუბულეცი; გრიკოლეთი (გრიგოლეთი) — გრიკოლეცი; აკეთი (აკეთი) — აკეცი; ოზურგეთი — ოზურგეცი; ლანჯიკუტი (ლანჩხუტი) — ლანჯიკუცი... და აქვეა: საფრანკი — საფრანკეცი (გვ. 38).

უსულო საგნის სახელები დაწყებით ბრუნვაში, — წერს მაჯო, — ბოლოვდება **ჯი**, **ჩი**, **ში**, **და**, **დამა**-თი, და ეს ნაწილაკები ლათინურ **in**, **ex**-ს უდრისო: ბუსტანი — ბუსტანჯი (ე. ი. ბოსტანში), ბუსტანიდა ანდა ბუსტანიდამა... სოპელი — სოპელჩი, სოპელიდა ან სოპელიდამა (ე. ი. სოფელში, სოფლიდან, სოფლიდამა)... საგდარი, საგდარში, საგდარიდა ანდა საგდარიდამა (ე. ი. საყდარი, საყდარში, საყდარიდან, საყდარიდამა)... ოდი-

¹ აღწერის კარგი ექსპერიმენტია, როცა არ გვემის, რა ხდება.

ში, Colchis (!) — ოდიში (ე. ი. ოდიშში), ოდიშიდამა... ბაძარი (ე. ი. ბაზარი), ბაძარში, ბაძარიდამა... (გვ. 38-39).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, მაჯოს დაწყებით ბრუნვად მიუჩნევია საერთოდ თანდებულისანი ბრუნვები: -დაღმა, -დაძმა, -გან დართული მოქმედებითი, -ში თანდებულისანი მიცემითი...

ამ კონტექსტში მაჯოს აგონდება: ხელი, ხელთა in manu „ხელში“, სახელი, სახელითა in nomine... პირველ მაგალითს თანდებული აკლია („ხელთა შინა“): „სახელითა“ კიდევ აქ მოჰყვა მხოლოდ იმიტომ, რომ ლათინურ თარგმანში წინდებულისა საჭირო (in nomine); ამიტომაც ქართულ თანდებულებს გაუტოლა მაჯომ. მოქმედებითი ბრუნვა მაჯოს, როგორც ითქვა, შეუმჩნეველი დარჩა ქართულში (რატომ, — იხ. ზემოთ).

მაჯოს შენიშნული აქვს, რომ ნათესაობითს -ა აკლია, თუ მოსდევს სახელი (ე. ი. თუ მსაზღვრელია და საზღვრულს უძღვის): ბათონის დაშინა (ე. ი. ბატონის დაშნა), ვაჯის დანა (ე. ი. ვაჟის დანა), გოგოს ბეჩედი (ე. ი. გოგოს ბეჭედი), ოლონდ ამ უკანასკნელ მაგალითში „გოგოს“ მიცემითიაო (!) გვ. 38. მიცემითსაც -ა ეკარგებაო (იქვე). -მა ნაწილაკი პირდაპირ ბრუნვას რომ ერთვის, -ნს იძენს სიტყვაში ღმერთი: გმერთიმან იცის (და არა: „გმერთიმა იცის“-ო) გვ. 39.

წიგნებში, — წერს მაჯო, — მრავლად მოიპოვება -ნი- ნაწილაკით დამთავრებული მრავლობითი; მის ნათესაობითს -თა აქვს, ასევე მიცემითს; წოდებითს -ნო, დაწყებითს -თაგან; მაგალითად, გვ. 40:

სახელ.	მეპე ანდა: მეპემა (მეფე, მეფემა)	მრავლ:	მეპეები (ე. ი. მეფეები)
			მეპენი
ნათეს.	მეპესა	მეპეებისა	მეპეთა
მიცემ.	მეპსა (!)	მეპეებისა ანდა: მეპებისა(!)	მეპეთა
აკუზ.	მეპეი	მეპეები	მეპენი
წოდებ.	მეპეო	მეპებო	მეპენო
დაწყებ.	მეპესაგან ანდა მეპისაგან	მეპებისაგან	მეპეთაგან

ასევეა ნაბრუნები: შაჰ (II შაჰამა), შაჰასა, შაჰსა, შაჰი, შაჰო, შაჰისაგან... მრავლ.: შაჰაბი (!), შაჰაბისა, შაჰაბსა, შაჰაბი, შაჰაბო, შაჰაბისაგან... შაჰანი (!), შაჰათა... შაჰანო, შაჰათაგან (გვ. 40-41).

სახელთა ასეთი ცვლა — სწორად შენიშნავს მაჯო, — უპირატესად სამწერლო ენაში იხმარება, ვინემ სასაუბროშიო (გვ. 41).

ამით თავდება ბრუნება მაჯოს გრამატიკაში.

ვრცლად აქვს განხილული წარმოქმნის პროცესები: არსებით სახელთაგან (derivaciones a nominibus substantivis გვ. 42-50), ზედსართავთაგან (გვ. 50-51), ზმნისართებისაგან (გვ. 51), რიცხვით სახელთაგან (გვ. 52-64).

არსებით სახელთაგან წარმოქმნილ სახელებში განხილულია ისეთი ტიპები, როგორცაა: შვილი — შვილიანი... აკლემი — მეაკლემი (ე. ი. მე-აქლემე)... ოკრო—ოკროსმჩედელი (ე. ი. ოქროსმჭედელი)... გემო — გემბრიელი(!)... გურია — გურიელი... ოდიში — ოდიშური... კაცი — კაცობა... სანთელი — სასანთელი (ე. ი. სასანთლე)... კართული (ე. ი. ქართველი) — საკართული (ე. ი. საქართველო)... კრისტე — კრისტიანი (ე. ი. ქრისტიანი)... გიორგი — გიორგობა... „ეპისკოპოსთა სახელები“: შამოკმედელი, თიბილელი...

საილუსტრაციო მაგალითებში ხან ასოებია არეული, ხან წარმოებაა ხელოვნური, ხან ამოსავალი სახელია უცნაური სახით მოყვანილი; ასე მაგალითად: ოკრო — ოკრიანი (ვითომ „ოქროიანი“), წივი (ე. ი. ცივი) — წივიანი (ვითომ „წივი“ *frigus* „სიცივე“ იყოს!); ჩუტი(!) — ჩუტიანი (ე. ი. ჭკუიანი) „შვილიანისა“ და „ცოლიანის“ გვერდით აქვს მაჯოს დასახელებული (გვ. 42).

მოსაქმეობის აღმნიშვნელ სახელებს ბოლოში **ე**-ს ნაცვლად **ი** უზის: მეპური (ე. ი. მეპურე), მეთობი (ე. ი. მეთოფე), მებუსტანი (ე. ი. მებოსტნე), მეხუამალდი (ე. ი. მეხომალდე), მეთებზი (ე. ი. მეთევზე) გვ. 41-42... **ე** აქვს ნაწარმოებ სახელს, თუ მას ამოსავალ ფუძეში ვარაუდობს ავტორი: მებაჟე — „ბაჟე“-საგან, მეკლითე — კლითე-საგან...

ცოტა ქვემოთ კი იქვე მაჯო ჩამოთვლის ამგვარად ნაწარმოებ სახელებს — **ე**- ბოლოსართით: მესთუმბრე, მეჯინიბე, მეჯიოგე, მენაგე, მეხუამალდე... (**ი**- ბოლოსართიანია მხოლოდ „მეგამბეჩი“, ე. ი. მეკამეჩე გვ. 43).

სხვა ტიპის ნაწარმოებ სახელებში: ვერსკლი (ე. ი. ვერცხლი) — ვერსკლისმჩედელი, მარგართე (ე. ი. მარგალიტი) — მარგართეს მჩედელი(!) (გვ. 44)...

„მადრიელი“-სათვის ამოსავლად ნაჩვენებია მადრი(!); საკრული (ე. ი. საკურველი ← საკურიველი) ვითომც ნაწარმოები იყოს საკრ უ-ფუძიდან (თარგმნილია: *admiratio* „გაკვირვება“ (გვ. 44).

გურია — გურიელის გვერდით მოცემულია: გორი — გორიელი (*Goridensis*) გორელის ნაცვლად, ბაძარი — ბაძარიელი („ბაზრელი“?) გვ. 45.

კაცი — კაცობის ბაძლად არის მიჩნეული გმერთი — გმერთობა (ე. ი. ღმერთობა, *deitas*); ყუარი (ე. ი. გუარი *cognomen*) — ყუარობა(!) გვ. 46.

საკათამი, საბათი, სათრედი, საკუელი, სამარილი, სათებზი, საწიგნი, სათეთრი (გვ. 47) — წერია ნაცვლად: საქათმე, საბატე, სამტრედე, საყველე, სამარილე, სათევზე, საწიგნე, სათეთრე-სი (*arca numaria* „თეთრის“ სათავსო, საფულე ყუთი)...

ასევე: საკართული, სათათარი, საფრანკი, საარმენი (ანდა: არმენობა გვ. 48) მოცემულია საქართველო, სათათრეთი, საფრანგეთი, 'სა'სომხეთის („საარმენო“-ს) ნაცვლად.

მაკამედიანი, ლუთერიანი (გვ. 48) „კრისტიან“-ის ტიპისა გამოდის — მაკამედიანისა და ლუთერიანის ნაცვლად.

სრულიად უცნაური ჩანს „ნაწარმოები“ სახელები: „იბერი“ — ბერი-საგან *qui simulat se monachum* „ვინც ემსგავსება ბერს“... „იბერა“ მაშინ ნა-სახელარი ზმნა იქმნებოდა და არა — სახელი... „იწმინდა“ — (წმინდასა-გან) „*qui fictam sanctitatis similitudinem refert*“ „ვინც მოჩვენებითს მსგავსებას სიწმინდისას ავლენს“... იმორჩილები (მორჩილები-საგან *dives* „მორჭმუ-ლი“) „*qui fingit se divitem*“ „ვინც თავს წარმოიდგენს მორჭმულად, დოვლა-თიანად“ (გვ. 50).

ზედსართავიდან — წერს მაჯო, განყენებული მნიშვნელობა იწარმოება **-ობა** — ნაწილაკით: ტეტრი — ტეტრობა, შავი — შავობა, მართალი — მართალობა, გრიძელი — გრიძელობა, მოკლე — მოკლეობა, დიდი — დიდობა (გვ. 50): აქ არც ერთ შემთხვევაში **სი-** — **-ე** (სი-თეთრ-ე...) წარმოება არ არის მოხსენებული...

ამასთან დაკავშირებით მაჯოს **სა-** თავსართი აგონდება: „ზორა“ (ე. ი. სწორი) — „საზორა“ (ე. ი. სასწორი); აგრეთვე **-ური**: ახლობური, შორებური, შენებური, ჩუენებური, თუენებური (გვ. 50-51), თუმცა აქ უკანასკნელი სამი სიტყვა ნაცვალსახელისგან არის ნაწარმოები (და არა ზედსართავისაგან).

ზმნისართისაგან იწარმოება ზედსართავები — დროის აღსანიშნავად — **მდელო**-ს მეშვეობით: დგეს — დგემდელო, დილას — დილამდელო, ხუალ — ხუამდელო(?), გუშინ — გუშიმდელო (გვ. 51).

სხვა მეტყველების ნაწილისაგანაც შეიძლება ვაწარმოოთ ზედსართავიო და ასახელებს: ჭარჩან (ე. ი. შარშან *annus praeteritus* „გასული წელი“ (!) — ჭარჩემდელო „რაც იმ დროს ეხებაო“ (გვ. 51).

თვეების სახელებიდანაც იწარმოება ზედსართავიო: კრიშობისტემდე-ლი (ე. ი. ქრიშობისთვემდელო), ჯორჯობისტემდელო (ე. ი. გიორგობისთვემდელო)... გვ. 52; ამასთან დაკავშირებით თვეთა სახელებია ჩამოთვლილი: იანუარ, თებრუარ, მართი, აპრილი, მაიცი, იანობისტუე (ე. ი. ივანობის-თვე), ყირიკობისტუე (ე. ი. კვირიკობისთვე), მოშობისტო (ე. ი. მარიობის-თვე), ეუკენისტო (ე. ი. ენკენისთვე), სიპობისტო (ე. ი. მწიფობისთვე), ჯორჯობისტო, კრიშობისტო (გვ. 51-52).

სანამ რიცხვით სახელთაგან წარმოქმნას განიხილავდეს, მაჯო ჩამო-თვლის ოდენობის აღმნიშვნელ სახელებს: ერთიდან ასამდე ყველას, ასის შემდეგ დასახელებულია „ასი და ერთი“, „ასი და ორი“, შემდეგ „ორასი“ და სხვა ყველა ასეული; მერე მოდის: „ათიასი“ და სხვა ათასეულები „ათიათასის“ ჩათვლით (ათის ჩათვლით პირველი ათეულის წევრები ზუს-

ტად მოჰყავს; მერეც დასახელება ზუსტია, ოღონდ „მეტი“-ს ნაცვლად ყველგან წერია მე თ ი: თერთმეტი, თორმეტი... ოციდაერთი, მაგრამ „ოც-ღაორი“ და სხვა, ასამდე — სწორად) გვ. 52-57.

ოდენობითი რიცხვითი სახელებიდან ნაწარმოებია:

1. რიგობითი სახელები **მე-** თავსართით (ბოლო უცვლელად რჩება): მეორი, მესამი, მეოთხი... მერვა, მეცხრა... მეათი, მეოცი, მეოცდაათი, მეორმოცდაათი... მეთასი, მეათასი (გვ. 58-59). მაჯო შენიშნავს: მეერთი არ იხმარება, არამედ „წინაპირველი“ (ე. ი. წინაპირველი) გვ. 59.

2. **გე-**ს დართვით **collectiva**: ორივე, სამივე, ოთხივე (ორათასივე(!), სამათასივე(!) გვ. 59).

3. განაწილებითი **distributiva**: ოთხ-ოთხი, ხუთ-ხუთი, რვა-რვა, ათ-ათი, ოც-ოცი... ას-ასი, ათას-ათასი (უდღეფისოდ: გვ. 60-61). ბევრგან პირველი ნაწილი შეკვეცილია: სასამი (ე. ი. სამ-სამი), ექექუსი (ე. ი. ექვს-ექვსი), შვიშვიდი (ე. ი. შვიდ-შვიდი), თერთერთმეტი (ე. ი. თერთმეტ-თერთმეტი), თორთორმეტი (ე. ი. თორმეტ-თორმეტი), თხუთხუთმეტი (ე. ი. თხუთმეტ-თხუთმეტი), ოცოცდაათი (ე. ი. ოცდაათ-ოცდაათი), ორმოორმოცი (ე. ი. ორმოც-ორმოცი), ორმოორმოცდაათი (ე. ი. ორმოცდაათ-ორმოცდაათი), სასამოცი (ე. ი. სამოც-სამოცი), სასამოცდაათი (ე. ი. სამოცდაათ-სამოცდაათი), ოთხოთხმოცი (ე. ი. ოთხმოც-ოთხმოცი), ოთხოთხმოცდაათი (ე. ი. ოთხმოცდაათ-ოთხმოცდაათი), ორორასი (ე. ი. ორას-ორასი), რვარვასი (ე. ი. რვაას-რვაასი), ათათასი (ე. ი. ათას-ათასი), ორორათასი (ე. ი. ორათას-ორათასი) გვ. 60-61. ბოლოს ცალკეა გამოყოფილი: თითო-თითო, ოროლი (გვ. 61).

4. **ობა-**ს დართვით, „მდებრობითის ფორმა აქვთ“ (!), თითქმის იმასვე ნიშნავენ, რასაც მარტივი რიცხვი ნიშნავს, არც ლათინურში, არც იტალიურში არ შეიძლება გადმოგვეთო (გვ. 61); ჩამოთვლილია რეალური „ერთობის“ გვერდით: ორობა, სამობა, ოთხობა, ხუთობა, ექუსობა,... თერთმეთობა, თორმეთობა, ოცობა, ორმოცობა, ასობა, ათასობა (გვ. 61-62).

ამგვარივე წარმოების ტოლფარდად მიაჩნია მაჯოს „ერთის“ დართვა: ათობა ანუ ერთი ათი... ოცობა ანუ ერთი ოცი... ორმოცობა — ერთი ორმოცი (გვ. 63). რიცხვით სახელთა წარმოებასთან მაჯოს რატომღაც დაუკავშირებია: „ერთიწილიწადიანი“, „ორიწილიწადიანი“, „სამიწილიწადიანი“... „ათიწილიწადიანი“, „ოციწილიწადიანი“, „ორმოციწილიწადიანი“, „ასიწილიწადიანი“, „ათასიწილიწადიანი“... (გვ. 63-64) და: „ორიწილიწადობა“, „სამიწილიწადობა“, „ოთხიწილიწადობა“... „ათიწილიწადობა“... სრულიად უჩვეულო: „ორიდგემობა“ **biduum** (ე. ი. „ორი დღე“), „სამიდგემობა“ **triduum** („სამი დღე“), „ოთხიდგემობა“ **quatruiduum** („ოთხი დღე“) (გვ. 64).

ეს კია, რომ მაჯოს საჭიროდ დაუნახავს ამ მაგალითებისთვის დაერთო: მართალია, ყველგან იბერიაში ამას ვერ გაიგონებ: ისეთნიც არიან, რომ ხშირად ხმარობენ, და ისეთებიც, რომ არ გაუგონიათ. ჩვენ ეს ცნობა შევიტანეთ, რომ არ გამოგვრჩეს არაფერი, რაც ამას ეხება (გვ. 64).

სახელის მეხუთე მდევარია **შედარება**. აქ ორგვარი წარმოება მოჰყავს მაჯოს; ერთია: ლამასი — სილამასი, პილსი (ე. ი. პილწი) — სიპილსი, ავი — სიავი, წმინდა — სიწმინდა, ძიმე (ე. ი. მძიმე) — სიძიმე... **სი**-თავსართიანი წარმოება შედარებით ხარისხად მიუჩნევა (*comparativa*) გვ. 65. განყენებულის წარმოება, ოღონდ სუფიქსშეუცვლელი, აქ არეულია შედარებით ხარისხში.

მეორეა: „მძესაგან ლამასი“ *sole pulchrior* „მზისაგან ლამაზი“, „მზეზე ლამაზი“, ე. ი. აღწერითი წარმოება... ეშმაკისაგან პილსი, ყუასაგან მაგარი (ე. ი. ქვაზე მაგარი), „თაბლისაგან ტბილი“ (ასეა! — **ა. ჩ.**) ე. ი. თავლზე ტკბილი... ვაჯისაგან ძალიანი (ე. ი. ვაჟზე ღონიერი), ბერისაგან წმინდა (გვ. 65). შემდეგ აღნიშნულია სუბლექტიური წარმოება: უარესი, უკეთესი (არეულად: „უარესი“ თარგმნილია *melior*, რაც „უკეთესს“ ნიშნავს; „უკეთესი“ პეიორ (ე. ი. უარესი); უბროსი, უმსთროსი (ე. ი. უმცროსი)... გვ. 65.

უსულთა შესახებ ითქმისო: „უბროსუანი“, „უმსთროსუანი“ (!) გვ. 65. აღმატებითი ხარისხისათვის იხმარებაო: სულა (სულა ლამასი) ანდა ბევრი (ბევრი ტბილი, ე. ი. ძალიან ტკბილი) ანდა უბრო (უბრო ნათელი... უბრო მაგალი — თარგმანში შედარებითის მნიშვნელობაც არის ნაჩვენები და აღმატებითისა: უბრო ნათელი *clarior et clarissimus*; უბრო მაგალი *altior et altissimus*... გვ. 66).

სხვა საშუალებებიც აქვს დასახელებული: 1. მრავლობითის ნათესაობითი (ანდა სიმრავლის აღმნიშვნელი მხოლოობითიც): ვაჯების ძალიანი *invenum fortissimus* (ე. ი. ვაჟებში უძლიერესი), კაცების გარიბი *hominum pauperimus* (ე. ი. კაცებში უღარიბესი), კალების ასნაური *mulierum nobilissima* (ე. ი. ქალებში უკეთილშობილესი), ყოელას წმინდა *omnium sanctissimus*, -a, -um (ე. ი. ყოველთაგან წმინდა) გვ. 66. ეს სრულიად ხელოვნურია: წარმოებაც, მნიშვნელობაც.

წმინდა ან მართალი-სიტყვის დართვა: „წმინდა შავი“, „მართალი ავი“, „მართალი უსარგებლო“ (გვ. 66-67); ზედსართავის ხარისხი აქ არაფრის შუაა.

დასასრულ ნახსენებია: „სულა“ ანდა „სულაწმინდა“-ს დართვა: „სულაწმინდა უსარგებლო ხარ“ *vere tu es omnium stolidissimus* „ჭეშმარიტად ყველაზე უაზრო (სულელი) ხარ“ (გვ. 67). „სულა“ წინაც (გვ. 66) აქვს ნაჩვენები მაჯოს („სულა ლამასი“).

სახელის წარმოება მაჯოს გრამატიკაში შედარებით სხვა საკითხებთან ვრცლად არის განხილული (გვ. 41-67); ფილოლოგიური გრამატიკის წესისდა კვალად აქ შემოდის ზედსართავი და რიცხვითი სახელი, რომლებიც ცალკე მეტყველების ნაწილად არ მიაჩნდათ. შედარებით მცირე ადგილი ეთმობა ნაცვალსახელსა (გვ. 67-76) და ზმნას (გვ. 77-95).

ნაცვალსახელი განარჩევს: სახეს, მნიშვნელობას, სქესს, რიცხვს, პირს, ბრუნვას (გვ. 67).

სახე ორგვარია: პირველადი (მე)... ნაწარმოები (ჩე მ ი)...

მნიშვნელობის მიხედვით გაირჩევა: ჩ ე ე ნ ე ბ ი თ ი ნაცვალსახელები (მე, შენ, ეს, ამან და აგი; ის, იმან და იგი; ტუითან (ე. ი. თვითან; მიმართებითი (რომ, რომელი); კუთვნილებითი (ჩემი, შენი, ჩუენი, თუენი და სხვ.); ნათესაურობისა (gentilis: ჩუენებური, თქუენებური და სხვ.); კითხვითი (ვინ? რომელი? რა? სადაური?).

სქესი მარტივია: ა მ ა ნ სამივე სქესს უღრის (hic, haec, hoc); ასევე — ი მ ა ნ (ille, illa, illud) და სხვ. რიცხვი ორია: მხოლოდითი (მე, შენ, იმან და სხვ.) და მრავლობითი (ჩუენ, თუენ, მათ და სხვ.).

პირი სამია: პირველი (მე), მეორე (შენ), მესამე (იმან) და სხვ. თუ „ჩვენებითს“ (პირის) ნაცვალსახელებში სახელობითი და მოთხრობითი — ორივე — დაასახელა მაჯომ (ეს, ამან, აგი, ის, იმან, იგი), აქ მხოლოდ მოთხრობითის ფორმაა (ჩვენებითი ნაცვალსახელისა) ნაჩვენები. ზმნის უღვილების პარადიგმებში, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მაჯო მხოლოდ მოთხრობითს ხმარობს (ზმნის გვარის მიუხედავად).

ბრუნება ნაცვალსახელთა თითქმის ერთია (ოღონდ სხვადასხვა ნაცვალსახელში სხვადასხვანი ჩაერთვიან) გვ. 68. შემდეგ მოცემულია ბრუნება ნაცვალსახელთა: მე, ჩუენ, შენ, თუენ (გვ. 68-69), ამან, ამათ, იმან, იმათ (გვ. 70-71). აქ მაჯო შენიშნავს: **ის, იგი** მრავლობითში იქნება ისინი, იგინი, ისევე, როგორც: ეს — ესენი, აგი — აგინი (გვ. 73), მაგრამ ბრუნების პარადიგმებში არც ერთი მათგანი არ შეაქვს (არსებით სახელებში, როგორც ვნახეთ, მოთხრობითი შეტანილია ბრუნების პარადიგმებში, როგორც სახელობითის ვარიანტი — და არა როგორც ცალკე ბრუნვა: სახ. შვილი ანდა შვილიმა... მამა ანდა მამამა...); ნაცვალსახელი ტუითან (გვ. 71) დახასიათებულია, როგორც რელატიური (გვ. 67: **მე, შენ...** ნაცვალსახელთან ერთ ჯგუფშია, „ჩვენებითის“ ჯგუფში: ტუითან); რომელი (გვ. 72), ვინ (გვ. 73), რა (გვ. 74), სხუა (გვ. 74), ჩუენებური, ჩუენებურები (გვ. 75), სადაური, სადაურები (გვ. 76).

ნაცვალსახელთა ბრუნებაში ყურადღებას იქცევს შემდეგი: 1. ბრუნვები იგივეა, რაც არსებით სახელებთან (სახ., ნათ., მიც., აკუზ., დაწყებითი), აკლია — ბუნებრივად — წოდებითი; 2. მე, ჩუენ, შენ, თქუენ ნა-

ცვალსახელთა ნათესაობითი და მიცემითი კუთვნილებითი ნაცვალსახელების სათანადო ბრუნვებს წარმოადგენს (ჩემის, ჩემსა; ჩუენისა, ჩუენსა; შენის, შენსა; თუენისა, თუენსა); დაწყებითშიც კუთვნილებითი ნაცვალსახელების ფორმები ნაჩვენებია, როგორც შესაძლო: ჩემგან ანდა ჩემისაგან; ჩუენგან ანდა ჩუენისაგან; შენგან ანდა შენისაგან; თუენგან ანდა თუენისაგან (გვ. 69-70). 3. ჩვენებითი ნაცვალსახელების სახელობით ბრუნვად მოთხრობითი ზის: ამან, ამათ; იმან, იმათ (გვ. 70-71); ის, ისინი, იგი, იგინი, ეს, ესენი, აგი, აგინი დასახელებულია, მაგრამ ნაბრუნები არაა: მათი ურთიერთობა ამან... იმან-თან არა ჩანს. 4. თუითან — ნათ. თავისი, მიც. თავისა, დაწყ. თავისაგან (!) (გვ. 71). მრავლობითში იგივეა, რაც მხოლოლობითში, ოღონდ ერთვის რაღაც „კუნენ“ (თუითანკუნენ, თავისიკუნენ, თავისაკუნენ, თუითანკუნენ, თავისაგანკუნენ); ამგვარივე უცნაური შენათხზი მეორდება „რომელი“, „ვინ“ — ნაცვალსახელთა მრავლობითში: რომელიკუნენ, რომელისაკუნენ, რომელსაკუნენ... რომელისაგანკუნენ... ვინკუნენ, ვისიკუნენ, ვისაკუნენ... ვისაგანკუნენ (გვ. 72-73). 5. **რა** ნაცვალსახელი მრავლობითში მაჯოს ნაბრუნები არა აქვს, ოღონდ შენიშნავს: მრავლობითი იქნება „რასები“, რომლისაგან მეტწილად თავს იკავებენ ისევე, როგორც შემოხსენებული კუნენ — ნაწილაკისაგანაო (*Plurale autem est რასები Rasebi, à quo tamen ut à superiori particula კუნენ Chunen frequentius abstinent...* გვ. 74); არაა გასაგები, როგორ და რისგან შეთხზა მაჯომ ეს კუნენ. 5. **სხუა** ნაცვალსახელებშია მოქცეული და ნაბრუნებია ასე: ნათ. სხუაის... დაწყ. სხუასაგან... მრავლ.: სხუაბი, სხუაბისა, სხუაბსა... სხუაბისაგან (გვ. 74).

6. ჩუენებური, ჩუენებურები, სადაური, სადაურები-ს ბრუნება (გვ. 75-76) თავისებურს არაფერს შეიცავს (გარდა იმისა, რომ ნაცვალსახელებში შესატანი არ იყო).

ეტიმოლოგიის მესამე თავი **ზმნას** განიხილავს: თუ წინა ორ თავში, სახელისა და ნაცვალსახელის განხილვას მაჯო იწყებდა მათი კატეგორიების ჩამოთვლით და, ასე თუ ისე, ყველა მორფოლოგიურ კატეგორიასა და ფუძის წარმოების ტიპებს განიხილავდა, აქ მაჯო სხვაგვარად იქცევა: ის ზოგადად ლაპარაკობს „ზმნაზე, მეტყველების მესამე ნაწილსა და მის კილოებსა და დროებზე“; „ამ თავს სამი პარაგრაფით გავათავებ, ვინაიდან ზმნათა უღვლილებანი აურაცხელია“ და თითქმის ყოველი ზმნა თავისებურად იუღვლის; მაინც მოკლედ ვიტყვი, რაც უფრო ექვემდებარება წესს და საერთო კანონსაო (გვ. 77).

ამ წინასწარი განმარტების შემდეგ მაჯო პირველ პარაგრაფს მიუძღვნის „უფრო ზოგად უღვლილებას, რომელიც მრავალ ზმნას ეხება, მეტადრე იმათ, რომელნიც მოძრაობას აღნიშნავენ“. ასეთ ზმნათა ნიმუშად

აღებულია „მოვალ“; მას მაჯო აუღვლებს თხრობით (*indicativus*), ბრძანებით (*imperativus*), ნატვრით (*desiderativus*) და განუსაზღვრელ (*infinitivus*) კილოთა დროებში.

თხრობითი კილოს დროებია: 1. აწმყო (*praesens*: მოვალ), 2. ნამყო უსრული (*praeteritum imperfectum*: მოვიდოდი), 3. ნამყო სრული — „ასე ვთქვათ — ნაკლებ ახლო“ (*praeteritum perfectum — ut ita dicam — minus propinquum* „მოველო“: ე. ი. მოველ, მოვედ); 4. ნამყო სრული უფრო ახლო (*praeteritum perfectum magis propinquum*: „მოსსული ვარ“, ე. ი. მოსულვარ), 5. ნამყო წინარეწარსული (*praeteritum plusquamperfectum*: „მოსსული (!) ვიკავი“, ე. ი. მოსული ვიყავ), 6. მყოფადი (*futurum*: მოვალ).

ბრძანებითი კილო: მოდი! მოვიდეს! მოვედოთ! (ე. ი. მოვიდეთ!) „თყუენ მოვიდეთ“ (?!); იმათ მოვიდენ(!).

ნატვრითი კილო: 1. აწმ. და ნამ. უსრ. (ნეთანს მოვიდოდი! „ნეტამც მოვიდოდი“), 2. ნამ. სრული (ნეტანს მოსსული ვიკავი), 3. მყოფადი (ნეთანს მოვალ!).

განუსაზღვრელ კილოსთანაც აწმყო და ნამყო (*praes. et perfectum*) დროა ნაჩვენები, ალბათ, ლათინური ენის გრამატიკის შესაბამისად, თორემ ქართულში ერთადერთი ვარიანტია (მოსსულა „მოსვლა“)... „მოვალ“ ზმნას მესამე პირში სუბიექტი მოთხრობითში უზის: **იმან** მოვა, **იმათ** მოვლიანი... **იმან** მოვიდოდა, **იმათ** მოვიდიოდენ... **იმან** მოვიდა, **იმათ** მოვიდიოდენ (მდრ. ჩუენ მოვედიტ)... **იმან** მოსსულა, **იმათ** მოსსული არიანი... **იმან** მოსსული იკო, **იმათ** მოსსული იკუენ... **იმან** მოვა, **იმათ** მოვლიანი... **იმან** მოვიდეს, **იმათ** მოვიდენ (გვ. 77-82). ნატვრითი კილოს ფორმებთან სუბიექტი არა ზის, თორემ იქაც მოთხრობითი იქნებოდა: მაჯოსთვის მოთხრობითი სახელობითის ვარიანტია (ოლონდ თვით სახელობითი რატომ არსად შენიშნა, გაუგებარია (აკი მოჰყავს ნაცვალსახელებთან სახელობითი: ისინი, ესენი — იხ. ზემოთ).

მაჯო შენიშნავს: 1. კონიუნქტივი არა გვაქვს, მისი მნიშვნელობით ნატვრითი იხმარებაო (გვ. 82); 2. ნატვრითის დროები იგივეა, რაც თხრობითისა, ოლონდ „ნეთანს“ დაერთვისო (გვ. 83); 3. მოვალ-ის მსგავსად იუღვლება „ძავალ“ (ე. ი. წავალ), ჩავალ..., გვ. 82-83. ანომალიურ ზმნებს გვერდს ვუვლი, ვინაიდან „თითქმის აურაცხელიაო“ (გვ. 83).

მეორე პარაგრაფში არაანომალიურ ზმნათა ჯგუფების გამოყოფა უცდია მაჯოს; კრიტერიუმად — ისევე, როგორც ლათინურში — დაბოლოება მიუჩნევია; ესაა „აწმყო დროის“ დაბოლოება: მაჯოს **-ანო**, **-ბი**, **-კე**, **-მე** „დაბოლოებანი“ გამოუყვია და ასეთი ნიმუშები წარმოუღდენია:

ანო: მე მოითანო (ego fero „მე მომაქვს“), მე დაიბანო (ego abluo „ვბან“ გვ. 84-85).

ბი: მე მოვგდები (ego morior „მე ვკვდები“), მე ირჯევი (ვითომ „ვირჯები“), გაგულევდები, გაგულედები, გაგულისდება (გვ. 85-87).

კე: მე ვილაპარაკე (თარგმნილია აწმყოთი: ego loquor „მე ვლაპარაკობ“), მე ვდაუძაკე (ego voco „მე ვუძახი“) (გვ. 87).

მე: მე ვჩამე (ego comedo „მე ვჭამ“), მე ვსუამე (ე. ი. „მე ვსვამ“ გვ. 87-88).

ნამყო ძირითადის (ვჭამე, ვილაპარაკე), კავშირებითი მეორის (მოვიტანო, დავიბანო), აწმყოსა და მყოფადის (ვირჯები, მოვკვდები) ბოლო მარცვალი (ერთგან — ორი მარცვალიც: **ანო!**) მექანიკურად არის გამოყოფილი და ნებისმიერად გაგებული, როგორც აწმყო. დამახასიათებელია — მასალის ცოდნის მხრივ — „ვსუამე“ „ვჩამე“-ს ბაღდად, აგრეთვე „ვდაუძაკე“... ასევე — უღვლილების ფორმები: „მე ვჩამოდი“ (comedebam), მე ჩამია (ე. ი. მიჭამია), შენ გიჩამია, **იმან** უჩამია... მე ვსუამე, შენ სუამე, **იმან** სუამს; ჩუენ სუამოთ, თყუენ სუამეთ, **იმათ** სუამენ; მე ვსუამოდი; მე ვსუამია, შენ გისუამია, **იმან** უსუამია... (გვ. 87-87).

მასალის ამგვარი ცოდნის პირობებში ერთგვარად მოულოდნელია დაკვირვება პირის ნიშანთა შესახებ: „პირველი პირი აღინიშნება ასოთი **მ**, მეორე — **გ** და მესამე **უ**, ანდა პირველი პირი — **ვ**-თი, მესამე ბოლოვდება **ა**-თი და **ხ**-თი ანდა **ა**-თი იწყება (!) გვ. 88.

ნიმუშად დასახელებულია: მინდა, მიყვარს, მეშინია, ვთქვი, მაქვს: მე მინდა, შენ გინდა **იმან**(!) უნდა... მე მიკუარს, შენ გიკუარს, **იმან**(!) უკუარს... მე მშინია (ე. ი. მეშინია), შენ გშინია, **იმან** უშინია (!)... მე ვთკუი, შენ თკუი, **იმან** თკუა (გაგებულისა, როგორც აწმყო და თარგმნილია: dico, dicis, dicit „ვლაპარაკობ“)... მე მაქო (ego habeo „მე მაქუს“), შენ გაქო, **იმან** აქო „ille habet“ ე. ი. მას აქუს) გვ. 88. **ა**-თი იწყებაო. ამ ზმნას ეხება (აქუს).

ცალკე აქვს მაჯოს გამოყოფილი ისეთი შემთხვევები, როდესაც **ვ** პირველი პირის ნიშანი, თავში კი არ ზის, არამედ სიტყვის შიგნითაა (in medio dictionis); მეორე პირი არაფერს დაირთავს, მესამე ბოლოვდება **ხ**-თი ან **ა**-თი: მე დაძერ (ე. ი. დავწერ), შენ დაძერ, **იმან** დაძერს (ეს პრევერბიანი წარმოება თარგმნილია აწმყოთი scribo, scribis, scribit) გვ. 89; მე გაძტკდი (ე. ი. გავსუქდი), შენ გაძტკდი, **იმან** გაძტკდა (ესეც მაჯოს აწმყოდ აქვს ნათარგმნი: pinguesco (გვ. 89).

ამას მოსდევს ხშირად ხმარებული ზმნის („იქმს“) ზოგი დროის აღნუსხვა: მე ვიკ, შენ იკ, **იმან** იკს; ჩუენ ვიკით, თყუენ იკით, **იმათ** იკმონენ; მე ვიკმოლი, შენ იკმოლი, **იმან** იკმოლა; ჩუენ ვიკმოლით, თყუენ იკმოლით, **იმათ** იკმოლენ; მე მიკნია, შენ გიკნია, **იმან** უკნია, ანდა: უკნა(!) (ille fecit)... შენ კენ (fac! ბრძან.), იმან იკნას (ე. ი. მან ქნას) გვ. 90.

ამავე თავის მესამე პარაგრაფი დათმობილი აქვს მეშველ ზმნას, უარყოფით ფორმას, შეუძლებლობის წარმოებას, გარდამავალ ზმნასა და აფიქსებს.

მეშველი ზმნისა მოცემულია აწმყო (მე ვარ, შენ ხარ, **იმან** არის, ჩვენ ვართ, თყუენ ხართ, **იმათ** არიანი!), ნამყო უსრ. (მე ვიკავი, შენ იკავი, **იმან** იკო, ჩუენ ვიკავით, თყუენ იკავით, **იმათ** იკონენ ანდა იკუენ), ნამყო სრული ნაკლებ ახლობელი (მე შევიკ — fui — შენ შეხიკ, **იმან** შეიკ, ჩუენ შევიკნით, თყუენ შეხიკნით, **იმათ** შეიკნენ), ნამყო სრული უფრო ახლობელი (მე კოპული ვარ, შენ კოპული ხარ, **იმან** კოპული არის, ჩუენ კოპული ვართ, თყუენ კოპული ხართ, **იმათ** კოპული არიანი), ნამყო წინარე წარსული (მე კოპული ვიკავი, შენ კოპული იკავი, **იმან** კოპული იკო, ჩუენ კოპული ვიკავით, თყუენ კოპული იკავით, **იმათ** კოპული იკონენ), მყოფადი (მე ვიკნები, შენ იკნები, **იმან** იკნება, ჩუენ ვიკნებით, თყუენ იკნებით, **იმათ** იკნებიან)... გვ. 90-92. ამას მოსდევს (უსათაურო): მე ვიკნებოთი... **იმან** იკნებოთა, შენ შევიკნები... შენ შეიკნები, **იმან** შეიკნა... **იმათ** შეიკნენ (გვ. 93).

ყველა ეს ზმნა დადასტურებითია (affirmativa); არ (არა) ნაწილაკის დართვა უარყოფითს მოგვცემს: არმოვალ, არმოხვალ, არმოვა; არ მეშინია, არ გეშინია, არ უშინია (!), არ ვარ (არავარ), არხარ (არახარ), არარის (არა! ე. ი. არაა)... (გვ. 93). უარყოფის ნაწილაკებს ზმნასთან **ერთად** წერს: უარყოფითი წარმოება მისთვის ორგანულია.

საყურადღებოა, — წერს მაჯო, რომ ბრძანებითის აწმყო (უარყოფითი) თხრობითი კილოს აწმყოსაგან იწარმოება **ნუ-** ნაწილაკის დართვით: შენ მოლი — შენ ნუ მოხუალ... **იმან** მოვიდეს — **იმან** ნუ მოვა... ჩვენ მოვიდოთ — ჩუენ ნუ მოვალთ... თყუენ მოვედით — თყუენ ნუ მოხუალთ... **იმათ** მოვიდენ — **იმათ** ნუ მოვლიან... (გვ. 94).

ზმნის შეუძლებლობის ფორმა (verbum impossibile) **ვერ-** ნაწილაკით იწარმოება: ვერ მოვალ, ვერ მოხუალ, ვერ მოვა... ვერ მოვგდები (non possum mori), ვერ მოგდები, ვერ მოგდება (გვ. 94).

ამას მოსდევს გარდამავალ ზმნათა წარმოების წესი: იკუანო- ნაწილაკი უნდა დაემატოსო. ნიმუში: მოვალ — მოიკვანო (venire facio), ძავალ — ძაიკუანო (ire facio), მივალ — მიიკვანო (pervenire facio), ჩავალ — ჩაიკუა-

ნო (*ingredi facio*) გვ. 94-95: იყვანო- ფუტე მაჯოს ნაწილაკად მიუჩნევიან და მოვალ — ზმნასთან, როგორც კაუზატივის მაწარმოებელი, დაუკავშირებია. ცხადია, არც მაჯო ერკვეოდა ფაქტობრივ მასალაში და არც მისი მასწავლებელი თუ კონსულტანტი.

საყურადღებოა ამის შემდეგ თქმული: ნაცვალსახელებს მე, შენ, ის, მას ქართველები ხშირად გამოხატავენ ზმნებისთვის დართული ზოგი ასობით — **მ, გ, ა** — (...*pronomina mihi, tibi, sibi, et ego, tu, ille etc... frequentur exprimunt Iberi, literis quibusdam verbo affixis, nimirum მ m, გ gh, ა a* გვ. 95): მაჰონე *ostende mihi* („მაჩვენე“), გოჰონე *ostende tibi* („გაჩვენე“), აჰონე *ostende illi* („აჩვენე“)... მასკენს *mihi nocet* („მაწყენს“), გასკენს *tibi nocet* („გაწყენს“), ასკენს *illi nocet* („აწყენს“)... მარჩენია *mihi placet* „მომწონს“ (ვიტომ: „მირჩენია“)... გარჩენია, არჩენია... მძულს ეგო *odi*, გძულს *tu odisti*, აძულს (!) *ille odit* (გვ. 95).

ზევით (გვ. 88) მაჯოს ნათქვამი ჰქონდა: **მ, გ, უ** პირველი, მეორე და მესამე პირის ნიშანია, აგრეთვე **გ, ა, ს**... აქ კი ეს **მ, გ** გარკვეულ ბრუნვაში დასმულ ნაცვალსახელს დაუკავშირა მაჯომ; ეს ბრუნვაა, პირველ ყოვლისა, მიცემითი და მერე — სახელობითი: რაკი ზოგი ზმნა, ლათინურად თარგმნილი, სახელობითს მოითხოვს: სძულს „*ille odit*“; მიცემითიც იმიტომ არის პირველ ადგილას, რომ *ostende, nocet, placet* (მაჩვენე, მაწყენს, მომწონს) ლათინურადაც მიცემითს მოითხოვენ ობიექტის ბრუნვად.

ამით თავდება ზმნათა მიმოხილვა; სხვა ზმნებს, — წერს მაჯო, — ან დამატებით თვითონ შეისწავლით ლაპარაკში ხმარებისას ანდა ლექსიკონში იპოვით სათანადო ადგილას, ჩვენგან ან ჩვენებისაგან ჯეროვნად გაკეთებულში, განსაკუთრებით ბ. არქანჯელო ლამბერტისაგან, რომელიც გაწრთვნილი იყო ქართულში, თურქულსა და ბერძნულში¹.

მეოთხე მეტყველების ნაწილად ფილოლოგიური გრამატიკის წესისამებრ მაჯოს მიმღეობა აქვს გამოყოფილი.

მიმღეობათაგან ზოგი ზმნურია (ზმნათაგან იწარმოება), ზოგი სახელური, რომლებიც სახელებისაგან იწარმოება (*alia nominalia, quae a nominibus efflunt*) (!) გვ. 96, დრო და გვარის მიხედვით მიმღეობა დახასიათებული არა აქვს. მაჯო მაგალითებს სჯერდება: მომსლელია, ძამსლელია, მისმლელია, ჩამსლელი, ჩამომსლელი, თარგმნილია, როგორც აწმყოს მიმღეობა (*veniens, iens, perveniens... est, ingrediens, descendens* გვ. 96).

¹ ...quod brevi praelo subijcetur, a nobis vel alijs nostratibus concinnatum: praesertim à D. Archangelo Lamberto C. R. Iberice, Turcice et Graece peritiori (გვ. 95).

მაგრამ ამას მოსდევს: მომსულელი, ძამსულელი, მიმსულელი... და თარგმნილია მყოფადის მიმღეობად (*venturus, iturus, perventurus...* იქვე).

მოსსული, ძასსული... თარგმნილია სწორად: „ვინც უკვე მოვიდა, წავიდა... (*qui iam venit, ivit...* (გვ. 97). ლათინური *-tus* (ე. ი. ვნებითის ნამყო) შესაბამისი ქართულში **ლი**-თ ბოლოვდებაო; გათეხილი *fractus*, გაგეთებული, მოხარჩული, აგებული, ჩამომიუებული (ე. ი. ჩამომეებული)... (გვ. 97).

სხვა რიგის მიმღეობას **და** -მარცვალი და ნაწილაკი **-ული** მოუდისო: დაკლითული, დაკარგული, დახარჭული, დაპილსული, დაბნელდებული (!), დანათელდებული *illuminatus* („განათებული“).

აი ამ მიმღეობათ თვლის მაჯო სახელისაგან ნაწარმოებად; მოჰყავს სახელები: კლითე, კარგე(!), ხარჯე(!), პილსი(!), ბნელი, ნათელი (გვ. 97-98). ამრიგად, ნ ა ს ა ხ ე ლ ა რ ი ზ მ ნ ი ს ა გ ა ნ ნაწარმოები მიმღეობა ს ა ხ ე ლ ი ს ა გ ა ნ წარმოქმნილად აქვს გაგებული.

ზმნისართში, მეხუთე მეტყველების ნაწილში, მაჯო ჯერ გამოყოფს სხვადასხვა სახეს მნიშვნელობის მიხედვით, შემდეგ განხილული აქვს ზმნისართების წარმოება (გვ. 98-106).

მნიშვნელობისდა კვალად 24 ჯგუფი (*genera*) არის გამოყოფილი:

1. *Affirmandi*: აბარა, აბა; 2. *Augurandi*: შეიდობით, აგმართი, ჩაგმართი(!);
3. *Comparandi*: უპრო, უმსტრო; *Congregandi*: ერთათ, ზორათ (*simul*);
4. *Demonstrandi*: ჰა, ეგერა; 5. *Dubitandi*: ეგების; 6. *Euentus*: თავით (*consulto*), უთავით (*inconsulto*); 7. *Hortandi*: აბა (შდრ. *Affirmandi*); 8. *Intendendi*: სულა, დია; 9. *Interrogandi*: რათომა, რათომ არა; 10. ფიცისა (*Jurandi*): არაპათონისა, თისმადელისა (ე. ი. ღვთის მადლისა?), ახა, იესუ კრისთე, ახა, მოცკალე, ოჰ, შენ მამძემა(!) ე. ი. ოჰ, შენმა მზემა! ოჰ, შენ ნუ მოგდები; თავი ნუ მამიუგდება; ოჰ, გმერთი მიშიველის; ოჰ, შენ კარგათ ხარ და „მსგავსი სახეობანი თქმისა, რითაც ფიცის დროს ან ამტკიცებენ ანდა უარყოფენ“ (გვ. 100); 11. ადგილისა (*Loci*): აკ, აკანე, იკ, აკიღამა, იკიღამა, აკით, იკით, აკამდი, იკამდი; 12. უარყოფისა (*Negandi*): არ II არა, ნუ, ჯერ არა მინდგეჩი (ე. ი. მისდღემში); 13. რიცხვისა (*Numeri*), ჯერობისა: ყუოლჯელ (ე. ი. ყოველჯერ!), ერჯელ, ორჯელ, სამჯელ, ოთხჯელ, ხუთჯელ; 14. ნატვრისა (*Optandi*): ნეთანს; 15. თანამიმდევრობისა (*Ordinis*): ძინათ ანდა ოძინ, მეორიძე (ე. ი. მეორეჯერ); მესამიძე, მეოთხიძე, მეხუთიძე, უკან, იმასუკან, მერმე; 16. დაშლისა (*Prohibendi*): ნუ, 17. რაგვარობისა (*Qualitatis*): კარგა, მართალა, კართული(?), თათრული(?), მენგრული(?), 18. რაოდენობისა (*Quantitatis*): ცოთა, ცოთაოდენ, პ ა შ თ ა ი mul-

tum (ე. ი. ბევრი), ბევრი, ბევრიოდენ; 19. დაწყნარებისა (**Remittendi**): ნელანელა; 20. პასუხისა (**Respondendi**): ო (**hem** ე. ი. ჰემ!), რა **Quid est?** (!); 21. მსგავსებისა: ვათ (თარგმნილი არაა; ალბათ, **ვით**); თანე (ე. ი. თანა); 22. დროისა (**Temporis**): დგეს, დილას, დილასდილას (**bene mane** ე. ი. ადრე დილას), დილაულა (**diluculo**, ე. ი. გათენებისას); გუშინ, გუშინ საგომოს, გუშინოზინ ანდა გუშინაც (**nudius tertius**, ე. ი. გუშინწინ), სამიღგესძინათ, ოთხიღგესძინათ, პათარაძინათ, პ ა შ თ ა ი კ ა ნ (**jam dudum, jam pridem**, ე. ი. უკვე დიდხანია), ოძინ ანუ ოსზი (**ante... წინ**), კანდაკან (ე. ი. ხანდახან); საგომოს, ხუალდილას, ხუალგამე, ზეგე, ზეგედილას, ამისგამე (ე. ი. ამეგამ), ოთხიღგეისუკან, ხუთიღგეისუკან, შივაღგეში, მაღლე, როდის, აკლამდი (გვ. 98-104).

ამ კლასიფიკაციის ავკარგიანობას რომ თავი დავანებოთ, საყურადღებოა ზოგი სიტყვა, აქ ხმარებული და, უნდა ვიფიქროთ, ცოცხალი მეტყველებიდან აღებული: „**პაშთაი**“ ბევრის გაგებით, პაშთაიკან — **დიღხანს** (შდრ. „გვევლო პაშთაი ხანია“ — ვეფხ. ტყ. 1953, ტ. 421); საბასთან „პაშთა“ ყოველ შემთხვევაში „დიღს“ ვერ დაუკავშირდება: „პ ა შ თ ა ე რ თ ი ქ რ თ ი ლ ის მ ა რ ც ვ ლ ის წ ო ნ ა“ ... დილასდილას „ადრე დილას“ (ჭან. ორდო ჭუმანი...).

ზმნისართები იწარმოება: ზედსართავთაგან **ა**-თი 1. კარგი — კარგა, მართალი — მართალა; 2. ტომის სახელთაგან: თათარი — თათრული... არაბი — არაბული... თარგმანიდან ჩანს (**turcice, arabice**, ე. ი. თათრულად, არაბულად), ზედსართავი გაუგია ზმნისართად; 3. **ძე**-ს დამატებით რიგითი რიცხვითი სახელიდან: მეორი — მეორიძე (ე. ი. „მეორე — მეორეჯერ“), მესამე — მესამიძე, მეოთხი — მეოთხიძე, მეხუთი — მეხუთიძე; 4. არსებითი სახელიდან **თ**-ს მიმატებით: ერჯული — ერჯულით (**fides — fideliter** „ერთგულება, ერთგულებით“), გული — გულით; მუშაბო — მუშაბოთ (ვითომ: „მუშაობით“, „შრომით“); ჩყუი — ჩყუით (ე. ი. ჭყუით); სკონდება — სკონდებით (**felicitas — feliciter** „ბედნიერება — ბედნიერად“) „ცხონდება?“. 5. უარყოფითი ზმნისართი იწარმოება **უ**-თავსართით: „უსკონდებით“ (!) (**infelicitas** „უბედურად“), უჩყუით (ე. ი. უჭყუოდ), უმუშაბოთ (ე. ი. უშრომელად), უგულით, უერჯულით (**infideliter** „არაერთგულად“); 6. „ყოველი ზედსართავი ზმნისართის ნაცვლად იხმარება“: მე გუიანი მოველო (ე. ი. „გვიან მოვედი“); ლამასი ილაპარაკა (**pulchre loquitur**, ე. ი. ლამაზად ილაპარაკა (გვ. 106).

ზედსართავის ფუძე ზმნისართის მნიშვნელობით იხმარება ძვ. ქართულში („სცა ძლიერ“), აგრეთვე რიგ დაღესტნურ ენაში.

თავი მეექვსე ერთ გვერდზე ცოტათი მეტს შეიცავს და **წინდებულისა** და **თანდებულის**, — მეექვსე და მეშვიდე მეტყველების ნაწილთა, — შესახებ მოგვითხრობს (*De Postpositione et Praepositione, sexta et septima Orationis parte* გვ. 106-107).

ლათინური ენის წინდებული თუ სხვა მეტყველების ნაწილებს წინ უძღვის, ქართულში მეტ წილად თანდებული (*Postpositio*) უნდა ითქვას, ვინაიდან ყოველთვის დაერთვის სახელს თუ სხვა მეტყველების ნაწილსაო (გვ. 106). ესენია: ოძინ („უწინ“), უკან, ბარი (*circiter* „გარე“?), შიგნი, გარეტტე, ძედა (ე. ი. ზედა), კუეში (ე. ი. ქუეშე), მაგალა (ე. ი. მალლა), დაბლა, უკუკმა (ე. ი. უკულმა), თუი ანდა თიუნ (ე. ი. თუინ), ამდი, საგან, იდა, იდამა, ოთ ანდა ით, ში (გვ. 107).

ჩამოთვლილ „თანდებულთა“ შორის ზოგი ზმნისართია (უკან, უწინ, მალლა, დაბლა...), ზოგიც ბრუნვის ნიშანი („ოთ ანდა ით“: -ით მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოება: ეს ბრუნვა მაჯოს არ გამოუყვია; ლათინურშიც არ იბოვება, მის ფუნქციას აბლატივუსი ასრულებს); -ში, -ზე¹და², -სა-გან, -ი-დამა, -თუინ, -ამდი — თანდებულებია.

ზოგი ისეთი თანდებულს მოიბოვებაო, წერს მაჯო, რომლებიც ზმნასთანაც დაისმის და სახელთანაც; ასეთებია: **შიგ, უ, სა** (გვ. 107).

რა ბრუნვას რა თანდებული მოითხოვს, რა წესს ექვემდებარება მეტყველებაში, ამას თავის ადგილას სინტაქსში ვიტყვი (გვ. 107).

მეშვიდე თავი ეხება **შორისდებულს**, მერვე მეტყველების ნაწილს. მაჯო ჩამოთვლის სხვადასხვა მნიშვნელობის შორისდებულებს: ჰუი! ჰე! ვეჰ!... ვაი, ვაი!... ვაჰ! ვაი მას! ვუაი, ვუაი, ვუაი! ახა! სუ! სულე! შორისდებულებშია შეტანილი: მას, აბა! (გვ. 108)... რასამბო! (ე. ი. რას ამბობ?!)... შენი ჩირიმე! არჩემდა! **ne hilum quidem** (ე. ი. „არც არაფერი“)... ჩომეხცენი! (ე. ი. ჩამომეხსენი!)... ჯა, ჯა, ჯა (სიცილის ხმა).

შორისდებულებში მოქცეულ მასალაში ყველაზე საინტერესოა შინაური ცხოველებისა და ფრინველების მოსახმობი „სიტყვები“ (*congregantes*, ე. ი. „შესაკრები“); ესაა:

ბატების	მოსახმობი:	ბული, ბული, ბული!
კატის	„	წი, წი, წი ნიაუ!
ქათმის	„	ბუოთი, ბუოთი, ბუოთი! (?)
თხის	„	წეის, წეის, წეის!
ცხვრის	„	თრუ, თრუ, თრუ, ბეჰ!
ლორის	„	წნგეი, წნგეი, წნგეი!
ძროხის	„	გენშ, გენშ, მოო! (გვ. 108-109).

მერვე თავი, ყველაზე მოკლე, კავშირებს ეხება. კავშირი აერთებს და აწესრიგებს აზრს. მნიშვნელობა ნაირგვარი აქვს; ამა (sed „მაგრამ“ — არაბ.-თურქ.), ამაგრამ... ამისთუი, იმისთუი... და, კიდა (ე. ი. კიდევ)... ან, თუ, არს(?)... მარა, აბა (გვ. 110).

აბა ზმნისართებშიც გვქონდა (იხ. ზემოთ).

ამით თავდება მაჯოს გრამატიკის მეორე ნაწილი, ეტიმოლოგია.

სინტაქსი, გრამატიკის მესამე ნაწილი, მაჯოს თქმით, „არის როგორც გვასწავლიან გრამატიკოსები, ჯეროვანი შეხამება მეტყველების ნაწილთა ერთმანეთთან“.

სინტაქსს ორი ნაწილი აქვს: შეთანხმება (**concordia**) და კონსტრუქცია ანუ მართვა (**constructio sen rectio**) გვ. 113.

შეთანხმების პროცესთა განხილვისას მაჯო შემდეგს წესებს აღნიშნავს:

1. როცა არსებით სახელს უკავშირდება სიმრავლის აღმნიშვნელი რომელიმე სიტყვა, ზმნა მრავლობითში დაისმის: ბევრი კაცი მოუღიანი „**multus homo veniunt**“ (გვ. 113).

2. პირველი და მეორე პირი თითქმის არ განივრცობიან, რადგანაც ზმნასთან დაკავშირებულია ნაცვალსახელები, **მ** და **გ** ასოთი აღნიშნულები (**cum verbum affixa habet Pronomina**) გვ. 114.

3. ზედსართავი როცა არსებით სახელს უკავშირდება, იგი სახელობითში რჩება, არსებითი კი იმ ბრუნვაშია, რომელსაც ზმნა მოითხოვს (მაგალითი არ ახლავს — **ა. ჩ.**). მერე: ლამაზად ითვლება ზედსართავი მხოლოლობითში დარჩეს, როცა არსებითი სახელი მრავლობითშია: „იციანი ვაჯები მიკუარს“ (ე. ი. „მცოდნე, ნასწავლი ვაჟები მიყუარს“).

4. კითხვა და პასუხი ბრუნვაში ერთურთს უთანხმდება, მეტადრე, თუ კითხვა ნაცვალსახელს შეიცავს: „ვისი არის აგი ცხენი?“ „გრიგოლაის“.

კითხვა ხშირად თავდება „თუ“-ნაწილაკით, რომელიც სახელს ანდა ზმნას ბოლოს დაერთვის: „მოხუალთუ?“

5. როცა ორი სახელი ნათესაობითში უნდა იდგეს, ერთი მათგანი თუ სახელობითში რჩება, მეორე ნათესაობითში იქნება: აგი ნთემო(?) კენწიფეს შვილი „**id est filius Principis huius regionis**“ ე. ი. „ის არის ამ თემის ხელმწიფის შვილი“ (გვ. 114)... „ნთემო“ უცნაურია (სხვა მაგალითი ამ წესს არ ახლავს).

ზმნათა მართვა (კონსტრუქცია) იწყება წესით: მოქმედებითი გვარის ზმნა ნათესაობითს ანდა აკუზატივს მოითხოვს (**Verbum activum Genitivum, vel Accusativum postulat**): პური ჩამს ანდა პურის ჩამს(!)... გმერთის უკუ-არს ანდა გმერთი უკუარს (გვ. 115). საკითხი ობიექტის მართვას ეხება; ამოსავალია ლათინურის ვითარება, სადაც აკუზატივს მოითხოვს გარდამა-

ვალი ზმნა; მიცემითი არეულია ნათესაობითში; სახელობითი („პური ჩამს“) ქართულის უხეირო ცოდნას მიეწერება (შეიძლება ეს მაჯოს მასწავლებლისაგან მოდიოდეს).

რაკი ობიექტი აკუზატივში იპოვა, ლათინურთან სიახლოვე აღმოაჩინდა ქართულს.

„სხვა ბევრი წესი აქვთ ქართველებს, რაც არ განსხვავდება ლათინთა წესებისაგანო“, — შენიშნავს მაჯო და ნიმუშად მოჰყავს: პათონს (ე. ი. ბატონს) მისცა (**Domino dedit** — გვ. 115).

მეშველი ზმნა მართავს (**regit**) წინა სახელობითსა და მომდევნო სახელობითს: შენ კერკიანი (ე. ი. ხერხიანი) კაცი ხარ (გვ. 115).

თუ ზმნა რისამე ნაკლებობას აღნიშნავს, ნათესაობითს ან მიცემითს მოითხოვს: ბეჩედსა (ანდა: ბეჩედის) განთელეს აკლია (**annuli vel annulo carbunculum deest**, ე. ი. ბეჭედს ძვირფასი თვალი აკლია... გვ. 115).

თუ ზმნა შიშს ან გაკვირვებას აღნიშნავს, დაწყებითს (აბლატივს) მოითხოვს: შენგან მეშინია... ჩემგან გიკუირს (გვ. 115). „ვისგან ეშინია“ — მთის კილოებში დღესაც დასტურდება (ა. ჩ.).

ბევრია უპირო ზმნა, რომლებიც დამოუკიდებელი იხმარება: ძუიმს (ე. ი. წვიმს), თაოლს (ე. ი. თოვს), კოხს (!) **grandinat** (ე. ი. სეტყვა მოდის „ხოშკაკლავს“), კარი კრის (ე. ი. ქარი ქრის) და სხვ. (გვ. 116.).

ცალკე თავად არის გამოყოფილი „ზმნისართთა კონსტრუქციისათვის“ (მართვისათვის... გვ. 116-119).

აქ ნაირ-ნაირი მაგალითები გვხვდება. მართავს გულისხმობს: ათი დღეის უპრო „ათი დღის უფრო“ (ე. ი. ათ დღეზე მეტი)... ჩემი თავის უპრო შენ მიკუარ ვარ (ე. ი. ჩემ თავზე უფრო შენ მიყვარხარ... გვ. 116-117). „უფრო“ მაჯოს მაგალითებში ნათესაობითს მოითხოვს.

ზმნას უკავშირდება: აკ, იკ (ე. ი. აქ, იქ); წამოსვლა-დაშორებას აღნიშნავს: აკიღამა, იკიღამა; რაიმე ადგილისკენ მოძრაობას **motus ad locum**: აკით, იკით; რაიმე ადგილამდის: აკამდი, იკამდი (გვ. 118).

ქალაქების, მხარეთა, კუნძულთა, მდინარეთა, მთათა სახელები, ზმნისართის ნაცვლად ხმარებული, სად-მყოფობის აღნიშვნისას, დაწყებითს (აბლატივს) მოითხოვს ში, ჯი, ჩი-თ დაბოლოებულს: საგდაში (ე. ი. საყდარში) ილოცოთ... ბუსთანჩი ჩამოთ (ე. ი. გჭამოთ... გვ. 119).

მაგრამ ხელი დაწყებითში (აბლატივში) -თ ა მარცვალს მოითხოვს: თავი ხელთა არა მაკო (გვ. 119).

იდა, იღამა-თი გათავებული დაწყებითი დაერთვის ზმნას, თუ ის აღნიშნავს მოძრაობას რაიმე ადგილიდან (**de loco**): გორიღამა მოვალ (**Goride venio**), თეფლისიდა მოსულა (**Artaxata venit**), ხოლო, როცა მოძრაობა რაიმე ადგი-

ლისაკენ აღინიშნება (*motus ad locum*), სახელი მიცემითში დაისმის. ისთამ-
ბულს ძავალ (*Constantinopoli eo*); ალებს მასულა (*Heirapoli iuit...* გვ. 119).

გაუგებარია, რა აქვს საერთო მართვასთან „არა“, „ნუ“, „კი“, „რო“,
„როგორ“, „სადა“ სიტყვებსა და ნაწილაკებს, რომლებიც ზმნას უკავშირდება
და „რომელთაც მარჯვედ (*lepidissime*) ხმარობენ ქართველები“ (გვ. 117):
არ გაშინჯე... რატომ არ მიკმარე? (ე. ი. არ მომეხმარე)... შენ ხელი არ
გაბია?... თუენი ბედნიერებით, თუენი სკალობით, ჩუენ შინა არაპერი
არა კილდება... ნუ მაჩიმიჩილებ... ნუ მამჯიარობ... იმასუკან მე ნუ დამაბა-
რებ... გმერთიმა ნუ იკნას... მე რა უკო?... ჩუენთანა რახელი გინდა...
ბაძარში როგორა ეიგებენ? ლამასი რომ იკოს... იმისი კაი კაცობა მე კი
ვიცი... მე კი შენი გასდილი ვარ... პათონი სად აპიროპს... რას აპიროპს
(გვ. 117-118).

ყველა ამ მაგალითში ზმნისართები თუ ნაწილაკებია ნახმარი, მაგ-
რამ მართვას (კონსტრუქციას) ეს არ ეტყობა.

სამაგიეროდ „სხვა ნაწილაკთა მართვა“ სინტაქსის თვალსაზრისით
საინტერესო მასალას ეხება, და მაჯოს დაკვირვებაც საყურადღებოა:

თანდებულები, — წერს მაჯო, — ზოგი ნათესაობითს, ზოგიც აკუზა-
ტივს მოითხოვენ; ნათესაობითს მოითხოვს: ოძინ, უკან, შიგნი,
ძედა, ავით, თანა, ბარი, გარეტტე, კუეში, თანე, მე-
თი(!) გვ. 120:

გიორგობასოძინ (რატომ არის „გიორგობას“ ნათესაობითი, არა
ჩანს — **ა. ჩ.**)... ორმოცი დგეისუკან... ათი დგეისბარი... გარბისავით...
ელვასავით... ამისთანე... იმისთანე... იმასშიგნი (ნათეს.? — **ა. ჩ.**)...
სესკლისძე (ე. ი. ცეცხლის ზე *super ignem*)... ყუაისკუეში (ე. ი. „ქუაის
ქუეში“)... პათონისათუენ... იმასთანა (ნათეს.? — **ა. ჩ.**) გვ. 120.

მაგრამ თანა, — წერს მაჯო, — ნათესაობითის გარემეც ერთვის
(*construitur*): პათონთანა... ჰაკიმთანა (ალბათ, ამგვარ მაგალითებს გულის-
ხმობს მაჯო, როცა ამბობს: აკუზატივს მოითხოვს).

მაგრამ გარეტტე (ე. ი. გარეთ) ნათესაობითთან, ხან უმისოდ (*vel sine*)
იხმარება: საგდარის გარეტტე... ჩემი გარეტტე ანდა: ჩემისგარეტტე ილა-
პარაკე... ყოელაკაი ჩემისგარეტტე არიანი... გარეტტე ძავალ... გარეტტიდა
მოვალ... (გვ. 121). ასევე: მეთი: მისმეთი (იქვე).

სხვა რიგისაა წინდებულები (*Praepositiones*; უნდა იყოს *Postpositiones*):
ამ დი, ოთ, ანდა ით: საკლიამდი (ე. ი. სახლამდი)... ცხენით... (გვ. 121).

-**თუი** ნაცვალსახელებთან ამგვარად კავშირდება: ჩემთუი, შენთუი,
ჩუენთუი, თუენთუი (გვ. 122). დანარჩენ სახელებს თუი ნათესაობითში
დაერთვის (იქვე). საამისო მაგალითები დასახელებული არაა.

ს ა წინდებულია, — წერს მაჯო, — ნიშნავს **propter** და უკავშირდება სახელებს ამ მნიშვნელობით: აგი პერი სახუალ ნახე („აგი ფერისა ხუალ ნახე“?), **serua hanc rem propter mane**, ე. ი. ამის გამო ელოდე... საკუირა **propter diem Dominicum**, ე. ი. „საკვირაო“ (გვ. 122).

სახელები, რომელთაც წინ **უ-** დაერთვის, მეტწილად ბოლოვდება **-ოთ-ით**, **-ოთ-ით**: უდიგნით (ე. ი. უწიგნოთ), უპათონით (ე. ი. უბატონოთ), უბასოთ (ე. ი. უფასოთ), უჩემოთ, უშენოთ, უიმაოთ, უჩიუენოთ, უთყუენოთ, უიმაოთ (**sine illis**, ე. ი. უიმაოთოთ, გვ. 122).

ძედა, **ძე** სხვადასხვაგვარ გამოთქმებში გვხვდება: აკაურებასძე (ე. ი. აქაურობაზე), მეორისძე, სამისძე... თუალისძე ხარგია (**pulchrum visu**, ე. ი. „თვალზე კარგია“, სანახავად კარგია)... სესკლი პირისძე (ე. ი. ცეცხლის პირზე)... ცკალი პირისძე (ე. ი. წყლის პირზე)... შენ ჩემი შჭულისძედა ხარ (ე. ი. შენ ჩემი შჭულისა ხარ)... გუნებისძედა არავარ (ე. ი. გუნებაზე არა ვარ) (გვ. 123)... **ზედა**-სთან ნათესაობითის შეხამება (სჭულის, გუნების), ალბათ, მეტყველების ფაქტს სწორად არ ასახავს.

ამით თავდება სინტაქსის მოვლენათა განხილვა. დაბოლოს მაჯო შენიშნავს: ეს მცირეოდენი საკმარისია მეტყველების ნაწილთა შეხამების შესახებ; დანარჩენს იპოვით წიგნაკში, რომელიც მე შევადგინე არაბთა, თურქთა, სპარსელთა, სომეხთა და ქართველების ხატოვან გამოთქმათა (**de figurata oratione**) შესახებ, სადაც ბევრი რამ გადმოვეცი ამ ხალხთა სტილის შესახებ... ამ ენის შესახებ ბევრ წესს იპოვით აგრეთვე „აღმოსავლურ ენათა საუნჯეში“ (**Thesaurus linguarum orientalium**), რომლის შედგენასაც ვვარაუდობო... (გვ. 123).

პ რ ო ს ო დ ი ა — მეოთხე და უკანასკნელი ნაწილია მაჯოს გრამატიკისა: „დიდად საგულისხმოა სწორად მეტყველებისათვის პროსოდის კანონთა ცოდნაო“ (გვ. 125).

გრძელი და მოკლე, მახვილიანი და უმახვილო ხმოვნების მონაცვლეობა (მეტყველებასა თუ ლექსში) პროსოდის შესწავლის საგანს შეადგენს.

პირველ თავში მაჯო მოგვითხრობს ბოლოდან მეორე მარცვლის სიგრძის შესახებ და მრავალმარცვლიან სიტყვათა შესახებ, რომელნიც გამოითქმიან ბოლოს მახვილით:

გამოირჩევიან (**producuntur**) — წერს მაჯო — **აი**, **ეი**, **ოი**-თ დამთავრებული სიტყვები, როგორც, მაგალითად: პაშთაი (**magnus**, **-a**, **-um**), პათარაი, ყუოელაკაი, პრთაი, კინკილაი, პელიშაი, აკანაი, იკანეი, ურათაი, ცაბარაი და სხვ. შემდეგ გამოირჩევიან **აუ** დიფთონგიანები: შინაური, გარაული, სადაური, ბოკაული, გირძინაული, ზარაული, ბედაური, ისაული და სხვ. (გვ. 126).

შემდეგ: ხმოვანი **ც**-ს წინ ანდა ორ თანხმოვანს შორის: დედაკაცი, საპირისკოცი (*nasitergium*, ე. ი. „ცხვირსახოცი“; თუ: პირსახოცი?); ინთევანნი (*botrus, racemus*, ე. ი. მტევანი), ელივენდი (*homo qui neque filios, neque uxorem, neque aliud habet, quod curet etc...*) (გვ. 126-127).

ელი-თ დამთავრებული, მაგრამ რომელნიც სხვათაგან იწარმოებიან: გემბრიელი, გურიელი, დილანდელი...

ანი-თ დამთავრებული: ცოლიანი, შვილიანი, ბედიანი.

ილი-თ დამთავრებული: გასდილი, პკული (ე. ი. ფქვილი), კანდილი (ე. ი. კანდელი), სიკუდილი, მარილი, გამარძული, მანდილი, სადილი, წისკული, სისკული (*dedecus*, ე. ი. სირცხვილი), მორჩილი, მორჩენილი, მსული (ე. ი. მსხვილი), ხელმანდილი.

ორი-თ დამთავრებული: მეორი, საკორი (*inauris*, ე. ი. საყურე), ნიორი, საკებორი (*torques*, ე. ი. ჯაჭვი! საყებურე?!), საზორი (*statera*, ე. ი. სასწორი), მოკორი (*anulus*, ე. ი. ბეჭედი) (გვ. 127).

ონი-თ დაბოლოებული: პათონი, ამდონი, რამდონი და სხვ. (გვ. 128).

ული-თ დამთავრებული: გაგულისდებული, შეკერული, გაგეთებული, სკონდებული, მონარჩული და სხვ.

ური-თ დაბოლოებული: ჩუენებური, თყუენებური, კუიძილბაშური (გვ. 128).

ყველა ზემოჩამოთვლილ ჯგუფს მახვილი (Λ) უზის ბოლოდან მეორე მარცვალზე; მაშასადამე, ყველა ეს ტიპი მაჯოსთვის *penultima*-ს მაგალითია.

მაგრამ: ი და, ი ნ ა, ი ს ა და მ ა-თი დაბოლოებულ სიტყვებს მახვილი უზის ბოლოდან მე ს ა მ ე მ არცვალზე; დაშინა (ე. ი. დაშნა), გმერთიმა, ბუსტენიდა, ბიჩისა, აბდაგომა (ე. ი. აღდგომა), რათომა და მსგ. (გვ. 128).

ბ ო ლ ო ზ ე მ ა ხ ვ ი ლ ი თ გამოითქმის:

1. **ი**-ასოთი გათავებული სიტყვები: ძინარი (*armilla*, ე. ი. სამაჯური), ბეჩედი, სამუნველი, კალამი, კუთანი, ლოგინი, საწერელი, ლაგინი (*vas vini*, ე. ი. ქვევრი), ბეგელი, ჯივარი, მარანი, ხუარბალი, ლურსმანი, კოთანი (ე. ი. ქოთანი), კუხილი (*tonitrus*, ე. ი. ქუხილი), ნიჩაბი, კაგალდი, წითელი, სკეპარი (*dolabra*, ე. ი. ბარი?), მანგალი, თურბანთი (*terebra*, ე. ი. ბურღი), ნიგუსი (*torris*, ე. ი. მუგუზალი), ნაცარი, ნასხირი (*corbo*, ე. ი. ნახშირი), გამასგარი, ნამგალი და სხვ. (გვ. 128-129).

ი-თი დაბოლოებულ სახელთა ამ ჯგუფიდან უნდა გამოირიცხოს ზემოთ ნაჩვენები ტიპები (აი, ეი, ოი, ელი, ანი, ილი, ონი, ორი, ული, ური, — ორი ხმოვნის შემცველი და სხვ.).

2. ბოლოზე მახვილი მოუღის ა-თი დაბოლოებულ სიტყვებს: ელიობა, გმერთობა... ყუეკანა (ე. ი. ქუეყანა), სახარება, ჩუკება, ნუკაბა (*permutatio*, ე. ი. ცვლა, გაცვლა?!), მარჯივენა, მარცხენა, ხურხუმა (*aquiminarius*), გამოსკრება (*tempus et actus metendi panicum*, ე. ი. „ღომის კრება“?).

ი და, ინა, ისა, მა-თი დაბოლოებულთა გამოკლებით, აგრეთვე იმათ გარდა, რომელთაც ორი თანხმოვანი აქვთ (გვ. 129).

3. ასევე (ე. ი. ბოლოზე მახვილით) გამოითქმის სიტყვები, რომელთაც ბოლოში ე ხმოვანი აქვთ ანდა თანხმოვნით ბოლოვდება: მეჟინიბე, ვენედიკ (ე. ი. ვენეცია), საფრანკეც, ვიაროთ და სხვ.

საეჭვოა, რომ სიტყვის ბოლო მარცვალზე ქართულ სიტყვებში მახვილი მოესმინა მაჯოს, ე. ი. მახვილი მოესმინა ისე, როგორც ეს სომხურ მეტყველებაში ისმის (თუ სომეხი არ იყო მისი მთქმელი და ქართულს სომხურად არ გამოთქვამდა). ალბათ, მაჯო ვერ არჩევდა სიტყვის მახვილსა და საწინადადებო ინტონაციას, რაც განსაკუთრებით გურულშია გამოხატული (გურიაში ყოფნის დროს შეუძლებელია მაჯოს ეს არ შეენიშნა).

ამგვარად, ბოლო მარცვალზე „მახვილი“ არ შეიძლებოდა მახვილი ყოფილიყო. ის კი მაინც აღსანიშნავია, რომ მაჯომ ბოლოდან მეორესა და მესამე მარცვალზე მახვილის არსებობა ივარაუდა (მართალია, მეორეზე — მეტს შემთხვევაში, მესამეზე — სიტყვათა მხოლოდ მცირე ჯგუფში).

დასკვნა. ჩვენ დაწვრილებით გადმოვეცით მაჯოს შრომის შინაარსი. ეს არ არის შემთხვევითი. მაჯოს შრომა პირველი გრამატიკაა ქართული ენისა (პირველი, **დღემდე ცნობილი**, გრამატიკა).

ეს პირველი გრამატიკა ქართული ენისა იმავე დროს წარმოადგენს პირველ გრამატიკას საერთოდ იბერიულ-კავკასიურ ენობრივ სამყაროში. ამდენად მაჯოს ამ შრომას — მიუხედავად ყველა მისი ნაკლისა — განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. სანამ მარი ბროსეს ქართული გრამატიკა გამოვიდოდა (1834 წ.), — ე. ი. თითქმის ორასი წლის მანძილზე — ევროპის სწავლულები მაჯოს შრომის საშუალებით ეცნობოდნენ ქართულ ენას¹.

ამ პირველ გრამატიკაში ქართული ენის ფაქტები არ შეიძლებოდა სრულად განეხილა ავტორს. მეტადრე ეს იგრძნობა ზმნის შესახებ მსჯელობისას; მაჯოს ყველაზე უფრო გაუჭირდა ქართულ ზმნაში გარკვევა: ყველაზე უფრო ღარიბი გრამატიკის ის ნაწილი გამოუვიდა მაჯოს, რომელიც ქართული ენის ყველაზე რთულსა და ფორმებით მდიდარს სამყაროს წარმოადგენს. მოულოდნელი ეს არც არის.

¹ მაჯოს შრომა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს, და ეს გარემოებაც მოითხოვდა წიგნის შინაარსის უფრო დაწვრილებით გადმოცემას.

მაჯო ფილოლოგიური გრამატიკის სისტემას ემყარება და ლათინური ენის გრამატიკული კატეგორიებიდან და პროცესებიდან ამოდის. ეს ნათლად ჩანს იმაში, თუ როგორ განმარტავს იგი გრამატიკასა და გრამატიკის შემადგენელ ნაწილებს; რამდენსა და რა მეტყველების ნაწილებს გამოყოფს (ზედსართავი და რიცხვითი სახელები ცალკე ერთეულებად — მეტყველების ნაწილთა შორის — არ მიიჩნევა, სამაგიეროდ, მიმღეობა ცალკე მეტყველების ნაწილია); სახელებში სიტყვათწარმოქმნის პროცესები ისევე შეისწავლება, როგორც ფორმაცვალების მოვლენები (ბრუნება); იმდენი და ის ბრუნვები გამოიყოფა, რაც ლათინურშია, მათ შორის, აკუზატივი, თუმცა საამისო დაბოლოებას ქართულში მაჯო ვერ პოულობს; ასევე აბლატივი, თუმცა ამ ბრუნვის ფუნქცია თანდებულის ბრუნვით — დაწყებითით — გადმოიცემა; მეორე მხრივ, არა ჩანს ბრუნვათა შორის მოქმედებითი ბრუნვა: ლათინურში მის მაგივრობას აბლატივი (ე. ი. დაწყებითი) ეწევა; მოთხრობითი სახელობითის ვარიანტად არის გამოცხადებული და ცალკე ერთეულად არ ითვლება, თუმცა როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებთან მოთხრობითის ფორმა აქვს ნახშიარი მაჯოს: მესამე პირის ნაცვალსახელი მოთხრობითში ზის (**იბან** დაძერს... **იბან** ჩამს... **იბან** მოითანს... **იბან** მოითანდა... **იბან** არის... **იბან** იყო... **იბან** კოპული არის... **იბან** მოგდება... **იბან** ირჯება... **იბან** უნდა... **იბან** უკუარს... **იბან** უჩამია... **იბან** უსუამია... ასევე მრავლობითში ყველგან „იმათ“).

სინტაქსი, როგორც მოძღვრება მეტყველების ნაწილთა შეხამების (შეთანხმებისა და მართვის) შესახებ, ისევე ტრადიციული იყო ლათინური ენის ფილოლოგიური გრამატიკისათვის.

მაჯო, როგორც ჩანს, ქართული ენის წერილობითს ძეგლებს ეცნობოდა; ზეპირ, სასაუბრო, მეტყველებასაც აკვირდებოდა (ამ უკანასკნელს მისიონერის ამოცანები მოითხოვდა და არა ფილოლოგიური გრამატიკა). ქართული ენა მაჯომ, რა თქმა უნდა, არ იცოდა (ისეთი შეცდომები მოსდის).

ამისდა მიუხედავად მაჯოს გრამატიკა რიგ საყურადღებო დაკვირვებას შეიცავს. ასეთია დებულებები:

1. ქართული ენა სქესებს არ განარჩევს;
2. სახელთა ბრუნება ერთია;
3. ქართული ზმნა პირების გასარჩევად ხმარობს **მ**, **გ**, **ვ** ასოებს (იგულისხმება თავსართები); **ს**, **ა** (იგულისხმება ბოლოსართები); **მ**, აგრეთვე **ვ** პირველი პირისაა, **გ** — მეორე პირისა; მესამე პირი „**ა** და **ს** ასოებზე ბოლოვდება“ (გვ. 88); ნაცვალსახელებს მე, შენ, მას II იგი (მიცემითი და სახელ.) გამოხატავენ ზმნასთან დაკავშირებული ასოები **მ**, **გ**, **ა** (*literis verbo affixis*) — მაჭონე (ე. ი. მაჩუნე), მასკენს (ე. ი. მაწყენს), გაჭონე, გასკენს, აჭონე, ასკენს (გვ. 95).

4. ქართულში გვაქვს თანდებულები (**postpositiones**). თანდებული გარკვეულ ბრუნვას იღებს (ნათესაობითს ანდა აკუზატივს(?!) გვ. 119. რა თანდებული რა ბრუნვას იღებს, ამას მაჯო სწორად ვერ უჩვენებს ხშირ შემთხვევაში, მაგრამ აქაც რიგი დაკვირვება მართებულია.

5. ნაწარმოებ სახელთა, ზმნისართების და სხვ. განხილვისას არა ერთი სწორი მოსაზრებაა გამოთქმული.

6. სახელის სახელთან შეთანხმების, ზმნის მიერ სახელთა მართვის პროცესების შესწავლა ქართულში პირველად მაჯოს გრამატიკაშია მოცემული; მასთან სწორად არის შენიშნული, რომ ზედსართავი არსებითს რიცხვში არ უთანხმდება (გვ. 114); რომ სიმრავლის აღმნიშვნელ სახელთან ზმნა მრავლობითში დაისმის (**verbum ponitur in numero plurali** — გვ. 113); რომ ზმნა „მეშინია“ დაწყებითს მოითხოვს: „შენგან მეშინია“ (გვ. 116).

7. საილუსტრაციოდ მოყვანილ სიტყვებსა და გამონათქვამებში (რომელთა მეტი წილი გაუმართავია), შიგადაშიგ საინტერესო სიტყვა გამოერევა ხოლმე: პაშთაი (=დიდი, ბევრი, გვ. 102), საკებური, ტრუბანთი, დილაულა...

8. შორისდებულებში მაჯოს შეტანილი აქვს შინაურ ცხოველთა და ფრინველთა მოსახმობი დაძახილები: წეის... (თხისა), თრუ... (ცხვრისა), წნგეი... (ღორისა), გენშ... მოო (ძროხისა), წი წი წი ნიაუ (კატისა: „ციცუნია“), ბული... (ბატისა), ბუოთი... (ქათმისა) გვ. 108-109.

აქედან: ბული-ბული („ღერღერის ხადილი“) საბას შეტანილიც აქვს თავის ლექსიკონში. სხვები დიალექტებში შემოწმებას მოითხოვს, მაგრამ ამ თავითვე შეიძლება ითქვას, რომ მაინცდამაინც ზოგი მათგანი (წეის, წნგეი, გენშ) ქართული ენის ისტორიის თვალსაზრისით უთუოდ საინტერესოა.

9. მაჯოს ცდა ქართულ თანხმოვანთა კლასიფიკაციისა — ყველა ნაკლის მიუხედავად — მაინც საინტერესოა, როგორც პირველი ცდა.

მაჯოს მოეპოვება ცნობა საბიბლიოგრაფიო ხასიათისა: იმ შრომის შესახებ, რომელიც სხვათა შორის ქართული ენის ხატოვან გამოთქმებს შეიცავდა (და რომლის ავტორიც თვითონ იყო, გვ. 123), აგრეთვე ლექსიკონის შესახებ, რომელიც თურმე ქართულ, თურქულ და ბერძნულ მასალას შეიცავდა, და რომლის ავტორადაც არქანჯელო ლამბერტია დასახელებული (გვ. 95).

მაჯოს ნაშრომში ქართული სიტყვები ჯერ ქართულად წერია, შემდეგ ლათინური ასოებით (ჩაწერისას, ჩანს, სიტყვა ჯერ ლათინურად იწერებოდა, მერე — ქართულად). ქართულ თანხმოვანთა, მეტადრე თავისებურთა, გარჩევა მაჯოს უჭირს: ოძინ (უწინ), მოცკალე (მოწყალე), დავძერ (დავწერ), ვიკავი (ვიყავი), წივი (ცივი), ჩკუიანი (ჭკუიანი), თობი (თოფი), მე-

ბე (მეფე), აკ (აქ), იკ (იქ), ოკრო (ოქრო), გმერთი (ღმერთი), ბეჩედი (ბეჭედი), თრედი (მტრედი), ბათი (ბატი), კარტული (ქართველი), ბარკალი (ბარაქალა) და სხვ.

არის სხვაგვარი შეცთომებიც: ოჰ, შენ მამქემა (შენმა მზემა... გვ. 100)... იმან დაძერს... იმან უნდა... იმან უშინია და მისთანა უცნაურობანი ან იმით აიხსნება, რომ ავტორი ნებისმიერად თხზავდა პარადიგმებს (შეუთმოწმებლად?) ანდა ისეთი მასწავლებელი ჰყავდა, რომლისთვისაც ქართული დედა-ენა არ იყო, საყველბურო ლაპარაკიდა ეხერხებოდა (ასეთი პირი ისევ იტალიელი მისიონერი შეიძლება ყოფილიყო, უფრო ადრე ჩამოსული...).

§ 11. საბა სულხან ორბელიანის (1658-1725 წ.) „სიტყვის კონა“, პირველი განმარტებითი ლექსიკონი ქართული ენისა

საბას „სიტყვის კონა“ (1716 წ.) განმარტებითი ლექსიკონია, პირველი განმარტებითი ლექსიკონი იბერიულ-კავკასიურ ენათა სინამდვილეში. რა ახასიათებს მას, როგორც განმარტებითს ლექსიკონს? რა ძირითადი ნიშან-თვისებები მოეპოვება, როგორც ლექსიკოგრაფიულ ნაშრომს?

ამაზე, რომ პასუხი გავცეთ, საჭიროა მოკლედ გავითვალისწინოთ, რა და რა ტიპის ლექსიკონები მოიპოვება და ყოველ მათგანს რა ახასიათებს.

ლექსიკონები ნაირგვარია: განმარტებითი, ენციკლოპედიური, ისტორიული, შედარებითი, თარგმნითი (ანუ პარალელური)...

ისტორიული ლექსიკონი შეისწავლის სიტყვის მნიშვნელობის ცვლას ამა თუ იმ ენის (ანდა ენების) განვითარების პროცესში. დანიშნულების მიხედვით მას ახლო კავშირი აქვს შედარებითს ლექსიკონთან.

შედარებითი ლექსიკონი იკვლევს საერთო წარმოშობის ფუძეებს მონათესავე ენებში იმისდა მიუხედავად, შერჩენია თუ არა ფუძეებს ერთი და იგივე მნიშვნელობა, თუ მნიშვნელობა განსხვავებული აქვს სხვადასხვა მონათესავე ენებში; შეიძლება პირვანდელი მნიშვნელობა სრულიად შეცვლილი იყოს; ასე, მაგალითად: ქართ. კაც-ი და მეგრ. ჭან. კოჩ-ი ერთი და იგივე ფუძეა და ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს; მაგრამ იგივე ფუძე სვანურში ჭან — „ქმარს“ აღნიშნავს; შდრ. ხალხური (სასაუბრო) „ჩემი კაცი“ — „ჩემი ქმარი“. ასევე: ქართ. დამე, ჭანურში ღომან-ის სახეს იღებს და ნიშნავს „გუშინ“, მეგრულში კი ეგევე ფუძე — ღუმან — „წუხელ“-ს უდრის. რაც უნდა განსხვავებული იყოს მნიშვნელობა, შედარებითი ლექსიკონი მაინც ერთად მოაქცევს მონა-

თესავე ენების სიტყვებს, თუკი მათ საერთო წარმომავლობის ფუძე აღმოაჩნდებათ. ასე, მაგალ., ქართ. ხუცეს-ს მეგრულში შესატყვისად ექნება უჩაშ-ი, რაიც „უფროსს“ ნიშნავს (ნ. მარი). იხ. ზემოთ § 6, გვ. 17-18.

შედარებითს ლექსიკონს საკვლევად ყოველთვის ერთზე მეტი ენა აქვს (ორი, სამი მონათესავე ენა... მონათესავე ენათა წყება...). თარგმნითი (პარალელური) ლექსიკონი ამ მხრივ შედარებითს ჩამოჰკავს: მასაც ორ (და მეტ) ენასთან აქვს საქმე (რუსულ-ქართული, ქართულ-რუსული, რუსულ-სომხური, სომხურ-რუსული... ბერძნულ-ლათინურ-გერმანული, რუსულ-გერმანულ-ფრანგულ-ინგლისური თარგმნითი ლექსიკონები ამის ნიმუში იქნებოდა).

მაგრამ თარგმნითი ლექსიკონი ერთი ენის სიტყვებს უფარდებს მეორე ენისას მნიშვნელობის მიხედვით; რა წარმომავლობისაა სათანადო ფუძეები მისთვის სულ ერთია:

თუ შედარებითი ლექსიკონი მოითხოვს ქართ. კაც-ს შევუფარდოთ სვან. ჰჰმ „ქმარი“, თარგმნითი ლექსიკონისათვის საჭირო დარჩება შევარჩიოთ სხვა ფუძე: მარე, რადგანაც მარე ნიშნავს სვანურში „კაცს“.

შედარებითი ლექსიკონი შეიძლება შევუდგინოთ მხოლოდ მონათესავე ენებს (მონათესავე ენები საერთო წარმოშობის ენებია, და საერთო წარმომავლობის ფუძე ასეთ ენებს აღმოაჩნდება); თარგმნითი (პარალელური) ლექსიკონი შეიძლება შედგეს ყოველი ორი (და მეტი) ენისათვის იმისდა მიუხედავად, მონათესავე იქნება ეს ენები თუ არა.

რუსულ-უკრაინული, ბერძნულ-ლათინური ლექსიკონი შეიძლება შედარებითიც იყოს და თარგმნითიც; მაგრამ: რუსულ-აზერბაიჯანული, რუსულ-ქართული, რუსულ-არაბული, ლათინურ-ქართული, ჩინურ-რუსული ლექსიკონები შეიძლება იყოს მხოლოდ თარგმნითი (პარალელური) ლექსიკონები: არც ერთი აქ ჩამოთვლილ წყვილთაგან მონათესავე არ არის.

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, როცა საბამ თავისი ლექსიკონი დაამთავრა, თარგმნითს (პარალელურ) ლექსიკონებს კი ადგენდნენ, მაგრამ შედარებითი ლექსიკონები (ასევე ისტორიული ლექსიკონები) არ არსებობდა: შედარებითის და თარგმნითი (პარალელური) ლექსიკონების სხვაობა მაშინ არ ჰქონდათ გათვალისწინებული (შედარებითი ლექსიკონის თავისებურება მეცხრამეტე საუკუნეში გახდა ცხადი).

რაც შეეხება განმარტებითს ლექსიკონს, ამას მეთვრამეტე საუკუნეშიც ადგენდნენ და მეჩვიდმეტეშიც, მაგრამ სამწერლო ენისათვის (ამჟამად ეჭვს არ იწვევს, რომ განმარტებითი ლექსიკონი შეიძლება შევადგინოთ უმწერლო ენისთვისაც; ეს იქნება ამა თუ იმ დიალექტის — ანდა დიალექტების — ლექსიკონი); როცა ენას მწერლობა მოეპოვება, მისი დია-

ლექტების ლექსიკონებიც დგება; დიალექტურ ლექსიკონში შედის, როგორც წესი, ისეთი სიტყვა, რომელსაც ან მნიშვნელობა აქვს განსხვავებული, შედარებით სამწერლო ენის ჩვენებასთან — ანდა — ბგერითი შედგენილობა, ანდა — ერთიცა და მეორეც.

ახლა განმარტებითი და ენციკლოპედიური ლექსიკონების შესახებ. განმარტებითი ლექსიკონიც სიტყვის მნიშვნელობას იძლევა და ენციკლოპედიურიც, ოღონდ განსხვავებას ისა ქმნის, რა სიტყვებია აღებული და როგორ არის ახსნილი. ენციკლოპედიური ლექსიკონი განმარტავს ისეთ სიტყვებს, რომლებიც მეცნიერულ ცნებებს (ე. ი. ტერმინებს) აღნიშნავენ და განმარტავს ისე, როგორც სათანადო მეცნიერებას ესმის. განმარტებითი ლექსიკონისათვის კი სულ ერთია, აღნიშნავს სიტყვა სამეცნიერო ცნებას თუ არა: ზედსართავი სახელები (ძველი, ახალი, მწიფე, მკვახე, გრძელი, მოკლე, ლამაზი, უშნო...), ნაცვალსახელები (მე, შენ, ის, ჩვენ, თქვენ, ისინი... ჩვენი, თქვენი, მათი... ვინ, რა, რომელი), ზმნისართები (აქ, იქ, ზვალ, ზეგ, გუშინ, ადრე, გვიან...), კავშირები (თუ, რომ, რადგანაც, მაგრამ...) ისევე შედის ცალკე ერთეულად განმარტებითს ლექსიკონში, როგორც ზოგადი ცნებების აღმნიშვნელი არსებითი სახელები (ადამიანი, ცხოველი, მცენარე, რკინა, ქვა, მიწა, წყალი, ჰაერი). ენციკლოპედიურ ლექსიკონში ზედსართავებს, ნაცვალსახელებს, ზმნისართებს, კავშირებს არ შეიტანენ (არსებით სახელთაგან აგრეთვე ბევრი არ შევა), სამაგიეროდ მასში შეაქვთ ცნობები გეოგრაფიული პუნქტების (ქვეყნების, მდინარეების, მთების, ქალაქების...) შესახებ, ცნობები ისტორიულ პირთა და მოვლენათა შესახებ. განმარტებითს ლექსიკონში კი, როგორც წესი, ასეთი მასალა არა გვაქვს.

რაც შეეხება სიტყვის ახსნას, აქაც სხვაობა ჩანს: ენციკლოპედიური ლექსიკონი მეცნიერების სათანადო დონის შესაბამისად ხსნის ცნების შინაარსს, განმარტებითი ლექსიკონი იძლევა სიტყვის იმ გაგებას, რაც ყოველდღიურ სიტყვახმარებას ახასიათებს („კირქვა“ განმარტებითი ლექსიკონისათვის „კირის შემცველი ქანია“, ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის — ნიჟარათაგან წარმოშობილი ქანი...).

ყველაფერი, რაც აქამდე ითქვა, ლექსიკონთა გვარობას ეხებოდა და იმ სხვაობის დახასიათებას ისახავდა მიზნად, რაც ლექსიკონთა შორის არსებობს.

არის ზოგი ისეთი ლექსიკოგრაფიული საკითხიც, რომ ყველა ლექსიკონს ეხება მეტ-ნაკლებად. ეს საკითხებია: რა შედის ლექსიკონში? რა სახით შედის? რა თანამიმდევრობით ლაგდება?

რა შედის ლექსიკონში? აქ ლექსიკონის სისრულის საკითხი დგას: სამწერლო ენის ლექსიკა (მით უფრო უმწერლო ენის ლექსიკა) შეიძლება აისახოს ლექსიკონში მეტ-ნაკლები სისრულით: ვერც ერთი ლექსიკონი ვერ ამოწურავს ლექსიკას, თუ ენა ხმარებაშია, ცოცხალია (მკვდარი სამწერლო ენის ლექსიკა შეიძლება სრულად აღირიცხოს). ლექსიკის შემადგენლობაში ცვლილება განუწყვეტლივ ხდება, რის გამოც ცოცხალი ენის ლექსიკური მარაგის აღრიცხვისას ყოველთვის გვაკლია ახალი სიტყვები მეტ-ნაკლებად.

თქმული გულისხმობს შესაძლებლობას. მაგრამ შესაძლებლობის ფარგლებშიც ლექსიკონი „ყველაფერს“ არ მოიცავს. მეტადრე, როცა საქმე ეხება სამწერლო ენის ლექსიკონს. მაგალითად, სამწერლო ენის ლექსიკონებში „სათაკილო“ სიტყვების შეტანას ერიდებიან. მაგრამ რა სიტყვებია „სათაკილო“ სიტყვები, ეს ყოველთვის ერთნაირად როდი ესმოდათ (XVII-XVIII სს. ფრანგული სალიტერატურო ენა „სათაკილოდ“ მიიჩნევა ისეთ სიტყვებსაც კი, როგორცაა „პერანგი“).

სათაკილო სიტყვების გარდა არ შეაქვთ კუთხური სიტყვები (დიალექტიზმები), რამდენადაც კუთხური, საკუთრივ დიალექტური, საერთო სამწერლოს ეუცხოება.

ასევე იქცევია, თუ სიტყვა წიგნის მეტყველებას ახასიათებს, მაგრამ ვიწრო სპეციალურია და მხოლოდ გარკვეული დარგის ლექსიკაში დასტურდება.

რა არის ლექსიკური ერთეული და რა სახით შეაქვთ ლექსიკონში სიტყვა? როცა გარკვეულია, თუ რაგვარი მასალა შედის ლექსიკონში და რა რაოდენობით, უნდა დაისვას ლექსიკური ერთეულის საკითხი: რა უნდა მივიჩნიოთ ცალკე ლექსიკურ ერთეულად და რა სახით უნდა შევიტანოთ ეს ერთეული ლექსიკონში?

ქართული მაგალითი რომ ავიღოთ: „გაკეთება“ ლექსიკური ერთეულია, მაგრამ შეიძლება თუ არა ცალკე ერთეულად მივიჩნიოთ „გაკეთებინება“? ასევე: „დაწერა“ და „დამწერი“, „დანაწერი“, „დასაწერი“... დ. უშაკოვის რუსული ოთხტომეული ლექსიკონი მიმღეობათა მეტ წილს ლექსიკურ ერთეულად არ მიიჩნევს (ვნებითი გვარის მიმღეობა კი ნამყოში ხშირად შეტანილია); ცალკე ერთეულებია, მაგალითად, **кормить, кормиться, кормленный** (ვნებ. გვარის მიმღეობა ნამყო დროისა ზმნისაგან **кормить**), მაგრამ **кормящий, кормивший** შეტანილი არაა, თუმცა არა ნაკლებ ხმარებულია, ვინემ **кормленный**? (მაგ., **кормящая мать**).

საკითხი იმასაც ეხება, სალექსიკონო ერთეული რა სახით უნდა შევიდეს: „გაკეთება“ თუ „გააკეთებს“? „**делать**“, „**делание**“, თუ „**делаю**“ (თუ სამივე ერთად)? ამჟამად რუსულ ლექსიკონებში „**делаю**“ ცალკე ერთეუ-

ლად არ მიაჩნიათ, *делать* და *делание* კი ცალკე ერთეულებია; ძველ რუსულ აკადემიურ ლექსიკონში, პირიქით, *делаю* შედიოდა ლექსიკურ ერთეულად, მსგავსად ბერძნულისა და ლათინურისა: ლათ. *facio* „*делаю*“ „ვაკეთებ“, თუმცა ინფინიტივიც ერთვოდა: *facere* „*делать*“... როგორც ცნობილია, არაბული ზმნა ნამყო დროის მესამე პირის ფორმით არის წარმოდგენილი ლექსიკონში: ფაჟალა „ვააკეთა“... ასე რომ ქართულში „ვაკეთებ“-ს, როგორც სალექსიკონო ერთეულს, მოცილებდ პირიანი ფორმა „ვააკეთებს“ (ანდა: „ვააკეთა“) შეიძლება მოველინოს.

აქ იმის საკითხიც დადგებოდა: „ვააკეთებს“ — მთლიანად უნდა მივიჩნიოთ სალექსიკონო ერთეულად თუ მხოლოდ მისი ფუძე ვაკეთებ-ს (პირის ნიშნის გამოკლებით). ეგევე ითქმის სახელების შესახებ: კაცი მთლიანად უნდა ავიღოთ სალექსიკონო ერთეულად თუ მხოლოდ ფუძე **კაც**-ი? ერთი შეხედვით ეს უმნიშვნელო ტექნიკურ საკითხად გვეჩვენება, მაგრამ ამაზეა დამოკიდებული, ანბანის მიხედვით სად მოექცევა სიტყვა; ასე, მაგალითად, თუ ფუძეზე დავლაგეთ სახელები, ჯერ იქნება: თეთრ-ი და მერე: თეთრა, თეთრგამოლეულ-ი, თეთრგულა, თეთრება, თეთრეულ-ი, თეთრთავიან-ი, თეთრ-თეთრ-ი, თეთრთმიან-ი, თეთრ-კაბიანი, თეთრ-კანიანი, თეთრ-მწყაზარ-ი. მაგრამ თუ ლექსიკურ და სხვა ერთეულად მთელი სიტყვა დავსახეთ და სახელობითის ნიშანი არ გამოვყავით, „თეთრი“ მოექცევა ანბანთ-რიგისდა კვალად თეთრ-თმიან-სა და თეთრ-კაბიან-ს შორის... ასევე, ჯერ იქნება: კანონ-ი და მერე კანონგარეშე, კანონდებულ-ი, კანონდებულება, კანონზომიერი, კანონზომიერება, კანონიერი, კანონიერება... ხოლო მთელი სიტყვა (კანონი) თუ შევიდა ერთეულად, იგი უნდა მოვათავსოთ კანონზომიერება-ს შემდეგ, როგორც ამას ანბანის რიგი მოითხოვს.

რა თანამიმდევრობით ლაგდება სიტყვები ლექსიკონში? აქ ორი წესი უპირისპირდება ერთმანეთს: ანბანის რიგზე გაწყობა და ბუდეებად დალაგება. ბუდეებად დალაგებისას ამოსავალ სიტყვასთან მოიყრის თავს მისგან ნაწარმოები ყველა სიტყვა, სულ ერთია, რა ასოთი იწყება ეს ნაწარმოები სიტყვა; მაგალითად, სახლთან გვექნება ნასახლარ-ი, მოსახლე, მოსახლეობა, სახლობა, სახლ-კარი, უსახლკარო, სახლკარიანი-ი, სამოსახლო, დასახლება, გასახლება, გადასახლება, გადმოსახლება...

ანბანის რიგზე დალაგებისას ეს სიტყვები სხვადასხვა ასოზე მოექცევა: **გ**-ზე (გადასახლება, გადმოსახლება, გასახლება...), **დ**-ზე (დასახლება), **მ**-ზე (მოსახლე, მოსახლეობა...), **ს**-ზე (სამოსახლო, სახლკარიანი...), **უ**-ზე (უსახლკარო...)....

ბუდეებად დალაგებისას ერთი ფუძისაგან ნაწარმოები სიტყვები ერთად იყრის თავს, ადვილდება ნაწარმოები ფუძეების მნიშვნელობათა ახსნა და იმის ჩვენებაც, რა ურთიერთობაც აქვს ამოსავალ ფუძესთან ნაწარმოებ ფუძეს. ბუდეებად დალაგება ს პ ე ც ი ა ლ ი ს ტ - ფ ი ლ ო ლ ო გ თ ა თ ვ ი ს (ენათმეცნიერთათვის) საინტერესოა; არასპეციალისტისათვის კი ასეთი ლექსიკონი ძნელი მოსახმარი ხდება: საჭირო სიტყვას ვერ იპოვის, თუ არ ეცოდინება, რა ფუძისაგან არის ნაწარმოები ეს სიტყვა და რა ბუდეში უნდა მოიკითხოს („უკაცრავად“, მაგალითად, კ ა ც -თან უნდა ეძიოს)¹.

ანბანის რიგი მთლიანად არც ერთ ლ ე ქ ს ი კ ო ნ შ ი არ არის უარყოფილი: ბუდეებად დალაგებისას ნაწარმოები სიტყვები ანბანთ რიგზეა ხოლმე გაწყობილი. თვით ბუდეებსაც ანბანის რიგზე ალაგებენ, მაშასადამე; ბუდეთა თანამიმდევრობა, ბუდის შიგნით სიტყვათა თანამიმდევრობა (როცა ბუდე ერთი ფუძისაგან ნაწარმოებ სიტყვებს აერთიანებს) ანბანის რიგს მისდევს.

განმარტებითი ლექსიკონისათვის მთავარია ს ი ტ ყ ვ ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე - ლ ო ბ ი ს ა ხ ს ნ ა. სხვაობა აქაც შეიძლება გვქონდეს, კერძოდ, ორი საკითხის გადაწყვეტაში. პირველია: როგორ არის ახსნილი სიტყვის მნიშვნელობა, — მხოლოდ იმ ენის საშუალებით, თუ სხვა ენაზე თარგმანიც არის გამოყენებული; მეორე: სიტყვის ახსნისას ამა თუ იმ მნიშვნელობას ერთვის საილუსტრაციო გამონათქვამი, თუ მნიშვნელობის ახსნა უამისოდ არის მოცემული, მაგალითად: კ ა ც -ი: 1. ა დ ა მ ი ა ნ ი. კ ა ც ი — კ ა ც ი თ ა ო, ნ ა დ ი რ ი — ტ ყ ი თ ა ო (ანდაზა). კ ა ც ს ა მ ა რ თ ა ლ ს და მ ტ ყ უ ა ნ ს ა კ ა ც ნ ი ე ვ გ ა ა რ - ჩ ე ვ ე ნ ო (ხალხ.). თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთი-სოფელი (დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი). მოისპო ერთისაგან მეორის ადამიანის გაქელვის მიზეზი, კაცი კაცად აღიარეს (ი ლ ი ა). 2. მ ა მ ა კ ა ც ი. „ნათესავს რომ ქალი არ მივსცე, კაცი გაწყვეტილა ქვეყანაზე?!“ (ეკ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი). მოვიდა ორი ცხენოსანი, ერთი — ქალი, და ერთი — კაცი (ე. ნ ი ნ ო შ ვ ი ლ ი). ქალი, კაცი, გოგო, ბიჭი ეზიდება ზამთრის სარჩოს (რ. ე რ ი ს თ ა ვ ი). 3. ს ა უ ბ. ქ მ ა რ ი. „მაშ მე რალა ვქნა? ჩემები ბევრნი წავიდნენ ლაშქარსა: ჩემი კაცი, ძმანი სამნივე — არ მოჰკლებიან ლაშქარსა“ (ვ ა უ ა). „ალ-

¹ რუსულ ლექსიკონთაგან დალის ლექსიკონი ბუდეებად ალაგებს სიტყვებს (ხშირად ერთი ბუდე ორ-სამ გვერდზეა გაშლილი და ბუდის შიგნით სიტყვის დაძებნა ჭირს); დ. უშაკოვის ლექსიკონი (1928-1940 წ. წ.) ანბანის რიგზე ალაგებს სიტყვებს. რუსული ახალი ჩვიდმეტტომიანი ლექსიკონი, რომლის პირველი ტომიც 1948 წ. გამოვიდა, ბუდეების წესს მისდევდა; პირველი სამი ტომი ბუდეებს იძლევა, მეოთხე ტომიდან (1955 წ.) მოყოლებული ეს ლექსიკონი ანბანის რიგზე ალაგებს სიტყვებს.

ბათ, ფათერაკს გარდევოდა ჩემი დის კაცი!“ (ი. მაჩაბლის თარგმ. შექსპირისა). 4. ბატონის მსახური მამაკაცი. „ორჯერ გიკითხეს, ჩემო ბატონო, გიორგი სააკაძის და ზურაბ არაგვის ერისთავის კაცებმა“ (შ. არაგვისპირელი). 5. ძვ. შიკრიკი. მზეს რომ კაცი მოუვიდა, მზე ძალიან გაჯავრდესა (ხალხ.). მან დასტური შემოთვალა, მომივიდა კაცი მალი (რ. ერისთავი). 6. ნაცვალსახელი ვინმე. „წრევანდელი ზაფხულის საყვედურს კაცი ვერ იტყვის! (ე. ნინოშვილი)...¹.

ამგვარად, კაც-ი სიტყვის ექვსი ძირითადი მნიშვნელობა არის გამოყოფილი: 1. აღამიანი, 2. მამაკაცი, 3. ქმარი, 4. ბატონის მსახური მამაკაცი, 5. შიკრიკი, 6. ვინმე.

შეიძლება მარტივად ჩამოგვეთვალა ეს მნიშვნელობანი, მაგრამ მაშინ მნიშვნელობა დამაჯერებელი, ხელშესახები არ გამოვიდოდა (ახლაც იგრძნობა, რომ მეოთხე და მეხუთე მნიშვნელობას მეტი გამონათქვამები რომ დართვოდა, ზედმეტი არ იქნებოდა). ზოგჯერ მარტოოდენ საილუსტრაციო გამონათქვამიც რომ ავიღოთ და მნიშვნელობა სულ არ ვუჩვენოთ, ეს მეტს მისცემს მკითხველს, ვინემ მნიშვნელობა ავუხსნათ, ხოლო ილუსტრაცია არ დავუთოთ. მნიშვნელობა, როგორც წესი, სიტყვა-მარებაში (სხვადასხვა გამონათქვამებში) ვლინდება. კონტექსტის გარეშე სიტყვის მნიშვნელობა ჩვეულებრივ სქემატური და არასარწმუნო ჩანს.

რაც უფრო მეტი გამონათქვამია მნიშვნელობის დადგენისას (და მნიშვნელობათა დიფერენციაციისას) გამოყენებული, მით უფრო სრულად შევძლებთ გამოვავლინოთ მნიშვნელობანი და მით უფრო ზუსტად შეგვეძლება გავმიჯნოთ სხვადასხვა მნიშვნელობა.

გამონათქვამები შეიძლება არ ჰქონდეს სიტყვის ახსნას დართული, მაგრამ სიტყვის ამხსნელი თავის გამოცდილებას მიმართავდეს, ე. ი. მისთვის ჩვეული გამონათქვამებიდან გამოჰყავდეს სიტყვის მნიშვნელობა. ეს არ არის საიმედო გზა, მაგრამ ისიც მოწმობს, თუ რამდენად საჭიროა გამონათქვამები (საილუსტრაციო ფრაზა) მნიშვნელობის დადგენისას, რამდენად აუცილებელია ის სიტყვის ახსნისათვის.

ასეთია ის ზოგადი და მასთან ძირითადი ლექსიკოგრაფიული საკითხები, რომლებიც სხვადასხვა ლექსიკონში სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს გადაწყვეტილი.

¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, გ.სვ. 1101-1102.

*
* *

როგორ გადაწყვიტა ეს ლექსიკოგრაფიული საკითხები საბას „სიტყვის კონამ?“ საბას ლექსიკონი, როგორც ზევითაც ითქვა, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონია. სპეციალურ ლიტერატურაში¹ გარკვეულია, რომ საბა მასზე მუშაობდა თითქმის ორმოც წელიწადს, რომ საბამ დაამუშავა ლექსიკონის სამი ვარიანტი (მოკლე **C**, უფრო სრული **B** და საბოლოო **A**), რომ ამ ვარიანტებს შორის განსხვავება სიმოკლე-სისრულის გარდა სხვა მხრივაც არის (**B** — ვარიანტი უკვე 1716 წელს იყო დამთავრებული. საბას მუშაობა ლექსიკონზე არ შეუწყვეტია შემდეგაც; საბა გარდაიცვალა 1725 წელს ქ. მოსკოვში).

ბუნებრივი იქნება, თუ საბას „სიტყვის კონის“ ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით დახასიათებისას ჩვენ მივმართავთ **A** — ვარიანტს, ე. ი. ავიღებთ ლექსიკონს იმ სახით, რომელიც საბოლოოდ მისცა თავის შრომას საბამ.

1. რა ლექსიკური მასალა შეიტანა საბამ „სიტყვის კონაში?“ საბას ლექსიკონი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონია. ქართული ენა სამწერლო ენის სახითაც გვაქვს და ზეპირი მეტყველების სახითაც (ქართული დიალექტების სახით). თვით სამწერლო ქართულში გაირჩევა ძველი ქართული (V-XI სს. ძეგლთა ენა) და ახალი ქართული (დამთავრებულის სახით XVIII საუკუნიდან მაინც — დ. გურამიშვილი; ახალი ქართულის სათავე — რუსთაველისა და მეხოტბეთა ენაში გვაქვს მოცემული).

რა ლექსიკა შევიდა საბას „სიტყვის კონაში“ — სალიტერატურო ქართულისა თუ ზეპირი მეტყველებისა? თუ სალიტერატურო ქართულისა, რა ქართულია ეს — ძველი ქართული თუ საბას-დროინდელი სალიტერატურო ქართული? ერთი სიტყვით, რა ლექსიკურ მასალას შეიცავს საბას „სიტყვის კონა?“ ესაა პირველი საკითხი, რასაც გარკვევა ესაჭიროება.

¹ იხ. ა. შანიძე. წინასიტყვაობა, რომელიც წამძღვრებული აქვს საბას ლექსიკონს (პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით), 1928, გვ. I-XXXII. ა. ბარამიძე. სულხან საბა ორბელიანის ავტოგრაფული ლექსიკონები — „ენიკის მოამბე“, V-VI, 1940. ილ. აბულაძე. სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები, თბილ. უნივერსიტ. შრომები, III, 1936, გვ. 254-259.

ლ. ქუთათელაძის მონოგრაფიული გამოკვლევა. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბილისი, 1957 წ.; რეზიუმე რუს. ენაზე, გვ. 284-296.

„სიტყვის კონა“ მოიცავს, პირველ ყოვლისა, ძველი ქართული სამწერლო ენის ლექსიკას, მასთან საკმაო სისრულით: ძველ ქართულ ტექსტებში, მათ შორის ხელნაწერებში, ცოტაა ისეთი სიტყვა, რომ საბას ლექსიკონში არ მოიპოვებოდეს.

ძველი ქართულის ლექსიკა, როგორც ეს ნაჩვენებია სპეციალურ ლიტერატურაში, საბას გამოკრებილი აქვს ძველი ქართულის ძეგლებიდან (როგორცაა „დაბადება“, „ოთხთავი“ და სხვ.)¹.

მართლაც, საბა რომ ძველი ქართულის ძეგლებიდან იღებდა სიტყვებს, ეს თუნდაც იმ შემთხვევებიდან ჩანს, სადაც სიტყვასთან გამონათქვამი მოჰყავს ძველი ქართული ტექსტიდან და სიტყვის განმარტება კი მოცემული არა აქვს: ოსქიო: „ძარღუნი და გულის-ბჭენი იქმნებიან მკდომის სახედ და ლაქუარდისა სახედ თანა თხზული ოსქიოთა მიერ და იგი არს ნოტიოთა მმურკნელობითი“ (24 ნემეს)... ლეყეცობა „ლალვა და ლეყეცობა — იყო“; „გრძნებითა და ლეყეცობითა“ (კვიპრიანეს ცხოვრებაში)... საწანგრო „ხოლო საპარიკონომოსო, საწანგრო, საჯორე, სამჭედლო და ხურონი, კალაფატნი, მანდრინნი, ვენაწნი, მენავენი — ესენი იკონომოსის განსაგებელნი არიან“ BC (ეფთვი ქართვ.)... „ვეფხის-ტყაოსნის“ ლექსიკაც დამუშავებული აქვს საბას: კენარი კეთილსანახავი და მოკდომილი (ვეფხის-ტყ.) („ადგენ სოგრატ და ავთანდილ ტანითა მით კენარითა“ C).

მაგრამ საბამ თავის ლექსიკონში შეიტანა არა მხოლოდ ძველი ქართულის ლექსიკა, „ვეფხის-ტყაოსნის“ ლექსიკა, არამედ თავისი დროის სასაუბრო ქართულის ისეთი სიტყვებიც, რომლებიც სამწერლო ძეგლში იშვიათად თუ მოჰყვება ანდა რომელთაც სამწერლო ენა საერთოდ ვერ იგუებს.

სანიმუშოდ დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს.

საძელი — ჭურის სარცხელი²... ორთაყვრი სატივე ხობი³... აჭიმი — ცხენის პირს მოსკუნილი თოკი⁴... აჩაჩა — უღლის ჯარის საწველი⁵, აჩაჩა-ს პარალელურად საბა იხსენიებს ოქოქა-ს: („საწველსა) ორის ჯარისასა ეწოდების ოქოქა და აჩაჩა, ყვერის ჯარისასა არონა, ოთხსა და ხუთს უღელბმულსა ჯილდა და ჯარმრავალსა ბმულსა ერქვანი და ყოველთავე სახელი ერქვანი არს ზოგად“⁶.

¹ ამის შესახებ იხ. ლ. ქუთათელაძე, დასახელებული შრომა.

² მოგვყავს პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით 1928 წ. გამოცემული ტექსტის მიხედვით, გვ. 305.

³ იქვე, გვ. 263.

⁴ იქვე, გვ. 29.

⁵ იქვე, გვ. 28.

⁶ იქვე, გვ. 110.

ერქუანი უკვე ძველმა ქართულმა იცის („დაბადების“ ტექსტშია ნახმარი); ჯილდა საბასავე „სიბრძნე-სიცრუისაში“¹ გვხვდება; ამასვე ვერ ვიტყვით სამი სხვა ტერმინის შესახებ: აჩაჩა, ოქოქა, არონა. მაგრამ ეს სიტყვებიც ქართული ლექსიკის კუთვნილებას წარმოადგენს; ეს სიტყვები დასტურდება დღესაც ცოცხალ მეტყველებაში: აჩაჩა — ქართლში, მთიულეთში, მესხეთში, ოქოქა — ქართლში, არონა — მესხეთში...².

თუ ჯილდა იქცა სამწერლო ენის ფაქტად, აჩაჩა, არონა-ც შეიძლება მწერლობაში ეხმარათ, და, თუ ეს სიტყვები არ არის ნახმარი, იმიტომ კი არა, რომ სამწერლო ენას ეუცხოება ასეთი სიტყვები, არამედ იმის გამო, რომ შემთხვევამ არ მოიტანა. ეგევე ითქმის ისეთი სიტყვების შესახებ, როგორცაა ზემოთ დასახელებული: საძელ-ი, ორთაყვრ-ი, აჭიმი-ი..., ეს სიტყვები მწერლობიდან უცნობი, მაგრამ მწერლობაში — საჭიროების შემთხვევაში — სახმარი და სასარგებლო სიტყვებია.

ამავე რიგისა ჩანს: ერკემალი, უგი, ბატკი... ჩუმა, ჭენჭი... კუკუხო, ყვლივი... ყინტორი, ხორგი, ლიჭყი... ბუწი... ერკემალი მნერბავი ცხოვარი³, ე. ი. ვერძი, ყოჩი... ცოცხალია მოხეურში⁴. უგი უკრაოდ მეწველი (ცხვარი...) ⁵ ამჟამად დასტურდება გუდამაყარში, მთიულეთში, ფშავში⁶... ბატკი ჩიხლი თინაკი⁷. ილ. ჭყონიას ეს სიტყვა დადასტურებული აქვს განსხვავებული მნიშვნელობით: „შემოდგომაზე ნაშობი შინაური საქონელი“⁸. იოს. ყიფშიძეს ზაქის მნიშვნელობით აქვს შეტანილი ეს სიტყვა თავის მეგრულ ლექსიკონში⁹. ჩვენ გავვიგია მეგრულში ბატკი, როგორც ერთი წლის ნეზვი თხა (თიკნის მოგებამდე). საბას ჩვენება ამგვარად ცხადყოფს, რომ ეს სიტყვა ქართულში ცნობილი იყო.

ჩუმა უმი ერბო¹⁰; ცხიმ-თან კი უფრო კონკრეტულად არის მოთხრობილი: „ჩუმა არს ერბო არა მაწონთავან, არამედ სძისაგან გამო-

¹ იხ. „სიბრძნე სიცრუისა“, გიორგი ლეონიძის რედაქციით, 1928, გვ. 73 (არაკი: „მხგნელი, ფეიქარი, მკერვალი“).

² იხ. ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1, 1930, გვ. 155, 159-161.

³ საბა, ქართული ლექსიკონი, გვ. 110.

⁴ ლ. ლეონიძე, მესაქონლეობის ლექსიკა, გვ. 22.

⁵ საბა, გვ. 339.

⁶ ლ. ლეონიძე, იქვე, გვ. 70.

⁷ საბა, გვ. 36.

⁸ ილ. ჭყონია, სიტყვის კონა, პეტერბურგი, 1909, გვ. 6.

⁹ И. К и п ш и д з е. Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, პეტერბურგი, 1914, გვ. 201.

¹⁰ საბა, გვ. 412.

ღებული ერბო“¹. ამავე მნიშვნელობით არის ჩუმა დაცული ფშაურში: „ჩუმა — რძიდან შედღებელი კარაქი“². მნიშვნელობის ცვლით სიტყვა ქიზიყურშიც ცნობილია: „ჩუმა — აუღლებლივ (რძის) ჩადებული მაწონი“³...

„ჭენჭი არს ცხიმი მწვადთა მწვეთარობისაგან და მისთანანი“⁴. გურულს ეს სიტყვა ამავე მნიშვნელობით დაუცავს⁵, ხოლო კახეთში, ქიზიყში ეს სიტყვა საერთოდ, სიმსუქნეს უნდა ნიშნავდეს⁶.

ბუწი თოხლი⁷ („წლის კრავი და მცირედ ნაკლები“)⁸. ბუწი არა აქვს დადასტურებული არც ლ. ლეონიძის ლექსიკონს, არც დიალექტოლოგიურ სხვა ლექსიკონებს (ქიზიყურს, გურულს, იმერულს...). და მაინც ეჭვი არ არის, რომ ეს სიტყვა ისევე რეალური იყო ქართულს მეტყველებაში, როგორც სხვა სიტყვები, რაც საბას მოჰყავს: ზემოთ განხილული მაგალითები ამაში გვარწმუნებენ.

საბასთან მრავლად გვხვდება ასეთი სიტყვები, ზოგი მეტ-ნაკლებად ცნობილი, ზოგიც უცნობი ახლანდელი ქართული მეტყველებისათვის:

კუკუხო — თეძოს ძვალნი...⁹ ყვლივი — მწრის ძვალი¹⁰... ყიული: „უკეთუ ესრეთ შეჰყინა, კაცთა სავალად შეიქმნა, უწოდენ ხორგსა... თუცა ხორგი მოსქდა და შესქელებით ზედ შეაყინა, უწოდენ მოლარსა; გზანი ანუ ადგილნი თოვლთა ნაღნობითა თუ მოიყინა, ლიპი არს; ნაწვეთთა შეყინებულთა გინა ზაფხულის წყაროთაგან შეყინებულთა უწოდენ ყინტორსა; მიწათა ქუეშე გაყინულსა და პირმოხუალსა უწოდენ ლიჭყსა; მიწათა ქვათა ოდენსა შეყინებულსა უწოდენ კოპიჭსა“¹¹.

ლიპა (მოლიპული) ახლაც საყოველთაოდ ცნობილი სიტყვაა მწერლობაში თუ ზეპირმეტყველებაში. ამას ვერ ვიტყვით სიტყვებზე: ხორგი, მოლარი, ყინტორი, ლიჭყი... მათი რეალურობა მკითხველს არ ეეჭვება: ეს სიტყვები და ბევრი სხვაც ასეთი საბას ზეპირი მეტყველებიდან უნდა ჰქონდეს აღებული.

¹ საბა, გვ. 422. „ერბო“ აქ „კარაქის“ გაგებით არის ნახმარი (როგორც გვარეობითი ცნება ერბოსა და კარაქისათვის).

² ლ. ლეონიძე, იქვე, გვ. 88.

³ სტ. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943, გვ. 228.

⁴ საბა, გვ. 422, სიტყვა ცხიმი.

⁵ ლ. ლეონიძე, იქვე, გვ. 93.

⁶ ლ. ლეონიძე, იქვე, გვ. 93; სტ. მენტეშაშვილი, იქვე, გვ. 248.

⁷ საბა, გვ. 48.

⁸ იქვე, გვ. 422.

⁹ იქვე, გვ. 179.

¹⁰ იქვე, გვ. 384.

¹¹ იქვე, გვ. 385.

ზეპირი მეტყველება ასეთ შემთხვევაში დიალექტურს, სამწერლო ენისთვის უცხო არ ნიშნავს. ასეთი სიტყვების დიდი წილი მწერლობაში გამოსადეგი, საჭირო სიტყვაა: საბას ასეთი სიტყვები ძვირფასი განძი აღმოჩნდა სხვადასხვა სამეცნიერო დარგის ტერმინოლოგიის დამუშავებისას ჩვენს დროში.

საბა რომ მხოლოდ მწერლობაში დამოწმებული სიტყვებით შემოფარგლულიყო, ბევრი საჭირო სიტყვა დაგვაკლდებოდა.

შეუძლიათ გვკითხონ: რა ვიცით, რომ საბამ მწერლობის ძეგლებიდან არ ამოკრიბა ეს სიტყვები? იქნებ, ჩვენ არ მიგვიწვდება ხელი იმ წყაროებზე (ტექსტებზე), სადაც ეს სიტყვები იხმარებოდა და საბას კი ხელთა ჰქონდა სათანადო ტექსტები? ერთი სიტყვით, იქნებ საბა სამწერლო ენის ლექსიკით იფარგლებოდა?

ჯილღას-მაგალითზე დავრწმუნდით, რომ ასეთი სიტყვები, მართლაც, შეეძლოთ მწერლობაში ეხმარათ (აი, თუნდაც მაგალითისათვის, ვაჟას ლექსი „შემოდგომა მთაში“, სადაც ისეთი „პროზაული“ სიტყვები ამოტივტივდება, როგორცაა: ვაცი, ბოტი; „მიურიანებს ცხვრის ფარას, ჯოხს უქნევს ვაცსა წინასა, ბოტიც დადებით მიჰბოტავს, ყვინი რით სჯობს იმასა?“ — ვაჟა-ფშაველა, თხზულ., ტ. 1, 1946, გვ. 309). მითუ უფრო ადვილად შევიდოდა მსგავსი სიტყვები პროზაულ ტექსტში; ასე, მაგალითად, ისტორიულ ტექსტში ვკითხულობთ: „...ციხით გამოღმართ ციხისთავმან აგინა მეფეს და რქუა: „ვაცის წუერნი გასხენ, ვაც-ბოტისა კისერი გათქს“; ჯუანშერი: ცხორება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასლისა¹.

ასეთი შემთხვევები საბას იმ ლექსიკაშიც შეიძლება გვქონდეს, რომელიც ჩვენ ზეპირი მეტყველებიდან მიგვაჩნია მომდინარედ. ამისდა მიუხედავად, სრულიად უდაოა, რომ საბას თავის „სიტყვის კონაში“ მოეპოვება ისეთი მასალა, რაც ტექსტებიდან არ შეიძლებოდა ამოეკრიბა: ასეთია, ვთქვათ: „ბული-ბული — ღერღედის ხადილი“² (ე. ი. ბატის მოსახმობი), ანდა: „ბუხუნი — ღორისა და ლომის რისხვს“ ვმაჯ³... და მით უფრო სკორის ნაირსახეობანი (სკინტი, ცურცილი, დენგრა, კურკლი,... ჩონჩორიკი, მჩორე...) ⁴. აქ საბას ჩამოთვლილი აქვს ცხოველთა, ფრინველთა განავლის სახელები; არ დაერიდა საბა ადამიანის განავლის სახელიც მოეხსენებინა (ეფემისტური საშუალების გამოუყენებლად); არ გამოუტოვებია საბას ისეთი სათაკილო სიტყვებიც, რომელნიც წიგნის მეტყველებაში საერთოდ არ იხმარება.

¹ იხ. ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, სიმ. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1942, გვ. 46.

² საბა, გვ. 46.

³ იქვე, გვ. 48.

⁴ იქვე, გვ. 319-320.

ქართული სიტყვა, სამწერლო ძეგლებში ხმარებულიცა და მწერლობაში უხმარიც, საბას ქართული ენის კუთვნილებად მიაჩნდა და „ენის სისრულისათვის“ შეჰქონდა ლექსიკონში.

თავის ანდერძნამაგში (ანდერძის წერილში) საბა ამ საკითხზე თავის შეხედულებას ასე გადმოგვცემს: „ამა წიგნთა შიგა არიან სახელნი კეთილნი და ბოროტნი, საქებელნი და საძაგებელნი, უბადონი და ცუდნი. არა თუ კიცხვისათვის აღმიწერია, რათა საქირდლად იპყრათ, არამედ ენისა სისრულისათვის აღვსწერე. თუცა უბადო სახელი აღმოიპოვოს, მერმელა უდარესი მოაკლდეს უადრესსა, და ღმერთი-ლა დარჩეს უკეთესი და სხუა არა-რა, და შემცირდების ენა ქართული. ვიცი, მრავალნი საბასრობელად დასდებენ ნაშრომთა ამათ ჩემთა. მათ, თუცა წერილნი უყუარან, მრავალნი სხუანი წერილნი არიან, სამღთონი და საერონი, და რომელიც ენებოსთ, იგი იკითხნენ, ხოლო ესე ჩემებრ უცებისათვის აღიწერა და დაუტეონ...¹.

საბამ თავის ლექსიკონში შეიტანა როგორც ძველი ქართულის ძეგლებიდან ამოკრებილი სიტყვები, ისე „ვეფხისტყაოსნისა“ და შემდგომი ხანის მწერლობის ლექსიკური მასალა, და გარდა ამისა მრავალი სიტყვა მისი დროის ზეპირმეტყველებიდან. ამრიგად, საბას „სიტყვის კონა“ მთლიანად **ქართული ენის საუნჯედ** გვევლინება (და არა მხოლოდ სალიტერატურო ქართულის ლექსიკონად). იმ სიტყვების აღნუსხვითა და ლექსიკონში შეტანით, რაც სამწერლო ძეგლებში არ დასტურდება, საბამ მრავალი სიტყვა, აწ დავიწყებული, ქართულ ენას შემოუნახა და მით ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ქართული ენისა და ქართული კულტურის ისტორიას.

საბას ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისი („სიტყვა ნაირ-ნაირია, მაგრამ ენის სისრულისათვის ყველა საჭიროა“) ფართოა, ღრმად მეცნიერული და დიდად წინ უსწრებს თავის ეპოქას: მაშინ „უბადო“ (სათაკილო) სიტყვებს უფრო გაუბრბოდენ ვიდრე ახლა, ხოლო „უბადო“ სიტყვად ისეთი სიტყვები მიაჩნდათ, რაც ახლა ლიტერატურულ ენაში ჩვეულებრივ იხმარება.

1694 წელს გამოვიდა ფრანგული ენის აკადემიური ლექსიკონი. საბა იყო ლუი XIV-ის დროს (1713-14 წ.) საფრანგეთში და, ცხადია, საშუალება ჰქონდა გაეცნო ფრანგული ენის აკადემიური ლექსიკონი, — ლექსიკონი მკაცრად ნორმატული ხასიათისა და მკვეთრად განსხვავებული ამ მხრივ საბას „სიტყვის კონისაგან“.

¹ საბა, გვ. 03. ხაზი ჩვენია — ა. ჩ.

2. რა არის მიჩნეული ლექსიკურ ერთეულად საბას „სიტყვის კონაში“? ლექსიკურ ერთეულად საბასთან გვაქვს ყველა მეტყველების ნაწილი: არსებითი სახელი (მასთან საზოგადოდასაკუთარიც): სახლი, კაცი, ქალი, ბაგე, ცხოვარი, ცხენი, ვაშლი, მწყემსი, კამარა, ქარი, ფერი... არისტოტელი, სოლომონ, სტეფანე, აბიმელიქ, იაკობ, იასონ, სალომე..., გეოგრაფიული: სოდომი, ლავრინთო, ლაკედემონია...¹, ზედსართავი: ახალი, ლალი, ლამაზი, ჭრელი, ძნელი..., რიცხვითი: ერთი, ორი, სამი, ოთხი... ათი... ასი... ათასი... პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე... ნასამალი, ნაოთხალი..., ნაცვალსახელი: მე, შენ, ის... ჩემი, შენი, მისი... მან, მაგ..., მიმღეობა: მწველი, შემწველი, მძებნელი, მწოვარე, მძრწოლვარე, მკრებელი, მლოდინე, მამცნე, მზარდული, მზრდელი... მკული, შემკული, აწყუედილი, გაბედითებული, დაწმედილი, დადღეტილი, დაჩხირული, გამოქანდაკებული, განკურნებული, შეკრული, შესვარული... სასროლი, სათხოელი, სავსებელი, სათლელი, საზიდავი, საკრეფი, საძებნელი, სახვეწარი... ზმნისართები: აქა, მანდ, იქი... გუშინ, ხვალე, ზეგ... ქუემ, ქუეშე, ზეით, გაღმართ... წინ, უკან... უკუე... შინაგან... კავშირები: რომ, თუ, მაგრამ, ვინაითგან... თანდებულები: ზედ, ში, თანა, გან...

ზმნას, ცხადია სათანადო ადგილი აქვს დათმობილი.

არსებითი სახელი ლექსიკონში შეტანილია სახელობითი ბრუნვის ფორმით: ხმოვანფუძიანები უინოდ (მამა, ძე, მზე, სოკო, ყრუ...), თანხმოვანფუძიანები სახელობითის -ი ნიშნის დართვით (კაცი, ცხოვარი, კედელი, კამბეში, ეკალი, თოჯი, თოფი, მარცხი...).

რაც შეეხება ზმნას, აქ საბა ძირითადად ნაზმნარ არსებით სახელებს იძლევა: კვება, კვნეტა, მოსლვა, მოსრვა, მოსუსხვა, მოსხმა, მოტანა, მოცილვება..., მაგრამ აქა-იქ ზმნის პირიანი ფორმებიც მოპყავს, ასე, მაგალითად, მოცილვება-ს² გარდა ცალკე ერთეულად წარმოდგენილია მოსცილდა³.

სპეციალურ ლიტერატურაში ნაჩვენებია, რომ ზმნის პირიანი ფორმებიდან საბა უპირატესად ნამყო ძირითადის (რა ქნა?) მესამე პირს ასახელებდა, მასთან მეტ წილად პრევერბებთან: გააბა, გააბატონა, გააბედვინა, გააბნია, გააბრიყვა... დააბა, დააბადებინა, დააბარა, დააბეგვინა, დააბეზლა, დააბმევინა, დააბნელა, დააბრალა, დააბრმო, დააბრუნა... მოასწავა, მოგო-

¹ პირთა და გეოგრაფიულ სახელთა შეტანით საბას „სიტყვის კონა“ ენციკლოპედიური ხასიათის ლექსიკონს მოგვაგონებს.

² საბა, გვ. 225.

³ იქვე, გვ. 233.

ზა, მოვიდა, მოთიბა, მოიბა, მოიკანტურა, მოიპარა, მოისუენა, მოიცვა, მოიწია... შეაქცია, შეაშვს, შეეგება, შეევაჭრა... შეეწია... ჩავიდა, ჩაიტანა... წაართვა, წაასვენა, წაიტანა... (ზმნის სხვა ფორმები, საბას ლექსიკონში რომ გვხვდება, მეტწილად ზოსიმეს ჩანამატებად ითვლება)¹.

ზმნის ფორმის შეტანა ლექსიკონში, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ (გვ. 60), ცნობილია რიგი ენიდან (ძველი ბერძნული, ლათინური, არაბული...). მაგრამ ქართული ენის ლექსიკონისათვის ზმნის ლექსიკურ ფორმას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება: ლათინურში ანდა რუსულში რომ პირიანი ფორმა მოვაშორეთ და ლექსიკონში მხოლოდ ინფინიტივი დავტოვოთ, ამით ზმნას არა დაუშავდება-რა: რაკი ზმნას ინფინიტივიც აქვს, ლექსიკონში ზმნური ერთეული ინფინიტივით მაინც იქნება წარმოდგენილი (*scribo* — пишу, *scribere* — писать). ქართულში სხვა ვითარება გვაქვს: ქართულ ზმნას ინფინიტივი არ მოეპოვება: წერა, კითხვა, ჭრა, კერვა, შენება არის არა ინფინიტივი *писать, читать, кроить, шить, строить*, არამედ მასდარი (ნაზმნარი არსებითი სახელი): *писание, чтение, кройка, шитье, стройка*; მართალია, მასდარსაც შესწევს უნარი განყენებული მოქმედება გამოხატოს, მაგრამ მას არ ძალუძს გააჩიოს ის, რასაც ინფინიტივი განასხვავებს; მაგალითად, ქართული ზმნა ისევე განასხვავებს ვნებითს, როგორც რუსული (*строить* აშენებს მას, *строится* შენდება); შესაბამისად სალექსიკონო ერთეული რუსულში ორი გვექნება: მოქმედ. *строить*, ვნებითი *строиться*, ქართულში კი მხოლოდ ერთი: შენება, ე. ი. ორი ზმნური ერთეულის (აშენებს, შენდებას) ნაცვლად ერთი: მასდარი (შენება) მოქმედებითსა და ვნებითს გვარებს არ განასხვავებს (ისევე, როგორც რუსული *стройка*)². ამრიგად, ინფინიტივის უქონლობა ხელოვნურად ამცირებს ზმნის ლექსიკურ ერთეულს, ქმნის არასწორ წარმოდგენას ქართული ზმნის ლექსიკური შესაძლებლობის შესახებ. მასდარის წყალობით იჩრდილება არა მხოლოდ ვნებითი, არამედ სასუბიექტო და საობიექტო ქცევა: იშენებს, უშენებს, უშენდება ისეთივე ლექსიკური ერთეულებია, როგორცაა ვნებითი *строится* შენდება, ლექსიკონში კი არ აისახება, რაკი მათ მასდარი (შენება *стройка*) ვერ განასხვავებს.

¹ ამ საკითხებზე იხ. ლ. ქუთათელაძე. ხსენებ. შრომა, გვ. 93; აგრეთვე გვ. 87 და შემდ.; იხ. აგრეთვე ა. შანიძის წინასიტყვაობა, გვ. XXIII-XXIV.

² გარდა ამისა მასდარი რიგ ზმნებს არც ეწარმოება: გაამწვანებს — გამწვანდება, მაგრამ: ამწვანებს — „მწვანება“ არ ითქმის: ასევე: ადარებს, ახარისხებს, ალამაზებს და მათი რიგის ზმნებს მასდარი არ ეწარმოება (შედარება დაახარისხება, გალამაზება შეეფერება პრევერბიან წარმოებას: შეადარებს, დაახარისხებს, გაალამაზებს...).

ბუნებრივია პირიანი ფორმა გამოვიყენოთ სალექსიკონო ერთეულად, რომ ხელოვნურად არ გავადარებოთ ლექსიკური ერთეულებით ქართული ზმნა, რომ ქართული ზმნის ლექსიკური სიმდიდრე სათანადოდ აისახოს ლექსიკონში.

საბას ცდას, შეეტანა ლექსიკონში ზმნის პირიანი ფორმა, აკლია თანამიმდევრობა (ზოგი ზმნისა შეაქვს, ზოგისა — არა), მაინც ამ ცდას დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს: იგი გვანიშნებს საშუალებას, რომლის მეოხებითაც ქართულ ზმნას შეეძლება ისეთი ადგილი დაიკავოს ლექსიკონში, როგორც მას აქვს ქართულ ენაში¹.

ამრიგად, ლექსიკურ ერთეულთა საკითხშიც საბას „სიტყვის კონა“ ქართული ენის ბუნების შესაბამის ორიგინალურ გზებს სახავს, მაღალ ლექსიკოგრაფიულ დონეზე დგას.

3. რ ა თ ა ნ ა მ ი მ დ ე ვ რ ო ბ ი თ ლ ა გ დ ე ბ ა ლ ე ქ ს ი კ უ რ ი ერთეულები? საბა ანბანის რიგს მისდევს და ყოველ ასოზე სიტყვებს ალაგებს ამ წესის შესაბამისად:... კალთა, კალია, კალმახი, კალნაბი, კამათელი, კამათობა, კამარა, კამბეში და ა. შ. ანბანის რიგზე სიტყვათა გაწყობისას ერთი და იმავე ფუძის სიტყვები სხვადასხვა ასოზე მოვა: ს ა - ხ ლ ი — ს-ზეა, მ ო ს ა ხ ლ ე — მ-ზე, ნ ა ს ა ხ ლ ა რ ი — ნ-ზე, გ ა რ დ ა ს ა ხ ლ ე ბ ა — გ-ზე (ამ წესის უპირატესობაზე ფ ა რ თ ო მ ო - ხ მ ა რ ე ბ ი ს ლ ე ქ ს ი კ ო ნ ე ბ შ ი — იხ. ზემოთ, გვ. 62).

ბუდეებზე რომ დაგველაგებინა სიტყვები, ს ა ხ ლ -თან მოიყრიდა თავს ყველა სიტყვა, რაც ამ ფუძეს ეყრდნობა წარმოებისას: მ ო ს ა ხ ლ ე , ნ ა ს ა ხ ლ ა რ ი , გ ა რ დ ა ს ა ხ ლ ე ბ ა , გ ა დ მ ო ს ა ხ ლ ე ბ ა , ს ა ხ ლ -კ ა რ ი , უ ს ა ხ ლ კ ა რ ო ...

საბას ლექსიკონში გვხვდება ბუდეებიც, მაგრამ ეს სხვაგვარი ბუდეებია, მასში გაერთიანებულია ს ა გ ნ ო ბ რ ი ვ ა დ დაკავშირებული სიტყვები (და არა ერთი ფუძიდან ნაწარმოები სიტყვები). ასე, მაგალითად:

კ ა ც ი ს ბუდეში საბას შეტანილი აქვს: მ ა მ ა ც ი , დ ი ა ც ი , ც ო - ლ ი , შ უ ლ ი , ძ ე , ა ს უ ლ ი , ვ ა ჟ ი , ქ ა ლ ი , ჩ ჩ უ ლ ი ... უ ს უ ა რ ი ... ნ ი ნ ვ ე ლ ი ... ჭ ა ბ უ კ ი ... ყ რ მ ა ... მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ი ... მ ა მ ა ბ ე რ ი , დ ე დ ა ბ ე რ ი ... მ ი ხ რ წ ნ ი ლ ი , ჭ ა რ მ ა დ ი , მ ვ ც ო ვ ა ნ ი ...

¹ ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში (ტ. I-VIII) სწორედ ამ გზით არის გადაწყვეტილი საკითხი: ზმნურ ლექსიკურ ერთეულად მიღებულია პირიანი ფორმა (აწმყოს მესამე პირი) და ლექსიკონშიც ასახულია ვნებითიც და ქცევებითც (სასუბიექტო, საობიექტო), ლექსიკონებში ჩვეულებრივ მხოლოდ „ჩატანა“ იხსენიება; საბას აქვს ჩ ა ი ტ ა ნ ა -ც — იხ. ზემოთ; ჩვენ გვექნება: ჩ ა ა ტ ა ნ ს , ჩ ა ი ტ ა ნ ს , ჩ ა უ - ტ ა ნ ს , ჩ ა ი ტ ა ნ ე ბ ა , ჩ ა ე ტ ა ნ ე ბ ა , ჩ ა ა ტ ა ნ ი ნ ე ბ ს ... მ ა ს დ ა რ ი ც : ჩ ა - ტ ა ნ ა , ჩ ა ტ ა ნ ი ნ ე ბ ა .

ერთი სიტყვით, აქა გვაქვს სქესის მიხედვით გარჩეული ადამიანი სხვადასხვა ასაკისა. არც ერთი ამ სიტყვათაგან კაც — ფუძისაგან ნაწარმოები არ არის; მაშასადამე კაცის ბუდე — ლექსიკური ბუდე — აქ არა გვაქვს (კაცის ბუდე — ლექსიკური ბუდე, იქნებოდა: კაცი, კაცურ-ი, კაცობს, კაცობა, კაცობრივ-ი, კაცობრიობა, საკაცობრიო, უკაცურ-ი, უკაცრავად, საკაცე...).

ბუდეებზე გაწობისას ლექსიკონებში სიტყვებს აერთიანებს საერთო ფუძე, საბას ლექსიკონში კი ბუდე ემყარება გვარეობითს ცნებას, როგორც ძირითად ცნებას, და მასთან თავს უყრის სახეობითს ცნებებს; ასე, მაგალითად, ცხენ — ცნებასთან, როგორც მისი სახეობანი, ნაჩვენებია: ახტა, ჯრდალი და ჭაკი, კიცუ, ურა, ფაშატი, აჯილდა, ტაიჭი, საჯედარი, ჰუნე და ჯინიბი (მარქაფა), რემა, გერგე... მუტრუკი, კარაული...

ასევე ცხოვარ — ცნებასთან გვაქვს: ვერძი, ნერბი, კრავი, ტარიგი, ბატკანი, ბუწი, შიშაგი, აზმანი, ჭედილი, სადგამი, ერკემალი, უგი, ქარაბიჭა, ჟოჟორაკი. მოვიყვანოთ ნიმუშები.

„ცხენი (31 ფს.) მამალსა ცხენსა ეწოდების ახტა და დედალსა — ჯრდალი და ჭაკი; შვილთა მათთა კიცუ, რომელსა მსოფლიონი კვიცად ეწოდენ, ხოლო კიცუსა ახტასა ურა და ჯრდალსა ფაშატი ეწოდების; სარემავსა კურატსა — აჯილდა; გამოყუერილსა — ტაიჭი; აღსაჯდომელსა ცხენსა — საჯედარი; გვარიანსა და კეთილსა ცხენსა — ჰუნე და ჯინიბი, რომელ არს მარქაფა; უმწყისა ცხენსა — რემა; ასაკმცირესა ცხენსა — ...გერგე; ვირთა და კერძოვირთა, რომელ არს ჯორი, ახტა და ჯრდალობა ითქმის, ხოლო კიცუსა მათთა — მუტრუკი, და აღსაჯდომელსა ვირსა — კარაული“¹.

ამოსავალი ცნება (გვარეობითი ცნება ცხენი) საბას განუმარტავად აქვს დატოვებული (ალბათ, ივარაუდება, რომ არ მოითხოვს ახსნას, ცნობილია). ენაში არსებული გაგება ლოგიკურ დანაწევრებას ყოველთვის როდი მიჰყვება და ეს ქმნის სიძნელებს; ხან ცნებათა გამიჯვნა ჭირს, ხან ერთ ცნებას ერთზე მეტი სიტყვა აღნიშნავს (სინონიმები)... და ეს იგრძნობა ბუდეში მოქცეულ ცნებათა განმარტებისას.

მაგალითად: ჯრდალი და ჭაკი სინონიმებია, მაგრამ ეს სიტყვები მარტოოდენ ცხენზე არ ითქმის („ჭაკი, ჯრდალი ცხენი და ვირი“)²; ალბათ, ამის გამო მოექცა ვირი ცხენის ბუდეში. ჯიშის კარგი ცხენის („გვარი-

¹ საბა, გვ. 421.

² იქვე, გვ. 444.

ანი და კეთილი ცხენი“) აღმნიშვნელი სამი სინონიმი აღმოჩნდა: ჰუნე, ჯინიზი, მარქაფა — განსხვავებული წარმომავლობისა და ნაწილობრივ მნიშვნელობის მხრივაც... „ცხენის შვილთა კიცვ, რომელსაც სოფელელნი („მსოფლიონი“), კვიცს უწოდებენო... კიცვ ძველი ქართულის ფორმაა, კვიცი — ახალი ქართულისა: კვიცი ← კიცვი...“

სინონიმების საკითხი, ძველი ქართულისა და ახალი ქართულის ვარიანტების საკითხი დაიჩრდილა იმის გამო, რომ სიტყვათა ახსნა ცნებათა კლასიფიკაციას დაექვემდებარა. ამ რიგის უხერხულობანი სხვაგანაც იგრძნობა.

მაგალითად, არის შემთხვევა, როცა ზოგადი გვარეობითი, ცნება არ შეირჩა, და ამოსავლად სახეობითი ცნება გამოუყენებია საბას:

ზუჩი: ზუჩნიცა არიან ხუთგვარნი: რომელსა თავსა დასარქმელი რკინა აქუს, რომელსა კვერცხად სახელსდებენ, ხოლო ზარადი წინა-უკანით გრძლად აქუს, იგი არს ზუჩი, რომელნიმე მუზარადს უწოდენ; არს მსგავსი ზუჩისა, თავს-დასარქმელი, საცხვირე გრძელი და არა ზარად¹-ვლებული... იგი არს ჩაფხუტი; და არს თხემსა ზედა მცირე პოლოტიკი და ზარადი, კისრის (+და ყურთა) კერძოთა და პირსა — არა, იგი არს ჩაჩქანი, და სხვ. არს, რომელსა პოლოტიკი არა აქვს, თავს სახურავი ლიტონი ჯაჭვია — იგი არს „ჩაბალახი“².

ზუჩი, ჩაფხუტი, ჩაჩქანი, ჩაბალახი — ამათგან ყოველი სახეობითს ცნებას აღნიშნავს: ეს ცხადია განმარტებიდან („თავზე ჩამოსაცმელი რკინა, წინ და უკან გრძლად რომ ჩამოდის — ესაა ზუჩიო; საცხვირე გრძელი თუ აქვს, მაგრამ უჯაჭვოა — ჩაფხუტი იქნება; თუ თავზე რკინაა და ჯაჭვი კისერსა და ყურს ფარავს, პირს კი — არა, ჩაჩქანია...); ერთი ამათგანი აიღო საბამ და ბუდე მის გარშემო ააგო.

თავისებური შინაარსის სიტყვები აქვს საბას გაერთიანებული ბუდეში ძონძი: „ძონძი არს ყოველივე სამოსელთაგან ძველი და ნაგლეჯი; ბებკი — ძველი ძველზე დაკერებული; ფარატინი — ბებკის ნაგლეჯი რამე; ჯინჯოთი — ჩოჯის ნაგლეჯი; ბრანძი — ძონძი ფარატინისა“³. ძონძის, ბებკის, ფარატინის, ჯინჯოთისა და ბრანძის, ვითარცა ცნების დახარისხება და ლოგიკურ იერარქიაში მოქცევა, ცხადია, თანამიმდევრული ვერ იქნებოდა (იხ. ბრანძი — ფარატინის ძონძი!).

ამგვარი ნაკლისდა მიუხედავად საბას საგნობრივ-ცნებითი ბუდეები ენათმეცნიერულადაც და კულტურის ისტორიის თვალსაზრისითაც დიდი შემეცნებითი ღირებულებისა ჩანს.

¹ „ზარადი — ზუჩის ჯაჭვ“ — იქვე, გვ. 127.

² იქვე, გვ. 132.

³ იქვე, გვ. 427.

„ცხოვარი (26,14 დაბდბ.): ცხოვარსა მამალსა ეწოდების ვერძი და დედალსა ნერბი; ხოლო შვილთა მათთა კრავი; დიდსა კრავსა და უბიწოსა ტარიგი; ჩივლსა კრავსა — ბატკანი; წლის კრავსა და მცირედ ნაკლებსა — ბუწი; წელიწადს უკან — შიშაგი; ორი წლისასა — აზმანი, გამოყუერილსა — ჭედილი, კეთილურუხიანსა — სადგამი, და მნერბავსა — ერკემალი (ერკემელი); ცხოვარი თუ თხა, რომელიც უკრაოდ იწველის — უგი; უჟამოდ დამაკებულსა კრავსა და თიკანთა ქარაბიჭად სახელსდებენ; მჭლესა და ცუდსა ცხოვარსა — ბალდი, რომელ არს ჟოჟორაკი (პატრუჭაკი)“¹.

ძვ. ქართულის ტარიგი („დიდი კრავი და უბიწო“) აქ ხელოვნურად არის ჩაჩხერილი კრავსა და ბატკანს შორის... მჭლე ცხვარი ბალდიც გამოდის და ჟოჟორაკიც (პატრუჭაკიც!). ცხადია, ამათი რაობა არ არის მთლად ნათელი, და ადგილიც მონათესავე ცნებათა იერარქიაში ერთგვარად ხელოვნური ჩანს. მართლაც, ბალდი თავის ადგილას ბ-ასოზე ახსნილია, როგორც „მჭლე საკლავი“, ხოლო **ჟ** — ასოზე ჟოჟორაკი საბას განმარტებული აქვს ხბოდ, ხოლო **ზროხა** — ბუდეში ვკითხულობთ: „ნასუქარსა ვბოსა (ეწოდების) ზუარაკი, რომელ არს ჟოჟარაკიო (მართალია, აქ ჟოჟარაკი გვაქვს და არა ჟოჟორაკი, საფიქრებელია, ეს ერთი და იგივე იყოს; ჟოჟარაკიც აკი ერთგან ხბოა, მეორეგან — ნასუქარი ხბო).

სიტყვა ყოველთვის როდი გადმოგვცემს ლოგიკურ ცნებას, როდია ტერმინი. ამიტომ ბუნებრივია, რომ სიტყვათა მიხედვით ცნებათა იერარქიის ჩამოყალიბება ჭირს. საბას საგნობრივ ცნებათა ბუდეები ამისდა მიუხედავად, ვიმეორებ, დიდად ფასეულია.

„ზროხა ზოგადი სახელი არს ყოელთა ზროხათა, ხოლო მამალსა ზროხასა ეწოდების ვარი და დედალსა — ფური; ხოლო შვლთა მათთა ვბო; ნასუქარსა მათსა — ზუარაკი, რომელ არს ჟოჟარაკი(!); ნახევარ წლისას — ბარაკეული; საჯარესა — წლამდის — ბოჩოლა, და საფურესა — მოცედი; წელიწადზე მეტსა საჯარესა — მოზუერი და საფურესა დიაკეული; ორი წლის ვარსა — ბოიკი; საკლავად მსუქანსა — უსხი; საკიდარსა ვარსა — აზავერი; გამოუყვერავს ვარსა — კურო და მისსა უმცროსსა კურაკი; შეწირულს — ზუარა; ირემთა და მისთანათას ტოლსა ვარად და ფურად იტყვან“².

¹ საბა, გვ. 422.

² იქვე, გვ. 131.

ფაქიზად აქვს საბას დახასიათებული სიცილის ნაირსახეობანი:

სიცილი (9,21 იობ): განყოფანი სიცილთანი ესე არს: ღიმილი არს სიცილი სიმუჯდით უჯმო, ბაგეთა ოდენ შეეტყობოდეს; სიცილი არს — მცირედ ჳმიანი და მდაბალი; კაშკაში არს სიცილი მაღალი და მოვლომილი; კასკასი არს სიცილი მაღალი და წულილი; რახრახი (ხარხარი B) არს სიცილი მაღალი და უმვერი; თქართქარი არს სიცილი, მრავალთაგან შევმობილი; დინცილი არს სიცილი მიწყვი უწყესო; ხოლო ფრუსტუნი — ვის არ ენებოს სიცილის გამოჩინება და ერთს საცინელს საქმეზედ წარსცინოს და მალიად დაიდუმოს¹.

ეთნოგრაფიული თვალსაზრისით საინტერესოა ჩუქებაზე თქმული. „ჩუქება: ჩუქება, ნიჭი, ბოძი და ძღუენი განიყოფებიან: რამეთუ ჩუქება არს სტუმარს რაჟ მასპინძელმა მისცეს რამე; ხოლო ნიჭი — უადრესისაგან უდარესის მინაცემი, და ძღუენი არს მოყუარემან მოყუარეს ანუ სწორმან სწორს შორით წარუგზავნოს, გინა უდარესმან უდარესსა მიუძღუნას, ანუ თვთ მიაართვეს; ხოლო ბოძი არს, პატრონმან რა თუსა ყმასა თუსითა ველითა მისცეს რამე; კაცისა და უსტარისა გაგზავნასა და ეგვეითართა ბოძად (ბოძებად) ვიტყვით“².

აჩუქა, მიანიჭა, უძღვნა, უბოძა — სინონიმებია, რამდენადაც ყოველი ამ სიტყვათაგანი მიცემას გულისხმობს, განსხვავებას კი ისა ქმნის, ვინ ვის აძლევს: სტუმარს მასპინძელი აჩუქებს, „უადრესი“ (ღიდი ვინმე, საზოგადოებრივად უფრო მაღლამდგომი) მიანიჭებს რასმე მასზე დაბლა მდგომს, ბატონი ყმას უბოძებს, ხოლო სწორი სწორს (ანდა მოყვარე მოყვარეს) უძღვნის რასმე (ძღვენი იქნება აგრეთვე მდაბიომ წარჩინებულს თუ მიაართვეს)...

საბას ლექსიკონის ბუდეები საგანგებოდ შესწავლის ღირსია. ჩვენ მოვიყვანეთ რიგი დამახასიათებელი ბუდე, რომ ხელშესახები ყოფილიყო, რას ნიშნავს ბუდეები საბას ლექსიკონში: ეს ბუდეები სიტყვების ბუდეებად დალაგებას არ ნიშნავს, ე. ი. საბას ანბანის რიგზე გაწყობილ სიტყვებში ბუდეების პრინციპი კი არ შეუტანია, არამედ განმარტებითს ლექსიკონს ენციკლოპედიური ლექსიკონის ელემენტები შესძინა.

ისტორიულ პირთა და გეოგრაფიულ პუნქტთა სახელების შეტანა საბას განმარტებითს ლექსიკონში კვლავ ენციკლოპედიური ლექსიკონის ელემენტებს გამოგვივლენს.

ამ მხრივაც საბას „სიტყვის კონა“ ლექსიკოგრაფიული ამოცანის ორიგინალურ გადაწყვეტას იძლევა.

¹ საბა, გვ. 318.

² იქვე, გვ. 412.

რა ახასიათებს სიტყვათა ახსნას საბას ლექსიკონში? სიტყვის ახსნის ხერხები, საბა რომ იყენებს ლექსიკონში, ნაირნაირია და ცალკე შესწავლის ღირსია. აქ მხოლოდ ზოგ გარემოებას მივაქცევთ ყურადღებას. როგორც წესი, საბას განმარტება არსებითს, დამახასიათებელს გვანიშნებს, სხარტი და მარჯვეა (თუმცა ხშირად აკლია სისრულე და გარკვეულობა): „ყუდრო — ადგილი ქარ-უხუედრო“... „ქარქუეტი — ვმელი კაჭაჭი“... „სულუგუნი — გადაზელილი ბრტყელი ყველი“... „სიძუნწე — არა უხუება“... „ნეჭა — სუფთა ჭილობი“... „ოდო წვამზიანით ნაწყენობა“... „საკარცხული მცირე სკამლოგინი“... „ქითონთი — საბლარდნელი რამ“... „ქობური — ხის ბურთი“... „ჩიბე — ღორთა და თაჯუთა საწოლი“... „წითელა — სენია“... „ხათაია ნაქსოვია ერთი“... (უკანასკნელ ხუთ განმარტებაში მხოლოდ გვარეობითი ცნებაა მოცემული, მაგრამ რაც განასხვავებს ამ სახეობას, ნაჩვენებია არაა; წითელა სენია... ქობური ხის ბურთია... როგორი?).

სიტყვის მნიშვნელობა დანაწევრებული არ არის (საბა მხოლოდ ძირითადს მნიშვნელობაზე მიუთითებს); ზოგი სიტყვა, საყოველთაოდ ცნობილი, აუხსნელად არის დატოვებული (ასეთია, მაგალითად: კაცი, სხეული, ცხოვარი, ზროხა, ტირილი, მრუდი... მეტწილად გვარეობითი ცნებები).

საილუსტრაციო გამონათქვამები, როგორც წესი, სიტყვას არ ახლავს. გამორკვეულია¹, რომ „ძნელ სიტყვებს“ საბა დოკუმენტაციას ურთავდა, ხოლო, როცა სიტყვის მნიშვნელობას დაადგენდა, დოკუმენტაციას (საილუსტრაციო გამონათქვამს) შლიდა (ბევრგან მაინც დატოვებულია მითითება წყაროზე: ნაჩვენებია ნაწარმოების ადგილი, სადაც სიტყვა იპოვება). გასაგებია ამიტომ, თუ საბას ლექსიკონში აუხსნელად დარჩენილ სიტყვებთან, მოცემულია ტექსტიდან ამოღებული საილუსტრაციო გამონათქვამი.

ქართულ სიტყვას საბა ქართულადვე განმარტავს, მაგრამ საბა სხვა ენებზე (სომხურზე, თურქულზე, იტალიურზე) თარგმანსაც ხშირად ურთავდა².

განმარტებასთან დაკავშირებულია უფრო კერძო ხასიათის რიგი სხვა საკითხი (მაგალითად, სინონიმების, ომონიმების საკითხი), მაგრამ მათ აქ ვერ შევეხებით.

¹ ლ. ქუთათელაძე, დასახელებული შრომა, გვ. 58.

აქ. შანიძე, წინასიტყვაობა საბას ლექსიკონის 1928 წლის გამოცემისა, გვ. XV-XIX.

² იქვე.

1634 წელს საფრანგეთში — რიშელიეს ინიციატივით — აკადემია დაარსდა. აკადემიას მიზნად დაუსახეს ფრანგული ენის ლექსიკონი შეედგინა და ფრანგული ენის გრამატიკა დაემუშავებინა.

ლექსიკონზე მუშაობას აკადემია 1638 წელს შეუდგა. 1674 წელს, ე. ი. 36 წლის შემდეგ, — ლექსიკონი გამოიცა.

საბამ ლექსიკონზე მუშაობა 1685 წელს დაიწყო და 1716 წელს „გასარულა“¹. ფრანგული ენის ლექსიკონს აკადემია ადგენდა. სპარსეთისა და თურქეთისაგან აწიოკებულ საქართველოში ერთმა პირმა იკისრა იმის გაკეთება, რაც ლუი XIV-ის საფრანგეთში აკადემიის საზრუნავ საგანს წარმოადგენდა.

უბაღლო ნიჭმა და მშობლიური ენის, მშობელი ქვეყნის თავდადებულმა სიყვარულმა შეაძლებინა საბა-სულხანს შეექმნა ქართული ენის ლექსიკონი („სიტყვის კონა“), — ქართული ენის საუნჯე, შრომა, რომლის მნიშვნელობაც ქართული კულტურის ისტორიისათვის მით უფრო ნათელი გახდება, რაც უფრო გამოწვლილვით იქნება „სიტყვის-კონა“ შესწავლილი (ჯერ-ჯერობით მისი შესწავლა მხოლოდ დაწყებულია).

„ვეფხისტყაოსანთან“ ერთად და მის გვერდით საბა-სულხან ორბელიანის ქართული ლექსიკონი („სიტყვის კონა“) ძველი ქართული გონითი (სულიერი) კულტურის ძვირფასი ძეგლიცაა და უდიდესი მიღწევაც.

§ 12. ზურაბ შანშოვანის მოკლე გრამატიკა

ეს არის **ქართულად დაწერილი პირველი გრამატიკა** ქართული ენისა (პირველი დღემდე ცნობილთა შორის). მისი სათაურია: „მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა, ქმნული ზურაბ შანშოვანისაგან, 1737 წელსა“; იგი დაწერილია მოსკოვს. გამოსცა პროფ. ალ. ცაგარელმა პეტერბურგში 1881 წ.²

ა. ცაგარლის წინასიტყვაობაში (გვ. III-XXIII) მოცემულია გრამატიკის ზოგადი დახასიათება და ხელნაწერის მოპოების ისტორია.

თბილისში ყოფნისას 1878 წ. — გკითხულობთ ა. ცაგარლის წინასიტყვაობაში — გავიგე, რომ თბილისში კერძო პირს აქვს ხელნაწერი პატარა ქართული გრამატიკა (გვ. III)... ხელნაწერის პატრონები ყოფილან ციციქიშვილი და უმიკაშვილი (გვ. XXIII); მათ ხელნაწერი გაუგზავნიათ ალ. ცა-

¹ იხ. საბას Curriculum vitae. როგორც ცნობილია, მუშაობა ლექსიკონზე საბას მერვეც არ შეუწყვეტია.

² Краткая грузинская грамматика, составленная Зурабом Шаншовани в 1737 г., изданная А. Ц. В память V археологического с'езда в Тифлисе, С. Петербург, 1881 г., XXIII+76.

გარლისათვის პეტერბურგში მომდევნო წელს (ე. ი. 1879 წ.). ა. ცაგარელს ხელნაწერის პირი გადაუღებინებია, და ეს გადაღებული ზუსტი პირი, როგორც აღნიშნავს ალ. ცაგარელი, მოცემულია დაბეჭდილ ტექსტში.

ზურაბ შანშოვანი მხოლოდ გრამატიკის ავტორი არ ყოფილა: მას უთარგმნია სომხურიდან პორფირის „ხუთნი ჯმანი“ (1736 წ.), არისტოტელეს „ათი ქვეთქმულობა“ ანუ „ათი შესმენილობა“ (ე. ი. „ათი კატეგორია“) და არისტოტელისავე „ბერი არმენია“ (ე. ი. „პერი ერმენიას“ ანუ „გამოთარგმანებისათვის“) ვახტანგ VI-ის ბრძანებითა და ვახუშტი ბატონიშვილის დახმარებით 1738 წ. (იხ. ზ. შანშოვანის გრამატიკა, გვ. 1).

გრამატიკაც ვახტანგ VI-ის ბრძანებით დაწერილა. ზურაბ შანშოვანის გრამატიკის წინასიტყვაობის პირველივე სტრიქონები მოგვითხრობენ: „სახელითა ღვთისათა იწყების პირველად: ღრამმატიკა — ქართულსა ენასა ზედა, ქმნული ზურაბ შანშოვანის ტფილისელისაგან, მოსკოვს, დიდსა სამეფოსა ქალაქსა შინა, მპყრობელობასა თვთ-მპყრობელის იმპერატორცა ანნა იოვანესისას, და ბრძანებითა მეფის ვახტანგის ლეონის ძისათა; არა — შესრულებულ(?) წელსა ქრისტეს აქათ 1737, დეკემბერს 2. აღსრულდა კვალად მეორე: პორფირი „ხუთნი ჯმანი“... მესამე და მეოთხე... „ათნი ქვეთქმულობა“ და „ბერი არმენია“ (გვ. 1).

ამგვარად: გრამატიკა ერთ-ერთი შრომაა ვახტანგ VI-ის ბრძანებით ზ. შანშოვანის მიერ შესრულებულ შრომათა შორის; მისი ავტორი ზურაბ შანშოვანი თბილისის მკვიდრი ყოფილა; ვახტანგ VI-თან ერთად მოსკოვში ცხოვრობდა, საქართველოდან გადახვეწილ ემიგრანტთა შორის.

ვახუშტის ბოლოსიტყვიდან¹ ვიგებთ, რომ ზურაბ შანშოვანს გრამატიკა დამთავრებულად არ მიაჩნდა, რაკი მას აკლდა სინტაქსი („ნაკლულეულ არს სვინტაქსი“); დაუმთავრებელი შრომის მოცემა ავტორს არ უნდოდა, და მე, — წერს ვახუშტი, — მისდა უცნობლად სხვა ვინმესაგან მივიღე („ვიეთისაგანმე ვიხელთე უცნობლობითა მისითა“) და, თუმც დამთავრებული არ არის, „გზა რადმე იხილვების მისგანაო“ (იხ. ზ. შანშოვანის „მოკლე ღრამმატიკა“, გვ. IX).

ზურაბ შანშოვანის გრამატიკა მოგვითხრობს მეტყველების ნაწილთა შესახებ. გრამატიკა განმარტებულია როგორც „ველოვნება რადმე ცნობისათჳს წერილთა მეტყველებისათჳს“ (გვ. 3); ამით ხაზი ესმის იმას, რომ გრამატიკა „ხელოვნება“ (და არა მეცნიერება) და იგი **სამწერლო** ენას სწავლობს.

¹ ეს ბოლოსიტყვა („მოსაგონარი მწერლისა“) ერთვის ზ. შანშოვანის ხელნაწერს, რომელშიაც გრამატიკის გარდა პორფირის „ხუთნი ჯმანი“, არისტოტელეს „ათი ქვეთქმულობა“ და მისივე „პერი ერმენიას“-ის თარგმანები შედის.

გრამატიკა ორ ნაწილად იყოფა: „სამოქმედოდ“ და „საქმედ. ვითარცა ნივთი და სახონება“ (გვ. 3). სამოქმედოდ ოთხი ერთეულია: წიგნი, მარცვალი, ლექსი და სიტყვა (იქვე). წიგნი იგივე ასოა (იქვე). ასო ოცდაცხრამეტი (ახლანდელ 33 ასოს აქ ერთვის: მ, დ, ჯ, მ, ჯ, ძ; ძ-ასო ანტონისაგან დამოუკიდებლად არის უფრო ადრე ქართულ ანბანში შემოტანილი (მას უკვე საბა ორბელიანის ლექსიკონში ვხვდებით).

ასოები (წიგნები) ორგვარია: „ვმიანი“ (ე. ი. ხმოვანი) და „შეწმო-ბილი“ (ე. ი. თანხმოვანი, consonans). ხმოვანი შეიღია: ა, ე, ი, ო, უ, ძ, ჯ (ჯ „უფროსად ვინის ალაგს იხმარება, ძ — ინის ალაგს“) ... ხმოვნებიდან ზოგი მაღალია, ზოგი მდაბალი — და მოკლე (გვ. 4).

თანხმონებში გაირჩევიან: „ბოჯნი“ (ფ, ხ, ქ, ლ, თ, ვ, ჩ, ჯ, ყ, ძ), „წურლინი“ (ბ, მ, კ, ტ, ნ, ზ, ს, შ, წ, ჳ, რ, ლ, ც), „საშულანი“ (ბ, გ, დ, ძ, ყ) (გვ. 4-5). მ, ჰ, მ არც ერთ ამ ჯგუფში არ შედის, „არამედ ფშვინვიერობისა მიერ აღმოითქმიან“ (გვ. 5). „მრჩობლად ითქმიან, რომელ ორს შეწმობილს ასოს ძალს მისცემენ“ ზ (!), ლ (!), ხ, შ, ჩ, ჯ, ც, ჯ (გვ. 5)... მონაცვლე არიან რვა გვარნი: 1. ფ, ბ, პ, მ; 2. ხ, ქ, გ, კ, ჯ; 3. თ, დ, ტ; 4. ც, ძ, წ, ზ, ს; 5. ჩ, ყ, შ; 6. ლ, ლ, ნ, ყ; 7. ჯ, ჳ; 8. ჰ, მ, მ (გვ. 5). მარცვალთან დაკავშირებით პროსოდის ცნებებზეა ლაპარაკი: გრძელი მარცვალი ბუნებით გრძელი შეიძლება იყოს და მდებარებით („რაჟამს ორი შეწმობილი ანუ უმეტესი ერთად იწყობოდენ“: სრად, ვარდ...) გვ. 6. მოკლე მარცვალიც იქმნება ბუნებით და მდებარებით; ბუნებით მოკლეა თურმე ღია მარცვალი: კი, ზე, მო, წა... აგრეთვე დახურული: მათ, მით, რით, ცით... (გვ. 7). „ზიარი შერწყმა“ გვექნება, თუ „მაღალ მყოფთა დამდაბლდება და დამოკლდება, და მოკლე მყოფთა ამაღლდება“ (გვ. 7).

ლექსი (ე. ი. სიტყვა) „არის ჯმა იოტიანი დამნიშუნელი თვნიერ თანა შეთხზვისა“ (ე. ი. დანაწევრებული ხმა, მნიშვნელობის მქონე სხვასთან დაუკავშირებლად): ჯორცი, სიტყვა, დაემკვდრა, იქმნა... (გვ. 8).

სიტყვა (ე. ი. წინადადება) „არს შერწყმულობა ლექსთა, განმცხადებელი გონებისა, ზრახვისა“ (ე. ი. სიტყვების შეხამება, აზრის გამომსახველი): „სიტყვა იგი ჯორციელ იქმნა და დაემკვდრა ჩუჴნ შორის“ (გვ. 8).

„აწ სრულ იქმნების სიტყვა ლექსთაგან, ლექსი მარცვალთაგან და მარცვალი ასოთაგან“ (გვ. 8-9).

კერძონი სიტყვისანი (ე. ი. ნაწილები წინადადებისა, „მეტყველების ნაწილები“) არიან რვა: **სახელი**, **ჴმნა**, **შეწყნარება** (ე. ი. მიმღეობა), **სახელდართული** (ე. ი. ნაცვალსახელი), **იოტი** (ე. ი. ნაწევარი), **ათრონი** (თანდებულს გულისხმობს), **ჴმართული** (ე. ი. ჴმნისართი), **შემკურელი** (ე. ი. კავშირი... გვ. 9).

„სახელი არს კერძო სიტყვისა სასრბოლო, თვნიერ ჟამისა და პირისა“, ე. ი. მეტყველების ნაწილი, ცვალებადი, დროისა და პირის არმქონე (გვ. 9).

სახელებიდან ზოგი საქუცდასოა (ე. ი. არსებითი, substantivum: კაცი) და ზოგიც საზედასო (ე. ი. ზედსართავი: კეთილი) გვ. 9.

სახელსა „თანა ჰყუცბიან“ ექუსნი:

1. **რაოდენი** — ორი: ზიარი (ე. ი. საზოგადო) და თუსი (ე. ი. საკუთარი);

2. **ნათესავი** (ე. ი. სქესი) ოთხი: სამამაო (ე. ი. მამრობითი), სადედაო (ე. ი. მდედრობითი); ზიარი (ე. ი. ანტონის: საზოგადო: შვილი, მშობელი), არავინა (ე. ი. საშუალო: ქვა) გვ. 9-10.

3. **ნაკუთი** : 1. მარტივი (კეთილი), 2. ყრილი (ე. ი. რთული: კეთილმორწმუნე), 3. ზეყრილი (ე. ი. ზერთული: კეთილმორწმუნე-მოყვარე) გვ. 10.

4. **სახე** : 1. პირუცლ-საჩინო (ე. ი. პირველადი: ქუცყანა) და 2. გამომჭვირვალო (ე. ი. ნაწარმოები: ქუცყნიერი).

ამ ნაწარმოებ სახელთა „(გამომჭვირვალთა“) თექვსმეტი სახე აქვს ზ. შანშოვანს დასახელებული: საარსო (ციერი, ჯორციელი, მოკუდავი, ოქროს, ვერცხლის...), საპირველო-სანათესაო (ტფილისელი, ებრაელი), სამოსალებლო („სამეფო“, „საბატონო“), სადასამტიციო („უზეშთაესი“), საუაღრესო („საზარო“, „სამიშო“), საკნინო („წიგნაკი“), საგარეშემცველო („სასნეულო“, „სამწიგნობრო“) და ა. შ.: ესაა საკმაოდ ნებისმიერი დაჯგუფება ფორმანტა მიახლოებითი ჩვენებით, გვ. 11-12.

5. რიცხვი: 1. სამხოლოო და 2. სამრავლო.

6. სრბოლი (ე. ი. ბრუნვა) ათი: საწრფელო, სანათესაო, სამიცემადო, სამოქმედო, საძიებო, სადასაბამო, სამეტყველო, საშორისო, საგარეყოფო, საწოდებო.

„საწრფელო“ ნიშნავს სახელობითს (ბერძნ. orthē „წრფელი“, „სწორი“). „საძიებო“ აკუზატივს უნდა გულისხმობდეს: „ძიება“ იმხანად „მართვას“ ნიშნავდა, „საძიებო“ „მართული“ ანუ „საობიექტო“ იქნებოდა, რაც აკუზატივის სინტაქსურ დახასიათებას წარმოგვიდგენს; საძიებოს ნიმუშად ზ. შანშოვანის პარადიგმებში იგივე მიცემითი ზის; განსახვავებლად ემფატიკური ა გამოუყენებია: სამიცემადო — „ქუცყანას“... საძიებო — „ქუცყანას“ (გვ. 13); კაცის ბრუნებისას — პირუკუ; სამიცემადოა — კაცსა და საძიებო — კაცს და იქვე მრავლობითში: სამიცემადო — კაცთ, კაცებს; საძიებო კი — კაცებსა (გვ. 15).

აკუზატივის ნაცვლად მიცემითის ხმარება გასაგებია, რაკი უახლოესი ობიექტი ამ ბრუნვითაც შეიძლება გადმოიცეს, მიცემითის ორი ვარიანტის გარჩევა ხელოვნურია და ამიტომ ჭირს ამ ვარიანტების გამოყენება ორი ბრუნვის გადმოსაცემად.

ასევე ხელოვნურად არის გარჩეული სამოქმედო („ქუწყნით“) და საგარმყოფო („ქუწყნითა“). „საგარმყოფოს“ ნაცვლად „საგარეშეშემყო-ც“ იხმარება „კაცის“, „წეროს“ ბრუნებისას (გვ. 15,17).

„სამეტყველო“ („ქუწყნისას“, „კაცისას“) ნანათესაობითარი მიცემითია, საშორისო (ქუწყანაში, კაცში) — თანდებულიანი მიცემითი. „სადასაბამო“ (ქუწყნისაგან, კაცისაგან) დაწყებითი (ანტონისთან) ანუ დაშორებითი (ablativus) ბრუნვაა.

ზ. შანშოვანი ორ ბრუნებას („სქესს“) გამოყოფს: პირველ ბრუნებას ის საზოგადო სახელები ეკუთვნის, რომელთაც „საწრფელოში“ **ი** მოუდის (კაცი, ცხენი, თვალი... გვ. 14); მეორე ბრუნებას ეკუთვნის სახელი, თუ „საწრფელო“ ბოლოვდება **ი**-თი (წერო, ოქრო, როჭო, ვბო, სოკო... გვ. 16,17): წერო — წეროსი...

საინტერესოა, რომ **ე**-ზე დაბოლოებული სახელებიც ამ ბრუნებაში აქვს მოქცეული ზ. შანშოვანს: მწარე, მცირე, ვაკე, მდარე... „სანათესაოში“ მოიღების **სი** : მწარესი, მცირესი, ვაკესი, მდარესი... (გვ. 17). ცოტა ქვემოთ კი გვითხულობთ: „სახმარ არს ცოდნად, რომელ არიან სახელნი, რომელნი სანათესაოში ორ სქესად იქმნებიან, ვითარცა: ღამესი, ღამისა; დავითისი, დავითისა... ესრეთვე სამიცემადლოში, ვითარცა კაცსა, კაცს; ქალაქსა, ქალაქს...“ (გვ. 19). ამრიგად: **ე**-ზე დაბოლოებული სახელები პირველ ბრუნებასაც („ღამისა“ ტიპი) შეიძლება მისდევდეს და მეორესაც (ტიპი: „ღამესი“); ზემოთ კი ასეთი სახელები მეორე ბრუნებისად იყო მიჩნეული... „ქალაქსა“ და „ქალაქს“ აქ ერთ ბრუნვას („სამიცემადლოს“) წარმოადგენს და არა ორს (სამიცემადოსა და საძიებოს).

ადამიანის სახელის ხმარებისას, წერს ზ. შანშოვანი, თუ სწორი სწორს მიმართავს, ითქმის: გიორგი, დანიელი, თომა... მაგრამ უფროსი უმცროსს „სამდაბლოდ“ ეტყვის: გიორგავ, დანიელავ, თომავ... მართალი ქართული კი იქნებოდა ან საზოგადო სახელის წესით გვეთქვა: გიორგიო, ანუ გიორგო, დანიელო, დანიელ, თომაო, თომა... ანდა ჭეითა: ჭე გიორგი, ჰე დანიელ, მ თომა, „ვითარცა ლათინნი და სომეხნი“ იტყვიან (გვ. 20).

ზმნა არს ლექსი სასრბოლო, რომელ მყოფსა რადმეს ანუ ქმნასა ანუ ვნებასა დანიშნავს ჟამითურთ და პირითურთ, ვითარცა: განვადო (გვ. 20). ამრიგად: ზმნა ცვალებადი სიტყვაა, აღნიშნავს ქმნას თუ ვნებას, დროისა და პირის მქონეა (გვ. 20).

ზმნას „დასდევენ“ (ე. ი. ზმნის „მდევარია“, კატეგორია):

1. ნათესავნი ოთხნი: სამოქმედო (განვადლო), სავნებო (განვილო), საშუალო (დავემკვიდრო (!), ზიარი (ვშვა).

2. ნაკუჭთი სამი: მარტივი (ვიგონო), ყრილი (მოვიგონო), ზეყრილი (ზემოვიგონო).

3. სახენი: პირველსამგზავსო (მოვიხსენო) და გამომჰვირვალო (მოვასხენებინო).

4. რიცხენი: სამხოლოო და სამრავლო (გვ. 21).

5. პირი სამი: პირველი, რომლისაგან „არს“ სიტყვა (ვიტვირთო); მეორისა, რომლისა მიერ („მიმართ“ უნდა იყოს — **ა. ჩ.**) „არს“ სიტყვა (იტვირთო); მესამე, რომლისათვის არს სიტყვა: იტვირთოს.

6. ჟამი სამი: მყოფი, ყოფილი, მყოფადი. ყოფილის „სხუაობანი“ არიან ოთხნი: უსრული (ვჰბანდი), სრული (დავბანე), მარადისსრული (დამიბანია), ზესრული (დამებანა).

7. ვითარნი — ანუ „სხვაობა მეტყველების (ე. ი. კილო **modus dicendi**) ხუთი: სასამძღრო (ე. ი. თხრობითი), საბრძანებო, სანეტარძო (ე. ი. ნატვრითი), საქუჭდასო (ე. ი. პირობითი) და უჩინო (განუსაზღვრელი, **infinitivus...** გვ. 22).

8. სქესი (ე. ი. უღვლილება) ოთხი: დამახასიათებელი ხმოვნებით: ა, ე, ო, ი, პირველი სამი (**ა, ე, ო** ბოლო მარცვალში) სამოქმედოსია (ვთქვა, მივსცე, განვადლო), **ი** — სავნებოსია (**ითქვას, განილოს**), გვ. 22-23.

ზ. შანშოვანი იძლევა ზმნის უღვლილების პარადიგმებს: მოქმედებითისა და ვნებითის ფორმათა შეპირისპირებით — თხრობითს, ბრძანებითს, ნატვრითს და პრობითს კილოებს.

თხრობითის პარადიგმა ასეთ სახეს იღებს:

1. მყოფი: ვბან; 2. უსრული: ვბანდი; 3. სრული: დავბანე; 4. მარადისსრული: დამიბანია- 5. ზესრული: დამებანა(!); 6. მყოფადი: დავბანო... ნატვრითი კილოსი: 1. მყოფი და უსრული: ნეტარ თუმცა დამებანა; 2. სრული და მარადის სრული: ნეტარ თუმცა დამებანოს; 3. ზესრული: ნეტარ თუმცა დამებანა (ე. ი. იმეორებს — მყოფადსა და უსრულს), გვ. 37-39.

უღვლილება სუბიექტის ცვლას უწევს ანგარიშს: ნიმუშად აღებული გრამატიკები ობიექტურ უღვლილებას არ იცნობდნენ. ქართულის თავისებურებას მაინც მიუქცევია ყურადღება: „სავმარ არს ცნობად რამეთუ ზმნანი რომელნიმე ქართულისა ენითა სახელდართულითა (ე. ი. ნაცვალსახელით — **ა. ჩ.**) ითქმიან ანუ სახელდართულის მაგიერ თვთოს ასოსა ჩართვითა ითქმიან, ვითარცა: ვბან, მბან, ვბან, ვბანს, ანუ: დამბანა, დავბანე, დამბანე, დავბანე, დავბანა, და-

ჰბანე და ესე ვითარნი, ვითამცა: მე შენ **გბან**, შენ მე **მბან**, მე ამას **ვბან**, ეს მე **მბანს**, მე პეტრემ და**მბანა**, მე პავლეს(!) და**ვბანე** და ესრეთ სხუანიცა... და**მბანე**... და**ვბანე**, მანი ვინის **ალაგს არს**. ესრეთვე ყოველი ზმნა, რომელიმე სახელდართულით ითქმოდეს, არღარა უნდა სხვა სქესი (ე. ი. უღვლილება — **ა. ჩ.**), არამედ თუსავე სქესში ისრბოლვის... **იმა ასოთი გუამსა და სახელსა ცხად ჰყოფენ** და **სახელდართულსა და პირსა** (გვ. 45-46, ზაზი ჩვენია — **ა. ჩ.**). ერთი სიტყვით, ზმნის თავკიდური ასოები სახელს და ნაცვალსახელს (პირს) ცხადყოფენ...

შეწყნარებაში (ე. ი. მიმღეობაში) გარჩეულია ნათესავი (ე. ი. გვარი) ოთხი: სამოქმედო, სავენებო, საშუალო და ზიარი; ნაკუჭთი სამი: მარტივი, ყრილი, ზეყრილი; სახე ორი: სამგზავსო და გამომჰვირვალო; ყამი სამი: მყოფი, ყოფილი, მყოფადი... სრბოლი (ბრუნვა) — ათი და ა. შ. (გვ. 57-58).

ტერმინი „შეწყნარება“ (ძვ. ქართ. „მიღება“ **participium**-ის თარგმანია: „ნაწილის“ მიღება „ზმნასა და სახელში“: ახლანდელი „მიმღე-ობა“-ც — „შეწყნარებას“, „მიღებას“ გახაზავს.

იოტიის საკითხი საკმაოდ ბუნდოვანია: იოტი არს კერძო (ე. ი. ნაწილი) სიტყვისა სასრბოლო (ე. ი. ცვალეზადი), წინწყობილი და ქუწყობილი სასრბოლოსა კერძოთა სიტყვისა საპირისპირო: კაცი ესე და ესე კაცი (გვ. 64).

აქ იოტი ნაწევარის (ართრონის) როლში გამოდის... ამასვე გვაფიქრებინებს ტო—ქა—ვინ... ში, ჭე, ჰე-ს სამამაო, სადედაო და ზიარ იოტად მიჩნევა (გვ. 65)..., ოლონდ „ვინ“ აქ უადგილო ჩანს, ასევე „რომელი“ (გვ. 66-67), და კიდევ უფრო „თავადმა, „რაჟამს“ (გვ. 67).

ზ. შანშოვანის შეხედულების გაგებას კიდევ უფრო ართულებს ცალკე პარაგრაფი „ათრონისათვის“ (გვ. 68): „მიერ“, „თვნიერ“, „გარდა“, „გარნა“, „რომელ“, „შემდგომად“, „უწინ“, „უკან“... ართრონის ნიმუშად არის მოხსენებული: „ათრონი“ თანდებულს (ანდა მის როლში ნახმარ ზმნისართს) გულისხმობს.

ზმართული (ე. ი. ზმნისართი) დაჯგუფებულია მრავალ ერთეულად (გვ. 69-73); ზმართულად არის მიჩნეული შორისდებულებიც (ვაჲ, ახვაჲ, ვიშ, ოჰ, იიშ, ეჰ, ვუჲ, უჰ, ტატატატა — და სხვ. გვ. 79).

შემკურელი (ე. ი. კავშირი) თორმეტ ჯგუფად არის დაყოფილი; ეს ჯგუფებია: საკონთშემწევნელო, განმამორებელი, საწინააღმდეგო, სასხვაო, სამიზეზო, სამიზეზმიმღებლო, საჯეროვნო, საულონო, საწინასარჩეო, საგანსაყოფლო, საუსრულო, უსახმარო (გვ. 73). კლასიფიკაცია ფუნქციათა მიხედვით წარმოებს და, ცხადია, სხვა ენის გრამატიკა აქ ავტორს დიდად შეუწყობდა ხელს.

ზურაბ შანშოვანის გრამატიკა ფილოლოგიური გრამატიკის წეს-დებულებას მისდევს: გრამატიკის განმარტება, გრამატიკის შედგენილობის გაგება, მეტყველების ნაწილთა რაოდენობა (არა გვაქვს შორისდებული, გვაქვს ართრონი, მიმღობა) და რაობა, სახელისა და ზმნის „მღევართა“ (რაც „თანა ჰყვებიან“) რაობა და რაოდენობა, „ლექისა“ და „სიტყვის“, აგრეთვე სახელისა და ზმნის განსაზღვრება, იოტისა და ართრონის საკითხი ფილოლოგიური გრამატიკის თვალსაზრისსა და ცნებებს წარმოგვიდგენს. ეს არ ნიშნავს, თითქოს ზ. შანშოვანი უშუალოდ დიონისეს „ტექნე გრამატიკე“-თი ხელმძღვანელობდეს და სხვა ენის გრამატიკა მხედველობაში არ მიედლოს: ზ. შანშოვანს, სომხურიდან მთარგმნელს, ჩანს, სომხურ გრამატიკაზე ეჭირა თვალი.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ავტორი თარგმნიდეს გრამატიკას: ვთქვათ, ბრუნვებია გამოსაყოფი. იღებს სომხური ენის სახელობითს უღადაკან-ს („წრფელობითს“); ქართულში ადვილად იძებნება შესატყვისი ერთეული; ასევე წყდება ნათესაობითისა და მიცემითის საკითხი: ყველა ამ ერთეულს თავისი ფორმანტი აქვს. მაგრამ ბრალდებითის (აკუზატივის) საკითხი დადგა: სათანადო ფრაზა ქართულად რომ ითარგმნა, მიცემითი გამოვიდა („წერს წერილს“); საგანგებო ერთეული არ მოეპოვება ენას; მაგრამ, როგორ შეიძლება ქართულ გრამატიკაში აკუზატივი არა გვქონდეს, როცა ის აქვს სომხურს, ბერძნულს, რუსულს?! გამოსავალიც ასეთი დაიძებნა: „წერილს“ და „წერილსა“ ხელოვნურად გაიჩნა და ერთი მიცემითს მიუჩინეს და მეორე — აკუზატივს, მაგრამ ენაში „წერილს“ და „წერილსა“ ორ ბრუნვას არ წარმოადგენს, ხელოვნურად არის გამოყოფილი... მათი გარჩევა არ ხერხდება, იწყება აღრევა თვით გრამატიკაში (იხ. ზემოთ).

მოთხრობითი ბრუნვა შეუმჩნეველი დარჩა ავტორს, ალბათ, იმიტომ, რომ მისაბამ გრამატიკაში ასეთი ერთეული არ იყო...

ზმნის უღვლილების თავისებურება (**გბან — მბან...**) იმდენად თვალში საცემი იყო, რომ ყურადღება მიიქცია და აღნიშნულ იქნა. ეს უთუოდ ყველაზე ფასეული დაკვირვებაა ზ. შანშოვანის გრამატიკაში.

ზ. შანშოვანთან უკვე გვაქვს ბევრი ტერმინი, რაც უცვლელად (ანდა ერთგვარად ცვლილი) ანტონის გრამატიკაშიც იყო შემდეგ გამოყენებული და ქართული ენის გრამატიკაში დამკვიდრდა (ამჟამად ძნელია იმის თქმა, აქედან რა უკვე მოიპოვებოდა და რა არის ზ. შანშოვანის შექმნილი)¹.

¹ საგრამატიკო ტერმინების ისტორია ქართული ენის გრამატიკის ისტორიას გვანიშნებს. საკითხს ცალკე შესწავლა ესაჭიროება.

ქართულ გრამატიკულ ტერმინოლოგიას არ შერჩა ტერმინები, როგორცაა:

„სიტყვის კერძო“ (ე. ი. „მეტყველების ნაწილი“), „შეწყნარება“ (ე. ი. მიმღეობა), „სახელდართული“ (ე. ი. ნაცვალსახელი), „ზმართული“ (ე. ი. ზმნისართი), „შემკატრელი“ (ე. ი. კავშირი), „საქუცდასო“ და „საზედასო“ სახელი (ე. ი. არსებითი, ზედსართავი), „ყრილი“ (ე. ი. რთული), „პირველსაჩინო“ (ე. ი. პირველადი), „გამომჰვირვალო“ (ე. ი. ნაწარმოები)...

მაგრამ დღეს საყოველთაო ხმარებაშია: უცვლელად — „სახელი“, „ზმნა“, „მყოფადი“, „სრული“, „უსრული“, „მარტივი“... სხვაგვარი გაფორმებით ზ. შანშოვანის ტერმინები: „სამხოლო“, „სამრავლო“, „საწოდებლო“, „სანათესაო“, „სამიცემადო“, „სამოქმედო“, „საწოდებო“... ნამყო-ს ნაცვლად ზ. შანშოვანი ხმარობს: „ყოფილი“, რაც უფრო სწორი და ნაკლებხელოვნური წარმოებაა, ასევე „მყოფი“ („აწმყოს“ ბაღლად). სამწუხაროდ, „ყოფილი“ და „მყოფი“ არ დამკვიდრებულა ქართული ენის საგრამატიკო ტერმინოლოგიაში. ხოლო ტერმინი თუ დამკვიდრდა, ჩვეულებრივ არავინ იკითხავს, რა საფუძველზე შექმნილაო, თუ შესაბამისი ცნების საკითხი არ დადგა („მიმღეობა“, „შორისდებულები“, „წინადადება“, „შემასმენელი“, „ქვემდებარე“ და ბევრი სხვა — უცნაური წარმოებისა ჩანს, თუ საფუძველი მათი შედგენისა მოვიკითხეთ).

§ 13. ანტონი პირველის ქართული გრამატიკა.

ანტონი პირველს შეუდგენია ქართული გრამატიკის ორი ვარიანტი: პირველი — 1753 წ., მეორე — 1767 წ.

ეს პირველი ვარიანტი მხითარ სებასტიელის სომხური გრამატიკის ნიმუშს მისდევდა (Ал. Цагарели, „О граммат. литер. груз. яз.“, С.-Петербург, 1873, გვ. 3)¹; მეორე — უფრო დამოუკიდებელიც იყო და უფრო სრულიც. ამათ გარდა ანტონის ეკუთვნის „სიმეტნე“, ე. ი. დამატება (პირველი ვარიანტისა), რომელშიც კითხვა-მიგების წესით გრამატიკის ელემენტებია მოცემული (იქვე, გვ. 26-30). ანტონის გრამატიკის მეორე ვარიანტი დაიბეჭდა 1885 წ. მწერალ რაფიელ ერისთავის წინასიტყვაობით, თბილისში.

კათალიკოსი ანტონი I, ერისკაცობაში არჩილ ბაგრატიონი, დაიბადა 1720 წ. (ალ. ცაგარელი 1714 წ. უჩვენებს), გარდაიცვალა 1788 წ. კათალიკოსად ეკურთხა 1747 წ., მაგრამ კათოლიკე მისიონერებთან კავშირის

¹ ანტონის გრამატიკათა შესახებ იხ. А. Цагарели, „О грамматической литературе грузинского языка“, 1873, стр. 1-34. ამჟამად მზადდება დოკ. ელ. ბაბუნაშვილის მონოგრაფიული გამოკვლევა ანტონის გრამატიკის შესახებ.

გამო 1755 წ. გადააყენეს. 1756 წ. რუსეთს გაემგზავრა, პეტერბურგში სინოდს წარუდგა მართლმადიდებლური „სიმბოლო სარწმუნოებისა“-თი, ბრალდება (მართლმადიდებელი ეკლესიისაგან განდგომის შესახებ) არ დადასტურდა, და 1757 წ. რუსეთში ვლადიმირის ეპარქიის მთავარ ეპისკოპოსად დანიშნეს. აქ დაყო 1764 წლამდე, როდესაც ახლად გამეფებულმა ერეკლე მეორემ ანტონი საქართველოში დააბრუნა; აქ ანტონი კვლავ კათალიკოსად გაეწესა.

„თეოლოგიისა“ და რიგ სხვა საეკლესიო შინაარსის თხზულების გარდა ანტონის ეკუთვნის: „საქართველოს მოკლე ისტორია“, „წყობილსიტყვაობა“... ნათარგმნი აქვს (რუსულიდან): ბაუმეისტერის „ფილოსოფია“ (ზოგადი, დეფინიტიური), ვოლფის „ფიზიკა“ (რუსულად იგი თარგმნა მ. ლომონოსოვმა), კვინტ კურციუსის „ალექსანდრე მაკედონელის ისტორია“, არისტოტელეს „კათილორიები“ (ბერძნულიდან), მხითარის „რიტორიკა“ (სომხურიდან)... სასულიერო სემინარიები, თბილისსა (1755 წ.) და თელავს (1782 წ.) გახსნილი, სახელმძღვანელოებს საჭიროებდა. ანტონის ორიგინალური თუ მის მიერ ნათარგმნი შრომები ამ საჭიროებას უპასუხებდა.

მოკლედ შევჩერდებით ანტონის გრამატიკის მეორე ვარიანტზე (ბეჭდურ გამოცემაზე). იგი შედგება სამი ნაწილისაგან:

პირველ ნაწილში მოცემულია სახელთა ბრუნება და ზმნის უღვლილება სათანადო პარადიგმებით, თანდებული, ზმნის-ზედა, კავშირი, შორის-დებული (ანუ, როგორც ანტონი წერს: „ნაწილი პირველი, რომელსა შინა მდებარე არიან თითოეულნი ნაწილნი სიტყუათანი, მაგალითებითურთ“) §§ 1-141, გვ. 6-115.

მეორე ნაწილში წარმოდგენილია გრამატიკის შესასწავლ ობიექტთა დახასიათება; ესენია: 1. წიგნი (ე. ი. ასო), 2. მარცხალი, 3. ლექსი (ე. ი. სიტყვა) და 4. სიტყუა (ე. ი. წინადადება) და სახელისა და ზმნის „მდევართა“ (ე. ი. ფორმაცვალების კატეგორიათა) და ფუძის წარმოქმნის განხილვა (§§ 153-306, გვ. 115-213).

მესამე ნაწილი განეკუთვნება სინტაქსს (ანუ, ანტონის თქმით: „თჳს სინტაქსისა ანუ შეთხზუნა ნაწილთა სიტყჳსათა და მოქმედებისა მათისა“) §§ 307-464, გვ. 213-284.

მესამე ნაწილს აქვს დანართი („ზედა დართუაჲ“), სადაც ლაპარაკია: „წერთა, უზნობათა და აღმოცნობათა“ შესახებ; აქ ანტონი მოკლედ განიხილავს პროსოდიას, ქარაგმას და, რაც მეტად საინტერესოა, იძლევა ქართული ბგერების ერთგვარ კლასიფიკაციას (§§ 1-80, გვ. 284-298).

ანტონის გრამატიკა არსებითად პირველი გრამატიკაა ქართული ენისა, მასთან ყველაზე ვრცელი პრაქტიკულ (წინარეემცნიერულ) გრამატიკათა შორის, რაც კი დღემდე დაწერილა.

სახელთა ბრუნებისას ანტონი 8 ბრუნვას გამოყოფს; ესენია: წრფელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, შემასმენლობითი, დაწყებითი, მოთხრობითი, მოქმედებითი და წოდებითი.

წრფელობითი იგივეა, რაც სახელობითი: „სახელობითი“ ლათ. *nominativus*-ის თარგმანია (რუს. *именительный*), „წრფელობითი“ კი — ბერძნ. *orthē*-სი, რაც „პირდაპირს“ ნიშნავს (რუსულისა და სხვა ევროპულ ენათა გრამატიკებში სახელობითი „პირდაპირ ბრუნვად“ ითვლება მისი სინტაქსური ფუნქციის მიხედვით: სახელობითი დამოკიდებული, მართული ბრუნვა არ არის).

„შემასმენლობითი“ აკუზატივს, „ბრალდებითს“ ნიშნავს: ანტონის პარადიგმებში: არსება, მზე, მარიამ ... სახელობითია... არსებად, მზედ, მარიამი — შემასმენლობითი, ე. ი. ძვ. ქართულის სახელობითი შემასმენლობითად არის გამოცხადებული; ხმოვანზე დაბოლოებულ საზოგადო სახელებსა და ადამიანთა (თანხმოვანზე დაბოლოებულ) სახელებში დართული და უმისო ფორმები ანტონიმ ხელოვნურად განასხვავა, რომ შემასმენლობითისათვის ადგილი მიეჩინა; მაგრამ თანხმოვანზე დაბოლოებულ საზოგადო სახელებში ამის შესაძლებლობა არ დაურჩა: ტაძარი (§ 5) წრფელობითიც გამოვიდა და შემასმენლობითიც; ასევე მრავლობითში: მზენი (§ 4), არსებანი (§ 3), ოქრონი (§ 6)...: უ-ინოდ ნ-სუფიქსი არ იხმარება. „შემასმენლობითი“ ბრუნვის შემოღებასთან დაკავშირებული სირთულეები ანტონის შეუმჩნეველი არ დარჩენია (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

დაწყებითი (მარიამისაგან, ტაძრისაგან, მზისაგან...) -გან-თანდებულიანი ნათესაობითია (იგი ისევე, როგორც შემასმენლობითი, სხვა ენათა გრამატიკის ზეგავლენას მიეწერება).

ანტონი სწორად შენიშნავს, რომ ქართულში სხვადასხვა სახელი ერთნაირ ბრუნვის ნიშნებს დაირთავს, ე. ი. არსებითად ქართულში ერთი ბრუნება გვაქვს (განსხვავებით ისეთი ენებისაგან, როგორიცაა სომხური, ბერძნული, ლათინური, რუსული): „...მებრ რომელთამე ენათა არა არს ქართულებრ რამე (?) (უნდა იყოს: რომელ) თვთომან სახელმან განითვსოსმცა საკუთრად ბრუნება და იგი სხუამან არღარა მიიღოსმცა“ (§ 1).

ანტონი იძლევა ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეთა ბრუნებას, საზოგადო სახელების გარდა საკუთარი („სათვთო“) სახელების ბრუნებასაც ეხება.

ნაცვალსახელთა ბრუნების პარადიგმებს ზმნის უღვლილება მოჰყვება. იწყება იგი მეშველი („არსებითი“) ზმნის უღვლილებით: მოცემულია მხოლოობითი („მხოლოობითი“) და მრავლობითი სამივე პირისა (ვარ, ხარ, არს, ვართ, ხართ, არიან) „საზღურებითს“ (ე. ი. თხრობითის), ბრძანებითის, საწადისის (ე. ი. ნატვრითის) და უჩინო (ე. ი. ინფინიტივის) „სქესთა“ (ე. ი. კილოთა) ყველა დროში.

თხრობითს კილოში („საზღურებით სქესში“) გარჩეულია: 1. აწმყო („ვარ“), 2. ნამყო უსრულო („ვიყვ“), 3. ნამყო სრული („ვიყავ“), 4. ნამყო უსრულესი („ყოფილვარ“), 5. ნამყო უუსრულესი („ყოფილვიყავ“), 6. მყო-ბადი („ვიყო“)... (§ 22).

ნატვრითი კილო აღწერითად აქვს ნაწარმოები („ვაშათუ ვიყო“... „ვაშათუ ვიყოფოდი“... „ვაშათუ ყოფილვარ“... „ვაშათუ ყოფილ-ვიყავ“...).

მოქმედებითი გვარის ზმნებში ანტონის რვა უღვლილება აქვს გამოყოფილი იმისდა კვალად, თუ რა ხმოვანი გვაქვს აწმყოში: **ა, ე, ი, უ, ო**, „მოკლ-ჰმოვანი“ **უ**, საშუალ-ჰმოვანი **ც** და **გ** (§ 23).

თითოეულ უღვლილებაში გაირჩევა სახეები („ხატები“); ასე, მაგალ., პირველი უღვლილების (**ა**-ხმოვნიანის) სახეები ასეთი ნიმუშებითაა წარმოდგენილი: 1. შევეკრავ, 2. ვესავ, 3. აღვიხუამ, 4. განვასხამ, 5. განვპბან, 6. ვპკაფ, 7. მინდა (!) (§ 25).

მეორე უღვლილების (**ე**-ხმოვნიანის) სახეებია მოცემული ზმნებში: 1. შევიყურებ, 2. განვჰსწმედ, 3. აღვლევ, 4. ვპზეზ(?), 5. ვპრეკ, 6. დავსცემ, 7. ვაწყენ, 8. ვპჟეჟ, 9. ვჰსწერ, 10. ვპლეს, 11. ვპზრემ, 12. ვპხლეჩ, 13. მოვირეწ, 14. ვჰსძეძ, 15. ვპვლეჯ (§ 46), და ასე ყველა დანარჩენ უღვლილებაში.

ხმოვანი, რის მიხედვითაც უღვლილება და მისი სახეები აქვს გამოყოფილი ანტონის, ერთნაირ ოდენობას არ წარმოადგენს: რიგ შემთხვევაში იგი სუფიქსისეულია (შევეკრავ, ვესავ, აღვიხუამ, აღვლევ, დავსცემ, ვაწყენ, ბევრგან კი მარტივი ფუძის კუთვნილებას წარმოადგენს (ვპკაფ, განვპბან, ვპრეკ...); ერთს შემთხვევაში ეს ხმოვანი პირის ნიშანია, და არა ფუძის კუთვნილება ანდა სუფიქსისეული მასალა (მინდა)...

ეს არის პირველი ცდა ქართული ზმნის მრავალფეროვნებაში გარკვევისა (ამდენად უცნაურობანიც მოულოდნელი არ არის). ანტონიმ გარკვეული ნიშანი აიღო საორიენტაციოდ და მისი გატარება სცადა. ცხადია, ამგვარი დაჯგუფების ცდაში სხვა ენების (სომხურის, ლათინურის...) ნიმუშთა გათვალისწინებას, მეტად დიდი ადგილი ეთმობოდა... მორფოლოგიური ერთეულები (უღვლილება, უღვლილების სახე) ფონეტიკური ნიშნის მიხედვით გამოიყოფოდა... მაინც ცდა საინტერესოა.

მოქმედებითი გვარის ზმნასთან ანტონი უჩვენებს ვნებითსაც (შევიკარვ, შევიკროდი, შევიკარ, შეკრულვარ, შეკრულვიყავ, შევიკრა...), გათვალისწინებული აქვს კაუზატივიც („სხმითვარდასვლითი“, „მრჩობლ-სხმით-გარდასხმითი“).

საგულისხმოა ანტონის აზრი „პირ-ნაკლ“ ზმნათა შესახებ; ნიმუშად ანტონი ასახელებს: შეგკრავ, შეგკრავს, შემკრავ, შემკრავს (§ 32)..., ე. ი. ობიექტის მეორე და პირველი პირის აღმნიშვნელ ფორ-

მებს. მათი მსგავსი ფორმები არც ერთი ენის ზმნას არა ჰქონდა, ანტონი რომ ამოსავლად მიიჩნევდა. იმავე დროს ქართულ ზმნაში ასეთი ფორმები თვალში საცემი იყო, ანტონისაც ეს ყურადღების გარეშე არ დარჩენია.

აქ ანტონი დამოუკიდებელი მსჯელობის უნარს იჩენს. ზმნა „პირ-ნაკლიაო“ ანტონის იმიტომ ჰგონია, რომ ობიექტური წყობის ფორმები მესამე პირში სუბიექტური წყობის ფორმებისაგან არ გაირჩევა: შემკრავს, შეგკრავს, შეეჭკრავს, შეეჭკრავს, შეეჭკრავს — ეს უკანასკნელი კი **გ**-რიგის წყებაშია მოქცეული¹.

თანდებულები ანტონისთან ხშირად არ არის გამიჯნული ზმნისართებისაგან: თანდებულებს შორის აქვს მოხსენებული: შორის, წინაშე, ქუთუმი, გარეშე, ვიდრე, თვნიერ... (§§ 94-96), მაგრამ ის კი მართებულად შეუნიშნავს, რომ სხვადასხვა თანდებული სხვადასხვა ბრუნვას დაერთვის (ნათესაობითს, მიცემითს, დაწყებითს...) თუმცა სიზუსტე აქ (რა ბრუნვას რა თანდებული მოითხოვს) გვაკლია (მაგალ. „ზედა“ — ნათესაობითთან იხმარებაო: საყდრის ზედა); თანდებულის განსაზღვრისას ნათქვამია: „ოდესმე წინათ დასხმულ და ოდესმე უკანითაო“ (§ 93); აქ ის ხელოვნური წესიც შემოდის, ანტონის სტილს რომ ახასიათებდა (თვს-თანდებულთა“ — § 93 — ნაცვლად ჩვეულებრივი: „თანდებულთათვს“), აგრეთვე ის შემთხვევებიც, როდესაც ზმნისართია არეული თანდებულში („წინაშე მსაჯულთა“). ცალკე აღნიშვნის ღირსია, რომ ანტონის პრევერბებიც „თანდებულებში“ აქვს მოხსენებული (წარ-ვსთქვამ, აღ-ვიღებ, მი-ვიღებ, მიმო-გ-ჰხრი, აღ-ვალ, შთ-ავალ, და-ვჰსჯდები, გან-ვჰხდი...), თუმცა დასძენს: „თან-დებულნი საკუთრად იგინი არიან, რომელნიცა აღაშენებენ ბრუნუასა, ანუ ითხოვენ“ (§ 100).

ზმნისართები და **კავშირები** ანტონის დახასიათებული აქვს მათი ფუნქციის მიხედვით (§ 101-139).

თუ გრამატიკის პირველ ნაწილში ანტონი ემპირიულ მასალას ალაგებს, — მეტყველების ნაწილები და მათი ცვლა აქვს დახასიათებული, — მეორე ნაწილი, თუ შეიძლება ითქვას, თეორიულ საკითხებს ეხება — რას სწავლობს გრამატიკა, რას წარმოადგენს ესა თუ ის მეტყველების ნაწილი და მორფოლოგიური კატეგორია („მდეგარი“), რომლის მიხედვითაც ესა თუ ის მეტყველების ნაწილი იცვლება.

გრამატიკა ანტონის განმარტებით „არს შემძლებლობა მართლუბნობად და წესიერ წერად“ (§ 153)... უკვე წინასიტყვაობაში ჰქონდა აღნიშნული ანტონის, რომ „არა რად მოყუარება სიბრძნისა იქმნების თვნიერ

¹ ანტონის ცალკე აქვს გამოყოფილი ისეთი პირნაკლი ზმნები, რომელთაც პირველი და მეორე პირი აკლიათ: თოვს, თენდების (§ 92).

მართლ-უბნობისა ანუ წესიერ წერისა. მაშასადამე, ღრამმატიკაჲ, თვნიერ იჭჳსა, არს კარი სიბრძნისა“ (გვ. 1).

გრამატიკის შესწავლის საგანია: 1. წიგნი, 2. მარცხალი, 3. ლექსი, 4. სიტყუა (§ 154). „სიტყუა“ ახლანდელი „წინადადება“, „ლექსი“ კი — სიტყვა.

წიგნი „არს ღრამი, ნაკუჭთი რაჲმე, მნიშვნელი ყოვლისა წერილისა“ (§ 156).

ყველაზე დიდი ერთეულია „სიტყუა“ (=წინადადება), ყველაზე მცირე — წიგნი (ღრამი, ასო): სიტყუა (წინადადება) შედგება „ლექსებისაგან“ (სიტყვებისაგან), ლექსი — მარცხალთაგან, მარცვალი — წიგნთაგან. ანტონი ცდილობს განასხვავოს „წიგნი“ და „ასო“: „ასო არს წიგნი შემძლებელი ნაწევრობითისა ოხტრისა“ (და იმოწმებს მხითარ სებასტიელს), მაგრამ ხმის („ოხტრა“) შემოტანა განსაზღვრებაში არ ცვლის საქმის ვითარებას: უმარტივესი ერთეული არის წიგნი, „ღრამი“, ე. ი. ასო. სხვანაირი დასკვნა ვერ გაკეთდება, რაკი შესწავლის საგანია სამწერლო ენა.

„წიგნი“ რომ „ასოს“ (ე. ი. დაწერილს), გულისხმობს, ცხადი ხდება ანტონის განმარტებისაგან უ-ს შესახებ: „...საკუთრად არა აქტს ენასა ჩუცნსა, მით რომელ ასოთაგან, რომელა **ო, ჳ** წარმოდგების, ვითა ომიკრონისაგან და ჳსილონისა ელადებრ...“ (§ 157).

ძველ ქართულში, მართლაც, ცალკე ნიშანი უ-სთვის არ მოიპოვებოდა, უ გადმოიცემოდა ორი ნიშნით **ოჳ**: ასო არა გვქონდა უ ბგერისათვის; ანტონი კი ამბობს, უ არა აქვს ენასაო: იგულისხმება **ასო** დამწერლობაში (და არა — ბგერა ენაში).

მაგრამ ეს არ უშლის ანტონის ილაპარაკოს „ოხტრის“ (ე. ი. ხმის) შესახებ: „ასო არს წიგნი შემძლებელი ნაწევრობითისა ოხტრისა“ (§ 156). ანტონი ბგერათა არტიკულაციას ეხება და წარმოების მიხედვით ერთი რიგის ბგერათა ჯგუფებს იძლევა: „**ბ, მ, პ, ფ**... ბაგეთა ურთი-ერთას შეხებითა გამოიღებიან... **გ, ქ, კ**... გამოიღების მსაჭიროები არა ფრიად ჯორჯისა ჳმარებისა... ხოლოდ **დ, თ, ტ**... მახლობელ კბილთა სასისა მიმართ მცირედრე ფართოდ შეხებითა ენისა მწუჭრვალისათა გამოიღებიან... **ზ, ს, ც, ძ, წ**... მწუჭტადრე შეხებითა სასისა მიმართ ენისა მწუჭრვალისათა გამოიღებიან... **ლ, ნ**... მცირედრე ფართოდ სასისა მიმართ ენისა მწუჭრვალისა შეხებითა გამოიღებიან... **ჟ, შ, ჩ, ც, ჯ**... მქისედ და ფართოდ შეხებითა ენისა მწუჭრვალისათა გამოიღებიან... **ღ, ყ, ხ, ჳ**... ჯორჯისა მქისედ ჳმარებისა მსაჭიროებნი გამოიღებიან... (§ 157).

მარცვლის თვისება არის — ანტონის თქმით — ჰქონდეს „ჳმოვანი ძალითად ანუ მოქმედებითად“: ბრ-ძე-ნი სამი მარცვლისაგან შედგება: -ძე, -ნი ხმოვნის მქონეა „მოქმედებითად“, ბრ — კი „ძალითად“: ბრ (§ 161).

ლექსი (ე. ი. სიტყვა) ანტონის განსაზღვრული აქვს, როგორც „ნიშანი მოგონებისაებრ ჩუწნისა“ და მიუთითებს: „ესე განსაზღვრება ფილოსოფოსთაგან დადებულ არს (ბაუმეისტრის ლოლიკა, თავი 2, § 55) (§ 163).

სიტყვა (ე. ი. წინადადება) „არს შეერთება ლექსთა, ცხადმყოფი მოგონებისა (§ 167). ამრიგად: წინადადება სიტყვათა შეერთებაა, სიტყვა წარმოდგენის („მოგონების“) ნიშანია. წინადადებაც წარმოდგენას გადმოგვცემს, მაგრამ რაკი სიტყვები ერთდება, შესაძლებელი ხდება განჰსჯა (ე. ი. მსჯელობა § 167).

სიტყვის ნაწილი (ე. ი. მეტყველების ნაწილი) რვაა: 1. სახელი, 2. ნაცვალსახელი, 3. ზმნა, 4. მიმღეობა, 5. თანდებული, 6. ზმნიზედა, 7. კავშირი, 8. შორისდებული (§ 170).

სახელი იყოფა ორად: არსებით სახელად და ზედშესრულად (§ 174). ზედსართავი სახელი, ამრიგად, ცალკე ერთეულს არ წარმოადგენს (მით უფრო რიცხვითი სახელი).

სახელი შეიძლება იყოს: 1. მხოლოებითი (ე. ი. საკუთარი — ვახტანგ, მცხეთა, მტკჷარი...) 2. საზოგადო (წიგნი... თეთრი...), 3. შემკრებლობითი (ერი, გუნდი, არვე... § 176).

ზედსართავიც სამგვარია: 1. დადებითი (კეთილი, ბოროტი, გრძელი, მოკლე...), 2. შემსგავსებითი (კეთილებრი, ბოროტებრი, გრძელებრი, მოკლებრი...), 3. უდადებითესი — „აღმატებითად მნიშვნელი ვითარებისა“: უკეთილესი ანუ ყოვლად კეთილი, უბოროტესი ანუ ყოვლად ბოროტი, უგრძესი ანუ ყოვლად გრძელი (§ 177).

სახელს აქვს ხუთი მღევარი: 1. ნათესავი (ე. ი. სქესი: მამრობითი, მღედრობითი, უმეშუშობითი, საზოგადო); 2. ნაკუჭთი (მარტივი: მართალი და რთული: მართლ-მადიდებელი); 3. სახე (პირველ სახე — ე. ი. პირველადი, ცა და სხმით-გარდასვლითი: ე. ი. ნაწარმოები: ციერი); 4. რიცხვი (მხოლოებითი და მრავლობითი) და 5. ბრუნვა (§ 178-184).

ამრიგად, მღევარი მოიცავს, როგორც მორფოლოგიურ კატეგორიას („ნათესავი“, ბრუნვა, რიცხვი), ისე ფუძის დახასიათებას შედგენილობა-წარმოქმნის თვალსაზრისით. აქ ანტონის გრამატიკა დიონისე თრაკიელის „ტექნე გრამატიკეს“ მისდევს.

ზმნას რვა მღევარი აქვს: 1. ნათესავი (ე. ი. გვარი: შემოქმედებითი, ვნებითი, უმეშუშობითი); 2. ნაკუჭთი (მარტივი: ვჰსდებ და რთული: სახელვჰსდებ); 3. სახე (პირველსახე: ვჰსწოვ, სხმით-გარდასვლითი: ვაწოებ, მრჩობლ-სხმით-გარდასვლითი: ვაწოებინებ); 4. რიცხვ, 5. პირი, 6. დროდ, 7. სქესი, ე. ი. კილო: 1. საზღვრებითი (ე. ი. თხრობითი),

2. ბრძანებითი, 3. საწადისი (ე. ი. ნატვრითი), 4. უპოტეტიკადას ანუ უკეთუ-ობათისა (ე. ი. პირობითი), 5. განუსაზღვრებელი ანუ უჩინოდ (ე. ი. განუსა-ზღვრელი, ინფინიტივი) და 6. უღლუაჲ (ე. ი. უღვლილება... §§ 240-259).

სახელისა და ზმნის ამ „მდევართ“ ანტონი საკმაოდ დაწვრილებით განიხილავს (§§ 169-276, გვ. 124-199).

სინტაქსი ანტონისათვის სიტყვათა შეხამებას შეისწავლის („გან-კარგუა წესიერ თანვმოებითი ნაწილთა...“ § 307); წინადადება და მისი წევრები: ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება, განსაზღვრება იმ ხანად სინტაქსის ცნებებად არ მიიჩნეოდა. როგორ შეეხამება ერთმანეთს სიტყვები წინადადებაში — ესაა სინტაქსის ამოცანა: „ვითარ იგი ნაკუჭთნი მარმარილოდსანი, პორფირისა ანუ ამარტისანი სამეუფოთა პალატთა შინა იატაკად ანუ კედლად ვმეუღნი ნაკუჭთნი ყუბავილენი ანუ ვაკედნი ერთმანერთისა შესაფერ და თანვმოებით განიკარგვან ყოვლადსა შინა თჳსსა ანუ ყუბავილნი წესიერ თანვმოებით განკარგულნი წალკოტსა შინა, — ეგრეთცა თანვმოებით ნაწილნი თჳსნი სიტყუთასა შინა და სიტყუანი თავთა შინა და თავნი წიგნთა შინა ჰყოფენ წესიერ სინტაქსსა; მაშასადამე, სუნტაქსი სიტყუთა განკარგუა არს წესიერ თანვმოებითი ნაწილთა ველოვნებითსა ყოვლადსა შინა“ (§ 308).

სხვადასხვა სიტყვის (სახელისა და სახელის, სახელისა და ზმნის, თანდებულისა და სახელის...) ურთიერთობა — **თანვმოება** (ე. ი. შეთანხმება) და **ძიება** (ე. ი. მართვა) სინტაქსის ამოცანად არის მიჩნეული (§ 309-417).

სათანადო წესების ნიმუში იქნებოდა: „ყოველნი ზმნანი შემოქმედებითნი აწმყოსა დროსა შინანი... ითხოვენ საძიებოთა თჳსთა (ე. ი. მართულთ) ბრუნვლთა მიცემითად; მაგალითებრ:... ვჰკუჭთ ველსა, ვჰსჯი წინადადებასა, ვჰნერგ მორჩილსა... (§ 351).

„ყოველნი ზმნანი შემოქმედებითნი ნამყოსა სრულსა დროსა შინა... ითხოვენ საძიებოდ... ბრუნვლსა წრფელობითად, მაგალითებრ: მოვიძულე ბოროტი, შევიყუარე კეთილი, შეიწყნარა ჭეშმარიტებად... (§ 353).

ახლა ვიტყოდით: მოქმედებითი გვარის ზმნასთან მართული სახელი მიცემითშია, როცა ზმნა აწმყოშია, და — სახელობითში, თუ ზმნა ნამყო ძირითადშია.

ანტონის გრამატიკა ქართული ენის პირველი ვრცელი გრამატიკაა. უფრო ვრცლად ქართული ენის ბრუნება-უღვლილება და სიტყვათ-შეხამება არც შემდეგში ყოფილა განხილული ამავე ტიპის (პრაქტიკულ) გრამატიკაში. ანტონისეული გრამატიკის მასალა ქართული ენის ფაქტებს შეუდარა და კრიტიკულად განხილული, ფართოდ გამოიყენა თავის შრომაში („ქართული გრამატიკა“), მარი ბროსემ. ამ შრომის მეშვეობით ანტონის

გრამატიკული ნააზრევი დაინტერესებული სპეციალისტებისათვის ხელმისაწვდომი გახდა რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში.

ანტონის „ქართული გრამატიკა“ საინტერესოა, როგორც კონკრეტული მასალის თვალსაზრისით, ისე იმ თეორიულ-გრამატიკული კონცეფციით, რაც მას საფუძვლად უდევს. გრამატიკული სისტემა, რაც ამოსავალს წარმოადგენს ანტონის შრომისათვის, ესაა დიონისე თრაკიელის ფილოლოგიური გრამატიკა (და მის საფუძველზე დამუშავებული სომხური გრამატიკა) იმ ცვლილებებით, რაც დროთა ვითარებაში მან განიცადა; იგულისხმება: სინტაქსის, როგორც გრამატიკის ნაწილის დართვა და ნორმატიული ხასიათი (გრამატიკა, როგორც „მართლ-უბნობა და წესიერ-წერა“). გრამატიკა — ველოგნება: სათაურად პირველ ნაწილს აქვს „თვს ველოგნებისა ღრამმატიკოსობითისა“.

მეტყველების ნაწილები ფილოლოგიური გრამატიკის მიხედვით არის წარმოდგენილი: სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, მიმღეობა, თანდებული, ზმნისზედა, კავშირი, შორისდებული (შორისდებული რომაელებმა დაურთეს ბერძნული გრამატიკიდან ნაწევრის ამოღების შემდეგ).

აქ დამახასიათებელია ის, რომ:

1. მიმღეობა ცალკე ერთეულს წარმოადგენს მეტყველების ნაწილთა შორის.

2. არც ზედსართავი და არც რიცხვითი სახელები არ ჩანს მეტყველების ნაწილთა სიაში (ზედსართავი — სახელთა ქვეჯგუფად აქვს გამოყოფილი ანტონის: ასე იყო დიონისეს გრამატიკაშიც).

3. წინდებულის ადგილი უჭირავს „თანდებულს“.

4. ფორმაცვალება (შესაბამისი მორფოლოგიური კატეგორიები) და სიტყვაწარმოება (ფუძეთა წარმოქმნა) გაერთიანებულია ზმნაშიც და სახელშიც „მღევარ“-ცნებაში; ასევე ჰქონდა დიონისეს.

5. სინტაქსი, როგორც სიტყვათ-შეხამების შესახებ მოძღვრება, აპოლონიოს დისკოლოდან მოდის, ლათინური ენის გრამატიკაში განმტკიცდა და ევროპულ ენათა რაციონალურ გრამატიკებშიც შევიდა. რუსული ენის ცნობილი გრამატიკა მ. ლომონოსოვისა, რომელიც 1755 წ. პეტერბურგში დაიბეჭდა, ისევე განმარტავს სინტაქსს, როგორც ანტონის ქართული გრამატიკა: ასეთი გაგება მაშინ საერთოდ იყო გავრცელებული.

გრამატიკის მეორე ვარიანტს (1767 წ.) ეტყობა ბაუმეისტერის ფილოსოფიის გავლენა ცალკეულ ცნებათა გაგებისას (იხ. მაგ., ლექსისა და სიტყვის განსაზღვრება), მაგრამ გრამატიკულ სისტემას არსებითად ეს არ დასტყობია.

ქართული გრამატიკის შედგენას, პირველ ყოვლისა, სკოლა (სემინარია) მოითხოვდა. ქართული გრამატიკა არ ჩანდა. ანტონის ძალა-უნებურად სხვა ენის გრამატიკის მაგალითზე უნდა გაერკვია, რას სწავლობს გრამატიკა. ასეთ გრამატიკად სომხური იყო აღებული (და, ალბათ, ბერძნული). განსაკუთრებით გრამატიკის პირველი ვარიანტის დამუშავებისას ანტონი უწევდა მეტ ანგარიშს იმას, რას მოითხოვს „გრამატიკის ხელოვნება“, ვინემ იმას, თუ როგორია ქართული ენის ფაქტი; სხვა ენისადმი მიბაძვა აქ ზოგჯერ წყვეტდა საკითხს. ასე, მაგალითად, სახელ-ზმნათა სინტაქსის დახასიათებისას ანტონი წერს: „შესაძლებელ არს ჩუწნისამებრ ენისა, რამეთუ ითხოვონმცა მმუფლებელი სახელი სახელ-ზმნათა ანუ უჩინოთა, დაღათუ ჩუწნ წელიწადსა 1754 (?) ახლად ქმნილსა ღრამატიკასა შინა ნაწილსა მესამესა ვჰსთქუენით განურჩევლად მონებად მიმღეობანი და მაშინ წოდებულნი იგი ჩუწნგან უჩინონი, რომელ არიან სახელ-ზმნანი უფალთა სახელთა მიმართ, მაგრამ მარტო სომხურისა ენისა ქცეულებისა მიმართ მიმხედუწლთა და არა ჩუწნისა ენისა გრძლად განმჰსჯელთა საბლითა მეცადინეობისათა იძულებით მოვათრიენით სახელნი და თქუმულნი იგი სიტყუს ნაწილნი და უქმენით სახელნი თქუმულთა მათ ნაწილთა სიტყუსათა, რათა სომხურისა თანა ენისა ყოვლითურთ მჰსგავსებად აქუნდესმცა ენასა ჩუწნსა, რომელი ესე სიჭაბუკემან და გამოუცდელიობამან ჰქმნა საქმისამან“ (§ 325, გვ. 217-218; იხ. აგრეთვე გვ. 220, I სვეტი).

სხვა ენის წამხედლობა ენის სისტემის აღწერისას ადვილად დასაძლევია რომ არაა, ეს თუნდაც სინტაქსის მაგალითზე იგრძნობა ა მ ქ ა მ ა დ ა ც . ამიტომ ანტონის თუ უჭირს დამოუკიდებელი მსჯელობა ქართული ენის მოვლენათა დახასიათებისას, ეს გასაკვირი როდია. „ერთი ენის გრამატიკაში არის, მეორისაში რად არ უნდა იყოს?“ — ასე იდგა საკითხი.

ამისდა კვალად გაჩნდა „ოთხი სქესი“ ქართულ სახელებში, ასევე შეიქმნა შემასმენლობითი ბრუნვა.

ანტონი წერს: „...სახელი ენისამებრ ჩუწნისა ანუ არს მამრობითი, ანუ მდედრობითი, ანუ უმეშუწობითა და ანუ საზოგადო“ (§ 185) და მოჰყავს ამის ნიმუშად: მ ა მ რ .: მამა, პაპა, მღჴდელი, სიმამრი, მამამთილი, ყრმა, ძმა, ვარი, ვაცი, უფალი, მეფე, ჭაბუკი... მ დ ე დ რ .: დედა, სიდედრი, სძალი, ყრმასა, უფალა, მეფა, ჭაბუკა... უ მ ე შ უ ე ო ბ ი თ ი (ე. ი. საშუალო): ქუა, სახლი, პალატი... ს ა ზ ო გ ა დ ო : კაცი, მშობელი, შვილი, ცხენი, ირემი, ტრედი, ლეკვ... (§ 185).

მაგრამ ეს დაჯგუფება სიტყვის შინაარსს ემყარება; ამიტომ ანტონი საჭიროდ მიიჩნევს დასძინოს: „არა რაღმე აქუს ნიშანი ჩუწნისამებრ ენისა სახელსა არსებითსა მამრობითად თქმულსა და არცა მდედრობითად თქმულსა. ხოლო ზედშესრულთა სახელთა მდედრობითად 'თქმულთა' აქუს რომელთამე დამაბოლოებელი **ა**, მაგალითებრ, ჭაბუკ**ა**, უფალ**ა**, მეფ**ა**, წინასწარმეტყუელ**ა**... მაშასადამე, ყოველსა ზედშესრულსა სახელსა მდედრისა ქუემდებარისა მიმართ მიღებულსა, უშეესაბამების მდედრობითი“ (§ 186). ამრიგად, არ ყოფილა საკმარისი სიტყვის შინაარსი, საჭირო ყოფილა ენობრივი (მორფოლოგიური) გამოხატულება ამ შინაარსისა. ანტონი იმასაც გრძნობს, რომ სხვა ენაში ასეთი გამოსახულების არსებობა არ კმარა იმისათვის, რომ ქართულ გრამატიკაში სათანადო ერთეული გამოიყოს: **ა** დაბოლოებაც ამიტომ დაუძებნა მდედრობითს (ჭაბუკ**ა**, მეფ**ა**...).

ამ მხრივ შემასმენლობითი ბრუნვის საკითხზე მსჯელობაა უფრო საინტერესო. ანტონიმ მეოთხე ბრუნვად პარადიგმებში მოაქცია „შემასმენლობითი“ (აკუსატივი); ბრუნვათა საკითხის განხილვისას — გრამატიკის მეორე ნაწილში — დატოვა ეს ბრუნვა (§ 200), ხოლო მომდევნო (§ 201) — მოანდომა იმის მოთხრობას, რომ შემასმენლობითი ბრუნვა ქართულს არა აქვს: „არა არს ჩუწნთა შინა საუბარ-წერილთა შესაბამე შეწნიერთა პოვნილ ბრუნუად ესე მეოთხედ, რომელა შემასმენლობითი, და არცა იპოვების გუბარი რაღმე, რაღთა შემასმენლობითად იბრუნოსმცა სახელი. ხოლო დალათუ პირველად ჩუწნ-მიერ ქმნასა შინა ახლად ღრამმატიკისასა, არა მცნობელ მან სხუათა ენათა ჩუწულეებისამან, მივჰხედენ რა სამისა მიმართ ენისა, ე. ი. ელინთა, ლათინთა და სომეხთასა, რომელთაცა აქუნდა ბრუნუად შემასმენლობითი, ესრეთ ზედ-წოდებულნი ელინებრ: იატიატიკი (უნდა იყოს: ადიატიკე — **ა. ჩ.**), ლათინებრ — აკუსატიო, სომხებრ — ლაიცაკან..., საჭიროდ ვგონე მაშინ დადებად შემასმენლობითი ბრუნუად... (§ 201, გვ. 140-141; ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**).

ამ ენებში ვპოვე და, გარდა ამისა, ობიექტი შემასმენლობითში დაისმისო (იქვე). სხვა ენებში რომ შემასმენლობითი არ მოიპოვება, მაშინ არ ვიცოდით. ანტონი განაგრძობს: „...დროს ყოფისა ჩემისასა ევროპასა შინა (ე. ი. რუსეთში 1757-1764 წ. წ. — **ა. ჩ.**) ფრიად ძიებად მაქუნდის ქცევათა ჩუწულეებისათა თვთუელთა ენათა მიმართ, ხოლო ენისამებრ იტალიანისა და ფრანცისა არყოფა ვპოვე შემასმენლობითისა ბრუნვასა, და ძიებად ნათესავისა სიტყუასა შინა იგმევენ წრფელობითსა სახელსა...“ (იქვე: ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**).

„ვინაშთა არა სირცხულ არს ენისა მის მიმართ, რამეთუ სიტყუასა შინა ძიებად ნათესავისა დაეკუწთოსმცა წრფელობითი, ვითარ იგი ვჰსცანთ იტალიანთა და ქრანცისთამებრ ენისა და ოდესმე ლათინურისამებრცა, რად აყენებს, რამეთუ ჩუწნისამებრ ენისა ძიებად ნათესავისამებრ სიტყუასა შინა იყოსმცა წრფელობითი, და არა იძულებით საბლითა მეცადინეობისათა მოვათრიოთმცა შემასმენლობითი... მაშასადამე, არა არს საჭირო ჩუწნდა, რამეთუ შემასმენლობითად ვაბრუნეთმცა წრფელობითი (იქვე, § 201, გვ. 141-142; ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

დამახასიათებელია: ენისთვის სირცხვილი არ არის, რომ დამატება სახელობითში დასვასო... მაგრამ ამის თქმა ანტონის გააბედვინა იტალიურმა და ფრანგულმა: იქაც არ აღმოჩნდა აკუზატივი... და მაინც, შემასმენლობითი დარჩა... „სამართლად მჰსჯელი დაესხმიდი ბრუნვათა სახელისათა შუღთა, მაგრამ მაშინდელთა მათ ჩემ თანა მშრომელთა პატივს ვჰსცემ და დაუთმობ ამას და რვათავე დავაწესებ ბრუნუათა სახელისათა“ (§ 195).

შემასმენლობითი ბრუნვის საკითხი ენის სისტემის აღწერის თვალსაზრისით საინტერესო ექსპერიმენტს წარმოადგენს და ზოგადი მეთოდოლოგიური მნიშვნელობისა ჩანს. „პირდაპირი ობიექტის“ ცნება ქართული ენის სინტაქსში ამჟამად ისეთივე წარმონაქმნია, როგორც იყო „შემასმენლობითი ბრუნვა“ ანტონის გრამატიკაში: აკუზატივი არა აქვს მორფოლოგიას, „პირდაპირი ობიექტი“ კი ზის სინტაქსში.

ანტონის გრამატიკაში მიუხედავად სხვაგვარი წყობის ენათა გრამატიკების გავლენისა მაინც აისახა ქართული ენის დამახასიათებელი რიგი თავისებურება: 1. მოთხრობითი ბრუნვა, როგორც დამოუკიდებელი ერთეული... 2. სახელთა ბრუნების ერთგვარობა (ერთი ბრუნება)... 3. სახელთა ფუძის კვეცა და კუმშვა... 4. ზმნის უღვლილება მ-, გ- თავსართით („პირნაკლი“)... და არა ერთი სხვ.

ზოგი ტერმინი, ანტონის გრამატიკაში ნახმარი, ამჟამად უცხოოდ ისმის; ასეთებია: „ნათესავი“ — სქესის მნიშვნელობით, „სქესი“ — ზმნის კილოს გავებით, „საზღვრებითი სქესი“ — თხრობითი კილოს ნაცვლად, „საწადისი“ — ნატვრითის, „სიტყვა“ — წინადადების ნაცვლად, „ლექსი“ — სიტყვის ბაღლად და სხვ.

მაგრამ ბევრი ტერმინი, ანტონის გრამატიკაში რომ გვხვდება, ახლაც ხმარებაშია და იმავე სახით; საკმარისია დავასახელოთ: „სახელი“, „ზმნა“, „ნაცვალსახელი“, „ზედშესრული“ („ზედსართავის“ პარალელურად ხმარებული), „ნაცვალსახელი“, „მიმღობა“, „თანდებული“, „კავშირი“, „ზმნისზედა“ („ზმნისართის“ ნაცვლად გამოყენებული), „შორისდებული“, „უღვლილება“, „ბრუნვა“, „მხოლოობითი“, „მრავლობითი“, „პირი“, „რიცხვი“...

ბრუნვათა სახელები: „წორფელობითი“ (ახლა ფუძის აღსანიშნავად ხმარებული), „ნათესაობითი“, „მიცემითი“, „დაწყებითი“, „მოთხრობითი“, „მოქმედებითი“, „წოდებითი“... ზურაბ შანშოვანი ხმარობდა: თავსართიან ფორმებს: „საწორფელო“, „სანათესაო“, „სამიცემადო“, „სამოქმედო“, „სადასაბამო“ (ამ უკანასკნელს „დაწყებითის“ ნაცვლად).

რა თქმა უნდა, ყველა ეს ტერმინი ანტონის შექმნილი არ არის, მაგრამ ანტონის გრამატიკის მეშვეობით დაინერგა.

ანტონის „ქართული ღრამმატიკა“ საფუძვლად დაედო არა ერთს გრამატიკას, რომლებიც XVIII ს. უკანასკნელ მეოთხედსა და XIX ს. პირველ მეოთხედში შეიქმნა: არქიმანდრიტ გაიოზის გრამატიკა (1789 წ.), არქიეპისკოპოს ვარლამის გრამატიკა (1802 წ.), იესე ჩუბინაშვილის გრამატიკა (1818 წ.)¹... ან ანტონის გრამატიკის შინაარსის გამარტივებულ გადმოცემას წარმოადგენდა, ანდა ძირითად მომენტებში ანტონის გაგებას ემყარებოდა.

ანტონის გრამატიკა — სამი სტილის თეორიის შესაბამისად — ხელოვნურად დაღვლარჭნილი ენით დაწერილი და ამის გამო ძნელი გასაგები რომ არ იყოს, გაცილებით მეტ ყურადღებას დაიმსახურებდა, ვინემ ის, რაც მას ექცევა.

§ 14. ი. გიულდენშტედტი და იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლა

ვრცელი ლექსიკური ჩანაწერები მთელ რიგ იბერიულ-კავკასიურ ენებში მოიპოვა ი. გიულდენშტედტმა, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა. მანვე გამოთქვა გარკვეული აზრი ამ ენათა ნათესაური ურთიერთობის შესახებ.

იოანე გიულდენშტედტი დაიბადა ქ. რიგაში 1745 წელს; გარდაიცვალა ქ. პეტერბურგში 1781 წელს. უმაღლესი განათლება მიიღო ბერლინში სამედიცინო-ქირურგიულ სასწავლებელში, სადაც 1763 წლიდან სწავლობდა (საექიმო საქმეს, ბოტანიკასა და, საერთოდ, ბუნებისმეტყველებას). დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა 1767 წ. ფრანკფურტში (ოდერზე). პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ (რუსეთის დედოფლის ეკატერინე მეორის განკარგულებით 1767 წ.) მოაწყო სწავლულთა მთელი რიგი მოგზაურობა რუსეთის იმპერიისა და მოსაზღვრე ქვეყნების შესასწავლად (და აგრეთვე ცთომილ ვენერაზე დაკვირვების მიზნით).

¹ Ц а г а р е л и А., Свед., II, 1889, LXI.

პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ მოიწვია 23 წლის ი. გიულდენშტედტი (მისი ბერლინელი მასწავლებლის გლედინის რეკომენდაციით) ერთ-ერთი ასეთი სამეცნიერო მოგზაურობის ჩასატარებლად. პეტერბურგში ი. გიულდენშტედტი ჩამოვიდა 1768 წლის აპრილში და იმავე 1768 წლის ივნისში გამოემგზავრა პეტერბურგიდან სამხრეთ რუსეთისა და კავკასიისაკენ; მგზავრობიდან პეტერბურგს დაბრუნდა 1775 წლის 2 მარტს.

ამრიგად, მოგზაურობაში ი. გიულდენშტედტმა დაყო თითქმის 7 წელი. აქედან კავკასიაში იმყოფებოდა 1770 წ. 22 იანვრიდან 1773 წლის ივლისამდე, ხოლო საქართველოში 1771 წლის სექტემბრიდან 1772 წლის ნოემბრამდე, ერთ წელზე მეტ ხანს.

მგზავრობაში მყოფი ი. გიულდენშტედტი ჯერ კიდევ 1770 წ. არჩეულ იქნა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ადიუნქტად¹, ხოლო ერთი წლის შემდეგ (1771 წ. 8 აპრილს) აკადემიის ნამდვილ წევრად და ბუნებისმეტყველების პროფესორად; 1770 წ. პეტერბურგის თავისუფალმა ეკონომიურმა საზოგადოებამ ი. გიულდენშტედტი აირჩია თავის წევრად; წევრად აირჩიეს იგი აგრეთვე ბერლინის საბუნებისმეტყველო საზოგადოებამ — 1774 წ., საკურფიურსტო მაინცის აკადემიამ ერთფურტში — 1779 წ.

მგზავრობის დროს ი. გიულდენშტედტი ხშირად ავადმყოფობდა (ცივებით). გარდაიცვალა 1781 წ. 21 მარტს პეტერბურგში, 36 წლისა.

ი. გიულდენშტედტის ძირითადი შრომა („მოგზაურობა“...) მისი სიკვდილის შემდეგ გამოსცა აკად. პ. პალასმა ორ ტომად შემდეგი სათაურით: დოქტორ იოანე ანტონის ძე გიულდენშტედტი (რუსეთის საიმპერ. აკადემიისა და საკურფიურსტო მაინცის აკადემიის წევრი...). „მოგზაურობანი რუსეთსა და კავკასიის მთებში“ ს.-პეტერბურგი, ტ. I (1787 წ.), XXIV+511 გვ., ტ. II (1791), 552 გვ.²

გიულდენშტედტის მარშრუტი ასეთი იყო:³ პეტერბურგიდან (1768 წ. ივნისს) წამოსულმა გამოიარა მოსკოვზე, ვორონეჟზე, ნოვოხოპერსკსა და ცარიცინზე (ახლანდელი ვოლგოგრადი), და 1769 წ. 4 დეკემბერს ჩამოაღ-

¹ ეს ცნობა, ისევე, როგორც სხვა ბიოგრაფიული ცნობები, მოცემული აქვს აკად. პ. პალასს თავის წინასიტყვაობაში, რომელიც მან წარუმიძღვარა ი. გიულდენშტედტის „მოგზაურობის“ გამოცემას (იხ. აქვე).

² D. Johann Anton Guldénstädt, *Reisen durch Rußland und im Caucasischen Gebürge*, St.-Petersburg. Bd. I (1787), XXIV+511 გვ. Bd. II (1791), 552 გვ. „გიულდენშტედტის მოგზაურობა“ (გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ) გამოსცა საქართველო. მეცნიერ. აკადემიამ (ტ. I, 1962 წ., ტ. II, 1964 წ.); თარგმანი შეასრულა და გამოცემა მოამზადა გ. გელაშვილმა.

³ მარშრუტის საკითხს არსებითი მნიშვნელობა აქვს გიულდენშტედტის ჩანაწერთა ზოგი მხარის გარკვევის თვალსაზრისით.

წია ასტრახანს, სადაც დახვდა აგრეთვე მგზავრობაში მყოფი პროფ. გმელინი (**Reisen**, I, გვ. 144). ასტრახანიდან 1770 წ. 13 იანვარს წამოვიდა და ყიზლარს მოვიდა 1770 წ. 23 იანვარს (**Reisen**, I, გვ. 146). ჩრდილო-კავკასიაში გიულდენშტედტი დარჩა 1771 წ. სექტემბრამდე (ე. ი. ერთი წელი და რვა თვე).

ყიზლარი იყო მისი ექსპედიციების მთავარი ბაზა. აქედან იმოგზაურა სხვადასხვა ადგილისა და ხალხის გასაცნობად. ასე, მაგალითად, 1770 წლის 26 თებერვალს ყიზლარიდან მოზდოკს ჩავიდა (**Reisen**, I, გვ. 147). მოზდოკიდან გაემგზავრა 2 მარტს სამხრეთისაკენ და (80 ვერსის დაშორებით) ინგუშებთან მივიდა 4 მარტს (**Reisen**, I, გვ. 149); ეს იყო პირველი ხალხი, რომელსაც კავკასიის მთიანეთში გავეცანიო: ინგუშები ანუ ქისტები, თავის თავს ღალღალს (**Halha** ჰალჰა) უწოდებენო (**Reisen**, I, გვ. 150). 9 მარტს დაბრუნდა ყიზლარს. ყიზლარში მოუვიდა აკადემიისაგან მიმდინარე წლის სამუშაოთა გეგმის დადასტურება (იქვე, გვ. 151).

მთიელთა თავდასხმების გამო მგზავრობა დამცველი რაზმის გარეშე სახიფათო იყო. თერგის, ყუმასა და ყუბანის სანაპიროთა დათვალიერების შემდეგ გენ. ტოტლებენთან ერთად უნდოდა საქართველოში ჩამოსულიყო, მაგრამ თანმხლები პირები ავად გაუხდნენ (იქვე, გვ. 151).

1770 წ. მაისში ისევ მოზდოკს გაემგზავრა. შუა ივნისში ჩაჩნების დასალაშქრავად მიმავალ გენ. მედემს გაჰყვა: ნავთის წყაროების დათვალიერება მქონდა განზრახულიო (ალბათ, აწინდელი გროზნოს სანახები ივარაუდება — **ა. ჩ.**). 20 ივნისს გენ. მედემის ბანაკს ჩაჩნები დაესხნენ თავს; დიდი საფრთხე მოელოდათ, არტილერია რომ არა (იქვე, გვ. 154).

1770 წ. 2 ივლისს ყალმუხების სოფლებისაკენ იმგზავრა. 8 ივლისს დაბრუნდა ყიზლარს და ავად გახდა (ციება დააწყებინა); 1770 წ. 22 ოქტომბერს ყიზლარიდან გამოემგზავრა და მოზდოკს მოვიდა (28 ოქტომბერს). აქ თბილისიდან ჩამოსული მურავიოვისაგან, რომელიც გზაზე ოსებს გაეძარცვათ, გაიგო, თბილისში შავი ჭირიაო; საქართველოში გამოემგზავრება კვლავ გადაიდო. მოინახულა ცხელი აბანო ისესუ (**Issessu**) — ჩაჩნების დასახლების ახლოს: თავადი კულშუკი ახლდა (თუმცა ამ ჩაჩნებს ერთგულების ფიცი დაედოთ, მაგრამ კულშუკი არ ენდობოდა; მათს სახლში შესვლაც კი სახიფათოდ მიაჩნდაო). 1770 წ. 13 დეკემბერს დაბრუნდა ყიზლარს.

1771 წლის 10 თებერვალს მედემის ჯარი დაიძრა მოთარეშე ოსების დასალაშქრავად; გიულდენშტედტი გაჰყვა; მიაღწიეს ოსურ სოფელს ზედა ჩიმს და იქიდან ყიზლარს გაბრუნდნენ (იქვე, გვ. 159). 1771 წლის გაზაფხულზე კვლავ დააპირა საქართველოში გამომგზავრება, მაგრამ „ყუბანის

პირას მოსახლე ხალხები“ აიშალნენ, და წამოსვლა ვერ გაბედა. 1771 წ. 18 მარტს ეკატერინეს წყაროზე სამკურნალოდ წამოიყვანა 18 ავადმყოფი; აბანოს მოქმედებას აკვირვებოდა და თვითონაც მკურნალობდა („სამდლიური მალარიისაგან“ — იქვე, გვ. 161).

ივლისში გენ. მედემა ყაბარდოელ თავადს ასლანბეკ თაუსულთანსა და კელემეთ დევლეთუყვას მიანდო გიულდენშტედტის დაცვა და მისი მგზავრობისათვის ხელის შეწყობა. 12 ივლისიდან 15 აგვისტომდე გიულდენშტედტმა მოიარა მცირე ყაბარდო და დიგორით (მამისონის უღელტეხილით) იმერეთში გადასვლა დააპირა, მაგრამ გზა — ნაპრალებიან მყინვარებზე — ძნელი ეჩვენა, მეგზურმა და თანმხლებმა ოსებმაც დიდი ქირა ითხოვეს. გიულდენშტედტმა უკან დაბრუნება არჩია. სოფ. ქვემო ჩიმში ოსების თავი-კაცების თემირსულტანისა და ახმეტის მფარველობაში გადასცეს.

1771 წ. 11 სექტემბერს ი. გიულდენშტედტი, როგორც იქნა, ოსების სოფელ ქვემო-ჩიმიდან დაიძრა (24 ყაზახისა და ასი შეიარაღებული ოსის თანხლებით — ზემოხსენებული ახმეტის შეწყევნით).

1771 წლის სექტემბრის დამლევს გიულდენშტედტი ღუშეთს ჩამოვიდა (გვ. 163, 227). ღუშეთიდან მცხეთაზე გავლით თბილისს მოაღწია; აქ (1771 წ. 15 ოქტომბერს) იგი მიიღო ერეკლე მეორემ, რომელმაც დახმარება აღუთქვა და რომლის ყურადღებით გიულდენშტედტი დიდად კმაყოფილი დარჩა. გიულდენშტედტი გაჰყვა ერეკლეს ლაშქარს ხერთვისისაკენ (მტკვრის აყოლებასზე). 1771 წლის 14 ნოემბერს ჩამობრუნდა — ჯართან ერთად — თბილისში (Reisen, I, გვ. 219). გიულდენშტედტი მიიღო ერეკლემ და კვლავ დაჰპირდა ხელის შეწყობას მის სამეცნიერო საქმიანობაში. გიულდენშტედტი სწავლობდა ბუნებას (მინერალებს, ფლორას, ფაუნას, მინერალურ წყლებს), ადათ-წესებს. „თავადები და თანამდებობის პირები პროვინციებში ჩემს წერილობითს შეკითხვებსა და თხოვნაზე პასუხს იძლეოდნენ, მეტ წილად ასრულებდნენ თხოვნას. იმერეთის მეფე სოლომონისაგან მომივიდა პასუხი, თავის ქვეყანაში ყოველგვარ დაცვა-მფარველობასა და ხელის შეწყობას მპირდებოდაო“, — წერს ი. გიულდენშტედტი (Reisen, I, გვ. 221).

1772 წ. 21 თებერვალს ერეკლე თავისი ამალით გაემგზავრა თელავს, ქიზიყსა და გაღმა მხარეზე გავლით. გზა და გზა ჩერდებოდა და მომჩივანთ სამართალს უჩენდა. გიულდენშტედტი გაჰყვა მეფეს.

ამ მგზავრობის მარშრუტი იყო: ნავთლუდი, საგარეჯო, მანავი, მელაანი, მაღარო, ვაჭირი (აქ 1772 წ. 6 მარტს გიულდენშტედტმა აკადემიისათვის მორიგი საანგარიშო მოხსენება დაწერა და ერეკლეს ფოსტით გააგზავნა ყიზლარს), მაჩხაანი, ბოდბე, მაღარო, ანაგა (სადაც 10-12 მარტს დარჩნენ).

გიულდენშტედტი სილნაღს ავიდა და, როგორც თვითონ წერს, შემთხვევა მიეცა ლეკებისაგან ცნობები მოეპოვებინა (Reisen, I, გვ. 237). 13 მარტს ანავიდან აიყარნენ, გაიარეს კარდანახი, ჩუმლაყი და — ალაზანს გაღმა — გავაზი, ყვარელი, შილდა, საბუეთი(!) — (ახლა „საბუე“ ითქმის — **ა. ჩ.**), გრემი, ბახტრიონი (ალაზანზე), ალავერდი, რუისპირი და თელავს ჩავიდნენ 1772 წ. 21 მარტს (ე. ი. სრული ერთი თვე იყვნენ გზაში); თელავიდან წინანდალს ჩავიდნენ, იქიდან — ველისციხეს; ველისციხიდან გაბრუნდნენ თელავს (23 მარტს). ერეკლე აქ დარჩა მარტის დამლევამდე და 1 აპრილს თბილისისაკენ გაემართა. გიულდენშტედტი შენიშნავს: „თელავში ყოფნა ჩემთვის სასარგებლო იყო იმ ცნობათა გამო, რაც მოვიპოვე კაბაჩის (ე. ი. კაპუჭის), დიდოს მხარისა, აგრეთვე ხუნზახის შესახებაო (Reisen, I, გვ. 244).

2 აპრილს გიულდენშტედტი თელავიდან ანანურს გაემგზავრა (ერეკლემ გიულდენშტედტს მხლებლად 100 კაცი გამოუყო); გაიარა ვარდისუბანი, ახმეტა, ალვანი და 4 აპრილს ანანურს ჩააღწია (ანანურში ჩამოუტანეს ყიზლარიდან გამოგზავნილი საექსპედიციო თანხა). ანანურიდან ახალგორს გადავიდა ქსნის ერისთავის დავითის მიწვევით (დავით ერისთავი ავად იყო და გიულდენშტედტის მკურნალობის იმედი ჰქონდა). სანამ ავადმყოფი გამოჩეზოდა, გიულდენშტედტი ახალგორიდან ექსკურსიებს მართავდა: მხლებლებს (50-100 კაცს) დავით ერისთავი ატანდა. 1772 წ. 2 მაისს გიულდენშტედტი დავით ერისთავის ამალით ახალგორიდან თბილისს გაემგზავრა. მუხრანში შეისვენა. 5 მაისს მუხრანიდან წამოვიდა და ნარეკვავით, ღართისკარით, მუხათგვერდითა და დიღმით თბილისს ჩამობრუნდა (Reisen, I, გვ. 253).

გიულდენშტედტი ვარაუდობდა მეფეს გაჰყოლოდა და ბორჩალო მოეგლო, მაგრამ, რაკი მეფეს აგვიანდებოდა (Reisen, I, გვ. 255), მარტო გამგზავრების ნებართვა ითხოვა: ქსნის ერისთავმა 30 კაცი და მეფემ 40 კაცი მცველად გამოუყვეს; ამას გიულდენშტედტის მხლებელი 24 ყაზახიც დაემატა, და თითქმის ასაკაციანი ამალით 1772 წ. 23 მაისს გიულდენშტედტი ბორჩალოს გაემგზავრა — ბოლნისით შულავერამდე იმგზავრა და 2 ივნისს თბილისს დაბრუნდა.

1772 წლის 20 ივნისს გიულდენშტედტი ცხინვალით რაჭაში გადავიდა. 6 ივლისამდე დავით ერისთავი ახლდა (სხლებში დავით ერისთავი გაბრუნდა და ოსი მცველები მიუჩინა). 9 ივლისს ონში ჩავიდა. 28 ივლისამდე რაჭაში მოგზაურობდა (სორი, წესი..., გლოლა, ღები... მრავალძალი მოიარა). 4 აგვისტოს ხოტევეთა და ნიკორწმინდით ოკრიბაში გადმოვიდა; 11 აგვისტოს ქუთაისში ჩამოვიდა, იქედან გელათს იმგზავრა; 16 აგვისტოს

ხონში ჩავიდა; აქედან ჯიხაიშ-კულაშ-სანავარდოთი — ბაღდადს ჩავიდა და 31 აგვისტოს ცხრაწყაროს (ყვირილასთან) ჩავიდა.

ხონში ყოფნის დროს (16-17 აგვისტოს) ბაზრობაზე ჩამოსული მეგრელებისაგან სამეგრელო-ოდიშისა და ლეჩხუმის შესახებ ცნობები მოიპოვა (**Reisen**, I, გვ. 309): სამეგრელოში მგზავრობა ამალითაც საშიში იყო, და ამას თავი აარიდა.

28 აგვისტოს თავასაში იმერეთის მეფე სოლომონმა უჩვენა ტყვიისა და სპილენძის მადნის ნიმუშები, სვანეთიდან, ცხენისწყლის სათავიდან ჩამოტანილი.

ამ შემთხვევასთან დაკავშირებით ზოგი ცნობა სვანების შესახებ ჩავიწერეო, შენიშნავს გიულდენშტედტი (**Reisen**, I, გვ. 317).

1772 წ. 10 სექტემბერს გიულდენშტედტი იმერეთიდან გაემგზავრა, სურამ-ცხინვალსა და ლარგვისზე გავლით მლეთით კობსა და შემდეგ სტეფანწმინდას ჩავიდა 1772 წლის 4 ოქტომბერს (იქვე, I, გვ. 324). თერგზე ოსებმა ხიდეები აყარეს, ხიდეების გამართვისთვის დიდი თანხა ითხოვეს და, გარდა ამისა, როგორც გაირკვა, გაძარცვას უპირებდნენ. სტეფანწმინდაში თითქმის მთელი თვე მოუხდა გიულდენშტედტს ლოღინი, სანამ გენერალმა მედემმა მაიორი კრიუდნერი არ გამოგზავნა 600 კაცითა და ორი ზარბაზნით. ამ ამაღის თანხლებით 1772 წ. 2 ნოემბერს გიულდენშტედტი სტეფანწმინდიდან დაიძრა და უვნებლად 15 ნოემბერს ყიზლარს ჩააღწია (იქვე, I, გვ. 430-432).

1772 წლის შუა ნოემბრიდან 1773 წლის შუა აპრილამდე ი. გიულდენშტედტი დარჩა ყიზლარში, ცდილობდა შეევესო ცნობები ჩრდილო-კავკასიის ხალხთა შესახებ (ტომობრივი შედგენილობა, დასახლებული პუნქტები, პოლიტიკური მდგომარეობა, ენა, სარწმუნოება...).

ი. გიულდენშტედტი ეპირებოდა ყირიმში მგზავრობას, სათანადო ნებართვა ითხოვა აკადემიისაგან. 1773 წ. 10 აპრილს მოუვიდა ნებართვა, მაგრამ დამცველი ამაღა ვერ გამოუყვეს და მგზავრობაც გადაიდო (**Reisen**, II, გვ. 2).

1773 წ. 17 აპრილს ამოჰყვა თერგის ნაპირებს და ბუნებას აკვირდებოდა. 15 მაისს ს. კალინოვკასთან (თერგზე) შეხვდა ოთხ გერმანელ მისიონერს¹ (ევანგელისტებს); სარეპტიდან (ვოლგაზე) იყვნენ წამოსული და სამისიონერო კოლონიისათვის ადგილს არჩევდნენ (მოზდოკამდე); პეტერსბადი (მერმინდელი გორიაჩევოდსკი?) მოსწონდათ და მეც ვურჩიეო, შენიშნავს გიულდენშტედტი (**Reisen**, II, გვ. 3).

¹ ი. გიულდენშტედტი ასახელებს, ვინც იყვნენ: ფრიდრიხ ჰეველი, ლორენც ბერგი, კონრად რაიცი და გოტფრიდ გრაფში (**Reisen**, II, გვ. 3).

1773 წლის 17 მაისს ი. გიულდენშტედტი მოზდოკს ჩავიდა (**Reisen**, II, გვ. 4). აქ უნდა დალოდებოდა ყაბარდოელ თავადს, რომელსაც გენ. მედემის დავალებით უნდა გაეცილებინა ქ. ჩერკასკამდე და უზრუნველყო უნიფათო მგზავრობა.

1773 წ. 12 ივნისს მოზდოკიდან გავიდნენ (**Reisen**, II, გვ. 4); გიულდენშტედტს ახლდა ყაბარდოელი აზნაური ჩებასგირეი კუდენეი და 85 ყაზახი (თავადი კურგოკ თათარხანოვი ყაბარდოში შეუერთდებოდა ამაღლას). გენ. მედემმა შვიდ ვერსზე გააცილა მოზდოკიდან წამოსული ი. გიულდენშტედტი. იმგზავრეს მდ. მალკის აყოლებით, მოიარეს დიდი ყაბარდო; ერთხანს შეჩერდნენ ბეშთაუს მიდამოებში (ახლანდელ პიატიგორსკთან); ი. გიულდენშტედტმა მოინახულა მაჯარის ნანგრევები; გზა-გზა აღწერა ისტორიულად საინტერესო ძველი ძეგლები (ჯვრები, კოშკები, ნეკროპოლები — „ჩრდილო-კავკასიის ძველი მოსახლეობის ნაშთები“, როგორც გიულდენშტედტი უწოდებს). თან ი. გიულდენშტედტი საყრდენი პუნქტებისათვის მარჯვე ადგილების შერჩევასაც არ ივიწყებდა: „მოზდოკის ხაზის“ უკანასკნელი ასეთი პუნქტი იყო ოცდამეორე (**Reisen**, II, გვ. 45).

1773 წ. 22 ივლისს ი. გიულდენშტედტი თავისი ამალით მდინარე დონს გადავიდა ნაგებით და ქ. ჩერკასკს მიაღწია. 29 ივლისს მხლებელი ყაბარდოელები გამობრუნდნენ, ხოლო 31 ივლისს — ყიზლარ-მოზდოკიდან გამოყოლილი ყაზახები.

ამით დამთავრდა ი. გიულდენშტედტის მოგზაურობა კავკასიაში. ჩერკასკიდან გიულდენშტედტმა მოინახულა ქ. აზოვი და 1773 წ. შემოდგომას ეწვია ქ. კრემენჩუგს (მაშინდელ საგუბერნიო ქალაქს). 1774 წ. იმოგზაურა ეკატერინოსლავის (ახლანდელი დნეპროპეტროვსკი) გუბერნიაში... ომიანობასთან დაკავშირებით პეტერბურგს დაბრუნების ბრძანება მოუვიდა. ბახმუტს ჩავიდა, იქიდან — კიევს მიბრუნდა... და იქიდან გამგზავრებულმა სერპუხოვით მოსკოვს ჩააღწია; პეტერბურგში დაბრუნდა 1775 წ. 24 მარტს (**Reisen**, II, გვ. 479).

ი. გიულდენშტედტის „მოგზაურობანი“ წარმოადგენს დღიურს, სადაც ავტორი აგვიწერს, როდის სად იყო და რა ნახა (ავგიწერს: რა ადგილია, როგორი ნიადაგი, წყალი, მცენარეულობა, ცხოველები, მწერები... მოსახლეობა, მოსაქმეობა და სხვ.); შიგა და შიგ ცალკე ექსკურსებია მოცემული; მაგალითად: „სია ყველა იმ მცენარისა, რაც 1769 წელს მდ. ხოპერისა და დონის გასწვრივ შევნიშნე“ (I, გვ. 107-114)... „მდინარე თერგი“ (შენაკადები... თევზები ამ მდინარეში... მცენარეები ნაპირებზე... დასახლებული პუნქტები სანაპიროზე (I, გვ. 164-198)... „თბილწყლიანი აბანოები თერგის პირას“ (I, გვ. 198-217)... „პოლიტიკური და გეოგრაფიული

ცნობები საქართველოს შესახებ“ (I, გვ. 325-345)... „ცხოველები და მცენარეები კავკასიისა“ (I, გვ. 418-430)... „კავკასიის ფიზიკური დახასიათებისათვის“ (I, გვ. 433-458)... „კავკასიის მთიანეთის პოლიტიკური გეოგრაფია და ხალხთა შეცნობა“ (I, 458-511)... ზოგჯერ თვით დღიურშია ჩართული სათანადო ექსკურსი; მაგალითად, II, გვ. 24-25 ჩამოთვლილია ბემთაუს მცენარეულობა, ხოლო II, გვ. 33-34 — მდ. ყუბანის აუზის მდინარეები...

უკრაინაში ხმარებულ სახენელთა აღწერილობა მოცემულია II, გვ. 480-493; იქვე, გვ. 494-5 შეიცავს უკრაინული ნამგლის აღწერილობას.

ი. გიულდენშტედტს უყურადღებოდ არც ენები დაუტოვებია. „მოგზაურობათა“ ტექსტში იგი ეხება ამა თუ იმ ენის წარმომავლობას — სხვა ენებთან ურთიერთობას. ამ შემთხვევაში ი. გიულდენშტედტი ემყარება ლექსიკურ მასალას, რაც მგზავრობის დროს შეკრიბა. ესაა ერთი და იმავე სიტყვების სია, გადათარგმნილი სხვადასხვა ენაზე.

„მოგზაურობათა“ მეორე ტომს დართული აქვს „სიტყვათ კრებული კავკასიაში ხმარებულ ენათა შესადარებლად“ (Wörterammlung zur Vergleichung der im Caucasus gangbaren Sprachen, ტ. II, გვ. 496-551); აქედან იბერიულ-კავკასიურ ენათა მასალა მოცემულია გვ. 496-535 (შემდეგ კი გვ. 535-551 უჭირავს ენებს: „ავგანურ, დუგორულსა და ოსურს“ 545 გვ-მდე და „სპარსულს, ქურთულსა და ყაზახურ-თათრულ დიალექტებს (545-551 გვ.)).

იბერიულ-კავკასიური ენები ი. გიულდენშტედტს რვა ჯგუფში აქვს გაერთიანებული:

1. ქართველური დიალექტები („Georgianische Mundarten“); შეიცავს სამს ერთეულს: ქართულს, მეგრულს, სვანურს (ტ. II, გვ. 496-504).

2. ნახური ანუ ჩაჩნური დიალექტები („Mizdschegische Mundarten“); აქაც სამი ერთეული გვაქვს: ჩაჩნური, ინგუშური, თუშური (ტ. II, გვ. 504-511).

3. „ლეკური“ და მისი მონათესავე დიალექტები: 1. ანწუხი, 2. ჭარი, 3. ხუნჯახი და 4. დიდო (ტ. II, გვ. 512-519). აქ როგორც ვხედავთ, მოცემულია ხუნძური ენა (სამი ძირითადი კილოთი, მასთან პირველ რიგში სამხრული კილოებია — ანწუხური, ჭარული — დასახელებული) და დიდოური ენა.

4. 5. 6. ლაკური („ყაზი-ყუმუხთა ენა“), ანდიური და აკუშური (ე. ი. დარგულელი, II, გვ. 520-527)... ლაკური და დარგულელი მეზობლად რომ არის, კანონზომიერია; ანდიურის აქ შემოტანა გამართლებული არაა არც ენობრივ თავისებურებათა მიხედვით, არც ტერიტორიული თვალსაზრისით, იგი ხუნძურთან და დიდოურთან უნდა ყოფილიყო.

7 და 8. ყაბარდოული და აფხაზური (II, გვ. 527-535). აფხაზური „აბას“-ურად იწოდება (Abassische); გარჩეულია: კუშხასიბ-ბაზას (ანუ მთა-სიმიერი, ე. ი. შავი ზღვისპირული) და ალთი-ქესექ აბაზას („ექეს-ნაწილედ აბაზას“) ლექსიკური ვარიანტები.

გვაკვლია ნიმუშები: ჭანურისა... უბიხურისა... ლეზგიური ჯგუფის ენათა — მთლიანად... ი. გიულდენშტედტის სიტყვანი, თუ გამოცემულ ტექსტს და ვუჯერებთ, ერთგვარ რყევას განიცდის: ერთს შემთხვევაში მეტ სიტყვას შეიცავს, სხვა შემთხვევაში ნაკლებს: ქართველური ენებისათვის 290 სიტყვას, ყაბარდოულისა და აფხაზურისათვის — 280, ხუნძურისათვის — 275, ლაკურისა და დარგულისათვის — 267 სიტყვას.

მაინც 260 სიტყვის თარგმანი არც თუ ცოტაა (სამწუხაროდ, ხშირად ხარვეზები გვაქვს: სიის ყველა სიტყვა არაა თარგმნილი).

სიტყვები დალაგებულია შინაარსობლივ (საგნობრივი ნიშნის მიხედვით): ღმერთი, ბატონი, მე (სახ., მიც., ნათ.), ჩემი, შენ (სახ., ნათ., მიც.), შენი, ის, ჩვენ, თქვენ, ისინი, მისი, ჩვენი, თქვენი, ვინ, ვისი, ვის, აქეთ, იქით... ახლოს, შორს, რა, დიახ, არა, უკან, წინ, -თვის... ერთი, ორი, სამი (ოცამდე — ყველა), ოცდაერთი, ოცდაცხრა, ოცდაათი, ოცდათერთმეტი, ორმოცი, ორმოცდაერთი, ორმოცდაათი, სამოცი, სამოცდაათი, ოთხმოცი, ოთხმოცდაათი, ასი, ორასი, სამასი, ათასი... კაცი, ხალხი, მამა, პაპა, პაპის მამა, დედა, ძმა, და, ვაჟიშვილი, ქალიშვილი, შვილიშვილი, ბავშვი, ბიჭუნა, მოხუცი, ცოლი... თმა, წვერი, შუბლი, თვალი, ცხვირი, ყური, პირი, ბაგე, კბილი, ენა, თავი, ყელი, მხარი, ხელი, თითი, ფრჩხილი, ტყავი, ხორცი, ძვალი, სისხლი, ქონი, ტვინი, გული, ოფლი... ძალღი, კატა, ხარი, ძროხა, ხბო, ცხენი, ვირი, ჯორი, ცხვარი, თხა... ირემი, აქლემი... ქათამი, ბატი, იხვი... ხორბალი, ქერი, ფეტვი, ღომი, შვრია, სიმინდი, ბამბა... წყალი, ლუდი, ღვინო, არაყი, რძე, მაწონი, თაფლი, წმინდა სანთელი, ფუტკარი, კარაქი, ყველი, კვერცხი, თევზი, ფრინველი... ტილო, მატყლი, აბრეშუმი, ტყავი... პერანგი, ნიფხავი, ტანისამოსი, ქუდი, ფეხსაცმელი... დანა, კოვზი, ცელი, გუთანნი, ხმალი, თოფი... ცეცხლი, შეშა, აბედი, თოფისწამალი, ტალი, მარილი, ფოლადი, რკინა, ტყვია, კალა, სპილენძი, ოქრო, ფული... მიწა, თიხა, სილა, კირი, ქვა... გზა, მინდორი, მთა... ქუხილი, ელვა, მზე, მთვარე, დღე, ვარსკვლავი, დღეს, გუშინ, ხვალ, კვირე, თვე, წელიწადი, გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი... ძილი, ღვიძილი, ავადმყოფობა... სიცივე, სითბო... მეგობარი, მტერი... შიმშილი, წყურვილი... თეთრი, შავი, წითელი, მწვანე, ლურჯი, ყვითელი, პატარა, დიდი... ტკბილი, მწარე, მკავე, მსუბუქი, ლამაზი, თბილი, ცივი, მაღალი, დაბალი, ღრმა, კარგი, ავი... ტირილი, სიცილი, სიყვარული, ლაპარაკი, სიკვდილი, სიცოცხლე, ჭამა, სმა, მიცემა, მოსმენა, სვლა...

აქედან ჩანს, რომ სიტყვათა დიდი უმეტესობა საგანთა სახელებია (სუბსტანტივები); თვისების აღმნიშვნელი სიტყვები (ატრიბუტივები) შედარებით ცოტაა; ზმნები კი — ძალიან ცოტა.

სიტყვებს თარგმნიდნენ თარჯიმნის მეშვეობით: თვითონ გიულდენ-შტედტმა არ იცოდა არც ერთი ენა, რასაც კავკასიის მიწა-წყალზე ხვდებოდა (არც რუსული იცოდა). ასეთ პირობებში კითხვის არასწორად გაგება გასაკვირი არ უნდა იყოს: **Essen** თარგმნილია „საჭმელი“ (უნდა ყოფილიყო „ჭამა“), **Trinken** „სასმალი“, **Sehen** „ხედავ“, **Hören** „გაიგონე“ (II, გვ. 504) **Sterben** **Maukudebo** (II, 503). **Mein** „ჩემი“ ხუნძურად თარგმნილია **Dürbugu** (**dir bugo** „ჩემი არის“ (II, გვ. 512).

თარგმანი იწერებოდა ლათინური თუ გუთური ანბანით, რაც ცხადია, იბერიულ-კავკასიურ ენათა სპეციფიკური ფონემების აღსანიშნავად საკმარისი ოდნავადაც არ იყო: ასეთი ბგერები მიახლოებით თუ აღინიშნებოდა, მით უმეტეს, რომ ასეთ ფონემათა გარჩევა, როცა ენა არ იცის კაცმა, შეუძლებელია; ამიტომაც, რომ „მაწონი“ **madsoni** გამოდის, ტყვია — „**Tkue**“... მეგრ. მონტყორი (მატყელი) **Motkori** წერია, „კაცი“ **kadzi**, მეგრ. **kodschi**... „მძიმე“ **mtsime**... ყინული „**kinuli**“... სიყვარული „**Zikwaruli**“...

გასაკვირი ასეთი შეცდომები კი არ არის, არამედ ის, რომ მეტი უზუსტობა არ დასტურდება: ეს უთუოდ ი. გიულდენშტედტის, როგორც მეცნიერის, დაკვირვების საფუძვლიანობას მოწმობს.

ყაბარდოულის, აფხაზურის (აბაზურის), ჩაჩნურ-ინგუშურ-თუშურის, ხუნძურის, ანდიურის, დიდოურის, დარგულისა და ლაკურისათვის (აგრეთვე მეგრულისა და სვანურისათვის) ამდენი სიტყვა პირველად იყო ფიქსირებული — ამ მხრივ გიულდენშტედტის ლექსიკური ჩანაწერები მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიაში დიდი შემეცნებითი ღირებულების დოკუმენტაციას წარმოადგენს.

ლექსიკური ჩანაწერები გიულდენშტედტს ენათა შესადარებლად სჭირდებოდა¹: ჩაწერილ სიტყვათა შეპირისპირებით გიულდენშტედტმა გარკვეული მონათესავე ჯგუფები გამოყო; ეს ჯგუფებია: 1. ქართული, მეგრული და სვანური; 2. ჩაჩნური, ინგუშური და თუშური; 3. ხუნძურ-დიდოური და დარგულ-ლაკური, ანდიური, 4. ყაბარდოული და აფხაზური.

გიულდენშტედტი ბუნებისმეტყველი იყო; გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს დ რ ო ს ფილოლოგებიც კი ენათა ნათესაობის საკითხს წყვეტდნენ ლექსიკური მასალის გარეგნული მსგავსების მიხედვით (გრამატიკულ მოვლენათა გაუთვალისწინებლად). რო-

¹ „მე ვაგროვებდი ქართული ენის სიტყვებს ისევე, როგორც ყველა სხვა ენისა, რაც კი მხვდებოდა, შედარების მიზნით“ (I, გვ. 343).

ცა მონათესავე ენები ერთმანეთთან ახლოს არის, მართოდენ ლექსიკის მსგავსებამაც კი შეიძლება ენათა ისტორიულ-გენეზისურ ურთიერთობაზე სწორი აზრი გვიკარნახოს. ამას გიულდენშტედტის მაგალითზე ვხედავთ.

საქართველოს კუთხეებში: კახეთში, ზემო, შუა და ქვემო ქართლში, იმერეთსა და გურიაში, — წერს გიულდენშტედტი, — ერთი სახის მეტყველებაა მცირე დიალექტური სხვაობით; სამეგრელოსა და სვანეთში ძალიან განსხვავებული დიალექტებია (**Mundarten**) — მეგრული — ნაკლებ, სვანური — მეტად, მაგრამ ისე კი, რომ ფუძენა არ შეიძლება არ ვცნოთ (**die Grundsprache nicht verkennen kann**), I, 342.

მეგრულის შესახებ სხვა ადგილას გიულდენშტედტი შენიშნავს: ისეთსავე მიმართებაშია ქართულთან, როგორც ჰოლანდიური გერმანულთანაო (I, 413).

სვანურში ცოტა სიტყვა ვიპოვე, სხვა კავკასიურ ენათა შესატყვისი, ყველა ენისაგან ძლიერ განსხვავდება, მაგრამ, ცხადია, რომ „ქართული მისი დედა არისო“ (I, გვ. 417).

აფხაზურსა (ანუ აბაზურს) და ჩერქეზულ ენას ერთი დედა ჰყავთ, მაგრამ მისი დიალექტები ისე განსხვავებულია, რომ ნათესაობას ყველაფერში ვერ ვიპოვით, არამედ ნაწილობრივ ძნელად დასადგენიც კიაო (I, 464).

აქ გიულდენშტედტი მონათესავე ენათა მეტ-ნაკლებ სიახლოვეს განასხვავებს.

ჩაჩნურის შესახებ გიულდენშტედტი წერს: ჩაჩნური არ ენათესავენა ჩემი ენობრივი ნიმუშების (**Sprachproben**) მიხედვით არც ერთს ენას კავკასიაში და სხვა ჩემთვის ცნობილ ენას... მიცქეგების ენა სხვადასხვა ძლიერ განსხვავებულ კილოებად ითქმის, მაგრამ საერთო ფუძე-ენა შეუძლებელია არ შევნიშნოთ. სხვადასხვა კუთხის მკვიდრთ ერთმანეთისა გაეგებათო (**Reisen**, I, 478).

დაღესტანში გიულდენშტედტი არ ყოფილა. ყიზლარიდან სტუდენტი კრაშენინიკოვი გაგზავნა თარხუ-ში მასალის მოსაპოვებლად ლექებისა და მათი ენების შესახებ, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა: შამხალმა ბრძანა — არავითარი კავშირი რუსებთან არ იქონიოთო (I, გვ. 484). მაინც ჩემი მასალა დაღესტნის შესახებ საიმედოაო, შენიშნავს გიულდენშტედტი (იქვე). უაღრესად განსხვავებული დიალექტები, რომლებზედაც მეზობელ მხარეებში მეტყველებენ, ერთი დედის შვილებად უნდა მივიჩნიოთ (**doch Töchter einer Mutter** — I, 484).

ასეთი დიალექტები რვა გამოვყავიო, წერს გიულდენშტედტი: 1. ან-წუხური, 2. ჭარული, 3. ხუნძახური, 4. დიდოური, 5. ლაკური, 6. ანდიური, 7. დარგუული და 8. ლეზგიური (კიურალე)... (I, 495).

ამათი ერთობა, მიუხედავად მასალის სიმცირისა და განსაკუთრებული ნაირსხვაობისა, მაინც იგრძნო გიულდენშტედტმა.

გიულდენშტედტის მეცნიერულ აზროს ისიც მოწმობს, რომ არც ყუმიკური, არც ნოღაიური, არც ოსური იბერიულ-კავკასიურ ენებში არსად შემოურია, თუმცა მხოლოდ ლექსიკის ჩვენებას ემყარებოდა, და კავკასიის ნაირ-ნაირი ენების შესახებ არავითარი გამოკვლევები მას არ მოეპოვებოდა.

მართალია, ი. გიულდენშტედტს არაფერი უთქვამს იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფებს შორის ურთიერთობაზე, მაგრამ ჯგუფებად დაყოფა და დებულება ცალკეული ჯგუფის წევრთა ნათესაური ურთიერთობის შესახებ პირველად ი. გიულდენშტედტმა წამოაყენა და არსებითად — სწორადაც.

ი. გიულდენშტედტის სახელთან არის დაკავშირებული მთის იბერიულ-კავკასიურ ენებზე გაბმული ტექსტების პირველი ჩანაწერების მოპოვებაც. რიცხვით სახელთა გარდა (რიცხვითი სახელები ლექსიკურ ჩანაწერებშიც გვაქვს) აქ 50-მდე ფრაზა გვაქვს; ეს ფრაზებია: 2.¹ ღმერთი უკვდავია; კაცის სიცოცხლე მოკლეა. 3. დედა ბავშვებს კოცნის; დედას ძუძუში ბევრი რძე აქვს; ის ქმარს უყვარს. 4. ეს ქალი ფეხმძიმე იყო; ექვსი დღის წინ ბიჭი ეყოლა; იგი (ქალი) ჯერ კიდევ ავადაა; მისი გოგონა მის გვერდით ზის და ტირის. 5. ბიჭს ძუძუს წოვა არ უნდა. 6. ეს გოგონა ჯერ კიდევ ვერ დადის; ის წლისა და ორი თვისაა. 7. ეს ოთხი ბიჭი ყველა ჯანმრთელია; ერთი დარბის, მეორე — ხტის, მესამე — მღერის, მეოთხე — იცინის. 8. ეს კაცი ორთავ თვალთ ბრმაა; მისი ცოლი ყრუა; ჩვენ ვლაპარაკობთ, მას არ ესმის. 9. შენს ძმას ცხვირს აცემინებს; შენს დას სძინავს; თქვენს მოხუც მამას არა სძინავს; ის ცოტასა ჭამს, ცოტასა სვამს. 10. ცხვირი სახის შუაშია. 11. ჩვენ ორი ფეხი გვაქვს; ყოველ ხელზე ხუთი თითი გვაქვს. 12. თავზე თმა იზრდება. 13. ენა და კბილები პირშია. 14. მარჯვენა ხელი ძლიერია მარცხენაზე. 15. თმა გრძელია და წვრილი; სისხლი წითელია; ძვლები ქვასავით მაგარია. 16: თევზს თვალეები აქვს, ყური — არა. 17. ეს ფრინველი ნელა ფრენს; ის მიწაზე ჯდება; მის ფრთებზე შავი ნაკრტენია, ნისკარტი წვეტიანი (ბასრი) აქვს, ბოლო — მოკლე; მის ბუდეში თეთრი კვერცხები დევს. 18. ხეებზე მწვანე ფოთლებია; ნუჯრი მსხვილია. 19. ცეცხლი ანთია; ჩვენ ვხედავთ კვამლს, ალს, ნაკვერჩხალს. 20. წყალი სწრაფად დის. 21. მთვარე ვარსკვლავზე დიდია, მზეზე პატარაა. 22. გუშინ საღამოს წვიმდა; დღეს დილას ცისარტყელას ვხედავდი. 23. ღამე ბნელა, დღისით სინათლეა (ეს სათარგმნელი ფრაზები — შიფნერის ცნობით — ბაკმეისტერის მიერაა შედგენილი, იხ. § 21).

¹ რიცხვითი სახელები პირველ ნომრად მიდის.

ეს ტექსტი მოცემულია: ქართულ, ყაბარდოულ, აფხაზურ, ჩაჩურ, ხუნძურ, ანდიურ, ლაკურ, დარგულ (აჯუმურ) ენებზე, მეგრულად, აგრეთვე ოსურ ენაზე. დაწერილია ლათინური და რუსული ასოებით; დამატებითი ნიშნები (წერტილები, ჯვარი, მათი კომბინაცია) ლათინურ ასოებსაც უზის საჭიროების დროს და რუსულსაც. ჩანს ტექსტის ჩამწერი თანადო ენის ფონემებს არჩევდა (უფრო, ვინემ ეს გიულდენშტედტის ლექსიკურ ჩანაწერებში ჩანს). გრამატიკული კონსტრუქციის თავისებურებებიც საგრძნობი ყოფილა: რუსული ტექსტი ცდილობს ეს ასახოს: „Мужу жена хорошо любить“... (ე. ი. ქმარს ცოლი... უყვარს); „луна велика звезды-от, солнца-от мал“... „три двадцать на десять один“ სამოცდათერთმეტი (ხუნდ.). ჩანს, რუსული არ წარმოადგენდა ამოსავალ ტექსტს: თარგმნიდნენ სხვა ენიდან (იქნებ არაბულიდან ან ლათინურიდან) და შემდეგ სათანადო ენის ტექსტს ეფარდებოდა რუსული თარგმანი (იგი პირველ რიგში წერია, მაგრამ ამოსავალი არაა).

ეს ფრაზები პირველი გაბმული ტექსტებია ყაბარდოული-სა, აფხაზურისა, ჩაჩურისა, ხუნძურისა, ანდიურისა და დარგულისათვის.

არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს ტექსტები გიულდენშტედტის ჩაწერილი არაა (ტრანსკრიფცია, ზოგი სიტყვის დაწერილობაც განსხვავდება), მაგრამ გიულდენშტედტის სახელს უკავშირდება: 1775 წ. 18 სექტემბერს გიულდენშტედტისაგან მიუღია ბაკმეისტერს, აკადემიური გიმნაზიის ინსპექტორს (ამჟამად ინახება ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში, ადელუნგის კოლექციაში).

ეს ტექსტები 1814 წ. გამოსცა მცირედი შეკვეცით იულ. კლაპროთმა (წყაროს დაუსახელებლად)¹.

§ 15. იულიუს კლაპროთის „მოგზაურობა“ და „კავკასიური ენები“

იულიუს კლაპროთი დაიბადა ბერლინში 1783 წ., 1802 წელს ვაიმარში გამოსცა „სააზიო ჟურნალი“ *Asiatischer Magazin*. როგორც ორიენტალისტი მიიწვიეს ს.-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში. 1805 წ. ახლდა გრაფ გოლოვკინს, რომელიც ელჩად მიემგზავრებოდა ჩინეთს; 1806 წ. საზღვრიდან გამობრუნდა (ჩამოიტანა ჩინური, მონღოლური და სხვ. ხელნაწერები). აკადემიის დავალებით იმოგზაურა კავკასიაში, ჩრდილო-კავკასი-

¹ უფრო დაწვრილებით ამ ტექსტების შესახებ: Арн. Чикобава. „К вопросу о первых текстовых записях по горским иберийско-кавказским языкам“ — ჟურნ. „Вопросы языкознания“, 1962, №4.

ასა და საქართველოში (1807-1808 წ.); 1825 წლიდან პარიზში მუშაობდა; გარდაიცვალა პარიზში 1835 წ.

მოგზაურობის აღწერა გამოიცა გერმანულ ენაზე ორ ტომად: „მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში, ჩატარებული 1807 და 1808 წ. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით და კავკასიის ქვეყნებისა, და მათი ხალხების სრული აღწერილობის შემცველი“: ტ. I, 1812 წ., 740 გვ., ტ. II, 1814, 624 გვ.¹.

პირველ ტომში გვაქვს: წინასიტყვაობა, გვ. V-X, არაბულ-სპარსულ-თურქული ანბანი — XI; ქართული ანბანი — XII, სარჩევი XIII-XV; კორექტურული შეცდომები — XVI; შესავალი, გვ. 1-5; ინსტრუქციები: გვ. 5-57; „ძიების საგანი“ — გრაფ პოტოცკისა — გვ. 6-15; „კითხვები და შენიშვნები“ — ავგუსტ ლერბერგისა — გვ. 15-27; გასარკვევი კითხვები — ფილიპე კრუგისა — გვ. 28-31; „დანართი ყივჩაღთა შესახებ“ (შენიშვნით: დანართი არ ეკუთვნის კრუგს გვ. 32-57); „პასუხი კრუგის მიერ მოწოდებულ სიტყვებზე“ — გვ. 58-86.

„მოგზაურობის“ I ტომის პირველი თავის („გამგზავრება პეტერბურგიდან მოსკოვს“) იწყება 87 გვერდიდან; უკანასკნელი, 35-ე თავი („თბილისის ჩამოსვლა, ამ ქალაქის აღწერა“) სრულდება 740 გვერდზე.

„მოგზაურობის“ მეორე ტომი, 1814 წ., შეიცავს „წინასიტყვაობას“, გვ. I-VI; „დანართს მეორე ნაწილის 381 გვერდისა“, გვ. V-XVI; სარჩევს, გვ. XVII-XVIII; შემდეგ მოდის ტექსტი: 36-ე თავი („საქართველოს მხარეთა აღწერილობა“) იწყება გვ. 1... უკანასკნელი, 42-ე თავი („ოსეთს გამგზავრება“) — 400 გვერდზე სრულდება. აქ ჩართულია დიდი და მცირე ყაზბარდოს რუკა.

„მოგზაურობის“ ტექსტს მეორე ტომში დართული აქვს: 1. „შენიშვნები ჩინეთისა და რუსეთის საზღვრების შესახებ, შეკრებილი 1806 წ. მოგზაურობის დროს“ — გვ. 403; 2. „უიღურთა ენა და დამწერლობა“ (უიღურულ-მონღოლური ანბანის ტაბულითურთ) გვ. 404-576; 3. „ოსების შესახებ“ — გვ. 577-626. ამას მოსდევს შეცდომათა გასწორება (6 გვერდზე) და რუკა ქართლ-კახეთისა და ქისტეთ-დაღესტნისა.

„მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში“ კლაპროთმა გამოაქვეყნა ფრანგულ ენაზედაც: „Voyage au Caucase et en Géorgie“, vol. I, II, Paris, 1823.

¹ Reise in den Kaukasus und nach Georgien, unternommen in den Jahren 1807 und 1808, auf Veranstaltung der Kaiserlichen Akademie der Wissenschaften zu St.-Petersburg, enthaltend eine vollständige Beschreibung der kaukasischen Länder und ihrer Bewohner, von Julius von Klaproth, Kaiserl. Russischem Hofrathe und Mitgliede der Akademie der Wissenschaften zu St.-Petersburg“, Erster Band, Halle und Berlin, 1812, 740 გვ.; Zweiter Band, 1814, 624 გვ.

1827 წ. ი. კლაპროთმა გამოსცა ქართულ-ფრანგული და ფრანგულ-ქართული ლექსიკონი¹ (ლექსიკონი წარმოადგენს პირველ ნაწილს შრომისა: „ქართული ენის ლექსიკონი და გრამატიკა“). შეიცავს ოთხ ათასამდე სიტყვას; ქართულ-ფრანგული ნაწილი (გვ. 1-123) იწყება სიტყვით: აბაზი; უკანასკნელ სიტყვად მოცემულია ზი—Oh; ფრანგულ-ქართული ნაწილი (გვ. 125-230) იწყება Abaze-თი; ბოლო სიტყვაა Zine თუთია..

ტექსტი (სიტყვები) პირდაპირ მისდევს სათაურს: სად, როგორ, როდის დააგროვა ქართული ლექსიკონი მასალა ანდა რა წყაროებით ისარგებლა ლექსიკონის შედგენის დროს — ამაზე არაფერია თქმული; ავტორს წინასიტყვაობაც ზედმეტად მიუჩნევია. მ. ბროსეს გარკვეული აქვს, რომ ი. კლაპროთს ლექსიკონის მასალა ამოღებული აქვს ნაწილობრივ ფირალოვის „თვითმასწავლებლიდან“ (1820 წ.), ნაწილობრივ პაოლინისა და ირბახის „ქართულ-იტალიური“ ლექსიკონიდან (1629 წ.)².

ი. კლაპროთმა ქართული ენის გრამატიკის ბეჭდვაც წამოიწყო (იტალიელი მისიონერის მიერ შედგენილი ტექსტის საფუძველზე). შვიდი თაბახი დაიბეჭდა კიდევ; ი. კლაპროთის გარდაცვალების შემდეგ (1835 წ.) წიგნის დამთავრება პარიზის სააზიო საზოგადოებამ მიანდო მ. ბროსეს (იხ. მისი: „ელემენტები ქართული ენისა“)³.

ი. კლაპროთს ეკუთვნის „კავკასიის ისტორიული, გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ტაბულა“ (1827)⁴ და მთელი წყება სხვა შრომებისა (მანჯურულის, უილურულის... და სხვ. შესახებ)...

თავისი „მოგზაურობის“ I ტომის წინასიტყვაობაში ი. კლაპროთი მოგვითხრობს, თუ სად როდის იყო, აგრეთვე გააკვირით ამბობს, რა ენის მასალას აგროვებდა და სად.

ი. კლაპროთი პეტერბურგიდან გამომგზავრებულა 1809 წლის სექტემბერს; პეტერბურგს დაბრუნებულა 1809 წლის 14 იანვარს (მგზავრობა გაგრძელებულა 1 წელსა და 4 თვეს).

1807 წ. სექტემბერს პეტერბურგიდან წამოვედი, — წერს კლაპროთი, მოსკოვისა და ხარკოვის გავლით ჩავედი ძველ ჩერკასკში (დონის ყაზახთა ადმინისტრაციულ ცენტრში); იქ ერთ ხანს დავრჩი, რომ ყალმუხებს გავცნობოდი და ლამაისტური სარწმუნოების შესახებ ცნობები შემივსოო.

¹ „Vocabulaire et Grammaire de la langue géorgienne par M. J. Klaproth, ouvrage publié par la Société Asiatique“. Première partie contenant le Vocabulaire Géorgien-Français et Français-Géorgien, Paris, 1827.

² ამის შესახებ იხ. M. Brosset, *Éléments de la langue géorgienne*, Paris, 1837 წ., გვ. X.

³ იხ. *Éléments de la langue géorgienne*, Paris, 1837, გვ. I-VI.

⁴ J. Klaproth. *Tableau historique, géographique et ethnographique du Caucase*, 1827.

1807 წლის ნოემბერში ჩამოვედი — დონის ველებზე გავლით — ქ. გეორგიევსკში (კავკასიის ადმინისტრ. ცენტრში). აქ ვაგროვებდი ცნობებს ჩერქეზების შესახებ და ყუბანს გაღმა მოსახლე ხალხების შესახებ (წინასიტყვაობა, გვ. VI); დავათვალიერე მდ. ყუმაზე მაჯარის ნანგრევები, კავკასიის მინერალური წყლები, ბემ-თაუ („ხუთწვერა“ მთა), მოვინახულე ამ მთასთან მდებარე სადგომი ინგლისელი მისიონერებისა და ვაგროვებდი ენის ნიმუშებს და სიძველეებს იქაური მხარისა¹.

ჯერ ჩრდილო-კავკასია მინდოდა მომეველო და შემდეგ საქართველოში წავსულიყავ, მაგრამ (შავი ჭირის გამო) კარანტინი იყო (კარანტინის მოხსნა 1808 წელს ივარაუდებოდა). გადავწყვიტე 1807 წელსვე საქართველოში გავმგზავრებულიყავ. ამ მიზნით წავედი მოზდოკს კონვოისათვის. კონვოის მოლოდინში მოზდოკს „შევავროვე საუკეთესო ცნობები ოსებისა და ქისტების შესახებ — ნაწილობრივ მკვიდრთაგან, ნაწილობრივ კათოლიკე პატრების, იეზუიტების დახმარებით (მათ მოზდოკში სახლი ჰქონდათ და კათოლიკურ ეკლესიაში მღვდელმსახურებას ასრულებდნენ)².

მოზდოკიდან მცირე ყაბარდოზე გავლით (ვლადიკავკასითა და დარიალის ხეობით) გადავიარე 1807 წ. 26 დეკემბერს მთა გუდი (ლუდი) ანუ ჯვრის მთა და არაგვის ხეობით ანანურზე გავლით ჩავედი მცხეთას („ძველ დედაქალაქს, რომლის ნანგრევებიც გამქრალაო!“ — ა. ჩ.). 1808 წ. 14 იანვარს ჩავედი თბილისს. თბილისში დავრჩი 1808 წ. მარტამდე: ვაგროვებდი ცნობებს საქართველოს შესახებ და ვათარგმნინებდი ამ ქვეყნის ისტორიას. „გავიცანი ბევრი წარჩინებული ქართველი, რომელთა რჩევა დიდად წამადგა. სამაგიეროდ, რუს ხელისუფალთ არაფერი გაუკეთებიათ ჩემთვის ხელის შესაწყობად, თუმცა შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება ჰქონდათო“ (წინასიტყ., გვ. VII).

1808 წ. 5 მარტს თბილისიდან გავემგზავრე — მცხეთა, მუხრანი, ახალგორი გავიარე ქსნის სათავისაკენ. აუწერელი სიძნელების გადალახვა (ყინვარის ნაპრალებზე გადასვლა) მომიხდა და მივალწიე თერგის სათავეს. ამის სახელი მე მეკუთვნის — წერს ი. კლაპროთი, — და არა ორ დორპატელ სტუდენტს, რომელნიც ერთი წლის შემდეგ ავიდნენ თერგის სათავესთან კობიდანაო. ამ ადგილებში ცხოვრობს ოსთა ტომი თორსაუ ანუ თურსო. ჩავყევი თერგს კობამდე, იქედან ჯვრის უღელტეხილით ანანურს ჩავედი და მცხეთით თბილისში დავბრუნდიო.

¹ „...den Besch-tau, besuchte die an diesem Berge gelegene englische Missionsanstalt und sammelte Sprachproben und Alterthümer der dortigen Gegend“, წინასიტყ., VI.

² „...Hier sammelte ich die besten Nachrichten über die Osseten und Kisten, theils von Eingebornen selbst, hteils durch die freundschaftliche Verwendung der P. P. Jesuiten, die hier ein Haus haben und den Dienst in der katholischen Kirche versehen“ — წინასიტყ., გვ. VI.

1808 წ. 29 მარტს გავემგზავრე თიანეთს, მდ. იორზე, კახეთში, რომ ცნობები შემეგროვებინა ლეკების¹, თუშებისა და ფშაველების შესახებ და მაისის დამლევამდე „საერთოდ ჩავატარე სხვადასხვა მგზავრობა საქართველოში². შემდეგ არაგვის ხეობით კავკასიონზე გადავლით ჩავედი ვლადიკავკასს და აქედან 12 ივნისს 1808 წ. კვლავ თბილისს დავბრუნდი, რომ იქ ფული მიმეღო (იქვე, გვ. VIII)... ზოგი ფაქტები შევავროვე და საბოლოოდ დავტოვე საქართველო. მოზდოკს ჩავედი 1808 წ. 14 ივლისს.

მოზდოკიდან გადავედი მცირე ყაბარდოში ტარტარუბის ნანგრევების დასათვალიერებლად (ჩერქეზების თქმით ევროპელთა ნაქალაქარია).

იქედან მდ. ურუხის აყოლებზე დიგორელ ოსებთან ავედი, თოვლიანი მთა გადავლახე და ონში ჩავედი, მაგრამ რუსებისადმი მტრული განწყობილების გამო მომიხდა უკან დაბრუნება დიგორსაო.

ჩერქეზთა სოფელ ელმურზინიდან გავემგზავრე ვლადიკავკასს (ბალთაშზე გავლით) და აქედან — მცირე ყაბარდოთი — მოზდოკს.

მოზდოკიდან გადავედი გეორგიევსკში, მოვიარე მაჯარი და ყუბანის ნაწილი (რა ნაწილი? — ა. ჩ.). 1809 წ. იანვარს დავბრუნდი პეტერბურგში, რადგანაც სხვადასხვა გარემოებამ შემიშალა ხელი გამეცნო აღმოსავლეთ-კავკასია და წავსულიყავ დაღესტანსაო, წერს ი. კლაპროთი (იქვე, გვ. IX).

მკითხველი ნახავს, რომ მე თანახმად ინსტრუქციისა გამოვიყენე წინამორბედთა მასალა და შესწორებაც შევიტანე, რომ შეძლებისდაგვარად სრული აღწერილობა კავკასიისა და მის მცხოვრებთა მომეცაო (წინასიტყვ., გვ. X).

თავის საქმიანობას ი. კლაპროთი უპირისპირებს გიულდენშტედტისას; ის იქადის: გიულდენშტედტი არ იყო ენის სპეციალისტი და ამიტომ მას არ შეეძლო კავკასიის ენა-კილოები შეედარებინა აზიის სხვა ენებისათვის და სათანადო ხალხთა წარმომავლობის საკითხი ერკვია. და ამიტომ გამოუტყნობი რჩება კავკასიის ტომთა ნაირ-ნაირობა. და ამის გამო, — განაგრძობს ი. კლაპროთი, — მიზნად დავისახე შემეგროვებინა საკმარისი მასალა იმ ხალხთა ენების შესახებ, რასაც მე ვეცნობოდი, და სრულმეყო ის, რაც ი. გიულდენშტედტმა წამოიწყო. და მე ვიმედოვნებ, — ასკვნის ი. კლაპროთი, — რომ წინამდებარე გამოკვლევები სრულიად ახალ გაგებას მოგვცემენ კავკასიელთა შესახებ და მათი წარმომავლობის თაობაზეო³.

¹ თიანეთში — ლეკების შესახებ ცნობების შეგროვება?! — ა. ჩ.

² „...und machte überhaupt bis zum Ende des May's verschiedene Reisen in Georgien“... წინასიტყვ., გვ. VIII.

³ „Kaukasische Sprachen“, „წინასიტყვაობა“, 1809 წ. 20 ოქტომბერი.

იულიუს კლაპროთის „მოგზაურობის“ დანართს წარმოადგენს შრომა „კავკასიური ენები“¹. თუმცა წიგნის თავფურცელს 1814 წ. აწერია, წინასიტყვაობის ბოლოს აღნიშნულია: ს. პეტერბურგი, 20 ოქტომბერი, 1809 წ.

წიგნი შვიდი ნაკვეთისაგან (Abschnitt) შედგება. პირველი ნაკვეთი (გვ. 4-138) დალესტნის ენებს (Lesgische Sprachen) ეხება; კლაპროთი აქ გამოყოფს რამდენიმე ძირის ენას (Spachstamm) ანუ რამდენიმე ჯგუფს:

I. ხუნძურს (erster Sprachstamm — der Auárische) გვ. 10-55; ხუნძურის ნიმუშები ანდიურთან შეპირისპირებითაა მოცემული.

II. დაზი-ყუმუხურს, ე. ი. ლაკურს (zweiter Sprachstamm — der Ckaßi-Ckumúkische) გვ. 56.

III. აკუმურს, ე. ი. დარგულს (dritter Sprachstamm — der Akuschaische) გვ. 58: აკუმურს წუდახარსა და კუბაჩაშიც ლაპარაკობენ; ბევრი სიტყვა საერთო აქვს დაზი-ყუმუხურთან, მაგრამ გრამატიკა განსხვავებული აქვთო; დაზი-ყუმუხურისა და აკუმურის ნიმუშებს შეპირისპირებით ვიძლევიო (გვ. 59-72).

IV. კურაულს (vierter Sprachstamm — Kuraelisch) გვ. 72. (ერთი აბზაცი); იქვე, ტაბულაზე 27 სიტყვა ამ ენისა შეპირისპირებულია დალესტნის სხვა ენებისასთან (ლაკურს, ანდიურს, ხუნძურს, დიდოურს, კაპუჭურს, დარგულს, კუბაჩურთან).

გვ. 74-157 კლაპროთს მოცემული აქვს დალესტნის ენათა „სიტყვათკრებული“ (Lesgische Wörterammlungen): გერმანული სიტყვები თარგმნილია ხუნძურად (ხუნძახური, „სამხრულ-ხუნძური“, ანწუხური ჭარული ვარიანტებით), ანდიურად, დიდოურად, ლაკურად, აკუმურად, კუბაჩურად, — ერთი სიტყვით აქ თავმოყრილია — პარალელური ტაბულის სახით — არსებითად ის მასალა, რაც გიულდენშტედტს ცალ-ცალკე ჰქონდა მოცემული; განსხვავება ისაა, რომ სათარგმნი სიტყვები გიულდენშტედტს საგნობრივი (თემატური) ნიშნის მიხედვით ჰქონდა დალაგებული². ეგევე სიტყვები კლაპროთს ანბანის რიგზე დაულაგებია³, ეს კი თემატური ჯგუფების დაშლას იწვევს (მასთან აძნელებს იმის გარკვევას, რა გვაქვს გიულდენშტედტის მასალიდან და რაა მეტი); სათარგმნი სიტყვათა რაოდენობა 430-მდე აღის; გიულდენშტედტს ხუნძურ-დიდოურისათვის 275 სიტყვა ჰქონდა ნათარგმნი).

¹ „Kaukasische Sprachen“. Anhang zur Reise in den Kaukasus und nach Georgien, Halle und Berlin, 1814, 288 გვ.

² Gott, Herr, Ich, Mir, Mich, Mein, Du, Dich, Dir, Dein, Er, Wir, Ihr, Sie...

³ Abend, Acker, alle, alt, alte Frau, Arbeit, Auge, Augenbraunen, Augenwimpern, Bach, Bart, Bauch, Baum...

გვ. 134-137 რიცხვითი სახელების პარალელურ სიას იძლევა; გვ. 138-ზე დღეთა სახელებს ჩამოთვლის ხუნძურ, ანდიურ, დიდოურ, ლაკურ, დარგუ-ულსა და ჩაჩურ(!) ენებზე.

მეორე ნაკვეთი (გვ. 138-175) ნახურ ენებს უჭირავს (**Mizdshe-gische Sprachen**): ჩაჩურს, ინგუშურსა და თუშურს (ე. ი. ბაცბურს), — სახელდობრ: გვ. 145-167-ზე გერმანული სიტყვებია თარგმნილი სამსავე ენაზე (აქ სათარგმნი გერმანული სიტყვები ანბანის რიგზე არ არის დალა-გებული — განსხვავებით წინა მონაკვეთისაგან); გვ. 167-168 რიცხვითი სა-ხელებია თარგმნილი (აგრეთვე: „კი“, „არა“); გვ. 169-171-ზე ჩაჩური ენის ყ ა რ ა ბ უ ლ ა ხ უ რ ი („შავწყაროს“) კილოს და ინგუშური ენის შ ა ლ ხ ა ტომის მასალას ვხვდებით: თარგმნილია ზმნები, სახელები (პარალელუ-რად); 170 გვ. ბოლო და 171 გვ. მთლიანად შალხაურ მასალას უჭირავს: ყარაბულახელს სურვილი არა ჰქონდა გაეგრძელებინა საუბარიო (გვ. 170); გვ. 172-175 ჩაჩური მეტყველების ნიმუშებია წარმოდგენილი „ერთგვარად განსხვავებულ კილოზე“ (სახელდობრ, რა კილოზე, ნათქვამი არაა).

მესამე მონაკვეთი (გვ. 176-224) ოსური ენის მასალას შეი-ცავს: ტექსტებისა და სიტყვების თარგმანს (თარგმნილია: „მამაო ჩვენო“, „ათი მცნება“, „კათეხიზმო“...); გვ. 180-189-ზე ოსური ენის გრამატიკის (კერძოდ, ბრუნება-უღვლილების) ცდაა მოცემული.

მეოთხე მონაკვეთი (გვ. 225-245) ჩერქეზულს უჭირავს; კერძოდ, გვ. 231-235 გრამატიკულ შენიშვნებს იძლევა; გვ. 235-236-ზე ტექსტების თარგმანი გვაქვს; გვ. 236-243 ჩერქეზული სიტყვებია წარმო-დგენილი (ყაბარდოულ დიალექტზე, როგორც შენიშნავს კლაპროთი... გვ. 236); უკანასკნელ ორ გვერდზე (გვ. 244-245) ყუბანის პირას მცხოვ-რები ჩერქეზული ტომის ჰატიყუაჰე-ს (**Hattiquahe**) მეტყველების ნიმუშს (**Sprachproben**) შეიცავს: თარგმნილია 75 სიტყვა, სამიოდე ფრაზა („რა ჰქვია?“ „რა არის ეს?“ „მე გთხოვთ“) და დღის სახელები. კლაპროთი შე-ნიშნავს: მასალა შეკრებილია 1809 წ. ციხე-სიმაგრე უსტ-ლაბინსკიდან სა-მოცი კილომეტრის დაშორებით დასავლეთისაკენ (ტომის მაშინდელ მეთა-ურს ბაისერუხ მისოსტ ახმეტუხ ერქვაო); ეს კილო ყაბარდოულს ცოტათი შორდებაო.

მეხუთე მონაკვეთი (გვ. 246-261) დათმობილი აქვს აფხა-ზურ ენას (**Abaßische Sprache**); სიტყვათა თარგმანი (გვ. 252-259), ფრაზე-ბის თარგმანი ა ლ თ ი - კ ე ს ე ქ - ა ბ ა ზ ა ს დ ი ა ლ ე ქ ტ ზ ე (ე. ი. აბა-ზურზე) — გვ. 260-261; იქვე, გვ. 261-ზეა იგივე ფრაზები „რალაც სხვა დიალექტზე თარგმნილი ერთი აბაზას მიერ“.

მეექვსე მონაკვეთი (გვ. 262-270) სვანურის მასალას ეთმობა: ზოგადი ცნობები და სიტყვათა თარგმანი (გვ. 267-270).

მეშვიდე მონაკვეთი (გვ. 271-288) თათრული ენების (ნოღაიურის, ყარაჩაულის, ყუმუკურისა და ყიზილბაშურის) სიტყვებს და ცოტაოდენ ფრაზებს აღწესავს.

იულ. კლაპროტის შრომებში ყველაზე საინტერესო ჩანს ისტორიული და ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობები კავკასიის ხალხების შესახებ. ი. კლაპროტს გამოუყენებია პლუტარქი, სტრაბონი, არიანე და ბიზანტიური წყაროები, არაბი ავტორები (აბულფედა, მასუდი..., „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტის გეოგრაფია, მოსე ხორენელი და სხვ.

ი. კლაპროტმა იცის, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ თარგამოსის ძეგლი შორის (ქართლოსისა და ჰაოსის გვერდით) ლეკოსიც არის მოხსენებული. ი. კლაპროტი სამართლიანად აკავშირებს სტრაბონის გელაძ-ს (Γήλα) და ინგუშთა სახელს ღალღაძ-ს, ლეგაძ-ს (Δήγαι) და ლეკებს (Kauk. Sprachen, გვ. 6-8).

ი. კლაპროტი გამოყოფს ოთხ ჩაჩურ ტომს. ღალღაძ, ყარაბულახი, ჩაჩნები და თუშები — ალაზნის სათავეში (იქვე, გვ. 144). „ქისტები“ ერთი ტომის სახელია (და არა მთელი ხალხისაო); ჩაჩნები კავკასიის უძველეს მოსახლეობას წარმოადგენენო (იქვე, გვ. 143). ეგევე ნათქვამი ჩერქეზების შესახებ: ჩერქეზები ძველი კავკასიური ძირეული ხალხიაო (იქვე, გვ. 228). თავის თავს ადიგე-ს უწოდებენ (გვ. 225). ბერძენთა ზიხები (Ζίχοι), ძველი სინდები, კერკეტები ადიღეური (ჩერქეზული) ტომები უნდა ყოფილიყვნენო (გვ. 226). 1497 წ. რუკაზე ფრედუციო ფონ ანკონა ყაბარდოელებს (Cabardi) უჩვენებს ტაგანროგის დასავლეთით; გეორგ ინტერიანო 1502 წელს ჩერქეზების მოსახლეობას პოულობს აზოვის ზღვის მთელ აღმოსავლურ სანაპიროზე (აქედან შემდეგში ისინი რუსებმა და 'ყირიმის' თათრებმა განდევნესო). ჩერქეზებს ყირიმშიც ეკავათო. ჩერქეზული გადმოცემით, ჩერქეზებს Kasach (ქაშახ? კასახ?) ერქვათ, სანამ ყაბარდოელი თავადები ყირიმიდან გადმოვიდოდნენო (გვ. 227). მეგრელები კაშახ-ს ხმარობენო (კაშახ-მეფე). სავარაუდოა, რომ ყაშახები (კაშაქები) რუსებისა და ჩერქეზების შერევის შედეგს წარმოადგენენო (გვ. 228). ჩერქეზი ტომებია: ბესლენეი, მუხომ, აბაზეხ, კემურყვაჰე (თათრულად: თემირგოძ), ბჟეღუხ, შაფსულ, ჟანი, შეგაკჰ (?) გვ. 230.

აბასები (Abaßen) თავის თავს აფსნე-ს უწოდებენ, ქართველები — აფხაზებს; ზღვისპირა აფხაზების გარდა კავკასიონის ჩრდილოეთითაც აბასები (აბაზები) გაფანტულად ბინადრობენ მდ. ყუბანის ზემო წელზე მდ. ყუმასა და მალკას შორის (გვ. 249): აღმოსავლეთი აბაზა ანუ მცირე აბა-

ზა — ტაპანთა: თათრები მათ უწოდებენ ალთი-ქესექ აბაზა-ს („ექესნაწი-ლელი აბაზა“, ე. ი. ექესი გვარისაგან შემდგარი აფხაზობა). ზღვისპირა აფხაზებს (საკუთრივ აბაზა, ჩაჟი, აიბგა, ახშიფსე, ხირფის) ჩერქეზები ეძახიან კუმხასიბა-ბაზა (ე. ი. მთას იქითური აფხაზობა).

აქედან ნათლად ჩანს, რომ XIX ს. დასაწყისშიც კი აბაზები (ახლანდელი აშხარელები და ტაპანთელები) აფხაზ ტომებად იყვნენ საყოველთაოდ ცნობილი („მცირე აფხაზობა“). აბაზური მეტყველება იგივე აფხაზური ყოფილა.

დალესტნის ენებს ი. კლაპროთი ოთხ ჯგუფად ყოფს: ხუნძური (ანდიურითა და დიდოურითურთ), ყაზი-ყუმუხური (ე. ი. ლაკური), აკუმური (წუდახარულითა და კუბაჩურით), ე. ი. დარგული და კურა-ელებისა (ე. ი. ლეზგებისა), იქვე, გვ. 9-10.

ამ უკანასკნელის შესახებ ი. კლაპროთი შენიშნავს: ჩემთვის ყველაზე ნაკლებ ცნობილიაო (გვ. 10) და იმასლა ამბობს, რომ საიხრეთ დალესტანშიაო, მაგრამ მისი გავრცელების შესახებ არაფერი ვიცოო (იქვე). ლაკურის (ყაზი-ყუმუხურის) ვითარებაც არ ყოფილა ცხადი: ი. კლაპროთი ლაკურ დიალექტებად მიიჩნევს ყარაკაიტაკისა და თაბასერანის დიალექტებს (ე. ი. დარგული ენის ხაიდაკურ დიალექტსა და ლეზგიური ჯგუფის თაბასარანულ ენას) იქვე, გვ. 9.

აღსანიშნავია, რომ თავის სქემას კლაპროთი უპირისპირებს გიულდენშტედტისას: რვა მთავარ დიალექტს გამოყოფდაო (გვ. 8). მართლაც, კლაპროთი გიულდენშტედტის პირველ ოთხ ერთეულს (ხუნძურს, დიდოურსა და უნსოურს, კაბუჭურსა და ანდიურს) ხუნძურის გარშემო უყრის თავს, და ამ მხრივ აზუსტებს სქემას. მაგრამ გიულდენშტედტს ხაიდაკი და თაბასერანი (**Kaidak, Kara-Kaidak und Tabaşeran**) ცალკე ჯგუფად ჰქონდა გამოყოფილი (VII ჯგუფად). ეს ჯგუფი კლაპროთმა შეუერთა ყაზი-ყუმუხურს, რომელიც VI ერთეულს ქმნიდა გიულდენშტედტთან. ხაიდაკურისა და თაბასარანულის ცალკე გამოყოფა არ იყო მართებული, მაგრამ ყაზი-ყუმუხურთან გაერთიანება სრულიად უსაფუძვლო ცვლილებას წარმოადგენს: კლაპროთი გიულდენშტედტის სქემას ემყარება, ამარტივებს მას და ამ შემთხვევაში აუარესებს (თუმცა თავისი დაჯგუფება „უფრო ზუსტი კვლევა-ძიების“ შედეგად მიაჩნია... — იქვე, გვ. 9).

გიულდენშტედტს გრამატიკული დახასიათება არ მოუცია; კლაპროთმა სცადა მოკლე გრამატიკული მიმოხილვა მოეცა ხუნძური და ჩერქეზული (ყაბარდოული) მასალისა.

ეს მიმოხილვა ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, შენიშვნები, ზერელე და უსაფუძვლოა: კლაპროთი პოულობს იმას, რაც ამ ენებისათვის უცხოა და ვერ ამჩნევს იმას, რაც დამახასიათებელია. ასე, მაგალითად, ი. კლაპროთი წერს: ხუნძურში სახელს სქესი არა აქვსო და მათთან დაკავშირებული

ზედსართავები და ნაცვალსახელები უცვლელი რჩებიანო (**Kauk. Sprachen**, გვ. 27); ნამდვილად: ხუნძური სახელები სამ კლასს განეკუთვნება და ზედსართავებიც შესაბამისად დაბოლოებას იცვლიან; თვითონ კლაპროთი (გვ. 29) შენიშნავს: ზედსართავებს ბოლოში ხან **-აბ** აქვს, ხან **-აგ**-ო (ე. ი. უცვლელი არ ყოფილა).

ბრუნების პარადიგმებში (გვ. 27-28) ნათესაობითი და მიცემითი ერთნაირად არის წარმოდგენილი, მასთან — მეტწილად — ისეთი ფორმით, რაც არც ნათესაობითია და არც მიცემითი (**Tschial** „კაცის“, „კაცს“); ბრუნვათა შორის აკუზატივიც არის შეტანილი, თუმცა ასეთი ბრუნვა ხუნძურს არა აქვს (ყველა მაგალითში აკუზატივის ადგილას სახელობითია გამეორებული).

ზმნის უღვლილების შესახებ მსჯელობა „მოზოდიშებით“ იწყება: ხუნძური ზმნის უღვლილება მეტად რთულია და იმ მოკლე დროში, რაც მას მოვახმარე, დაწვრილებით ცოტა რამ გავარკვიეო... უღვლილება მეტად არაწესიერია და მყოფადს იშვიათად ხმარობენ, არამედ მის ნაცვლად აწმყოს სვამენო (გვ. 30). არაწესიერი უღვლილების ილუსტრაციად მყოფადის იშვიათი ხმარება მეტად თავისებური მტკიცებაა (მყოფადს ხუნძური სათანადო შემთხვევაში შეუზღუდავად ხმარობს).

მეშველი ზმნის ჩვეულებრივ ხმარებული ფორმებია — კლაპროთის თქმით — შემდეგი: **bugo** „ის არის“ (**er ist**), **bugabi** „იყოს“ (**es sei**), **bugêwh** „შენ ხარ“ (**du bist**), **rugó** „ისინი არიან“ (**sie sind**), **jugo** „ის იყო“ (**er war**)... იქვე, გვ. 30.

გამოდის, რომ მეშველი ზმნა ხუნძურში პირებს განასხვავებს; ნამდვილად კი, პირის კატეგორია ზმნას აქ არა აქვს; გარჩეული კია კლასები: **b-ugo** ის, შენ, მე (III გრამ. კლ.) არის, ხარ, ვარ; **j-ugo** არც ნამყო და არც მესამე პირი (**er war**), არამედ II გრამ. კლასის ფორმა აწმყოში სამივე პირისათვის ანუ პირების განუსხვავებლად... **bugew** მიმღობაა აწმყო დროისა და არაფერი აქვს საერთო „შენ ხარ“-თან (**du bist**).

„გლაპარაკობ“ ზმნისათვის აწმყოს ფორმებად მყოფადია მოცემული (ისიც არაზუსტად: **avila** — ნაცვლად: **abula**-სი); ნამყო („მე ვთქვი“) კითხვით ფორმის სახითა აქვს წარმოდგენილი (**aunisch** — ე. ი. **abun-isch**; უნდა ყოფილიყო: **abuna**). მასთან კლაპროთს არ აფიქრებს, რატომ არის, რომ მხოლოობითისა და მრავლობითის ყველა პირში ერთი და იგივე — **aunisch** იხმარება, თუ ხუნძური ზმნა პირებს განასხვავებს.

კლაპროთის თქმით, ხუნძური ენა ყველა ლეკური (ე. ი. დაღესტნური) ენებისაგან უპირატესად იმით გამოირჩევა, რომ იგი მხოლოდ ოცამდე თვლის (**nur his zwanzig zählt**) და შემდეგ კვლავ თავიდან იწყებსო (!?) გვ. 32.

ჩერქეზული (ყაბარდოული) ენის „გრამატიკულ შენიშვნებს“ (**grammatische Bemerkungen**) ოთხი გვერდი უჭირავს. ისევე, როგორც ხუნძური სახელის ბრუნებისას, კლაპროთი აქაც ჩამოთვლის ბრუნვებს: **Nom., Gen., Dat., Acc., Vos., Abl.** ლათინური ენის გრამატიკიდან აღებულ ამ ბრუნვებს კლაპროთი ყაბარდოულშიც ისევე ეძებს, როგორც ხუნძურში და აზრადაც არ მოსდის, რომ ბრუნვათა რიცხვისა და შედგენილობის მიხედვით არა თუ ხუნძური განსხვავდება ლათინურისაგან, არამედ — გერმანულიც; მაშასადამე, ყაბარდოულიც შეიძლება შორდებოდეს ხუნძურს. თავისებურების საკითხი არც მაშინ დგება, როცა პარადიგმაში სამი ბრუნვა (**dat., acc., abl.**) სავსებით ერთნაირ ოდენობას იძლევა: დადემ — 1. „მამას“; 2. „მამა“ (**den Vater**); 3. „მამისაგან“... გამოდის, რომ სახელს მოეთხოვება ჰქონდეს გარკვეული ბრუნვები; განასხვავებს თუ არა მათ ენა, ამას მნიშვნელობა არა ჰქონია ბრუნებისათვის.

ასევე ზმნის უღვლილების პარადიგმაში „ცემს“-ზმნა (**schlagen**) ჯერ მოქმედებითშია აღებული (**ich schlage**), მერე — ვნებითში (**ich werde geschlagen**) აწმყოში, ნამყოსა და მყოფადში (გვ. 235-236); ყაბარდოულში გარდამავალ ზმნას ვნებითი რომ არ ეწარმოება, ამის საკითხი კლაპროთისათვის არა დგას.

მეორე მხრით, ყაბარდოულ ზმნას, მით უფრო გარდამავალს, რელატიური ფორმები აქვს: სუბიექტის გარდა ობიექტის პირის (და ობიექტების პირებისაც კი!) აღნიშვნა შეუძლია. მაგრამ ეს თავისებურება ყაბარდოულისა კლაპროთის ყურადღების გარეშე რჩება: გერმანული ენის გარდამავალი ზმნა **schlagen** მხოლოდ სუბიექტის პირებს იცვლის, და კლაპროთიც ამას ათარგმნინებს... ასე ნათარგმნი უღვლილება ყაბარდოული ენის ზმნაზე მიახლოებით წარმოდგენასაც კი, ცხადია, ვერ მოგვცემს.

სახელი სქესებს არ გაარჩევსო (გვ. 231); ყაბარდოულისათვის ეს სწორია. არსებით სახელს დართული **-r** ერთგვარად ნაწევრის როლში გამოდისო (იქვე). ესეც სწორი გამოუვიდა კლაპროთს (**-r** განსაზღვრულობის ნაწილაკია), თუ კი ეს საკუთარი დაკვირვების შედეგია.

ჩერქეზული გამოსათქმელად ძალიან ძნელია; ზოგი თანხმოვანი ისე ღრმად ითქმის ყელში, რომ ევროპელი კაცი მათ ვერ გამოთქვამს, მაგრამ მე უფრო ზუსტად გადმოვეცი, ვინემ გიულდენშტედტმაო, — წერს კლაპროთი (გვ. 230).

გიულდენშტედტმა გარკვეული აზრი გამოთქვა იმის შესახებ, რომ მონათესავე ჯგუფს წარმოადგენენ: ქართული სვანურთან და მეგრულთან ერთად; დაღესტნის ენები; მიცვეური (ნახური) ენები; ჩერქეზული და აფხაზური (აბაზური).

გიულდენშტედტისაგან განსხვავებით კლაპროთი არ იზიარებს დებულებას ჩერქეზულისა და აფხაზურის ნათესაობის შესახებ: „გიულდენშტედტი თვლის აფხაზთა და ჩერქეზთა ენებს ერთი დედის შვილებად; მაგრამ ჯერ კიდევ პალასმა შენიშნა, რომ აქ ის ძალიან შორს წავიდა: თუმცა აფხაზურში ბევრი ჩერქეზული სიტყვაა შეთვისებული, ამ ენის სახე (der Fond der Sprache) ჩერქეზულისაგან სრულიად განსხვავებულია. ამასვე გვიჩვენებს აქვე მოცემული სიტყვების ნუსხა: 375 აფხაზურ სიტყვაში მხოლოდ ორმოციოდე ურევია ისეთი, რომ ჩერქეზულისას ჰგავდესო“ (Kauk. Sprachen, გვ. 251).

სამწუხაროდ, არა ჩანს, რას უწოდებს კლაპროთი „ენის სახეს“, რომელსაც ის ლექსიკისაგან განარჩევს. საკითხის გადასაწყვეტად კლაპროთი მაინც ლექსიკის ჩვენებას მიმართავს: 375 სიტყვიდან მხოლოდ 40-ოდეა მსგავსიო. ენათა ნათესაობის საკითხს ლექსიკის მსგავსებით წყვეტს. ეს — ზოგადად.

კერძოდ, რაც შეეხება ჩერქეზულისა და აფხაზურის ისტორიულ-გენეზისურ ურთიერთობას, ამ საკითხში კლაპროთის აზრი უკან გადადგმული ნაბიჯია.

კიდევ უფრო უცნაური ისაა, რომ კლაპროთი ჩერქეზულ ენას (რომელიც, მისი თქმით, „სრულიად განმარტოებით დგას“ — გვ. 228, — ალბათ, კავკასიურ ენათა შორის) ფინურს, ოსტიაკურსა და ვოგულურს უდარებს — ცალკეულ სიტყვათა მეტ-ნაკლები მსგავსების მიხედვით (Mund „პირი“ — ჩერქ. Sche 'жль', ფინ. šu სუ... Stein „ქვა“ — ჩერქ. miwwe 'мывэ', ფინ. kiwe — ოსტ. kiwy... Vogel „ჩიტი“, „ფრინველი“, ჩერქ. bga — ოტს. waeg...)... სულ 21 ასეთი „მსგავსი“ სიტყვა აქვს დასახელებული კლაპროთს; ამით წყდება საკითხი: „ამ მსგავსებას იმ დასკვნამდე მიყვავართ, რომ ჩერქეზები ვოგულებთან და ოსტიაკებთან ერთად ეკუთვნოდნენ ერთსა და იმავე ტომს, რომელიც ძველის-ძველ დროს გაყოფილა სხვადასხვა ტოტებად, რომელთაგან ერთ-ერთი, როგორც ჩანს, ჰუნები იყვნენო“ (Kauk. Sprachen, გვ. 229).

გრამატიკული მოვლენები რომ გაეთვალისწინებინა, კლაპროთი დაინახავდა, რომ ჩერქეზული ძალიან ახლოსაა აფხაზურთან და ძალიან შორს ფინური ჯგუფის ენებთან. ერთი წარმოშობის ძირები რომ აელო საანალიზოდ, დასკვნა ისეთივე იქნებოდა, როგორსაც გრამატიკული ფაქტების ჩვენება იძლევა.

კლაპროთი სჯერდება ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე სიტყვების მსგავსებას, მასთან ნაწილობრივს. მისთვის არც იმის საკითხი დგას, ხომ არ არის მსგავსი სიტყვა შეთვისებული შესადარებელ ენებში სხვა სა-

ერთო წყაროდან, მესამე ენიდან, ე. ი. ხომ არ არის სიტყვა ნასესხები. ამ მხრივ ი. კლაპროთის ნაშრომი წინარემეცნიერული შედარების ნიმუშს წარმოადგენს.

ჩაჩნური ჯგუფის ენები კლაპროთის აზრით ემსგავსებიან დაღესტნის ენებს, მეტადრე ხუნძურსა და ლაკურს (იქვე, გვ. 145), მაგრამ ბევრი სიტყვა სამოიედურს, ვოგულურსა და სხვა ენებს ციმბირისას მოგვაგონებს და მათი მონათესავე ჩანსო (გვ. 145).

წიგნში „კავკასიური ენები“, იმ თავში, რომელიც ხუნძურს ეხება, კლაპროთმა ხუნძური სახელები შეუდარა ჰუნთა სახელებს (გვ. 12) და იქვე მიუთითა: მნიშვნელოვანი მსგავსება გვაქვს ხუნძურ ძირეულ სიტყვებსა და სამოიედურ, ოსტიაკურსა და ციმბირის სხვა ენების სიტყვებთანაო (გვ. 12) და 65 მაგალითი დაასახელა (გვ. 13-25). ეს მაგალითები არსებითად იმავე რიგისაა, რაც ჩერქეზულის შესახებ მსჯელობიდან ვიცით. საინტერესოა, რომ აქ კლაპროთი ერთგვარ სიფრთხილეს იჩენს: ჯერ კიდევ აღრეა ამ მონაცემების მიხედვით ჰიპოთეზების წამოყენება, სანამ მეორე მგზავრობა კავკასიასა და ციმბირში არ მომიწყვიტაო (გვ. 12-13).

ამასთან დაკავშირებით კლაპროთი წერს (შენიშვნაში): განზრახული მქონდა აღმოსავლეთი კავკასია ხელახლა შემომეველო; შემდეგ ასტრახანით ყირგიზებთან წავსულიყავ და ურალის ქედი სამხრეთიდან ჩრდილო დასასრულამდე მომეველო; შემდეგ მდ. ობის დინებას ავყოლოდი სათავეებამდე და იქიდან (საიანის ქედზე გადავლით) კიახტაში ჩინეთის საზღვარზე მივსულიყავი. სამწუხაროდ, ეს მშვენიერი გეგმა არ განხორციელდაო (გვ. 13, შენიშვნა). ამისდა მიუხედავად ოსტიაკურ-ვოგულურთან და ციმბირის სხვა ენებთან კავკასიურ ენათა დაკავშირების საკითხი, როგორც ვხედავთ, არ მოხსნილა: ჩერქეზულის შესახებ უყოყმანო მსჯელობა ამას მოწმობს (იხ. ზემოთ).

ი. კლაპროთის შრომაში „Kaukasische Sprachen“ გაბმული ტექსტების ნიმუშები გვაქვს: ხუნძურსა და ანდიურს, ლაკურსა და დარგუულს (აკუ-შურს), ჩაჩნურს, ყაბარდოულსა და ჩრდილო აფხაზურზე (ალთი-ქესეკ-აბა-ზურზე). ეს არის ერთი და იგივე მასალა და ბეჭდურად გამოქვეყნებული პირველი ტექსტები ზემოხსენებულ ენებზე.

ეს ტექსტები ი. კლაპროთის ჩაწერილი (ანდა მგზავრობიდან ჩამოტანილი) არ არის. ეს ის ტექსტებია, რომლებიც ჯერ კიდევ 1775 წ. გიულდენშტედტს ჰქონდა ხელთ. ახალი არაფერი შემატებია (ნაცვალსახელები და ზოგი ფრაზაა გამოტოვებული). ი. კლაპროთს გიულდენშტედტის სხვა მასალასთან ერთად ეს ტექსტებიც თან ჰქონია მოგზაურობის დროს და ცდილა გაერჩია. ჩრდილო-აფხაზურისათვის ახალი ვარიანტიც დაურთავს (გვ. 261):

თარგმნილი აბაზას განსხვავებულ დიალექტზე, როგორც ი. კლაპროთი ამბობს, სახელდობრ, რა დიალექტზე, არაა თქმული. ასევე ჩაჩნურ ტექსტსაც შენიშვნა ახლავს: „ერთგვარად განსხვავებულ დიალექტზე“ (გვ. 172), და აქაც ავიწყდება თქვას, რა დიალექტია ეს.

საერთოდ, ი. კლაპროთი უხვად სარგებლობს წინამორბედთა მასალით (განსაკუთრებით გიულდენშტედტისეულით), პირდაპირ იშვიათად ასახელებს წყაროს, არაფერს ამბობს, როდის, რა, სად და ვისგან ჩაიწერა (ბეშთაუსთან ინგლისელ მისიონერებთან 1807 წ. ნოემბერში ყოფნაზე რომ ლაპარაკობს, წერს — „ენის ნიმუშებს ვაგროვებდიო“ **sammelte Sprachproben: შეგროვება ჩაწერას ყოველთვის არ გულისხმობს**).

შრომის „**Kaukasische Sprachen**“ წინასიტყვაობაში ი. კლაპროთი ამბობს: ჩემი მგზავრობის დროს ვაგროვებდი „საკმარის დამხმარე მასალას იმ ხალხთა ენების შესახებ, რომელთაც ვეცნობოდიო“... და აქაც ზოგადად...

„ამან შემადღებინა სრულმეყო ის, რაც გიულდენშტედტმა დაიწყო და სრულიად ახალი შეხედულება კავკასიელებისა და მათი წარმომავლობის შესახებ მომეცაო“.

ი. კლაპროთი კავკასიისმცოდნეობაში იმის კარგ, მაგრამ არამისაბამ მაგალითს იძლევა, თუ რა უხერხულ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს ავტორი, როცა მკითხველს თავის ნაშრომთან ერთად ამ ნაშრომის საკუთარ შეფასებასაც უბოდიშოდ სთავაზობს.

აღსანიშნავია ერთი გარემოება. ოსური ენის ცნობილი მკვლევარი აკად. შიოგრენი 1836 წ. 26 ნოემბერს სიმფეროპოლიდან აკადემიაში აკადემიის მდივან ფრენისადმი გავუზავნო წერილში იუწყება: ჩემ მოვალეობად მიმაჩნია აკადემიას გავუზავნო ცნობები, რომლებიდანაც ცხადი ხდება, რომ კლაპროთს, თუ ყველა არა, მეტი წილი ექსკურსიებისა, რომელთა შესახებ თავის მოგზაურობაში წერს, სულაც არ ჩაუტარებია, არამედ სხვისი ნაამბობისა და წერილობითი წყაროების მიხედვით აქვს შეთხზული; კერძოდ, მდინარე ყუბანისა და მის პირას მცხოვრებ ხალხთა შესახებ ცნობები (იხ. კლაპროთის: **Voyage au mont Caucase, t. I, chap. IX**. [გერმანული გამოცემის 22-ე თავი, გვ. 187 და შემდ.), მეტწილად და განსაკუთრებით გვ. 206-დან ბოლომდე გენერალურ შტაბში დაცული ქაღალდებიდან სიტყვა-სიტყვით აქვს გადმოთარგმნილი ისე, რომ თავისი წყაროს შესახებ კრინტს არა ძრავსო (მოგვყავს **Brosset. Bibliographie analytique**-ის მიხედვით, 1887, გვ. 525).

§ 16. პირველი გრამატიკები მთის იბერიულ-კავკასიური ენებისა

1643 წ. გამოიცა ქართული ენის გრამატიკა ლათინურ ენაზე; ავტორი იტალიელი მისიონერი მაჯო იყო. ზურაბ შანშოვანის მოკლე გრამატიკა 1737 წ. ეკუთვნის. ანტონის გრამატიკა კი დაიწერა 1753 წ. (პირველი ვარიანტი) და 1767 წ. (მეორე ვარიანტი). ანტონის შრომა საფუძვლად დაედო რიგ კომპილაციას. ყველა ეს გრამატიკა ფილოლოგიურ-ტექნიკური იყო: მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დანერგვას ისახავდა მიზნად და, მამასადამე, სამწერლო ენას ემსახურებოდა.

მთის იბერიულ-კავკასიური ენები იმ ხანად უმწერლო იყო. როდის შედგა პირველად ამ ენების გრამატიკა და, სახელდობრ, რა ენებისა?

რამდენადაც ცნობილია, სამი ენის გრამატიკა დაიწერა ყველაზე ადრე: ადიღეური (ყაბარდოული) ენის გრამატიკა შორა ნოღმასი (1835-40 წ.), უდური ენის გრამატიკა კარაპეტ ყარამანიანისა (1845 წ.) და ბაცბური (წოვა-თუშური) ენის გრამატიკა იობ ცისკარიშვილისა (1848 წ.)... ამრიგად, სამივე ჯგუფის ენა წარმოდგენილი: აფხაზურ-ადიღური (ადიღეურ-ყაბარდოულით), ნახური (ბაცბურითა) და დაღესტნური (უდურით)... არ არის გამორიცხული, რომ ამ დროისათვის სხვა ენათა გრამატიკებიც ყოფილიყოს შედგენილი — მაგალ., არაბულ ენაზე), მაგრამ ცნობები სამისაღა გვაქვს.

იობ ცისკარიშვილის გრამატიკის ხელნაწერი ა. შიფნერს ჰქონდა ხელთ და ამჟამად ლენინგრადში ინახება (სააზიო მუზეუმის ფონდში).

კარაპეტ ყარამანიანის გრამატიკის ხელნაწერი — ად. დირის ცნობით — პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში მოიპოვება (ავტორი სომხურ-გრიგორიანული, მონოფიზიტური, აღსარების უდი ჩანს: გვარიც შესაბამისად აქვს გაფორმებული).

შორა ნოღმას გრამატიკის ვითარება ერთგვარად უფრო გარკვეულია.

შორა ბეკმურზას ძე ნოღმა (1801-1844) ყაბარდოელი იყო (პაპის მამა აბაძეხი ჰყოლია). შორა ნოღმა ნიჭიერი ადამიანი, თავისი ხალხის განათლების საქმით დიდად დაინტერესებული პირი იყო. იცოდა ენები: არაბული, თურქული, სპარსული, აბაზური, ისწავლა რუსულიც. რუსეთის სამსახურში იმყოფებოდა (1824 წლიდან მწერალი იყო ყაზახთა პოლკის კანცელარიაში; 1828 წ. ნაღიკში მძევლად დატოვებულ ადიღე ყმაწვილებს თურქულსა და რუსულს ასწავლიდა). 1830 წლიდან 1835 წლამდე პეტერბურგში მსახურობდა კავკასიის მთიელთა ესკადრონში; 1832 წლიდან კორნეტის წოდებულება მიენიჭა (და ოფიცერი გახდა). 1835 წლიდან პორუჩიკია და კავკასიის კორპუსში გადმოდის თბილისში.

აქ, თბილისში, შორა ნოღმა 1835 წ. შეხვდა პეტერბურგის აკადემიის წევრს შიოგრენს. ამ დროისათვის შორა ნოღმას უკვე შედგენილი ჰქონდა „ჩერქეზული გრამატიკა ყაბარდოული დიალექტის მიხედვით (ტექსტებიტურთ)“. ეს გრამატიკა მას შეუდგენია პეტერბურგში აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის სპარსული ენის პროფესორ შარმუას რჩევითა და ხელისშეწყობით... შარმუა რომ საფრანგეთს წასულა, 1835 წელს, მისთვის შ. ნოღმას გაუტანებია თავისი შრომა (პირველი ნაწილი) იმ იმედით, რომ პარიზში გამოსცემდა.

1837 წელს ორი კვირის განმავლობაში (28 თებერ. — 13 მარტი), შორა ნოღმა იმყოფებოდა შიოგრენთან უცხოელ მისიონერთა კოლონიაში, კარასში, პიატიგორსკის ახლოს (შიოგრენი ყაბარდოულს სწავლობდა და შედეგი ჩამოუყალიბებია კიდევ შვედურად დაწერილ „სახელმძღვანელოში ყაბარდოულ-ჩერქეზული ენისა“; ხელნაწერი მეცნ. აკად. არქივში ინახება)¹.

1840 წელს შორა ნოღმას მზად ჰქონია თავისი შრომის პირველი ვარიანტი (1. ფონეტიკა და მორფოლოგია, 2. სინტაქსი და 3. ლექსიკონი)². ეს თავისი შრომა სათაურით: „ადილეთური გრამატიკის დაწყებითი წესები“ „Начальные правила атыхейской грамматики“ აკად. შიოგრენისთვის გაუგზავნია 1840 წ. პეტერბურგში... 1841 წელს შრომა დაუბრუნებია შიოგრენს (თავისი შენიშვნებით)³... 1843 წელს შორა ნოღმას დაუმთავრებია უკანასკნელი ვარიანტი შრომისა „ყაბარდოული გრამატიკის დაწყებითი წესები“ („Начальные правила кабардинской грамматики“) და გაუგზავნია პეტერბურგს, აკადემიაში, გამოსაცემად. 1844 წ. მაისში გამგზავრებულა პეტერბურგს (თავისი შრომის ბედის გასაგებად). ჩასვლის შემდეგ სულ მალე 1844 წ. ივნისში გარდაცვლილა პეტერბურგში (სად ასაფლავია, არ იციან)⁴...

შორა ნოღმას ხელნაწერი ყაბარდოული ენის გრამატიკისა ხელთ ჰქონია პ. უსლარს, შემდეგ — მარი ბროსეს არქივში ყოფილა... 1840 წ. პროფ. ა. გენკოს ჰქონია, მერე — პროფ. გიორგი ტურჩანინოვს; ამ უკანასკნელმა გამოსცა კიდევ 1959 წელს⁵, ოღონდ რატომღაც არა დედნის, არამედ ხელნაწერის პირის მიხედვით...

¹ იხ. შორა ნოღმა. ფილოლოგიური შრომები, I, ნაღიკი, 1956 (რუს. ენაზე) გ. ტურჩანინოვის რედაქციით, გვ. 16.

² ფილოლოგიური შრომები, II, 1959, გვ. 12.

³ იქვე, გვ. 13.

⁴ იქვე, I, გვ. 20.

⁵ იქვე, II, 1959, გვ. 55-104.

შორა ნოდმას გრამატიკა გრეჩის რუსული ენის გრამატიკის გავლენას განიცდის ცნებათა განმარტებაში და გრამატიკის მიზნისა და შედგენილობის გაგებაში.

შორა ნოდმას გრამატიკაში განხილულია მეტყველების ნაწილები (ნაწევარი, არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, კავშირი, ზმნისართი, წინდებული, შორისდებული...).

სქემა ტრადიციულია, შინაარსი ყაბარდოული ენის შესაბამისი, ყაბარდოული ენისადმი, როგორც დედა-ენისადმი, სიყვარულით გამთბარი.

შორა ნოდმას შრომას, რომელიც 1840-1843 წლებშია შედგენილი, მეცხრამეტე საუკუნეში დაბეჭდვა არ ელირსა.

1846 წელს ოდესაში გამოვიდა ლ. ლულიეს „რუსულ-ჩერქეზული ლექსიკონი მოკლე გრამატიკითურთ“ „Словарь русско-черкесский с краткой грамматикой“, გვ. XI+26+244 გვ. „მოკლე გრამატიკას“ უჭირავს 26 გვერდი, ლექსიკონს 244 გვერდი. ლექსიკონი სამ სვეტად არის დაბეჭდილი. რუსულ სიტყვას ჯერ ადიღეური (ჩერქეზული) შესატყვისი უზის (მეორე სვეტში), შემდეგ მოდის ფრანგული (მესამე სვეტში)... ადიღეური სიტყვები რუსული ასოებითა (და მათი კომბინაციით) არის გადმოცემული, და გადმოცემის სიზუსტის პრეტენზია, ცხადია, ვერ ექნება (ლ. ლულიეს ეკუთვნის ეთნოგრაფიული წერილებიც ადიღეურ ტომთა შესახებ, საინტერესო შინაარსისა).

ლ. ლულიე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელე იყო. მის გრამატიკულ შენიშვნებსა და ლექსიკონს დღეს ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

ნაწილი მეორე

§ 17. მარი ბროსე და ქართულის ინდო-ევროპულ ენებთან ნათესაობის დებულება

პირველი სპეციალისტი, რომელმაც სცადა ქართული ენის ნათესაობის საკითხი განეხილა არა მხოლოდ სიტყვათა შეპირისპირებით, არამედ გრამატიკულ მოვლენათა ჩვენების მიხედვითაც, იყო მარი **ბროსე**. ამიტომ ბუნებრივია **ახალი პერიოდის დაწყება** ქართულ-ქართველურ (და მასთან სხვა იბერიულ-კავკასიურ) ენათა ნათესაობის კვლევისას მარი ბროსეს სახელს დაუკავშირდეს.

მარი ბროსე (1802-1890), ფრანგი ორიენტალისტი, თავდაპირველად ჩინურით იყო გატაცებული, შემდეგ ქართულისა და სომხურის შესწავლას მოჰკიდა ხელი. 1836 წელს არჩეულ იქნა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში, 1837 წელს გადმოსახლდა რუსეთში, და პეტერბურგში, მეცნიერებათა აკადემიაში, მუშაობდა 1880 წლამდე, როდესაც ავადმყოფი მოხუცი დაბრუნდა საფრანგეთში (გარდაიცვალა იმავე 1880 წელს). პეტერბურგში მარი ბროსემ საძირკველი ჩაუყარა სომხურ-ქართულ ფილოლოგიას მეცნიერებათა აკადემიაში. პეტერბურგის უნივერსიტეტშიც კითხულობდა ქართული ფილოლოგიის კურსს ერთი წლის მანძილზე (1841 წ.), მაგრამ საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორად დანიშვნამ უნივერსიტეტში მუშაობაზე ხელი ააღებინა.

მარი ბროსემ პრაქტიკულად იცოდა ქართული და სომხური. მას დიდი მუშაობა აქვს გაწეული ქართული ენის, ქართული ლიტერატურის, განსაკუთრებით საქართველოს ისტორიისა (და, კერძოდ, ქართული წარწერების) შესწავლაში. მარი ბროსეს ეკუთვნის „ქართლის ცხოვრებისა“ და ვახუშტის საქართველოს გეოგრაფიის („აღწერა სამეფოსა საქართველოსა“) ფრანგულად გადათარგმნა და გამოცემა (ამრიგად, ეს ძეგლები ხელმისაწვდომი გახდა ქართულის არმცოდნე მეცნიერთა წრეებისათვის). მარი ბროსეს, როგორც ფართო პროფილის ფილოლოგს, არქეოლოგიაც აინტერესებდა (ანისის ნაქალაქარის გათხრა, რაც ნ. მარმა წლების მანძილზე აწარმოა, მ. ბროსეს თაოსნობითაა დაწყებული).

ენა არ ილგა მარი ბროსეს ფილოლოგიური კვლევა-ძიების ცენტრში, და მაინც მისი დამსახურება ქართული ენის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანია. მარი ბროსეს ეკუთვნის „ქართული გრამატიკა“, გამო-

ცემული ლიტოგრაფიულად 1834 წ.¹ მარი ბროსეს შედგენილია არსებითად მეორე შრომაც „ელემენტები ქართული ენისა“², რომელიც 1837 წ. გამოვიდა (იგი ი. კლაპროტის ჰქონდა დაწყებული, 112 გვ. დაბეჭდილიც იყო; როცა კლაპროტი გარდაიცვალა, შრომის დამთავრება პარიზის სააზიო საზოგადოებამ მიანდო მარი ბროსეს).

მ. ბროსე მოგვითხრობს: პარიზის სააზიო საზოგადოება სულ რამდენიმე თვის დაარსებული იყო, როცა აღმოსავლურ ენათა შორის, რომელთა შესწავლაც მის პროგრამაში შედიოდა, პირველ რიგში ქართულის შესწავლა გადაწყვიტა (თავის მოხსენებაში 1823 წ. 6 იანვარს სენ-მარტენმა დაასაბუთა, თუ რით არის სასარგებლო კავკასიის მეცნიერული შესწავლა)... საზოგადოებამ გადაწყვიტა გამოეცა ქართული ენის გრამატიკა და ქართული ენის ლექსიკონი, ორი შრომა, რომელიც აუცილებელია ამა თუ იმ ენის შესწავლის დასაწყებადაო“...³

ორივე ამ შრომის შედგენა კლაპროტს უკისრია. ლექსიკონი (ქართულ-ფრანგული და ფრანგულ-ქართული) გამოვიდა 1827 წ.⁴ ი. კლაპროტს აღმოაჩნდა ვინმე იტალიელი მისიონერის შედგენილი გრამატიკა; მას შეევაგებო, განუცხადებია კლაპროტს... ბეჭდვა გაჭიანურებულა; 1835 წელს, როცა კლაპროტი გარდაიცვალა, მხოლოდ ზმნამდე იყო მიტანილი ტექსტი... მარი ბროსემ გააგრძელა და დაამთავრა შრომა ისე, როგორც მას ესმოდა. კლაპროტის დაბეჭდილი ნაწილის შესახებ შენიშვნა-შესწორებები დაურთო ვრცელ წინასიტყვაობაში.

1834 წლის გრამატიკა მოგვითხრობს პირველ თავში (გვ. 1-39) ქართული ანბანის (ხუცურის, მხედრულის) შესახებ, იძლევა თანხმოვანთა და ხმოვანთა კლასიფიკაციას (გვ. 11-12), ეხება ბევრათა ცვლას (გვ. 12-21), ქართულ და სომხურ, არაბულ, სპარსულ, თურქულ ასოთა ფარდობას (გვ. 21-23), განიხილავს ლიგატურებს (გვ. 30-31), მოჰყავს მაჯოს სამნემონიკო „ლექსი“ ასოთა რიგის დასამახსოვრებლად (აბაგა, დევეზეჴ, თიკლიმ, ნდოპ, ჟოროსო, ტუფუ, ქულუყ, შოჩიცო, ძეწი, ჭახ, ჯაჯაჰა, ჭე—გვ. 31), მსჯელობს იმის შესახებ, თუ როგორი მოსასმენია ქართული, სად გამოთქვამენ ტკბილად (შუაგული საქართველო, თუშეთი, ფშავი და ხევსურეთი), სად — „უფრო მაგრად“ (მთიან იმერეთში...(!) გვ. 31-32)... შემდეგ

¹ L'art libéral ou Grammaire géorgienne, par Brosset jeune, Paris, 1834 („ველოგნება აზნაურებითი გინა ქართულისა ენისა თვთმასწავლებელი“), 291 გვ.

² Éléments de la langue géorgienne, par M. Brosset jeune, Paris, 1837, გვ. LVI+336.

³ ელემენტები, გვ. I-II.

⁴ ესაა კლაპროტისეული კომპილაცია პაოლინი-ირბახისა და ფირალოვის შრომის („თვთმასწავლებლის“) მასალათა (იხ. ზემოთ, § 15).

მოცემულია „გრამატიკის დაყოფა“: ჩამოთვლილია რვა მეტყველების ნაწილი: სახელი არსებითი, ზედშესრული, ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნისზედა, თანდებული, კავშირი, შორისდებული (გვ. 37); ამათგან პირველი ოთხი ცვალებადია („ცულობებით“) და ოთხი უკანასკნელი უცვლელი („უცულობებით“ — გვ. 37-38).

მეორე თავში (გვ. 38-78) არსებითი სახელის მორფოლოგია განხილული. არსებით სახელებში ჯერ ფუძეთა წარმოებაა დახასიათებული (პირველადი, ნაწარმოები... რთული...), როგორც ეს ფილოლოგიურ გრამატიკას შეეფერებოდა (გვ. 38).

მ. ბროსე — წინააღმდეგ ანტონის გრამატიკისა — შენიშნავს: ქართული სახელები სქესებს არ განარჩევენო (გვ. 39)... ანტონიმ ერთმანეთში აურია გრამატიკული და ბუნებითი სქესიო (გვ. 42).

ბრუნვათა რიცხვს გრამატიკოსები განსხვავებულს უჩვენებენო (გვ. 43). აკუზატივი ყოველთვის ჰგავს სახელობითს („პირდაპირს ბრუნვას“) და უნდა ამოირიცხოსო (გვ. 43); მოთხრობითი ცალკე ბრუნვა არაა: „განმსაზღვრელი ნაწევარი მან, რომელსაც იგი დაირთავს, დაერთვის ყველა ბრუნვას (!) ორსავე რიცხვშიო“ (გვ. 43)¹.

ამრიგად, „მარტივ ბრუნვათაგან“ მ. ბროსესთან მოცემულია 7: 1. წრფელობით-შემასმენლობითი ანუ სახელდობითი, 2. ნათესაობითი, 3. მიცემითი, 4. წოდებითი, 5. მოქმედებითი, 6. ვითარებითი („მოდალური“: „ბაგად“); 7. ფინალური („ბაგამდე“) და სამი ბრუნვაც „რთული“: 8. დაწყებითი („ბაგისაგან“), 9. კაუზალური („ბაგისა-თვს“), 10. ლოკალური („ბაგისა-შინა“, „ბაგისა-თანა“ გვ. 44 და შემდ.)...

როგორც აქედან ჩანს, „მარტივი ბრუნვა“ ფაქტობრივ ექვსი, რთულია ოთხი და, თანამიმდევრობას თუ დავიცავთ, ხუთი (ლოკალური 2 ბრუნვა: „ბაგისა-შინა“, „ბაგისა-თანა“: „ბაგამდე“, „ბაგისაგან“, „ბაგისა-თვს“, „ბაგისა-შინა“, „ბაგისა-თანა“)... ქართული ბრუნვებისათვის მ. ბროსეს შეეძლო ორიც დაემატებინა: „ბაგისა-ზედა“, „ბაგით-ურთ“... მივიღებდით ექვს მარტივსა და შვიდს — რთულს...

სხვადასხვა ტიპის სახელებთან მარტივ და თანდებულიან ბრუნვათა წარმოებასა და მნიშვნელობას, მრავლობითის წარმოებას მ. ბროსე საკმაოდ დაწვრილებით განიხილავს (გვ. 45-75)...

მესამე თავი (გვ. 79-89) „სახელთა ურთიერთობას“, უკეთ ბრუნვათა ფუნქციებსა და სინტაქსურ როლს ეხება... მეოთხე თავი (გვ. 89-100) ზედსართავეების ფორმათა, წარმოებისა და ფუნქცია-

¹ „ქართული ენის ელემენტებში“, რომლის ტექსტი, კლაპროთის მიერ დაბეჭდილი, იტალიელ მისიონერს ეკუთვნის, შემასმენლობითი ცალკე ბრუნვად არის მიჩნეული, მოთხრობითიც: მას „ჩვენებითი“ (démonstratif) ეწოდება, გვ. 15.

თა დახასიათებას ეთმობა... „მეხუთე თავი (გვ. 100-111) არსებითი და ზედსართავი სახელების ბრუნებას ითვალისწინებს ახალს ქართულსა და სასაუბრო ენაში... მეექვსე თავი (გვ. 111-128) არსებითი და ზედსართავი სახელების, აგრეთვე ნაზმნარი სახელების წარმოებას ეხება... მეშვიდე თავში (გვ. 128-140) რიცხვის აღმნიშვნელი სახელებია დახასიათებული (მეტყველების ნაწილთა ჩამოთვლისას კი — გვ. 37 — „რიცხვითი სახელი“ არა ჩანს)... მერვე თავი (გვ. 140-159) ნაცვალსახელებს განიხილავს, ხოლო მეცხრე თავში (გვ. 159-168) მოთხრობილია ნაცვალსახელებზე ახალ ქართულსა და სასაუბრო ენაში...

მეთექვსე თავი (გვ. 169-238) იწყება ზმნით; გარჩეულია ზმნები პირდაპირი და არაპირდაპირი (პირდაპირ ზმნას სუბიექტი სახელობითში აქვს, არაპირდაპირს — მიცემითში), შემდეგ — პირის ნიშნები, „ნაცვალსახელური დამატებანი“...

მხოლოდ თანხმონით დაწყებულ ზმნაში გვაქვსო (გვ. 171)... მეგრულში მ შეიძლება ქე, ქი, ქო ნაწილაკების სახით გვქონდესო (გვ. 171; სომხური ლ აგონდება)...

თავსართი ზმნაში ყოველთვის მოქმედებითია¹ (ვაგორებ, ვაბრუნებ, ვაუწყებ... გვ. 172)... ე, ი, ვნებითში გვაქვსო (გვ. 173)...

ქართულ ზმნას სამგვარი დაბოლოება აქვსო (-ამ, -ემ, -ომ..., -აბ, -ებ, -ობ..., -ავ, -ევ, -ოვ — გვ. 178-179).

მოცემულია სხვადასხვა ჯგუფის ზმნათა უღვლილება, მოქმედებითისა და ვნებითი გვარისა (გვ. 188-216).

ცალკე ჯგუფად გამოყოფილია არაწესიერი (irreguliere) ზმნები: ვარ, ვიყავ... აქუს... ვალ... (გვ. 216-222)... ახალი ქართული (და სასაუბრო) ენის ზმნები, არაპირდაპირი, ორკეცი... განხილულია გვ. 223-229...

მეთერთმეტე თავი (გვ. 233-249) დასათაურებულია: „ზმნის ფუნქციები“. აქ მოთხრობილია იმის შესახებ, თუ რა ბრუნვაში მოითხოვს ზმნა სუბიექტს და რა ბრუნვაში — ობიექტს; კერძოდ, აღნიშნულია, რომ მოთხრობითის აწმყო და ნამყო უსრული საჭიროებს ობიექტს (დამატებას) მიცემითში (გვ. 239), ნამყო მარტივი და მყოფადი (ე. ი. კავშირებითი მეორე) — სახელობითშიო (გვ. 240)... „ასე განმიმარტა ერთმა პირმა, რომელმაც ექვსი წელი დაყო საქართველოში და ქართულად ლაპარაკი შეეძლო“ (გვ. 239)... მეთორმეტე თავი (გვ. 254-260) განიხილავს ზმნისართებს, მეცამეტე (გვ. 264-267) წინდებულებს ანუ თანდებულებს, მეთოთხმეტე (გვ. 269-277) — კავშირს, მეხუთმეტე (გვ. 277-281) — „დადასტურების ნაწილა-

¹ ა est toujours actif... § 103, გვ. 172.

კებს, მეთექვსმეტე (გვ. 282-283) — შორისდებულს, მეჩვიდმეტე (გვ. 283-286) — „პარაგოგიურ ასოებს“ (მაგალ., — ა: კითხვისა — მოხვალ-ა? მეშველი ზმნისა — რალა-ა... უფუნქციო: საქმენი საგმირონია... სხვათა სიტყვის -ო: აწვე იყო-ო)...

ყოველ თავს მოსდევს საილუსტრაციო ტექსტი თარგმანითურთ; ტექსტი ძველი ქართულისა არაა... ასეთია შედგენილობა მ. ბროსეს გრამატიკისა, რომელიც საგანგებო შესწავლას საჭიროებს.¹

მ. ბროსე ითვალისწინებს ანტონის, მაჯოს, დავით ბატონიშვილის გრამატიკებს, მაგრამ მისი მსჯელობა ქართული ტექსტების ჩვენებას ემყარება. მარი ბროსე პირველი უცხოელი ფილოლოგი იყო, რომელსაც ხელი მიუწვდებოდა ქართული ენის მასალაზე. ძველ ქართულ ტექსტებშიც კარგად ერკვეოდა და ახალი ქართულისაშიც... ამიტომ შეეძლო დამოუკიდებლივ ემსჯელა შესასწავლი ფაქტების შესახებ. ანტონისა (და დავით ბატონიშვილის) გრამატიკას რომ გავეცანი (1833 წ.), „ქართული გრამატიკა“ უკვე დამთავრებული მქონდაო, წერს მ. ბროსე (წინასიტყვაობა, გვ. VIII), ამისდა მიუხედავად, მის შეხედულებაზე ყველგან მივუთითებ — მაშინაც, თუ ვეთანხმებო და მაშინაც, როცა სხვა აზრისა ვარო...

„ქართული ენის ელემენტებში“ (1837 წ.) ცალკეა გამოყოფილი „სინტაქსი“ (გვ. 230-257). „ქართულ გრამატიკაში“ 1834 წლისა „სინტაქსი“ ცალკე თავი არ ეძღვნება, მაგრამ სინტაქსის საკითხები უგულვებელყოფილი არაა: ეს საკითხები სათანადო მეტყველების ნაწილებთან (სახელთან, ზმნასთან) არის განხილული.

მარი ბროსეს „ქართული გრამატიკა“ (1834 წ.) აგებულების მიხედვით არაა ორიგინალური: მას საფუძვლად უდევს ტრადიციული ფილოლოგიური გრამატიკა, მაგრამ მასალას ავტორი ფლობს და ამ მხრივ ეს გრამატიკა გამოირჩევა (მიუხედავად იმისა, რომ რიგი მოვლენის გაგება სადაოა ანდა არასწორი). მარი ბროსეს ეს გრამატიკა და „ქართული ენის ელემენტები“ 1837 წ. მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში წარმოადგენდნენ უცხოელთათვის ძირითად² წყაროს ქართული ენის გაცნობისათვის. მათი მნიშვნელობა ამ მხრივ დიდი იყო.

¹ მარი ბროსეს ცალკე შრომა მიუძღვნა რუს. დოდაშვილმა („მარი ბროსე — ქართული მწერლობის მკვლევარი“, თბილისი, 1962, 132 გვ.). მარი ბროსე, როგორც ისტორიკოსი, ი. ხანთაძის მონოგრაფიული გამოკვლევის საგანია... მ. ბროსეს გრამატიკებს სპეციალურად სწავლობს ნ. იოსავა.

² ერთგვარი მნიშვნელობა ჰქონდა სევერიან ფატერის ქართულ გრამატიკას, 1823 წ. (გერმ. ენაზე; ესაა კომპილაცია მაჯოს, ფირალოვისა და გაიოზის შრომათა...) და დავ. ჩუბინაშვილის გრამატიკას, 1855 წ. (რუს. ენაზე).

მარი ბროსეს „ქართული გრამატიკა“ (1834 წ.) სხვა მხრივაც არის საყურადღებო: მასში წამოყენებულია დებულება — ქართული ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახს ეკუთვნისო.

გრამატიკის უკანასკნელი გვერდი, რომელსაც სათაურად აქვს „დასკვნა“, მოგვითხრობს:

„იმ ფაქტებიდან, რომელთაც ეს გრამატიკა შეიცავს, გამომდინარეობს:

1. რომ ქართული სიტყვების მეტად დიდი ნაწილი შეიცავს საერთო ფონდს ინდო-გერმანულ ენებთან, უახლოვდება რა განსაკუთრებით სანსკრიტს, ძველ სპარსულსა და ზენდურს, ყველაზე ხშირად სომხური ენის მეშვეობით;

2. რომ სახელის ფორმები, საკმაო ნაწილი ბრუნებისა და შედარებითი ხარისხის ფორმანტი (ნიშანი) სავსებით სანსკრიტული ანდა ზენდურია:

3. რომ იგივე შეიძლება ითქვას თითქმის ყველა ქართული ნაცვალ-სახელის შესახებ;

4. რომ ფორმა, კლასიფიკაცია და უღვლილების ნაწილი ანალოგიურია სპარსულის, სანსკრიტისა და ბერძნულისა;

5. რომ სინტაქსი და სიტყვათა მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულს თითქოს თავისებური აქვს, თუმცა ყველა ეს დადასტურებული მიმართება-კავშირი ინდო-ევროპულ ენებთან ნებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ არსებობს სხვა კავშირებიც, რასაც უფრო მარჯვე მკვლევარი უცილობლად გამოავლენსო („ქართ. გრამ.“, 1834, გვ. 290-291).

ამრიგად, მარი ბროსემ ქართული ენა მიაკუთვნა ინდო-ევროპულ ენათა ინდურ-ირანულ შტოს. საფუძველი ამისთვის: ლექსიკური მასალა და გრამატიკული მოვლენები (სახელის ფორმები, შედარებითი ხარისხის ფორმანტი, ნაწილობრივ უღვლილება...) გრამატიკულ მოვლენათა გამოყენება ნათესაობის მტკიცებისა — ესაა ახალი, ნიშანდობლივი, ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისის სათვის.

მართალია, მარი ბროსეს სისტემატური შედარებითი ანალიზი არ უწარმოებია (გაკვრით იხსენიებს ტექსტში ცალკეულ ანალოგიებს), მაგრამ დასკვნა კი ისეა გაკეთებული, თითქოს მთელი გრამატიკის მიზანი შედარებითი ძიება ყოფილიყოს.

§ 18. გეორგ როზენის შრომები ჭანურის, მეგრულის, სვანურისა და აფხაზურის შესახებ

ქართული ენის გრამატიკული აგებულება ხელმისაწვდომი გახადა ქართული ენის არამცოდნეთათვის მარი ბროსეს შრომებმა (გაცილებით უფრო მეტად, ვინემ ეს მაჯოს გრამატიკას შეეძლო). სხვა ქართველური ენების, მით უფრო მთის კავკასიური ენებისათვის XIX ს. ოცდაათიან

წლებში ისეთი საგრამატიკო დახასიათებაც კი არ მოიპოვებოდა, როგორსაც მაჯოს „გრამატიკული წესები“ აწვდიდა მკითხველს ქართულის შესახებ.

ამ ხარვეზის შევსების პირველ ცდას წარმოადგენს გერმანელი მეცნიერის გეორგ როზენის შრომები¹. მას ეკუთვნის პირველი გრამატიკული მიმოხილვა ჭანურისა, შრომა „ჭანთა ენის შესახებ“ (*Über die Sprache der Lazen*, ცალკე წიგნად გამოვიდა ბერლინში 1844 წ., სულ 38 გვ.; ბერლინის მეცნიერებათა აკადემიას მოხსენდა 1842 წელს).

მეგრულის, სვანურისა და აფხაზურის საგრამატიკო დახასიათება ერთად არის მოცემული, — შრომასთან, რომელიც ოსური ენის გრამატიკას წარმოადგენს; წიგნის სათაურიც რთულია: „ოსური გრამატიკა გამოკვლევისათვის მეგრულისა, სვანურისა და აფხაზურის შესახებ“ (*Ossetische Sprachlehre nebst einer Abhandlung über das Mingrelische, Suanische und Abchasische von Dr. Georg Rosen*). მოხსენდა ბერლინის სამეცნიერო აკადემიას 1844 წ. 24 ოქტომბერსა და 1845 წ. 6 თებერვალს; გამოცა ბერლინში 1846 წელს; სულ 84 გვ. აქედან „ოსური ენის გრამატიკას“ უკავია 43 გვ. (საკუთრივ გრამატიკას: წარმოთქმა და ანბანი, სახელი, რიცხვითი სახელი, ზმნა, ზმნისართი და ნაწილაკები 26 გვერდი; გვ. 27-28 ოსური ენის წარმოშობაზე მოგვითხრობს; ამას მოსდევს ოსური სიტყვების სია, კლასიფიკაციის, რომელიც შეუქმნებია გ. როზენს); წიგნის დანარჩენი ნაწილი (გვ. 45-84, ე. ი. სულ 40 გვ.) ეთმობა მეგრულს, სვანურსა და აფხაზურს; ამ ნაწილს ცალკე საერთო სათაური აქვს: „მეგრულისა, სვანურისა და აფხაზურის შესახებ“ („Über das Mingrelische, Suanische und Abchasische“); ტექსტი მთლიანია: სვანურის მიმოხილვა მოსდევს მეგრულისას უსათაუროდ (ახალი აბზაცით), აფხაზურისა — ასევე სვანურისას.

მეგრულს უჭირავს სულ 9 გვ. (გვ. 48-57), სვანურს — 13 გვ. (გვ. 57-70), აფხაზურს 12 გვ. (გვ. 70-82); ბოლო ორი გვერდი შეიცავს ზოგად დასკვნას განხილულ ენათა ურთიერთობის შესახებ (დასაწყისში კიდევ გვ. 45-48-ზე შესავლის ტექსტი გვაქვს).

როგორც ჭანურს, ისე მეგრულს, სვანურსა და აფხაზურს, (აგრეთვე ოსურს) გეორგ როზენი ადგილობრივ სწავლობდა; იყო ჭანეთში, იქიდან (ართვინ-ახალციხეზე გამოვლით) გორსა და თბილისში ჩამოუღწევია (ჯავაში ყოფილა და დიგორში გადასვლაც ნდომებია; ზამთარში დიდი თოვლი დადო, და შუა ივლისშიც კი ქედის გადალახვა სახიფათო იყო); ოსურს

¹ ფილოლოგიის ისტორიაში ცნობილია სხვა მოღვაწეც ამავე გვარისა, — არაბისტი ვიქტორ როზენი, აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის პროფესორი პეტერბურგის უნივერსიტეტში (XIX ს. ოთხმოციანი წლებიდან), ნიკო მარის მასწავლებელი.

სწავლობდა გორში ერთ ცხინვალელთან, რომელსაც ქართულად წერა შეძლო და რუსულიც იცოდაო...

არ ვიცი, სამწუხაროდ, სად ეცნობოდა გ. როზენი მეგრულს, სვანურსა და აფხაზურს: „...გავემგზავრე პირველად იმერეთს ანუ იბერიას და შემდეგ დავრჩი სამეგრელოში, სვანეთსა და აფხაზეთში იმდენ ხანს — წერს გ. როზენი, — რამდენიც საჭირო იყო, რომ ამ ხალხთა იდიომების გრამატიკული მიმოხილვისათვის აუცილებელი მასალა ადგილზე შემეგროვებინაო“ („ოსური გრამატიკა“, გვ. 45)... სახელდობრ, სად იყო, არ ჩანს. გუდაუთიდან (ბომბორიდან) მდ. ენგურამდე რომ უვლია, ეს ცხადია შემდეგი ცნობიდან: ინგლისელ ბელს (Bell) ჩერქეზთა ცნობებზე დაყრდნობით ნათქვამი აქვსო, — შენიშნავს გ. როზენი, — რომ სოხუმის სამხრეთით აფხაზეთის მთავარი ნაწილი¹ დასახლებულია აფხაზეთაგან განსხვავებული ხალხით, რომელიც თავის თავს აზრეს (Azre) უწოდებსო... მე შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ბომბორიდან მოყოლებული ენგურამდე (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.) თითქმის ყველა პუნქტში ვკითხულობდი აზრეს-ს შესახებ და — უშედეგოდაო“ (გვ. 71, შენ. 1)...

ამრიგად, ცხადია, რომ გ. როზენს აფხაზეთისა და სამეგრელოს გარკვეული ნაწილი მოუვლია; საინტერესოა მისი დაკვირვება: „ამჟამად ენობრივ საზღვარს აფხაზეთა და მეგრელებს შორის ქმნის არა ენგური, როგორც ჩვეულებრივად ფიქრობენ, არამედ ერთი-წყალი (Erti-tzqali): ამ ორ მდინარეს შორის მდებარე სამურზაყანოში სალაპარაკო ენა მეგრულია, აფხაზურს მხოლოდ ურთიერთობისათვის სწავლობენ, მაგრამ ოჯახში არ ლაპარაკობენო“ (იქვე, გვ. 71, შენ. 1)... ლამბერტის დროს მდ. კოდორამდე რომ მეგრულს ლაპარაკობდნენ, ადვილი გასაგებია: მოსახლეობის მიმოქცევა ამ ადგილებში ჩვეულებრივი მოვლენა იყო (იქვე)...

ქართული დიალექტების სხვაობა-ურთიერთობის თაობაზედაც გ. როზენს გარკვეული აზრი შეუქმნა: „...როცა თბილისიდან კონსტანტინეპოლს ვბრუნდებოდი, ჩემი უკანასკნელი მგზავრობის მიზნად დავსახე, მომეპოვებინა დაწვრილებითი ცნობები ქართული ენის გავრცელებულობის შესახებ სამხრეთ-დასავლეთისაკენ, ვიდრე შიგ თურქეთში... ქართული ენის დიალექტები კასპიისა და შავი ზღვის წყალგამყოფის ორივე მხარეს, — როგორც ნაწილობრივ გამყოფთა ცნობებმა და ნაწილობრივ გამოკითხვამ დამარწმუნა, — განსხვავდება თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ლექსიკის მიხედ-

¹ „დიდი აბაზა“ უპირისპირდება ჩრდილო-კავკასიის აბაზურ ტომებს (§§ 14, 15).

ვით. გრამატიკა კი, თუ ნაცვალსახელთა სხვაობას არ მივიღებთ მხედველობაში, ერთნაირი აქვთ, სახელდობრ, თურქეთში, ფოცხოვის სანჯაკის დიალექტი (წყალგამყოფის აღმოსავლეთ მხარეს) — იმერხევის დიალექტი და არტანუჯისა და შამშახევისა (წყალგამყოფის დასავლეთ ფერდობზე) — ეკედლება ახალციხის ქართულს მაშინ, როდესაც აჭარის დიალექტი გურულთან უფრო ახლოს დგასო“ (იქვე, გვ. 45-46, ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**)... ასეთი ცნობები **ქართული დიალექტების** შესახებ, რამდენადაც ვიცით, სპეციალურ ლიტერატურაში პირველადაა მოცემული, და მეცნიერულად ფასეულ დაკვირვებას წარმოადგენს.

კასპისა და შავი ზღვის წყალგამყოფი ადგილი გადასავლელია, წერს გ. როზენი; ამიტომ ურთიერთობას არ აბრკოლებდაო. თუ ვიკითხავთ, ქართველი ხალხის გავრცელების კერა სად უნდა ყოფილიყო, უნდა ვთქვათ, რომ იგი წყალგამყოფის აღმოსავლეთით ყოფილა: აღმოსავლური ცენტრალური პროვინციის, ქართლის, მიხედვით უწოდა ხალხმაც თავის თავს ქართველი და ენასაც ქართული... მტკვრის ხეობისაკენ მივჰყავართ საქართველოს სახელწოდებას მეზობელ მუსლიმან ხალხებთან (გურჯისტანი და რუს. გრუზია) მაშინ, როდესაც სომხ. ვირ-ქ (-ქ) მრავლობითის ნიშანია) და „ვრასტან“ გულისხმობს ამჟამად დასავლეთით მობინადრე **იბერებს** (გვ. 46)... ამრიგად, ივერ — იმერ — ის იგივეობა გ. როზენისათვის სარწმუნო ფაქტია.

ჭანეთის მიწა-წყლისა და ჭანების შესახებაც გ. როზენი რიგ ცნობას გვაწვდის (პირველ შრომაში „ჭანური ენის შესახებ“). ჭანურის გავრცელების არე „ლაზისტანის ოლქია (სანჯაკი)“ — ქემერის კონცხიდან ჭოროხის შესართავამდე; ბორჩხის ხეობაში სცილდება ჭოროხის წყალგამყოფს („ჭანური ენის შესახებ“, გვ. 1)...

კლაპროთი ლაპარაკობს ტრაპიზონის დიალექტის შესახებ, მაგრამ ისეთი დიალექტი არ არსებობს; თვით ტრაპიზონში, როგორც საფამოს მთავარ ქალაქში ბევრი ჭანია, რომელთაც პოლიტიკური და სავაჭრო საქმიანობა იზიდავს. მაგრამ ისინი ჭანეთის სხვადასხვა ადგილიდან არიან ჩამოსული და განსხვავებული ტრაპიზონული დიალექტის შესახებ ლაპარაკი საფუძველს მოკლებულიაო. თვით მეზობელ რიზესა და ჰემშინიში — მდ. ფურტუნას ზედა წელზე, „როგორც დავრწმუნდი, ჭანური არავის გაეგება, ჭანურად ლაპარაკს რომ თავი დავანებოთო“ (გვ. 1, შენ. 1)¹.

¹ მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ნახევარში (1639 წ.), როგორც მისიონერ ლუი გრანჟეს პირდაპირი ცნობიდან ჩანს, რიზეში მოსახლეობა ჭანური იყო და ჭანურად ლაპარაკობდა, თუმცა ისლამის ძალით გავრცელება თურქებს უკვე დაწყებული ჰქონდათ (იხ. იოს. ყიფშიძე. ჭანური ტექსტები, 1939, შესავალი წერილი).

ჭანური — წერს გ. როზენი — „იბერიული მოდგმის ენათა“ გავრცელების სამხრეთ-დასავლეთის კიდეს ქმნის; (ჭანეთს) აღმოსავლეთით ლივანა და არტანუჯი ეკვრის, რომელთა მოსახლეობა, ამჟამად მეტწილად მაჰმადიანი, წმინდა ქართულს ლაპარაკობსო (გვ. 2). ქართული დიალექტებისა და ჭანურის შედარება განსაკუთრებით საინტერესო იქნებოდა, მაგრამ... ამჟამად მხოლოდ სიტყვა-შედარება შემეძლო წარმომედგინა. ფორმათა შედარება ვფიქრობ წარმოვადგინო უფრო გვიან, მას შემდეგ, რაც თბილისში ყოფნას ქართულის შესასწავლად გამოვიყენებო (გვ. 2).

გ. როზენმა იცის, რომ ჭანეთი საქართველოს ნაწილი იყო; ის აღნიშნავს, რომ ერთხანს ჭანები ჰემშინებზე იყვნენ დამოუკიდებელი, შემდეგ იძულებული გახდნენ ისლამი მიეღოთ, ჭანეთი „იმდენ დამოუკიდებელ საბეგოდ დაიშალა, რამდენიც ხეობა იყო“... ხევის-უფალთა (დერე-ბეგების) გაუთავებელი ბრძოლა ერთმანეთთან და ჰემშინისა და რიზეს ბეგებთან... „გრძელდებოდა აქამდე, როდესაც ათიოდე წლის წინათ ტრაპიზონის ოსმან-ფაშამ... ნაწილობრივ შეამბოხე, ნაწილობრივ ჯერ კიდევ თავისუფალი მთის ხალხები მაღალ პორტას დაუქვემდებარაო“ (გვ. 2).

პროკოპი კესარიელისაგან ვიცით, — წერს გ. როზენი, — რომ ლაზების სამეფო მაშინ ბერძნულ მართლმადიდებლურ ქრისტიანობას აღიარებდა... ამის კვლია ბერძნული სიტყვების წყება ჭანურში... რა დამწერლობას ხმარობდნენ მაშინ, არ ვიცით... ამჟამად, როგორც ყველა მაჰმადიანი ხალხი, არაბულ ანბანს ხმარობენ (იმ დამატებით, რაც თურქებმა და სპარსელებმა შეიტანეს მასში. მაგრამ — შენიშნავს გ. როზენი — „დედაენაზე იშვიათად თუ წერენ, რადგანაც, როგორც ეს ათინელმა აჯანმა თქვა, ჭანურად წერა და ჭანური ენა ძველ ცოდვად მიაჩნიათ, და უფრო ხალხისთ თურქულს ხმარობენო (გვ. 3).

ჭანურად მწერლობა — წერს გ. როზენი — არაოდეს არსებულა: მწერლობა რომ არსებულყო, ეს გარკვეულ დიალექტს წინ წამოსწევდა, და მას საყოველთაო სახმარად აქცევდა, ეს კი არ მომხდარა: „ყოველ ხეობას მეზობელ ხეობათაგან შესამჩნევად განსხვავებული კილოკავი აქვს“ (გვ. 3).

„ყველა ამ კილოკავის შესწავლა მოითხოვდა ამ ქვეყანაში დიდ ხანს დარჩენას“; ცუდი ჰავის გამო ეს შეუძლებელი აღმოჩნდაო...

გ. როზენს ათინური დიალექტის შესწავლა გადაუწყვეტია... ათინურს გასცნობია იბრაჰიმ-ეფენდისაგან, რომელიც მას ახლდა მგზავრობაში ტრაპიზონიდან ართვინამდე¹... ათინელი იბრაჰიმი მედრესეში ნასწავლი ყოფილა ასე, რომ გ. როზენს მასთან შეეძლო ჩანაწერის სისწორე

¹ პროფ. კობის თხოვნით ტრაპიზონის ფაშამ მომცა გამყოლადაო.

შეემოწმებინა... ამიტომაც ჭანურ მასალას გ. როზენი არაბული ანბანით იწერდა... არაბულად ჩაწერილ ლათინური ტრანსკრიფცია ახლავს¹.

გ. როზენს რომ ჯერ ქართული შეესწავლა და შემდეგ ჭანურის გაცნობა ეცადა, ამოცანას გაცილებით უკეთ გაართმევდა თავს. რაკი ჭანური მოუხდა დაწყება, საყრდენი აკლდა: ქართველურ ენათა სტრუქტურა გათვალისწინებული არა ჰქონდა, მასთან ჭანურის ერთს კილოკავს ეცნობოდა, ისიც ერთი პირის ჩვენებათა მიხედვით (სხვებთან შემოწმება ზოგ რასმე გაურკვევდა). ამიტომ, რასაც ჭანურის გრამატიკული მიმოხილვა იძლევა, გეორგ როზენის ზოგად ენათმეცნიერულ მომზადებასა და გამჭრიახობას მიეწერება, პირველ ყოვლისა.

აქ აღვნიშნავთ მხოლოდ დამახასიათებელ ფაქტებსა და საყურადღებო დაკვირვებებს.

ჭანური გრამატიკულ სქესებს არ განასხვავებს... არსებითი სახელები იბრუნვის ერთნაირად („ჭანთა ენის შესახებ“, გვ. 4)... აკუზატივი სახელობითს ემთხვევა, თუ სახელი ხმოვანზე ბოლოვდება, თანხმოვანზე დაბოლოებულმა შეიძლება **-ი** დაირთოს; მიცემითი და ლოკატივი (ადგილობითი) ერთი ოდენობაა... ნიშანია **-ს**; ნათეს. **-ში** || **-იში**; მოქმედებითისა — **-თე** || **-ითე**... არის სხვა ენებში უცნობი ბრუნვა — **-შა** || **-იშა** („ზულა-შა“ — „ზღვამდე“), მიმართულებას უჩვენებს; ამ ბრუნვას გ. როზენი „მოტატივს“ უწოდებს („მოძრაობითი“)... მრავლობითს **-ფე** მოუდის **თ, ე, ო** — ზე დაბოლოებულ სახელებში, **-ეფე** აქვს **ი**-ზე დაბოლოებულსაო (გვ. 6)... მოცებულია ბრუნების პარადიგმები.

ზედსართავი წინ უსწრებს არსებით სახელს და ქმნის კომპოზიტს: ვორსი გზა „კარგი გზა“: „ვორსი“ უცვლელი რჩება ყველა ბრუნვაში, ასევე მრავლობითში: ვორსი გზაფე „კარგი გზები“ (გვ. 6)²... შედარებითი ხარისხი აღწერით იწარმოება (მოტატივი პლუს დაჰა „კიდევ“, „უფრო“)... ნაცვალსახელი გაირჩევა — სუბსტანტივად ნახმარი და ადიექტიურად (ზედსართავად) ნახმარი... პირთა ნაცვალსახელს მიცემითის ფორმა არა აქვს; იგი გამოიხატება ზმნაში წინსართად დართულ (ან ჩართულ) **მ-** და **გ-** || **ქ-** ფორმანტებით (გვ. 7)... კუთვნილებითი ნაცვალსახელი სხვა არაფერია, თუ არ ნათესაობითი ბრუნვა პირთა ნაცვალსახელისა... ჩვენებითი ნაცვალსახელი შეიძლება მიუთითებდეს ახლობელზე (ჰამ „ეს“) და დაშორებულზე (ჰიმ „ის“... გვ. 8)... რიცხვითი სახელი ოცეულების სისტემას მისდევს (გვ. 9)...

¹ გ. როზენი განმარტავს: **gh—ღ**-ს უდრის; **რ**—რბილიაო (*geschnarrt*)... გვ. 4.

² ამის გამოა „ვორსი გზა“ კომპოზიტად მიჩნეული: მსაზღვრელი ისევეა უცვლელი, როგორც რთული ფუძის პირველი შემადგენელი ნაწილი.

რიგითი რიცხვითი სახელი იწარმოება „მუში“-ს დართვით: არ-მუშ „პირველი“, ყურ-მუშ „მეორე“ (ე. ი. „ერთი მისი“, „ორი მისი“...)... ჭანური რიცხვითი სახელები (1-10, ოცეულები, ასი) შეპირისპირებულია სვანურთან, მეგრულსა და ქართულთან... ზმნა ყველაზე დამახასიათებელი მეტყველების ნაწილია, მაგრამ ძალიან რთულია (გვ. 12)... ზმნის ძირი ერთმარცვლიანია... ზმნას აქვს პრეფიქსები (**ო-**, **დო-**, **ქო-**, **მ-**, **ე-**...), სუფიქსები **-აფ**, **-ლეთინ (?) -ინ**... პირველი ორი გარდამავალ ზმნებს ქმნის, უკანასკნელი — გარდაუვალს... **ო-**, **დო-**, **ქო-**, **ე-**, **ემ-** პრეფიქსთა შესახებ ვერაფერი დავასკვნით... წესიერ ზმნებში გვაქვს: ინფინიტივი აწმყო, ნამყო (პრეტერიტი), ნამყო უსრული, გერუნდიუმი, — აღწერითი ნამყო სრული (პერფექტი), და ნამყო წინარეწარსული (პლუსკვამპერფექტი)...

პირველ პირს პრეფიქსად **ბ/ვ** მოუდის, მესამეს დაბოლოება განარჩევს (გვ. 13). მოცემულია მეშველი ზმნის უღვლილება (აწმყოში, ნამყო უსრულში, ნამყო სრულსა და მყოფადში)... ასევე ოხაშკუ „თოხნა“ ზმნის უღვლილება (ბხაშკარე — მყოფადი — არის აწმყოდ მიჩნეული)... გვ. 18-22-ზე ჩამოთვლილია ზმნები... მასდარის წარმოება (**ო ხაზირ-უ** „დამზადება“, გვ. 22)... აღწერითი წარმოება: სახელი + ოხინაფუ (ე. ი. ოხვენაფუ „გაკეთებინება“: აღანი ოხინაფუ „განახლება“) და მეჩამუ („მიცემა“): გზა მეჩამუ „გზის მიცემა“, „გაშვება“ (გვ. 23).

განხილულია არაწესიერ ზმნათა უღვლილება (ოლვა „სვლა“ — გვ. 23-24)... ზმნაში მიცემითი აღინიშნება **მ-**, **გ-/კ-** პრეფიქსებით: მეჩარე „მაძღვე“... ნამღვილად: „მიმცემ“... უპირო ზმნები (?) მოითხოვენ მიცემითს: მაწუნასერე, გაწუნასერე, აწუნასერე „მეტკინება“, „გეტკინება“, „ეტკინება“ (გვ. 26)... „ნაწილაკების“ შემდეგ ჩამოთვლილია არსებითი და ზედსართავი სახელები (გვ. 29-38).

გ. როზენის ჭანური გრამატიკა ყოველთვის არაა ზუსტი ფაქტობრივ (მაგალ., მყოფადის ფორმა აწმყოს მნიშვნელობით მოცემული... პირის ნაცვალსახელთა მიცემითი: მამ „მე“, შკუმ „ჩვენ“, სიგ „შენ“, თქუაგ „თქვენ“ ბოლოკიდურ თანხმოვნებს იძლევა: ამყამად უცნობსა და მოულოდნელს...)... ზოგჯერ ფორმანტები არაა გამოყოფილი ზუსტად (მრავლ. სუფ. -ფე... ამ -ფე-ს მრავლობითის სუფიქსად ნ. მარიც კი მიიჩნევდა 1910 წ.).

მაინც გ. როზენის შრომა გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ჭანურის ბრუნება-უღვლილების ძირითად საკითხებზე, ლექსიკური მასალა კი საკმაო რაოდენობისაა (და გაცილებით უფრო ზუსტი, ვინემ მანამდე არსებული, კლაპროთისეული); გ. როზენის მასალა ამოსავალი იყო შემდგომში ჭანურის შესწავლისას პრ. აჭარანისა და ნ. მარისათვის.

ახლა ჭანურისა და მეგრულის ურთიერთობის შესახებ. რადგანაც მდ. რიონის ქვედა წელზე, ე. ი. საკუთრივ კოლხეთში ქართულის მონათესავე კილო იხმარება, — წერს გ. როზენი, — მეტად საინტერესოდ მეჩვენა

გამეგო, ძველთაგან ნამდვილ კოლხეთიდან მიჩნეულ მიწა-წყალზე შენახული ენა რა მიმართებაშია იმ ენასთან, რომელსაც ლაზი (ჭანი) ხალხი ლაპარაკობს (იხ. მეგრულის, სვანურისა და აფხაზურის შესახებ (გვ. 46).

„ჩემი კვლევა-ძიება უეჭველად ცხადყოფს, რომ ლაზური (ჭანური) და მეგრული მეტად ახლო მდგომი კილოებია ერთი ენისა, რომელიც ჩვენ დარწმუნებით შეიძლება მივიჩნიოთ კოლხურად (იქვე, გვ. 46-47)... ეს ენა სამწერლო ენად არასოდეს ქცეულა; ლაზური სახელმწიფოს დაცემის შემდეგ ლაზი და მეგრელი ტომები გაითიშნენ; სამხრეთით დარჩენილზე ჯერ ბერძნულმა, შემდეგ თურქულმა მოახდინა გავლენა, კიდევ უფრო დიდი იყო ქართულის გავლენა მეგრულზე: ქართული იყო ეკლესიის, სკოლისა და მწერლობის ენა... ამიტომ განსაკვიფრებელია, რომ ჭანურისა და მეგრულის გრამატიკა თითქმის მთლიანად ეთანხმება ერთმანეთს და სიტყვებიც მეტწილად იმდენად არ შორდებიან, რომ ნათესაობა არ იგრძნოს კაცმაო... ლაზებსა და მეგრელებს საკმაოდ გაცხოველებული ურთიერთობა აქვთ (ლაზები „ჭანი-თურქის“ სახელით არიან ცნობილი მეგრელებთან), ხუროს საქმეს მისდევენ, სანაპიროს ნაოსნობა მათ ხელშია, ზღვის პირას ბევრი ჭანი ოჯახი მკვიდრობსო (გვ. 47)...

შემდეგ გ. როზენი ჩამოთვლის მსგავს მოვლენებს ჭანურსა და მეგრულში. ასეთებია: მრავლ. რიცხვის სუფიქსი **-ფი, -ალ, -ეფი...** ბრუნვის ნიშნები მეგრულში თითქმის ისეთივეა, როგორც ჭანურში (ოღონდ მოტატივი **-შა** გამოხატავს მოძრაობას გარკვეული ადგილისაკენ: *casus tensivus*), დაშორებითისათვის საგანგებო დაბოლოებაა **-შენი** (შემდეგ მოცემულია: კოჩი „კაცი“, და „და“, ხე „ხელი“ სახელების ბრუნება... გვ. 49-50).

ზედსართავი უსწრებს არსებითს სახელს და უბრუნველად რჩება (ისევე, როგორც ლაზურში): სქვამი ცხენი „ლამაზი ცხენი“ (გვ. 50)... ორივე კოლხური დიალექტის ახლო ნათესაობა განსაკუთრებით ნაცვალსახელებში ჩანს (გვ. 51)... მეგრული რიცხვითი სახელები — ჭანურთან შეპირისპირებით — ლაზურის შესახებ შრომაში მაქვს მოცემულიო (გვ. 51)... ზმნა მეგრულში უფრო სრულად არის შენახული, სიმდიდრით თითქმის უტოლდება ქართულს: ქართულის გავლენა ცხადიაო...

მეგრულში, ჭანურსა და ქართულში ერთი უღვლილება უნდა ვივარაუდოთ — სხვადასხვა ნაირსახეობით; ზმნები პირდაპირისა და არაპირდაპირი უღვლილებისა; პირდაპირს ზმნას ზოგი დრო არაპირდაპირი აქვს (გვ. 51)... ზმნის უღვლილებაში გაირჩევა: ძირი, პრეფიქსები, ძირის სავრცობი (*die Wurzelerweiterungen*), საკუთრივ ზმნური დაბოლოებანი, რიცხვისა და პირის ნიშნები (გვ. 51)...

პირველი პირის ნიშნად არა მხოლოდ **ვ**-გვაქვს, არამედ ერთერთი ბაგისმიერი, რომელიც შეიძლება ძირში მოექცეს (გვ. 52, ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**)... მეორე პირის ნიშანი, ალბათ **რ**-იყო, მაგრამ მისი კვალი გაქრობაზეა, და მხოლოდ არაპირდაპირ ზმნებშია მოღწეული; მესამე პირს ნაცვალსახელური აღნიშვნა (ე. ი. პრეფიქსი? — **ა. ჩ.**) სულ არა აქვს, მას დაბოლოება აღნიშნავს; მესამე პირის **-ნს** დაბოლოება იგივეა, რაც აწმყოს მიმღეობის **-მს** ჭანურში (გვ. 52)... **-ქ**-ს დართვა პირველსა და მეორე პირში გამოიწვია დაბოლოების უქონლობამ...

მოცემულია აწმყოს ფორმანტების სქემა, უღვლილება ზმნათა: **ბლახ** „ვცემ“ ქუოყოთა „ვაგდებ“, „ვისვრი“, ბწუხე „ვწუხვარ“, იზგარქ „ვტირი“, ბრდჷქ (უნა იყოს: „ბრდგქ“) „ვზრდი“ — აწმყოში, ნამყო უსრულში (იგი აწმყოსაგან იწარმოებაო), პრეტერიტსა, ნამყო სრულსა და წინარეწარსულში (ე. ი. ნამყო შედეგობრივს I და II-ში): ეს ორი უკანასკნელი არაპირდაპირი ფორმებია: პირები მიცემითის მიმართებაშია: გო-მილახ — „მიცემია“... (გვ. 55). კავშირებითი მეგრულს ორი აქვს: ერთი განეკუთვნება აწმყოს, მეორე — ნამყოს (წარსულს) გვ. 56.

არაპირდაპირი ზმნა წარმოების წესების მიხედვით პირდაპირისაგან არ განირჩევა; განსხვავებული აქვს ნაცვალსახელური პრეფიქსები: I პ. **ბ**-ს რიგის ბგერაა, II პ. **რ**, III პ. არავითარი პრეფიქსი არა აქვს; ბ-წამს „მ-რწამს“, რ-წანს „გ-წამს“, წანს „სწამს“ (გვ. 57).

მეგრულის მოკლე დახასიათებისათვის ესეც კმარაო, წერს გ. როზენი (გვ. 57) და გადადის სვანურის განხილვაზე... სვანურის შესახებაც არა ერთი საინტერესო დაკვირვება აქვს მოცემული; ასეთია, მაგალითად, ზოგადი დებულება: სვანური უფრო შორეული მონათესავეა, ვინემ სხვა იბერიული დიალექტები (გვ. 58), მაგრამ ერთობას უეჭველს ხდის ძირითადი რიცხვითი სახელები, არც თუ ცოტა ძირეული სიტყვა, რომლებიც ყველაზე საჭირო ცნებებს აღნიშნავენ, ფორმანტები საერთოდ, თუმცა მათში ზოგი რამ უცხოც გვევლინება ისევე, როგორც სიტყვის ძირებში (გვ. 58)... სახელთა მრავლობითს სრულიად განსხვავებული **რ** — აწარმოებს, რომელსაც შეიძლება **ა** ან **ე** უსწრებდეს ანდა მოსდევდესო (გვ. 59).

როზენისეულ მაგალითებში (ხამ „ღორი“ — მრ. ხამარ...) უმლაუტი არა გვაქვს (ლამხელისაგან თუ იწერდა მასალას! — **ა. ჩ.**)...

სვანურში ბრუნება წარმოდგენილია უფრო ძუნწად (!)... ამ მხრივ სვანური გარდამავალ საფეხურს ქმნის აფხაზურისაკენ, სადაც ბრუნვის ფორმები არა გვაქვსო... დადიანი ჩაუ „დადიანის ცხენი“ (მსაზღვრელი გ. როზენს გაუფორმებელი ეჩვენა! — **ა. ჩ.**)... კითხვაზე ვისია ცხენი? ითქმის „დადიანიშ“...: ნათეს. **შ** ლაზ. **ში**-ს და ქართ. **სა**-ს ეფარდებაო (გვ. 60)... მიცემითის **ს** მოძმე ენებთან ერთობას გვიჩვენებსო.

აკუზატივი ხან მიცემითს უდრის, ხან — სახელობითს... წოდებითი — სახელობითს; მოქმედებითი და თანაობითი გადმოიცემა **-შუ** აფიქსით... დანარჩენი ბრუნვები უფრო თანდებულს ეტოლება (ქორ-თე „სახისაკენ“... გვ. 61)... ზედსართავი წინ უსწრებს არსებითს და ისევე არ იბრუნვის, როგორც მონათესავე მეგრულსა და ჭანურშიო... ნაცვალსახელებიდან ზოგი (გარკვეულ პირსა და ფორმებში) სრულიად უცხოა, სხვები მიჰყვებიან ქართულს, მეგრულსა და ჭანურს (გვ. 61)... რიცხვით სახელებში ათეული სისტემა გვაქვს (გვ. 64)... რიცხვითი სახელები მსაზღვრელებს წარმოადგენენ და საზღვრულის წინ დაისმიან (გვ. 64)...

ზმნის უღვლილება ერთიაო... გაირჩევა პირდაპირი და არაპირდაპირი უღვლილებათ (პირდაპირში არაპირდაპირი დროებიც გვაქვსო... ე. ი. ინვერსია — **ა. ჩ.**)... ზმნის ძირი ერთმარცვლიანია... **ვ (უ)** | პირის ნიშანია, მაგრამ **ვ ხ**-სთან ერთადაც იხმარებაო (**ხვ**)... თუ | პირში **ხვ**- გვაქვს, მეორეში **ხ**- გვექნება (გვ. 65)... არაპირდაპირ ზმნებს | პირში **მ**- მოუღის, II პ. **ჰ**- და III პ. **ხ**- (გვ. 65)... ინფინიტივი იწარმოება **ლი**- პრეფიქსით და სხვადასხვა დაბოლოებით (გვ. 66)... მოცემულია ლიფუშთ „ქება“, ლითბიდე „თბობა“¹ ზმნათა უღვლილება აწმყოში, ნამყო უსრ., ნამყო სრულში, ნამყო წინარეწარსულში (გვ. 66-68)... არაპირდაპირი ზმნები... (მარშნა, ჯარშნა, ხარშნა „მახსოვს“, „გახსოვს“, „ახსოვს“; ხაჩა „ეცინება“...) და სხვ. გვ. 68...

ისევე, როგორც ჭანურის შესახებ შრომაში, გ. როზენს ჩამოთვლილი აქვს სვანური ზმნების ძირები (სულ 21). ნაწილაკთა ჩამოთვლას ლექსიკური ინტერესი ახლავს და ამ შრომის მიზანს არ შეადგენსო (გვ. 70)... ამით ამთავრებს სვანურის მიმოხილვას.

აფხაზურის გრამატიკულ მიმოხილვას წინ უძღვის ისტორიული და ეთნოგრაფიული ცნობები... კერძოდ, გ. როზენი შენიშნავს: ქართული (და არა ბერძნული, როგორც ეს იყო ლაზებთან) იქცა აფხაზეთისათვის საეკლესიო ენად... „დღემდე ქრისტიან აფხაზებთან ეს ასეა, როგორც დავრწმუნდი ჩემი იქ ყოფნის დროსაო“ (გვ. 72)...

აფხაზური ბგერები უხეში და არაკეთილხმოვანია... ადგილი აქვს თანხმოვანთა არაბუნებრივ თავყრილობას, ასევე უსიამოვნო ჰიატუსს... მაინც **ჰ** ასომდე აფხაზური ბგერათსისტემა შეიძლება გამოიხატოს ქართული ანბანითაო (გვ. 72)... არსებით სახელებს უმახვილო **ა** უძღვის წინ (გვ. 72).

ბრუნვის ნიშნები აფხაზურს არა აქვს, ცალკე დაბოლოება აქვს მხოლოდ მრავლობითისათვის (გვ. 72)... ნათესაობითი მფლობელი სახელის წინ დასმით გადმოიცემა (? — **ა. ჩ.**)... დანარჩენ ბრუნვათა მიმართებანი შეიძლე-

¹ **თიბღ** ძირი არამხოლოდ იბერიულია, არამედ ინდო-ევროპულ ენებშიცაა გავრცელებული, წერს გ. როზენი, და სანსკრიტის მაგალითი მოჰყავს (გვ. 69).

ბა ზმნის მეშვეობით გადმოიცესო (გვ. 72)... მრავლობითს **-ქვა** აღნიშნავს (ჩერქეზულ **ხე**-ს ფარდია); ზედსართავს ჩერქეზულიცა და აფხაზურიც სვამს არსებითის შემდეგ: აბა ვა „ციხე ძველი“... (გვ. 73)... ნაცვალსახელებში ჩერქეზულთან ნათესაობა განსაკუთრებით ცხადია... პირის ნაცვალსახელი კუთვნილებას გამოხატავს: **საბ** „მამა-ჩემი“, **ვაბ** „მამა-შენი“, **იბა** „მამამისი“ (გვ. 74)... თვლა ოცობითია... რაოდენობითი რიცხვითი სახელები წინ უსწრებენ არსებით სახელებს და არ კი მოსდევნო... (გვ. 76)...

აფხაზური ზმნა საინტერესოა დიდი სიმარტივით (! — **ა. ჩ.**); წარმოების მხრივ იგი სრული და თანამიმდევრულია: აქ ვიპოვით პირის ცნებას, რომელიც სრულიად გამოყოფილია დაბოლოებისაგან ასე, რომ სუბიექტის სიმრავლედ პირის ნაცვალსახელურ პრეფიქსებში გამოიხატება... დაბოლოება გადმოგვცემს მხოლოდ და მხოლოდ... ზმნის მოქმედებას მის მიმართებაში დროსთან — პირისა და რიცხვისაგან დამოუკიდებლად, ნაცვალსახელური პრეფიქსები განსხვავდება პირის მიხედვით (ექვსი) და დროთა მიხედვით არ იცვლება (გვ. 77)... ყოველი ზედსართავი პრედიკატად გამოყენებისას კობულასთან ერთად ზმნის სახეს იღებს: სრა ს-დუ-უბ „მე დიდი ვარ“, (ზედმიწ. „გდილობ“...)...

დრო ექვსი აქვს ნაჩვენები: განუსაზღვრელი ანუ ზოგადი აწმყო, — დაბოლოება **-ბ**, განსაზღვრული აწმყო — დაბოლოება **-ოიტ**, **-აიტ**, განსაზღვრული ნამყო ანუ პრეტერიტუმი **-იტ**, **-უიტ**, განსაზღვრული მყოფადი **-შტ**, ნამყო უსრული **-ან**, ნამყო წინარეწარსული **-ხენ**, **-ხან** (გვ. 77-78).

პირის ნიშნები ემსგავსება ნაცვალსახელებს (გვ. 78)... ინფინიტივი განყენებული არსებითი სახელია (დაბოლოება **-რა**)... ბრძანებითი იწარმოება ძირისაგან... (გვ. 78). პირის ნაცვალსახელები ჩერქეზულში არსებითად ძალიან ახლოსაა აფხაზურისასთანაო (იქვე).

ნაცვალსახელით აღნიშნული ობიექტი, რომელზედაც მოქმედება გადადის, **ზ მ ნ ა შ ი ჩ ა ე რ თ ვ ი ს**; ობიექტური პრეფიქსები არ განსხვავდება სუბიექტურისაგან; გაარჩევს აზრი და ადგილმდებარეობა: თავში დასმული — ობიექტისაა, მომდევნო — სუბიექტისა (გვ. 80)...

უარყოფა **მ**-თი იწარმოება... (გვ. 81)... უღვლილების პარადიგმის გარდა გ. როზენს მოცემული აქვს აფხაზურ ზმნურ ძირთა წყება (სულ 30 ძირი აწმყოს ფორმის ჩვენებით).

ამრიგად, გ. როზენს აფხაზური ენის აგებულების საყურადღებო თვისებები აქვს გამოვლენილი (ბრუნების უქონლობა, პირის აღნიშვნა ნაცვალსახელოვანი ნაწილაკებით, ობიექტისა და სუბიექტის ნიშნის ადგილი და სხვ.).

დასკვნის სახით ასეთი მსჯელობაა მოცემული: დასავლურ კავკასიურ და შუაკავკასიურ ხალხთა ენებს ორმაგი მსგავსება ახასიათებს: ზოგადი და საგანგებო.

ზოგადი: ბგერათსისტემა არსებითად ერთია; ქართულ ანბანში წარმოდგენილი, იგი მთლიანად არ ამოსწურავს, მაგრამ ქისტურ ენათა ოჯახს, აფხაზურს, ჩერქეზულს და იბერიულის ყველა წევრს გადმოგვცემსო (ამათ ოსური და მთის თათრული დიალექტებიც¹ ერთვის)...

შეინიშნება მსგავსება რიგს ენობრივს თავისებურებაში, რაიც ხანგრძლივმა ურთიერთობამ და მსგავსმა ადგილობრივმა პირობებმა წარმოშვეს (გვ. 83); ასეთია, მაგალ., ათეულების წარმოება... ყველა ეს ხალხი „მდინარის“ აღსანიშნავად „წყალს“ ხმარობს...

საგანგებო მსგავსება შეუდარებელი უფრო მნიშვნელოვანია, რადგანაც იგი ჩერქეზულსა და აფხაზურს იბერიული ოჯახის წევრებთან ერთ ჯგუფში აერთიანებს გრამატიკული განვითარების თანაგვარობითაო (გვ. 83). ამ ჯგუფში, უნდა ვიფიქროთ, თავდაპირველად სახელს ფლექსია არ მოეპოვებოდა, გარდა იმისა, რომ მრავლობითს აწარმოებდა მხოლოდობითსაგანაო. ეს არის პირველი საფეხური, რომელზედაც დარჩა აფხაზური, სადაც სრული თანამიმდევრობით არის გარჩეული ზმნაში ყოველივე პირისეული იმისაგან, რაც განყენებით მოქმედებასა და დროულ მიმართებაში მდებარეობს და სახელის ფლექსიათა არასრულყოფილებას უპირისპირდებაო (გვ. 84)...

სვანური უკვე დგას უფრო მაღალ საფეხურზე: სახელს მეტი გრამატიკული ძალა აქვს... სვანურს მიჰყვება ორივე კოლხური დიალექტი (ესენი ქართულს ჩამორჩებიან ზედსართავის უბრუნველობით)... ყველაზე მაღალ საფეხურს ქართულში ვხედავთ: აქ სახელი განთავისუფლებულია ზმნისაგან... მას მიუღწევია სრული ბრუნებისათვის ისე, რომ მხოლოდ პირველისა და მეორე პირის ნაცვალსახელების ობიექტური ბრუნვა, და არსებით სახელებში მიცემითისა და აკუზატივის განურჩევლობა მოგვაგონებს იმ მდგომარეობას, რაც დაბალ საფეხურს ახასიათებდაო...

¹ თათრულის შესახებ ვემყარები გენერალ-ლეიტენანტ ჭავჭავაძის ცნობასაო: თათრები განასხვავებენ „სავსებით ქართულ **к**-ბგერასაო (ე. ი. მკვეთრებს — **ა. ჩ.**); იმოწმებს ოსურის შესახებ თავის შრომას.

წარმოშობით განსხვავებულ ამ ენათა ჰომოგენურობა ამართლებს თუ არა დასკვნას ამ ენათა ავტონომიურობის შესახებ, ეს საკითხია, რომელსაც არ ვეხებიო...

ჩემი საქმე ისღაა, რომ ახლანდელი ვითარება გამოვიკვლიო და რაც შეიძლება ნათლად გადმოვსცე იგი, საიდანაც გამომდინარეობს შესაბამისი მსჯელობა ამ ხალხთა ურთიერთობის ხანგრძლივობისა და ინტენსიურობის შესახებო (გვ. 84)...

როგორც ვხედავთ, გ. როზენმა სტრუქტურული სხვაობა აფხაზურ-ჩერქეზულისა და იბერიული ენებისა ისტორიული განვითარების თვალსაზრისით გააანალიზა: აფხაზურის ვითარება ყველაზე ძველსა და აფხაზურად დასახა, იბერიული ენებისა — შემდგომი განვითარების შედეგად... არსებითი იქ არის, რომ აფხაზურის ებური ვითარება გ. როზენის ვარაუდით იბერიულ ენებსაც უნდა ჰქონოდათ ძველად. მართლაც ამ დებულებას ხსენებულ ენათა შესწავლა თანდათანობით უფრო დამაჯერებელს ხდის. ამ დებულებას იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობის თვალსაზრისით პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება.

„წარმოშობით სხვადასხვა გვარი ენები“, ამბობს გ. როზენი; აქ ოსური და მთის თათრული დიალექტები (ბალყარულ-ყარაჩაული) ივარაუდება. ამ ენებთან იბერიულ და აფხაზურ-ჩერქეზულს საერთო თვისებები გამოუმუშავდათ: ჰომოგენურობა (მაგ., ბგერითს სისტემაში) ხანგრძლივმა ურთიერთობამ და ერთნაირმა პირობებმა განსაზღვრაო.

აღსანიშნავია, რომ ოსურისათვის გ. როზენმა ქართული ანბანი გამოიყენა: ქართული ანბანი ოსური ბგერების ადეკვატურიაო (გვ. 2)... ქართული ასოებით აქვს გ. როზენს ჩაწერილი არა მხოლოდ მეგრული და სვანური, არამედ აფხაზურიც: „აფხაზური ბგერათსისტემა ჰ-მდე... შეიძლება გამოიხატოს ქართული ანბანითაო“ (გვ. 72).

გ. როზენის შრომებში მეგრულ-ჭანურის, სვანურის, აფხაზურისა და ოსურის გრამატიკული სისტემა — მიუხედავად მასალის უკმარობისა და სირთულისა — პირველად იქცა მეცნიერული ანალიზის საგნად, და ამ უმწერლო ენათა გრამატიკა სპეციალისტებისათვის ასე თუ ისე ხელმისაწვდომი გახდა.

§ 19. ფრ. ბოპი და ქართველურ ენათა ინდოევროპულობის დამტკიცების ცდა

ფრანც ბოპის შრომა ქართულის ინდო-ევროპულ ენებთან ნათესაობის შესახებ ორჯერ დაიბეჭდა: პირველად — წერილის სახით ბერლინის აკადემიის ფილოსოფიურ-ისტორიული განყოფილების („კლასის“) მემუარებში 1846 წელს სათაურით: „ქართულის შესახებ ენათა ნათესაობის თვალსაზრისით („Über das Georgische in sprachverwandtschaftlicher Beziehung“), მეორედ — 1847 წელს ცალკე წიგნად, მასთან სულ სხვა სათაურით: „კავკასიის წევრები ინდო-ევროპულ ენათა ოჯახისა“ („Die kaukasischen Glieder des indoeuropäischen Sprachstammes“). ტექსტი ერთი და იგივეა (ქვემოთ ჩვენ ვიმოწმებთ პირველს: „ქართულის შესახებ“...).

შრომა შეიცავს ფრ. ბოპის ორ მოხსენებას, მათგან პირველი ფრ. ბოპს წაუკითხავს ბერლინის მეცნიერებათა აკადემიაში 1842 წ. 11 დეკემბერს, მეორეც — იქვე 1845 წლის 23 ოქტომბერს.

პირველ ლექციაში ფრ. ბოპი განიხილავს არსებით სახელთა ბრუნებას (აგრეთვე სქესის საკითხს), შემდეგ — ზედსართავ სახელს (კერძოდ, ხარისხის წარმოებას), ნაცვალსახელებსა და რიცხვით სახელებს (გვ. 259-299); მეორე ლექცია ზმნებს ეხება: პირისა და რიცხვის ფორმებს, დრო-კილოთა წარმოებას, პრევერბებს (გვ. 299-323); ბოლო აბზაცი სახელის ფუძეთა წარმოებას ეთმობა (გვ. 323).

ტექსტს მოჰყვება — გაბმით — შენიშვნები (გვ. 324-339; სულ 52 შენიშვნა).

ფრანც ბოპი ქართველურ ენებზე მსჯელობს სპეციალური ლიტერატურის მიხედვით: ქართულისათვის — მ. მაჯოს და მ. ბროსეს შრომებს, აგრეთვე დ. ჩუბინაშვილის საგრამატიკო მიმოხილვას იყენებს, ჭანურისა, მეგრულისა და სვანურისათვის — გ. როზენის ნარკვევებს ემყარება (დამოუკიდებლად არც ერთი ქართველური ენის მასალაზე ფრ. ბოპს ხელი არ მიუწვდებოდა).

ქართული ენის გენეზისური ურთიერთობა სხვა ოჯახის ენებთან ასე დაწვრილებით არც ადრე განუხილავს ვისმე და არც — შემდეგ; ამ მხრივ ფ. ბოპის ცდას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

ქართული ენა — იწყებს ფრ. ბოპი — მეგრულთან, სვანურთან და ლაზურთან ერთად ქმნის მჭიდროდ დაკავშირებულ ენათა წრეს — ი ბ ე რ ი უ ლ ს ანუ ქ ა რ თ უ ლ ს (*iberischen oder grusischen* გვ. 1.) მათგან გრამატიკულად ცნობილია მხოლოდ ქართული. მეგრულისა და სვანურის

მცირეოდენი სიტყვათ-კრებულია მოგვეპოვება¹ და მეგრული მეტყველების ნიმუში, რაც კლაპროთს აქვს გამოქვეყნებული სააზიო ჟურნალში².

ლაზურის შესახებ ყველაზე მცირე მასალა მოგვეპოვებოდა, სანამ გ. როზენი გადმოგვიზავნიდა არზრუმიდან „ამას წინათ“ შინაარსიან გრამატიკულ შრომას, რომელიც ნათლად და მეთოდურად ყველა მეტყველების ნაწილის შესახებ მოგვითხრობს და განხილული ენის ორგანიზმში ღრმად იჭრება; დასასრულ, საკმაო რაოდენობის ძირებსა და სიტყვებს გვაწვდის... ახლო მონათესავე ქართულის გრამატიკა ავტორს (გ. როზენს) ხელთ არა ჰქონია, არც ლაზურის შესახებ რაიმე წყაროები გააჩნდა... გ. როზენის შრომა ლაზურის შესახებ ცხადყოფს, რომ ლაზური იბერიულ ენათა წრის წევრია.

კლაპროთი (*Asia polyglotta*, გვ. 111) ირწმუნება, რომ ქართული — მიუხედავად ზოგი მსგავსებისა, რაც მას აქვს ინდო-გერმანულ ენებთან და სხვა, განსაკუთრებით ჩრდილო-აზიის ენებთან, — ცალკე ძირის ენად უნდა მივიჩნიოთ (გვ. 2).

სენ-მარტენიც (1823 წ.) არსებითად ამავე აზრს ადგას: ქართულის გრამატიკა და ლექსიკა სავსებით თავისებური ხასიათისაა... საგრძნობი კავშირი არც კავკასიის სხვა დიალექტებთან, არც აზიის სხვა ენებთან არ ჩანსო... ქართულში თითო-ოროლა სომხური სიტყვა თუ გვაქვს, მიუხედავად მეზობლობისა და მჭიდრო კავშირისა, რაც ქართველებს სომხებთან ჰქონდათო.

ამის საპირისპიროდ ბროსე აკავშირებს ქართულს სანსკრიტთან სომხურის მეშვეობითაო. მაგრამ ბროსე იმასაც შენიშნავს, რომ ქართულში ბრუნება სომხური ენის სახელთა ბრუნებას არა ჰგავსო, ხოლო ზმნის უღვლილებაში აწმყო დროის პირველი პირის მხოლოდობითში (თხრობ. კილო) გვაქვს ერთგვარობაო (ვსვამ და სომხ. ვნამ „ვდი“).

¹ მეგრულისა და სვანურის გრამატიკულ მოვლენათა მიმოხილვა, რასაც გ. როზენის ნარკვევები შეიცავს, ფრ. ბოპს 1842 წელს ვერ ექნებოდა: გ. როზენმა ეს ნარკვევები სტამბოლში დაამთავრა 1844 წ. 6 დეკემბერს.

² იგულისხმება ის ფრაზები (და რიცხვითი სახელები), რაც ი. გიულდენშტედტსა ჰქონდა ხელთ 1775 წ. აფხაზური, ყაბარდოული, ჩაჩნური, ხუნძური, ანდიური, ლაკური და დარგუული (აკუშური) კლაპროთმა — წყაროს დაუთმებულად — დაბეჭდა თავის „მოგზაურობის“ დანართში („კავკასიური ენები“). დარჩა გამოუქვეყნებელი ქართული და მეგრული. ქართულად თარგმნილ ამ ფრაზების დაბეჭდვას აზრი არა ჰქონდა. მეგრული მასალა (თარგმნილი ფრაზები და რიცხვითი სახელები) 1829 წელს დაიბეჭდა სააზიო ჟურნალში (იხ. *Nouveau Journal Asiatique*, 1829, tome III, გვ. 154-162). მასალა დაბეჭდილია ისე, რომ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი, როდის, სად და ვინ ჩაიწერა ეს მასალა. ამიტომ, რომ მასალას მიაწერენ კლაპროთს.

მაგრამ ამ შემთხვევაში სიახლოვე — შენიშნავს ფრ. ჰოპი — არაა სარწმუნო: სომხურის ეს **მ** (m) მართლაც უკავშირდება სანსკრიტის | პირის **მი**-ს; ქართულში კი ეს **მ** (ვსვამ) არ შეიძლება პირველი პირის ნიშნად მივიჩნიოთ, რადგანაც იგი მეორდება ყველა დროში თუ არა, მეტწილში მაინც, მასთან ორივე რიცხვის ყველა პირში, თვით მიმღეობასა და ინფინიტივში (ს**მა**, ს**მ**ული) ასე, რომ არავითარი შესაძლებლობა არა რჩება ვსვამ, სვამ, სვამ-ს — ამ **მ**-ს გამო სომხურის პირის ნიშანს (m-ს) დაუკავშიროთო.

მრავალი მსგავსი სიტყვა, რომლებიც ქართულსა და სომხურში გამოყოფილი აქვს ბროსეს, ყურადღების ღირსია, მაგრამ ამის გამო ქართულს ინდო-ევროპულ ენათა ოჯახში ვერ ჩავრიცხავთ: სადაც მართლაცდა ქართული სომხურს ემსგავსება, გვიანდელი სესხება უნდა გვქონდეს ერთი ენიდან მეორეში¹ (გრამატიკაში რაკი შეხების წერტილი ამ ენებს არა აქვთო).

სხვა ვითარება გვექნებოდა, თუ ქართულსა და ლაზურს სანსკრიტს შევეუდარებდით: აქ მართლაც გვაქვს საყურადღებო დამთხვევა „ენობრივი ორგანიზმის ყველა ნაწილში — სახელთა ფლექსიაში, ზედსართავთა ხარისხში, ნაცვალსახელთა ფუძეებსა და ბრუნებაში (ცვლაში), რიცხვით სახელებში, აგრეთვე ზმნის უღვლილებაში — პირთა, რიცხვთა, დროთა და კილოთა მიხედვით. ჩვენი შრომის მიზანია ეს ცხადი გავხადოთო, — წერს ფრ. ჰოპი (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

იბერიულ ენებში არც არსებით სახელებს, არც ზედსართავებსა და ნაცვალსახელებს სქესი არ აქვთ გარჩეული. ამით ეს ენები შორდებიან სანსკრიტის ძირისა და მის მიმყოლ წევრებს და ემხრობიან ოსურს, სომხურს, სპარსულს, ბენგალიურსა და ინდო-ევროპული მოდემის სხვა იდიომებს, კერძოდ, ინგლისურს, რომელსაც მესამე პირის ნაცვალსახელში მაინც აქვს გარჩეული სქესებიო (გვ. 261).

მამრობითში სქესის ცნება საკუთრივ არც არის გამოხატული: მდებრობითის გამოხატვის უქონლობაა მისი განმასხვავებელი ნიშანი; საშუალო სქესი, რაც თავდაპირველად მკვდარი ბუნების საგნებისათვის არის განკუთვნილი, მამრობითი სქესისაგან განირჩევა არა ფუძის მიხედვით, არა-

¹ ბროსე თავის პასუხში (1844 წ. 22 ოქტ.) მიუთითებს სომხ. ძმეგრ და ქართ. ზამთარ-ზე, როგორც ისეთ სიტყვაზე, რომელიც გვიან ნასესხებად არ მიიჩნევაო, — წერს ფრ. ჰოპი შენიშვნა 1-ში. მაგრამ ეს სიტყვა ჩვენი მიზნისათვის არ გამოგვადგება, რაკი ეს სიტყვა სხვა ინდო-ევროპ. ენებში არ დასტურდება. მხოლოდდა ბოლო სომხ. ძმეგრ-ისა და ქართ. -თარი ← ართი შეიძლება ინდ. რტუ „წელიწადის დრო“-ს და ზამთრის ირლანდ სახ. გ ე ი მ რ ი თ...-ს უკავშირდებოდესო.

მედ მეტწილად იმით, რომ სახელობითსა და აკუზატივში (ბრალდებითში) ბრუნვის ნიშანი არა აქვს, ანდა იმით, რომ ნაკლებ-ცოცხალი, ნაკლებ-პიროვნული ნიშანი აკუზატივისა გამოყენებულია სახელობითში. ამრიგად, მამრობითი სქესი თავისი ბუნებით მოწოდებულია, რომ მეტ ხანს გაძლოს, ვინემ მდებრობითმა და საშუალო სქესმა (ასე, მაგალ., სპარს. მრავლ. -**ან**; მას სანსკრ. მრავლ. აკუზ. ეფარდება: დევან; სანსკრიტში პირველისა და მეორე პირის ნაცვალსახელი არ განასხვავებს სქესებს, მაგრამ სანსკრ. აკუზ. ასმან, ძუსმან და ვედურის მრავლ. სახელ. ასმე, ძუსმე თავისი ფორმით მამრობითია (გვ. 262).

თქმულის შესაბამისად ერთად ერთი სქესი იბერიულ ენათა ბრუნებისა მამრობითი უნდა ყოფილიყო (ე. ი. სქესის ნაშთს თუ ვიპოვით, იგი მამრობითისა უნდა იყოს — **ა. ჩ.**):

სახელობითსა და აკუზატივის ქართულსა და ლაზურში ბრუნვის ნიშნები დაუკარგავს და ამჟამად ერთნაირად ბგერენ (ისევე, როგორც ოსურში, რომლის ბრუნებას სანსკრიტისასთან შედარებით ბევრი რამ უცხო ახასიათებს).

„ამა“ ქართულში სახელობითსაც (პატერ) უდრის და აკუზატივსაც (პატერ-ემ), — წერს ფრ. ჰოპი, მაგრამ ის გარემოება, რომ ბოლოკიდური **ა** ირიბ ბრუნვებში **ა**-დ სუსტდება, ამ **ა**-ს, სახელობითსა და აკუზატივში რომ გვაქვს, ბრუნვის დაბოლოებას ამსგავსებს. ლაზურში, პირიქით, ეს **ა** ყველა ბრუნვის დაბოლოების წინ არის დაცული მხოლოდობითშიცა და მრავლობითში; ლაზური ამ მხრივ უფრო ძველ საფეხურზე დგას, ვინემ ქართული (ლაზ. ზულა „ზღვა“, — რომელიც შეიძლება შევუდაროთ სანსკრიტ. საგარა-ს სახელობითში და საგარა-მ — აკუზატივში, — იძლევა ნათ. ზულა-ში, მიცემითი ზულა-ს, მოქმ. ზულა-თე).

ამ უკანასკნელ სამ ბრუნვას ქვემოთ დავუბრუნდებითო, — შენიშნავს ფრ. ჰოპი. რაც შეეხება აკუზატივს, მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ძველი აკუზატივის ნიშანი შემოუნახავს ქართული ნაცვალსახელის ბრუნებას (ნაცვალსახელები მრავალ ინდო-ევროპულ ენაში მეტის მეტად ძველ ფორმებს წარმოგვიდგენენ). აკუზატივის ნიშნად — წერს ფრ. ჰოპი, — მიმაჩნია **-ფ** ნაცვალსახელებში იმა-**ფ**, ამა-**ფ**, ვი-**ფ**: „იმა-**ფ**“ სავსებით ეტოლება (*stimmt*) სანსკრ. აკუზ. იმა-მ-ს (ტ-ბგერის წინ: იმა-**ფ**: იმა-ნ დანტან-**ნ** „ეს კბილი“); ამა-**ფ** შეიძლება შევუდაროთ სანსკრ. ამუ-მ აკუზ. ეს, ის; მისი ფუძე ამუ წარმოდგენილია ლაზურ „ჰამუ“-ში „ეს“, „ამ“ (ასევე ლაზ. ჰიმა „ის“, „იმ“ — სანსკრ. ჰიმა). ლაზურს დაუკარგავს არა მხოლოდ აკუზატივის ნიშანი **ფ**, ქართულში რომ გვაქვს, არამედ სახელობითსა და აკუზატივში ფუძის ბოლოკიდური ხმოვანიც; გარდა ამისა მას თავკიდულ-

რად **ჰ** მოუღის: ლაზ. ჰიმ, ჰამ — მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს სანსკრ. იმა-მ, ამუ-მ-თან, ვინემ ქართული იმა-ნ, ამა-ნ. თავკიდური **ჰ** მოგვაგონებს ბერძნულის სპირიტუს ასპერ-ს (გვ. 262-263).

აკუზატივის **-ფ** იბერიულ ენებში სახელობითშიც გადავიდა; ეს გასაკვირიც არაა, რაკი იბერიულ ენებში სახელობითი და აკუზატივი იდენტურია; სანსკრიტშიც საშუალო სქესის **ა-** ფუძიანი და ბერძნულისა და ლათინურის **ო** და **უ** ფუძიანები სახელობითშიც გადმოიყოლებენ იმ ნიშანს, რაც მამრობითი სქესის სახელებში მხოლოდ აკუზატივს ახასიათებს: სანსკრ. ნავა-მ, ბერძნ. ნეო-ნ, ლათ. ნოვუ-მ „ახალი“ სახელობითიც არის და აკუზატივიც.

ქართული **-ფ** (იმა-**ფ**, ამა-**ფ**, ვი-**ფ**) ისევე, როგორც სანსკრ. — საშუალო სქესის **მ** ნავა-მ (ლათ. ნოვუ-მ) „ახალი“, დანა-მ (ლათ. დონუმ) „საჩუქარი“, „ძღვენი“, კი-მ (ლათ. კვიდ) „რა“ ბრუნვის ნიშანი ჩანს მით უფრო, რომ სახელობითისა და აკუზატივის გარდა არსად გვხვდება, სხვა ბრუნვებში სათანადო ფორმანტს უთმობს ადგილს. სანსკრ. სახ. აკუზ. ნავა-**მ**, დანა-**მ** — ნათეს. ნავა-**ხდა** დანა-**ხდა** (კი-მ ნათეს. კა-**ხდა**); ასევე ქართულში: იმა-**ნ**, ამა-**ნ**, ვი-**ნ** — ნათეს. იმი-**სა**, ამი-**სა**, ვი-**სა** (გვ. 264).

შენიშვნა 4 (გვ. 325) ბროსეს წერილის პასუხს შეიცავს (ქართ. — **ნ**-ს თაობაზე): ბროსეს აზრით — წერს ბოპი — „იმან“, „ამან“, „ვინ“ აკუზატივის გაგებით არ შეიძლება ვიხმაროთო. ნამდვილად კი თვით ბროსეს მოჰყავს „მან“, „მაგან“, როგორც სახელობითი და აკუზატივიო. მართლაც „ქართული ენის ელემენტებში“ (ბროსეს წინასიტყვ., გვ. XXXVIII, XXXIX) ამ, ამა, ამან; იმ, იმა, იმან; მ (?), მა, მან — ნაცვალსახელთა ბრუნებაში მიჩნეულია მხოლოდობითი რიცხვის სახელობითად და აკუზატივად. აკუზატივი აქ უადგილოა. ამისდა მიუხედავად ბროსეს შენიშვნა სამართლიანიაო.

ფრ. ბოპი წერს: გარდამავალი ზმნა მოქმედებითი გვარისა არ შეიძლება ობიექტს სახელობითში მოითხოვდესო. სახელობითი და აკუზატივი რომ ფორმით არ გაირჩეოდეს (რაც ნაწილობრივ ბრუნვის ნიშანთა დაკარგვამ გამოიწვიაო), ამის გამო არ შეიძლება ენას მივაწეროთ ულოგიკოდ მოქცევა, თითქოს გარდამავალ ზმნას (მოქმედებითი გვარისა) ობიექტი სახელობითში დაესმებოდესო.

ნათესაობითის დაბოლოება ქართულში სანსკრიტის სდა-ს უკავშირდება; ამუ -სდა (კეთილხმოვანებისათვის ამუ -სდა-ს ნაცვლად — ლაზ. ჰამუ-ში იმავე მნიშვნელობით „ამისი“): **-ში** ლაზურში ყველა ჯგუფის სახელებს აქვს ხმოვნის შემდეგ. ასევე ლაზ. ზულა-ში „ზღვისა“ — სანსკრ. საგარა-სდა „ზღვისა“, გაიდე-ში „ხმისა“, ლაზ. თოლი-ში „თვალისა“, ბოზო-ში „გოგოსი“.

ძნელია დანამდვილებით ითქვას -სდა — დაბოლოების **ე** ლაზურ დაბოლოებაში შენახული **-ი** ხმოვნის სახით (ბოლოკიდური **ა**-ს მოკვეციტ) თუ **ე** წინ გადახტა, ბოლოკიდური **ა**- კი დასუსტდა და **ი** მოგვცა (გვ. 264-265). ქართულშიც ნათესაობითის -სა დაბოლოების ნაცვლად გვხვდება -სი, მასთან ნაცვალსახელებსა და საკუთარ სახელებში (ბროსე). ნაცვალსახელებში მარტოოდენ -ს-ც შეიძლება გვქონდეს: ამი-ს, ვი-ს.

ჩუბინაშვილისა და კლაპროტის მიერ გამოცემული გრამატიკა მისიონერისა მხოლოდ **-სი** დაბოლოებიან ფორმებს იძლევა: იმისი, ამისი, ვისი (გვ. 265).

ბოლოკიდური **ა** სუსტდება და **ი**-დ იქცევა (მამა — მამი-სა), ხოლო ბოლოკიდურ **ე**-ს — **ი**- ენაცვლება (ბუდე — ბუდი-სა); ამან აფიქრებინა ბროსეს, რომ „საკუთრივ ნათესაობითის ნიშანი **-ისა** არისო, ხოლო მის წინ **ა** და **ე** იკარგებაო. ასე, რომ ნათესაობითი: „მამ-**ისა**, „ბუდე-**ისა**“ ამგვარად უნდა დაიშალოს მაშინ, როდესაც ლაზური, სანსკრიტი და პალი ამართლებს „მამი-**სა**“, „ბუდი-**სა**“ დაშლას.

ამასთან დაკავშირებით ბოპი აღნიშნავს: გუთურის ნათესაობითში ვულფის „მგლისა“, გასტის „სტუმრისა“ **ი** ფუძეს მივაკუთვნებო, — პირველ შემთხვევაში, **ი** — ვულფა-ფუძის **ა**-ს დასუსტებამ მოგვცა, მეორეში **-ი** იმთავითვე ფუძის ბოლოკიდურს წარმოადგენდაო, არ კი ვიცოდი, რომ გუთურს ასეთი საყურადღებო შეხვედრა აქვს ქართულთანაო (გვ. 265).

ძველი საქსური ინარჩუნებს ნათესაობითში ფუძისეულ **ა**-ს ისევე, როგორც ლაზურიო: ძვ. საქს. ტურა-ს „მამაკაცისა“ = სანსკრ. ვარასდა ისევე, როგორც ლაზ. ბაბა-ში „მამისა“, ჰიმა-ში „იმისა“, ქართ. მამი-სა, იმი-სა (ანდა: იმი-სი, იმი-ს) (გვ. 265).

ქართ. ყური-სა და ლაზ. გური-ში „გულისა“ ეთანხმება პალის ნათესაობითს, მაგალ. პატი-სსა „ბატონისა“, რასაც გუთ. ტადი-ს შესატყვისება (გვ. 266).

ლაზურში მიცემითის ნიშანია **-ს**, არსებითს სახელებშიცა და ნაცვალსახელებშიც; ეს ეთანხმება გუთურ ერთსქესიან ნაცვალსახელთა მიცემითს: მი-ს (მიც.) „მე“ (გვ. 266).

გუთ. **ს**-ს სანსკრიტის ნაცვალსახელ სმა-საგან ამოსვლით ვხსნიო (გვ. 266); ლაზ. ჰამუ-ში „ამის“ (სანსკრ. ამუ-შდა „ამის“; ასევე: ლაზ. ჰამუ-ს „ამას“ და ქართ. ამა-ს უნდა გავაიგივეოთ სანსკრ. მიც. ამუ-შმაი-სთანაო... (გვ. 266).

არსებითი სახელები (ადამიანის სახელთა გარდა), ზედსართავები და პირველი ორი პირის ნაცვალსახელები ქართულში მიცემითს აწარმოებენ უფრო სრული დაბოლოებით, ვინემ **-ს**; ესაა **-სა**, რომლის **ა** შესაძლებელია სანსკრ. დიფტონგ **აჲ**-ს პირველ ნაწილს შეიცავდეს; **-სა** დაბოლოების დართვი-

სას ფუძისეული **ა** არ სუსტდება **ი**-დ, როგორც ეს ნათესაობითში გვაქვს: მიც. მამა-სა ამრიგად განსხვავდება მამი-სა ნათესაობითისაგან ასევე: ყურ-სა და ყური-სა.

ნათესაობითისა და მიცემითის ბრუნვის ნიშნები ფორმალურად ერთ-გვარია **-სა**: ენის ისტორიაში იშვიათი არ არის, რომ „სხვადასხვა წინარე-ფორმებიდან ფონეტიკურად სავსებით მსგავსი დამახინჯებანი წარმოდგება“ (გვ. 267); ასე მაგალ., ჩვენი ნაცვალსახელური მდედრობითი **რ** ნათესაობითისა მხოლ. (ძვ. ზემოგერმ. **რა**), სანსკრიტის დაბოლოება **-სდას-ისაგან** მომდინარეობს, მიცემითის **რ** კი (ძვ. ზემოგერმ. **რუ**) — სანსკრიტის **-სდაი-საგანაო...**

ვინც მოისურვებდა იბერიული ქართული მიცემითი აეხსნა ნათესაობითის მეშვეობით, შეეძლო მიემართა სანსკრიტისათვის, სადაც სამიციმითო ურთიერთობა ნათესაობითის მეშვეობით არის გადმოცემული უფრო ხშირად, ვინემ მიცემითით; პალისა და პრაკრიტში მიცემითი უკვალოდ გაქრა და მიცემითის ადგილი ნათესაობითმა დაიკავა. მაგრამ არც ქართულ-სა და არც ლაზურში ნათესაობითი და მიცემითი მთლიანად არ ემთხვევა ერთმანეთს, და ეს გვაფიქრებინებს: როცა იბერიული დები ჯერ კიდევ არ იყვნენ გათიშული, მიცემითი განსხვავდებოდა ნათესაობითისაგან (შენიშვნაში — წიგნის ბოლოს — ბოძს ნათქვამი აქვს: როზენის მიხედვით მეგრული და სვანურიც განასხვავებენ მიცემითს ნათესაობითისაგანაო).

ქართულისა და ლაზურის მიმართ ანგარიში უნდა გაეწიოს იმასაც, რომ მიცემითი იმავე დროს ადგილობრივ (ლოკატივიც) არის, და, თუ მიცემით-ადგილობრის ნათესაობითით აფხნინდით, სანსკრიტის სამი ბრუნვა ერთ ბრუნვამდე დაყვანილი აღმოჩნდებოდაო.

მიცემითისა და ადგილობრის ლაზური ფორმა თანაბრად კარგად აიხსნებოდა როგორც სანსკრიტის ლოკატივისა, ისე მიცემითისაგან ნაცვალსახელურ ბრუნებაში: მიცემითი ენკლიტიკურ ნაცვალსახელ **სმა**-ს შეიცავს, და ამიტომ ლაზ. ჰამუ-ს ისევე ახლოს დგას სანსკრ. ლოკატივთან ამუ-შ(მინ) როგორც მიცემითთან ამუ-შ(მაი).

ქართ. მიცემითის **-სა** არსებით სახელებში ადვილად არ აიხსნება სმინ-ისაგან, თუ არ ვივარაუდებდით, რომ **ა** აქ არაორგანული დანართია... (გვ. 268). სანსკრ. სმინ დაბოლოების **ი** ვერ აგვიხსნის ქართ. **სა-ს ა-ს**: ყველაზე მსუბუქი **ი-ხმოვანი** ყველაზე მძიმე **ა-ხმოვანში** რომ გადავიდეს, ეს ისევე უჩვეულოა, როგორც ჩვეულებრივი საწინააღმდეგო შემთხვევა (**ა-ს** გადასვლა **ი-ში**).

იბერიული მიცემით-ლოკატივი რომ სანსკრ. ლოკატივს დაემყაროს, ამას მხარს დაუჭერს ის ფაქტი, რომ სწორედ ლოკატივში სანსკრ. ენკლიტიკური ნაცვალსახელი („**სმა**“) პალისა და პრაკრიტში არსებით სახელებსა და ზედსართავებშიც იხმარება (გვ. 268).

მოქმედებითი ბრუნვის ნიშნად ქართულში ფ. ბოპს **-თა** მიაჩნია, მასში ნიშანდობლივად **თ**-ს თვლის და უდარებს ამ **თ**-ს სანსკრიტის **ტ**-ს, რომელიც **ა** ფუძიან სახელებს აქვს: საგარა-**ტ** „ზღვით“ (მ. ბროსე მოქმედებითის ნიშნად **-ითა**-ს უჩვენებს, მაგრამ **ი**, ბოპის აზრით ისევე, როგორც ნათესაობითში, **ა**-ს დასუსტების შედეგია: ზღვა- ზღვი-სა — ზღვი-თა (!) გვ. 268).

მრავლობითის სუფ. **ნ**-ი — სანსკრიტის აკუზატივი **ი**- მა-**ნ**-ის („ისინი“) **ნ**-ს ფარდიაო (გვ. 270-271)... ქართულს მრავლობითში **-ები**-ც აქვს, რაც ლაზურ **ფე**-ს ტოლია, მაგრამ სვანურში სულ სხვა **-არ**- სუფიქსი დასტურდებაო, და **-ები** სუფიქსი შეიძლება განზე დავტოვოთო (გვ. 274)... ქართ. მრავლ. **-თა** სუფიქსი ფ. ბოპს ოსურ **თე**-სთან ერთად სანსკრიტიდან მომდინარე ძველი გენეზისური კავშირის მაუწყებლად ესახება (გვ. 273)... **თე**, **თა** ჩვენებითი ფუძე უნდა ყოფილიყო.

შედარებითი ხარისხის **ესი** (უ-კე-თ-ესი) სანსკრიტის დას-თან არის შედარებული შრე-დას „უკეთესი“!.. **უ**- პრეფიქსი რაღაა, ძნელი სათქმელიაო (გვ. 277).

ნაცვალსახელები მდიდარ მასალას გვაწვდის იბერიულ ენათა სანსკრიტთან ნათესაობის შესახებო (გვ. 280): ლაზ. მა „მე“ — სანსკრ. აკუზ. **მა**-მ (mich). სპ. მენ...

მეორე პირის „სი“, „შენ“ ნაცვალსახელთა სისინა-შიშინა ელემენტი **ტ**-ს ცვლის შედეგი უნდა იყოსო: სანსკრ. ტვამ „შენ“ — ბოლოკიდური **ნ** — სანსკრ. **მ**-ს უდრისო (გვ. 283).

თქვენ-ში გამოყოფილი აქვს **თ**- და **ნ**, **ქვე** სანსკრ. **ტვა**-ფუძეს არის შედარებული: **ქ ტ**-ს ცვლის („გადაგვარების“) შედეგიაო (გვ. 283-284).

მესამე პირის ნაცვალსახელი „იგი“ — სანსკრ. ადამ, სხვა ბრუნვებში **იმა** და სანსკრ. **იმა**-ს ფარდიაო (გვ. 284-285)... ქართ. „ესე“ შეიძლება სანსკრ. ასაუ-ს „იგი“ დამახინჯებას მოეცაო (გვ. 285), ქართ. „ისი“ ლათინ. **is**-ის („იგი“) ბაღლად უნდა ვცნოთ, როგორც კლაპროთიც ვარაუდობდაო (გვ. 286-287).

რიცხვის სახელებში: ქართ. ორი — სანსკრ. დვი-სთან არის შედარებული: „მათემატიკურად დამტკიცებას ენათმეცნიერება ვერ შეიძლებსო (! — გვ. 288), მაგრამ **რ** ← **დ** (ორი ← ოდი ← ოდვი), თავკიდური **ო** „დამხმარე ხმოვანი იქნებოდაო“ (გვ. 288)... შეიძლებოდა აგრეთვე ორი ← როი ← დოის გზით დავკავშირობინა სანსკრიტის დვა, დვი-სთვისაო (გვ. 289).

სვან. მერუ და სომხ. მერკუ საერთო წყაროდან მომდინარედ უნდა მივიჩნიოთო (გვ. 289). ლაზ. ჯური „შესაძლო დამახინჯების უკიდურეს ფარგლებს აღწევსო“ (გვ. 291).

სვან. „ემ-გუ“ „ერთი“ სანსკრ. **ეკა**-ს მოგვაგონებსო (გვ. 291). მეგრ. ართი „ერთი“ რატი-საგან მიღებულად უნდა ვცნოთ და სანსკრ. პრატამა „პირველს“ დავუკავშიროთო. ქართ. ერთი-ს თავკიდური ძველი **ა** ცვლილა **ე**-თი (იქვე). ქართ. სამი, მეგრ. სუმი და სვან. სემი, სანსკრ. ტრი (მამრ. ტრადას) შეიძლება დაუკავშირდეს, თუ მოვიგონებთ, რომ იბერიულ ენებში **ტ** ბგერა **ს**- ბგერად დასუსტების მიდრეკილებას იჩენსო (გვ. 292. შდრ. აგრეთვე სპ. სიპ „სამი“-ო; იქვე).

„ოთხის“ შედარებისას სვანურ „ვორშოხო“-საგან უნდა გამოვიდეთ: თუ მას მივიჩნევდით „თხოვორშ“-ის გადასმის შედეგად, სანსკრ. ჩატვარასთან ახლო იქნებოდა: ჩა=თხო, ტვარას=ვორშ (ტ-ს დაკარგვითაო)... ქართ. ოთხ-ში სვანური ვორშ-ის მხოლოდ **ო** არის გადარჩენილიო (გვ. 293).

„ხუთი“ — სვან. „ვოხუში“-ს **ვო** — სანსკრ. პა-ს (პანჩა „ხუთი“) და ხუ=ჩა ← კა-საგან, „ში“ კიდევ ქართ. და მეგრ. „თი“-ს (ხუ-თი) ნაცვალსახელია მსგავსად სლავ. პა-ტა-საო... (გვ. 294-295).

სანსკრ. **შაშ** „ექვსი“ უნდა იყოს **კშაშ**-ისაგან მიღებული; ქართ. ე-ქუსი-ს თავკიდური **ე** „დამხმარე ხმოვანიაო“... სვან. უსგვა აგრეთვე თ-გვას-ის გადასმის შედეგი ჩანსო... (გვ. 294).

ქართული „ვიდი“ ვიდი-ს გადასხვაფერების შედეგი უნდა იყოს და სანსკრ. საპტა-ს უდრისო... (გვ. 294). მეგრ. შქეტი, ლაზ. შქით, სვან. იშ-გვითში სისინა ბგერას უკანაენისმიერი (გუტურალური) დართვიაო (გვ. 295).

„რვის“ შედარებისას ბოპი სვან. **არა**-ს იღებს, იგი **ადა**-საგან არის მიღებულიო და სანსკრ. ა შ ტ ა უ -ს უახლოებს... ქართ. რვა და მეგ. რუო-ს თავკიდური ხმოვანი დაუკარგავთ და რაუ, როუ-საგან წარმომდგარანო: **არაუ** — **არვა** — **არა**... (გვ. 295).

რაც შეეხება „ცხრა“-ს, მისი დაკავშირება სანსკრ. **ნავან**-თან ფ. ბოპ-საც კი უიმედო საქმედ მიუჩნევია და პირდაპირ ამბობს: „არც ერთი იბერიული იდიომი და არც ოსური სანსკრიტთან ნათესაობას არ ამჟღავნებსო“ (გვ. 296).

სანსკრ. დაშა „ათი“ კვლავ სვან. დეშტ-თან არის დაკავშირებული: დეშტ ← დდეშტ — სლავ. დესა-ტა (გვ. 296).

ოცის აღმნიშვნელი სვან. დერეშთ „ორ ათს“ ნიშნავსო. ეს „ოცის“ ქართ., მეგრ. და ლაზური სახელიდან არა ჩანსო“ (გვ. 296-7). რა შესატყვისი აქვს სანსკრიტში, ნათქვამი არაა.

სანსკრ. **სატა**, სპ. **სად** — სვან. **აშირ**-ს „ასი“ უკავშირდებაო: **რ** — **დ**-ს ნაცვალაიო. ქართ. სახელს „ასი“, მეგრ. ოში-ს ბოლოკიდური **რ** დაკარგული აქვთო (გვ. 297).

რიგითი რიცხვითი სახელების წარმოებისას ლაზ. **მეშ** (ყურ-მეშ „მეორე“, ზედმიწ. „ორი — მისი“) ფ. ბოპს შედარებული აქვს სანსკრ. **-მას**, ლათ. — **მუს** სუფიქსებთან: ლათ. სეპტი-მუს „მეშვიდე“ (!) (გვ. 298).

ქართულში მე-თავსართი მოუღის (**მე-ორე, მე-სამე...**), რაიც ალბათ, ნაცვალსახელთა პირს ანდა ნივთს აღნიშნავსო (გვ. 298).

სახელთა ფორმების შეპირისპირებისას ფ. ბოპს ერთნაირი აგებულების მასალა მაინც ჰქონდა: ბრუნვის ნიშნები ქართველურ ენებშიც და ინდო-ევროპულშიც სუფიქსებით გადმოიცემა... მაინც დაახლოება ჭირდა...

ზმნაში ეს პირობაც მოიშალა: ქართველურ ენათა ზმნა პირებს პრეფიქსებით აღნიშნავს (მესამე პირის სუბიექტის გარდა), ინდო-ევროპული ენები პირის ფორმებისათვის სუფიქსებს ხმარობენ...

ეს აიძულებს ფრ. ბოპს სრულიად ნებისმიერი ვარაუდები წამოაყენოს: მაგალ.: **თ** სუფიქსი (ვარ-**თ**, ხ-არ-**თ**) თითქოს მეორე პირიდან იყოს გადმოსული პირველ პირში (გვ. 299)... მეორე პირში კიდევ **-თ** იყოს **პირის** ნიშანი (!), რომელსაც სანსკრიტში მოეპოვება შესატყვისი (**ა-თა**)... მით უფრო, — წერს ფ. ბოპი, — რომ მრავლობითის მესამე პირის ფორმა იბერიულ ენებში „მშვენივრად უდგება ინდო-ევროპულ გრამატიკასაო“: ქართ. **-ან** , სანსკრ. **ან-ტი...** (გვ. 300).

მხოლოდობითის მესამე პირში რომ **-ს** გვაქვს (სჭამ-**ს**), სანსკრ. **ატი-**ს უკავშირდება: ტ → ს შდრ. ბერძ. დიდო-სი „აძლევს“, სადაც **სი** ენაცვლება **ტი-**ს... (გვ. 301)... ჭანურის **-აფ** (ოხვენაფუ: **-აფ** ქართ. **-ებ** — **ა. ჩ.**) პრაკრიტის **აბ-**ის ბაღდად არის მიჩნეული (გვ. 301)...

დრო-კილოთა წარმოებაში საყურადღებო მსგავსება ვიპოვეო, წერს ფ. ბოპი (გვ. 302)... ნამყო უსრულის **-დი. -და** შედარებული აქვს სპარ. **დემ-**თან: ფურსი-დემ „გკითხავდი“, გირიფ-თემ „ვიღებდი“... (გვ. 303)... ამ ფორმებისათვის ამოსავალია ნამყოს მიმღეობა, რომელსაც პასიური გაგება აქვს, ნეიტრალურ ზმნებში კი სანსკრიტში უპირატესად აქტიური მნიშვნელობისაა (გვ. 303). სვემდა-ში **ა** რომ გვაქვს, იგი მეშველი ზმნისად შეიძლება გავიგოთ — მოსულ-**ა**, ლამაზი-**ა**-ს ბაღდადაო (გვ. 305)... ქართ. მიმღეობის — **ლ** (თბობილი, სმული...) **დ**-საგან მიღებული უნდა იყოს (მას დამაკავშირებელი ხმოვანი უძღვისო); ეს **-დ** კი ნამყო უსრულშია დაცულიო (ვა-თბობ-დი... გვ. 306).

ჭანური მიმღეობა ხაშკერი „გათოხნილი“ ხაშკ-**ე-დი**-საგან მიღებული ჩანსო (იქვე)... აქტიურ მიმღეობაში (მსმელი) **მ**-ს დაირთავს და „მოქმედების შემსრულებელს გულისხმობსო“; **-ელი** უნდა იყოს **-ედი-**ს დასუსტების შედეგო (იქვე)... **-ელი** და **-ალი** სუფიქსი სანსკრიტის **-ალა-**სუფიქსს, იშვიათად ხმარებულს, ევარდებაო (გვ. 307).

ჭანური მიმღეობის **მს** („ხაშკ-ა-მს“ „მთოხნელი“, ზედმიწ. „თოხნის“ სანსკრ. მანა-ს-ის) აწმ. მიმღ. საშ. გვ. სახეცვლააო (!) (გვ. 307).

აორისტის (ვაჩუქ-**ე**, აჩუქ-**ა**...) **-ე** და **ა** სანსკრიტის **ა-**საგან უნდა მოდიოდესო (გვ. 308)... ეს **-ა** იქ ყველა პირში გასდევსო... ქართული მრავ-

ლობითის **-ეს** (აჩუქ-ეს...) აგრეთვე მხარს უჭერს ამ კავშირს: **ს** მოდის **ტ**-საგან, როგორც ბერძნულში (გვ. 309).

მყოფად-კავშირებითი (ათბოს) შეიძლება სანსკრ. ტაპეტ ← ტაპაიტ-ს შევუდაროთ (გვ. 310-311).

ქართული მეშველი ზმნა -არ და სანსკრ. **-ას** ერთმანეთს უკავშირდება **ს/რ**-ს მონაცვლეობის შედეგადაო (გვ. 316).

ვი-ყავ და სანსკრ. აბჰავამ „ვიყავ“ ერთი და იგივე ძირიაო (გვ. 318), მათვე უკავშირდება სომხ. გო-მ „ვარსებობ“ (გვ. 319).

ვალ ზმნა **ვად**-ის ვარიანტია (**ლ დ**-ს დასუსტების შედეგიაო... გვ. 319). ეს ფუძე სანსკრ. **ვარტ**-ფუძის ნათესავიაო (გვ. 320).

სა- პრეფიქსს ეძებნება სანსკრიტში შესატყვისი (სა- „თვის“... გვ. 321)... **გა**-პრეფერბს ფრ. ბოპმა სანსკრ. **აბა** შეუპირისპირა, როგორც მონათესავე (გვ. 321), **ალ**- პრეფერბს — სანსკრ. **აბჰი** (გვ. 322).

სანსკრიტის კომპოზიტთა ექვსი ტიპიდან ქართულს მოეპოვება სამი: ტატბურუშა („ყელსაბამი“)... კარმადჰარადა („ქედმაღალი“)... ბაჰუვრიჰი („შავ-თვალა“)...

ასეთია სქემატურად ფრ. ბოპის შრომის შინაარსი. იბერიულ ენათა ბრუნება და უღვლილება ბოპმა შეუდარა ინდო-ევროპულისას, პირველ ყოვლისა, — სანსკრიტისას. სანსკრიტი ფ. ბოპს შესწავლილი ჰქონდა, ქართველურ (იბერიულ) ენებს „გარედან უყურებდა“ — სხვისი შრომების მიხედვით მსჯელობდა. ამ ენათა აგებულების შინაგანი კანონზომიერება მისთვის უცნობი იყო. ამიტომ შეეძლო ემტკიცებინა: მოთხრობითი ბრუნვის სახით აკუზატივი გვაქვსო, „ამან“, „ვინ“ — ნაცვალსახელთა ბოლოკიდური **-ნ** ინდო-ევროპულ ენათა აკუზატივის ნიშნის (**მ**-ს) ფარდიაო... ანდა: **-თ** სუფიქსი ზმნაში მეორე პირის ნიშანიაო... ასეთ შემთხვევებში გარეგანი მსგავსების დაძებნა თუ მოხერხდა, ეს — ბოპის ბრწყინვალე ნიჭის წყალობით.

ფრ. ბოპს არა ერთი საინტერესო დაკვირვება მოეპოვება; მაგალითად: დაწყებითი ბრუნვა, სხვა არაფერია თუ არ ნათესაობითი, **-გან** — თანდებულიანო (გვ. 269)... ნამყო უსრულში **-ო**, (**-ო-დი**) ვნებითისა არა-აო: ვიდ-ო-დი... (გვ. 313)... „რომელი“ სიტყვის კავშირი „**რა**“-სთან უეჭველიაო... (გვ. 287)... თუ ნათესაობითი მმართველ სიტყვას მოსდევს, მის ბრუნვას დაირთავს (წყობასამტერთასა...): ნათესაობითი ზედსართავად არის გაგებული და ამიტომ ეთანხმება საზღვრულსაო (გვ. 275)... **ჩვენ** ნაცვალსახელში **ჩ** (←ჩე) გამოიყოფაო... (გვ. 282)... **გუ**- პრეფიქსში პირის ნამდვილი ნიშანი არის **ვ**, **გ** კი ევფონიური დანართია, როგორც **დ** ღვინოში (გვ. 284)... **მო**-, **მი**- პრეფერბები ნაცვალსახელური წარმოშობისაო (გვ. 323)...

მაგრამ მთავარი ეს არ იყო, მთავარი ამოცანა — იბერიულ ენათა ინდო-ევროპულობის დამაჯერებლად ჩვენება იყო, და ეს ამოცანა გადაუჭრელი დარჩა. ფრანც ბოპის დებულება არ გაიზიარეს (იხ. კერძოდ ფრ. მიულერის შეხედულება, § 24).

§ 20. მ. ბროსეს გამოკამათება ფრ. ბოპთან

აღსანიშნავია, რომ ფრ. ბოპს გამოეკამათა მ. ბროსე, რომელიც ქართულს აგრეთვე ინდო-ევროპულ ენად თვლიდა. ფრ. ბოპმა რამდენიმე შენიშვნა გააკეთა მ. ბროსეს არგუმენტების შესახებ. ამის პასუხად მარი ბროსემ პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში 1844 წ. 1 ნოემბერს წაიკითხა „წერილი ფრ. ბოპისადმი მის მოხსენებასთან დაკავშირებით დოქტორ როზენის ფილოლოგიურ ძიებათა შესახებ“ (პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის მემუარები, 1846 წ.).

მ. ბროსეს საპასუხო წერილში ყურადღებას იქცევს რიგი დებულება ზოგადი ხასიათისა და რიგი კერძო საკითხის შესახებ. ასე, მაგალითად:

ფრ. ბოპი ლაზურის მასალას უდარებს ინდურისას. მ. ბროსე ამაზე შენიშნავს: ქართულის საკითხი რომ გაირკვეს, ლაზურს არ უნდა მივმართოთ; რაც ლაზურში არის ამ მხრივ საყურადღებო, მას ქართულშიც ვიპოვიოთ: ლაზური იგივე მეგრულია, ოღონდ შერყვნილი, მეგრული კიდევ სახეცვლილი ქართულიაო (სვეტი 132)...

ქართული ნათესაობითის ნიშანია არა **-ს**, **-სი**, **-სა** არამედ **-ისა** და **-სი**-ო: მამისა, ტყისა, ოქროისა, კუისა, პეტრესი, იუდასი; **-ის** სხვა სახელთან შეთანხმებისას გვექნებაო („მამის წიგნი“)... (სვეტი 133).

-ისა იწვევს სახელის ბოლოკიდურ **ა**, **ე**-ს დაკარგვას: მამ-ისა, ტყ-ისა (ბოპი წერდა: **ა**- ხმოვანი **ი**- ხმოვნად დასუსტებულიაო...) მიცემითის ნიშანია **-სა**, აგრეთვე **-და**: ჩემდა, შენდა... ზულაშა მიცემითია: როსიას წავიდა... (სვეტი 134). მიყვარს, მძინავს არაპირდაპირი ზმნებია და უდრის **mihi amatur**, **mihi dormitur** (აკადემიის „მემუარები“, სვეტი 134).

მეორე პირს პრეფიქსი თუ აქვს, ეს არის **ჰ**-ო... (იქვე, სვეტი 137).

ხ- მეორე პირში — **ხ**-არ, **ხ**-ვიდოდი შესაძლოა **ჰ** გადავიდა **ხ**-შიო... (სვეტი 138).

ინდო-ევროპულ ენებთან შედარების თვალსაზრისით:

ლაზ. ნათ. **-სი** და სანსკრ. **-სდა**: საოცარი მსგავსებააო...

ქართ. სუბ. მესამე პირის **-ს** შეიძლება შეფუდაროთ ბერძ. დიდოსი, სანსკრ. დადატი-ს (**ს-ს-ტი**)... თუ ქართ. **-ნი** — სანსკრ. **ნი**-ს უდრის, ქართ. **-ებ** ლათ. ვო-ბის „თქვენ“ (მიც.), ნო-ბის „ჩვენ“-ის **ბ**-ს შეედრებაო. ქართ. მეშველი ზმნა **არ** — სანსკრ. **ას**...

მ. ბროსე არ ეთანხმება ფრ. ბოპს, რომ სანსკრ. **სმატ** უდრის ქართ. **მისით**; მოქმედებითაო **მით**: კაცითა **მით** და არა: კაცითა მისით... საინტერესოა, რომ ქართულის ინდო-ევროპულ ენებთან შედარებისას ფონეტიკურ შესატყვისობათა საკითხს არც მ. ბროსე სვამს და არც — ფრ. ბოპი.

ფრ. ბოპი ინდო-ევროპულ ენათა შედარებისას ფონეტიკურ შესატყვისობებს არ ემყარებოდა: ნათესაობის საკითხი მორფოლოგიისა და ლექსიკის ჩვენებათა მიხედვით წყდებოდა. მ. ბროსეს და ფრ. ბოპის პაექრობაში საკამათო საკითხთა შორის აღსანიშნავია: ქართული ზმნის **მ** სუფიქსს (ვსვამ) მ. ბროსე უკავშირებდა სომხ. **მ**-ს, სანსკრ. და ბერძ. პირველი პირის ნიშან **მი**-ს. ვსვამ, სომხ. ბერემ, სანსკრ. ბჰარამი...

ფრ. ბოპმა შენიშნა: ქართ. **მ** ყველა პირში მეორდება, ინფინიტივსა და მიმდებარეშიც გვაქვსო (სმა, სმული...); ამგვარ **მ**-ს „ინდო-ევროპულ ენათა პირის ნიშნებს ვერ დავუკავშირებთო („ქართულის შესახებ“, გვ. 260-261).

თავის პასუხში მ. ბროსე ამბობს: **მ** რომ გადაჰყვება სხვა პირებში, ეს დამაფიქრებელია, მაგრამ **მ** ყველა დროში ქართულ ზმნას არ გადაჰყვება; გარდა ამისა, **მ** ბევრ ზმნაში **გ**-ს ენაცვლება: ვხედამ, მახსომს.

მ. ბროსემ ნაწილობრივ მაინც გაიზიარა ფრ. ბოპის შენიშვნა ქართ. **-ამ** სუფიქსის თაობაზე. მოთხრობითი ბრუნვის საკითხში მ. ბროსე და ფრ. ბოპი საწინააღმდეგო თვალსაზრისზე დარჩნენ.

ფრ. ბოპი წერდა: აკუზატივის ნიშნად მიმაჩნია **-ნ**: ქართ. იმა-ნ, რაც სანსკრ. იმა-მ-ს უდრისო; ასევე **-ნ** სიტყვაში ვი-**ნ**; ლაზ. ჰიმ, ჰამ ბოლოს იკვეცს და სანსკრ. იმა-მ, ამუ-მ-ს ეტოლებაო.

ქართ. **-ნ** სახელობითშიც გადმოსულა, და ეს აკუზატივის არსებობას ჩქმაღავს, მაგრამ უჩვეულო აქაც არაფერია: აკუზატივი იბერიულ ენებში სახელობითის იდენტურია. ინდო-ევროპულ ენებში ამის ანალოგიას საშუალო სქესის სახელები (სანსკრ. დანა-**მ**, ლათ. დონ-**უმ**) იძლევაო („ქართულის შესახებ“... გვ. 263-264).

ამაზე მ. ბროსე უპასუხებს: ამა**ნ**, იმა**ნ**, ვი**ნ** სიტყვებში **-ნ** სანსკრიტისას თუ უკავშირდება, ამას ვერ უარყოფ, მაგრამ ვერც დავამტკიცებო; მაგრამ ამა**ნ**, იმა**ნ**, ვი**ნ** არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს მოქმედებითი გვარის ზმნათა დამატება, ე. ი. აკუზატივიო.

აქ რომ ფრ. ბოპი ცდებოდა, ეს გარკვევას არ მოითხოვს. ოღონდ ფრ. ბოპის შეცდომა არ იყო შემთხვევითი: ინდო-ევროპულ ენათა აკუზატივის სახელობითთან ურთიერთობა საშუალო სქესის სახელებში, რაც საანალოგიოდ მოიყვანა ფრ. ბოპმა, სუბიექტისა და ობიექტის დაპირისპირების მოხსნას გულისხმობს გარკვეული ჯგუფის სახელებთან და პრინციპული მნიშვნელობის ფაქტია ისტორიული მორფოლოგიისა და სინტაქსის თვალსაზრისით.

ამიტომ ფრ. ბოპის შეცდომა არ არის რიგითი ხასიათის შეცდომა, არამედ ისეთ შეცდომათა რიგს ეკუთვნის, რომელზედაც სწავლობენ. სხვა საკითხია, რომ ანალოგია ინდო-ევროპულ ენებთან გარეგნული, შემთხვევითი ხასიათისა იყო (ქართული ინდო-ევროპული ენა არ არის).

აღსანიშნავია, რომ იმავე მოთხრობითი ბრუნვის **მან** მიცემით-აკუზატივად (ე. ი. პირდაპირი ობიექტის ბრუნვად) მიიჩნია სამოციოდე წლის შემდეგ ნ. მარმაც (ახლა უკვე სემიტურ ენებთან ქართულის ნათესაობის ვარაუდზე დაყრდნობით): ნაცვალსახელი **მან** (მოთხრობითი) ისტორიულად პირდაპირი დამატების ბრუნვად იქნა გამოცხადებული. მიზეზი აქაც იგივე იყო: ქართული ენის ისტორიული მორფოლოგიის საკითხი უმართებულოდ გადაწყდა იმიტომ, რომ ქართულის სემიტურთან ნათესაობის დებულება სინამდვილეს არ ეფარდებოდა. ამ მხრივ გრამატიკული სქესის საკითხსაც საინტერესო ისტორია აქვს.

ფრ. ბოპი წერდა: იბერიული ენების არსებითი, ზედსართავი და ნაცვალსახელი ამჟამად სქესებს არ განარჩევს ისევე, როგორც ინდო-ევროპული ენები ოსური, სომხური, სპარსული, ბენგალიური და ინგლისური (ქართულის შესახებ... გვ. 261-262).

სქესების მოშლისას მამრობით სქესს მოეპოვებოდა ყველაზე მეტი საფუძველი გადმონაშთის სახით შემოგვრჩენოდა, მაგრამ სახელობითსა და აკუზატივში დაბოლოება მოეშალა ქართულსა და ლაზურს, და სათანადო ფორმანტი არა ჩანსო (გვ. 262-263).

სქესის ნიშანს აქ ფრ. ბოპი ს უ ფ ი ქ ს შ ი ეძიებს: ისევე, როგორც ეს ინდო-ევროპულ ენებს ახასიათებს.

სემიტურ ენათა აგებულებიდან ამოსვლით ნ. მარმაც აგრეთვე სუფიქსში ვარაუდობდა სქესის ნიშანს, ოღონდ მისი ვარაუდით ეს იყო მ დ ე დ რ ო ბ ი თ ი ს ქ ე ს ი ს ფ ო რ მ ა ნ ტ ი: ფრ. ბოპისაგან განსხვავებით ნ. მარი კიდევ ადასტურებდა ასეთი სქესის გადმონაშთს **-ალ** სუფიქსში (ვრმალ — არაბ. ჰმარბათ... დაწვრილებით — § 32).

მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან შედარებით ივ. ჯავახიშვილმა ცხადყო, რომ სქესის (**resp.** კლასის) ნიშნები პრეფიქსებში უნდა ვივარაუდოთ.

მთის იბერ.-კავკასიურ ენებთან შედარება იმასაც მოწმობს, რომ სქესის (კლასების) მოშლისას საშუალო სქესის ფორმა (და არა მამრ. ან მდედრობა!) შეიძლება შემოგვრჩეს განზოგადებულის მნიშვნელობით.

სწორი ვარაუდი განსაზღვრა სწორმა ამოსავალმა დებულებამ — ქართულის გენეზისური კავშირის შესახებ მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან, მცდარი დასკვნები შეაპირობა უმართებულო ვარაუდმა ინდო-ევროპულ ენებთან ნათესაობის შესახებ, ერთს შემთხვევაში, სემიტურ ენებთან ნათესაობის შესახებ, მეორეში. ეს არის ზოგადი ხასიათის **ერთი** დასკვნა,

რასაც განხილული მასალა გვიკარნახებს. მეორეც ამას უკავშირდება: შედარება ენათა ისტორიის საკვლევ საიმედო საშუალებას წარმოადგენს იმ შემთხვევაში, თუ შესადარებელ ოდენობათა ადგილი სათანადო ენობრივ სისტემაში გათვალისწინებული გვაქვს, ე. ი. თუ შესადარებელ ოდენობათა ისტორია სათანადო ენებში გარკვეულია.

§ 21. ანტ. შიფნერი და მისი შრომები ბაცბურისა, ხუნძურისა და უდურის შესახებ

მთის იბერიულ-კავკასიურ ენათაგან ენათმეცნიერული ანალიზის საგანი პირველად აღმოჩნდა ენები: ბაცბური, ხუნძური და უდური (ერთი — ჩაჩნური ჯგუფისა, ორიც — დაღესტურისა). 1854 წელს დაიბეჭდა „მოკლე დახასიათება თუშური ენისა“ (ე. ი. ბაცბური ენისა)¹, ხოლო 1856 წ. — „ცდა თუშური ენის შესახებ ანუ ქისტური კილოს შესახებ თუშეთში“², ექვსი წლის შემდეგ, 1862 წ. „ცდა ხუნძურის შესახებ“³, ხოლო 1863 წ. — „ცდა უდთა ენის შესახებ“⁴. ოთხივე შრომის ავტორია ანტონ შიფნერი.

ორიენტალისტი ანტონ შიფნერი (1817-1879 წ.) იყო პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, წარმოშობით გერმანელი ქ. ტალინიდან; პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ბერლინში 6 წლის განმავლობაში სწავლობდა აღმოსავლურ ენებს; მას ეკუთვნის „ტიბეტური შტუდიები“, „ისტორია ბუდიზმისა ინდოეთში“ (1869); მან გამოსცა მინუსინსკის თათართა თქმულებები (1859), კასტრენის ჩრდ. რუსეთსა და ციმბირში მოგზაურობის ანგარიში, გერმანულად თარგმნა ფინური ეპოსი „კალევალა“ და სხვ.

ჩვენთვის საინტერესოა ორიენტალისტი ანტ. შიფნერის შრომები კავკასიური ენების შესახებ: კავკასიაში ანტ. შიფნერი არ ყოფილა. გეგმაშეწონილი მუშაობა იბერიულ-კავკასიურ ენებზე არ უწარმოებია. ზემოხსენებული შრომები (ბაცბურის, ხუნძურისა და უდურის შესახებ) შედეგია იმ ტექსტების ანალიზისა, რაც ანტ. შიფნერს მიაწოდეს სხვადასხვა პირებმა. რომ ტექსტში გარკვეულიყო, ანტ. შიფნერს ესაჭიროებოდა დამხმარე პი-

¹ A. Schiefner. „Kurze Charakteristik der Thusch-Sprache“, Bulletin historico-philologique, t. XII, № 8 (=Mélanges Asiatiques, t. II გვ. 402-429). რუსული თარგმანი დაბეჭდილია Ученые Записки, т. III, გვ. 71-93 (იხ. Vers. üb. Th. Spr., გვ. 4).

² A. Schiefner. Versuch über die Thusch-Sprache ober die Kistische Mundart in Thuschetien, St.-Petersburg, 1856. 160 გვ. in fol. გადმობეჭდილია Mémoires de l'Académie des Sciences de St.-Petersbourg. VI Série. Sciences politiques, histoire, philologie, t. IX-გან.

³ A. Schiefner. Versuch über das Awarische, St.-Petersburg, 1862, 54 გვ. in fol.

⁴ A. Schiefner. Versuch über die Sprache der Uden, St.-Petersburg, 1863, 110 გვ. in fol.

რი, სათანადო ენის მცოდნე: ბგერების წარმოთქმა, სიტყვათა მნიშვნელობანი და ფორმათა ფუნქციები მხოლოდ დამხმარე პირთან ერთად მუშაობისას შეეძლო დაედგინა.

თუშური (ბაცბური) ენის შესავალში ვკითხულობთ: 1853 წ. ბოლო დღეებში გადავწყვიტე დამემუშავებინა თუშური ენის მასალა, რომელიც მეცნ. აკადემიის სააზიო მუზეუმში მოიპოვებოდა და რომელიც მ. ბროსეს ჰქონდა ჩამოტანილი კავკასიაში მგზავრობიდან¹. ჩემს წამოწყებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ შეიძლებოდა ამ ენის მცოდნე დამხმარებოდა: ეს იყო გიორგი ცისკარიშვილი (ცისკაროვი), აქაური სასულიერო აკადემიის სტუდენტი, უმცროსი ძმა მღვდელ იობ ცისკარიშვილისა, რომლის შედგენილიც ეს ტექსტები იყო. ამ ახალგაზრდის დახმარებით მალე შეგძენილი ბგერითი შედგენილობის ზოგი თავისებურება გამერკვია, რასაც ჩანაწერის მიხედვით კაცი ვერ გაითვალისწინებდა, იმის გამო, რომ ასოები საკმარისი არ იყო. გამოირკვა, რომ იობ ცისკარიშვილი ცდილა უცხო სიტყვები, სადაც კი შეიძლებოდა, ბაცბურით შეეცვალა (გვ. 4. როგორც დართული ტექსტებიდან ჩანს, იგულისხმება იობ ცისკარიშვილის ნათარგმნი მასალა — **ა. ჩ.**), ხოლო გიორგი ცისკარიშვილს, რომელიც რვა წელი არ ყოფილიყო შინ, ქართული და რუსული უფრო ემარჯვებოდა და სიტყვები დედა-ენაზე ძნელად აგონდებოდა. უცხო ენების გავლენა მეტადრე საგრძნობი აღმოჩნდა, როცა სახელის სქესი იყო გასარკვევი: ხშირად იგი თუშურ სიტყვას იმავე სქესისად თვლიდა, რა სქესსაც მისი რუსული შესატყვისი ეკუთვნოდა. ასეთი გავლენისათვის თავი ვერ დაედწია უფროს ძმასაც რუსულიდან ნათარგმნი მასალაში (გვ. 5).

გიორგი ცისკარიშვილთან თითქმის ცხრა თვის განმავლობაში ვმუშაობდი. 1854 წ. სექტემბერს გ. ცისკარიშვილს ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუუარესდა და იგი სამშობლოში გაემგზავრა (მაგრამ ვერ ჩააღწია: გარდაიცვალა გზაზე, ვორონეჟში). 1854 წ. 2 ივნისს აკადემიას წარუდგინე პატარა შრომა „მოკლე დახასიათება თუშური ენისა“. მასში ვცდილობდი მთავარი დამახასიათებელი თავისებურებანი გამერკვია, ქართულთან თუშურის დამოკიდებულებას მაშინ ვერ შევეხებოდი. უცხო გავლენა (იგულისხმება, ქართულისა) როგორც შემდეგმა კვლევა-ძიებამ ცხადი გახადა, ძალიან შორს მიდის სახელებში; დიდ როლს თამაშობენ საწარმოებელი უცხო ფორმანტები სიტყვაწარმოებაში; სინტაქსშიც ზოგი მოვლენა ქართულის გავლენით აიხსნება (გვ. 4). უცხოური ელემენტების გარკვევის მიზნით მივმართე უფროს ძმას იობ ცისკარიშვილს თიანეთში და მისგან დაწვრილებითი ცნობები მოვიპოვე. ბაცბურის დახასიათების დიდი წილი

¹ მ. ბროსემ საქართველოსა და სომხეთში იმოგზაურა 1847-1848 წ.წ.

რუსულად თარგმნა და დაბეჭდა გაზ. „კავკაზ“-ის № № 12, 13-ში ახალ-გაზრდა მეცნიერმა ად. ბერჟემ, რომელსაც ურთიერთობა ჰქონდა ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობასთან და შესწორებათა შეტანით დახმარების გაწევა შეეძლო; სამწუხაროდ, დაპირებული მასალა მისგან ჯერ არ მომსვლია (გვ. 4).

იმავე გაზ. „კავკაზის“ 1855 წ. № 70-ში პოლკოვნიკი ბართოლომე მწუხარებას გამოთქვამს, რომ მე დროს ვანდომებ ასეთი უმნიშვნელო დიალექტის შესწავლას და არა ჩაჩნური ენის შესწავლას. ჩემდა თავად მე ვწუხვარ, რომ არავინ გამოჩნდა ისეთი, რომ ჩაჩნურისათვის გაეკეთებინა ის, რაც მღვდელმა ი. ცისკარიშვილმა თავისი დედა-ენისათვის გააკეთა. ცალკეულმა ტექსტებმა, გაბმულმა თხრობამ (რაც შეიძლება ზუსტი თარგმანითურთ) შეიძლება ენის კვლევას არსებითი სამსახური გაუწიოს: დაღესტნის ენათა მეტყველების მეტად უმნიშვნელო ნიმუშები, რაც ჩემს განკარგულებაში მოიპოვება, ნათელყოფს, რომ დაღესტნურ ენათა გრამატიკული წყობა თვალსაჩინოდ ეთანხმება ბაცბურისა და ჩაჩნურისას მაშინ, როდესაც ლექსიკურ მარაგში ასეთი საერთო მასალა უმნიშვნელოა (გვ. 5; ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**).

ბართოლომე უარყოფს გიულდენშტედტის ტერმინს „მიძვეური ენები“ და გვთავაზობს ტერმინს „ჩაჩნური ენები“; მართლაც, ამ უკანასკნელს უპირატესობა აქვს; ოღონდ არ შეიძლება თუშური (ბაცბური) ჩაჩნურის დიალექტად მივიჩნიოთ; რაც ჩაჩნური მასალა მაქვს ხელთ, ამ საკითხის მარტივად გადაწყვეტის საშუალებას არ იძლევა; ენათა ურთიერთობის გასარკვევად, ჩაჩნური ენები იქნება ეს თუ დაღესტნური, გულდასმითი გრამატიკული კვლევა უნდა ჩატარდეს¹.

თავდაპირველად, — წერს ა. შიფნერი, — განზრახული მქონდა გრამატიკის გარდა, თუშების ეთნოგრაფიაც დამემუშავებინა, როგორც ხელნაწერი, ისე გამოქვეყნებული წყაროების მიხედვით, მაგრამ ამ ამოცანას უკეთ მოუვლის გეოგრაფიული საზოგადოება თბილისში. ამიტომ ჩემ მოვალეობად მივიჩნიე მორფოლოგიის (**Formenlehre**) გარდა, რამდენადაც შეიძლებოდა, ზუსტად ფონეტიკა (**Lautlehre**) დამემუშავებინა და სათანადო ყურადღება მიმექცია სინტაქსურ მიმართებათათვის. ლექსიკონი გაკეთდა ჩემი ხელნაწერი მასალის მიხედვით. მასში მეტია უცხო სიტყვა, ვინემ სასაუბრო ენაში. შეძლებისდაგვარად უცხო სიტყვების ტრანსკრიფციაც მოცემული გვაქვს. მეტყველების ნიმუშები, სამწუხაროდ, რუსულიდან ნა-

¹ „Ein ordentliches Bild von den gegenseitigen Sprachverhältnissen... wird erst nach **genauer grammatischer Durchforschung** jener Sprachen zu erreichen sein“ — A. Schiefner: Versuch über die Thusch-Sprache, 1856, გვ. 5 (ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**).

თარგმნ მასალას შეიცავს. ორიგინალური ტექსტების მიღების იმედი არ გამიმართლდა (გვ. 6).

ბაცხური ენის ფონეტიკას უჭირავს გვ. 6-28, მორფოლოგიას (და ცალკეულ ფორმათა ფუნქციების დახასიათებას) გვ. 29-89; მეტყველების ნიმუშებს (**Sprachproben**) თარგმანითურთ გვ. 90-104; ლექსიკონს ეთმობა გვ. 105-158 (გვ. 159-160-ზე გასწორება გვაქვს).

ფონეტიკა დაწვრილებით განიხილავს ბგერითს შედგენილობასა და ბგერითს ცვლილებებს. ბგერები დალაგებულია წარმოების ადგილის მიხედვით; ნაჩვენებია, თავისებური ბგერა რას უდრის ქართულში, არაბულში, ოსურში... (დახასიათებულია ლატერალური სპირანტი § 9). ხმოვნებიდან **ა**, **ო** და **ი** შიფნერს მიაჩნია თავდაპირველად (§ 16): **ო** ხმოვნის თავდაპირველობა სათუთა, მაგრამ თვით საკითხის დასმა დამახასიათებელია... ხ მ ო ვ ნ ი თ და ბ ო ლ ო ე ბ უ ლ ი ერთმარცვლოვანი 324 სიტყვიდან 134 საკუთარი აღმოჩნდა და 190 ნასესხებო; აქედან **ა**-თი დაბოლოებულთაგან 64 საკუთარი და 62 უცხო წარმომავლობისა; **ე**-თი დაბოლოებულთაგან 26 — საკუთარი, 40 — ნასესხები, **ი**-თი დაბოლოებულთაგან 11 — საკუთ. და 37 — ნასესხ., **ო**-თი დაბოლოებულთაგან 11 საკუთ. და 23 ნასესხ., **უ**-თი დაბოლოებულ სიტყვებში — 22 საკუთ. და 28 უცხო... ხ მ ო ვ ნ ი თ დაბოლოებული უცხო სიტყვებიდან **ა** — აღმოაჩნდა ბოლოკიდურად 8 სიტყვას, **ე** — 6 სიტყვას, **ო** და **უ** — თითო სიტყვას (§ 16).

აღრიცხულია ხმოვანთა ჯგუფები: აი, ეი, ოი, უი, აუ, ეუ, იუ, ოუ, აე, იე, ოე, აო (წერია: აე!) ეო, იო, ეა, ია, ოა, უა, რაც შემხვდა ტექსტებში (§ 18)... შიფნერს საგანგებოდ აქვს გაანალიზებული ბოლოკიდურ (თუ მომდევნო) მარცვლის **ი** და **უ**- ხმოვანთა ფუძეში (საერთოდ წინ) გადასმა და ამ გზით დიფთონგების მიღება, როგორც საკუთარ, ისე ნასესხებ სიტყვებში: წეიგ (← წეგი) „სისხლი“... უიჩნა (← უჩინა) „სიბნელე“... ყაინ (← ყანი) „ძველი“... დეუხქ (← დეხქუ) „გამყიდველი“... კომში (← კომში)... წაიბლ (← წაბლი)... ლაირ (← ლარი)... წვაინლი (← წმწვანლი)... მოირილ (← მორიელი)... (§ 19)...

პროცესს ადგილი აქვს ფუძეში, ბრუნება-უღვლილებისა თუ სიტყვაწარმოების დროს, აგრეთვე ორი სიტყვის (მაგალ., ზმნისა და ნაცვალსახელის) ფრაზაში ერთად ხმარებისას: აილ'რას (← აღ'ირ ას) „მე ვთქვი“... ერთმარცვლიან მსაზღვრელ-საზღვრულის შეხვედრისას: სტაკი კნათ (← სტაკი კნათ) „კაცის შვილი“... (§ 18-20).

ცალკე აქვს გაანალიზებული შიფნერს ხმოვნის მოკვეცა-ამოვარდნის პროცესები და სათანადო პირობები: აბნო (← აბანო), ორგულ (← ორაგული), კალტაზ (← კალატოზი)... (§ 26)... ნანა — სიტყვაში („დედა“).

შიფნერი ბოლოკიდურ **-ა**-ს დართულად თვლის (§ 31)... იქვე (§ 32) ჩაჩნურთან შედარების ნიადაგზე ძველ ფორმებად სამართლიანად არის მიჩნეული სრულხმოვნის ნაწი „დედა“, დადა „მამა“ (§ 32)... ხმოვანთა ცვლა $a \rightarrow e, a \rightarrow i, a \rightarrow o, a \rightarrow u$ დაწვრილებით აქვს ავტორს განხილული (§ 36), აგრეთვე **ე** და **ო** ხმოვანთა ცვლა (§ 37, 38) და ასე შემდეგ.

მახვილის შესახებ ნათქვამია, რომ ის მეტწილად ფუძისეულ მარცვალზე მოდისო (541).

თანხმოვანთა შესახებ რიგ საყურადღებო დაკვირვებას გვაწვდის ავტორი. თანხმოვანთა სიჭარბე თვალში საცემია: ქართულთან შედარებით სამი თანხმოვანია მეტი (სხვაფრივ ბგერითი სისტემა ქართულისას ეფარდება). ახლანდელი ვითარება (თანხმოვანთა სიმდიდრე) შიფნერს მეორეულად მიაჩნია. „როგორც გარშემორტყმული მთები სუნთქვას აძნელებენ, ისევე თანხმოვანთა თავმოყრა აბრკოლებს ხმოვანთა განვითარებას“ (§ 42). შიფნერს აღურიცხავს, რომ ორი თანხმოვანი ერთად დაახლოებით 400 შემთხვევაში შემხვდაო (§ 42). ჩამოთვლილია ყველა ეს წყვილები (მეორე წევრის გამეორებით — § 43). შემდეგ მოდის სია სამთანხმოვნისა ჯგუფებისა (§ 44), ოთხთანხმოვნისა ჯგუფებისა (§ 45).

განხილულია თავკიდურად და ბოლოკიდურად ხმარებული წყვილები თანხმოვანთა — საკუთრივ ბაცბურსა და ნასესხებ მასალაში (§§ 46-52). წამოყენებულია დებულება, რომ თავკიდურად საკუთრივ ბაცბურ სიტყვებს სამი თანხმოვანი არ მოუდის; გამონაკლისს ქმნის ბსტუ (1. ცოლი. 2. ხარი); ჩაჩნურში ამ სიტყვებს **ბ** არა აქვთო (§ 48); ზმნას თავკიდურად არ შეიძლება ჰქონდეს: **ღ, ჩ, ჭ, ც, წ, ჯ, ძ, შ, თ, ზ, ნ, ფ, პ** (§ 52). აქაც გამეორებულია: თანხმოვანთა სიმდიდრე გადმოსახლების შემდეგ უნდა განვითარებოდა ბაცბურსაო; ზმნის თავკიდურად სისინა თანხმოვანთა უქონლობა ზოგ ფინურ ენას მოგვაგონებს, **ნ**-ს უქონლობა — თათრულსაო (§ 52).

თანხმოვანთა ცვლის დახასიათებისას აღნიშნულია ბოლოკიდური **რ** და **ნ**-ს მოკვეცა და **ნ**-ს წინამავალი ხმოვნის ნაზალიზაცია: შო ← შარ „წელიწადი“... ბსტუ ← ბსტუნ... დე ← დენ „დე“... წე ← წარ „ცეცხლი“... ვე ← ვენ „ღვინო“ (§ 58).

ზოგად დებულებათაგან აღსანიშნავია თავკიდურად თანხმოვანთა თაყრილობის დაკავშირება სქესის აღნიშვნასთან... მონათესავე ენებთან შედარებას შეუძლია მეტი სინათლე შეიტანოს ამ საკითხშიო (§ 63)... თანხმოვანთა დარბილება იშვიათიაო: ვაშო, „ძმა“, მრავ. ვაქარ „ძმები“ (§ 66)... თანხმოვანთა ასიმილაცია იშვიათიაო (§ 67).

მორფოლოგია (**Formenlehre**) იწყება ერთმარცვლიან და ორმარცვლიან ფუძეთა (საკუთართა თუ ნასესხებთა) და მათ დაბოლოებათა (**ა, ო**, იშვიათად **ი** და **უ**) შესახებ დებულებით (§ 70-71), შემდეგ — სუფიქსები ჩამოთვლილი, საკუთარი და ნასესხები, რომლებიც გამოყენებულია ამ ფუძეებში (§ 72-80). დაწვრილებით არის განხილული გრამატიკული „სქესის“ საკითხი: სახელში სათანადო ფორმანტები იშვიათია, ზმნასა და ზედსართავში ხშირია: **ვ, დ, ბ, ღ**... ზოგადად დახასიათებულია, რავგარ სახელებს რა ნიშანი ეფარდება მხოლოობითში და რა — მრავლობითში (§ 81). მეშველი ზმნის ტაბულაში შეჯამებულია მხოლოობითისა და მრავლობითის ფარდობა: 1. ვა — ბა; და — და; 2. ბა — და, ბა, და; 3. და — და (§ 82); შემდეგ სახელთა მრავლობითის წარმოების სხვადასხვა ფორმანტებია განხილული (§§ 87-98); ამას მოსდევს ბრუნება; ბრუნვები — სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, ფაქტიტივი, ინსტრუქტივი (ე. ი. ერგატივი), აფექტივი — სათანადო ნიშნები და ფუძის ცვლა..., აგრეთვე: ინესივი, ალატივი, ილატივი, ელატივი, კომიტატივი, კარიტივი, ტერმინატივი (§§ 99-129); თანდებულისი და ძირითადი ბრუნვები ა. შიფნერს გარჩეული არა აქვს.

საყურადღებოა ინსტრუქტივში (ერგატივში) ორგვარი დაბოლოების გარჩევა: ერთია — ვ, მეორე — ს: ნახ — ნახვ „ხალხი“... დოკ — დაკვ „გული“, ხი — ხივ „წყალი“... ანა — ანას „ანა“... მაირამ — მაირამეს „მარიამ“... ნან — ნანას „დედა“... დად — დადას „მამა“... სახარებ — სახარბას „სახარება“... წოლებ — წოლბას „წვალევა“, მადლობ — მადლობას „მადლობა“ (§§ 108-109). „ალუნიშნავი არ უნდა დარჩეს, — წერს ა. შიფნერი, — რომ ინსტრუქტივის სუფიქსი **ს** ლეკურსაც ახასიათებსო (იგულისხმება, ალბათ, ხუნძური და მისი ჯგუფის ენა-კილოები, § 109). შემდეგ გაანალიზებულია: ზედსართავი სახელები, მათი ხარისხების წარმოება... რიცხვითი სახელები, მარტივი და რთული, თვლის ოცეულობითი სისტემა, ნაწარმოებ რიცხვით სახელთა ჯგუფები (ჯერადი, წილადი, კოლექტიური და სხვ. რიცხვითი სახელები)... პირის ნაცვალსახელები, მათი ბრუნება, ჩვენებითი ნაცვალსახელები, კითხვითი ნაცვალსახელები, განუსაზღვრელი და უარყოფითი ნაცვალსახელები (§§ 130-162).

ზმნის მიმოხილვა ხმოვნით და თანხმოვნით დამთავრებულ ფუძეთა ჩამოთვლით იწყება; პირველი ჯგუფი მცირერიცხოვანია, მეორე — მრავალრიცხოვანი (§ 163); ფუძეთა მოდიფიკაცია, კერძოდ, **ბ** თანხმოვნით გაძლიერება (ობიექტის) მრავლობითობის გადმოსაცემად (§ 165); აღწერითი წარმოება: გარდამავალ ზმნათა **დო** („კეთება“, „ქმნა“) ზმნის მეშვეობით, გარდაუვალთა („საშუალოთა“) — **დალ**-ის მეშვეობით... კაუზატივის (ფაქტიტივის) წარმოება; კავშირებითი, პირობითი, ბრძანებითი და ინფინიტი-

ვი, მათი ფორმანტები... დროები: აწმყო, მყოფადი და ოთხი ნამყო (§ 176)... ნაცვალსახელთა (I, II პ.) შერწყმა ხმოვნით დამთავრებულ ფუძეებთან (§ 177); სქესის ნიშნები ზმნის უღვლილებაში (§ 178); სხვადასხვა უღვლილების გარჩევა იმისდაკვალად, რა ცვლილებას განიცდის ძირეული ხმოვანი (§ 179); დრო-კილოთა წარმოება (§ 183-200), ინფინიტივისა და მიმღეობათა წარმოება (§ 200-203),... არაწესიერი წარმოების ზმნები, ანომალიები (§ 206-208)... ზმნისართისა, თანდებულისა და კავშირის განხილვით თავდება მორფოლოგია.

სინტაქსი სხვადასხვა ფორმათა გამოყენებას არკვევს: სახელთა ურთიერთობაში, ზმნისა და სახელთა ურთიერთობაში და ა. შ. ზოგი საყურადღებო დაკვირვება აქაც მოგვეპოვება; მაგალ.: თუ ნათესაობითი მსაზღვრელია და საზღვრულს მოსდევს, იგი ბრუნვის ნიშნებს დაირთავს (ბაკჟ თხე დად დაივთჟჟ „პირითა ჩვენი მამა-დავითისითა“); რაც ბოჰმა ქართულში შენიშნა, სავსებით გრცელდება ბაცბურზეო (§ 235)... მიცემითში დაისმის იმ ზმნათა სუბიექტი, რომელნიც აღქმა-განცდას (სურვილს, სიყვარულს...) გამოხატავენო (§ 247)... ერგატივის შესახებ ნათქვამია: „ინსტრუქტივის ორი ფორმა აქვს, რომელთაგან **ს**-ზე დაბოლოებული მხოლოობითშილა იხმარება უპირატესად საკუთარ სახელებთან და ცოცხალ ანდა განყენებულ საგანთა სახელებთან. გაცილებით უფრო ხშირია **გ**-ზე დაბოლოებული ფორმა, რომლის თავდაპირველი მნიშვნელობა კომიტატივი (თანაობითი) უნდა ყოფილიყო: ...პეტრუს ცჰაიტტ მოცქულეგ „პეტრე თერთმეტი მოციქულით“... ვახე შაირ ნაყვ „წავიდა თავის გზით“... მაგრამ ინსტრუქტივი მეტწილად იხმარება მოქმედი სუბიექტის გამოსახატავად, სუბიექტისა, რომელიც მიჩნეულია რისამე გამომწვევ მიზეზად:... წაინხო დადით 'ალიჩდო „წმიდა მამები შენიშნავენ“... ნიწყლიჩო მახე ჳერლ'ბიე 'ამლაინში „საზარელმა ქარმა დააშინა ახალგაზრდები“ (§ 251). ამით აიხსნება, — წერს ა. შიფნერი, — რომ ინსტრუქტივი ისეთ შემთხვევებში გვხვდება, სადაც სხვა ენებში სახელობითია გამოყენებული; ზმნები, რომლებთანაც ინსტრუქტივი იხმარება, გარდამავალია, ხოლო გარდაუვალი ზმნები სახელობითს იგუებენ, რაკი მოქმედებას არ გადმოსცემენ... უნდა აღინიშნოს, როგორც თავისებურება, რომ პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები, თუკი ზმნაში აქტიურობის (*Selbstthätigkeit*) რაიმე კვალი ჩანს, ყოველთვის ინსტრუქტივი დაისმის იმისდა მიუხედავად, გარდამავალია ზმნა თუ გარდაუვალი: ას ლეი, აჰალეი „მე ვლაპარაკობ“, „შენ ლაპარაკობ“ (ას, აჰ — ერგატივია), მაგრამ ო ლეი „ის ლაპარაკობს“ (ო — სახელობითია)... პირის ნაცვალსახელს ეკედლება რეფლექსიური შაირვა „თვითონ“, რომელსაც სახელობითი არც მოეპოვებაო (§ 252)... მნიშვნელობის მიხედვით ზმნები ორგვარია: გარდამავალი და გარდაუვალი; გარდამავალთ მიეკუთვნება ფაქტიტივები (ე. ი. კაუზატივები) და სხვ. (§ 292).

მომდევნო 14-ოდე გვერდი ბაცბურ ტექსტებსა და მათ გერმანულ თარგმანს უჭირავს. ბაცბური ტექსტების მეტი წილი რუსულიდან არის ნათარგმნი და, როგორც ა. შიფნერი ჩივის, მონურად მისდევს დედანასაო; ამან, კერძოდ, ზოგი დროის მნიშვნელობის დადგენა გააძნელაო (§ 292).

უკანასკნელ ნაწილს ლექსიკონი შეადგენს (გვ. 105-158). სახელი სახელობითი მომყავს, — წერს წინასწარ განმარტებებში ა. შიფნერი, — ზმნა — მასდარში; სქესის ფორმათა გარჩევის შემთხვევაში ზმნის ოთხჯერ გამეორება მიწევსო. ნასესხები სიტყვების უმეტესობა ქართულია და მათ ქართული დამწერლობით ვიძლევი. სომხური, სპარსული, თურქული, არაბული სიტყვები ქართული გზით არის შეთვისებული და ჩუბინაშვილის ლექსიკონში დასტურდება; რაც იქ არ იყო, ამ ენათა ახალი ლექსიკონებიდან ამოვიღეო.

მართლაც, სიტყვათა სადაურობა სისტემატურად აქვს ნაჩვენები; მაგალ. **tba** (ტბა)... **tqub** ტყუბი... **tast** ტაშტი (სპ. ტაშთ) ...და ა. შ. გერმანული ინდექსი ლექსიკონში შესული სიტყვებისა, სამწუხაროდ, ა. შიფნერს არ დაურთავს.

ა. შიფნერის შრომის შინაარსზე შევჩერდით, რომ ხელშესახები იყოს სამეცნიერო დონე, რომელზედაც დგას მასში წარმოდგენილი კვლევა-ძიება. გადაუჭარბებლივ შეიძლება ითქვას, რომ „ცდა თუშთა ენის შესახებ“ — პირველს მეცნიერულ აღწერითს გრამატიკას წარმოგვიდგენს იბერიულ-კავკასიურ ენათათვის. არა თუ მთის იბერიულ-კავკასიური ენებისათვის, არამედ ქართულისათვის ასეთ დონეზე შესრულებული შრომა იმ ხანად არ მოგვეპოვება. მართალია, მ. ბროსეს გრამატიკები ქართული ენისა (1834 წ., 1837 წ.) სერიოზული შრომებია, მაგრამ, როცა ეს შრომები იწერებოდა, ფონეტიკა ჯერ კიდევ არ იყო დაწინაურებული დარგი, როგორც ის შემდგომ გახდა. ა. შიფნერი ბაცბური ბგერათ-სისტემის დახასიათებისას ისეთ საკითხებს სვამს, როგორიცაა: რა ბგერები შეიძლება ერთმანეთს შეეწყოს, რა ბგერები შეიძლება გვქონდეს თავკიდურად და ბოლოკიდურად, რამდენმა და რა თანხმონებმა შეიძლება მოიყაროს თავი და სხვ. ა. შიფნერის წიგნი გამოვიდა 1856 წ.; ერთი წლით ადრე (1855 წ.) გამოიცა დ. ჩუბინაშვილის გრამატიკა, მასში ვერ ვიპოვით ფონეტიკის ზემოხსენებულ პრობლემატიკას. მეტი კიდევ: არც ნ. მარის „ძვ. ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკა“ (1925 წ.) და არც ა. შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ I (1953 წ.) არ იძლევიან ქართული ენის ანალოგიურ საკითხთა ანალიზს¹.

¹ მხოლოდ ნორვეგიელმა ქართველოლოგმა პროფ. ჰანს ფოგტმა უძღვნა სპეციალური გამოკვლევა ხსენებულ საკითხებს ქართულში: ფონემათა დისტრიბუცია გაარკვია. ასი წლით ადრე ა. შიფნერმა ბაცბურ ფონემათა დისტრიბუციული ანალიზი მოგვცა: ცნებამ დაასწრო ტერმინს.

საკითხთა დასმალა როდია ა. შიფნერის შრომის ღირსება, ფასეულია ანალიზი და პოზიტიური დებულებები ფონეტიკისა და მორფოლოგიის შესახებ (ბოლოკიდური ნ-ს დასუსტება-მოკვეცა... გრამატიკული „სქესების“ მაჩვენებლების დადგენა და სახელთა სათანადო ჯგუფების გამოყოფა ზოგადად... ერგატივის წარმოებისა და გამოყენების განსაზღვრა... ერგატივის მიჩნევა გარდამავალი ზმნის სუბიექტის ბრუნვად — ნაცვლად სახელობითისა... ბრუნებისა და უღვლილების ზოგადი სქემების ჩამოყალიბება და სხვ.). ა. შიფნერის ღვაწლი მით უფრო დასაფასებელია, რომ კავკასიაში ის არაოდეს ყოფილა, გიორგი ცისკარიშვილისგანლა მოესმინა ბაცბური მეტყველება, ტექსტები ცოტა ჰქონდა და ისიც ნათარგმნი, მასთან არა სანიმუშოდ... ადვილი წარმოსადგენია, რა სახესაც მიიღებდა ა. შიფნერის შრომა, მის ავტორს რომ შემთხვევა მისცემოდა კავკასიაში ემუშავა, სათანადო ენაზე უშუალო დაკვირვება ეწარმოებინა.

ანტ. შიფნერი მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მეცნიერული შესწავლის პიონერად გვევლინება პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში.

ხუნძურისა და უღურის შესახებ გამოკვლევები („ცდები“, როგორც ავტორი უწოდებს) იმავე ვითარებაში მუშავდებოდა, როგორშიც მონოგრაფია ბაცბურის შესახებ: კავკასიიდან მიღებული მასალა ამ ენებისა ა. შიფნერმა დაამუშავა სათანადო ენების წარმომადგენლებთან პეტერბურგში.

ხუნძური მასალა ნაირ-ნაირი ყოფილა: ორი მოზრდილი ლექსი მარი ბროსეს ჩაუტანია პეტერბურგში კავკასიაში მგზავრობიდან (1847-48 წწ.); ამას ერთვოდა ბრუნების პარადიგმები, არც თუ სწორი, ნაწილობრივ რუსულ გრამატიკულ კატეგორიათა მიხედვით გამართული. შემდეგ: სიტყვების სია, ვინმე საველიევის დავალებით ხუნძი მოწაფეების მიერ ჩაწერილი, როცა სამხედრო სასწავლებელში სწავლობდნენ; ერთი ლექსიც, — ხუნძი ქალიშვილის ნათქვამი და გენერალ ფეზის მიერ გაგზავნილი პეტერბურგს.

ამ მასალის გამოყენება არ შემეძლო, რადგანაც ხუნძს ვერავის ვიცნობდიო. 1861 წ. პეტერბურგს ჩასულა ად. ბერჟე და ჩაუტანია მის მიერ შედგენილი მოკლე ხუნძური გრამატიკული მიმოხილვა, რუსულ-ხუნძური პატარა ლექსიკონი და ხუნძური მეტყველების ნიმუშები (ყურანის სამი სურა და ორი იგავ-არაკი). ბერჟეს ჩამოტანილი მასალა ხუნძაში ყოფილა ჩაწერილი (შამილის მასწავლებელ ლაჩინილაუ-ს მიერ). ლაჩინილაუს მეოხებით შესძლებია ბერჟეს ხუნძური გრამატიკის გაცნობა. ბერჟესთან ერთად შემეძლო ეს მასალა დამემუშავებინა, მაგრამ საჭიროდ ვცანი მასალა ხუნძთან ერთად დამემუშავებინაო: დარწმუნებული ვიყავი, რომ ფონეტიკაში საკუთარი ყურით მოსმენილის მაგივრობას ვერაფერი გასწევსო.

ასეთი ხუნძი აღმოჩნდა სამეფო ამაღლაში ჰასან ნუროვი: მასთან ა. შიფნერს უმუშავია 1861 წ. გაზაფხულზე რამდენიმე კვირის განმავლობაში (მოთმენა ყოფნიდა და ბეჯითად მუშაობდა). 1861 წ. შემოდგომას ჰასან ნუროვი სამშობლოში დაბრუნებულა. 1862 წლის დასაწყისში ა. შიფნერს სხვა ხუნძებთან (იმავე ამალიდან) გაუგრძელებია მუშაობა.

განსაკუთრებით მიაღვივებოდა მუშაობა იუნკერ იმამ დაზალისთან, რადგანაც მან რუსული იცოდაო. იმამ დაზალი ჭუხელი ყოფილა; ჰასან ნუროვი ჩრდილოური, ხუნძახური, დიალექტის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო (სადაური იყო, შიფნერი არ წერს). ჭუხის მეტყველება მნიშვნელოვნად განსხვავდება ხუნძახურისაგან — ბგერითი შედგენილობით, მეტადრე კი — მორფოლოგიაში. ტექსტების გარჩევისას ამ სხვაობას არ შეიძლება თავი არ ეჩინა; და ა. შიფნერიც მიუთითებს ზოგ ასეთ სხვაობაზე: „რა?“ — ხუნძახურად „შიბ“, ჭუხურად „შუბ“; ნაცვალსახელი „თვითონ“ ნათესაობითში ჰასან ნუროვის გამოთქმაში **-ლ-**ს დაირთავდაო (!), იმამ დაზალი **-რ-**თი აბოლოგებდაო; „პეპელა“-ს ერთი უწოდებდა, „ანყულაყუწ“-ს, მეორემ ეს სიტყვა არ იცოდა, „მანგულ“ ჰქვიაო...

ამასთან დაკავშირებით ა. შიფნერი წერს: ახლა უკვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დიალექტების ზედმიწევნით შესწავლას ზოგი გრამატიკული ფორმის ძველი სახე შეუძლია აღგვადგენინოს¹. ასევე მეთოდოლოგიური ხასიათისაა დებულება შედარების შესახებ: მხოლოდ შედარების მეოხებით შესაძლებელი გახდება ენის ზუსტად შესწავლაში წინ წავიდეთო².

ისეთი მაგალითების შედარებით, როგორცაა ყარატალის (კარატა) მილაყუ და ხუნძ. მეღეყ „წვერი“ ა. შიფნერი ფიქრობს, რომ ხუნძურში ხმოვანთა ასიმილაციას მოუცია ახლანდელი სახელობითი („ცდა ხუნძურის შესახებ“, გვ. 3). ნარნარათა მეტათეზისი ბაგისმიერთა შემდეგ (ბრ → რბ) მხოლოდ ხუნძურს ახასიათებს თუ სხვა ენებშიც გვაქვს, ეს შედარებამ უნდა გაარკვიოსო, წერს ა. შიფნერი (გვ. 3). მორფოლოგიაც ზოგ რასმე გვაწვდის, რაც ზოგად-კავკასიური თუ არა, ბევრი კავკასიური ენისათვის საერთო უნდა იყოსო (იქვე). დავსჯერდები ამ მცირეოდენ შენიშვნებს იმ მნიშვნელობის შესახებ, რაც კავკასიის ენათა შემდგომ შესწავლას აქვსო (გვ. 4).

¹ „Das seine genauere Erforschung der Mundarten zur Ermittlung älterer Gestaltung mancher grammatischer Formen führen werde, lässt sich schon jetzt als sicher annehmen“, — A. Schiefner, Versuch über das Awarische, 1862, გვ. 2-3 (ხაზი ჩვენია — **ა. ნ.**).

² „Immer wird es durch Vergleichung sein, dass wir in der genauern Erkenntnis der Sprache weiter kommen werden“, *ibid.* გვ. 2.

დასასრულ, მეტყველების ნიმუშთა წარმომავლობის აღნუსხვის შემდეგ, ხუნძურის გავრცელების არეალს მოხაზავს (ბერჟესაგან ავიღეო): საკუთრივ ავარიის გარდა ხუნძური იხმარება: სალათავიაში, გუმბეტში, ანდალაში, მეგსუ-აულის გამოკლებით ჭოხის რაიონში: იგი აჯუმურს (დარგუულს) ეკედლებათ, დარგო-ში, ყოისუბუ-ში, ჰიდათლ-ში, ყელ-ში, ტომს-ში, ტებელ-ში, ანწუხ-ში, ყარახ-ში, ჩარახ-ში, ტენხუცალ-ში, გოერკეხ-ში, აგრეთვე რატლუ-ახვახ-ში, წუნტა-ახვახ-ში, კარატასა და ბოგულა-ლა-ში, სადაც თავისებური დიალექტებია გაბატონებული (ე. ი. ხუნძური იციან, მაგრამ თავის „დიალექტებს“ ხმარობენ), დასასრულ — მეხთულის სახანოს სოფლებში — დურენგი, დიდსა და პატარა ჯენგუტაი-შიო (გვ. 4).

გრამატიკული ნაწილი შეიცავს ფონეტიკას, მორფოლოგიას (გვ. 5-22, §§ 1-114); სინტაქსის საკითხებს ეთმობა სულ სამი გვერდი (გვ. 22-25, §§ 115-134); ეხება იგი შეთანხმებას სქესების მიხედვით (ზედსართავისა და ზმნისა — არსებით სახელთან, ლოკატივისა და ადგილის ზმნისართებისა...), ბრუნვათა (მიცემითის, ლოკატივის, ალატივის, აბლატივის, ინესივისა, ელატივისა და ინსტრუქტივისა ანუ აქტივის) ფუნქციებს... აღწერილი აწმყოს, პირობითისა და ნატვრითის მნიშვნელობას... ავტორს შენიშნული აქვს, რომ მიმართებითი ნაცვალსახელის უქონლობას ენა მიმღეობის მეშვეობით ინაზლაურებს (ე. ი. რთული წინადადების ნაცვლად მიმღეობითიანი კონსტრუქცია მოეპოვება, § 129).

ფონეტიკა და მორფოლოგია ისევე, როგორც სინტაქსი, ცალკე თავებად წიგნში გამოყოფილი არაა (სულ ოციოდე გვერდი უჭირავს გრამატიკულ მიმოხილვას, მაგრამ მისი აგებულება, საკითხები, რომელთაც ავტორი ეხება, იგივეა, რაც ბაცბური ენის შესახებ შრომაში).

ხუნძურის მოკლე გრამატიკულ მიმოხილვაში ისეთი რამეებიც არის აღნიშნული, რაც პ. უსლარის ვრცელ მონოგრაფიაშიც არა გვხვდება; მაგალ.: მრავლობითის სუფიქსები **ბი**, **ნი** ხუნძურ სახელებში, შიფნერის აზრით, იგივეა, რაც ქართულსა და ბაცბურში გვაქვს (§ 43)... ნათესაობითს ბრუნვაში უნდა განვასხვავოთ უფრო ძველი და უფრო ახალი წარმოება; პირველს შემთხვევაში ფუძისეული ხმოვანი ცვლილებას განიცდის, მეორეში — არა (§ 54)... მრავლობითის ნათესაობითში, რომ **-ზულ** გვაქვს, მასში **-ულ** ნათესაობითის ნიშანია, **-ზ** კიდევ მრავლობითის ფუძეს განეკუთვნება, ფუძის ბოლოკიდურია მეტწილად (ნამდვილად ეს **ზ** ერგატივის ნიშანია — **ა. ჩ.**), § 63. ერგატივის ნიშანი **-ცა** ნაცვალსახელებში (დიცა „მე“, დუცა „შენ“...) უფრო ძველი ფორმააო (§ 73)... **ცა** — ნიშნის ერგატივის ლ. ჟირკოვმა (თავის ხუნძურ გრამატიკაში 1924 წ.) „არქაული“ უწოდა, ჩანს, შიფნერზე დაყრდნობით... ზმნის უძველესი ფორმა ბრძანებითია წარმოდგენილი (§ 98).

ტექსტებს უჭირავს (თარგმანითურთ) 10 გვ. (გვ. 26-35); ტექსტებში შეტანილია მეტყველების ნიმუშები (ფრაზებად) გვ. 27-28, სათარგმნელად შედგენილი ბაკმეისტერის მიერ (ჰასან ნუროვს ვუმადლი მის თარგმნას, მრავალ გზის იმამ ღაზალისთან ერთად დავამუშავეთ)¹, — ხუნძური ანდაზები, ბერჟეს ჩაწერილი; ორი იგავ-არაკი; სამი პატარა ხუნძური ლექსი, რომლებიც ჩაწერილია ისე, როგორც იმამ ღაზალი გამოთქვამდა²; ყურანის სამი სურა — ლაჩინილაუ-ს ნათარგმნი³; სამი პატარა ხუნძური ლექსი, რომელთაგან პირველი გენერალ ფეზი-ს გამოგზავნილია, ორი სხვაც — იმამ ღაზალის ნათქვამია (ე. ი. ჭუხური — ა. ჩ.), ორი მოზრდილი ხუნძური ლექსი (ახალგაზრდა ქვრივის ლექსი და ალი და აშას ლექსი (გვ. 4).

ლექსიკონს საფუძვლად დასდებია, როგორც ა. შიფნერი შენიშნავს, ბერჟეს ლექსიკური მასალა. შევამოწმე ჰასან ნუროვთან და იმამ ღაზალისთან; რადგანაც ისინი სხვადასხვა კუთხიდან იყვნენ, გარკვეული რყევა სიტყვათა გამოთქმაში დაჩნდაო. თუ მეტყველების ნიმუშებსა და გრამატიკულ ნარკვევში ხმარებულთან შედარებით განსხვავება აღმოჩნდება, ლექსიკონის ვარიანტს უფრო უნდა ვენდოთო (გვ. 36).

ა. შიფნერის „ცდა ხუნძური ენის შესახებ“ ხუნძური ენის პირველი მეცნიერული მიმოხილვაა. მას საფუძვლად უდევს გაცილებით უფრო მცირე მასალის ანალიზი, ვინემ პ. უსლარის შრომას ხუნძურის შესახებ, მაგრამ დამუშავების დონის მიხედვით არ ჩამოუვარდება ამ ცნობილ მონოგრაფიას, რომლის ღირსეულ წინამორბედსაც ეს „ცდა“ წარმოადგენს.

გამოკვლევა უდური ენის შესახებ⁴ ორჯერ უფრო ვრცელია, ვინემ შრომა ხუნძურის შესახებ (თუმცა ამ მხრივ ჩამოუვარდება მონოგრაფიას ბაცბურის შესახებ). გრამატიკა მთლიანი ტექსტის სახით არის მოცემული (გვ. 1-47, §§ 1-194); ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი იმავე აგებულებისაა, როგორც თუშურის შესახებ მონოგრაფიაში. ტექსტებს (თარგმანითურთ) უჭირავს გვ. 43-73; აქ სასაუბრო მასალაც გვაქვს, ნათარგმნი მოთხრობა („ივან მოროზ“), ისტორიული გადმოცემა უდების შესახებ, პარალელური ტექსტები უდურის ორივე დიალექტზე (ვართაშნულსა და ნიჯურზე)... ლექსიკონში (გვ. 74-107) ავტორი ცდილა აღენიშნა ყველა

¹ „...Eine Uebersetzung der Backmeisterschen Sprachproben, welche ich dem Awaren Hassan Nurow verdanke, dann aber mehrfach mit Imam Ghazali durchgenommen habe“, — A. Schifner: „Versuch über das Awarische“, გვ. 4.

² მაშასადამე, ჭუხურად — ა. ჩ.

³ შდრ. გვ. 2.

⁴ „Versuch über die Sprache dor Uden“ 1863, წ.

აზერბაიჯანული სიტყვა, აგრეთვე აზერბაიჯანულის მეშვეობით შემოსული არაბული, თურქული და სპარსული ლექსიკური მასალა (თემცა შეიძლება აზერბაიჯანულიდან შემოსული ყველა სიტყვა არ მქონდეს აღნიშნული). ამასთან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ სიტყვებს, რომლებიც ცხადყოფენ უღურის კავშირს დაღესტნის ენებთან, აგრეთვე ჩაჩნურთან, ქართულთან, აფხაზურთან ლექსიკურ შეხვედრებსაო. მართლაც უღ. **წილი** — სიტყვასთან მითითებულია ქართ. წილი „ხვედრი“... უღ. „მენ“ — ლაკ. ინა... უღ. ბედ „მზე“ — ხუნდ. ბაყ. ლაკ. ბარჰ... აღსანიშნავია ასოთა თანამიმდევრობის თავისებური წესი: უღურ ლექსიკონში (ასევე — ხუნდურსა და ბაცბურ-თუშურში): ჯერ ხმოვნებით დაწყებული სიტყვები: ა, ე, ი, ო, უ... მერე მოდის უკანაენისმიერთა წყება: ყ, ჰ, ჰ, კ, ქ, გ, ღ; მერე შიშინა და სისინა: ჩ, ჭ, ც, წ, ჯ, ძ, შ, ს, ჟ, ზ... წინაენისმიერები: ტ, თ, დ, ნ, ბაგისმიერები: პ, ფ, ჭ, ბ, მ; დასასრულ, სონანტები: მ, რ, ლ, ვ; ასოთა თანამიმდევრობა ლექსიკონში ისეთივეა, როგორც ბგერებია დაჯგუფებული (გვ. 10).

შესავალში საინტერესო ცნობებია მოცემული უღურის შესწავლის ისტორიიდან, აგრეთვე უღთა შესახებ. 1847 წ. რუსეთის გეოგრაფიულ საზოგადოებას აღუძრავს საკითხი უღური ენის ვოტიაკების ენასთან ნათესაობის შესახებ. 1852 წ. გეოგრაფიული საზოგადოების თბილისის განყოფილებას მიუღია საქართველოს ეგზარხოს ისილორესაგან სია 325 უღური სიტყვისა; გეოგრაფიულ საზოგადოებას ეს სია რუსული თარგმანითურთ დაუბეჭდავს 1853 წ.¹; სია დაუგზავნიათ ვოტიაკების სოფლებში (პერმის გუბერნიაში) ვოტიაკურ სიტყვებთან შედარების მიზნით... სიახლოვე არ დადასტურებულა. უღურ სიტყვათა ეს სია გეოგრაფიულ საზოგადოებას მეცნიერებათა აკადემიისათვის გადაუგზავნია.

1857 წელს თბილისის გიმნაზიის დირექტორს ჩერმაკს შიფნერისათვის გაუგზავნია ნუხის სკოლის მასწავლებლის უდი გიორგი ბეჟანოვის ჩაწერილი სასაუბრო მასალა. სააზიო მუზეუმში ინახებოდა სომხური გრამატიკის ნარკვევი უღური თარგმანითურთ... 1860 წ. ჩერმაკს აკადემიაში შიფნერისათვის გადაუგზავნია უღურის შესახები მასალა, რაც დარჩენილა მასწავლებელ ბეჟანოვის გარდაცვალების შემდეგ (1860 წ.)... შიფნერს ხელთ ჰქონია რუსულ-უღური ლექსიკონი **A — O** ასოებზე, ბრუნებისა და უღვლილების ტაბულები, ბეჟანოვის შედგენილი...

¹ Словарь общеупотребительнейших терминов кавказских удинов с переводом на русский язык, С.-Петербург, 1853, 50+6 გვ.

ამ მასალის დამუშავებისას აღძრული საკითხების გარკვევა უკისრია ბერჟეს, რომელიც 1861 წლის დასაწყისში პეტერბურგს ჩასულა. ერთი წლის შემდეგ მომრიგებელი მოსამართლე მ. კოვალენსკის, რომელიც 1853-1854 წლებში გეოგრაფიული საზოგადოების დავალებით უდურს სწავლობდა გ. ბეჟანოვის დახმარებით, შიფნერისათვის გაუგზავნია მთელი მასალა და პატარა გრამატიკული მიმოხილვა (კოვალენსკის შედგენილი). გასარკვევი საკითხების შესახებ ბერჟე დასათბობირებია ვართაშნელ მასწავლებელს სტეფანე ბეჟანოვს, გიორგი ბეჟანოვის ძმას, და ნიჯელ არტემ ხამაიანცს, რომელსაც განათლება მოსკოვში ჰქონია მიღებული...

ა. შიფნერი აღნიშნავს, რომ ამჟამად უდური ორ სოფელშიღა იხმარება (**ნიჯსა** და **ვართაშენში**), მაგრამ წინათ სოფლების: **სულთან ნუნა, ჯორლი** და **მირზა-ბეგლუ** (ყაბალას რ.) და სოფ. **იუნგი-კენდის** (ნუხის რ.) მოსახლეობაც, საფიქრებელია, უდურად მეტყველებდნენ (გვ. 4).

სტრაბონის *Οὐρίοι* და მოსე ხორენელის პროვინცია უტი, ხალხური გადმოცემა, რომლის თანახმადაც უდების სახელმწიფო არსებობდა (დედაქალაქით ბერდაა)¹, — ქრისტიანობის გავრცელება უდებს შორის, ნადირშაჰი და უდების შევიწროება — ამაზე მოგვითხრობს ა. შიფნერი შესავალში (გვ. 4-6). შემდეგ მოცემულია ეთნოგრაფიული ცნობები — მოთხრობილია, რა წეს-ჩვეულება აქვთ ვართაშნელ უდებს დაბადებასთან, ქორწინებასთან და გარდაცვალებასთან დაკავშირებით (გ. ბეჟანოვის ცნობათა მიხედვით), აღნიშნულია, რომ ჩაცმა-დახურვა ემსგავსება აზერბაიჯანელებისას (გვ. 6-8).

რაც შეეხება ენას, უდურში კავკასიური ენა გვაქვსო, წერს ა. შიფნერი (გვ. 8). მოჰყავს საერთო სიტყვები (ფუძეები): უდ. ხე „წყალი“, ბაცბ. ხი; უდ. მუზ „ენა“, ხუნჩ. მაწ (უნდა იყოს: მაწა), ბაცბ. მოტტ; უდ. ბელ „მზე“, ხუნძ. ბაყ... ეს სიტყვები მეტწილად ისეთ ენებს ეკუთვნის, რომელნიც სქესებს განარჩევენ, უდურში კი სქესი არ გაირჩევა ისევე, როგორც ოსურშიო (კიურულ-ლეზგიურში რომ სქესები არ გაირჩევა, ა. შიფნერისათვის უცნობი დარჩა: ლეზგიური იმ ხანად შესწავლილი არ იყო). სქესის გაურჩევლობა კაცს აფიქრებინებდა, რომ უდური დაღესტნის ენებს არ უკავშირდებო, მაგრამ სხვა ნიშნების მიხედვით შინაგანი კავშირი უდურსა და დაღესტნის ენებს შორის ეჭვს გარეშეაო: ინსტრუქტივი (ერგატივი) ბრუნებაში, საგანგებო ელემენტის ჩართვა ზედსართავის ბრუნებისას, რიგობითი რიცხვითი სახელის უქონლობა... პირის ნაცვალსახელის დართვა („დახვავება“) ზმნაში, რაც ოსურში, აგრეთვე ყაბარდოულში

¹ ქართ. ბარდავი — ა. ჩ.

გვაქვს (გვ. 8)... რაც უფრო შესწავლილი იქნება კავკასიის ცალკეული ენები, მით უფრო მეტი იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ თავისებურებათა გარკვევა შესაძლებელი გახდებაო (გვ. 8).

ა. შიფნერის ზემოხსენებული სამი მონოგრაფია 1856-1863 წლებში გამოვიდა. ანტ. შიფნერის დამსახურებას შეადგენს არა მხოლოდ ბაცხურის, ხუნძურისა და უდურის მეცნიერული ანალიზი; მომდევნო 1863-1873 წლებში ა. შიფნერმა პ. უსლარის ყველა მონოგრაფია თავისი სისტემის მიხედვით გადაამუშავა და გერმანულად გამოსცა მანამ, სანამ დედანი რუსულ ენაზე დაიბეჭდებოდა; წინასწარ ყოველი შრომა წარედგინებოდა აკადემიას მოხსენების სახით; ამიტომ სათაურებად გვაქვს: „დაწვრილებითი მოხსენება გენერლის ბარონ პეტრე უსლარის გამოკვლევის შესახებ“... (დასახელებულია ენა...).

უსლარის მონოგრაფიები დამუშავდა ასეთი თანამიმდევრობით: 1. აფხაზური, 2. ჩაჩნური, 3. ხუნძური, 4. ლაკური, 5. ხიურკილიური (დარგუული), 6. კიურული... შიფნერის „დაწვრილებითი მოხსენებანი“ შემდეგი თანამიმდევრობით გამოქვეყნდა: 1. აფხაზურის შესახებ (1863 წ.), 2. ჩაჩნურის შესახებ (1864 წ.), 3. ლაკურის შესახებ (1866 წ.), 4. დარგუულის (ჰიურკანულის) შესახებ (1871 წ.); 5. ხუნძურის შესახებ (1872 წ.) და 6. ლეზგიურის (კიურულის) შესახებ (1873 წ.)¹.

ამგვარად 10 წლის განმავლობაში პ. უსლარის ექვსივე მონოგრაფია გერმანულად გამოიცა, და სპეციალისტებისათვის ხელმისაწვდომი გახდა უსლარის მიერ ლითოგრაფიულად დაბეჭდილი შრომები. ა. შიფნერმა, როგორც ითქვა, მასალა გადაამუშავა და დაალაგა ისე, როგორც ეს მის მონოგრაფიებში მიღებული იყო: ყველაზე მეტი ცვლილება განიცადა ფონეტიკამ: ბგერათა სისტემა დალაგდა გარკვეული წესით (ხმოვნები; თანხმოვნები — ფარინგალური **ჟ**-თი დაწყებული და სონანტებით გათავებული **ნ** წყებად; თითქმის ყველგან: თანხმოვანთა გამოყენება სხვადასხვა პოზიცი-

¹ Ausführlicher Bericht über des Generals... Peter v. Uslar Abchasische Studien, წარედგინა აკადემიას 15 მაისს 1863 წ., დაიბეჭდა 1863 წ., VIII+62 გვ. in fol.

Ausführlicher Bericht über... Peter v. Uslar's Kasikumükische Studien, წარედგინა აკადემიას 5 აპრილს 1866 წ., დაიბეჭდა 1866 წ., VIII+136 გვ.

Ausführlicher Bericht über... Hürkanische Studien, წარედგინა 1 დეკემბერს 1870, დაიბეჭდა 1871, IV+200 გვ.

Ausführlicher Bericht über... Awarische Studien, წარედგინა 7 სექტემბერს 1871, დაიბეჭდა 1872, VIII+180 გვ.

Ausführlicher Bericht über... Kürinische Studien, 3 ოქტომბერს 1872, დაიბეჭდა 1873, IV+256 გვ.

აში, თანხმოვანთა ჯგუფები...) ... ბგერათა ამ რიგის შესაბამისად გაწყობილია ლექსიკური მასალა: ხმოვნით დაწყებულ სიტყვებს მოსდევს **ჟ**-თი დაწყებული სიტყვები...

ცვლილება შეეხო მეტ-ნაკლებად მორფოლოგიასაც: მასალა ზოგჯერ სხვაგვარად არის გაგებული და დალაგებული (ამის მაგალითს იძლევა ხუნძური ბრუნება...); როგორც ფონეტიკა, ისე მორფოლოგია სისტემაშია მოყვანილი, და ადვილად ასათვისებელი ხდება მდიდარი მასალა, უსლარის მონოგრაფიებში შეტანილი.

აფხაზურისათვის წამძღვარებულ წინასიტყვაობაში ა. შიფნერი წერს: „მე ჩემ მოვალეობად მივიჩნეე დასავლეთის სპეციალისტ-მკვლევართათვის ხელმისაწვდომი გამეხადა თავის მთავარ შედეგებში ეს შრომა, რომელიც თავდაპირველად რუსულად დაიწერა და ავტორმა ლითოგრაფიულად დაბეჭდა მცირე რაოდენობით. არსებითი რაც იყო, მოკლედ გადმოვეცი, როცა შრომაში ადგილი ჰქონდა წინეთ ნათქვამის გამეორებას, ერთ ადგილას მოვუყარე თავი, როცა ერთნაირი სხვადასხვა ადგილას იყო განხილული“ (Abch. St., VII).

ავტორი რუსულ ანბანს იყენებდა და ზოგს ასოს ასხვაფერებდა; როცა ასოები მაინც არ ყოფნიდა, იშველიებდა ქართულს, რომელსაც შეუძლია გადმოსცეს ყველაზე მთავარი ბგერები კავკასიურ ენათა უმეტესობისათვის (გვ. IV). მე გამოვიყენე ლათინური ტრანსკრიფცია, კასტრენის მიერ შემოღებული (ფინური ენებისთვისაო გვ. V).

ჩვენი ყური — წერს ა. შიფნერი — მიჩვეულია გარკვეულ ბგერებს, და საჭიროა დიდი ვარჯიშობა, რომ სწორად აღვიქვათ უჩვეულო ბგერები, და მაინც შეუძლებელი ხდება განსხვავება შევნიშნოთ იქ, სადაც ადგილობრივი მკვიდრი ასეთ განსხვავებას ხედავს (გვ. IV).

აფხაზური მეტყველების მოსმენა აუცილებლად მიაჩნდა ა. შიფნერს — აფხაზურ ბგერებში გასარკვევად. 1863 წ. გაზაფხულზე პეტერბურში მყოფ უსლარს ამის შესაძლებლობა შეუქნია შიფნერისათვის, მაგრამ დაკვირვების პირი აბაზა ყოფილა, და ბზიფურისათვის დამახასიათებელ ბგერებს ვერ არჩევდაო (გვ. V)...

რიგი დაკვირვება აქვს ა. შიფნერს აფხაზურის ფონეტიკასა და მორფოლოგიაზე: თავისი წყობით აფხაზური ინკორპორაციის (**einverleibende Sprache**) საფხვურზე დგას, თუმცა მრავალი თავისებულება აქვსო (VIII)... საყურადღებოა ზმნის შესახებ თქმული: ფორმები, რომლებიც პირდაპირსა და არაპირდაპირს ობიექტებს... შეიცავენ, მოგვაგონებენ ქართულის მსგავს ფაქტებს: ვიწერ, ვუწერ, მიწერ, მწერ, მეწერები (დამოწმებული აქვს დ. ჩუბინაშვილის „მოკლე ქართული გრამატიკა“, 1855)... რამდენადაც ცნობილია, ამ დროისათვის სუბიექტისა და ობიექტის აღნიშვნაზე

ქართულ ზმნაში გრამატიკები არაფერს ამბობენ („მწერ“ და მსგავსი ფორმები „პირნაკლად“ იწოდებოდა: მესამე პირი არა აქვს).

პროფ. ლ. ჟირკოვმა 1924 წ. გამოსცა „ხუნძური ენის გრამატიკა“, ხოლო 1926 წ. „დარგუული ენის გრამატიკა“, ორივე უსლარის მონოგრაფიათა საფუძველზე, როგორც თვითონ წერს წინასიტყვაობაში. ჩემი გრამატიკა აუცილებელი საფეხურია, რომლის შემდეგ შეიძლება დარგუული სასკოლო გრამატიკის შედგენას შევუდგეთ. სალიტერატურო დარგუულს ავტუშური დიალექტი დაედვა საფუძვლად, უსლარის შრომა სხვა დიალექტის (ხიურკილიურის ანუ ურახულის) მონაცემებს ემყარება. სასკოლო გრამატიკა, ცხადია, სალიტერატურო დარგუულს უნდა ემყარებოდეს. თუ სასკოლო გრამატიკის შედგენისთვის ხელის შეწყობა ივარაუდებოდა, ავტუშურის საფუძველზე უნდა შეედგინა თავისი გრამატიკა პროფ. ლ. ჟირკოვს, რომ ის პ. უსლარზე არ ყოფილიყო მეტის მეტად დამოკიდებული... ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად, ლ. ჟირკოვი არ დაერიდა, თავი ავტორად გამოეცხადებინა, თუმცა აქ უფრო შესაფერი იქნებოდა „უსლარის შრომის გადმოცემაზე“ გველაპარაკა, როგორც მოიქცა ა. შიფნერი.

ა. შიფნერის ღვაწლია მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა პირველი მეცნიერული გრამატიკების შედგენა და პ. უსლარის სამეცნიერო საქმიანობისათვის უანგაროდ ხელის შეწყობა, პ. უსლარის ნაკვლევის მეცნიერებაში დანერგვა.

§ 22. პეტრე უსლარი და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევა

პ. უსლარი ცნობილია, პირველ ყოვლისა, როგორც ავტორი შესანიშნავი მონოგრაფიებისა, რომელთა საგანია ენები: აფხაზური, ჩაჩნური, ხუნძური, ლაკური, დარგუული და ლეზგიური; ექვსივე ენა ათიოდე წლის მანძილზე დამუშავდა (1861-1871 წწ.). ამ ენათა ფონემატური შედგენილობა და გრამატიკული მოვლენები აღწერილია ისეთი სიზუსტით, რომ პ. უსლარის შრომები არ ძველდება.

პ. უსლარი დაიბადა 1816 წ. სოფელ კუროვოში, ყოფ. ტვერის გუბერნიაში (ახლანდელი კალინინის ოლქი); გარდაიცვალა 1875 წ. (დაკრძალულია თავის სამშობლო სოფელში).

პ. უსლარს არ მიუღია საენათმეცნიერო განათლება. მან დაამთავრა მთავარი საინჟინერო სასწავლებელი. სამხედრო სამსახურში ყოფნისას შეადგინა: „სამხედრო-სტატისტიკური აღწერილობა ტვერის გუბერნიისა“ (1848 წ.), „ვოლოგდის გუბერნიისა“ (1850 წ.), „ერევნის გუბერნიისა“ (1850 წ.). კავკასიაში მსახურობდა 1837-1839 წ.წ. და შემდეგ — 1850 წლიდან.

პ. უსლარი იყო რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრი მისი დაარსების დღიდანვე (განყოფილებას სულ 16 წამდელი წევრი ჰყავდა გახსნისას 1851 წ.). განყოფილების ერთ-ერთ პირველ სხდომათაგანზე პ. უსლარმა მოხსენების სახით წაიკითხა ნაწყვეტები ერევნის გუბერნიის სამხედრო სტატისტიკური აღწერილობისა (ყოფა-ცხოვრებისა და ადათ-წესების ახსნას პ. უსლარი ცდილობდა გეოგრაფიული გარემოთი და ისტორიული პირობებით).

1856 წ. პ. უსლარმა თავი დაანება სამხედრო სამსახურს. 1858 წ. მას დაევალა „უზენაესი ბრძანებით“ კავკასიის ისტორია შეედგინა (უკვე 1859 წ. 17 იანვარს გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების სხდომაზე პ. უსლარს წაუკითხავს მოხსენება: „ნარკვევი კავკასიის უძველესი ისტორიისა აღექსანდრე მაკედონელის ეპოქამდე“).

ისტორიის უტყუარ წყაროდ პ. უსლარი ენას თვლიდა კავკასიის ხალხთა ისტორიის დამუშავებისათვის, ცხადია, ამ ხალხთა ენის შესწავლა უსლარს აუცილებლად უნდა მიეჩნია; ამიტომაც, რომ პ. უსლარის მონოგრაფიებს საერთო სათაურად აქვს: „კავკასიის ეთნოგრაფია“, ხოლო ქვესათაურად: „ენათმეცნიერება“. „ეთნოგრაფია“ — აქ აღებულია ფართო გაგებით, როგორც ხალხის, მისი წარსულის, შესწავლა; ენის შესწავლა ხალხის, მისი ისტორიის შესწავლის საშუალებად არის ნაგარაუდები; ცხადია, ასე გაგებული ეთნოგრაფია ზოგადი ხასიათის დისციპლინა იქნებოდა, ენათმეცნიერებაც „ეთნოგრაფიის“ დარგად მოგვევლინებოდა.

როდის და რა მონოგრაფია დაიწერა? კავკასიის ენების შესწავლას პ. უსლარმა შეაღია თავისი სიცოცხლის უკანასკნელი ხუთმეტი წელი (1860-1875 წ.წ.). განსაკუთრებით ინტენსიურად მუშაობდა 1861-1871 წ.წ.

ეს მუშაობა აფხაზური ენით დაიწყო. ჯერ კიდევ „1861 წლის ივლისში მთელი შვიდი დღის განმავლობაში“ პ. უსლარი მუშაობდა აფხაზურზე სოხუმში¹. ამ მუშაობის გაგრძელება მოუხერხდა თბილისში; აქ იგი მუშაობდა სამ აფხაზთან², რომლებიც მოიწვიეს აფხაზური ანბანის შედგენასთან დაკავშირებით. მუშაობა გაგრძელდა ექვს კვირას. ამის შედეგად შეიქმნა მონოგრაფია „აფხაზური ენა“ (302 გვ. ლითოვრ.).

1862 წელს პ. უსლარმა ხელი მოჰკიდა ჩაჩნური ენის შესწავლას. პ. უსლარის თხოვნით კავკასიის არმიის მთავარმა შტაბმა თბილისში გამოიძახა ორი ჩაჩანი, რუსული წერა-კითხვის მცოდნე; ესენი იყვნენ მი-

¹ П. Услар. Нечто об азбуках кавказских горцев. — сб. П. Услар, Чеченский язык, гв. 28.

² სამივე ბზიფელი იყო; მათგან ორმა რუსული რიგიანად იცოდა: იხ. А. Schiefner: Abch. Stud., 1863, გვ. IV.

ლიციის პრაპორშჩიკი კელი დოსოვი და მოლა იანგულბაი ჰასანოვი; ხსენებული პირები თბილისში ჩამოვიდნენ 1862 წ. მარტში. ამრიგად, ჩაჩნურის შესწავლა პ. უსლარმა თბილისში დაიწყო, მაგრამ იმავე წლის ზაფხულს მუშაობა გააგრძელა გროზნოში, იმავე პირებთან, აგრეთვე მუთალიმებთან. 1862 წ. პ. უსლარმა დაამთავრა მონოგრაფია „ჩაჩნური ენა“ (416 გვ. ლითოგრ. იხ. „ჩაჩ. ენა“, 1888 წ. გვ. VI).

ორივე ეს მონოგრაფია („აფხაზური ენა“, „ჩაჩნური ენა“), ლითოგრაფიულად დაბეჭდილი ავტორის მიერ 1863 წ., აკად. ანტ. შიფნერმა წარადგინა აკადემიაში დემიდოვის პრემიაზე (და ნახევარი პრემია მიენიჭა)¹.

1863 წელს პ. უსლარი ხელს ჰკიდებს ხუნძურისა და ლაკური ენების შესწავლას. უკვე 1863 წ. 16 სექტემბერს იგი წერს ა. ბერჟეს: „ხუნძური გრამატიკა გამოძივიდა მეტად სრული ჩინებული თანაშემწეების წყალობით, რომლებიც მე დავეძებნეო“ („ჩაჩნ. ენა“, წერილები, გვ. 30). ხოლო 1863 წ. 2 დეკემბერს მასვე წერს: „ახლა ხუნძური ენა ვარიანტებითურთ უკვე გამოკვლეული მაქვსო“ (იქვე, გვ. 32). 1864 წ. 3 ივნისს კვლავ ა. ბერჟესადმი გაგზავნილ წერილში ნათქვამია: „ხუნძურს ვამუშავებდი განსაკუთრებული სიყვარულით, — ამის ნაყოფია ჩემ მიერ შედგენილი ხუნძური გრამატიკა, რომელიც მოცულობით მეტია, ვინემ აფხაზური და ჩაჩნური გრამატიკა, ერთად აღებული. ღმერთმა იცის, როდის გამოქვეყნდება იგი: გადაწერას რამდენიმე თვე უნდა, მაგრამ მე ჯერ-ჯერობით არ ვიწყებ გადაწერას, არამედ გადავდივარ დალესტნის ერთი ენიდან მეორეზეო“ (იქვე, გვ. 36).

მართლაც, „ხუნძური ენა“ ავტორმა ლითოგრაფიულად დაბეჭდა მხოლოდ 1866 წელს: „ხუნძური გრამატიკა“ — წერს პ. უსლარი ა. შიფნერს 1867 წ. 14 თებერვალს — ლითოგრაფიულად იბეჭდებოდა ისე, რომ კორექტურაში ადგილობრივი მკვიდრნი მშველოდნენ; ოღონდ სიტყვათ-კონა ლითოგრაფიულად იბეჭდებოდა დალესტნის გარეთ, და მასში ზოგი შეცდომა გაიპარა; მათს გასწორებას გაახლებთო („ლაკ. ენა“, წერილები ა. შიფნერს, გვ. 32).

ლაკური ენის შესწავლას პ. უსლარი შეუდგა 1863 წლის შემოდგომას; მონოგრაფია „ლაკური ენა“ დამთავრებული იყო 1864 წ. მაისში, ლითოგრაფიულად დაიბეჭდა 1865 წ. ზაფხულს. 1863 წ. 19 ოქტომბერს პ. უსლარი დარუბანდიდან სწერს ა. შიფნერს: „ახლა ხელს ვჰკიდებ ლაზიკუმუხურს, მერმე მოვახმარ ერთ ოთხ კვირას — არჩიბულს; შემდეგ გადავალ დარგდა — ენებზე, რომელთაგან ყველაზე წმინდა არის ურახული“

¹ „ჩაჩნ. ენა“, წერილები ბერჟეს, გვ. 33-34; „ლაკ. ენა“, წერილები ა. შიფნერს, გვ. 29.

(იქვე, გვ. 6)... ხოლო 1864 წ. 26 მაისს თემირ-ხან-შურიდან ა. შიფნერს ატყობინებს: „ღაზიყუმუხი გრამატიკა ანუ, — როგორც მას ვუწოდებ სიმოკლისათვის ადგილობრივ მიღებული, — ლაკური გრამატიკა..., უკვე მზად არის და უფრო ვრცელია, ვინემ აფხაზური“ (იქვე, გვ. 30)... 1867 წ. 14 თებერვალს კვლავ ა. შიფნერს სწერს: „ამ გრამატიკას ლითოგრაფიულად ვებეჭადე 1865 წ. ზაფხულს სოფელში ისე, რომ ადგილობრივი მკვიდრი არავინ მყავდა, რომ გაეფანტა გაუგებრობანი ლითოგრაფირების პროცესში რომ ჩნდებოდა და ჩემი უნებლიე შეცდომები გაესწორებინაო“ (იქვე, გვ. 31).

მონოგრაფია დარგუთული ენის შესახებ პ. უსლარს დამთავრებული ჰქონდა 1867 წელს. ამ ენის რამდენიმე დიალექტიდან პ. უსლარმა გამოიკვლია ურახული; შესაბამისად იწოდა შრომაც: ხიურკილიური ენა¹; ლითოგრაფიულად შრომის ბეჭდვა დაიწყო ავტორმა 1867 წელსვე².

მონოგრაფია ლეზგიური ენის შესახებ („კიურული ენა“) 1871 წელს უკვე კარგა ხნის დამთავრებული ყოფილა³. ეს უკანასკნელი მონოგრაფიაა, რომლის დამთავრებაც პ. უსლარმა მოასწრო.

ლეზგიური ენის შემდეგ პ. უსლარი სწავლობდა თაბასარანულს. სათანადო მუშაობა დაუწყია 1870 წლის შემოდგომას, მაგრამ შრომა მაინც დაუმთავრებელი⁴ დარჩა (1875 წ.): არ გამოდგა დამხმარე პირები⁵.

¹ Хюркилинский язык; გერმანულად გადმოსცემენ, როგორც „Hürkanische Sprache“ „ჰიურკანული ენა“ (იხ. მაგ., რ. ერკერტი).

² Лак. язык, წერილები, გვ. 35.

³ 1871 წ. 16 სექტემბერს პ. უსლარი წერს თემირ-ხან-შურიდან ა. შიფნერს: „კიურული ენის შესახებ გამოკვლევა უკვე დიდი ხანია, რაც დამთავრებულია; ხელნაწერი უფრო ვრცელი გამოვიდა, ვინემ ხუნძური ენის შესახებ... ზამთარში დავიწყებ ლითოგრაფიულად ბეჭდვას“... „ლაკ. ენა“, წერილები, გვ. 30. ხოლო 1872 წლის 27 თებერვალს შიფნერისათვის სოფ. კუროვოდან გამოგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „თქვენი სურვილის თანახმად გაახლებთ ლითოგრაფირებულ კიურულ გრამატიკასაო“... იქვე, გვ. 41.

⁴ ამ შრომის შესახებ იხ. А. А. Магометов, Неизданная монография П. К. Услара о табасаранском языке — ჟურნ. „Вопросы языкознания“ 1954, №3, გვ. 68-76.

⁵ „თითქმის უკვე წელიწადია, რაც თაბასარანულის გამოკვლევას შევუდექი, — წერდა უსლარი 1871 წ. 16 სექტემბერს, — მაგრამ იძულებული ვარ წარამარა ვიცვალო ხელმძღვანელები... გრამატიკული გაგება ვერ განვუვითარეო...“ „ლაკ. ენა“, გვ. 38. ამ მომენტების აღნიშვნა საჭიროდ მივიჩნევთ, რადგანაც სპეციალურ ლიტერატურაში არაზუსტი ცნობები გვხვდება: ისეთ გულდასმით შედგენილ შრომაში, როგორიცაა ლ. ზაგურსკის მიერ დაწერილი ვრცელი ბიოგრაფია პ. უსლარისა, ნათქვამია: კიურულ ენაზე მუშაობის დამთავრების შემდეგ 1871 წ. პ. უსლარმა ხელი მიჰყო თაბასარანულ ენასაო (ზაგურსკის ეს წერილი წამძღვანებელი აქვს პ. უსლარის შრომას „Древнейшие сказания о Кавказе“ გვ. XLVIII)... იქვე ნათქვამია, ვითომც ლაკურის შესწავლა პ. უსლარს დაეწყო 1864 წელს. პ. უსლარის წერილები ა. ბერჟესა და ა. შიფნერისადმი საშუალებას იძლევიან ეს უზუსტობანი გასწორდეს.

ამრიგად, ათი წლის განმავლობაში (1861-1871 წ. წ.) დაიწერა ექვსი მონოგრაფია: 1. აფხაზური ენა, 2. ჩაჩნური ენა, 3. ხუნძური ენა, 4. ლაკური ენა, 5. დარგუული („ხიურკილიური ენა“), 6. ლეზგიური („კიურული“); ყველა ეს მონოგრაფია — ავტორის გადათეთრებული ტექსტის მიხედვით — ლითოგრაფიულად დაიბეჭდა მცირე რაოდენობით. სპეციალისტებისათვის ხელმისაწვდომი ეს შრომები, ცხადია, ვერ გახდებოდა, აკად. ანტ. შიფნერს რომ არ ეკისრა ამ შრომების ერთგვარი გადაამუშავება და გერმანულად გამოქვეყნება. რა ცვლილებები შეიტანა ა. შიფნერმა, ამაზე უკვე გვქონდა საუბარი (იხ. გვ. 184). ყოველ შემთხვევაში, ა. შიფნერი ცდილობდა მასალა იმ მოცულობით და იმგვარად დაეღაგებინა, რომ მისი ათვისება ადვილი ყოფილიყო. პ. უსლარის სახელიც მონოგრაფიებს დაუტოვა, თუმცა ა. შიფნერმა არამცირედი შრომა გასწია. გერმანულად პ. უსლარის შრომების გამოქვეყნება მან დაიწყო 1863 წელს და დაამთავრა ათი წლის შემდეგ 1873 წელს¹.

სტამბურად პ. უსლარის მონოგრაფიათა ლითოგრაფირებული დედანი დაბეჭდა კავკასიის სასწავლო ოლქმა 1887-1897 წლებში (მონოგრაფიებს დაურთეს პ. უსლარის სტატიები და დაკვირვებანი ცალკეულ ენათა შესახებ, აგრეთვე მისი პირადი წერილები ად. ბერჟესა და ანტ. შიფნერისადმი)².

პ. უსლარის მონოგრაფიებიდან: ერთი განეკუთვნება აფხაზურ-ადიღურ ენათა ჯგუფს, ერთი — ჩაჩნურს, ოთხი — დაღესტნურ ჯგუფს; არც ერთი — ქართველურ ენებს. შემთხვევითია ეს, თუ პ. უსლარი გარკვეული თვალსაზრისის გამო ზოგს ენას მეტის ინტერესით ეკიდებოდა, ზოგისადმი კი ინტერესი აკლდა? პ. უსლარი არც ერთი ენის შესწავლას არ ერიდებოდა, მას ყველა კავკასიური ენის შესწავლა აინ-

¹ გერმანულად ტექსტი არ ქვეყნდებოდა მთლად იმ თანამიმდევრობით, როგორც დედანი მუშავდებოდა: ხუნძური გამოქვეყნდა ლაკურისა და დარგუულის შემდეგ; თანამიმდევრობა იხ. § 21, გვ. 223.

² 1. П. К. Услар. Этнография Кавказа. Языкознание. I Абхазский Язык, თბილისი, 1887, XV+194+120 გვ.

2. П. К. Услар. Этнография Кавказа. II. Чеченский язык, თბილისი, 1888, VIII+52+246 გვ.

3. П. К. Услар. Этнография Кавказа. III. Аварский язык, თბილისი, 1889, VII+242+276+20 გვ.

4. П. К. Услар. Этнография Кавказа. IV. Лакский язык, თბილისი, 1890, II+42+422+14 გვ.

5. П. К. Услар. Этнография Кавказа. V. Хюркилинский язык, თბილისი, 1892, 497 გვ.

6. П. К. Услар. Этнография Кавказа. VI. Кюринский язык, თბილისი, 1896, 639 გვ.

ტერესებდა; ასე, მაგალ., ჯერ კიდევ 1860 წ. პ. უსლარი შესდგო-
 მია ქართული ზმნის შესწავლას დიმ. ყოფიანის ტაბულების
 მიხედვით. 1864 წ. 10 თებერვალს ად. ბერჟეს სწერს: „დიმიტრი ფურცე-
 ლაძეს მადლობა გადაეცი სვანური მასალებისათვის... იმედი მაქვს, რომ
 ბ. ფურცელაძე ოდესმე დამეხმარება აგრეთვე ქართული ენის კვლევისასო“
 („ჩაჩნ. ენა“, წერილები, გვ. 35). 1861 წ. სოხუმში ყოფნისას პ. უსლარმა
 სვანურის შესწავლა დაიწყო (სვან გულბანის დახმარებით). სვანური შემ-
 დეგშიც აინტერესებდა: 1864 წლის 10 თებერვალს ად. ბერჟეს სწერს:
 „მივიღე სვანური მასალები“ („ჩაჩნ. ენა“, გვ. 34). პ. უსლარს სვანურის მო-
 კლე გრამატიკული მიმოხილვაც მოეპოვება (დაბეჭდილია დანართის სახით
 მონოგრაფიაში „აფხაზური ენა“).

1861 წ. ჩერქეზეთში ყოფნისას მაიკოპის მახლობლად სამხედრო ბა-
 ნაკში პ. უსლარს საშუალება მიეცა უბიხური ენის შესწავლაზე ემუშავა
 უბიხ ბერზეკთან (ეს მუშაობა ერთი კვირის შემდეგ შეწყდა: ბერზეკი
 გადაიხვეწა. უბიხთა ენის შესახებ პ. უსლარის ფრაგმენტული დაკვირვებე-
 ბი დანართად დაბეჭდილია „აფხაზურ ენაში“).

დალესტნის ენათა შესწავლის ხაზითაც, აგრეთვე ადიღურისა და
 სვანურის შესწავლის მხრივ პ. უსლარს ფართო გეგმები ჰქონდა; 1863
 წლის 2 დეკემბერს იგი სწერდა ად. ბერჟეს: „ახლა ხუნძური ენა... გამო-
 კვლევული მაქვს. შესასწავლი მაქვს ენები: ანდიური, ლაზი-ყუმუხური, არ-
 ჩიბული, აჭუშური (ყაითალური), თაბასარანული, დიდო და ინუხო. გასა-
 კეთებელი ბევრია, მაგრამ ამას რომ მოვრჩები, დაგუბრუნდები ენებს: სვა-
 ნურს, ყაბარდოულსა და ადიღურს...“ („ჩაჩნ. ენა“, წერილები, გვ. 32). ამ
 ენების შესწავლაზე პ. უსლარი ლაპარაკობს თავის წერილში ანტ. შიფნე-
 რისადმი და დასძენს: „თუ არაფერმა დამაბრკოლა, იმედი მაქვს შევადგი-
 ნო გრამატიკული ნარკვევი ყოველი ამ ენათაგანისა, მაინცდამაინც მათი
 უმთავრესი კილოებისაო“ („ლაკ. ენა“, წერილები, გვ. 19).

უსლარს რომ დასცლოდა თავისი გეგმის განხორციელება, მის ექვს
 ფუძემდებელ გამოკვლევას შეემატებოდა ასეთივე მონოგრაფიები ქარ-
 თულისა, სვანურისა, ადიღურისა (ჩერქეზულისა), არჩი-
 ბულისა და რიგ ანდიურ-დიდოური ენისა, შეიქმნებოდა თითქ-
 მის სრული სერია **Caucase polyglotte** („მრავალენოვანი კავკასია“).

როგორ არის აგებული პ. უსლარის მონოგრაფიები?
 შედგენილობა-შინაარსი არსებითად იმგვარივეა, როგორც გვაქვს ანტ.
 შიფნერის „ბაცბურ ენაში“, ოღონდ საანალიზო მასალა, რაც პ.
 უსლარის შრომას საფუძვლად უდევს, უფრო ვრცელია, მასალის
 დამუშავებაც უფრო სრულია.

3. უსლარის მონოგრაფიებში ნაჩვენებია: 1. რა მიწა-წყალზე ლაპა-რაკობენ სათანადო ენას, მოცემულია ზოგადი ცნობები, თუ რა დიალექტები გაირჩევა;

2. მოცემულია ანბანი — რუსული გრაფიკის საფუძველზე (დამატებითი ნიშნების დართვით; უსლარს ქართული ნიშნებიც შეჰქონდა: **ჟ, წ, ჳ**). განხილულია ბგერათა ცვლა;

3. გრამატიკულ ნაწილში დახასიათებულია ყველა მეტყველების ნაწილი — ცვალეზადი და უცვლელი; ცვალეზადი მეტყველების ნაწილის ცვლა გრამატიკულ კატეგორიათა მიხედვით; ბრუნება და უღვლილება; სიტყვაწარმოება; დროთა-კილოთა ფუნქცია, კერძოდ, სხვადასხვა მოდალურ წარმოებათა ფუნქცია; უფორმო სიტყვათა და ნაწილაკთა ფუნქცია; ამრიგად, მოცემულია **ცალკე სიტყვის მორფოლოგიური და სემანტიკური დახასიათება**; სინტაქსი ცალკე დარგის სახით არა გვაქვს, მაგრამ ატრიბუტული კომპლექსის (მსაზღვრელ-საზღვრულის) და პრედიკატული კომპლექსის (სახელისა და ზმნის შეთანხმება-მართვის) დამახასიათებელი თავისებურებები ზოგადად გარკვეულია; არც ის საშუალებებია უყურადღებოდ დატოვებული, რომელთაც ეს ენები მიმართავენ რთული წინადადების წინაარსის გადმოსაცემად.

4. გრამატიკას მოსდევს ტექსტები: ანდაზები, ხალხური პროზისა და პოეზიის ნიმუშები სათანადო თარგმანითა და საჭიროების შემთხვევაში გრამატიკული ინტერპრეტაციით;

5. ბოლო ნაწილს შეადგენს ლექსიკონი; მასში შეტანილია არა მხოლოდ ის მასალა, რაც წიგნში მოცემულ მეტყველების ნიმუშებში გვხვდება. სისრულის პრეტენზია ლექსიკონს არა აქვს, მაგრამ ჩვეულებრივ ხმარებული ლექსიკა საკმაო სისრულით არის წარმოდგენილი; სიტყვებს გარკვეული გრამატიკული ფორმები ახლავს (მაგ., სახელს — ნათეს. და მრავლობითი...); მოცემულია დამახასიათებელი გამონათქვამები: მაგალ., ხუნძურში: ბერ „თვალი“ — ბერზულ ქანლი „თვალის სინათლე“; ტულ „ღვიძლი“: ტულალჟულ ვაც „ღვიძლი ძმა“ (სიტყვა-სიტყვით: „ღვიძლის ძმა“)... გარკვეულ შემთხვევაში ეთნოგრაფიული განმარტებებიც: ხუნძ. ბაწ მადინ — „მგელივით“, — ე. ი. ძალიან კარგად (მგელთან შედარება ხუნძებთან მოწონებას ნიშნავს); ვირთან შედარება სიძულვილს გამოხატავს (და არა: სისულელესაო)... ბაყ. „მზე“; ბაყულ უნთი „ციება“ (სიტყვა-სიტყვით: „მზის ავადმყოფობა“)... ლაკ. ბარლ „მზე“: ბარლ ბუქლაი ბური „მზე ამოდის“... ბარლ ბიუთუნდი „მზე ანათებს“... ბარლ — სიტყვას ასეთი 12 ფრაზა ახლავს...

6. ლექსიკონს ერთვის რუსულ სიტყვათა ინდექსი იმის ჩვენებით, სად უნდა ვეძიოთ სათანადო ამოსავალი შესატყვისი...

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ პ. უსლარის შრომა ენის მთლიან სურათს იძლევა: ბგერითს სისტემას, გრამატიკულ წყობასა და ლექსიკას წარმოგვიდგენს. დამახასიათებელი ისაა, რომ უსლარი გრამატიკული წყობის ძირითადი ხაზების გარკვევას არ სჯერდება, მორფოლოგიის ფაქტების ფუნქციებს არკვევს ცოცხალი ენის სისტემაში ზედმიწევნითა და საკმაო სისრულით.

ზედმიწევნილობა ახასიათებს სიტყვის ბგერითი მხარის გადმოცემასაც. თითო-ოროლა შემთხვევა იქნებ აღმოჩნდეს, როცა სიტყვის ფონემატური შედგენილობა არ იყოს ზუსტად ნაჩვენები, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც საფიქრებელია უზუსტობის წყარო დამხმარე პირი ყოფილიყო, ე. ი. სათანადო ენის წარმომადგენელი და ამ უკანასკნელის ენობრივი ჩვევები.

შესანიშნავ შედეგებს პ. უსლარმა იმიტომ კი არ მიაღწია, რომ სრულად იყო დაუფლებული სათანადო ენებს. პირიქით, არც ერთ კავკასიურ ენას არა თუ არ ფლობდა, არამედ **დამოუკიდებლივ** მას არც ერთი ენის ანალიზი არ შეეძლო, ზოგი თავისებური ბგერის გამოთქმაც, გარჩევაც უჭირდა:¹ პ. უსლარი ამ მხრივ მთლიანად დამხმარე პირებს ეყრდნობოდა დამოკიდებულ, მათის მეშვეობით განასხვავებდა **ბგერებს**, არკვედა ამა თუ იმ ფორმის, სიტყვაწარმოების, ნაწილაკთა **ფუნქციებს**, — მთლიანად ენის წყობის ნიშანდობლივს თავისებურებებს. ბუნებრივი ენობრივი ფაქტის ყოველმხრივი სისტემატური ანალიზი და ენობრივი ფაქტის გაგების ბრწყინვალე ნიჭი პ. უსლარისა შესაძლებელს ხდიდა დამხმარე პირის გამოკითხვით გაერკვია ყველაფერი, რაც არსებითი იყო სათანადო მონაცემის დასახასიათებლად.

თავისთავად ცხადია, ასეთ დამხმარე პირად ყველა არ გამოდგებოდა: საჭირო იყო არა მხოლოდ ენის კარგი ცოდნა, არამედ ენის ალლოც, რომ ნიუანსების განსხვავება შეემჩნია და იმის მიხვედრაც ჰქონოდა, რა აინტერესებს მკვლევარს, რას ეძიებს იგი... როცა ასეთი პირი დაიძებნებოდა, პ. უსლარი გასაოცარი სისწრაფით ერკვეოდა ენის სისტემაში: აფხაზური — ექვს კვირაში დაძლია, ჩაჩნურს, ხუნძურსა და ლაკურს თითო წელიც არ

¹ „უკვე ერთ წელზე მეტია, რაც ჩაჩნურ ენაზე აღარ ვმუშაობ და ამიტომ დამავიწყდა იგი, თქვენი გრამატიკის წაკითხვამ განმიახლა მოგონებანი“ — სწერდა პ. უსლარი ანტ. შიფნერს 1864 წ. 24 აპრილს („ლაკ. ენა“, წერილები, გვ. 22)...

მეორე წერილში ჩივის: „სხვა ენებზე მუშაობისას ხუნძური სულ დამავიწყდაო... ეს ფორმა ჩემთვისაც არ არის ახლა ცხადი, თუმცა მახსოვს, რომ კარგად გამეგებოდა ის, როცა აიდემირი განმარტავდა. ხუნძები, რომელთაც მე ახლა ვეკითხებოდი, ირწმუნებიან — „დუნ გურეუ“ უნდა და არა „დუნ გური ეუ“ („ჩემ გარდა“). იხ. „ლაკ. ენა“, წერილები, გვ. 37.

დასჭირებია — სწორედ იმიტომ, რომ ჩინებული დამხმარე პირები აღმოაჩინდნენ (ასეთი იყო კერძოდ, ხუნძი აიდემირ ჭირკველი, რომლის სახით „ხუნძურმა ენამ ბევრი დაკარგაო“, წერდა პ. უსლარი 1871 წ., აიდემირის თურქეთში გაქცევის შემდეგ — იხ. „ლაკ. ენა“, წერილები, გვ. 36)¹.

„საზამთროდ დერბენტში დავსახლდი, — სწერდა ა. შიფნერს პ. უსლარი 1863 წ. 19 ოქტომბერს — ჩემი მოგზაურობის დროს (დაღესტანში) მე შევარჩიე ნიჭიერი მთარგმნელები, რომელთაც გამოვიხმობ ერთი მეორის შემდეგ“ („ლაკ. ენა“, წერილები, გვ. 6)... დარგულისა და თაბასარანულის შესწავლისას ასეთი ნიჭიერი თანამშრომლების შერჩევა პ. უსლარმა ვერ შეძლო. 1867 წ. 6 ივნისს იგი ა. შიფნერს ატყობინებს: „ეს ზაფხული ნავარაუდევია მაქვს მოვანდომო ხიურკილიური ენის გრამატიკული ნარკვევის ლითოგრაფიულად დაბეჭდვას. ხიურკილის ვუწოდებ ავუმურ-ხაიდაყურ დიალექტს. ამ გამოკვლევისათვის ძალიან ბევრი შრომა დამჭირდა იმის გამო, რომ მეტის მეტად ძნელი იყო, რამე მიმეხვედრებინა ამ ველურებისათვის“... (! — ა. ჩ.). თაბასარანულის შესახებ პ. უსლარი 1871 წ. 16 სექტემბერს იმავე შიფნერს სწერს: „თითქმის უკვე წელიწადია, რაც შევუდექი თაბასარანული ენის გამოკვლევას, მაგრამ იძულებული ვარ წარა-მარა ვიცვალო ხელმძღვანელები იმიტომ, რომ თაბასარანელები მეტის მეტად უთავბოლონი არიან და არაფრით არ ხერხდება განვუვითარო მათ გრამატიკული გაგების ნასახიო“ — („ლაკ. ენა“, წერილები, გვ. 38). — აქაც პ. უსლარი, თანამშრომლებით უკმაყოფილო, მთელ ხალხს უდიერად იხსენიებს; ასეთი რამ მეფის რუსეთის მოხელეს უფრო შეეფერება, ვინემ განათლებულ ადამიანს, და მით უფრო — მეცნიერს.

ად. ბერკესთვის გაგზავნილ წერილში 1871 წ. 25 მარტს პ. უსლარი ჩივის: „სამუშაოს მსვლელობა არ არის დამოკიდებული ჩემზე და ძალიან მცირედ თვით ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. მთავარი სიძნელე ისეთი ნიჭიერი თანამშრომლების შერჩევაშია, რომელთათვის შესაძლებელი იქნებოდა განგვევითარებინა აზროვნება (! — ა. ჩ.) და გრამატიკული ალლო. ამ მხრივ მე ზოგჯერ ბედი სულ არ მწყალობს, ასე, მაგ., მე იძულებული ვიყავი უკვე ოთხჯერ გამომეცვალა ხელმძღვანელი. ყოველ მათგანთან საქმე თავიდან უნდა დამეწყოს“ („ჩაჩ. ენა“, წერილები, გვ. 50). თაბასარანულზე მუშაობა პ. უსლარს დაწყებული ჰქონდა 1870 წელს. 1875 წელს, როცა უსლარი გარდაიცვალა, მონოგრაფია თაბასარანული ენის შესახებ დამთავრებული არ იყო...

¹ აიდემირ ჭირკველი თურქეთიდან საფრანგეთს ჩავიდა და 1871 წ. — გადმოცემით — პარიზის კომუნის მონაწილე გახდა.

ყოველივე ამაზე ვჩერდებით არა შემთხვევით: რა წესით შეისწავლება ცოცხალი ენა — არსებითი საკითხია, საერთოდ; კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიაში კი ამ არსებითს საკითხს დღემდე სირთულე ახლავს: ნორმალური — სამეცნიერო კვლევა-ძიების თვალსაზრისით — წესი ძნელად იკაფავს გზას. კერძოდ, პ. უსლარის წესი სასურველად როდი მიიჩნევა; და თუ ფასეული მონოგრაფიები დაიწერა, ეს იმიტომ, რომ პ. უსლარი ძლიერი ნიჭის პატრონი იყო და არა იმიტომ, რომ მუშაობის წესი ვარგოდა.

„მსგავსი“ ბგერების გასარჩევად პ. უსლარს თავისებური წესი შეუმუშავებია: ასეთი ბგერის შემცველი რაიმე სიტყვა ცალკე ბარათზე ჰქონდა დაწერილი; ახალი „მსგავსი“ ბგერა რომ გამოჩნდებოდა, მას უდარებდა: ასეთი ხომ არ არისო: აფხ. აცა („ალუბალი“), აწა („ტილი“) აწა („ვაშლი“); ც პ. უსლარისათვის ნაცნობი ფონემა იყო, მაგრამ წ და წო უცნობი და გასარჩევად ძნელი... „ამ რიგის“ ბგერა რომ შეგვდებოდა, ეკითხებოდა დამხმარე პირს „ტილის“ სახელში (აწა) რომ გვხვდება ისაა, თუ „ვაშლში“ (აწა) რომ გვხვდება, ისააო: „მკვლევრის ყურს რომ არ შეეძლო გარჩევა, ადგილობრივ მკვიდრს უნდა გაერჩიაო“, წერს ანტ. შიფნერი და დასძენს: ვწუხვარ, რომ ხუნძურ მასალაზე ხუნძებთან მუშაობისას, არ გამომიყენებია ეს მეთოდი, რომლის შესახებ უსლარმა პირადს ურთიერთობაში მომიტხროო¹.

ამ წესით მუშაობისას შეცდომა რომ არ მოსვლოდა პ. უსლარს, მაგალ., აფხაზურში სულ მცირე 20 „მსგავსი“ ბგერა უნდა ემოწმებინა თანამშრომლებთან: ამ სიტყვაში რომ გვხვდება, ისაა, თუ იმ სიტყვაში რომ ისმისო... მძიმე და მომქანცველი სამუშაო უნდა ჩაეტარებინა, რომ დაწერილშიც განესხვავებინა ის, რაც ენაში გარჩეული იყო. პ. უსლარმა ამ სიძნელეს თავი გაართვა ისე, რომ მისი მონოგრაფიის მკითხველს ვერც კი წარმოუდგენია, რომ უსლარი ამ სპეციფიკურ ბგერებს ვერ არჩევდა... (რომ ვერ არჩევდა, ჩანს იქიდან, თუ როგორ იყენებს, მაგალ., ხუნძურ ფონემათა გადმოცემისას ქართულ წ-ს, ანდა ნიშნებს მაგარი ჩ-სა და ჰ-სათვის...).

როგორც ითქვა, პ. უსლარი ცდილობდა ბგერები გაერჩია ისეთ სიტყვებში, რომლებიც გასარკვევი ბგერითლა განსხვავდებოდა: აფხ. აცა — აწა (იხ. ზემოთ)... ხუნძ.: კალ („პირი“) და კალ („ხევი“)... ბუჰუნ — („კივი“) დთ ბუჰუნ („ცხელ-“)... ბოლო ხანებში ამან საბაბი მისცა ზოგ საბჭოთა ენათმეცნიერს განეცხადებინა: პ. უსლარი ფონემებს, როგორც

¹ A. Schiefner. Ausführlicher Bericht über des Generals... P. v. Uslar Abchasische Studien, 1863, გვ. IV.

მნიშვნელობათა განმასხვავებელ ბეგრებს, ახასიათებდა და... ფონოლოგიის წარმომადგენლად უნდა მივიჩნიოთ... რასაც ა. შიფნერი მოგვითხრობს პ. უსლარის „მეთოდის“ შესახებ, საკმარისია იმის გასარკვევად, თუ რამდენად საფუძვლიანია უსლარის ფონოლოგად გამოცხადება. როცა ასეთ დასკვნას აკეთებენ, ავიწყდებათ, რომ პ. უსლარი თავისებურ თანხმობანთა ზოგად დახასიათებას კი იძლევა, მაგრამ თავის მონოგრაფიებში თანხმობანთა კლასიფიკაცია არა აქვს; ასეთი კლასიფიკაცია „ხუნძურ ენაში“ კი არ მოგვეპოვება, თუმცა ა. შიფნერის შრომაში („ცდა ხუნძურის შესახებ“, 1862 წ.) უკვე მოცემულია ბეგრათა დაჯგუფება; მასთან პ. უსლარი იცნობდა ამ შრომას, როგორც ეს ჩანს მისი წერილიდან ად. ბერჟესადმი (1864 წ. 10 თებერვლის თარიღით), სადაც ვკითხულობთ: „ჩემი ხუნძური გრამატიკა სხვა არაფერია, თუ არ განვითარება ნარკვევისა, რომელიც შიფნერმა შეადგინა თქვენ მიერ შეგროვილი მასალის მიხედვით: არავითარი წინააღმდეგობა აქ არ არის“ („ჩაჩ. ენა“, წერილები ად. ბერჟესადმი, გვ. 35). ბეგრითი სისტემის დალაგებაში „განვითარება“ არა გვაქვს.

პ. უსლარს ძირითად ამოცანად მიაჩნდა მასალის ზუსტად აღწერა, მასთან საკმაო სისრულით: მე კარგად მესმის, რომ ჩემი გრამატიკული შრომები უკმარია, მაგრამ ჩემ დამსახურებად ის მიმაჩნია, რომ ახლა, თითო-ოროლა ფრაზების ნაცვლად, რაც კლაპროტს ჰქონდა ჩაწერილი, წარმოდგენილია მთელი წიგნები, რომლებიც ნამდვილ ლინგვისტებს მდიდარ მასალას მიაწვდის გამოკვლევებისათვის, წერდა პ. უსლარი ა. შიფნერს 1867 წ. 14 თებერვალს („ლაკ. ენა“, წერილები, გვ. 33).

უფრო ადრე 1864 წ. 6 იანვარს პ. უსლარი ა. შიფნერისათვის გაგზავნილ წერილში თავის მიზანს ასე განსაზღვრავდა: „კავკასიური ენათმეცნიერებისათვის იგი მდგომარეობს იმაში, რომ მოვიპოვოთ მასალა, ენათა სტატისტიკა: მწყობრი გრამატიკული დალაგება გამომუშავდება თავის თავად სპეციალისტების მიერ. ჩემი მუშაობის კეთილსინდისიერება იმაში მდგომარეობს, რომ მე ვიწერ ადგილობრივ მკვიდრთა ნათქვამს ფოტოგრაფიული სიზუსტით, — რაიმე შეცდომა 'თუ აღმოჩნდა' ამ მხრივ, ჩემი ბრალი იქნება; დასკვნებში შეცდომა მით უფრო მეპატივება, რომ ადვილად გაასწორებთ, რაკი მასალა ხელთ გექნებათ“ („ლაკ. ენა“, წერილები, გვ. 13). მართლაც, ფაქტობრივი ვითარების ზედმიწევნით აღწერა დახასიათებას ძირითად ამოცანად რჩება, სისტემის საკითხი მეორე რიგის საკითხი ჩანს (ხუნძურში, მაგალ., გრამატიკული მიმოხილვა ნაწილაკთა ფუნქციით ანალიზით იწყება; ეს საჭიროა მასალაში გარკვევისათვის, მაგრამ გრამატიკული სისტემის ტრადიციისათვის უცხოა).

ამისდა მიუხედავად, გრამატიკული სისტემის საკითხებს პ. უსლარი, ცხადია, გვერდს ვერ აუქცევდა. თავისებური მასალა, რაკი მისი აღწერა უნდა მოეცა ავტორს, ამას მოითხოვდა.

დალესტნის ენებში ბრუნვათა საერთო რაოდენობა რამდენიმე ათეულამდე აღწევს. რა თქმა უნდა, ყველა ეს ერთეული თანაბარ მორფოლოგიურ ოდენობას არ წარმოადგენს: აქ შემოდის თანდებულიანი ვარიანტები და მათგან ნაწარმოები ნაირსახეობანი. პ. უსლარმა ამ სიჭრელეში გარკვეულობა შეიტანა უკვე ხუნძურზე მუშაობის დროს. ხუნძურში 28 ბრუნვის ფორმა დაადასტურა, მათში გამოყო ოთხი ბრუნვა (პირველადი): სახელობითი, მოქმედებითი (ე. ი. ერგატივი), ნათესაობითი და მიცემითი:

სახელ.	რუყ „სახლი“	გამაჰ „ქვა“
მოქმედ.	რუყალ'ა	განჭიცა
ნათეს.	რუყალ'ულ	განჭილ
მიც.	რუყალ'ე	განჭიდე

ყველა სხვა ბრუნვა (თანდებულიანი) პ. უსლარის აზრით ექვს ჯგუფს ქმნის:

- | | | | | | |
|------|---------------|--------------------|-----|---------------|----------------|
| I. | როყო-უ | „სახლში“ | II. | განჭი-ლ'ა | „ქვაში“ |
| | როყოსან | „სახლში-გამჭოლ“ | | განჭილ'ან | „ქვაში-გავლით“ |
| | როყოსა | „სახლიდან“ | | განჭილ'ა | „ქვაში-დან“ |
| | როყოვე | „სახლისაკენ“ | | განჭილ'ე | „ქვაში-საკენ“ |
| III. | განჭიტა | „ქვის-ქვეშ“ | IV. | განჭი-და | „ქვაზე“ |
| | განჭიტან | „ქვის-ქვეშ-გავლით“ | | განჭიდასან... | |
| | განჭიტა | „ქვის-ქვეშ-იდან“ | | განჭიდასა... | |
| | განჭიტე | „ქვის-ქვეშ-ისაკენ“ | | განჭიდე... | |
| V. | განჭიტა | „ქვაზე“ | VI. | განჭიჯ | „ქვასთან“ |
| | განჭიტასან... | | | განჭიჯან... | |
| | განჭიტასა... | | | განჭიჯა... | |
| | განჭიტე... | | | განჭიჯე | |

(წერილი ა. შიფნერს 1864 წ. 24 აპრ., „ლაკ. ენა“, გვ. 27-29).

პ. უსლარი შენიშნავს, რომ ყველა სახელისაგან ყველა ეს ფორმა არ იწარმოებაო... მართებულია მისი ვარაუდი, რომ ყველა ამ ფორმის (თუ წარმოების) მნიშვნელობა ან მდგომარეობას აღნიშნავს (სად?) ანდა მოძრაობას (საითქენ? საიდან?)... მნიშვნელოვანია ოთხი ერთეულის

(სახელ., ერგ., ნათ., მიც.) ცალკე გამოყოფა... ესაა ამოსავალი; რაკი და-
ლესტნის (და სხვა იბერიულ-კავკასიურ) ენებში წინდებულების მაგივრო-
ბას თანდებულები ეწევა, ისინი ბრუნვის ფორმებს „შეეზრდება“ და ახალ
„ბრუნვას“ ქმნის (თანდებულები მეტ-წილად ზმნისართებისაგან მომდინა-
რეობს: ზმნისართებიც, მაგალ., „ქვეშ“... შეიძლება შეეზარდოს ბრუნვის
ფორმას).

„წარმოგიდგენთ, — სწერს ა. შიფნერს პ. უსლარი, — ჩემ მიერ და-
ძებნილ ბრუნებათა სისტემას¹, რომელიც კარგად უდგება მთის ყველა ენას
და რამაც ღიად გამიადვილა მუშაობა. ვფიქრობ გამოვიყენო იგი ჩაჩნური
ენის მიმართ, თუ მომიხდა კვლავ მასზე მუშაობაო“ (იქვე, გვ. 27)... ბრუნ-
ვათა შორის ამოსავალი ოთხი ბრუნვის, შემდეგ — თანდებულის ბრუნვა-
თა გამოყოფა და მათგან ნაწარმოებ ერთეულთა გარჩევა — პ. უსლარის
დამსახურებას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ზედმიწევნით დადგე-
ნილ ფაქტს მართებული სისტემის დამუშავება ეფარდება.

პ. უსლარის ყურადღება მიიპყრო სახელის დაჯგუფებამ
გრამატიკულ კლასებად და გარდამავალი ზმნის თა-
ვისებურებამ. ცნება გრამატიკული კლას-კატეგორიისა პ. უსლარის
დროს არ იყო დადგენილი; მის ნაცვლად გრამატიკული სქესი იხმარებო-
და. პ. უსლარი გრძნობს, რომ სათანადო ფაქტებისათვის უფრო ზოგადი
ცნება უნდა იყოს ამოსავალი: სხვადასხვა ენაში დაჯგუფება
სხვადასხვა ნიშნის მიხედვით წარმოებს. პ. უსლარი ამ
საკითხზე ჩერდება ჩაჩნური ენის „გრამატიკული წყობის“ შესახებ ნარკვევ-
ში. იგი წერს: „ბევრ ენაში მოგვეპოვება საგნების რამდენიმე კატეგორიად
დაყოფა, რომელიც დამყარებულია სხვადასხვა საფუძველზე; ასეთია, მაგა-
ლითად, დაყოფა სქესებად (по родам), დაყოფა სულიერ და
უსულო საგნებად. რუსულში დაყოფას საფუძველად უდევს ორივე;
აფხაზურში არსებობს დაყოფა სქესების მიხედვით; არა გვაქვს დაყოფა
სულიერ და უსულო საგნებად, მაგრამ გაირჩევა გონიერი და არა-
გონიერი. ისეთი საგნების დანაწილება სქესებად, რომელნიც თავისი
ბუნებით ასეთ დაყოფას არ ექვემდებარებიან, საერთოდ დიდ სიძნელეს
ქმნის უცხო ენის შესწავლისასაო“ („ჩაჩ. ენა“, § 9).

ჩაჩნური ექვს კატეგორიას განასხვავებს: პირველი ორი კატეგორია
ადვილი დასადგენია: აქ შემოდის გონიერი არსება — მამრობითი სქესისა I
კატეგორიაში (და „მამა“, მწრ „ქმარი“, ლმარუო „მთიელი“...), მდედრო-
ბითისა — II-ში (ნანა „დედა“, ზუღა „ქალი“, დიშა „და“...) (§ 10). მაგრამ

¹ „...приисканную мною систему склонений“. — П. Услар. Лак. яз., Письма, стр.
27. მოსალოდნელი იყო: „ბრუნვათა სისტემა“ ანდა „ბრუნების სისტემა“.

დანარჩენ ოთხ კატეგორიაში შემოდის, როგორც ცოცხალი არსება, ისე არაცოცხალი საგანი, განყენებული ცნება. კატეგორიათა სხვაობა აღინიშნება ზმნაში: მეშველი ზმნა მხოლ. და მრავლ.: III კატეგ. -**აუ—აუ**... IV კატეგ.: **ბუ—აუ**... V კატეგ.: **აუ—აუ**... VI კატეგ.: **ბუ—ბუ**.

...ბუორზ „მგელი“, გაურ „ცხენი“, ქუოთამ „ქათამი“... მე ს ა მ ე კ ა ტეგორიას განეკუთვნება (**ა — ა**); მაგრამ: ათ „ძროხა“, სთუ „ხარი“, სად „ირემი“, მოზუ „ბუზი“... მე ო თ ხ ი ს ა დ (**ბ — ა**) მიიჩნევა; ლომი „ლომი“, კეზი „ლეკვი“, ციციგ „კატა“, ზინგათ „ჭიანჭველა“ — მე ხ უ თ ე კატეგორიისა (**ა — ა**); მუჯ „ქერი“, ბუც „ბალახი“, ტულაგ „ქვა“, ხუოხ „ხახვი“, ხათ „ტალახი“, ფაადა „სარგებლობა“ — მეექვსე კატეგორიისა (**ბ — ბ**)...

„მიუხედავად ყოველი ცდისა, — წერს პ. უსლარი, — მე ვერ შევძელი გამერკვია ის კანონები, რომელთა თანახმადაც ეს სიტყვები სხვადასხვა კატეგორიებს განეკუთვნება. ეს კანონები სრულიად გაუგებარია იმ რამდენიმე ჩაჩანისათვის, რომელთაც შეითვისეს უნარი გრამატიკულად განიხილონ თავისი დედა-ენა. მეორე მხრივ, ძალზე საყურადღებოა, რომ ყოველ ჩაჩანს აქვს უცთომელი უნარი მიხვდეს, სად უნდა იხმაროს **აუ**, სად — **აუ**, სად — **ბუ**. ჩაჩური ენა... იყოფა დიალექტებად, მაგრამ მე მარწმუნებდნენ, რომ ჩემთვის ესოდენ გაურკვეველ საკითხს — **აუ**, **აუ**, **ბუ** — ყველა ჩაჩანი ერთნაირად წყვეტსო... ის მცირერიცხოვანი რუსული სიტყვები, რაც ჩაჩურში დამკვიდრდა, მაშინვე დაექვემდებარა შეთანხმების ამ უცნაურ კანონებს; ასე, მაგალ., „სამოვარი“ მოითხოვს **აუ**-ს („არის“), „ჩაი“ კი — **აუ**-ს. უდაოა ისიც, რომ ბგერითს გამოხატულებას არავითარი წილი არ უდევს: ამაში გვარწმუნებს ის შემთხვევები, როცა ორი სიტყვა ერთნაირად ბგერს ორ სხვადასხვა კატეგორიისაა: ჩა „ჩალა“ — **აუ**, **აუ**, ჩა „დათვი“ — **აუ**, **აუ** („ჩაჩ. ენა“, § 11). პ. უსლარს რამდენიმე ასეული სახელი შეუძომწმებია, უცდია სათანადოდ დაეჭუფებინა ისინი; ბოლოს ისევ იმ დასკვნას იმეორებს: არაგონიერ საგანთა სახელების გრამატიკული კატეგორიის განსაზღვრა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია რაიმე წესებს დავუქვემდებაროთო (იქვე, § 12, გვ. 14).

ასმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც პ. უსლარმა ეს დაწერა... დღესაც „შეუძლებელია რაიმე წესებს დავუქვემდებაროთ“ არაგონიერთა სახელების განაწილება III, IV, V და VI კლასებს შორის: სათანადო კანონზომიერება ჯერაც გამოვლენილი არაა. პ. უსლარი სათანადო ჯგუფებს უწოდებს „კატეგორიებს“. „ექვსი კ ა ტ ე გ ო რ ი ა“... „ოთხი კ ა ტ ე გ ო რ ი ა“... „სახელების განაწილება სხვადასხვა კ ა ტ ე გ ო რ ი ა დ“... ჩაჩური ენის სასკოლო გრამატიკებში ამჟამად ხმარობენ ტერმინ „სქესს“, მიუხედავად იმისა, რომ სქესი სამზე მეტი არაა ცნობილი (იმ ენებში, სადაც

სქესებს განარჩევნ), ჩაჩნურში კი ექვსი ჯგუფია განსასხვავებელი... „კატეგორია“ ცნების გამოყენება — ნაცვლად „სქესისა“ — პ. უსლარის დამსახურებაც არის და მისი ენათმეცნიერული აზროვნების დონეს ახასიათებს; მას გათვალისწინებული აქვს, რომ საგანთა სახელები სხვადასხვა ენაში ნაწილდება სხვადასხვა საფუძველზე.

ბრუნვათა შორის პ. უსლარს არც ჩაჩნურში, არც ხუნძურსა, ლაკურსა, დარგუულსა და ლეზგიურში აკუზატივი (ბრალდებითი) დასახელებული არა აქვს (აფხაზურში ნათესაობითი, მიცემითი არ გაირჩევა; ცხადია არც ერგატივისა და აკუზატივის საკითხი დადგებოდა). ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ აკუზატივი არ გაირჩევა სახელობითისაგან, როგორც ამას ზოგი ავტორი ფიქრობდა. არა, პ. უსლარი ამ ბრუნვის საკითხს კანონზომიერად უკავშირებს ზმნის საკითხს: აკუზატივში დაისმის გარდამავალი ზმნის ობიექტი ინდო-ევროპულ ენებში; ეს გარდამავალი ზმნა მოქმედებითი გვარისაა. ჩაჩნური გარდამავალი ზმნა არ არის მოქმედებითი გვარისა; თავისი ბუნებით ის ვნებითია; ვნებითი გვარის ზმნა კიდევ აკუზატივს ვერ იგუებს.

ამგვარად: აკუზატივის უქონლობა ბრუნებაში პ. უსლარმა ჩაჩნური გარდამავალი ზმნის თავისებურების საკითხს დაუკავშირა და მთლიანი კონცეფციის სახით ჩამოაყალიბა: „სათანადო სიცხადით რომ გავიგოთ ჩაჩნური ზმნის აგებულება, — წერს პ. უსლარი, — ...პირველ ყოვლისა, უნდა დავრწმუნდეთ იმაში, რომ ჩაჩნურს ენაში სრულებით არ მოგვეპოვება მოქმედებითი, გარდამავალი ზმნები, არამედ მხოლოდ და მხოლოდ საშუალო და ვნებითი. ჩვენ, მაგალითად, ვამბობთ: я люблю брата, отец любит сына, მაგრამ შეგვიძლია სხვა კონსტრუქციაც მივსცეთ წინადადებებს: брат любим мною, сын любим отцом. ეს უკანასკნელი კონსტრუქცია არის ერთად-ერთი შესაძლო კონსტრუქცია ჩაჩნურს ენაში. ჩაჩნური წინადადების წყობასთან უფრო ახლოს ვიქნებით, თუ გადავთარგმნით მათ ასე: мне любит брат, отцу любит сын... („ჩაჩ. ენა“, § 49)...

„ავიღოთ მოქმედებითი გვარის ზმნა делать — განაგრძობს პ. უსლარი. ჩაჩნურ ენაზე აწმყოში გვექნება: „ჩემით კეთდება“ („мною делается“), „შენით კეთდება“ („тобою делается“), „მისით კეთდება“ („им делается“), „ჩვენით კეთდება“ („нами делается“) და სხვ.: „კეთდება“ („делается“) უცვლელად რჩება, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი პირები იცვლება. მაგრამ თუ საგანი, რასაც მოქმედება ეხება, მრავლობითში დაისმის, ვიტყვი: мною делается მსგავსი ცვლილება ჩაჩნურ ენაში შეიძლება წავიდეს უფრო შორს: ზმნაში შეიძლება აღინიშნოს არა მხოლოდ რიცხვი, არამედ სქესიც

ანუ უკეთ ვთქვათ, კატეგორია, რომელსაც განეკუთვნება საგანი, რომელზედაც მიმართულია მოქმედება“... („ჩაჩ. ენა“, § 49)...

პ. უსლარი დაასკვნის: „ყოველივე იმისაგან, რაც ითქვა, გასაგები ხდება, რატომაა, რომ ჩაჩნურში, რომელსაც ასე ბევრი ბრუნვა¹ აქვს, აკუზატივი არ მოიპოვება. აქ ვერ ვიტყვით, რომ აკუზატივი ყოველთვის მსგავსია სახელობითსა. აკუზატივი არ შეიძლება არსებობდეს „ჩაჩნურში“ ჩაჩნური ზმნის თვისების გამო“² („ჩაჩ. ენა“, § 49, გვ. 65). აკუზატივი არ მოიპოვება ბრუნვათა შორის თუ: აკუზატივი არ გაირჩევა სახელობითისაგან — არსებითად განსხვავებული დებულებაა. მარი ბროსეც კი წერდა: აკუზატივი ყოველთვის ემსგავსება სახელობითსა... ამასვე ვკითხულობთ ი. კლაპროთისად მიჩნეულ ტექსტში. აკუზატივი არ განსხვავდება სახელობითისაგან³... ამგვარ გაგებას უპირისპირდება პ. უსლარის დებულება: აკუზატივი არ ემსგავსება სახელობითს (ანლანდელი ტერმინებით რომ ვთქვათ: აკუზატივს ნიშნის უქონლობა კი არ ახასიათებს, აკუზატივი **არამარკირებული** ბრუნვა კი არ არის), აკუზატივი საერთოდ, არ შეიძლება არსებობდეს, და ეს შემთხვევითი კი არაა, კანონზომიერია: აკუზატივი შეუძლებელია არსებობდეს ბრუნვათა შორის იმიტომ, რომ გარდამავალი ზმნის ბუნება (ჩაჩნურში) ამგვარი ბრუნვის არსებობას გამორიცხავსო.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: პ. უსლარის შემდეგაც ზოგი ავტორი ვერ ამჩნევდა, რომ აკუზატივი უცხოა იბერიულ-კავკასიური ენების ბრუნვათა სისტემისათვის. ასე, მაგალითად, ფრიდ. მიულერი 1885 წ. წერდა ჩაჩნურის შესახებ: სახელობითსა და აკუზატივს არავითარი განსაკუთრებული ნიშანი არა აქვს, ე. ი. ენაში ესენი არ არიან გაგებული, როგორც ცალ-ცალკე ბრუნვა, მაგრამ მაინც ეს ბრუნვები გარკვეულად უპირისპირდება დანარჩენ ბრუნვებსა...⁴ ფრ. მიულერის წყაროს წარმოადგენდა ანტ. შიფნერის მონოგრაფია ბაცბურის შესახებ და პ. უსლარის „ჩაჩნური ენის“ შესახებ დაწვრილებითი მოხსენება; არც ერთსა და არც მეორეში აკუზატივის შესახებ არაფერია ნათქვამი. პ. უსლარის მონოგრა-

¹ „...при великом избытии падежей“...

² „Здесь нельзя сказать, что винительный падеж всегда сходен с именительным.

Винительного падежа не может существовать по самому свойству чеченского глагола“ — П. Услар, „Чеч. яз.“, § 49.

³ „L'accusatif est toujours semblable au nominatif“ - M. Brosset; *Éléments de la langue géorgienne*, 1837, გვ. XXVI... „L'accusatif... ne diffère pas du nominatif... იქვე, გვ. 13, აგრეთვე „ქართ. გრამ.“, გვ. 43.

⁴ Fr. Müller. „Grundriss der Sprachwissenschaft“, Bd. III, II Abth., I Hälfte, 1885, გვ. 165.

ფიების ტექსტი კი 1885 წ. ჯერ კიდევ არ იყო გამოცემული. 1895 წელს კი პ. უსლარის „ჩაჩნური ენა“ უკვე იყო დაბეჭდილი და უსლარის გაგების შესაბამისად არის კიდევ რ. ერკერტის წიგნში ნათქვამი: „აკუზატივი არ შეიძლება გვქონდეს ჩაჩნურში ამ ენის აგებულების მიხედვითაო“ (რ. ერკერტი: „კავკასიური ძირის ენები“, გვ. 238). მაგრამ ხუნძურის შესახებ ნათქვამია: „სახელობითი და აკუზატივი ფორმალურად ერთნაირია“ (იქვე, გვ. 171)... ლაკურის დახასიათებისას წერია: სახელობითი და აკუზატივი უბრუნვისნიშნო არიანო (იქვე, გვ. 152)... ჩერქეზულ დიალექტთა შესახებ „გრამატიკული შენიშვნები“ მოგვითხრობს: „ისევე, როგორც თითქმის ყველა კავკასიურ ენაში, 'აქაც' აკუზატივს არავითარი საგანგებო ბრუნვის ფორმა არა აქვსო“ (იქვე, გვ. 263).

ერთი სიტყვით აკუზატივი გვაქვს, ოღონდ საგანგებო ბრუნვის ნიშანი არ მოეპოვება (ასევე, ბევრ კავკასიურ ენაში სახელობითს). პ. უსლარმა აკუზატივის საკითხი პრინციპულად გადაწყვიტა: აკუზატივი მთის კავკასიურ ენათათვის უცხოა, ამ ენების ბრუნვათა სისტემაში აკუზატივი არ შეიძლება გვქონდესო.

ახლა რაც შეეხება გარდამავალი ზმნის დახასიათებას. გარდამავალ ზმნას პ. უსლარი თვლის პასიურად; ამოსავალია ზმნის სინტაქსური ურთიერთობა სახელთან; გარდამავალი ზმნა შინაარსობლივ უკავშირდება ორ სახელს: ერთია რეალური სუბიექტი, მეორე — რეალური ობიექტი; პირველი დგას ერგატივში („მოქმედებითში“ — პ. უსლარის გაგებით), მეორე — სახელობითში; ასეა ჩაჩნურშიც, ხუნძურშიც; გარდამავალი ზმნა აღნიშნავს რეალური ობიექტის კლასს (თუ ზმნაში გრამატიკული კლასის ნიშნები გარჩეულია), მაგრამ არ აღნიშნავს რეალური სუბიექტისას; სხვანაირად რომ ვთქვათ, ეთანხმება რეალურ ობიექტს („პირდაპირ ობიექტს“), რომელიც სახელობითშია; მაგრამ არავითარ დამოკიდებულებაში არ არის რეალურ სუბიექტთან, რომელიც ერგატივშია („მოქმედებითშია“): ინსუცა (ერგატ.) ხურ (სახელ.) ბ-ეტაანა „მამამ ყანა (მიწა) მოხნა“: **ბ**-პრეფიქსი რეალური ობიექტის (ხურ) კლასზე მიუთითებს, რეალურ ობიექტს უთანხმდება.

ამან აფიქრებინა პ. უსლარს ასეთი წინადადება გაეტოლებინა ვნებითი კონსტრუქციისათვის: „ყანა მოიხნა მამის მიერ“ („მამით“)... ეს გასაგებს გახდის, რატომ უთანხმდება ზმნა სახელს სახელობითში („ყანა“: იმიტომ, რომ ესაა ქვემდებარე!), რატომ არ უთანხმდება რეალურ სუბიექტს („მამით“: იმიტომ, რომ ესაა ირიბი დამატება!), რატომ არ იგუებს გარდამავალი ზმნა ობიექტს აკუზატივში (იმიტომ, რომ ვნებითი გვარის ზმნასთან აკუზატივი არ შეიძლება იყოს ნახმარი)... გარდამავალი ზმნა არ არის მოქმედებითი გვარისა; იგი ჩაჩნურშიც, ხუნძურშიც — ვნებითი ხასიათი-

საა; თუ გარდამავალი ზმნა ვნებითია, ენას აღმოაჩნდება მხოლოდ ს ა -
შ უ ა ლ ო და ვ ნ ე ბ ი თ ი ზმნები...

ასეთია პ. უსლარისეული ინტერპრეტაცია იმ კონსტრუქციისა, რომელსაც ქმნის გარდამავალი ზმნა: ესაა გარდამავალი ზმნის პასიურობის კონცეფცია. მართალია, პ. უსლარი არც გარდამავალი ზმნის კონსტრუქციას უწოდებს „ერგატიულს“, არც „პასიურობის კონცეფციაზე“ ლაპარაკობს, მაგრამ ეს ტერმინების საქმეა და არა ცნებებისა: ცნებები კი ჩამოყალიბებულია გარკვევით... შეიძლება ითქვას: გარდამავალი ზმნისეული კონსტრუქციის ინტერპრეტაცია არც ერთს კონცეფციაში არ არის ისე მთლიანი და თანმიმდევრული, როგორც უსლარის კონცეფციაში. ჩაჩნურისა და ხუნძურის ფაქტებს ეს კონცეფცია ხსნის დაუბრკოლებლად.

სიძნელეებს აჩენენ ლაკური და დარგუული: აქ გარდამავალ ზმნაში შეიძლება რეალური ობიექტის გარდა აღინიშნოს რეალური სუბიექტიც (აღინიშნოს კლასი ობიექტისა და პირი სუბიექტისა). ამით საფუძველი ეცლება რეალური ობიექტის ქვემდებარედ მიჩნევას და რეალური სუბიექტის გათანაბრებას ირიბ დამატებასთან. გარდამავალი ზმნა, რომელიც სუბიექტსაც უწევს ანგარიშს, ვერ გაუტოლდება ვნებითს უსლარის თვალსაზრისით, და ამ დასკვნას აკეთებს კიდევ პ. უსლარი. ლაკური გარდამავალი ზმნის ანალიზის საფუძველზე იგი წერს: „ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ დაბოლოება ეთანხმება მოქმედ პირს, თუ ეს არის პირველი ანდა მეორე, და იმ პირს, რომლისკენაც მიმართულია მოქმედება, თუ მოქმედებს მესამე პირი, ე. ი. **პირველსა და მეორე პირში ფორმას აქვს მოქმედებითის მნიშვნელობა, მესამეს კი — ვნებითისა**“ („ლაკ. ენა“, § 184, გვ. 144; ხაზი ჩვენია — ა. ჩ.; იხ. აგრეთვე § 194, გვ. 155).

პ. უსლარი თითქოსდა გრამატიკული **სისტემის** საკითხებს ერიდებოდა (სანდო მასალის მოპოვებას ვცდილობო); ნამდვილად კი გრამატიკული სისტემის საკვანძო საკითხები (ბრუნვათა სისტემა, აკუზატივის უქონლობა, ერგატივის გათანაბრება მოქმედებითთან, გარდამავალი ზმნის მიჩნევა პასიურად, სახელთა დაყოფა კატეგორიებად) დასვა და თავისი გაგება წარმოადგინა. ეს გაგება მაშინაც საყურადღებოა, როცა დამაჯერებელი არ არის.

პ. უსლარი კავკასიურ ენებს სწავლობდა კავკასიის ხალხთა ისტორიასთან დაკავშირებით. პ. უსლარის აზრით, კავკასია (კავკასიის მთიანეთი) ისტორიულად ხალხთა თავშესაფარს წარმოადგენდა. ერთს თავის წერილში ა. შიფნერისადმი (1864 წ. 24 მაისის თარიღით) პ. უსლარი ლაკურის შესახებ ამბობს: „ეს არის ერთ-ერთი წვერი სამხრულ-დაღესტნური ოჯახის ენათა, რომლებიც უფრო ძირეულ-მკვიდრნი არიან (**коренно-туземны**) კავ-

კასიაში, ვინემ ჩაჩხური და ხუნძური, — გავიმეორებ ერთხელ კიდევ ჩემს სრულ რწმენას: აქ ხალხების მოწოლას ადგილი ჰქონდა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ“ („ლაკ. ენა“, წერილები, გვ. 30). მსგავსი ხასიათის საინტერესო მოსაზრებები კერძოობით საკითხებზე პ. უსლარს არა ერთი აქვს გამოთქმული.

რა აზრისა იყო პ. უსლარი ისეთი ძირითადი საკითხის შესახებ, როგორცაა, კავკასიურ ენათა ურთიერთობა? შემაჯამებელი ხასიათის შრომა, სადაც ასეთი საკითხი იქნებოდა გარჩეული, პ. უსლარს არ დარჩენია¹. ერთ აღრინდელ წერილში ად. ბერჟესადმი 1864 წ. 10 თებერვალს ასეთი აზრი აქვს პ. უსლარს გამოთქმული: „ახლა უკვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ძველი სამყაროს ენათა დიდ ოჯახებს — ინდო-ევროპულს, სემიტურს, კუშიტურს (კობტურს, ეთიოპურს) და ურალურ-ალთაურს, უნდა მივუმატოთ კიდევ სრულიად თავისთავადი ოჯახი კავკასიურ ენათა, ვინაიდან ყველა ეს ენა, მიუხედავად გასაოცარი ნაირგვარობისა, წარმოგვიდგენს, ღრმა ნათესაურ თვისებებს. სომხური ენა ინდო-ევროპულია; ქართული, როგორც ჩანს, კავკასიური ენაა, და, საფიქრებელია, ყველაზე შესანიშნავი მთელს ოჯახში. ქართული ენის გრამატიკული აგებულების შესახებ ნარკვევის გარეშე ჩემ მიერ მოფიქრებული «მრავალენოვანი კავკასია» (**Caucase polyglotte**) არ იქნება დამთავრებული“ („ჩაჩ. ენა“, წერილები, გვ. 35). კარგად არის ნათქვამი: „გასაოცარი ნაირგვარობა“ და მაინც: „ღრმა ნათესაური თვისებები“... ქართული ენა კავკასიურია, ე. ი. ქართველური ენები და მთის კავკასიური ენები მონათესავე ენებია...

სამწუხაროდ, ამ აზრის დასაბუთება პ. უსლარს არსად მოუცია. მოიპოვება ზოგი წერილი, სადაც პ. უსლარი ამავე საკითხს ეხება, მაგრამ პასუხს იძლევა სათუო მსჯელობის სახით. ასეთია, მაგალითად, პ. უსლარის საგაზეთო წერილი: „ბ. კამენევის ლინგვისტური შრომების შესახებ“. წერილი ეხება ვინმე კამენევის (ინიციალები არაა ნაჩვენები!) შრომას ადიღეური ენის (აბძახური კილოს) შესახებ (კამენევი მოხელე იყო; მას წესად ჰქონია შეესწავლა ის ენა, რომელსაც ხვდებოდა სამსახურის ადგილას). კამენევის შრომა 75 აბძახური ფრაზის დაწვრილებითს ანალიზს შეიცავს... დახასიათებულია კამენევის მუშაობის წესი... წერილის ბოლო აბზაცში გკითხულობთ: „გადავათვალთ რა ბ. კამენევის შრომა, მე გამოვიტანე იქიდან სრული რწმენა, რომ ადიღეური ენა უბიხურისა და აფხაზურის

¹ დაუმთავრებელია მისი წერილი „კავკასიურ ენათა დამახასიათებელი თავისებურებები“, რომელიც დაიბეჭდა 1876 წ. კრებულში *Сборник сведений о кавказских горцах*, ნაკვ. IX, გვ. 1-20.

მონათესავეა. ჩემთვის ნათლად გამოიკვეთა კავკასიურ ენათა სამი ჯგუფი: დასავლეთ-კავკასიური, აღმოსავლეთ-კავკასიური და ქართული. ეს უკანასკნელი ჩემთვის ყველაზე ნაკლებად არის ცნობილი ანუ, გულახდილად რომ ვთქვათ, სრულიად უცნობია. ხომ არ წარმოადგენს ის (შემაკავშირებელ) რგოლს აღმოსავლურსა და დასავლურ ჯგუფებს შორის? ხომ არ წარმოადგენს მათთვის სრულიად უცხო ოჯახს? ამ საკითხების გადაწყვეტა მომავალს ეკუთვნის... და, ალბათ, მე არ მხვდება წილად. *Ars longa et vita brevis!*“ (დერბენტი, 1868 წ. 19 სექტემბერს)¹.

1864 წლის კატეგორიული მსჯელობა — კავკასიურ ენათა სრულიად თავისთავადი ოჯახი უნდა გამოიყოს ინდო-ევროპულის, სემიტურისა და სხვ. ოჯახების გვერდითაო — 1868 წელს შეცვალა ვარაუდმა, რომლის თანახმადაც ასეთი ოჯახი მხოლოდ **შესაძლებლობას** წარმოადგენს.

პ. უსლარისათვის შეხედულების ასეთი შეცვლა არ ყოფილა შემთხვევითი. ამაში გვარწმუნებს წერილი „კავკასიურ ენათა დამახასიათებელი თავისებურებანი“, რომელიც დაუმთავრებელი დარჩა ავტორს და რომელიც დაწერილი ყოფილა უკვე 1869 წელს². პ. უსლარი აქ წერს: თუ უკანასკნელი წლების გამოკვლევებმა ერთგვარი შუქი მოჰფინეს კავკასიის ყელის ენებს..., მოპოებული ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობების განზოგადება ჯერ კიდევ ნაადრევია: მართლა არსებობს თუ არა კავკასიურ ენათა **თავისთავადი** ოჯახი, — ისეთივე თავისთავადი, როგორცაა, ინდო-ევროპული, სემიტური, ალთაური? ეს საკითხი კიდევ კარგა ხანს არ იქნება გადაწყვეტილი. მის გადასაწყვეტად აუცილებელია გამოკვლეულ იქნეს **ყველა** კავკასიური ენა და ყოველი მათგანის **ყველა** კილო... შემდეგ წინ გვიდევს კავკასიურ ენათა ურთიერთ შედარება იმის გასარკვევად, თუ რა ნათესაური თვისებები აკავშირებს მათ ერთ ოჯახად და რა გზით წარმოიქმნა ის განსხვავება, რაც მათ ამორებს ერთმანეთისაგან. მეტად რთული საკითხია და დიდი უთანხმოების საბაზი შეიძლება გახდესო („Сборник сведений о кавказских горцах“, IX, გვ. 1)... „კავკასიურ ენათა ოჯახი“ დასაშვებია, როგორც დროებითი გამონათქვამი, რომელიც, შესაძლოა, გაქრეს საკითხის შემდგომი გარკვევისას“ (იქვე, გვ. 3). შემდეგ ამის შესაბამისადვე ნათქვა-

¹ მართალია წერილი ხელმოწერილია ინიციალებითა პ. უ., მაგრამ ეს ინიციალები ბეტრე უსლარს რომ ნიშნავს, თუნდაც შემდეგიდან ცხადია: წერილის ავტორი მოგვითხრობს — 1861 წლის შემოდგომას მაიკოპის ახლოს უბის ბერზეკთან უბიხურს ვსწავლობდიო... მეცადინეობა მეექვსე დღეს შეწყდა, ყმაწვილი ბერზეკი გაქრა ბანაკიდანაო. ჩემი გრამატიკული ნარკვევი გამოსაჩენად არ ვარგოდა, როგორც ვაგნერის კაცუნაო... 1861 წელს უბიხურს ბერზეკთან მხოლოდ პ. უსლარი სწავლობდა.

² „გამოქვეყნდა (პ. უსლარის გარდაცვალების შემდეგ) 1876 წ. კრებულში *Сборник сведений о кавказских горцах*, ნაკვ. IX, თბილისი, გვ. 1-20.

მია: „კავკასიური ენების“ ქვეშ ჩვენ პირობით ვივარაუდებთ არა ყველა იმ ენას, რომელზედაც ლაპარაკობენ კავკასიის ყელზე, არამედ მხოლოდ იმათ, რომელთა ნათესაობაც რაგინდარა ენებთან კავკასიის გარეთ ჯერ-ჯერობით არაა დადასტურებულიო (იქვე, გვ. 3)... „ივერიულ¹ ენათაგან ყველაზე ნაკლებად დღემდე გამოკვლეულია სვანური, სამაგიეროდ, ქართული ცნობილია ძალიან კარგად და მასზე მოიპოვება მრავალი ლიტერატურული ძეგლი, რომლებიც განეკუთვნება საუკუნეთა გრძელ წყებას“... ბოჰმა ინდო-ევროპულ ენებს განუკუთვნა ივერიული ენები, მაგრამ მის დასკვნებს ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს. ბროსე — „თანამედროვე უდიდესი ავტორიტეტი საქართველოს ისტორიისა“ — აგრეთვე ამტკიცებდა ამ ენათა ინდო-ევროპულობას, მაგრამ თვითონვე ეჭვით უყურებდა თავის მტკიცებას... „იქნებ მოულოდნელი შუქი მოეფინოს კავკასიურ ენებს, როცა გამოკვლეული იქნება მათი დამოკიდებულება ივერიულ ჯგუფთან. მაგრამ სათანადო სამუშაო ჯერ კიდევ ვერ განხორციელდება იმიტომ, რომ მთის კავკასიური ენები არაა ცნობილი საკმარისად. სვანურ ენასა და აფხაზურს შორის ჯერ-ჯერობით არაა დაძებნილი თვალსაჩინო კავშირი, რამდენიმე ძირის გარდა, რომლებიც საკითხის გასარკვევად ცოტა რასმე იძლევიან“ (იქვე, გვ. 4, ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

დამახასიათებელია ასეთი ადგილიც პ. უსლარის წერილში ად. ბერჟესადმი (1870 წ. 20 აპრილის თარიღით): როცა რვა წლის წინეთ კავკასიურ ენათა გამოკვლევას ვიწყებდი, მე იმედი მქონდა, აქ ვიპოვიდი განცალკევებულ წევრებს არიულ, სემიტურ, ფინურ და სხვ. ენათ-ოჯახისა. არაფერი ამის მსგავსი არ აღმოჩნდა. მთის ენები ქმნიან ცალკე ოჯახს ანდა რამდენიმე ცალკე ოჯახსაც კი („ჩაჩნ. ენა“; წერილები, გვ. 49. ხაზი ჩვენია — ა. ჩ.)... როგორც ვხედავთ, აქ მთის ენათა საკითხშიც კი არ გვაქვს გარკვეულობა: იქნებ ცალკე ოჯახია, იქნება — რამდენიმე ოჯახიც კიო.

ამრიგად, 1864 წ., როცა ახალი დაწყებული ჰქონდა მუშაობა მთის ენებზე, პ. უსლარი კავკასიურ ენათა ერთობლიობას ცალკე „კავკასიურ ენათა ოჯახად“ მიიჩნევდა უყოყმანოდ. 1868, 1869, 1870 წ.წ., როცა აფხაზური, ჩაჩნური და დაღესტნის ოთხი ძირითადი ენა დამუშავებული ჰქონდა, პ. უსლარი კავკასიურ ენათა მიჩნევას ცალკე ოჯახად სათუოდ

¹ „მე მგონია, — შენიშვნაში წერს პ. უსლარი, — ეს სახელწოდება შეიძლება დამკვიდრდეს ენათმეცნიერებაში. რუსულად, რასაკვირველია, უნდა დაიწეროს *иверский* და არა *иберский* რადგანაც *Иверія* *Иверия* ნასესხებია ბერძნულიდან, ბერძნული *ბ* გადმოიცემა ვ-თი და არა ბ-თიო (გვ. 4).

თვლის (ამაში დიდი წილი უდევს იმას, რომ ქართული ენის ჩვენება არაა გათვალისწინებული); თვით მთის კავკასიური ენების გენეზისური ერთიანობაც კი უდაოდ არ მიაჩნია.

მოკლედ პ. უსლარის ზოგად ენათმეცნიერულ შეხედულებათა შესახებ: პ. უსლარი, განათლებით ინჟინერი, ენათა კვლევისას ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების თვალსაზრისზე იდგა და ითვალისწინებდა თავისი დროის მიღწევებს, რაც ენათა მეცნიერულ შესწავლაში იყო მოპოვებული. პ. უსლარი ნათლად ხედავდა იმ სხვაობას, რაც წინარემეცნიერულ შედარებასა და ისტორიული ენათმეცნიერების შედარებას შორის არსებობს.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს პ. უსლარის აზრი იმ მნიშვნელობაზე, რაც გრამატიკულ წყობას აქვს ენაში და რაც ლექსიკის ადგილს ახასიათებს... „გასულ საუკუნეში და მიმდინარე (ე. ი. XIX) საუკუნის პირველ მეოთხედში სიტყვათ-კონის მიხედვით შესაძლებლად მიაჩნდათ ენაზე წარმოდგენის შექმნა. ახლა ასეთ სიტყვათ-კონის შედგენა დროის უწყინარ და სასიამოვნო გატარებად ითვლება“... („ჩაჩნ. ენა“, გვ. 13). „...ვისაც სურს იშრომოს შედარებითი ენათმეცნიერების სასარგებლოდ, მან ყურადღება უნდა მიაქციოს ენის გრამატიკული წყობის გამოკვლევას ანდა მასალის მომზადებას ასეთი გამოკვლევისათვის“ („ჩაჩნ. ენა“, გვ. 16).

„გრამატიკული გამოკვლევა, თუ იგი ჯეროვნად წარიმართა, შესაძლებლობას ბადებს ნამდვილი შედარებითი ლექსიკონის მასალის შესაგროვებლად. არაფერს ამტკიცებს სიტყვათა არც მსგავსება, არც განსხვავება შესადარებელ ენებში. მსგავსება შეიძლება მივაწეროთ სესხებას, სხვაობა — ერთი და იმავე ცნების გამოხატვის სხვაობას: მაგალ., ცხენი და ტაიჭი (конь და лошадь)... უნდა შევადაროთ სიტყვის ძირებს. თუ სიტყვა ნასესხებია სხვა ენიდან, მას არა აქვს ძირი იმ ნიშნულში, სადაც გადმორგეს; ასე, მაგალ., გვაქვს ფოტოგრაფია, ფოტოგრაფიული, ფოტოგრაფირება, ფოტოგრაფი, მაგრამ ამ სიტყვის ძირი რუსულში არა გვაქვს“ (იქვე, გვ. 17)... „ძირების დაძებნა ყოველთვის როდია ადვილი; მეტ წილად მათი პოვნა შესაძლებელი ხდება მხოლოდ რამდენიმე მონათესავე ენის შედარებითი კვლევის გზით. ერთი ენა შევლის მეორეს“ (იქვე, გვ. 18).

„შეაერთეთ ასეული სიტყვათ-კონა, აქედან არ გამოვა არაფერი, შედარებითი ლექსიკონის მსგავსი“ (იქვე, გვ. 18)... „პეტრე დიდის დროინდელ ოფიციალურ მიმოწერაში რუსული ენა აივსო უცხო სიტყვებით. სიტყვათ-კონის თვალსაზრისზე მდგომი ამ ენას მიიჩნევდა ლათინურად ანდა ფრანგულად, იქნებ ჰოლანდიურად..., მაგრამ ეს ენა იყო რუსული: ნაშვილები სიტყვები იბრუნვოდა, იუღვლოდა... რუსულად. ფილოლოგს ეჭვი არ შეუ-

ვიდოდა, რომ ეს რუსული ენაა... ამგვარად, ენის მთავარი თავისებურება მის მკვდარ მასალაში (იგულისხმება: ლექსიკა — ა. ჩ.) კი არაა, არამედ — გრამატიკაში. ვანა შეიძლება რომელიმე ენა არ ითვლებოდეს (ამ) ენად მხოლოდ იმიტომ, რომ მასში სიტყვათა ნახევარი ნასესხებია სხვა ენისაგან? შეიძლება კი ნასესხები იყოს მასში სხვისი გრამატიკის ნახევარი? ასეთი რამ რომ მომხდარიყო, ეს ენა იქნებოდა საოცრება, რაღაც მსგავსი სიამის ტყუპებისა...“ (იქვე, გვ. 16).

გრამატიკის, ლექსიკის, ნასესხები მასალის როლის, სიტყვათ-კონისა და შედარებითი ლექსიკონის გაგებაში პ. უსლარი შეგნებულად დგას შედარებითი ენათმეცნიერების თვალსაზრისზე.

პ. უსლარის მსჯელობაში ენის რაობაზე ნათლად იგრძნობა, ერთი მხრით, შლაიხერის ნატურალიზმი, მეორე მხრით, ვილ. ჰუმბოლდტის კონცეფციის გავლენა.

ერთს ოსს ვპკითხე — წერს პ. უსლარი — რაიმე გადმოცემა თუ არსებობს თქვენი ხალხის წარმოშობის შესახებ-მეთქი. „როგორ არა! ჩვენ ერთი წარმოშობისანი ვყოფილვართ გერმანელებთანაო!“ ამან დამაინტერესა. რომ ჩავეკითხე, მიპასუხა: „რამდენიმე წლის წინეთ ვიღაც სწავლული გერმანელი იყო ჩვენთან და იმან თქვაო... მას შემდეგ ხალხში ასე ამბობენო“... ესეც თქვენი გადმოცემა!“ — შენიშნავს უსლარი და დასძენს: „არც ენის, არც მიწა-წყლის გაყალბება არ მოხერხდება. ესენია მართალი, ამოურწყველი თავისი დასკვნებით, მათიანეები. ასეთი მათიანეები კავკასიის ყველა ხალხს აქვს, — ისევე, როგორც დედამიწის ყველა ხალხს. ამ მათიანეების მიხედვით შეიძლება შევქმნათ ხალხის ნამდვილი ისტორია“ („ჩაჩ. ენა“, გვ. 6-7). ...ენის გაყალბება არ შეიძლება — ეს იყო შლაიხერის დებულება (უპირისპირდება დებულებას: წერილობითი ძეგლი შეიძლება იქნეს გაყალბებული!).

ასევე ნიშანდობლივია პ. უსლარის დებულება: „შესაძლოა, რომელიმე უცნობ ენას, რომელზედაც ლაპარაკობს ორი-სამი ათეული ოჯახი და-ღესტნის მივარდნილ კუთხეში, უწერია მოულოდნელად შუქი მოპფინოს წინარეისტორიულ ხანას. ფილოლოგიისათვის არ არსებობს არასაინტერესო ენა; ასევე გეოლოგს გაქვავებული ნიჟარა, წყალმცენარის ანაბეჭდი მოუთხრობენ დედამიწის წარმოქმნის საიდუმლოებას“ („ჩაჩ. ენა“, გვ. 15). ყველა ენა (და არა მხოლოდ სამწერლო!) არის საინტერესო — „ესეც შედარებითი ფილოლოგიის“ დებულებაა (იგი უპირისპირდება კლასიკური ფილოლოგიის დებულებას: ფილოლოგიის საგანი — სამწერლო ენა!).

„ყოველ ენაში არის ორი ელემენტი: ჯერ ერთი, სიტყვის ძირი, ბგერები, მკვდარი მასალა; მეორე მხრივ, გონითი ძალა, რომელიც აცოცხლებს ამ მატერიას, გამსჭვალავს მას, ანიჭებს მას უნარს გამოხატოს ადამიანის აზრის ყველა ნაირსახეობა; ამიტომ ყველა ენა წარმოადგენს სავსებით ორგანულ მთლიანობას, ყველა ენას სრულყოფის ბეჭედი აზის. სიცოცხლის ძალა გამოიხატება ცოცხალ არსებათა, ცხოველთა, მცენარეთა უსაზღვრო ნაირგვარობაში; სავსებით ასევე სიტყვის სასიცოცხლო ძალა გამოხატულებას პოვებს ენათა უსასრულო სხვადასხვაობაში; მეცნიერება ცდილობს ახსნას მცენარეთა სასიცოცხლო ძალა — მის უსასრულო გამოვლინებაში. სიტყვის სასიცოცხლო ძალის ახსნას ცდილობს მეცნიერება, თვალს ადევნებს რა მას ენათა უსაზღვრო სხვადასხვაობაში. ეს მეცნიერება არის შედარებითი ენათმეცნიერება“ („ჩაჩ. ენა“, გვ. 15, ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**); არც ისე დიდი ხანია, რაც ეს მეცნიერება გაჩნდა... მას საფუძველი ჩაუყარა ვილჰელმ ჰუმბოლტმა თავის გენიალურ ქმნილებაში: „ადამიანის ენის ორგანიზმების განსხვავებისა და ამ განსხვავების გავლენის შესახებ კაცობრიობის გონებრივს განვითარებაზე“ (1836 წ. — „ჩაჩ. ენა“, გვ. 15).

აქ პ. უსლარი ყველა ენას თანაბრად ფასეულად თვლის: ყველა ენა „სავსებით ორგანულ მთლიანობას“ წარმოადგენს, ყველას „სრულყოფის ბეჭედი აზის“ (ასეა 1862 წ.). სხვაგვარი დასკვნა კეთდება 1869 წ.: აქ ფლექსიური ენები ითვლება სრულყოფილად; აგლუტინაციური ენები კი „გამოხატავენ მიმართებას ბგერების საშუალებით“, იჩენენ მისწრაფებას ფლექსიისადმი, მაგრამ, როგორც ვილჰელმ ჰუმბოლდტი ამბობს, ჩერდებიან შუა გზაზე ისე, რომ მიზანს ვერ აღწევენ („კავკ. ენათა დამახას. თავისებურებები“ „Сб. свед. о кавк. гор., IX, გვ. 17). ფლექსიური ენების მატარებელ ხალხებს პ. უსლარი განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებს კაცობრიობის ისტორიაში: „უცილობელ დასკვნას ის წარმოადგენს, რომ ისტორიული მეწინამძღვრე მუდამ ის ხალხები იყვნენ, რომელთა ენებშიც მნიშვნელობა და მიმართება გაუთიშავად გადმოიცემა“ (იქვე, გვ. 16); სემიტური და ინდო-ევროპული ხალხების ხვედრია „წაიყვანონ კაცობრიობა სრულყოფისაკენ“ (იქვე, გვ. 16).

უნდა ითქვას, რომ ენათა მორფოლოგიური ტიპის ასეთ ინტეპრეტაციას მეცნიერებასთან საერთო არა აქვს რა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია პ. უსლარის აზრი ენობრივი მასალის ჩაწერისა და გაანალიზების შესახებ. მასალის შეგროვება, — წერს უსლარი, — უნდა მდგომარეობდეს ხალხური ლექსების, ზღაპრების, ანდაზების, ყოველდღიური საუბრების ჩაწერაში; ჩაწერილს უნდა ახლდეს ზედმიწევნითი და სიტყვა-სიტყვითი თარგმანი (*буквальный и построчный перевод*)... თუ მასალის ჩამწერი ენის კვლევას ჰკიდებს ხელს, მან ყურა-

დღებით უნდა გაარჩიოს ყველაფერი ჩაწერილი, შეადაროს სიტყვები, მეტადრე სხვადასხვა ფორმები, რომელთაც ერთი და იგივე სიტყვა იღებს... ენის გაცნობას ღიად უწყობს ხელს ერთი და იმავე წინადადებათა ნაირ-ნაირად გადაკეთება, მაგალ., მხოლოდობითის შეცვლა მრავლობითით, მმართველი სიტყვისა მართულით და, პირიქით, მოქმედებითი გვარის შეცვლა ვნებითით და ა. შ. ყოველ შემთხვევაში კვლევისას საფუძვლად უნდა გვქონდეს არა ნათარგმნი ფრაზა, არამედ (ფრაზა) სათანადო ენისა¹...

ამრიგად, საანალიზო მასალად — ბუნებრივი მეტყველების ნიმუშები..., ენობრივი ფაქტის ცვლა, ერთგვარი ექსპერიმენტირება — ამას მოითხოვს პ. უსლარი სავსებით მართებულად.

„ყველაზე უხეირო მეთოდი“ — განაგრძობს პ. უსლარი — „მდგომარეობს რუსული გრამატიკის ფორმების გადათარგმნაში უცნობს ენაზე. შემთხვევა მქონია ასე დამუშავებული გრამატიკული ნარკვევები მენახა: დასანანი ფუჭად დაკარგული დრო და შრომა“ („ჩაჩ. ენა“, გვ. 17)... ამ მეთოდის დასახსიათებლად პ. უსლარი აფხაზურს მიმართავს. „თქვენ იწყებთ არსებითი სახელის ბრუნებით; იღებთ მარტივ სიტყვას: აფა „შვილი“. როგორ იქნება ნათესაობითი: შვილისა? ირკვევა, რომ ამ ფორმის გადათარგმნა აფხაზურად შეუძლებელია. თქვენ არა გჯერათ, რომ ენას ნათესაობითი არა ჰქონდეს... თუ დაიხეებთ, შეუძლიათ გითხრან: „აფსიტო“, რაიც ნიშნავს: „შვილი — მისი საკუთრება“; იწერთ ამ ფორმას ნათესაობითი ბრუნვისათვის და პირველს სტრიქონშივე მეტად უხეშ შეცდომას უშვებთ. მაგრამ ფრაზების ანალიზს თუ მივმართავთ (მაგალ.: აფა ჩჩა „ძმის ცხენი“), დაინახავთ, რომ ნათესაობითი ბრუნვა გამოიხატება იმ სიტყვის დანართის ცვლით, რომელიც ჩვენთან სახელობითშია. ასევეა მიცემითში... მიცემითს ვერ გამოხატავთ სხვაგვარად, თუ არ გარკვეული ცვლილებებით ზმნის ფორმაში... (იქვე, გვ. 17).

პ. უსლარის ეს რჩევა — რა მასალა უნდა ჩავიწეროთ, როგორ უნდა გავარჩიოთ, ანალიზის რა წესია შეუფერებელი, — სწორია და მიზანშეწონილი. სამწუხაროდ, მეოცე საუკუნეშიც არა ერთი მკვლევარი მთის კავკასიური ენებისა ამ მართებულ წესებს უგულვებელყოფდა.

პ. უსლარმა ღირსეულად გააგრძელა ანტ. შიფნერის დაწყებული საქმე; მეტი მასალა (ვინემ შიფნერს მოეპოვებოდა), ზუსტად ფიქსირებული დეტალურად გაანალიზა და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა წყების საკმაოდ სრული აღწერითი ანალიზი მოგვცა. ამით სათანადო ენათა მეცნიერულ შესწავლას მკვიდრი საძირკველი ჩაეყარა.

¹ „Во всяком случае, основанием должна служить фраза не переводная, а коренная, туземная“. П. Услар. „Об исследовании кавк. яз., — „Чеч. яз.“, გვ. 17.

§ 23. მაქს მიულერი კავკასიურ ენათა თურანულობის შესახებ

ათ წელსაც არ გაველო მას შემდეგ, რაც გამოვიდა ფრ. ბოპის შრომა („კავკასიური წევრები ინდო-ევროპული ენათ-ოჯახისა“, 1847 წ.), და ახალი აზრი გამოითქვა კავკასიურ ენათა წარმომავლობის შესახებ: კავკასიური ენები თურანულ ენათა წრისააო. ეს აზრი მაქს მიულერს ეკუთვნის და გამოთქმულია (1854 წ.) მის ნაშრომში „ენები საომარი მოქმედების ზონიდან აღმოსავლეთში — მიმოხილვითურთ სამი ენათ-ოჯახისა — სემიტურისა, არიულისა და თურანულისა“¹.

თავისებური სათაური განმარტებას საჭიროებს: წიგნი დაწერილია ყირიმის ომის დროს (1854-1855; ამ ომში, როგორც ცნობილია, თურქებს ინგლისი და საფრანგეთი ეხმარებოდნენ) და ომის საჭიროებათა გათვალისწინებით; ავტორი პირველსავე გვერდზე ამბობს: იმ ქვეყნებში, რომლებიც შეიძლება დაკავებულ იქნეს ახლანდელი ომის დროს, მრავალი ენა იხმარება; ზოგი მათგანი, როგორცაა, ვალახური, ბულგარული, სერბული, ალბანური, ჩერქეზული და ქართული, ნაკლებად არის ცნობილი; ცოტა მოიპოვება გრამატიკა და ლექსიკონი, რომელთა მეოხებითაც ინგლისელ ოფიცერს შეეძლოს ამათი („ამ ნახევრად ბარბაროსული დიალექტების“) შესწავლაო.

წიგნი შეიცავს 150 გვერდს; პირველი 21 გვერდი ზოგადი საკითხების განხილვას ეთმობა; ეს საკითხებია: 1. „სხვადასხვაობა ენათა, რომლებზედაც მეტყველებენ საომარი მოქმედების ზონაში“; 2. „უცხო ენათა შესწავლის სიძნელე“; 3. „შეხვედრები (coincidences) სხვადასხვა ენებს შორის“; 4. „ენათა შედარებითი შესწავლა და მისი უპირატესობა“; 5. „ენათა ნათესაობის სხვადასხვა საფეხური და ნათესაობის განსაზღვრის საშუალება“; 6. „გრამატიკა, როგორც ერთადერთი გადამწყვეტი მნიშვნელობის საფუძველი ენათა ნათესაობის განსაზღვრისა“; 7. „მონათესავე ენათა გრამატიკების (გრამატიკულ წყობათა) მსგავსება“; 8. „გრამატიკის სამი სისტემა და ენათა სამი ოჯახი: სემიტური, არიული, თურანული“; 9. „ნაცვალსახელები, რიცხვითი სახელები და ნაწილაკები, როგორც საშუალება ენათა ნათესაობის განსაზღვრისა“; 10. „პრაქტიკული შედეგები ენათა კვლევისა“; 11. „სიტყვათა მნიშვნელობა, აღდგენილი შედარებითი ფილოლოგიის მეშვეობით“ (მოცემულია 26 სიტყვის ეტიმოლოგია, მათ შორის რიგი

¹ Max Müller. The Languages of the Seat of War in the East with the Survey of the Three Families of Languages, Semitic, Arian and Turanian, – London und Edinburg – Leipzig... ჩვენ ხელთ გვქონდა მეორე გამოცემა, 1855 წ.; პირველი გამოცემა 1854 წელს უნდა იყოს გამოსული.

სამხედრო ტერმინია: **Infantry, Cavalry, Artillery, Ingenieur, Sapper, Minner, Cannon, Soldjer, Musket, Corporal, General, Colonel, Lieutenant, Serjeant, Marshal...**). 12. „გრამატიკულ ფორმათა მნიშვნელობა, აღდგენილი შედარებითი ფილოლოგიის მიერ“; 13. „პრაქტიკული უპირატესობა შედარებითი გრამატიკისა“; 14. „ნაწევართა წარმოება ახალ ენებში“...

მ. მიულერის აზრთა წყობაში მთავარია გრამატიკული აგებულების მიხედვით ენათა დაჯგუფება, ე. ი. მორფოლოგიური ნიშნის მიხედვით გენეალოგიური ერთეულების გამოყოფა. სულ სამი ოჯახია გამოყოფილი: სემიტური, არიული (ე. ი. ინდო-ევროპული) და თურანული. თურანულში მოქცეულია ყველაფერი, რაც სემიტურსა და არიულში არ შევიდა: ტუნგუზური, მონღოლური, თურქული, ფინური, უნგრული... თურანულს განუკუთვნა მაქს მიულერმა კავკასიური ენებიც.

თურანულ ენებს აგლუტინაცია ახასიათებს. აგლუტინაციის პრინციპი თუ ამოქმედდა და თუ ლიტერატურა ან საზოგადოება ამას არ ზღუდავს, — წერს მ. მიულერი, — ორი დასახელებული პუნქტის მეტყველება რამდენიმე თაობის შემდეგ შეიძლება გაუგებარი აღმოჩნდეს ერთი მეორისათვის. ამგვარი ფაქტები შეიმჩნევა ამერიკაში ისევე, როგორც ინდოეთისა და ჩინეთის მიჯნაზე (გვ. 124). თურანული ენები სწრაფად იცვლება, ინდო-ევროპული — არა: ამჟამად ლიტოველი გლეხის მეტყველებაში „მე ვარ“ **esmi** ისევე ჟღერს, როგორც ვედების ენაში (გვ. 87). თურანული ენები — მომთაბარე ხალხთა ენებია (**Nomadic Languages**) საპირისპიროდ არიული და სემიტური ენებისა, რომელთაც შეიძლება ვუწოდოთ სახელმწიფოებრივი ანუ პოლიტიკური ენები. მათ გრამატიკულ ნიშან-თვისებებში შეიძლება აღმოვაჩინოთ მძლავრი გონის ნაკვალევი, ერთხელ აღბეჭდილი მეტყველების დაუდევარ მასალაში — ენის განვითარების დასაწყისში — ისე, რომ საუკუნეთა მანძილზე არასოდეს არ მოიშლება (გვ. 86).

მაქს მიულერის ეს მსჯელობა ნებისმიერია, ფაქტებს იგი არ ეთანხმება, შორს არის მეცნიერული გაგებისაგან: არავის დაუმტკიცებია, რომ აგლუტინაციური ენები გონების განვითარებას უფრო ცუდად ემსახურებოდნენ, ვინემ ფლექსიური (სემიტური ანდა ინდო-ევროპული) ენები. შემდეგ: უსაფუძვლოა ყველა არასემიტური და არაინდო-ევროპული ენის ერთ ჯგუფში მოქცევა: არც მორფოლოგიური და არც გენეალოგიური თვალსაზრისით ყველა ეს ენა ერთს ჯგუფში არ შეიძლება გაერთიანდეს; დრავიდული, მალაიურ-პოლინეზიური, ჩინური და იაპონური, ამერიკის ინდიელთა ენები, აფრიკისა და ავსტრალიის ენები, კავკასიური ენები — ერთ ურალურ-ალთაურ წრეში ვერ გაერთიანდება. ბევრ ენას აქ ნახსენებთა შორის მწერლობაც აქვს, მასთან არა ერთია საკმაოდ ძველი, ზოგიც — უფრო ძველი, ვინემ სემიტური და ინდო-ევროპული სამწერლო ენები.

მაქს მიულერის თქმით, კავკასიური ენები „თურანული ოჯახის გაფანტული წევრებია“ (*Scattered Languages of the Turanian Family...* გვ. 124: პარაგრაფის სათაურად არის მოცემული). მეორე ადგილას კავკასიური ენები თურანული ოჯახის თვალსაჩინო და გადაგვარებულ კოლონიებად არის მიჩნეული¹. ალბათ, ამით მ. მიულერს უნდოდა გაეხაზა, რომ თურანულ ტიპს კავკასიური ენები დაშორებული არიან. მთავარი მაინც ის არის, რომ თურანულობის დამამტკიცებელი საბუთი მ. მიულერს არ მოუყვანია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გზადაგზა გაკეთებულ ზოგ შენიშვნას: თუშურში (ე. ი. ბაცურში — **ა. ჩ.**) არც ერთი სიტყვა **რ**-თი არ იწყება, რაც სამოედურს, მონღოლურსა და თათრულს ახასიათებსო (გვ. 131)... თუ სიტყვაში **რ** გვაქვს, დაბოლოების **რ**-ს **ლ** ენაცვლებაო; ამ თვისებას მონღოლურიც იზიარებს². თანდებულები და აკუზატივის უქონლობა მოგვაგონებს ზოგი მეტად განვითარებული თურანული ენის ხასიათსაო (გვ. 131).

ქართველურ ენათა შესახებ მსჯელობისას მ. მიულერი ბროსეს და გ. როზენის შრომებს ემყარება. ახალი დაკვირვება თუ დასკვნა აქ არა ჩანს. ქართველები მ. მიულერს მოსულ ხალხად მიაჩნია; მთის კავკასიელი ხალხები — ადგილობრივ მკვიდრად. მთის კავკასიურ ენებს სამ ჯგუფად ყოფს: აღმოსავლური (დაღესტნური), შუა (ჩაჩნური) და დასავლური (ჩერქეზულ-აფხაზური). მ. მიულერს კავკასიის ხალხთა მიახლოებითი სტატისტიკური ცნობებიც აქვს მოცემული, მასთან ფრიად თავისებური: ჩერქეზები — 280 ათასი, აფხაზები — 140 ათასი, ოსები — 60 ათასი, ქართველები — 50 ათასი (?! — **ა. ჩ.**), მიძეგები (ჩაჩნები) — 110 ათასი, ლეკები — 400 ათასი, თათრები — 80 ათასი (სულ: 1.120 ათასი).

მაქს მიულერის აზრი კავკასიურ ენათა შესახებ სისრულისათვის მოგყვავს (საბუთიანობა მას არ ახლავს). სხვას არავის უცდია კავკასიური ენები დაეკავშირებინა ურალურ-ალთაური ოჯახის ენებისათვის (შემდეგს შრომებში თვით მაქს მიულერსაც აღარ შეჰქონდა კავკასიური ენები თურანულ ოჯახში).

§ 24. ფრიდრიხ მიულერი და კავკასიურ ენათა განკერძოებულობის საკითხი

1834 წ. მარი ბროსე და 1846/47 წ.წ. ფრ. ბოპი ამტკიცებდნენ — ქართველური ენები ინდო-ევროპულ ენათა ოჯახს განეკუთვნებაო; 1854/55 წ.წ. ქართველური და, საერთოდ, კავკასიური ენები ურალურ-ალთაურ ენათა წრეს განეკუთვნა მაქს მიულერმა; ათიოდე წლის შემდეგ გამოითქვა განსხვავებული აზრი კავკასიურ ენათა სხვა ენებთან ურთიერთობის თაობაზე:

¹ „one of the outstanding and degenerated colonies of the Turanian family of speech“ — 83. 125.

² This feature also is shared by the Mongolic, იქვე.

კავკასიური ენები არ ეკუთვნის არც ერთს ამჟამად ცნობილ ენათა-ოჯახს; ეს ენები ნარჩენია ენათა ვრცელი ჯგუფისაო. ამ შეხედულების ავტორია ვენის უნივერსიტეტის პროფესორი გერმანელი (ავსტრიელი) ენათმეცნიერი ფრიდრიხ მიულერი. 1864 წელს (კრებულში „აღმოსავლეთი და დასავლეთი“, ტ. II) დაიბეჭდა ფრიდრიხ მიულერის წერილი: „კავკასიურ ენათა ადგილი ენათმეცნიერებაში“¹.

ფრ. მიულერი ჯერ განიხილავს ფრ. ბოპისა და მ. მიულერის ვარაუდებს, არ თვლის მათ დამაჯერებლად და დასკვნის სახით წარმოგვიდგენს თავის აზრს კავკასიურ ენათა შესახებ.

ბოპის ცდა — ქართველური ენების ინდოევროპულობა დაემტკიცებინა, — წერს ფრ. მიულერი, — გასაოცრად გონებამახვილურია, და ვინც ქართველურ ენებს არ იცნობს, ერთგვარად სარწმუნო ეჩვენება. საჭიროა გავსინჯოთ საქმის ვითარება; ბოპი არ ამბობს: კავკასიური ენები სანსკრიტთან ისეთსავე მიმართებაშია, როგორც ახალი ინდური დიალექტებო; კავკასიური ენები ინდოევროპული ენების ახლო მონათესავეაო. თუ ასეა, რატომ განსაკუთრებით სანსკრიტს უნდა შევუდაროთ ეს ენები. უფრო ბუნებრივი იქნებოდა, პირველ ყოვლისა, ირანული ენებისათვის შეგვედარებინა, როგორც ტერიტორიულად უფრო ახლო მყოფი ენებისათვის და კავკასიური მიგვეჩინა გარდამავალ საფეხურად ირანული ენებიდან ილირიული ენებისაკენ (*Orient und Occident*, II, გვ. 526).

ქართულის ბგერათა სისტემა რომ შევუდაროთ ოსური ენისას, აღმოჩნდება, რომ იგი უფრო ახლოსაა ირანულთან, ვიდრე ინდურთან: თუ ქართული ენა ინდო-ევროპულია, იგი ირანული ჯგუფისად უნდა ვცნოთ. ბოპის მაგალითები ამ თვალსაზრისით უნდა გაისინჯოს: ნათესაობითში *hya* აქვს ირანულს და ქართული ნათ. *si* მას უნდა შევუდაროთ და არა სანსკ. *syā*-ს... „სამი“ — ირანულში: სპ. სიჰ, ბაქტრ. *thri*-ს ფარდი იქნებოდაო (და არა ინდ. *trayas*-ისო)... ამგვარი მაგალითები ბოპის მეთოდის სისუსტეს ცხადყოფს (გვ. 528); ამას ერთვის ნებისმიერი თამამი ოპერაციები (*Willkür und Kühnheit*): სვან. ვომთხო — ინდ. ჩატვარას *cātvaras* უტოლდება* თხოვორშ-ის (ე. ი. ნაწილთა გადასმის) მეშვეობითაო (გვ. 529)...

ბოპი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნაცვალსახელთა შედარებას, მაგრამ ნაცვალსახელები ყველა ენაში ამჟღავნებენ მსგავსებას (გვ., 529). ამრიგად, თუ ირანულთან ურთიერთობიდან ამოვიდოდით, ნათესაობა არა ჩანს დამაჯერებელი. უმწერლო ოსურმა თავისი ირანული ხასიათი დღე-

¹ Fr. Müller. „Ueber die sprachwissenschaftliche Stellung der kaukasischen Sprachen“, — კრებ. „Orient und Occident“, insbesondere in ihren gegenseitigen Beziehungen — Forschungen und Mittheilungen, II. Bd., გვ. 526-535, Göttingen, 1864.

მდის შეინარჩუნა იმდენად, რომ მარტოოდენ ლექსიკაც რომ შევადართო, იმის ირანულობა ცხადი გახდება, თუმცა ოსური უცხო (არაინდოევროპულ) ენათა გარემოცვაში ვითარდებოდა. ქართული რომ ახალ სპარსულს შევუდართო, არც რიცხვის სახელი, არც ბრუნვისა და დროის ფორმანტები არაფერს საერთოს არ გამოავლენს; ერთად-ერთი ნამყოს **-ღ** — იქნებოდა საერთო, მაგრამ იგი ურალ-ალთაურსა და დრავიდულს ენებშიც მეორედებაო (გვ. 530). ამიტომ პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ კავკასიური ენები არ შეიძლება დაუვკავშიროთ ინდო-ევროპულ ენებს მიუხედავად ბოპის ხელოვნური მტკიცებისაო (**gekünstelte Beweise**, გვ. 531).

რა ენებს უნდა უკავშირდებოდნენ კავკასიური ენები? ინდო-ევროპულთან კავშირი მოიხსნა. მსგავსივე საბუთით მოიხსნება სემიტურ ენებთან ურთიერთობა. ამისათვის საკმარისი იქნებოდა ბგერითი სისტემა განგვეხილაო (გვ. 531). დგება ურალურ-ალთაურ ენებთან ურთიერთობის საკითხი. მართლაც, ზოგი საერთო თვისება შეინიშნება¹. არც კავკასიური ენები და არც ურალურ-ალთაური გრამატიკულ სქესებს არ განასხვავებენ² (გვ. 531). ერთნისა და მეორენიც მრავლობითს რიცხვს ცალკე სუფიქსით აღნიშნავენ, ბრუნვას — ცალკეით... წინდებულები არც კავკასიურ ენებს ახასიათებს, არც ურალურ-ალთაურ ენებს (გვ. 531). მაგრამ არც ერთ ურალურ-ალთაურ ენას არა აქვს თანხმოვანთა ისეთი თავყრა, როგორიცაა ქართ. მრგვრგველი (!), ბრძენი, მწარე, ღმერთი³ (გვ. 532). ურალურ-ალთაურ ენებს ხმოვანთა ჰარმონია ახასიათებს, კავკასიურ ენებში ამის კვალიც არა ჩანს⁴.

ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი: ურალურ-ალთაურ ენებს ახასიათებს სუფიქსაცია; კავკასიურ ენებშიც გვაქვს სუფიქსაცია, მაგრამ პრეფიქსული წარმოებაც ცხადად იგრძნობა: მეშვ. ზმნა: ვ-არ, ხ-არ... ვ-არ-თ, ხ-არ-თ; **gw** ← **om** (მე); **kh** ← **th** (შენ) (?)... **-th** (ამა-თ; იმა-თ) მრავლობითის ნიშანია (ბოპი ამ **th**-ში მეორე პირის მრავლობითის ნიშანს ხედავდა (გვ. 533).

¹ ამ ანალიზს ფრ. მიულერი მკვს. მიულერის გამონათქვამთაგან დამოუკიდებლად აწარმოებს.

² ავტორი ქართველურ ენათა ჩვენებას ემყარება; მთის ენებში რა ვითარება გვაქვს, არაა გათვალისწინებული. „ენათმეცნიერების საფუძველში“ (III, განყოფ. II, I ნახევ.) აფხაზურის, ხუნძურის, ლაკურის, არჩიბულისა, დარგულისა და ჩაჩნურის, აგრეთვე ბაცურის განხილვისას ფრ. მიულერი გრამატიკულ სქესთა არსებობას ხედავს და აღნიშნავს (ამის შესახებ ქვემოთ). მაგრამ ეს შრომა 1885 წ. გამოვიდა. 1864 წელს კი სათანადო მასალას ფრ. მიულერი, ჩანს, არ იცნობდა.

³ **mrgwrgweli, brzeni, mzare, ghmerthi**.

⁴ ზოგ დაღესტნურ ენაში (კიურ., ხუნდ.) ხმოვანთა ჰარმონიის კვალი, უფრო სწორად, ელემენტები მოგვეპოვება: თურქულ ენათა აშკარა ზეგავლენით — **ა. ჩ.**

პრეფიქსაცია მარტო ზმნას კი არ ახასიათებს, მას სახელთა წარმოებაშიც ვპოულობთ: მე-თებში (ე. ი. მე-თევზ-ე)... მე-პური (ე. ი. მე-პურ-ე¹)... მე-სამი (ე. ი. მე-სამ-ე)... მე-ცხრა (ე. ი. მე-ცხრ-ე)... სი-ლამაზი (ე. ი. სი-ლამაზ-ე)... (გვ. 534). წარმოების ეს პრინციპი დამახასიათებელია სემიტური ენებისა და აფრიკის ენებისათვის, მაგრამ არც ინდო-ევროპულ ენებს (აუგმენტსა და უარყოფის a-ს თუ არ მივიღებთ მხედველობაში) და არც ურალურ-ალთაურ ენებს პრეფიქსაცია არ ახასიათებს (გვ. 534). თუ მ. მიულერი ურალურ-ალთაურ ენებთან ამერიკის ინდიელთა ენებს ასახელებს, ამით თავის მოწინააღმდეგეს აძლევს იარაღს: ამერიკის ინდიელთა ენებს ლექსიკაში სხვაობისა და მორფოლოგიაში განსხვავების მიუხედავად, წარმოების პრინციპი ერთი აქვს: საბოლოო ანგარიშში მონათესავე ჩანან... ურალურ-ალთაურ ენებში სუფიქსური წარმოების პრინციპებისაგან გადახრა არსადა გვაქვს (გვ. 535).

ამას მოსდევს დასკვნის სახით ფრიდრიხ მიულერის დებულება: თუ ჩვენ უნდა გამოვთქვათ ჩვენი შეხედულება, მოპოვებული კავკასიურ ენათა გულდასმით განხილვის შედეგად, იგი მოკლედ ასეთი იქნება: „კავკასიური ენები არ უკავშირდებიან ინდო-ევროპულ ენებს, მაგრამ მათ ვერც ურალურ-ალთაურ ენათა ოჯახს მივაკუთვნებთ. ჩანს, კავკასიური ენები — მსგავსად ბასკურისა ევროპის დასავლეთში — წარმოადგენენ გადმონაშთს გაცილებით უფრო დიდი ენათა ჯგუფისა, რომელიც გავრცელებული იყო კავკასიის მხარესა და მის სამხრეთით მანამ, სანამ აქ სემიტური, არიული და ურალურ-ალთაური ტომები გავრცელდებოდნენ“².

ფრ. მიულერის ეს გამონათქვამი შეიცავს შემდეგს ნეგატიურსა და პოზიტიურ მტკიცებას: 1. კავკასიური ენები არ უკავშირდება არც ინდო-ევროპულსა და არც ურალურ-ალთაურ ენებს; 2. კავკასიური ენები ისევე, როგორც ბასკური, გადმონაშთია ენათა დიდი ჯგუფისა, ე. ი. კავკასიური ენები — რელიქტური ენებია; 3. კავკასიური ენების ეს ჯგუფი გავრცელებული იყო კავკასიასა და მის სამხრეთით; 4. კავკასიური ჯგუფი ამ მიწა-წყალზე მოიპოვებოდა უფრო ადრე, ვინემ აქ გავრცელდებოდა ინდო-ევროპული, სემიტური და ურალურ-ალთაური ენები.

¹ მაგალითები მაჯოს გრამატიკიდანაა.

² „Die kaukasische Sprachen hängen mit den indogermanischen Sprachen nicht zusammen, sie können aber auch nicht zu den ural-altäischen Sprachstamme gezählt werden. Sie scheinen — ähnlich dem Baskischen im Westen Europas — den Ueberrest einer vor der Ausbreitung der semitischen, arischen und ural-altäischen Stämme in den Gegenden des Kaukasus und südlich davon verbreiteten ehemals bedeutend grösseren Sprachgruppe zu bilden“, Fr. Müller: „Ueber die sprachwissenschaftliche Stellung der kaukasischen Sprachen“ — Orient und Occident... II Bd. 1864, გვ. 535.

ერთი სიტყვით, კავკასიის მიწა-წყალზე და მის სამხრეთით ყველაზე ძველს — გავრცელების დროის მიხედვით — ენობრივ სამყაროს კავკასიურ ენათა მრავალრიცხოვანი ჯგუფი ქმნიდა.

ამ შეხედულების დასაბუთება ფრ. მიულერის წერილში არ მოგვეპოვება. მაგრამ დებულებები, რომელთაც ეს შეხედულება შეიცავს, გარკვევით არის ჩამოყალიბებული და საყურადღებო აზრებს შეიცავს. შემდგომში ამ აზრებს არა ერთი მკვლევარი (ჰომელი, შუხარდტი, ტრომბეტი, დირი, მარი) დაჰბრუნებია სხვადასხვა კონტექსტში.

რაკი კავკასიურ ენათა დამოკიდებულებას სხვა ენებთან ეძიებენ, ამით იგულისხმება, რომ კავკასიურ ენათა სხვადასხვა ჯგუფის კავშირი ერთმანეთთან გადაწყვეტილად ითვლება; არა-და, საფუძველი ეცლება ცნება „კავკასიური ენების“ არსებობას.

ფრ. მიულერთან კავკასიურ ენათა ნათესაური ურთიერთობის საკითხი ყოველთვის ერთნაირად გარკვეული არ ყოფილა. XIX ს. ოთხმოციან წლებს ეკუთვნის მისი ცნობილი სამტომეული „ენათმეცნიერების საფუძველი“. აქ დედა მიწის ყველა მეტ-ნაკლებად შესწავლილი ენის შესახებ არის ლაპარაკი: მოცემულია გრამატიკული დახასიათება და საილუსტრაციო ტექსტები (თარგმანითურთ). კავკასიური ენების შესახებ ლაპარაკია III ტომის II განყოფის („ხმელთაშუა ზღვის რასის ენები“) I ნახევარში¹; იწყება ეს „ნახევარი“ ბასკური ენით; შემდეგ მოდის „კავკასიური ენები“; დასასრულს, ჰამიტურ-სემიტური ოჯახის ენებია წარმოდგენილი.

კავკასიური ენები ორ ჯგუფად არის დაყოფილი: **A.** „ჩრდილო-კავკასიური ენები“ და **B.** „სამხრულ-კავკასიურ ენათა ოჯახი“.

ჩრდილო-კავკასიურ ენათაგან ფრ. მიულერს განხილული აქვს რვა; სახელდობრ: აფხაზური (გვ. 49-66); ხუნძური (გვ. 66-83); ლაკური (გვ. 83-102); არჩიბული (გვ. 102-108); ჰიურკანული (ე. ი. ხიურკილი-დარგუული, გვ. 108-128); კიურული (ე. ი. ლეზგიური, გვ. 128-139); უდური (გვ. 139-158); ჩაჩნური და ქისტურ-თუშური (ბაცბური, გვ. 158-186); სამხრულ-კავკასიური ენები (გვ. 186-216); აქ გაანალიზებულია ქართულის, მეგრულის, ლაზურისა და სვანურის მოვლენები ერთმანეთის შეპირისპირებით.

აფხაზური, ხუნძური, ლაკური, ჰიურკანული, კიურული, უდური, ჩაჩნური და ქისტურ-თუშური შემთხვევით არ აუღია ფრ. მიულერს: ეს სწორედ ის ენებია, რომლებიც (არჩიბულის გამოკლებით) მონოგრაფიულად ჰქონდათ შესწავლილი უსლარსა და შიფნერს; აფხ., ხუნძ., ლაკ., ჰიურკ., კიურული, ჩაჩნური — უსლარს (მასვე მოეპოვება შენიშვნები არჩი-

¹ Fr. Müller. Grundriss der Sprachwissenschaft, III Bd., II Abth., I Hälf., 1885, გვ. 49-222.

ბულის შესახებ); უსლარის მონოგრაფიები შიფნერმა დაწვრილებით გადმოსცა გერმანულად (აფხ. — 1863 წ., ლაკ. — 1866 წ., პიურკ. — 1870 წ., ხუნდ. — 1871, კიურ. — 1872); გარდა ამისა: ხუნძურის შესახებ მოიპოვებოდა შიფნერის მონოგრაფია (გერმანულ ენაზე) 1862 წ.; შიფნერისავე მონოგრაფია უდურის შესახებ 1864 წ. და ქისტურ-თუშურის (ბაცბურის) შესახებ (1856 წ.).

ქართულის შესახებ ძირითადი წყარო მ. ბროსეს გრამატიკა იქნებოდა, პირველ ყოვლისა; ლაზურისა, მეგრულისა და სვანურისათვის — გ. როზენის შრომები. ქართველურ ენათა მორფოლოგიის შედარებითი მიმოხილვა, რაც ალ. ცაგარლის შრომაშია (1872 წ.) მოცემული (რუს. ენაზე), როგორც ჩანს, ფრ. მიულერს გამოუყენებელი დარჩენია.

გრამატიკულს მიმოხილვაში ფრ. მიულერი საკვანძო საკითხებზე ჩერდება: ბგერითი სისტემა (კლასიფიცირებული), შემდეგ სახელი, მისი კატეგორიები (სქესი, ბრუნვები და ბრუნვათა ნიშნები); მრავლობითის წარმოება, ბრუნების პარადიგმა... ზედსართავი სახელი; ნაცვალსახელი; ზმნა, გარდამავალი და გარდაუვალი სათანადო კონსტრუქციებითურთ, ზმნის კატეგორიები; უღვლილების პარადიგმა; რიცხვითი სახელი; მეტყველების ნიმუში — გაბმული ტექსტი...).

მონაკვეთი კავკასიურ ენათა შესახებ თავდება ჩრდილო-კავკასიურ ენათა ზოგადი დახასიათებითა და ჩრდილო-კავკასიურ ენათა სამხრულ-კავკასიურ ენებთან ურთიერთობის საკითხით. ჩრდილო-კავკასიურ ენათა დახასიათებისას ყურადღება ექცევა მოვლენებს, რომლებიც აახლოებს ამ ენებს; ესაა: 1. სქეს-კატეგორიის საკითხი; 2. ზმნაში გარდამავლობა-გარდაუვალობა და სათანადო სინტაქსური კონსტრუქციები; 3. მრავლობითის წარმოება; 4. ბრუნვათა შედგენილობა და ბრუნვის ნიშნები; 5. მსგავსება პირის ნაცვალსახელებში; 6. თვლის სისტემა და რიცხვითი სახელების ფუძეთა ურთიერთობა... 7. ზმნაში ყველაზე სუსტად არის წარმოდგენილი შეხვედრის მომენტები, თუმცა წარმოება აგლუტინაციურია, მაინც ზმნაშიც ზოგი ელემენტი შეიძლება ერთმანეთს დაუკავშირდესო (აწმყოს -რა ლაკ.-დარგ.-ში და -რ არჩიბულში და, იქნებ, ხუნდ. -ულა-ო; კიურ. და უდურში -ი აწმყოსაგან ნამყოს საწარმოებლად; ი, ე — ნამყო-აორისტისა უდურსა და ჩაჩურში; აფხ. პირობითის რ და ჩაჩნ. კავშირებითის -ილა; უარყოფითობის თე უდურში და თთა, თთე — კიურულში; ასევე ლაკ. აგა, ვა და დარგ. აჰ; შესაძლოა უარყოფითი ჩ კიურულში და კითხვითი შ ხუნძურში დაკავშირდესო (გვ. 221).

კავკასიურ ენათა კლასიფიკაცია (ერთგვარად განსხვავებული, როგორც ავტორი წერს, იმისაგან, რაც „ენათმეცნიერების საფუძვლებს“ I ტ. I განყოფის გვ. 94-ზეა მოცემული) ასეთ სახეს იღებს:

A. ჩრდილო-კავკასიური ენები: 1. აფხაზური და ჩერქეზული; 2. ხუნძური, ლაკური, არჩიზული, ჰიურკანული, კიურული, უდური, ჩაჩური.

B. სამხრულ-კავკასიურ ენათა ოჯახი: ქართული, მეგრული, ლაზური, სვანური (გვ. 222). უდური და ჩაჩური ჩრდილო-კავკასიურ ენათა ბოლოს მოვაქციეთ, რადგანაც ისინი გარდამავალ საფეხურს წარმოადგენენ ჩრდილო-კავკასიური ენებიდან სამხრულ-კავკასიურ ოჯახზე (იქვე). შეიძლება უდური და ჩაჩური ცალკე ჯგუფად გამოგვეყო (ჩრდ.-კავკას. ენებში), რომ მნიშვნელოვან მომენტებში მეორე ჯგუფის ენებს არ უკავშირდებოდეს (იქვე).

სამხრულ-კავკასიურ ენათა ოჯახში ქართული, მეგრული და ლაზური უფრო მჭიდრო ერთიანობას ქმნის, მათ კი თავისებურად განვითარებული სვანური უდგას გვერდში (გვ. 222):

შემთხვევითი არაა, რომ ფრ. მიულერი სამხრულ-კავკასიურ ენებს ოჯახად თვლის, ჩრდილო-კავკასიურ ენებს კი ოჯახს არ უწოდებს. სამხრულ-კავკასიური ენები ისეთ დიდ სიახლოვეს ამჟღავნებენ, რომ ისინი შეიძლება ერთი ენის დიალექტებად მიგვეჩნიათ, — წერს ფრ. მიულერი; ჩრდილო-კავკასიური ენები კი ერთმანეთთან ისეთ სუსტ ნათესაურ ურთიერთობაში იმყოფება, რომ ზერელედ განხილვისას თითქმის ყოველი ენა შეიძლება თავისთავად ინდივიდუალად ჩაგვეთვალოს. უფრო ზუსტად თუ გავსინჯავთ, რიგს მომენტში კავშირს ვიპოვიოთ (გვ. 216); ჩამოთვლილია ექვსი მომენტი (იხ. ზემოთ).

ჩრდილო-კავკასიურისა და სამხრულ-კავკასიურ ენათა ურთიერთობას ამ ნაშრომში ფრ. მიულერი ორჯერ ეხება; პირველად, თავში, ის ამბობს: ეს ენები სულ მცირე ორს ოჯახს, ჩრდილო-კავკასიურსა და სამხრულ-კავკასიურს, ქმნიან (გვ. 48).

სულ ბოლოს, უკანასკნელ აბზაცში, ვკითხულობთ: ჩრდილო-კავკასიური ენათა სამხრულ-კავკასიური ოჯახის ენებთან მიმართების შესახებ აქ გარკვევით ჩამოყალიბებულ შეხედულებას ვერ წარმოვადგენთ, რადგანაც ორივე ჯგუფის ენათა ნათესაობის შესახებ იმდენივე საბუთი შეიძლება იქნეს მოყვანილი, რამდენიც იმის შესახებ, რომ მონათესავე არ არიან¹.

დასაწყისში მოცემულ კატეგორიულ დებულებას — სულ მცირე ორს ოჯახს შეადგენენო, — აქ — ენათა მიმოხილვის შემდეგ — ყოყმანი ცვლის: იქნებ მონათესავე იყვნენ, იქნებ არაო.

ათიოდე წლის შემდეგ ერკერტის წიგნის წინასიტყვაობაში, რომელიც 1894 წ. სექტემბრით არის დათარიღებული, ყოყმანის ადგილს კვლავ კატეგორიული განცხადება იჭერს: ცხადია, რომ კავკასიური ენები ერთი წინარე ენიდან მომდინარეობენ, ისინი დამოუკიდებელ ენათა ოჯახს ქმნიან

¹ „da sich ebensoviel Gründe für die Verwandtschaft, als auch für die Nicht-Verwandtschaft beider Sprachgruppen beibringen lassen“ (გვ. 222).

(einen selbstständigen Sprachstamm bilden), რომელიც არც ერთს ცნობილ ენათა ოჯახს არ ენათესავებაო (წინასიტყვაობა, გვ. VI). ჩემთვის არ იყო წინეთ ცნობილი „მრავალრიცხოვანი შემაერთებელი რგოლები“ (ჩრდილო და სამხრ. კავკას. ენათა), რაც ერკერტის შრომაში არის წარმოდგენილი...

ასეთი ცვლილება განიცადა ფრ. მიულერის შეხედულებამ კავკასიურ ენათა შესახებ. საკითხავია: თუ კავკასიური ენები, სულ მცირე, ორ ოჯახს ქმნიდა, როგორ შეიძლებოდა მათი აღნიშვნა ერთი ტერმინით „კავკასიური ენები?“ ფრ. მიულერი წერს: მიუხედავად კავკასიური ენების ამკარა სხვაობისა, მათ გარკვეული დამახასიათებელი ნიშნები აქვთ, რის მეშვეობითაც ისინი ერთმანეთს უკავშირდებიან და გარკვევით განსხვავდებიან, ერთი მხრით, ურალურ-ალთაურ ენათაგან და, მეორე მხრით, ინდო-ევროპულ ენათაგანო („კავკასიური ენები“, „ენათმეცნიერების საფუძვლები“, III, განყ. II, გვ. 48).

ფრ. მიულერი ჩამოთვლის ამ ნიშნებს: 1. ბგერების მხრივ: ხმოვნების სიღარიბე და თანხმოვნების მხრივ დიდი სიმდიდრე (სახელდობრ, ყელისმიერ და სისინა თანხმოვნების მხრივ). ხშულები მაგრად გამოითქმის და არავითარი ფშვინვა არ ახლავს; 2. ყველა ეს ენა იგულებს თანხმოვანთა თავყრას (რომლის მსგავსი ჩრდ. ამერიკის დასავლეთ სანაპიროს ინდიელთა ენებში თუ გვხვდება). 3. აგლუტინაციის პრინციპი, რომელიც ბატონობს ამ ენებში, მრავალ შემთხვევაში, მიემართება ფლექსიისაკენ; 4. სუფიქსური წარმოების გვერდით — ასევე ხშირია პრეფიქსების ხმარება; 5. ეს ენები მდიდარია, როგორც სახელის, ისე ზმნის ფორმებით, და სახელი და ზმნა მკაცრად გარჩეულია; 6. ჩრდილო-კავკასიურ ენებში გასახაზავია სქესის გაგება, რაიც ემყარება ცოცხალისა და არაცოცხალის, გონიერისა და არაგონიერის, მამრობითისა და მდედრობითის გარჩევას; 7. დამახასიათებელია ობიექტის აღნიშვნა ზმნაში, მსგავსად იმისა, რაც ბასკურში გვაქვს; 8. თვლის სისტემა ოცობითია ლაკურის, არჩიზულისა და დარგულის გამოკლებით, სადაც თვლა ათობით წარმოებს (იქვე, გვ. 48).

სახელისა და ზმნის მკვეთრად დაპირისპირება კავკასიური ენებისათვის დამახასიათებელი არ არის... სქესები მხოლოდ ჩრდილო-კავკასიური ენების კუთვნილება არ ყოფილა; მასთან ამ კატეგორიისათვის არაა ნიშანდობლივი მამრობით-მდედრობითის, ცოცხალისა და არაცოცხალის გარჩევა: ძირითადია „გონიერისა და არაგონიერის“, უფრო ზუსტად ადამიანისა და ნივთის გარჩევა... ზოგი საყურადღებო საერთო ნიშანი დასახელებული არაა (აკუზატივის უქონლობა; და არა: სახელობითისა და აკუზატივის გაურჩევლობა, როგორც ფრ. მიულერი წერს; მოქმედის სპეციფიკური ბრუნვის, ერგატივის მქონეობა... და სხვ.).

ამისდა მიუხედავად, კავკასიურ ენათა ტიპოლოგიური დახასიათება, რაც ფრ. მიულერმა წარმოგვიდგინა, მეტად საყურადღებოა. ასეთი დახასიათება პირველად არის მოცემული.

თვით ცდა ცნება „კავკასიური ენების“ დახასიათებისა ურალურ-ალთაურ და ინდო-ევროპულ ენებთან შეპირისპირებით (შემეცნებითი ღირებულების თვალსაზრისით) შეუღარებლად უფრო მაღლა დგას, ვინემ ცნობილი ცდა „კავკასიური ენები“ გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით აგებულ ცნებად მიეჩნიათ (ნ. ტრუბეცკოი).

§ 25. რიხარდ ერკერტის შრომა „კავკასიური ძირის ენები“

1895 წ. ვენაში გამოვიდა კავკასიურ ენათა ვრცელი მიმოხილვა სათაურით „კავკასიური ძირის ენები“ („Die Sprachen des kaukasischen Stammes“, Wien, 1895, VI+204; გვ. XII+391 გვ.). ავტორი, რიხარდ ერკერტი, როგორც სათაურშივე არის მოხსენებული, რუსეთის სამსახურის ყოფ. გენერალ-ლეიტენანტია. 1887 წ. მას გამოცემული აქვს ეთნოგრაფიული ხასიათის მონოგრაფია „კავკასია და მისი ხალხები“ („Kaukasus und seine Völker“, 1887). ამ უკანასკნელის შევსება-გაგრძელებად მიაჩნია ავტორს ნაშრომი კავკასიური ენების შესახებ.

რ. ერკერტის შრომა „კავკასიური ძირის ენები“ ორი ნაწილისაგან შედგება: პირველს ნაწილში (204 გვ.) ლექსიკური მასალაა მოცემული: 545 სიტყვა თარგმნილია თითქმის ყველა კავკასიურ ენაზე (ყოველი სიტყვა — ცალკე ყველა ენაზე); მეორე ნაწილი სათანადო ენათა ფრაზების თარგმანსა და მოკლე გრამატიკულ მიმოხილვებს შეიცავს (390 გვ.).

სიტყვები იწყება რიცხვითი სახელებით (ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, თეთრმეტი, თორმეტი; ოცი, ოცდაათი, ორმოცი, ორმოცდაათი; ასი, ხუთასი, ათასი); შემდეგ მოდის: ნაცვალსახელები (მე, შენ, ის — კაცი, ქალი: er, sie, — ჩვენ, თქვენ, ისინი; ვინ, რა); ზმნისართები: ადგილისა: გარეთ, უკან, შიგნით, მარცხნით, ზევით, მარჯვნივ, ქვეშ, წინაშე, წინ, სად, საიდან, უკან; დროისა: გუშინ, დღეს, ხვალ, როდის; მოდლობისა: დიახ, არა, ასე, რატომაც, როგორც, რისთვისაც (ზმნისართები ანბანის რიგზეა დალაგებული); ასევე არსებითი სახელები, ზედსართავი სახელები და ზმნები; არს. სახელების სია ანბანის რიგზეა გაწყობილი, იწყება **Abend** სიტყვით „სალამო“ და თავდება **Zwiebel** „ხახვი“; სულ 359 არსებითი სახელი აქვს ერკერტს სათარგმნელად გამოყოფილი... ზედსართავ სახელთა რიცხვი 48 უდრის: **Alt** „ძველი“... **Arm** „ღარიბი“... **Warm**

„თბილი“, **Weise** „ბრძენი“... დაბოლოს 84 ზმნა არის ჩამოთვლილი (ანბანის რიგზე): **Achten** „პატივისცემა“, **Angreifen** „მივარდნა“ („მივარდება“, „ეცემა“), **Arbeiten** „მუშაობა“... **Wissen** „ცოდნა“, **Wollen** „სურვილი“, „ნდობა“, **Ziehen** „გაწევა“ („გასწევს რასმე“)...

სათარგმნელი სიტყვები დანომრილია; ყველა გერმანული სიტყვა პარალელურად — სათაურშივე — მოცემულია ინგლისურად და ფრანგულად: **Eins. One. Un.** „ერთი“... **Wir. We. Nous** „ჩვენ“... **Abend. Evening. Soir** „საღამო“... **Wissen. To know. Savoir** „ცოდნა“...

ყველა სიტყვა თარგმნილია 30 ენა-კილოზე; ეს ენა-კილოებია: ხუნძური (ავარიული), ანდიური, კარატაული, დიდოური, ლაკური, ვარკუნული, კუბაჩური, ხაიდაყური, აჭუშური, ხიურკილიური, უდური, კიურული (ლეზგიური), რუთულური, წახურული, აღულური, თაბასარანული, ბუდუხური, ჯეკური, ხინალულური, არჩიბული, ჩაჩნური, აბაძეხური, ყაბარდოული, შაფსულური, აფხაზური, ინგილოური, ქართული (საკუთრივე), ლაზური, მეგრული, სვანური.

როგორც აქედან ჩანს, გვაკლია ენები: უბიხური, ინგუშური, ბაცბური; ანდიური ჯგუფისა: ბოთლიხურ-დოდობერიული, ჭამალალური, ტინდიურ-ბაგვალალური, ახვანური, ხვარშიული, კაპუჭურ-ჭუნზიბური, კრიწული (თუ ჯეკურს არ ჩავთვლით მის მონაცვლედ)... ადიღური (ჩერქეზული) ორი დიალექტით არის წარმოდგენილი: აბძახურით (აბაძეხურით) და შაფსულურით; ქართლის გვერდით ინგილოურია ცალკე ერთეულად გამოყოფილი; დარგულური ენა ხუთი დიალექტური ერთეულით არის წარმოდგენილი: ვარკუნული, კუბაჩური, ხაიდაყური, აჭუშური, ხიურკილიური...

თავისებურად აქვს ერკერტს დალაგებული ეს ერთეულები: იწყებს დაღესტნის ენებით, მერე მოდის ჩაჩნური, ადიღურ-ყაბარდოული (მასთან აბძახურსა და შაფსულურს შორის ყაბარდოულია მოქცეული), აფხაზური; დასასრულ, ქართული, ლაზური, მეგრული, სვანური. დაღესტნის ენები ხუნძურით იწყება; შემდეგ ანდიურ-დიდოურზე რომ გადადის, მერე ლაკურსა და დარგულულ დიალექტებზე, ეს გასაგებია, მაგრამ გაუგებარია, რატომ იწყება ლეზგიური ენები უდურით.

რ. ერკერტის შრომის მეორე ნაწილისათვის ამოსავალია **გ ა მ ო - ნ ა თ ქ ვ ა მ თ ა** (ფრაზათა) თარგმანი; სათარგმნელი გამონათქვამები გარკვეული მიზნით არის შერჩეული. სახელდობრ, რომ გამოვლინდეს: **ს ა - ხ ე ლ - ა რ ს ე ბ ი თ ი ს** ნათესაობითი, მრავლობითი, მიცემითი (მხოლ. და მრავ.), მოქმედებითი და თანაობითი, ადგილობითი; ზედსართავის მსაზღვრელად ხმარება და შედგენილ შემასმენელში მონაწილეობა, შედარებითი ხარისხი; პირისა და მიმართებით **ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ თ ა** ხმარება

(სხვადასხვა ბრუნვაში); მეშველი ზმნის („არის“) და „აქვს“ — ზმნის აწმყო, ნამყო უსრული, მყოფადი... მიმღეობა; მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნათა აწმყო, წარსული (**Praeteritum**), მყოფადი, ბრძანებითი...

ზემოთქმულის შესაბამისად ასეთი გამონათქვამები შეუდგენია ავტორს სათარგმნელად: 1. ბალის ღობე; 2. მამის ბალი; 3. მამის ძმა; 4. ძმის და; 5. მამის ცხენი; 6. ცხენის უნაგირი; 7. მამის ნაჯახი; 8. ნაჯახის ტარი; 9. მამის ძმები; 10. მამის ცხენები; 11. მამის ნაჯახები; 12. ძმების დები; 13. ცხენების უნაგირები; 14. ნაჯახების ტარები... 15. მამამ უყიდა შვილს ცხენი; 16. შვილმა მისცა მამას ფული; 17. მამამ მისცა ძმას ფული; 18. მამამ მისცა (!) ცხენს ქერი; 19. დედამ მისცა ბავშვებს ექვსი ვაშლი; 20. დედამ უყიდა ბავშვებს ტანთსაცმელი; 21. მამამ მისცა შვილებს თოფები... 24. მამა სცემს (!) ნაჯახით; 25. მამა მიღის ნაჯახიანად; 26. მე ვცემ ჩაქუჩით (ვურტყამ ჩაქუჩით)... 29. მამამ გაყიდა სახლი ბალიანად... 37. და წავიდა ძმასთან ერთად შურაში (თემირ-ხან-შურაში)... 44. მამა ზის ბალში... 46. მუჰამედი გამოვიდა ტყიდან; 47. მე მოვდივარ ქალაქიდან... 50. ტარი დიდი ჩაქუჩისა; 51. მამა ღარიბი ბავშვისა... 53. თავი ლამაზი ცხენისა... 55. დედა ავად არის; 56. ბავშვები ლამაზნი არიან... 61. და უფრო პატარაა, ვინემ — ძმა... 65. შვილმა დაუბრუნა მას ფული... 76. დედა მათთან ერთად წავიდა ქალაქში... ზმნა მოქმ.: 117. მე ვხედავ; 118. მე მესმის (**ich höre**); 119. მე ვყიდულობ ცხენს... 125. მამა იღებს (ხელში) ნაჯახს... ზმნა ვნებ.: 131. მე ვუყვარვარ ოჯახს (**ich werde von der Familie geliebt** (ნაწ. II, გვ. V-XII)).

ასეთია სულ 166 გამოთქმა; ამას ერთვის კიდევ სამი: 167. დილა მშვიდობისა; 168. ღამე მშვიდობისა; 169. გმადლობთ (მადლობელი ვარ).

ამ გამოთქმათა შემდგენელი, ჩანს, გერმანული ენის თვისებებიდან ამოდიოდა; მხედველობაში არ მიუღია, რომ გერმ. **mit dem Beil, mit dem Garten** თანაობითს (**Comitativ**) შეიძლება არ აღმოაჩნდეს შესატყვისი, შეიძლება იგი გადმოიცეს სხვა საშუალებით (ნაჯახიანად, ბალიანად), რასაც არაფერი აქვს საერთო თანაობითთან... არ ყოფილა გათვალისწინებული, რომ „ვუყვარვარ“ (**ich werde geliebt**) არ არის ვნებითი არც ქართულისა (და არც სხვა იბერიულ-კავკასიური ენებისათვის) ისევე, როგორც მოქმედებითი გვარისა არ არის „მესმის“ (**ich höre**)...

ეს კია, რომ ნათარგმნი ტექსტის დამუშავებისას ცდილან ნათარგმნის თავისებურება გადმოეცათ. სიტყვა-სიტყვით თარგმნის მეშვეობით: მე მესმის **ich höre** (**mir hört sich** გვ. 317): ეს იმის დამსახურება უნდა იყოს, ვინც მასალის დამუშავება იკისრა (იხ. ქვ.).

ზემოხსენებული გამოთქმები თარგმნილია ყველა იმ ენა-კილოზე, რაც პირველ ნაწილში ცალკეულ სიტყვათა თარგმნისას გვაქვს (ზოგი სხვა ენა-კილოს მასალაც ერთვის), ოღონდ მასალა სხვაგვარად არის დალაგებული; მართალია, წიგნის ეს მეორე ნაწილი კვლავ დადესტნის ენებით იწყება, მაგრამ არა ხუნძურით, არამედ სამხრეთ-აღმოსავლური ანუ კიურული (ლეზგიური) ჯგუფის ენებით, მასთან თვით ლეზგიურით (ლეზგიური ჯგუფი პირველ ნაწილში უდურით იწყებოდა); ლეზგიურ ჯგუფს მოსდევს ჩრდილო-აღმოსავლური ანუ დარგუა-ჯგუფი, შემდეგ მოდის „ცენტრალური ენა“ ლაკური, შემდეგ — ჩრდილო-დასავლური ჯგუფი — ხუნძური ენა, ანდიური და დიდოური დიალექტები, ამის შემდეგ — ჩახნური და ინგუშური; ჩერქეზული ენა: აბძახური და ყაბარდოული დიალექტები (შაფსულური მასალა არა ჩანს!), მერე — აფხაზური; დასასრულ მოცემულია: ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური.

1. სამხრეთ-აღმოსავლური ანუ კიურული ჯგუფის ენები წარმოდგენილია ასეთი თანამიმდევრობით:

1. კიურული (ე. ი. ლეზგიური) ენა (ახთის დიალექტი) ვიწრო მნიშვნელობით, ე. ი. საკუთრივ ლეზგიური — ახთის დიალექტის მიხედვით (გვ. 3-8); ლეზგიური მეტყველების ნიმუშებს მოსდევს „გრამატიკული შენიშვნები“ (გვ. 8-14); ახთი-დიალექტის ჩვენება აქ შეპირისპირებულია „ჩრდილო კიურულთან“. ამ ორი დიალექტის ზოგი თავისებურება ჯერ კიდევ შეიფერმა აღნიშნა თავის „კიურულ შტუდიებში“-ო (გვ. 8) და ჩვენც ქვემოთ გამოვიყენეთ. „გრამატიკული შენიშვნები“ თითქმის ყველა ენაში ერთსა და იმავე საკითხებს ეხება: არსებით სახელში: განყენებულ სახელთა წარმოება; მრავლ. რიცხ. სუფიქსები; ნათეს., მიცემ., მოქმედებითის ფორმანტები; ადგილობითი; ზედსართავის ატრიბუტული და პრედიკატული ხმარება; პირის (კუთვნილ., ჩვენებ.) ნაცვალსახელები; თვლის სისტემა; ზმნა: მეშველი ზმნის უღვლილება; დროები; ბრძანებითი; სუბიექტის ბრუნვა გარდამავალსა, გარდაუვალსა და აღქმა-განცდის ზმნებში (აქ ფრ. მიუღერის მიმოხილვათა გავლენა ცხადად იგრძნობა).

2. რუთულური ენა: მეტყველების ნიმუშები (გვ. 14-19); გრამატიკული შენიშვნები (გვ. 19-22); თავში ნათქვამია: სქესების გარჩევა რუთულურმა არ იცისო (!) (გვ. 19); ბოლოს კი: მეშველ ზმნაში სქესი და რიცხვი გარჩეულიაო. საკუთრივ ზმნებში, თუ ნიმუშების მიხედვით ვიმსჯელებთ, სქესი ყოველ შემთხვევაში წარმოდგენილიაო (გვ. 22). ცოტა ზემოთ იქვე მეშველი ზმნის აწმყოს ფორმებად მოყვანილია: **ა || იი, რ-იი, დ-იი, ვ-იი** (გვ. 22); რ-იი-ს უწერია (*fem.* (მდედრ.). „სქესი“ აქ კლას-კატეგორიას გულისხმობს. ზმნის სუბიექტი გარდამავალ ზმნებთან მოქმედე-

ბითში დაისმის, გარდაუვალთან — სახელობითში და აღქმა-განცდის ზმნებთან მიცემითშიო (გვ. 22). თვლის სისტემა ათობითია.

3. წახურული ენა: მეტყველების ნიმუშები გვ. 22-27; გრამატიკულ შენიშვნებში (გვ. 28-32) ყურადღებას იქცევს: მეშველი ზმნის ფორმათაგან **ვუ-რ** — გონიერთათვის იხმარება, **ვუ-ბ** — არაგონიერთათვის, **ვუ-დ** ნივთებისათვის; მრავლობითში **ვუ-ბ** ცოცხალ არსებათ გულისხმობს, **ვუ-დ** — ნივთებს (გვ. 30); წახურული განასხვავებს ზმნაში სქესსა და რიცხვს, პირის აღნიშვნა აკლია (გვ. 31); რუთულური და წახურული ერთმანეთთან უფრო ახლოს არის, ვინემ კიურულთან (გვ. 31). თვლის სისტემა წახურულსაც რუთულურის მსგავსად ათეული აქვსო. მეტყველების ნიმუშების შემდეგ — გრამატიკული შენიშვნების წინ — მოცემულია წახურული მეშველი ზმნის უღვლილება (აწმ., ნამყო უსრ., ნამყო სრ., მყოფადი, ბრძანებითი) და ქართული მეშველი ზმნაა შეპირისპირებით მოცემული: წახ. აწმ. ზი **ვო-რ-ნა** — ქართ. მე **ვ-არ...** ნამყო სრ.: ზი იქ-არ-ა — მე ვიქენ... მყოფ.: ზი იქე-სთა — მე ვიქენები... და ა. შ. (გვ. 27).

საფიქრებელია, ეს შეპირისპირება მოსე ჯანაშვილს ეკუთვნოდეს („გრამატიკული შენიშვნების“ ავტორს რომ ეკუთვნოდეს, თავის „შენიშვნებზე“ წინ არ მოათავსებდა).

4. აღულური ენა: თავშივე ნაჩვენებია: 1. „აღულ-კოშან“, 2. „ბურკიხანის დიალექტი“, ე. ი. ორ ვარიანტს გულისხმობს; მართლაც, საკმაოდ ხშირად „მეტყველების ნიმუშები“ (გვ. 32-40) ორ ვარიანტს იძლევა: მამის ცხენები — 1. დად-ან ჰადვანარ; 2. დარ-ან ჰადვანარ (გვ. 33)... მამამ ძმას ფული მისცა: 1. დად-ა ჩჷ-ჩჷს ფულ ი-ნე; 2. დარ-ა ჩჷ-ჩჷს ახჩა ი-ნაჲ (გვ. 33). „გრამატიკული შენიშვნები“ (გვ. 40-42) იმის აღნიშვნით იწყება, რომ ორი დიალექტი უნდა გაირჩეს: კოშანისა და ბურკიხანისაო (გვ. 40). გარდამავალი ზმნის სუბიექტი მოქმედებითში დაისმის, გარდაუვალისა — სახელობითში; ზმნები: უყვარს, ესმის, ხედავს მიცემითში მოითხოვს მოქმედს (**Agens**). მაგრამ პირის ნაცვალსახელები გარდამავალ ზმნასთან გამონაკლისს ქმნიანო. ან იქნებ პირის ნაცვალსახელებში მოქმედებითი სახელობითს დაემთხვაო, წერს შენიშვნათა ავტორი (გვ. 42).

5. თაბასარანული ენა: 1. ჩრდილო დიალექტი (ხუშნი); 2. სამხრული დიალექტი. მეტყველების ნიმუშებში სათანადო ვარიანტები გარჩეულია: „ცხენები მამის“ — 1. ჰადვანარ ავა-იუ; 2. ჰავნ-არ აბ-ინ... (გვ. 42). „მე მყავს ცხენი“ — 1. და-ს ვუ ჰადვან; 2. უზ-უზ ა-იზ ჰადვან (გვ. 46).

„გრამატიკულ შენიშვნებში“ აღსანიშნავია დასკვნითი დებულება: თაბასარანული ქმნის ლეზგიურ ენათა ქვეჯგუფს, სამხრულ-აღმოსავლურს; ჩრდილო და სამხ. თაბასარანული გაირჩევა განსაკუთრებით მიცემითის

ნიშნით, მეორე პირის ნაცვალსახელით მრავლობითში და ზმნის აწმყოს წარმოების მიხედვით. ხუშნი კილო უფრო ჩრდილო ლეზგიურს ემხრობა, სამხრულ თაბასარანული — ახთის კილოს.

6. არჩიბული ენა: „მეტყველების ნიმუშები“ (გვ. 51-57); „გრამატიკული შენიშვნები“ (გვ. 57-60). არჩიბული გარდამავალი საფეხურია ლეზგიურსა და ლაკურს შორისო (გვ. 57). სქესი მდებარეობითი თავკიდური **ღ**-ით აღინიშნება: ღ-ოშ-ღუ-რ „და“ (გვ. 58). ზედსართავს დაერთვის ბოლოსართები: **-გ** გონიერი მამრობითი სქესის არსებათათვის, **-რ** გონიერი მდებარეობითი სქესის არსებათათვის, **-ბ** — არაგონიერ სულიერ არსებათათვის (გვ. 59)... ხშირად გარდამავალი ზმნის ობიექტი აღინიშნება საგანგებო სქესის ელემენტით (გვ. 60). ზმნის შიგნითაც სქესი აღინიშნება (**-გ**, **-რ**, **-ბ**), გვ. 60. ამრიგად, მიმოხილვაში გრამატიკული კლასის ცნებას ყველაზე ენაცვლება სქესის ცნება.

7. უდური ენა მეტყველების ნიმუშები (გვ. 60-65); ბრუნებისა და უღვლილების პარადიგმები (გვ. 65-66); გრამატიკული შენიშვნები (გვ. 66-68); აღნიშნულია: თურქულის ძლიერი გავლენა (ხმოვანთა ჰარმონიისადმი მიდრეკილება; **-ჩი** სუფიქსი, განყენებულ სახელთა **-ლუგ** სუფიქსი) (გვ. 67). ბრუნვათა შორის დასახელებულია აკუზატივი **-ხ** დაბოლოებით (გვ. 67). თვლის სისტემა ოცობითია (გვ. 67); ზმნათა მეტი წილი აღწერილია (ბესუნ, თესუნ-ის, აგრეთვე ბაქსუნ-ის მეშვეობით) (გვ. 68). პირის ფორმები დაბოლოებად გვაქვს, ან ზმნის შიგნით ჩაისმის; ნაცვალსახელისუბიექტი სახელობითსა თუ ინსტრუმენტალისში დაისმის ანდა მიცემითში — განცდის ზმნებთან (გვ. 68). ნაცვალსახელური ფორმებით უდური ყველაზე ახლოს კიურულთან (ლეზგიურთან) არის, მაგრამ დამოუკიდებელ დიალექტად უნდა მივიჩნიოთ (*als ein selbstständiger Dialect zu betrachten*, გვ. 68). ლექსიკური მსგავსება შესამჩნევია ხუნძურთან, ლაკურთან, დარგულთან, კიურულთან, ჩაჩურთან (გვ. 66). სხვა მხრივ შეხების წერტილები უდურს აქვს სხვადასხვა კავკასიურ ენებთან, თვით აფხაზურთანაც კი (გვ. 68).

8. ჯეკური ენა (დიალექტი): მეტყველების ნიმუშები (გვ. 69-70), გრამატიკული შენიშვნები (გვ. 70-73): ჯეკური კიურულის ახლო მონათესავე დიალექტია, თუმცა უფრო შორს არის მისგან, ვიდრე — აღლურის (გვ. 70); კიურულთან შედარებით ჯეკურში მეტია თურქული და სპარსული სიტყვები; თურქულის გავლენას მიეწერება სუფიქსები: **-ლიკ**, **-ლი**, **-ლუ**, **-ჩი**; მათი სიხშირე უდურს მოგვაგონებს (გვ. 71). „როგორც ლეზგიური ჯგუფის სხვა ენებში, ჯეკურშიც გვაქვს საგანგებო ფორმა ინსტრუმენტალისა გარდამავალ ზმნათა მოქმედის აღსანიშნავად“ (გვ. 71); თვლის სისტემა ოცობითია (გვ. 72). სამივე პირის ნაცვალსახელი მხოლოდობითში სავსებით ჰგავს კიურულისას (გვ. 72).

9. ბუღუხური ენა (დიალექტი): მეტყველების ნიმუშები (გვ. 73-74); გრამატიკული შენიშვნები (გვ. 75-76); სტანდარტული 169 ფრაზიდან სამოციოდეა თარგმნილი; თუმცა ფრაზები ცოტა გვაქვს, — ნათქვამია „გრამატიკულ შენიშვნებში“, — შემდეგი მაინც შეიმჩნევა: ბუღუხური უშუალოდ მეზობელ ჯეკურთან (კრიზულთან) ყველაზე ახლოა, მაგრამ კიურულთან ისე ახლოს არ არის, როგორც ჯეკური (გვ. 75)... რიცხვითი სახელები 11-დან 20-მდე უფრო ძველი სახითა გვაქვს, ვინემ ჯეკურში: ჯეკურში: თავკიდური • მოკვეცილი აქვს (გვ. 75); ნაცვალსახელი პირველისა და მეორე პირისა ჯეკურის მსგავსია; მესამე პირისა ლაკურისა და ხუნძურისას უახლოვდება (გვ. 76)... გარდაუვალ ზმნათა სუბიექტი სახელობითში დაისმის, გარდამავალთა — ინსტრუმენტალისში, განცდა-აღქმის ზმნათა — მიცემითში (გვ. 76); ნამყოს წარმოება ჯეკურს უკავშირდება, აწყყოს -**რი** — ლაკურს, ავუშურსა და არჩიბულს (გვ. 76).

10. ხინალუღური ენა (დიალექტი). მეტყველების ნიმუშები (გვ. 76-82); გრამატიკული შენიშვნები (გვ. 82-84): დამახასიათებელია თავკიდური თანხმონები (ბაგისმიერი: **ფ, მ**): ფ-სი „დათვი“, ფ-ში „ცხენი“ (გვ. 82); აწყყო მეტწილად მეშველი ზმნის დახმარებით იწარმოება (გვ. 83); ნამყოს ორგანული წარმოებაც აქვს და აღწერითიც (გვ. 84); გარდაუვალ, გარდამავალ და აღქმა-განცდის ზმნათა სუბიექტად იგივე ბრუნვები იხმარება, რაც ბუღუხურში (გვ. 84).

მას შემდეგ, რაც ლეზგიური ჯგუფის ყველა ცხრა ენა-კილოს შესახებ მოკლე ცნობები მოწოდებულა, წიგნი იძლევა „ზოგად“ შენიშვნებს კიურული ჯგუფის შესახებ (გვ. 84-86):

ლეზგიურ (ე. ი. დაღესტნურ) ენათა სამხრულ-აღმოსავლურ ანუ კიურულ ჯგუფს ქმნიან: საკუთრივ კიურული ორი დიალექტით: ახთი და საკუთ. კიურული; (თავის ადგილას ჩრდილო კიურულია ნახმარი — **ა. ჩ.**), აღუღური (კოშანისა და ბურკიხანის დიალექტით), თაბასარანული (სამხრული და ხუშნი-დიალექტით), რუთულური, წახურული და ხუთი პატარა დიალექტი: უღური, არჩიბული, ბუღუხური, ჯეკური და ხინალუღური (გვ. 84; თავის ადგილას: ჯეკური, ბუღუხური და ხინალუღური „ენა-კილოებად“ იწოდებოდა, უღური და არჩიბული — ენებად! **ა. ჩ.**).

ლეზგიური (კიურული) ჯგუფის ენა-კილოებს აერთიანებს გარკვეული საერთო თვისებები — ხუნძურ, ლაკურ, დარგუა და ჩაჩნურთან შეპირისპირებით.

არსებით სახელთა ბრუნებისას ბევრი ბრუნვა მარტივ ელემენტებს იყენებს; მრავლობითში **-რ** სუფიქსი ბატონობს, თუმცა ცალკეული დიალექტები, მაგალ., არჩიბული, ამ მხრივ განსხვავდება, ცხადია, მეზობელი ხუნძურისა და ლაკურის ზეგავლენით. საერთო ახასიათებს პირის ნაცვალ-სახელთა მორფოლოგიასა და ნაწილობრივ — რიცხვითს სახელებს. მთავარი დიალექტი, კიურული, არ განარჩევს ზმნაში სქესსა და რიცხვს, სხვები ზმნაში ნაწილობრივ განასხვავებენ სქესსა და რიცხვს.

ყველაზე ახლოს კიურულთან არის აღულური და თაბასარანული; ეს ჩანს არსებითი სახელის ფლექსიაში; მრავლობითი სამივეში **-არ**-ით იწარმოება; ეს სუფიქსი რუთულურსა და წახურულშიც გვაქვს, მაგრამ იქ **-ბურ** და **-მარ**-იც გვხვდება. მრავლობითის წარმოებაში **-რ**- ელემენტი მთელ ჯგუფში შეინიშნება მარტივი თუ გართულებული სახით (გვ. 84). მრავლობითის რთული სუფიქსები ყველაზე მეტად არჩიბულს ახასიათებს: **-მულ**-ის რიგის წარმოებაში ხუნძურისა და დარგულის გავლენა იგრძნობა, **-თთუ**, **-ოთ** — ლაკურ **-თუ**, **-თალ**-ს შეიძლება შევუდაროთ (გვ. 85). მრავლ. **-ად** — ელემენტი ხინალულურში გვაქვს, **-ბ** — საერთოა რუთულურისა, წახურულისა, არჩიბულისა, ბუდუხურისა და ჯეკურისათვის; **-მ** გვაქვს უდურში (**მ-უხ**); უდური — **ურუხ** ცალკე დგას; იქნებ **ხ**-სათვის აფხ. **ქუა** შეგვედარებინაო (იქვე).

ნათესაობითი თითქმის ყველგან **-ნ**-ს დაირთავს; უდურსა და ხინალულურის **-ი**-ს დაკარგული უნდა ჰქონდეს ბოლოკიდური **-ნ**; ცალკე დგას ბუდუხურისა და ჯეკურის **-ჯა**, **-ჩა**, **-შ** (იქნება მეგრულ-ლაზური **შ** შეედაროსო). მხოლოდ რუთულურს აქვს ნათესაობითში **-დ** (გვ. 85).

მიცემითში **-ზ**- ნიშანი საერთოა კიურულისა, თაბასარანულისა, ბუდუხურისა და ჯეკურისათვის; სხვებს **-ს** აქვს. არჩიბულში სავრცობი ელემენტი **-ჩ** (**მულჩინ**) რუთულურსა და წახურულში პოვებს პარალელებს (**-მეშის**, **-ბეშის**; **აშის**, **ბუშის**); შდრ. ჩაჩნ. მრავლ. **-ჩ**.

ინსტრუმენტალისში (მოქმედებითში) კიურულს მეტწილად მისდევს აღულური, თაბასარანული, აგრეთვე რუთულური და წახურული; არჩიბული და წახურული ცალკე დგანან. არჩიბულში **ში**-ს ანალოგონი აქვს კიურულ — **ტჩი**, **დჩი**-ში (გვ. 85).

აღულური ნაცვალსახელი I პ. მხ. და მრ. ახთი-კიურულს მიჰყვება; თაბასარანულის **უზუ** რუთულურის, წახურულის, უდურის **-ზუ**-სთან არის ყველაზე ახლოს. ყველაზე დაშორებულია (? — **ა. ჩ.**) ხინალულური თავისი **ზე**-თი. არჩიბულის **ზონ** და **უნ** მიჰყვება მთავარ დიალექტს (ე. ი. კიურულს — **ა. ჩ.**). უდურის **ძან**, **ვან** ცალკე დგას, მაგრამ ჯეკურისა და ბუდუხურის **ვინ**, რუთულურის **ვე**, ბუდუხურის **ინ**, რუთულურის **ე**-ს მოგვაგონებს (გვ. 85).

ახთი-კიურული მეშველი ზმნა **მა** მეორდება აღულურისა **ა (ე)**-ში, რუთულ. **ა**-ში (**იი**-ს გვერდით), ჯეკ. **მა**-ში. ნამყოს **-ი** აწარმოებს კიურულის მსგავსად: რუთ. **ამ**, თაბას. ვუ-**ი**-ზუ, აღულ. უ-**ი**; ბუდ. და ჯეკ. ნამყოს აწარმოებენ აწმყოსაგან **-ნი**-ს დართვით; ხინალ. **ატმა, ტო, ტომა** ეფარდება კიურ. **ათა, ათამა**-ს (გვ. 85).

მარტივი მეშველი ზმნის (**მა, და**) გარდა კიურულს მოეპოვება დიურატიული ფორმა **ავა**; ახთის კილოში **და**-ს ბაღლად **ზა** გვაქვს. ხომ არ არის **მა, და, ავა** მეშველი ზმნის სქეს-ნიშნისანი გაქვავებული ფორმები? (გვ. 85). სქესი და რიცხვი მეშველ ზმნაში გამოხატული აქვს არჩიბულს, რუთულურს, ჯეკურს, ბუდუხურს (გვ. 85-86). თაბასარანული და უდური უფრო შორსაც მიდის: მათ აღნიშნული აქვთ ნაცვალსახელებიც მეშველ ზმნაში (ე. ი. პირი აქვთ გარჩეული — **ა. ჩ.**). თაბას. უ-**ზა** „ვარ მე“, უ-**ა** „ხარ შენ“ (გვ. 86). უდურსაც აქვს მსგავსი ფორმები, ოღონდ ნაცვალსახელები ძირი ინფიქსადაც გვეკლინება (გვ. 86). უფრო ძნელია სხვა ზმნების შედარება (ზმნები აკი აღწერილი წარმოებისა; მაშასადამე, ისევ მეშველ ზმნას ვუბრუნდებით; საუღლებელი ზმნისა ძირები უნდა იქნეს შედარებული — **ა. ჩ.**). გარდამავალი ზმნები ყველგან სუბიექტს ინსტრუმენტალისში მოითხოვს, გარდაუვალი — სახელობითში, აღქმა-განცდისა — მიცემითში (გვ. 86). საკუთრივ ვნებითი კიურული წრის ენა-კილოებს არ მოეპოვებათ... (გვ. 86). **-რ-** აწმყოს ნიშანია არჩიბ., ბურკიხან., თაბასარ., რუთულ.-ში; **-ნ-** ნამყოსათვის ახთი-კიურ., აღულ., თაბასარ., რუთულ.; **ს** — მყოფადისათვის რუთულ., აღულ.; **-დ-** კიურ.-ში, **იდი-ზა** თაბასარანულში; მყოფ. **ხკი** არჩიბ.-ში უდურის აწმყოს უნდა შევეუდაროთ; ბუდუხ. მყოფ. **-ალი** უდურის განყენებულ მყოფადს **-ალ**-ს. ბუდუხ. და ჯეკ. **ჩა, ჯა** ნამყოში ცალკე დგას (გვ. 86).

თუ ამოსავლად (მთავარ დიალექტად), კიურულს მივიჩნევთ, სხვა ერთეულთა ადგილი ასე წარმოგვიდგება: კიურულთან ყველაზე ახლოს აღულური და თაბასარანული იქნება, მასთან პირველი — უფრო, ვინემ მეორე; აღულურის ბურკიხანული დიალექტი გარდამავალი საფეხურია სამხრულ (საკუთრივ) თაბასარანულთან; შემდეგ მოდის რუთულური და წახურული. მათგან რუთულური უფრო ახლოსაა თაბასარანულთან; რუთულურთანაა ყველაზე ახლოს არჩიბული (ხუნძურისა და ლაკურის გავლენის ქვეშ მყოფი); ცალკე დგას უდური, რომელიც ერთს მნიშვნელოვან პუნქტში ხვდება თაბასარანულს. ყველაზე დაშორებული ჩანან დიალექტები: ჯეკური, ბუდუხური, ხინალური, მეტადრე ეს უკანასკნელი (გვ. 86).

ზემოთქმულის მიხედვით კიურული (ლეზგიური) ჯგუფის ენა-კილოთა სქემა ასეთი იქნება:

I		II	
1.	ახთი-კიურული	4.	არჩიბული
2.	a) ალულური (კოშანური)	5.	უდური
	ალულური (ბურკიხანული)	6.	a) ჯეკური
	b) თაბასარანული (სამხრული)		b) ბუდუხური
	თაბასარანული (ხუშნი)	7.	ხინალულური (გვ. 86).
3.	a) რუთულური		
	b) წახურული		

ასეთია ერკერტის წიგნში მოცემული მსჯელობა დაღესტნის ერთი ჯგუფის ენათა შესახებ.

დაღესტნის სამხრულ-აღმოსავლური, ლეზგიური, ჯგუფის შესახებ თქმულზე ასე თუ ისე დაწვრილებით შევჩერდით; ვიცით, რა მასალას ემყარება ენა-კილოთა დახასიათება, რა საკითხებს მიიჩნევს საკვანძოდ თითოეული ენა-კილოს გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი დახასიათებისას და რა ზოგად დასკვნებს აკეთებს მთელი ჯგუფისა და მის შემადგენელ წევრთა ურთიერთობის შესახებ... სხვა ენათა მასალის განხილვისას შევჩერდებით მხოლოდ ზოგად დასკვნებზე.

II. ჩ რ დ ი ლ ო - ა ღ მ ო ს ა ვ ლ უ რ ი ანუ დარგუა-ჯგუფი (ვარკუნ ანუ ბურკუნ დიალექტები და აჯუშა-დიალექტები):

1. ვარკუნ ანუ ბურკუნ-დიალექტი ანუ ვურკუნ-დარგუა; იგულისხმება: 1. ურარი და ყუნყი, ე. ი. სურხი-დიალექტი და აშტის დიალექტი: მეტყველების ნიმუშები (გვ. 87-97); გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი შენიშვნების (გვ. 97-99) დასაწყისში ნათქვამია: სურხი (დიალექტი ურარი ანუ ურარი ადგილისა, როგორც უფრო მსუბუქი და ადვილად გასაგები, ვარკუნ-დარგუა-ში საყოველთაოდ ხმარებულია (გვ. 97)... მდებრობითი სქესის ნიშანი სურხიულში -**რ** — არის, აშტი-ში -**ა** (გვ. 98)... აშტი, — ვკითხულობთ დასასრულ, — ხიურკილიურთან (ჰირკანულთან) უფრო ახლოს დგას, ვინემ სურხიული (გვ. 99).

2. ყარა-კაიტალური (ხადაყური) დიალექტი, „რომელიც ვარკუნ-ჯგუფს ეკუთვნის“ (?! **ა. ჩ.**): მეტყველების ნიმუშები (გვ. 99-104); გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი შენიშვნები (გვ. 105-107); ნაცვალსახელებზე ნათქვამია: პირის ნაცვალსახელები (1. დუ, 2. უ, 3. იდ, იტ) ცხადყოფს,

რომ „ყარა-კაიტალი უფრო ვარკუნსა და კუბაჩის ეკედლება, ვინემ ავუშასა და ხიურკილის მაშინ, როდესაც მაჯალის-კაძტალი ავუშასა და ხიურკილის მისდევს (გვ. 105)... დასკვნითი ფრაზაც ამას იმეორებს: ყარა-კაიტალი დარგუა-დიალექტებში ვარკუნ-კუბაჩისთან არის ყველაზე ახლოსაო (გვ. 107).

3. კუბაჩი-დიალექტი (გარდამავალი, საფეხური ვარკუნდან ავუშასკენ): მეტყველების ნიმუშები (გვ. 107-111); გრამატიკული შენიშვნები (გვ. 111-113); დასკვნა: კუბაჩური ვარკუნ-აშტისა და ავუშას შორისაა; აშტისთან განსაკუთრებული სიახლოვის თვალსაზრისით მხედველობაშია მისაღები: 1. ინსტრუმენტალისში -**დილ**; 2. ნაცვალსახ. ნუსსა „ჩვენ“; ასევეა აშტიში; უშა „თქვენ“; აშტიში: უშმა; 4. მეშვ. ზმნა: სა-ვ, სა-დ, სა-ბ; 5. ნამყოში III პირის დაბლოება -აჲ (გვ. 113).

4. ავუშა-დარგუა: 1. ავუშა ვიწრო გაგებით; 2. ხიურკილიური (ჰირკანული) დიალექტი: მეტყველების ნიმუშები (გვ. 114-121); აქ ბოლოში დართულია „რამდენიმე ხიურკილიური ფრაზა“ („მუშაობს“ — ზმნა მხოლოობითსა და მრავლობითში — გვ. 120); შემდეგ: რამდენიმე ფრაზა მეკეგე-დან; ადამ „კაცი“ სიტყვის ბრუნვის ფორმები მხოლ.-ში; ბარკეს, ბირკეს „კეთება“ — აწმყოში, ნამ. უსრ.-ში; იგივე ზმნა ნამყო სრულში (?), მყოფადში — ხიურკილიურად (!); ბრძანებითი, მიმღეობა (გვ. 120-121). გრამატიკული შენიშვნები: ავუშურის შესახებ (გვ. 121-123); მეკეგე-ს (მიხაგე) მეტყველების შესახებ (გვ. 123-142); ხიურკილიურის შესახებ (გვ. 124-131): ხიურკილიური დიალექტი ჰქონდა შესწავლილი უსლარს.

5. მაჯალის-ყაიტალის დიალექტი (ავუშა-ჯგუფისა), აგრეთვე მდურა-ენად წოდებული: მეტყველების ნიმუშები (გვ. 131-136); გრამატიკული შენიშვნები (გვ. 136-137: სულ ერთი გვერდი).

დარგული ხუთი დიალექტის (დიალექტთა ჯგუფის) მასალასა და მოკლედ ცალ-ცალკე დახასიათებას მოსდევს გრამატიკული შენიშვნები დარგუა-დიალექტების ურთიერთობისა და სხვა ლეზგიურ (ე. ი. დაღესტნურ) ენებთან მიმართების შესახებ (გვ. 137-141). შედარებულია რიგი მოვლენა დარგული დიალექტების ფონეტიკასა და მორფოლოგიაში; ზოგი ფაქტი ხუნძურსა და ლაკურთანაც (კიურულთანაც კი); მაგალ., მრავლ. სუფ. **რი** — ლაკ. **-რი** — კიურ. **-რი**; ვი — ხუნძ. **-ბი**, ლაკ. **-ბალ**... ჩვენებ. ნაცვალსახ. **დი** — ლაკ. **დი** — ხუნძ. **დულ**... (გვ. 138).

აღნიშნულია, რომ ათობითი სისტემა საფუძვლად უდევს თვლას, როგორც დარგულში, ისე ლაკურსა და არჩიბულში (გვ. 130).

დარგული დიალექტების ურთიერთობაზე დანასკვში ნათქვამია: ვარკუნ-დარგუა ფართო გაგებით — ესა: ვარკუნ, ყარაკაიტალი, კუბაჩი; ავუშა ფართო გაგებით: ავუშა, მეკეგე, ხიურკილი, მაჯალის-ყაი-

ტალი. ვარკუნი ვიწრო გაგებით გარდამავალი საფეხურია ლაკურისაკენ; აჯუშა ვიწრო გაგებით ყველაზე მეტად უნდა უახლოვდებოდეს მეზობლად მყოფ ხუნძურს. დარგუა-დიალექტები ისე უშუალოდ არ ეხებიან ხუნძურს და ყველაზე ახლოს არიან ლაკურთან (გვ. 140; ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**).

III. ცენტრალური ენა: ლაკური ანუ დაზიყუმუხური: მეტყველების ნიმუშები (გვ. 141-149); გრამატიკული შენიშვნები (გვ. 149-156); კერძოდ, ზმნის შესახებ აღნიშნულია: ხუნძურისა და ჩაჩნურისაგან განსხვავდებო; მეტად ბუნდოვანია აქტიურისა და პასიური ფორმების სხვაობა (გვ. 154); წარმოების მიხედვით მარტივი და რთული ფორმები გაირჩევა; მნიშვნელობის მიხედვით გარდამავალი და გარდაუვალი (იქვე); რთული ზმნები იწარმოება **-ან, -ბან, -დან**-ის „კეთება“ მეშვეობით, აგრეთვე **ხუნ** „გადაქცევა“, **უჩინ** „თქმა“- ფუძეთა მონაწილეობით (იქვე). გარდაუვალ ზმნას სუბიექტი სახელობითში დაესმის, გარდამავალთან თავისებური ინსტრუმენტალისის ფორმა გვაქვს: მესამე პირში იგი ნათესაობითის იდენტურია, პირველსა და მეორე პირში — მოქმედებითისა; განცდა-აღქმის ზმნები მიცემითს მოითხოვს (გვ. 154). სქესი ზმნაში აღინიშნება თავიადურ და შიგ ჩართულ ბგერათა მეშვეობით; მიუთითებს ნაწილობრივ მოქმედების სუბიექტზე, ნაწილობრივ — ობიექტზე; გაირჩევა: აწმყო, ნამყო სრული, აორისტი (რომლის ფუძეც გერუნდიუმს უდრის), მყოფადი... (გვ. 154); ნაჩვენებია მათი ფორმები (გვ. 155); „ქონა“ გადმოიცემა „არის“ — ზმნით მქონის ნათესაობითში დასმითაო (გვ. 155).

IV. დასავლური ჯგუფი: ხუნძური, ანდიური დიალექტები, დიდოური დიალექტები; **1. ხუნძური ენა: 1. 2. ჩრდილოური დიალექტი: (1. ხუნძახი; 2. ლუნბი); 3. დასავლური დიალექტი (ახვახი); 4. 5. აღმოსავლური დიალექტი (4. ჭოხი; 5. ლაკების საზღვარზე! — ა. ჩ.). 6. სამხრული დიალექტი. მეტყველების ნიმუშები (გვ. 156-170: მოცემულია ექვსივე ვარიანტი — მეტწილ შემთხვევაში!); 1. „გრამატიკული შენიშვნები — ჩრდილოური, დასავლური (ახვახ-) და აღმოსავლური ხუნძურის შესახებ“ (გვ. 170-175); „გრამატიკული შენიშვნები — სამხრული ხუნძურისა და აღმოსავლურ ხუნძურის ნაწილის შესახებ, რაც გარდამავალ საფეხურს ქმნის ხუნძურისაკენ“ (გვ. 175-178).**

ხუნძურის დიალექტთა გამოყოფისა და ურთიერთობის გარკვევის ეს ცდა პირველია (ოღონდ ახვახური ხუნძურის დიალექტებში შემოსატანი არ იყო: ანდიური წრის ენა); დიალექტთა ზოგი თავისებურება ნაჩვენებია; „გრამატიკულ შენიშვნათა“ შეჯამებისას ნათქვამია: ჩრდილოურ, სამხრულ, დასავლურ და აღმოსავლურ ხუნძურის შედარება ასეთ სხვაობას ავლენს:

1. ჩრდ. ხუნძურში **ტ** რომ გვაქვს, სამხრ. ხუნძურში ხშირად **კ** მოგვეპოვება: რეტელ „ტანსაცმელი“ — რეკელ (რიკელ), ბეტერ „თავი“ — ბიტერ (ალბათ, ივარაუდება: ბიკერ! — **ა. ჩ.**); 2. სამხრ. ხუნძურში (ნაწილობრივ, აღმოსავლურშიც) ინსტრუმენტალისის ნიშანია **დ**; 3. ნაცვალსახელი „თქვენ“ სამხრ. ხუნძ. „მუჟ“ არის, ჩრდ.-ში **ნუჟ**; 4. ნამყო (პრეტერიტი) სამხრ. ხუნძ.-ში ბოლოვდება **ა**-თი, ჩრდ., დასავლ. და აღმოს. ხუნძურის **-ნა** დაბოლოების ნაცვლად; 5. სამხ. ხუნძურში გაბატონებული (!) მეტათეზისი: ს ო დ რ ო „ღამე“ — ჩრდ., დასავლ., აღმოსავ. ხუნძურის **სორღო**-ს ნაცვლად (გვ. 177).

ამგვარად, ხუნძური დიალექტები უნდა დავაჯგუფოთ შემდეგნაირად: I ჯგუფი (ჩრდ.): ჩრდილოური, დასავლური და აღმოსავლურ-ხუნძური, ჭოხური; II ჯგუფი (სამხრ.): აღმოსავლური (ე. ი. ლაკების საზღვრისა) და სამხრული ხუნძური. ორი აღმოსავლურ-ხუნძური დიალექტიდან ერთი (ჭოხური) პირველ ჯგუფს განეკუთვნება, მეორე კი — სამხრულ ხუნძურს, ქმნის რა შუა, გარდამავალ, რგოლს სამხრულ ხუნძურისაკენ (გვ. 178).

2. ანდიური დიალექტები: 1. ანდი-ჯგუფი; 2. კარატა-ჯგუფი: I ა. საკუთრივ ანდიური: მეტყველების ნიმუშები (გვ. 178-183); გ რ ა მ ა - ტ ი კ უ ლ ი შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი (გვ. 183-186); აქ მართებულად არის შენიშნული ნათესაობითი ბრუნვის კლასიანი ფორმები: იმუ-**გ** ვ-ოცი „მამის ძმა“; იმუ-**დ** დ-ოში „მამის ქალიშვილი“; იმუ-**ბ** უნსო „მამის ხარი“; იმუ-**რ** ოხი „მამის ბალი“... (გვ. 184); აღნიშნულია ისიც, რომ სქეს-ნიშნების გამოყენება ნათესაობითის მიმართებათა გადმოსაცემად ანდიურში ისეთივეა, როგორც აფხაზურში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აფხაზური თავის ელემენტებს პრეფიქსად უსვამს მიმართების სიტყვას (გვ. 184); ზედსართავი სქესებს აღნიშნავს სიტყვის თავსა და ბოლოში (გვ. 184); ზმნასთან დაკავშირებით ნათქვამია: „მთის კავკასიურ ენებს საერთოდ მათთვის დამახასიათებელი გრამატიკული კანონები აქვს; ანდიურსა და მეზობელ ქვე-დიალექტებში არა გვაქვს ფორმა, რომელიც ჩვეულებრივს მყოფადს შეესატყვისებოდეს; საამისოდ მოიპოვება რამდენიმე ფორმა იმ მოქმედების სხვადასხვა მომენტის გამოსახატავად, რაც უნდა მოხდეს (გვ. 185).

ანდიურის შემდეგ მოცემულია მეტყველების ნიმუშები: 1. ბოთლიხისა (ბუფუხადის); ჰ ი ჰ ა თ ლ -ის (ჭ ა მ ა ლ ა ლ -ის); ი დ ი (იდერი, ტ ი ნ დ ი -სა) — გვ. 186-188; ამას მოსდევს: მეტყველების ნიმუშები: II ა. კარატა-სი (არჩოფ) — გვ. 188-193; გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი (გვ. 193-195).

ბოთლიხ — ჭამალალ — ტინდი — კარატას შემდეგ კი წარმოდგენილია: II ბ. ლ ო დ ო ბ ე რ ი (კირდი); კ ვ ა ნ ა დ ა (ბაგულალ) (თუმცა ლოდობერიული ბოთლიხურთან არის ყველაზე ახლო და კვანადური — ტინ-

დიურთან — **ა. ჩ.**): მეტყველების ნიმუშები (გვ. 195-196: მასალა ნაკლულია!) და „გრამატიკული შენიშვნები ყველა ანდიური დიალექტის შესახებ“ (გვ. 197-203). სხვათა შორის, აქ ნაჩვენებია, რომ: თავიერი სქესის ნიშნებად გვაქვს **ვ** და **ღ**... სახელობითი და აკუზატივი ერთნაირადაა და რაიმე სუფიქსი არა აქვს; იდი, ჰიჰათლი — ნათეს. სქესის ნიშნებს ირთავს: იმუ-**ბ** „მამის“ (რალაც)... ინსტრუმენტალისი — ანდ., ბოთლ., ჰიჰათლსა და ლოდობერიულში — **დი**-ს დაირთავს; ნაცვალ-სახელშიც ეგვე დაბოლოება (გვ. 197)...

თვლის სისტემა ოცობითაა (გვ. 198)... სქესის ნიშნები — **ვ, ღ, ბ, რ** — ზმნაში ხან სუბიექტს უკავშირდება, ხან — ობიექტს... გარდაუვალ ზმნებთან მოქმედი სახელობითშია, გარდამავალთან — ხან ინსტრუმენტალისში (**-დი**), ხან — ფორმებში **-ვო, -ღო, -ბო** სუფიქსებით (გვ. 198)... საკუთრივ ვნებითი ამ დიალექტებისათვის უცხოა; პასიური კონსტრუქციები შესაბამის აქტიურში გადაიყვანება (გვ. 198)... ინფინიტივი ანდიურში ბოლოვდება **-ღუ, -იღუ, -ვუკუღუ**-თი; განსაკუთრებით ხშირია **-იღუ** დაბოლოება (გვ. 199)...

რაც შეეხება ანდიური დიალექტების მიმართებას სხვა ენებთან, ლექსიკის მხრივ ყველაზე დიდი სიახლოვე ხუნძურთან და დიდოურთან მქდავდება (გვ. 199)... ანდიურ დიალექტებს ხუნძურისაგან განსხვავებით სისინა და კბილისმიერთა წინ ხშირად **ნ** აქვს; ხუნძურ ყელისმიერთა ნაცვალად სისინა ბგერები აქვს; ხუნძურის **ს**-ს ბაღლად **შ** გვაქვს (გვ. 200).

დიდოურში — ანდიურ ენებთან შედარებით — სისინა ბგერები უფრო სუსტად არის წარმოდგენილი (გვ. 200). ხმოვნების ფარდობა ანდიურ დიალექტთა წრეში თავისებურია — ანდ. **ო** — კარ. **ა**; ანდ. **ო** — კარ. **ა**; ანდ. **ა** — კარ. **ოა**; ანდიურში სიტყვა თანხმოვნებით ბოლოვდება უფრო ხშირად, კარატაულში — ხმოვნებით... (გვ. 200)... ხუნძურის მსგავსად ანდიურ დიალექტებს ახასიათებს ხმოვანთა განმეორება: **ო — ო, ე — ე, ო — ო, უ — უ, ა — ა** — ერთგვარი ხმოვანთ-ჰარმონია (გვ. 200)...

გრამატიკულ ფორმათა მხრივ ჰარბობს სიახლოვე ხუნძურთან (მრავლობითის წარმოება... ბრუნვის ნიშნები... ზედსართავის გაფორმება... ნაცვალსახელები... რიცხვით სახელთა ბოლო ნაწილაკი — **გო, გუ, -და, -რა**... ოღონდ თვლის ათეული სისტემით ხუნძურისაგან განსხვავებულია და კაპუჭურს, ნახადურს, ლაკურსა და არჩიბულს უახლოვდება...) გვ. 201. ზმნის უღვლილებაში ანდიური დიალექტები მონათესავე ენებთან ასეთ სიახლოვეს არ ავლენენ (გვ. 202)...

ერთმანეთთან მიმართების მხრივ ანდიური დიალექტები მეტს ერთიანობას გვიჩვენებს, ვინემ დიდოური ჯგუფის დიალექტები... ანდიურ დიალექტთა წრეში თავისებური ადგილი უჭირავს ჰიჰათლურს (გვ. 203).

3. დიდოური დიალექტები: 1. საკუთრივ დიდოური; 2. ხვარში-დიალექტი; 3. კაპუჭური დიალექტი: მეტყველების ნიმუშები (გვ. 203-216); გრამატიკული შენიშვნები: დიდო (გვ. 216-217); ხვარში (გვ. 217-218); კაპუჭური (გვ. 218-219); გრამატიკული ურთიერთობა დიდოურის, ხვარშიულისა და კაპუჭურისა (გვ. 219); გრამატიკული შენიშვნები დიდოური ჯგუფის მამართების შესახებ სხვა დადესტნურ ენა-კილოებთან (გვ. 219-221).

სახელის მორფოლოგიაში დიდოურ დიალექტებს აახლოებს მრავლობითის სუფიქსები (დიდ. -ბი, -ნა, -ნაბი, — ხვ. -ბა, -ნება, კაპ. -ნა; ნათეს. -ბ, მიც. -ლ, ინსტრუმ. -ტ, -ტი...), შემდეგ პირთა ნაცვალსახელები (გვ. 219)... დიდოური დიალექტები ხუნძურსა და ანდიურს, აგრეთვე ქართველურ ენებს უახლოვდება: მრავლობითის სუფიქსებით (-ბი, -ბო — ხუნძ. -ბი, კარ. «ა¹ბი, ქართ. ბი?! — ა. ჩ.)... -ნა — -ნი: ხიურკილ., თუშ., ქართულში (გვ. 219).

სქესები ზედსართავეებში აღინიშნება ისევე, როგორც ხუნძურსა და ინდურში (გვ. 220)... პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები იმავე ძირისაა, როგორც ხუნძურსა და ანდიურში (გვ. 220)... რიცხვითი სახელების მიხედვით დიდოური ანდიურთან ერთად ხუნძურს ეკედლება (გვ. 220)... დიდ. ინფინიტივის -და ანდიურის -დუ-ს ეფარდება (გვ. 220)... ზმნის თავკიდური ვ-, ბ-, რ-, ჟ- ხუნძურისა და ანდიურის შესაბამის ფაქტებს უკავშირდება (გვ. 220).

ზოგადი დასკვნა: 1. დიდოური, ხვარშიული, კაპუჭური (ნახადურთან ერთად) ქმნის ცალკე (ენათა თუ დიალექტთა) ჯგუფს, რომელიც განეკუთვნება უფრო დიდ ჯგუფს — ხუნძურთან და ანდიურთან ერთად; 2. ხვარშიული უფრო ახლოსაა დიდოურთან, კაპუჭური და ნახადური ქვეგანაყოფს ქმნიან; 3. დიდოურ ენა-კილოთა ახლო მონათესავეა ხუნძური და ანდიური; 4. ხუნძურთან დიდოური ჯგუფი უფრო შორსაა, ვინემ ანდიური ჯგუფი; 5. ცალკეულ მოვლენათა მიხედვით დიდოური ავლენს კავშირს ქართულთან და ჩაჩნურთან (გვ. 221).

დანართის სახით (გვ. 222-226) მოცემულია (არსებითი სახელის) ბრუნებისა და უღვლილების ტაბულა დადესტნურ ენათა ოთხივე ჯგუფის ენათათვის, სახელდობრ: 1. სამხრულ-აღმოსავლური ანუ კიურული ჯგუფისა (კიურული, აღლულური, თაბასარანული, რუთულური, წახურული, არჩიბული, უდური, ჯეკური, ბუდუხური, ხინალულური); 2. ჩრდილო-აღმოსავლური ანუ დარგუა-ჯგუფისა (ვარკუნ-დარგუა: ვარკუნ, ყარაყაიტილური, კუბაჩური; აწუშა-დარგუა: აწუშა, ხიურკილიური, მაჯალის-ყაიტილური); 3. ცენტრალური ენისა: ლაკუ-

რის; 4. დასავლური ჯგუფისა (ხუნძური: ჩრდილოური, სამხრული; ანდიური ენა-კილოებისა: საკუთრივ ანდიური; ბოთლიხური, ჰიპათლური, იდი-ური; კარატაული, ლოდობერიული, კვანადური; დიდოურ ენა-კილოთა: დიდოური, ხვარშიული, კაპუჭური)...

ჩაჩნური ენა: შუაგულის დიალექტი და დასავლური (ანუ ინგუშური): მეტყველების ნიმუშები (გვ. 229-236; უკანასკნელ 236 გვერდზე 25 ინგუშური ფრაზა არის ცალკე გამოყოფილი; წინა გვერდებზე ჩაჩნურის პარალელურად ინგუშური ვარიანტებიცაა მოცემული). გრამატიკული შენიშვნები (გვ. 237-244); აქ ინგუშურს ცალკე ეთმობა ადგილი (გვ. 242-244). ჩაჩნურის (და ინგუშურის) მიმართება სხვა ენებთან ცალკეა განხილული (გვ. 244-246); დასასრულ ერთ გვერდზე (გვ. 247) მოცემულია ბრუნებისა და უღვლილების ტაბულა „ცენტრალური ჩაჩნურისა“, „ინგუშურისა“ და „თუშურ-ჩაჩნურისა“ (ე. ი. ბაცბურისა).

სხვა ენებთან ჩაჩნურის ურთიერთობის დახასიათებისას ყურადღება ექცევა შემდეგ ფაქტებს:

1. ჩაჩნური განსხვავებს სქესებს არსებ. სახელებში, ზედსართავებში, ზმნაში და ამ მხრივ შედის ერთს ჯგუფში ხუნძურ, ანდიურ, დიდოურ, ლაკურ, დარგულ, არჩიბულსა და აფხაზურთან ერთად, ოღონდ ხუნძურისაგან განსხვავებით სქესის ნიშნებს მხოლოდ თავში დაირთავს (გვ. 244); 2. მრავლობითში: -არ=კიურ. -არ=ხუნძ. -ალ; 3. ნათესაობითში — ნ (-ან, -უნ. -ინ) — არჩიბ., კიურ., უდური — ნ; 4. მიცემითის -ნა — ლაკ. ნ; მიც. ა — კვანად., კარატ. ა (გვ. 244). 5. ინსტრუმენტალ. -ს=ხუნძ. ინსტრ. -ს; -ცა — კიურ. -ცი... თვალში საცემია ნაცვალსახელთა დიდი სი-ახლოვე აფხაზურთან: აფხ. ს-არა „მე“ — ჩაჩ. სუო... უ-არა „შენ“ — ჰუო. მაგრამ ჩაჩ. სუო შეიძლება აგრეთვე შევეუდაროთ კიურ. ზუნ-ს, არჩ. ზონ-საო (გვ. 245)...

სიახლოვე ჩანს რიცხვით სახელებშიც... მეშველი ზმნის ვუ, აუ, დუ, ბუ შეიძლება შევეუდაროთ ხუნძ. ვუ-გუ, მი-გო, ბუ-გო, და ლაკ. უ-რა, დუ-რა, ბუ-რა (გვ. 245)... აორისტის — (ი)ნა, -იერა შედარებულია კიურ. -ნა და -რა — სთან... მეორე პირობითის — არა — აფხ. პირობითის -რ-ს (გვ. 245).

ჩაჩნური, — ნათქვამია შემდეგ, — არსებითი სახელისა და ზმნის ფორმანტების მხრივ — კიურულს უახლოვდება; სქესის ფორმანტების მიხედვით — ხუნძურს (გვ. 246); ჩაჩნურ-თუშური (ე. ი. ბაცბური) ძირეულ მასალაში უფრო არქაულია, ვინემ ჩაჩნური, ფლექსიები კი უკეთ დაუცავს ჩაჩნურს (გვ. 246).

ჩერქეზული ენა: ა. აბძახური დიალექტი; ბ. ყაბარდოული დიალექტი: მეტყველების ნიმუშები (გვ. 251-260); გვ. 261 უჭირავს ზმნათა უღვლილებას: აღებულია აწმყო, ნამყო, მყოფადი, ბრძანებითი; სულ 25 ზმნა — ლიულიეს წიგნიდან „რუსულ-ჩერქეზული ლექსიკონი“, 1846 წ., ნიმუში „მაშინდელი ჩრდილო-ჩერქეზულისაო“ (მდ. ყუბანთან), გვ. 260. გრამატიკული შენიშვნები ჩერქეზული დიალექტების შესახებ (გვ. 262-268); ეს შენიშვნები ემყარება ლ. ლოპატინსკის შრომას („ყაბარდოულის მოკლე გრამატიკა“, თბილისი, 1890 წ.) და ლ. ლიულიეს „რუს.-ჩერქეზულ ლექსიკონს“ (გვ. 262); ადიღურ-ჩერქეზული სამი მთავარი დიალექტიდან (1. საერთო ჩერქეზული ანუ აბძახური და შაფსულურთი, 2. ბასლინეური და 3. ყაბარდოული — გვ. 262) აბძახურისა და ყაბარდოულის მასალაა აღებული; აბძახურის შესახებ ნათქვამია: „აქ მოცემული აბძახური დიალექტი სამხრულია და უფრო ახლოს არის ყაბარდოულთან, ვინემ ჩრდილო-აბძახური და უნდა უდრიდეს ზოგადად იმას, რასაც ლიულიე ბასლინეურს უწოდებსო (გვ. 262)... „ჩერქეზულ დიალექტთა შორის სამხრული აბძახური და საერთო ჩერქეზული (წინეთ — ჩრდილოური) ყველაზე ახლოს უნდა იყვნენ ერთმანეთთან მაშინ, როდესაც ყაბარდოულს შედარებით უფრო დამოუკიდებელი ადგილი უჭირავს; უფრო დაშორებულია შაფსულურთი“ (გვ. 268).

ჩერქეზულთან შესადარებელია, პირველ ყოვლისა, აფხაზური; ამ მხრივ გასათვალისწინებელია: 1. მდედრობითი სქესის აღნიშვნა: ჩერქ. ხა „ძალი“, ხა-ბზე „ძუ ძალი“ — აფხ. აღს „ძალი“, ალა-ფჰს „ძუ ძალი“; 2. მრავლობითის სუფიქსი ხე — აფხ. ქჷა; 3. კონსტრუქცია ონთე-საობითის მნიშვნელობით: აბძ. ათე-მ იი-ხატ „მამის მეუღლე“ — აფხ. არი ა-აბ ი-ფა „ამ მამის შვილი“; 4. მსაზღვრელი ზედსართავი მოსდევს არსებით სახელს; 5. პირის ნაცვალსახელები: ჩრდ.-ჩერქ.: სერე „მე“, ვლორე „შენ“, არდ „ის“, თერე „ჩვენ“, სუორე „თქვენ“ არდხი „ისინი“ — აფხ. სარა, უარა, დარა, ჰარა, შვარა, ართ; 6. ორმაგი აღნიშვნა პირისა ზმნაში; 7. მყოფადის — შტ აბძახურში — მყოფ. იშტ აფხაზურში (გვ. 268).

აფხაზური ენა: მეტყველების ნიმუშები (გვ. 271-277); გრამატიკული შენიშვნები (გვ. 277-280) დამყარებულია პ. უსლარის „აფხაზური ენის“ შიფნერისეულ გამოცემაზე (*Aüsführlicher Bericht über... P. v. Uslar's Abchasische Studien*, 1863); შიფნერის ეს შრომა დამოწმებულია გვ. 280-ზე... ამიტომ არის, რომ შემჩნეულია ობიექტის აღნიშვნა ზმნაში და ისიც, რომ ობიექტის ეს ნიშანი სუბიექტისაზე წინ დაისმის (გვ. 280)... გარდამავალ ზმნაში რომ ხდება ეს, არაა აღნიშნული... თავისებური ჩანს დებულება: აფხაზურს აქვს მხოლოდ აქტიური ოზმნა; ყველა პასიური კონსტრუქცია გარდაიქმნება შესაბამის აქტიურად (გვ. 280):

ჩანს, ვნებიტის უქონლობიდან არის გამოყვანილი დებულება, რომ ყველა ზმნა აქტიურია...

281-ე გვ.-ზე მოცემულია ჩერქეზულისა და აფხაზურის ბრუნებისა და უღვლილების ტაბულა.

ქართული ენა — სხვა ენათაგან განსხვავებით — იწყება გრამატიკული შენიშვნებით (გვ. 285-311); როგორც თავშივე აღნიშნულია, ეკუთვნის ეს შენიშვნები მოსე ჯანაშილს (*nach Angaben von Moses Dzanašvili in Tiplis*, გვ. 285). იწყება „შედარებითი ფონეტიკით“:

პირველი დებულება ასეთია:

ა. „ბევრი ბგერა რბილი ყოფილა და მაგარი გამხდარა, ასევე მაგარი — რბილი ანდა მფშვინავი;

ბ. მაგარსა და რბილ ბგერებს შორის წარმოებს ბრძოლა არსებობისათვის;

გ. ბევრი ბგერა სულ დაკარგულია ანდა სხვა ბგერაში გადასულა; ორი და სამი ბგერაც კი ერთ ბგერად შერწყმულა;

დ. ცალკეული ბგერები სიტყვის ბოლოდან შუაში ანდა თავში გადმოსულა, და — პირიქით;

ე. ბგერათა მიდრეკილება შერწყმისაკენ ისე ძლიერია, რომ ამის შედეგად რამდენიმე სიტყვა ერთ სიტყვად ქცეულა, მაგალ.: „მეროვ“ — „მერა ვიცი“... „კაცშია“ — „კაცსა შინა არს“ (გვ. 285): მხოლოდ ფონეტიკური ცვლილების შედეგს ხედავს ავტორი ზემოხსენებულ ცვლილებებში...

კუთხურ თავისებურებათა მიუხედავად ქართული ენა იყო ეკლესიისა და ლიტერატურის ენა ყველა ქართველისათვის (გვ. 286). ლექსიკაში რაც ძველ ქართულს ჰქონდა, ბევრი რამ სვანურმა, მეგრულმა, ჭანურმა და მთის დიალექტებმა შემოგვინახეს (გვ. 286)... ძველ ქართულს ახასიათებდა: სრულხმოვნობა; მრავალი არქაული ფორმა (!); თანხმოვნები სიტყვის ბოლოში; სუფიქსები ხშირად ცალკე სიტყვად იხმარება (!); პრეფიქსებიც შეიძლება მოსცილდეს სიტყვას (იგულისხმება: პრეფერბები — **ა. ჩ.**); შემასმენელი არა მხოლოდ ქვემდებარეს ეთანხმება, არამედ დამატებასაც (გვ. 286): ვიხილნე მე ცანი...

ახალი ქართული ენა გაგრძელებაა ძველი ქართული ენისა, რომელიც იხმარებოდა ჭოროხის, რიონის, ენგურისა და მტკვრის აუზში. ქრონიკებისა და გადმოცემათა მიხედვით ქართული ენა უნდა ყოფილიყო გავრცელებული მცირე აზიის ზემო ნახევარში კასპიის ზღვამდე და დარუბანდამდე... საფუძვლიანი ჩანს გატეფრიასის აზრი, რომ სომხური ენის სინტაქსი ქართული ენის გავლენით უნდა განვითარებულიყო (გვ. 287). თანამედროვე ქართულს მე-9 საუკუნის ძეგლებს თუ შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ ეტიმოლოგია (ე. ი. მორფოლოგია — **ა. ჩ.**), სინტაქსი და

ლექსიკა მცირე გამოჩაყლისით, იგივეა (გვ. 288). თუ ქართულს მე-9 საუკუნეში მდიდარი და რთული გრამატიკა მოეპოვებოდა, ცხადია, ასეთი შედეგების მისაღებად მრავალი საუკუნე იქნებოდა საჭიროო (გვ. 288).

ქართველურ ენათა გენეალოგიური სქემა ასეთი სახით არის მოცემული: ძველი ქართული — მისი განშტოება: სვანური, ძვ. ქართულის გაგრძელება ახალი ქართული; ამ უკანასკნელის განშტოება მეგრული, მეგრულის განაყარი ჭანური; ახალი ქართულის განტოტება: მთის ქართული: ხევსურული, თუშური; ინგილოური — გვ. 287.

„შესავლის“ შემდეგ, სადაც „შედარებითი ფონეტიკა“ და ზოგადი დახასიათება ქართულისა არის მოცემული, „ანბანია“ წარმოდგენილი: რა ნიშნებია ლათინურ ტრანსკრიფციაში გამოყენებული და რა თვისებები ახასიათებს ამა თუ იმ ბგერას ქართულში, მეგრულში, სვანურში (გვ. 288-291). სპეციფიკური მკვეთრი ბგერები უპირატესად აკუსტიკური შთაბეჭდილების მიხედვით არის დახასიათებული: **კ** ბგერის შესახებ ნათქვამია, მაგალითად, „მაგარი მოკლე ყელის ბგერააო“ (*ein harter kurzer Kehllaut*, გვ. 289)... **წ**: „გამოითქმის, როგორც გერმანულში *tz* ანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ, როგორც *t, c, z*, ერთ ბგერად შეერთებული (*in einen einzigen Laut gezogen*). ენის წვერი მის წარმოთქმისას ზედა კბილების ძირს ეხება“ (გვ. 290). ამას მოსდევს თავისებური დებულება: „დამახასიათებელია, რომ ყოველი მკვეთრი და მასთან გრძელი და მოკლე საგანი ისეთ სახელს ატარებს, რომლის ძირშიც **წ** გვაქვსო“ (გვ. 290)... დასახელებულია: წვერი, წვეტი, წვლილი, წვლილვა, წილი, წივილი, წული, წველა, წვიმა, წამი, წამწამი, წარბი (გვ. 291).

ბგერათა დახასიათებას მოსდევს ბ გ ე რ ა თ ა ც ვ ლ ა („ასეულ მაგალითთაგან“), გვ. 291-298; აქ თავმოყრილია მაგალითები კომბინაციური ცვლისა თვით ქართულსა და მის დიალექტებში, სვანურსა და მეგრულში, ბგერათ-შესატყვისობისა ქართველურ ენებში, ნასესხებ სიტყვათა ცვლა (ადაფტაცია) შეთვისებისას და სხვ.; მაგალ.: **ა: ე:** აბრაშუმი — აბრეშუმი (სპ.)... **ა: ო:** აბელი — მგრ. ობელი... **ა: ი:** ვაშლი — სვ. ვისგვ... **ა: ჰა:** არაკი — ინგ. ჰარაკი... **ა: უა, ვა:** ჰამა — ჰამუა (!) — ჰამვა (!)... გვ. 291. ასე, რომ: **ა-**ს ცვლის შედეგად ნავარაუდებია: **ე, ო, ი, ჰა, უა, ვა...** ანდა: **ჰ: უ:** ჰირკი — ინგ. უტრკ... გვ. 298...

ცალკეა გამოყოფილი ბ გ ე რ ა თ ა დ ა კ ა რ გ ვ ა (გვ. 298-300)... იკარგება: **ბ:** ბრტყელი — ინგ. ტყელ... გება — ბრძ. ინგ. აგ!

დ: კდომა — ინგ. ბრძან. მოკ! ნდომა — ინგ. მინ (=მინდა), გვ. 298 და მისთან. გვ. 300-301 ძვ. ქართულის თანამედროვე სასაუბრო ენასთან შედარებას ეთმობა: იხილნა—იხილა... იყვნეს—იყვნენ... აქუნდა—აქონდა (!)... სახიდ—სახლად... ჩუენ ზედა—ჩვენზე... დიდებანი მოციქულთანი —

დიდებანი მოციქულთა... გვ. 302-311 დათმობილი აქვს „ქართული ენის ფორმათ-წარმოებას“.

მეშველი ზმნა („არის“) მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ყველა მეტყველების ნაწილის წარმოებაში, სიტყვაწარმოებაში, ბრუნებასა და უღვლილებასში, — ასე იწყება ეს მონაკვეთი (გვ. 302). მეშველი ზმნა სხვადასხვა ფორმით გვევლინება — **არის, არს, არ, ა, ის, მს, სა, ს** და **ა. შ. (!)**... დგას სიტყვის თავშიც, ბოლოშიც: კად (ძვ. ქართ., ინგ., ხევს.), კაი; კადს — კარგია... **ა, ს**-ს ენაცვლება ძვ. ქართულში ხშირად **რე** და **ლი**: მ-დგომა-**რე**... გული... მეგრ. გუ-რი... თუა-ლი... ხნიე-რი... (გვ. 302). ასეთია ფანტასტიკური „მეშველი ზმნა“ სიტყვის ბოლოში.

თავში მისი გამოყენების ნიმუშად დასახელებულია: **ა**-ადგ-ლი... **სა**-დგო-მი... **სა**-ზომი... **ს**-ჯუ-ლი... **რ**-ძე... **რ**-ოდის... **რ**-ქა... (გვ. 303)... დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულში ხმოვნებს: **ა, ი, ე**; ესენია: 1. ნაცვალსახელე-ბი; 2. მეშველი ზმნები; 3. მიმართულების მაჩვენებლები; 4. იხმარებიან მეტყველების ნაწილთა საწარმოებლად... (გვ. 304)... **ე** — კაცი, **ი** — კაცი, **ა** — კაცი... **ვ**-ა-ბამ... **ვ**-ი-ბამ... **ვ**-ე-ბმ-ი... (იქვე)...

მეშველი ზმნა ცხადად ჩანს სვანურის ბრუნებაში: ტვეტ „ხელ“ — ნათ. ტოტ-**ი**, მიც. ტვეტ-**ს**; მრ. ტვეტ-**არ**, ნათ. ტოტ-**რე**, მიც. ტვეტ-**არს**... (გვ. 305); მიმართულების ჩვენებისას: **ა**-სვლა, **გა**-სვლა, **შა**-სვლა, **მო**-სვლა, **მი**-სვლა... **წა**-სვლა... საინტერესოა **წა**-ს მნიშვნელობის განმარტება: „ზევი-დან ქვევით“ (**oben nach unten**) გვ. 306.

ზმნის წარმოებაში დიდ როლს თამაშობს ბრძანებითი; იშვიათ შემთხვევაში მიმღეობა ენაცვლება ბრძანებითს: **წერ!** **რეკ!** **კერ!**... (გვ. 307)... **წერ!** **ვ**-წერ, **მ**-წერ-ი || **მ**-წერ-ავ-ი „ხშირად ვინც წერს“ (გვ. 307).

ზმნის პროგრესიული გარდაქმნა ასეთ მაგალითებზეა ცხადყოფილი:

1. წერა (ერთხელ) — წერინება — წერინებილება და **ა. შ.**
2. წერვა (!) (ხშირად) — წერვინება — წერვინებილება — წერვინები-
ნებილება და **ა. შ.**
3. წერნა (!) (ხშირად) — წერნინება — წერნინებილება და **ა. შ.**
4. წერება (!) — წერებილება — წერებილებინება და **ა. შ.**
5. წერობა — წერობინება — წერობინებილება და **ა. შ.** (გვ. 309).

კაც- სიტყვიდან:

1. კაცება — კაცებილება — კაცებილებინება და **ა. შ.**
2. კაცებვინება და **ა. შ.**
3. კაცნინება და **ა. შ.**

„ეს ფორმები ხშირად ძველს ხელნაწერებში და წიგნებში იხმარე-
ბაო“ (!) (გვ. 309). „ისინი ბრძანებითის ძველი ფორმიდან იწარმოებაო“
(იქვე)...

ზმნის მსგავსად ნათესაობითიც „პროგრესიულ“ ფორმებს აწარმოებს: ძვ. ქართ.: კაც: კაცი-ს: კაც-ი-სი-სი... ახ. ქართ.: კაცი-ს კაცი-სა-სა... (გვ. 309).

ე, ი, ა ნაცვალსახელებსაც აქვს „პროგრესიები“: ეგინ — ეგინინ — ეგებინ—ეგებინინ... (გვ. 311).

მრავ. კაცები მიღებულაო „კაცებინინ“-ისაგან — **ნინ**-ის მოკვეციტ (გვ. 310). მწერს, „მწერავს“, გწერს, „გწერავს“... ვნებითად არის მიჩნეული (გვ. 310).

ქართულის მეტყველების ნიმუშები (იმერულითურთო!) მოცემულია გვ. 311-321. გვ. 321-322 იმერულის თავისებურებებს ეხება; „ინგილოური დიალექტი ქართული მთავარი დიალექტისა“ წარმოდგენილია მეტყველების ნიმუშებით (გვ. 322-328) და გრამატიკული შენიშვნებით (გვ. 328-329). ასევე ხევსურული დიალექტი: მეტყველების ნიმუშები (გვ. 330-332), გრამატიკული შენიშვნები (გვ. 332-333). ამას მოსდევს გრამატიკული შენიშვნები ქართულისა და „მისი დიალექტების“: იმერულის, ინგილოურისა და ხევსურულის შესახებ (გვ. 333-338), უფრო რაციონალური, ვინემ ზემოთ მოხსენებული „თეორიული“ მსჯელობა; მაგ.: პირდაპირი და არაპირდაპირი უღვლილების განხილვისას მოცემულია სუბიექტისა და ობიექტის პირის ნიშნები (გვ. 337); ამ ნიშნებს მოსდევს **ა, ი, ე, უ** ხმოვნები; მათგან **ი** და **ე**-ს უფრო ნეიტრალურ-პასიური ანდა პასიური მნიშვნელობა აქვს, **ა, უ**-ს — აქტიური მნიშვნელობა და დამოწმებულია ფრ. მიულერი (გვ. 337). ნაცვალსახელური ობიექტები მიცემითში პრეფიქსებით აღინიშნებაო (გვ. 338).

მეგრული მთავარი დიალექტი: მეტყველების ნიმუშები (გვ. 339-344); გრამატიკული შენიშვნები (გვ. 344-347); ლაზური დიალექტი მეგრული მთავარი დიალექტისა: მეტყველების ნიმუშები (გვ. 347-350); გრამატიკული შენიშვნები (გვ. 350-353); სვანური მთავარი დიალექტი: მეტყველების ნიმუშები (გვ. 353-358); გრამატიკული შენიშვნები (გვ. 359-361).

ქართველურ ენათა განხილვა თავდება „ქართველურ ენათა გრამატიკული ტაბულით“ (გვ. 361-364), კერძოდ, მოცემულია პირთა ნიშნების ცხრილი ქართ., მეგრ., ლაზ. და სვანური პირდაპირი და არაპირდაპირი ზმნების უღვლილებისათვის (გვ. 363-364).

თავდება წიგნი კავკასიურ ენათა „ზოგადი დახასიათებითა და კავკასიურ ენათა კლასიფიკაციის დასაბუთებით“ (გვ. 365-390).

კავკასიური ენები — ვკითხულობთ ამ დასკვნითს ზოგადს დახასიათებაში — ეწოდება იმ ენებს, რომელთაც ლაპარაკობენ კავკასიის მკვიდრნი — ინდო-ევროპულ, ურალ-ალთაურ და სემიტურ ენებზე მოლაპარაკე ხალხთა გამორიცხვით: ესაა ქართველური ანდა იბერიული და საკუთრივ მთის ხალხთა ენები (გვ. 365). იბერიულ ენებზე ლაპარაკობს მილიონზე მეტი ადამიანი; ერთ მილიონამდე — მთის კავკასიურ ენებზე (იქვე). ჯერ კიდევ კლასიკური დროის ავტორები მიუთითებდნენ, რომ კავკასია მრავალენოვანია; ახლაც კავკასიის ხალხებს ერთმანეთის ენა არ გაეგებათ (გვ. 366). ამიტომ დებულება კავკასიის ენობრივი სიჭრელის შესახებ ახლაც ძალაშია ერთგვარადო. გიულდენშტედტ-კლაპროთის, შიფნერისა და უსლარის მეოხებით რიგი ჩრდილო-კავკასიური ენა ცნობილი გახდა; მ. ბროსემ, დ. ჩუბინაშვილმა, გ. როზენმა, ბოლო ხანებში ალ. ცაგარელმა, ლ. ზაფურსკიმ, მ. ჯანაშვილმა წინ წასწიეს იბერიულ ენათა შესწავლაო (გვ. 366).

ხსენებულ მკვლევართა წყალობით შესაძლებელი გახდა კავკასიურ ენათა სიჭრელეში გარკვევა. თანამედროვე ენათმეცნიერება კავკასიურ ენებში გამოყოფს სამ მთავარ ჯგუფს: ი ბ ე რ ი უ ლ ს, მ თ ის დ ა ს ა ვ - ლ უ რ ს ა და მ თ ის ა ღ მ ო ს ა ვ ლ უ რ ს. იბერიული ჯგუფისაა ქართული; მეორე ჯგუფში აფხაზური და ჩერქეზული შედის; მესამეში — ჩაჩნური და დაღესტნის ხალხთა ენები (გვ. 365). ამ ჯგუფთა ურთიერთობის შესახებ აზრთა სხვაობა არსებობს. ფრ. მიულერი, რომელიც კავკასიურ ენებს ორ ჯგუფად ყოფდა (ჩრდილო-კავკასიურ და სამხრულ-კავკასიურ ენებად), იმ აზრისა იყო, რომ ბევრი საფუძველი მოეპოვება, როგორც დებულებას ამ ჯგუფთა ნათესაობის შესახებ, ისე საწინააღმდეგო შეხედულებასაო (გვ. 367).

შემდეგ მოცემულია ცდა სადაო საკითხის გარკვევისა: ჯერ ის ფაქტებია დასახელებული, რაც აახლოებს ხსენებულ ენებს, შემდეგ — ის, რაც განასხვავებს.

ყველა კავკასიურ ენას ახასიათებს სიღარიბე ხმოვნების მხრივ და უჩვეულო სიმდიდრე თანხმოვნებისა, მეტადრე — ყელისმიერი და სისინა თანხმოვნებისა (გვ. 367). „ქართული ანბანი ყველაზე უკეთ შეეფერება ყველა კავკასიური ენის ბგერებს“ (გვ. 367).

გრამატიკულ მონაცემთა მხრივ ჩრდილო-კავკასიური და სამხრულ-კავკასიური ენების ურთიერთობას ახასიათებს:

განყენებულ სახელთა საწარმოებელი სუფიქსები (**-ობ**, **-ლობ** — ბაცბ., **-აბუ**, **-შიბუ** ლაკ., **-ობა**, **-ება** ქართ.).

სახელთა მრავლობითის სუფიქსები (იბერ.: **-ბი**, **-ებ**, **-ნი**, **-არ**, **-ალ...** კიურ.: **-არ**, **-ირ**, **-ურ**, **-ბი**, **-ბე**, **-მურ**, **-რულ...** დარგ. და ლაკ.: **-ბი**, **-ნი**, **-რი...** ხუნდ., ანდ., დიდ.: **-ალ**, **-ულ**, **-ილ**, **-ბი**, **-ნი**, **-ნა**; ჩაჩნ.: **-არ**, **-ბი**, **-ნი**; აფხ. **-რაქვა**.)

მრავლობითის ელემენტები **-ტ**, **-დ** (კიურ., დარგ., ხუნძ., დიდ.) და **-თ** აფხ.; ნაცვალსახელების: **-თ**; შვარ-თ „ჩვენ“, ჰარ-თ „თქვენ“ და ქართ. ზმნის მრავლ. **-ტ** (?), **-თ**; ჩერქ. და უდ. **-ხ**, იქნებ, აფხ. **-ქვა** და სვან. **-ხ** ზმნაში (ლის „არიან“)... ჩაჩნ. მრავლ. **-შ**, **-ჟ**, **-ჩ** და სვან. ხვი-**შ**-თ („ვართ“), ხი-**შ**-თ „ხართ“ (?) გვ. 368.

ნათეს. **-ს** დიდოურ დიალექტებში და ქართ. ნათეს. **-ს**... დარგ. და კიურ. მიც. **-ს**, **-ზ** და მიც. **-ს** ქართულში... ქართ. მოქმედებითის **-ტ** (?), **-თ** და **-ტ**, **-დ** ელემენტი ინსტრუმენტალისის (ე. ი. ერგატივის — **ა. ჩ.**) დაბოლოებისა ანდიურ-დიდოურსა, სამხრულ-ხუნძურსა და კიურულ ენებში (გვ. 368).

ქართ. მოთხრ. **-მ**, მეგრ. **-ქ**, რაიც, როგორც ბროსე მართებულად შენიშნავს, ნაწევარს უდრის, შეიძლება შევუდაროთ აფხაზ. განუსაზღვრელ ნაწევარ **კ**-ს (? — **ა. ჩ.**) და განსაზღვრულ ნაწევარს ჩერქეზულში **მ**-ს (გვ. 368).

ნაცვალსახელებშიც შეიძლება კავშირი აღმოაჩინდეს ჩრდილო-კავკასიურ ენებს სამხრეთ-კავკასიურთანაო: ქართ. „ჩვენ“, „თქვენ“ და კიურ. ჩინ, კინ (? — **ა. ჩ.**); სვან. **ნა** „ჩვენ“ და ხუნძ. **ნი-ჟ**, დარგ. **ნუშა**, არჩ. **ნენ** „ჩვენ“... სვან. **სგა** „თქვენ“ და ლაკ. **ზუ**, ჩაჩ. **შუ**, არჩ. **ჟვენ** (? — **ა. ჩ.**) იქნებ ქართ. და სვან. 2. პ. პრეფ. **ხ**, **ჰ** პირდაპირი უღვლილებისა — (ე. ი. სუბიექტის პრეფიქსი — **ა. ჩ.**) შეიძლებოდეს შევუდაროთ ჩაჩნ. **ხაუს**, აკუმ. **ხჰუ**, აფხ. **უ-არა**, ჩერქ. **გუ-ორე**-საო (გვ. 368)...

რიცხვით სახელებში: „ათი“ და „ხუთი“ ჩანს მსგავსი: „ათი“, მეგრ. ვითი, ჩაჩ. ით, დარგ. ვიც-ალ, ლაკ. აც-ვა, ხუნძ. ანწ-გო (ჩართული ნ-თი), კიურ. ც-უდ, სვან. იეშთ, ჩერქ. ფ-ჩე, ფ-შე, აფხ. ჟვა-ბა (გვ. 368)... ქართ. ხუ-თი, ლაზ. ხუ-თ, აფხ. ხუ-ბა, ჩერქ. ტ-ჟუ, ლაკ. ხო-ვა, კიურ. ვა-დ, ხუნძ. შუ-გო (**ხ**-ს პალატალიზაციით), დარგ. შუო-ალ, შუ-ალ, შუ-მალ (გვ. 368-369)..

20—90-მდე თვლა ოცობითს სისტემას ავლენს: ქართველურ ენებში (სვანურის გარდა), აფხაზურში, ჩერქეზულში, ხუნძურში, დიდოურში, ხვარშიულში, კიურულში, უდურში, ბუღუზურში, ჯეკურსა და ხინალულურში; სვანურსა და დანარჩენ ჩრდილო-კავკასიურ ენებში თვლის ათობითი სისტემაა გაბატონებული (გვ. 369).

საერთოს დაძებნა ჩრდილო და სამხრ. კავკასიურ ენებში ყველაზე ძნელია ზმნაში, რადგანაც ზმნა ნაკლებ შესწავლილია და, გარდა ამისა, აქ ენები თავ-თავის გზით მიდიან. მაინც ზოგი რამ საერთო აღინიშნება: განცდა-აღქმის ზმნებს რეალური სუბიექტი მიცემითში დაესმის (გვ. 369)... აფხაზურს, ჩერქეზულს, არჩიბულს და ქართულს ამსგავსებს ობიექტის აღნიშვნა ზმნაში ნაცვალსახელით... ქართული ნამყოს (პრეტერიტის) **-ი**,

-ე მოგვაგონებს -ე-ს ჩაჩხურში, ბაცბურში, -ი, -ე-ს უდურში... ქართულში ნამყო უსრულის წარმოება აწმყოსაგან -დი-ს მეშვეობით მოგვაგონებს მეშველი ზმნის ნამყოს არჩიბულში: -ე-ვ-დი „მე ვიყავი“ (გვ. 369). სახელის მრავლობითის მონათესავე -ებ, -ბი ქართულ ზმნათა ფუძის საგრცობში (Verbalerweiterungssilbe) უდრის ბაცბ. ზმნის ფუძეში -ბ-ს, რომელიც ობიექტის სიმრავლეზე მიუთითებს (იქვე). მეშველი ზმნის ფუძე (არ, არი, ორე, რე) ქართველურ ენებში შეიძლება შევუდაროთ -რა, -რი-ს დარგულ დიალექტებში, -ურა, -ურ-ს ლაკურში... წახ. ვორ, ქართ. ვარ (იქვე). მეშველი ზმნა ყო აფხაზურში ძირის მიხედვით ენათესავება ქართ. ი-ყავ-ს (იქვე).

ამ მონაცემთა მიხედვით შინაგანი ნათესაობა, რასაც ლექსიკაც მხარს უჭერს, იბერიულ ენებსა და ჩრდილო-კავკასიის დასავლურსა და აღმოსავლურ ენებს შორის ეჭვს გარეშეა (გვ. 369; ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

ფონეტიკური მხარე ჩრდილო და სამხრულ-კავკასიურ ენათა ურთიერთობის კვლევისას შეუძლებელია გავითვალისწინოთ: ქართულში ძველი ვითარება შეიძლება გავითვალისწინოთ, ჩრდილო-კავკასიურ ენებში მხოლოდ ახლანდელ ვითარებას ვიცნობთ; ბევრით კანონზომიერებათა დადგენა დიდ მუშაობას მოითხოვს (ენათა შედარებას... და სხვ.); ამიტომ გრამატიკული მონაცემის, ნაცვალსახელისა და რიცხვითი სახელის შედარებას დავჭერდით; რა თქმა უნდა, შეიძლება აქაც მსგავსი მოვლენები ერთი ენიდან მეორეში იყოს შეთვისებული (მაგალ., ბაცბ. -ობ, -ლობ — განყენებულის საწარმოებელი სუფიქსები — ქართულიდანაა შეთვისებული, უდურს თურქულიდან აქვს საწარმოებელი სუფიქსები ნასესხები), მაგრამ ამ გზით საერთო სუფიქსები -არე, -არ, -ბი, -ნი — ვერ აიხსნებაო. მასთან არც მოიპოვება ასეთი სესხება-დამსგავსების დადგენის საშუალება... ამიტომ მტკიცება შინაგანი ნათესაობისა იბერიულსა და ჩრდილო-კავკასიურ ენებს შორის სარწმუნოაო (გვ. 369-370).

მასთან თვალში საცემია დიდი განსხვავება, რაიც გვავალებს კავკასიურ ენათა დაჯგუფებისას სამხრულ-კავკასიური (იბერიული) ენები, როგორც მჭიდროდ შეკრული ჯგუფი, ჩრდილო-კავკასიურ ენებს დავუპირისპიროთ (გვ. 370). ჩრდილო-კავკასიურ ენებში (კიურული ჯგუფის წევრთა უმეტესობის გამოკლებით) სქესი გამოიხატება პრეფიქს-სუფიქს-ინფიქსით — ნაკლებად სახელებსა და მათ ბრუნვის ნიშნებში, ნაწილობრივ — ზედსართავებში, ნაწილობრივ — ზმნაში, ასევე — ნაცვალსახელსა და ზმნისართში. სამხრულ-კავკასიურ ენებს სქესი სრულებით არ გააჩნიათო (გვ. 370-371).

სუფიქსური წარმოების გარდა ქართულს პრეფიქსულიც მოეპოვება; ჩრდილო-კავკასიურ ენებს კი, სქესის ექსპონენტებსა და აფხაზურის ნაწევარს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, პრეფიქსული წარმოება არა აქვსო (გვ. 371).

პირველისა და მეორე პირის ნაცვალსახელი შედარების საშუალებას არ იძლევა ჩრდილო-და სამხრულ-კავკასიურ ენებში (იქვე).

იბერიული ენების ზმნა პირსა და რიცხვს ნათლად განარჩევს. ჩრდილო-კავკასიურ ენათაგან: კიურული, მაგალითად, არც სქესს აღნიშნავს, არც რიცხვსა და არც პირს; სხვები, მაგალ., ხუნძური, სქესებს გამოხატავს, უდური — პირებს, ბაცბური — პირსა და სქესსაო (გვ. 371).

იბერიული ენები ახლო მონათესავე არიან: ერთი დედის შვილებს ჰგვანან, მათში ქართული ყველაზე უფროსია. ქართულში დიალექტების სამი მთავარი ჯგუფი გაირჩევა: 1. ქართული (ხევსურულით, თუშურითა და ინგილოურით); 2. მეგრული და ლაზური; 3. სვანური (გვ. 371).

მთის კავკასიური ენები ასეთ სიახლოვეს არ ამჟღავნებენ. მართალია, სქესებს განასხვავებენ დასავლური ენები (აფხაზური) და აღმოსავლურ-კავკასიურ ენათა მეტი წილი, მაგრამ აღმოსავლური ჯგუფის ენებს ახასიათებს ბრუნვათა სიმდიდრე მაშინ, როდესაც დასავლური ჯგუფი ამ მხრივ ღარიბია. მეორე მხრივ, ზმნა აქ განსაკუთრებით, აფხაზურში, მდიდარია ზოგადი, მოდალური და დროის კატეგორიებით (მიმართებებით) — გვ. 371-372.

ამიტომ საჭიროა განვასხვავოთ მთის კავკასიურ ენებში დასავლური და აღმოსავლური (გვ. 372). აფხაზური და ჩერქეზული ახლოს არიან ერთმანეთთან (გვ. 372)... აფხაზური და ჩერქეზული მრავალი მხრით წარმოადგენს შემეერთებელ რგოლს (შუა წევრს — ein *Mittglied*) ქართველურისა და მთის აღმოსავლურ-კავკასიური ენებისა (უფრო ჩაჩნური ჯგუფის ენებისაო) — გვ. 374.

აფხაზურისა და ჩერქეზულის ურთიერთობის მიმოხილვის შემდეგ (გვ. 372-374) დახასიათებულია ჩაჩნურ-დაღესტნური ენები: მათი ჯგუფები და ურთიერთობა (გვ. 374-385). დაბოლოს, წარმოდგენილია კავკასიურ ენათა შემდეგი კლასიფიკაცია (გვ. 386-387):

I. სამხ.-კავკასიური ანუ იბერიული (ქართველური) ენა (!):

ა. სვანური; **ბ.** ქართული, ხევსურული, ფშაური¹, ინგილოური; **გ.** მეგრული, ლაზური.

II. ჩრდილო-კავკასიური ანუ მთის ენები:

A. დასავლური მთის ენები: 1. აფხაზური, 2. ჩერქეზული; **ა.** სამხრ. აბძახური, ყუბანის ჩერქეზული; **ბ.** ყაბარდოული; **გ.** შადსულური.

¹ ზევით თავის ადგილას, ქართულთან „ფშაური“ არ ჩანს; საკუთრ. ქართული (სალიტერატურო), შედარებულია იმერულს, ხევსურულს, ინგილოურს (გვ. 333 და შემდ.); ქართული ენის გენეალოგიურ ტაბულაში (გვ. 287) „მთის ქართულში“ ნაჩვენებია: ხევსურული, თუშური (ქართ.) და ინგილოური (!).

B. აღმოსავლური მთის ენები:

I. ჩრდილო-დასავლური მთავარი ჯგუფი:

1. ჩაჩნური ენა ანუ ჯგუფი; **ა.** თუშური, **ბ.** ინგუშური, **გ.** ცენტრალური ჩაჩნური.

2. შუა ჯგუფი: **ა.** დიდოური დიალექტები: დასავლ.: დიდოური, ხვარშიული; აღმოსავლ.: კაპუჭური, ნახადური.

ბ. ანდიური დიალექტები: ანდიური ჯგუფი: ანდიური, ბოთლის., ჰი-ჰათლ., იდი... კარატა ჯგუფი: კარატ., ლოდობერიული, კვანადური.

გ. ხუნძური: ჩრდილო: ხუნძახური, ლუნიბური, ახვახური, ჭოხური; სამხრ.: ზაქათლისა.

3. აღმოსავლური ჯგუფი: **ა.** დარგუული დიალექტები: ჩრდ.: აჯუშ., მეკეგე, ხიურკ., მაჯალ., ყაიტ.; სამხ.: კუბაჩური, ვარკუნ, ყარა-ყაიტ.

ბ. ლაკური

II. სამხრულ-აღმოსავლური ანუ კიურული მთავარი ჯგუფი: ჩრდ.-დასავლ. კიურული ჯგუფი: **ა.** არჩიბული, **ბ.** რუთულური **გ.** წახურული.

2. ჩრდ.-აღმოსავლ. და ცენტრალ. კიურული ჯგუფი: **ა.** თაბასარანული (ჩრდ. და სამხ.), **ბ.** აღულური (ბურკიხან. და კოშან); **გ.** კიურული (საკუთრივ კიურ. და ახთისა).

3. სამხრ.-კიურული ჯგუფი: **ა.** ბუდუხური, **ბ.** ჯეკური, **გ.** ხინალუდური.

4. უდური (გვ. 386).

„ჩატარებული გამოკვლევა ცხადყოფს, რომ ყველა ეს ენა ერთმანეთთან ისეთ შინაგან ნათესაობაშია, რომ ჩამომავალი ჩანს ერთი წინარე ენისა, რომლისაგან ისინი მომდინარეობენ (გვ. 387).

ამ წინარე ენის დამახასიათებელი თვისებები (*Grundzüge*) რა ენამ შემოგვინახა, ამჟამად შეუძლებელია ითქვას: მთის ენების ძველი სახე ცნობილი არაა, რადგანაც მათ დამწერლობა ბოლო დროს გაიჩინეს; ქართულს აქვს ძველი დამწერლობა, მაგრამ ძეგლები გამოქვეყნებული და შესწავლილი არაა; იბერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა არა გვაქვს (გვ. 387).

აგრეთვე შეუძლებელია გაიცეს პასუხი კითხვაზე: რა ენათა ოჯახს უკავშირდება წარმომობით კავკასიური ენები. დაკავშირების ცდები კი ყოფილა; მათ შესახებ შემდეგი უნდა ითქვას: ბოლო დროს იყო ცდა ქართული და სხვა კავკასიური ენები სემიტურ ენებთან დაკავშირებინათ¹; მაგ-

¹ არ არის ნათქვამი, რა იგულისხმება: ნ. მარის საამისო განცხადებას ცდად ვერ მიიჩნევდნენ 1895 წ.; თან ნ. მარის წერილი ქართულად დაიბეჭდა 1888 წ. გაზეთ „ივერიაში“... ტრომბეტის ვარაუდი უფრო გვიან გახდა ცნობილი.

რამ კავკასიურ ენათა ლექსიკა — ნასესხებ სიტყვებს თუ გამოვრიცხავთ, — არაფრით ჰგავს სემიტურ ენათა სამთანხმოდნიან ძირთა სქემას; ნაცვალსახელები და რიცხვითი სახელები არ იძლევა შედარების შესაძლებლობას. ბრუნვათა სიმრავლე ჩრდილო-კავკასიურ ენებში შესატყვისს ვერ პოულობს სემიტურ ენებში; ორი მთავარი დროის ნაცვლად სემიტურ ენებში კავკასიურ ენებს ნიუანსებით მდიდარი სისტემა მოეპოვებათ ზმნაში. ვინ იკისრებდა აფხაზური, ხუნძური ანდა ქართული ზმნა ებრაული და არაბული ზმნისათვის შეედარებინაო (გვ. 388).

მაქს მიულერმა სცადა კავკასიური ენები თურქულ ენათა წრეში მოექცია. მართლაც, არ შეიძლება უარყოთ, რომ ზოგი მსგავსება შეინიშნება; ბგერათა ერთგვარი ჰარმონია ჩაჩნურში, კიურულსა და მეტადრე უდურში... აწმყოს ფუძის **-რ** — თურქულში, ერთის მხრით, და კიურული ჯგუფის ენებში, ლაკურსა და დარგულში, მეორე მხრით... უარყოფის **-მ**-ელემენტი თურქულსა და აფხაზურში... **მ** მრავლობითის ნიშანი ზოგ კავკასიურ ენაში და ყალმუხურში... **-ლარ**- სუფიქსი მრავლობითისა ზოგ კიურულ ენაში... ხუნძ. კი-გო „ორი“ და თურქ. **იქი**, ხუნძ. ანტლგო და თურქ. ალთი... ქართ. ნაცვალსახელი „მე“ და თურქ. **მენ** (!), ქართ. „შენ“ და თურქ. **სენ** (!) (გვ. 388)...

მაგრამ ეს ცალკეული ფაქტები არაფრის მთქმელია, რაკი თანამიმედევრული მსგავსება (*durchgreifende Uebereinstimmung*) არა გვაქვს: ზოგი მსგავსება შემთხვევითი შეიძლება იყოს; ზოგიც (მაგალ., „ორი“ და „ექვსი“) ნასესხები აღმოჩნდეს: უდურს აკი აქვს უდაოდ თურქ. სუფიქსები **-ლიქ**, **-რიქ**, **-ჩუ** თათრულიდან შეთვისებულიო (გვ. 388-389); ხმოვანთა ჰარმონია ზოგ კავკასიურ ენაში თურქულის ზეგავლენით განვითარებული ჩანსო (გვ. 389)... ისიც შესაძლებელია, რომ პირის აღნიშვნა თაბასარანულსა და უდურში თურქულისა (და სპარსულის) გავლენით იყოს განვითარებულიო... ასევე თურქულის გავლენით უნდა ჰქონდეს სქესი დაკარგული კიურულსა და უდურს (გვ. 389).

რაც თურქულ ენებთან დაკავშირების ცდაზე ითქვა, ეხება აგრეთვე ცდას, კავკასიური დაეკავშირებინათ ინდო-ევროპულ ენებთან. სქესის აღნიშვნა მთის კავკასიურ ენათა სახელებში მოგვაგონებს ანალოგიურ მოვლენას ინდო-ევროპულ ენებში, მაგრამ სქესის აღნიშვნა ხუნძურში, ლაკურში, ჩაჩნურში უცხოა ინდო-ევროპული ენებისათვისო. კავკასიურ ენათა თანხმოვანთა და ხმოვანთა სისტემის განვითარება გარკვეულ შემთხვევებში მოგვაგონებს სათანადო პროცესებს ინდო-ევროპულ ენებში... ასევე ზოგი ბრუნვის სუფიქსი, მაგალ., ქართ. ნათეს. **ს** (**სა**) — ინდ.-ევრ. **ას**, **სა**-ს... **ზუნ**, **ზუ** „მე“ შეიძლება შეგვედარებინა სომხ. „ეს“ („მე“-სათვის), ქართ. **მა** — 1 პ. ნაცვალსახელის ფუძისათვის ინდ.-ევრ. ენებში (გვ. 389)...

მაგრამ რიცხვით სახელებსა და ზმნაში არაფერი ჩანს შესადარებელი... ბევრი სომხური, სპარსული და ბერძნული სიტყვა წიგნური გზით გავრცელდა ქართულში და აქედან ნაწილობრივ — სხვა კავკასიურ ენებში, მაგრამ ამგვარი მასალის მიხედვით ქართული ინდო-ევროპული ენააო, არ ითქმისო (გვ. 389). თანამედროვე კავკასიური ენათმეცნიერების თვალსაზრისით ყველაზე მართებული იქნება — ფრიდრიხ მიულერიდან ერთად — კავკასიური ენები მივიჩნიოთ თავისთავად ენათ-ოჯახად და ეჭვით მოვეკიდოთ ცდას ამ ენების სხვა ენათ-ოჯახთან დაკავშირებისა. თუ მეცნიერება შეიძლება აღადგინოს ქართული ენის წინარე ენა, იქნებ მოხერხდეს იმის გარკვევაც, თუ რა ცნობილი ოჯახის ენებს ემსგავსება მისი დამახასიათებელი ნიშნები (გვ. 389-390). შესაძლოა, მაშინ იმ საკითხსაც გაეცეს პასუხი, თუ სად უნდა ვეძიოთ კავკასიელ ხალხთა პირვანდელი სამშობლოო (გვ. 390).¹

ასეთია რიხარდ ერკერტის წიგნის შინაარსი. წიგნს უძღვის ფრიდრიხ მიულერის წინასიტყვაობა. ფრ. მიულერი მაღალ შეფასებას აძლევს წიგნს და რეკომენდაციას უკეთებს მას ენათმეცნიერებისა და ეთნოლოგიების წინაშე. ერკერტის წიგნმა „კავკასია და მისი ხალხები“ (ლაიფციგი, 1887 წ.) ავტორს მოუხვეჭა სახელი ფაქიზი დაკვირვების უნარის მქონე ეთნოგრაფისაო. „კავკასიური ძირის ენები“ მეცნიერულად ასაბუთებს ამ ეთნოგრაფიულ შრომას (ისევე, როგორც ჩემი „ენათმეცნიერების საფუძვლები“ ჩემი „ზოგადი ეთნოგრაფიის“ დასაბუთებად მიმაჩნიაო, — წერს ფრ. მიულერი, — გვ. V).

მაგრამ ერკერტის წიგნს სხვა მნიშვნელობაც აქვს: იგი ღირსეულად აგრძელებს იმ შედარებითი კვლევა-ძიების შემცველ შრომებს, რომლებიც ინდო-ევროპულ, დრავიდულ, მალაი-პოლინეზიის, ბანტუ-ენების, ჰამიტურ-სემიტურსა და ურალურ-ალთაურ ენებს ეხება, და მნიშვნელოვანი შენაძენია ზოგადი შედარებითი ენათმეცნიერებისათვის, რომლის შექმნისაკენაც უნდა ისწრაფოდეს ზოგადი ენათმეცნიერება, თუ კი მას სურს ზუსტი მეცნიერების ხასიათი შეინარჩუნოსო.

წიგნის ავტორმა, — წერს შემდეგ ფრ. მიულერი, — მეცნიერებას შემატა მდიდარი ახალი მასალა, და ეს მასალა დიდი გულმოდგინებითა და ღრმა გაგებით დაამუშავა. იშვიათია სხვა საენათმეცნიერო შრომა, რომ

¹ დასასრულ, ნათქვამია: ისლამის მოხვებით მრავალი არაბული ტერმინი შეითვისეს კავკასიურმა ენებმა. პოლიტიკურმა და სავაჭრო ურთიერთობამ ბევრი სპარსული და თურქული სიტყვა შესძინა ამ ენებს. ეს ეტყობა მეტადრე სამხრულ ლეზგიურ ენებსა და უდურს, საიდანაც ეს მასალა ჩრდილო ენებმაც შეითვისეს. ქართველ ფილოლოგთა საპატიო ამოცანა იქნებოდა გამოველინათ ბერძნულიდან, სომხურიდან და სპარსულიდან ნათარგმნი ლიტერატურის მეშვეობით ქართულში შესული უცხო სიტყვები (გვ. 390).

ამდენ დიალექტს (ენა-კილოს) ეხებოდეს. ეს ენა-კილოები მშვენივრად არის წარმოდგენილი ლექსიკური მასალითა და გამონათქვამებითაო (წინადადებებით) (გვ. V). რასაკვირველია, ეს მასალა საკმარისი არ იქნებოდა ცალკეული დიალექტების, ენებისა თუ ენათა ჯგუფების გამოსაკვლევად, რომ, ერთის მხრივ, არ მოგვეპოვებოდეს ქართული ენა — მისი მდიდარი ლიტერატურა, და ქართველთა თუ უცხოელთა გრამატიკები ქართული ენის შესახებ, — და, მეორე მხრივ, უმწერლო ჩრდილო-კავკასიური ენები უსლარს რომ არ ჰქონდეს საფუძვლიანად გამოკვლეული და დაწვრილებით აღწერილიო (გვ. V-VI).

ავტორმა თვალსაჩინოდ წინ წასწია დამუშავება კავკასიურ ენათა პრობლემისა, რომელსაც მე ვამუშავებდი ჩემს „ენათმეცნიერების საფუძვლებში“ (III, ნაწ. 2, გვ. 48-223) იმ მასალის მიხედვით, რაც ჩემთვის ხელმისაწვდომი იყო.

ავტორი დაჯერებით იკვლევს კავკასიურ ენებს, მის განკარგულებაშია მრავალი დამაკავშირებელი წევრი, რაც ჩემთვის უცნობი იყო. ავტორის შრომის საფუძველზე ჩემთვის ცხადი ხდება, რომ კავკასიური ენები აღიან ერთ საერთო წინარე ენამდე, ისინი დამოუკიდებელ ენათოჯახს წარმოადგენენ, რომელიც არც ერთ ცნობილ ენათა ოჯახს არ ენათესავება¹. ოდინდელი კავკასიური ენების შტოებად დაყოფა „წინარე ენიდან გამოყოფისას“ მოგვაგონებს ჰამიტურ-სემიტურ ენათა გამოყოფას მათი წინარე ენიდან. ქართული მისი ჯგუფის მონათესავე ენებთან ერთად სემიტურ ენებს მოგვაგონებს — აქ ნათესაობა ერთის შეხედვითაც შეიძინება, ჩრდილო-კავკასიური ენები ჰამიტურ ენებს მოგვაგონებენ — მათი ნათესაობა ერთმანეთთან ენათმეცნიერულ ანალიზსა და შედარებას საჭიროებს (გვ. VI).

მე ვისურვებ და იმედს გამოვთქვამ, — წერს დასასრულ წინასიტყვაობის ავტორი, — რომ წინამდებარე შრომა კავკასიის ეთნოგრაფიისა და კავკასიური ენათმეცნიერების გაშლას ხელს შეუწყობს და მთელ რიგ სპეციალურ გამოკვლევათა დამუშავებას ბიძგს მისცემს. ამით ეს შრომა საპატიო ადგილს მეცნიერებაში სამუდამოდ დაიმკვიდრებსო (გვ. VI).

ფრიდრიხ მიულერის ვარაუდი არ გამართლდა; საპატიო ადგილი რიხ. ერკერთის წიგნმა ვერ დაიმკვიდრა კავკასიურ ენათმეცნიერებაში, რომ არაფერი ვთქვათ, საერთოდ, ენათმეცნიერების შესახებ.

¹ Nach der Darstellungen und Erörterungen des Verfassers... stellt sich für mich mit Evidenz, dass die kaukasischen Sprachen auf eine Ursprache zurückgehen und dass sie einen selbstständigen Sprachstamm bilden, der mit keinem der bekannten Sprachstämme verwandt ist“... Vorrede, გვ. VI.

რამ გამოიწვია ეს? დასკვნითმა დებულებამ (კავკასიური ენები, როგორც ერთი წარმოშობის ენები, მონათესავენი არიანო) თუ იმ მასალამ, რის ანალიზსაც ეს დებულება ემყარებოდა, ანდა, იქნებ, თვით მასალის დამუშავების ხარისხმა?

სპეციალური, საენათმეცნიერო, ანალიზის პრეტენზია ვერ ექნება ვერც „გრამატიკულ შენიშვნებს“, რაც ენათა მასალას ახლავს, და ვერც იმ შედარებას, რაც ცალკეული ჯგუფის ენებს ეხება, ანდა სხვადასხვა ჯგუფების ურთიერთობის გასარკვევად არის მოწოდებული: ეს შედარება გარეგნულად მსგავსი ფორმანტების დაკავშირებას ცდილობს; თვით ამ ფორმანტების ანალიზი სათანადო ენაში (მაგალ., მრავლობითის ნიშანთა ნაირსახეობანი, ბრუნვის ფლექსიები...), მათი ისტორიის დადგენის ცდაც კი არსად არის მოცემული; ამიტომ ასეთი შედარება შეიძლება შემთხვევით წააწყდეს ისეთ ფაქტებს, რომელთაც არსებითი ცვლილება არ განუცდიათ (მაგალ., მრავლ. ნიშანში **-ბ-** ელემენტი ქართულსა და რიგ დაღესტნურ ენაში), მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც ზუსტ მსჯელობას ვერ ვპოვებთ (მაგალ., ქართულში **ბი** კი არაა მრავლობითის სუფიქსი, როგორც ერკერტის შრომა ირწმუნება, არამედ **-ებ-**); ერთი სიტყვით, შედარების ნაცვლად მეტ-ნაკლებად მსგავსი მონაცემების, გრამატიკული ფაქტების შეპირისპირება გვაქვს.

რაც შეეხება ლექსიკურ მასალას, აქ ასეთი შეპირისპირებაც კი არ არის მოცემული: ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვებია ერთად თავმოყრილი, საკუთარი მასალა იქნება თუ ნასესხები; ასე, მაგალ., „ვერცხლი“-ს აღმნიშვნელი სახელი 30 ენა-კილოდან ოცდაორს ნასესხები აღმოაჩნდა, „ბარისა“ (სათხრელი იარაღი) — თოთხმეტს, „ტურა“-ს აღმნიშვნელი — თერთმეტს და ა. შ. ეს ნასესხები სიტყვები ისევეა შეტანილი, როგორც საკუთარი მასალა.

და მაინც მთავარი ეს არ არის: ნათესაობის დებულება და ამის მტკიცებისას გამოყენებული ოპერაციები როდი განსაზღვრავენ ერკერტის შრომის სისუსტეს. მთავარია საანალიზო მასალის არაზუსტი, მიახლოებითი აღნიშვნა: ლათინური ბგერები, თუნდაც რომ მას ზოგი დიაკრიტიკული ნიშნები დაემატოს, ოდნავადაც არ კმარა მთის კავკასიური ენების ფონემათა გადმოსაცემად; ამიტომ ერკერტს გამოუყენებია ასოთა ისეთი კომბინაციები, როგორიცაა: xʰ, xh, xk, kx, kkh, khx, xkgh, khgh... sʰ, ʃ... čʰ... thl, tkl... xh, gh, kʰ, gxx, xrr..., მაგრამ ეს ნიშნები თანამიმდევრულად რომ იხმარო, სათანადო ფონემებს უნდა არჩევდე; ამის შესაძლებლობა კი ერკერტს არა ჰქონდა... ამიტომ არის, რომ **თ**, **ტ** და **დ**-ც კი არ არის ყველგან გარჩეული, სხვა, უფრო თავისებურ ფონემებს რომ თავი დავანებოთ.

ამას ერთვის ისეთი შეცდომები, რომლებიც ჩვეულებრივად მოსდის ენის არმცოდნეს: **cxen-s v-a-džem-eb** გვ. 319. „ვაჭმევ“-ის ნაცვლად... **so-phkhv-eli**, გვ. 320. „საფქველი“-ს მაგიერ... **sikhi-rikh...** გვ. 349. ჭან. „ვიღმა“... უნდა იყოს: სქირიქ... **phukara re-ni**, გვ. 349. თარგმნილია: **Armer ist** „ღარიბი არის“... ნამდვილად ეს არის კითხვითი ფორმა: „ღარიბი არის? „ღარიბი არის“ იქნებოდა: „ფუკარა რენ“... **...oxordža-kh markvali gibubis** „Das Mädchen Eier kocht“ გოგო კვერცხებს ხარშავს... ოხორჯა „ქალი“-ა და არა „გოგო“ (**das Mädchen**); „ხარშავს“ იქნება: გიბუმს (არქ.) ანდა: გიბუფს (ხოფ.)... „გიბუმის“: ასეთი ფორმა არ არსებობს; კვერცხი ჭანურად „მარქვალი“ იქნება და არა: მარკვალი **markvali**; ჭანურში ეს სიტყვა მხოლოდითია; გერმანულ თარგმანში მრავლობითი ზის: **Eier...** სვანურში: **xoša-v leth džar**, გვ. 358: ხოჩა-ს ნაცვლად ხოშა ზის: ე. ი. „კარგი“-ს ნაცვლად „დიდი“... **sixidčduanne lairs** ვითომ: სი ხიჭვდანე ლაირს „შენ კითხულობ წიგნს“... თარგმნილია: ჩვენ ვკითხულობთ წიგნს...

მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მასალაში ამგვარ შეცდომათა შესაძლებლობა გაცილებით მეტია... (ასე, მაგალ., ად. დირს მოჰყავს ერკერტის წიგნიდან წახურული თარგმანი გამონათქვამთა: „მამის ნაჯახები“, „ძმების დები“, „ნაჯახების ტარები“: **jak-bi dek-in-bi, hiči-bi ču-bi-šin-bi, žikri-bi, jak-bi-šin-bi** და შენიშნავს: ყველგან „სრული ფრაზით“, ე. ი. პრედიკატის დართვით არის წახურულად თარგმნილი: „ნაჯახები მამისა“, „ძმების დებია“, „ტარები ნაჯახებისა“ (ად. დირი: **Цахурский язык**, 1913, გვ. III)... ამ მცდარ თარგმანზე დამყარებით გ. ჰიუზინგმა შორს მიმავალი დასკვნები გააკეთაო (იქვე; ივლისსმება, წახურულის დაკავშირება ელამურთან).

როგორ აქვს ერკერტს მასალა მოპოვებული? ვისთან, სად და როგორ იწერდა? რანაირად ამოწმებდა ჩაწერილს? ამაზე სრულ პასუხს წიგნში ვერ ვიპოვით. თავისი წიგნის „შესავალში“, ერკერტი ბევრს ლაპარაკობს დროის უქონლობაზე სამუშაოს სირთულესა და სიძნელეებზე... მაგრამ მასალის მოპოვებას ვაკვრიტლა ეხება: კავკასიაში ხანგრძლივად ვიმყოფებოდი; მაღალ სამხედრო თანამდებობაზე მყოფს სამსახურებრივი თუ სამეცნიერო მიზნით მოგზაურობა სხვადასხვა ხალხისა და მხარის გაცნობის შესაძლებლობას მაძლევდაო — წერს წინასიტყვაობაში რიხ. ერკერტი. ჯერ ანთროპოლოგიურსა და ეთნოგრაფიულ მუშაობას ვეწეოდი; ეს შეჯამებულია შრომაში „კავკასია და მისი ხალხები“ (1887 წ.). მაგრამ გამოირკვა, რომ ეს არ კმარა; საჭიროა ენების შესწავლა; მას შეუძლია მეტი მოგვეცეს ხალხთა ნათესაობა-არანათესაობის შესასწავლად, ვინემ თავის ქალათა გაზომვასაო (გვ. 1).

ეს შრომა მეტად ვრცელს და ნაირ-ნაირ სინამდვილეს ეხება, რომ იგი საფუძვლიანი და დამაკმაყოფილებელი ყოფილიყო... პირადმა ურთიერთობამ მე მხოლოდ ის შემადგენელია, რომ კავკასიური ოჯახის ენათა სინამდვილე ზერელედ გამეცნო და ამ ენათა აგებულებისა და თავისებურებათა მოკლე დახასიათების საფუძველზე წინასწარი წარმოდგენა მთელის შესახებ გამომემუშავებინაო, ცალკეული ჯგუფები და წევრები კი შემდგომ იქნებოდა საფუძვლიანი შესწავლის საგანო (გვ. 2)... ავტორი მკაცრ შეფასებას ითხოვს: რაც მეტი შეცდომა და ხარვეზი იქნება გამოვლენილი, საქმისთვის მით უკეთესიაო (იქვე). კავკასიაში ყოფნაზე აღრე რომ ყოფილიყო მიზანი გარკვეული, იქნებ შედეგიც უკეთესი მიგვედოო, მით უფრო, რომ ავტორი დამოუკიდებელივ და სხვა პირების გამოკვლევათა გამოუყენებლად მუშაობდაო (გვ. 2).

მაგრამ მას შემდეგ, რაც კავკასია დავტოვე და შეგროვილი მასალის დამუშავებას შევუდექი, აუცილებელი გახდა ეს მასალა შევსებული გაუმჯობესებული ყოფილიყო. ათი წლის განმავლობაში, რაც ბერლინში დავყავი, ახალი უკეთესი მასალის მოპოვებას ვცდილობდი — სხვადასხვა პირთა დახმარებითაო (ამ პირებს მადლობით იხსენიებს; ამ პირთა შორის არიან: გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი, რუსეთის მინისტრი, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი, ქართველი ფილოლოგი მოსე ჯანაშვილი, დალესტნის სამხედრო გუბერნატორი ნიკო ჭავჭავაძე, კავკასიის სასწავლო ოლქის ინსპექტორი ლ. ლოპატინსკი, გენერალი ტიხანოვი..., გრიგოლ დადიანი, გრიგოლ შერვაშიძე, მასწავლებლები: პადარინი, კულაკოვი და კიფერი, განსაკუთრებით ყუბანის ყაზახთა ესაული ფელიცინი — ჩერქეზული ენისთვისაო), გვ. 2-3.

მოსე ჯანაშვილმა რაც გააკეთა, ეს გარკვევით ჩანს: მისი შეხედულება ქართველურ ენებზე, ქართულისა და მისი დიალექტების შესახებ შრომაში უცვლელად ჩანს შეტანილი. ესაული ფელიცინი ჩერქეზულის გამოა მოხსენიებული, მაგრამ არაა ნათქვამი, სახელდობრ, რა ეკუთვნის მას; არც სხვა პირთა მონაწილეობა აღუნიშნავს ავტორს: არ იცის კაცმა, რისთვის უხდის მადლობას; ყრუადაა ნახსენები: მეხმარებოდნენ და გვერდში მედგნენ შუამავლადაო (*helfend oder vermittelnd zur Seite gestanden* — გვ. 3).

ერთი სიტყვით, მხოლოდ ერთია ცხადი: ერკერტმა კავკასიურ ენათა მასალის შეგროვება თვითონ დაიწყო კავკასიაში ყოფნის დროს; მასალა უკმარი იყო; შემდეგ ბერლინში ყოფნისას ათი წლის განმავლობაში მას აწვდიდნენ მასალას კავკასიიდან (მასალის „შევსება-გაუმჯობესება“ მიმდინარეობდა).

მაშასადამე, მასალა მხოლოდ ნაწილობრივ არის ავტორის შეგროვილი (ისიც სხვის დახმარებით: ერკერტს არც ერთი ენა არ შეუსწავლია). მასალის შევსება სხვა პირთა ნაღვაწია (საანკეტო წესითაა შეგროვილი).

ად. ღირი წერს ერკერტის წიგნისათვის მასალის შეგროვების შესახებ: „სიტყვებისა და ფრაზების სია, შედგენილი ერკერტის მიერ, საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი იყო სხვადასხვა თანამდებობის-პირთათვის; ამათ კიდევ, თავიდან რომ მოეცილებინათ ეს უსიამოვნო და მათთვის უჩვეულო საქმე, იხმეს ადგილობრივი მკვიდრნი... და თარგმნეს. მაგალითად, ეკითხებიან წახურელს: „როგორ იქნება მამის ძმა?“ ჯერ ერთი, წახურულში, ისევე, როგორც რუსულში, ცალკე სიტყვა მოიპოვება ამ ცნებისათვის: ემისი „ბიძა“ (მამის მხრივ); გასაგებია თუ ადგილობრივი მკვიდრი („მამის ძმა“-ს თარგმნისას) დაიბნევა. მეორეცაა-და: არაფერია ისე ძნელი, როგორც ფრაზის ნაწყვეტის თარგმნა, კაცისათვის, რომელიც გრამატიკულად არ აზროვნებს. ის აზროვნებს სრული ფრაზებით და არა — გრამატიკული აბსტრაქციებით“ (ა. ღირი, *Цахурский язык*, 1913 წ., გვ. II-III).

შეგროვილი მასალაც ერკერტს თვითონ არ დაუმუშავებია: ბერლინში უპოვია „იშვიათი ნიჭის“ ახალგაზრდა ორიენტალისტი, არაბულისა და თურქულის მცოდნე, გვარად ბეერი („ამჟამად პრივატდოცენტი ბრესლავის უნივერსიტეტში“, წერს ერკერტი). „მასალა მეტად დიდი იყო, რომ ათი წლის განმავლობაში დამეძლიაო“... სხვა ვერავინ იქნებოდა უფრო შესაფერი, რომ კავკასიურ ენათა მასალა საფუძვლიანად დაემუშავებინა, თუ არ დოქტორი ბეერი: ამ ენების გრამატიკულ წყობას უჩვეულო გაგებით ჩასწვდაო, და განსაკუთრებით შრომის ამ ნაწილის დამუშავებაში მიუძღვის დამსახურებაო (გვ. 3; ჩანს, სხვა რამეებიც უკეთებია ამ წიგნისათვის ბეერს).

შრიფტის საკითხი ჭირდა; ქართულის გარდა სხვა ენების ბგერები ძნელი გადმოსაცემი იყო („გაურკვეველი, მერყევი ბგერები ზოგჯერ შეუძლებელი იყო დამწერლობაში ზუსტად აგვესახა, განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი ყელისმიერი და ხახისმიერი ბგერებით“ — გვ. 3). ამიტომ დავკმაყოფილდი „ნიშნებითა და ახსნა-განმარტებითაო“ (გვ. 3). ბეერს ეს ბგერები არც გაუგონია...

წიგნის პირველი ნაწილი ლექსიკას ეხება; ზოგი რამ აქ, — წერს ერკერტი, — უდაოდ არაზუსტია; შედსართავი და ზმნები ხშირად არაა მოცემული მათს საკუთრივს, ზუსტ ფორმაში; განყენებულ ცნებებს ადგილობრივ მკვიდრთ ზუსტად ვერ ვაგებინებდი, თან დროც არა გვქონდაო (!), გვ. 3-4.

მრავალ მოკლე შენიშვნაში ავტორს ზოგი რამ განმარტებული აქვს, მაგრამ მას არაფერი უთქვამს კავკასიურ ენათა ნათესაობის შესახებ ერთმანეთთან, აგრეთვე ბევრი ხუნძური ძირის მსგავსებაზე ფინურ ენებთანაო (გვ. 4).

როგორც აქედან ჩანს, კავკასიურ ენათა ნათესაობის დებულება ერკერტის წიგნის ბოლოს რომა მოცემული, ერკერტს არ ეკუთვნის: ეს ბეერის დებულებაა (ისევე, როგორც მთელი „ზოგადი დახასიათება“ და კლასიფიკაცია კავკასიურ ენათა).

ერკერტის „შესავალზე“ დაწვრილებით შევჩერდით, რომ გავვეგო, წიგნის მასალა სად, ვინ, როგორ მოიპოვა და შემდეგ ეს მასალა როგორ დამუშავდა.

გამოირკვა, რომ მასალის მხოლოდ რაღაც ნაწილი ეკუთვნის ავტორს; გრამატიკული მიმოხილვის ავტორიც სხვა პირია (დოქტ. ბეერი). ამრიგად, ერკერტის შრომად „კავკასიური ძირის ენები“ პირობით თუ მიიჩნევა; ერკერტს წიგნის დამუშავების ინიციატივა ეკუთვნის.

ასეთ პირობებში ის კი არ უნდა გვიკვირდეს, რომ წიგნში შეცდომებია, არამედ ის, კიდევ მეტი რომ არ მოიპოვება.

ერკერტის წიგნი „კავკასიის ძირის ენები“ დაახლოებით იმ რიგის შრომას წარმოადგენს, როგორის შედგენაც რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებას ჰქონდა (1853-1860 წ.) განზრახული. განყოფილების განზრახვა ფაქტობრივ სისრულეში მოიყვანა ერკერტმა.

შრომამ სპეციალისტების იმედები ვერ გაამართლა (ასეთ იმედებს ფრ. მიულერის წინასიტყვაობა ბადებდა). შეცდომებმა წიგნს სახელი გაუტეხა.

სწორედ ამიტომ, იქნებ, საჭიროა გაიხაზოს: მიუხედავად მრავალი შეცდომისა წიგნის მთლიანად უგულებელყოფა არ იქნებოდა მეცნიერული თვალსაზრისით გამართლებული. მასში პირველად არის მოცემული ზოგი დაღესტნური ენის შესახებ მასალა და გრამატიკული ცნობები (მაგალ., არჩიბულის, ანდიურ-დიდოური ენა-კილოების, რუთულურ-წახურულის, ალულურის, ბუდუხურის, ხინალულურის, ჯეკურის შესახებ); მასში პირველად არის შეტანილი აბძახური და შაფსულური მასალა, ცნობები ზოგი ქართული კილოს (ხევსურულის, ინგილოურის) შესახებ და განსაკუთრებით დარგული ენის დიალექტების შესახებ (უსლარის მონოგრაფია ერთს დიალექტს, ხიურკილიურს, ე. ი. ურახულს შეისწავლის; აქ კი ხუთი დიალექტის მასალა შემოდის; მასთან კუბაჩური სამართლიანად არის დარგულ დიალექტად მიჩნეული). მოცემულია ცდა დარგული დიალექტების კლასიფიკაციისა, აგრეთვე დაჯგუფებულია ანდიურ-დიდოური ენა-კილოები (დიდოური სწორად, ანდიურიც თითქმის სწორად)... ახვახური უსაფუძვლოდ არის ხუნძურ დიალექტებში მოქცეული, მაგრამ ანდალალისა და სამხრულ ხუნძურ დიალექტთა შესახებ უსლართან შედარებით ახალი ფაქტებია მოცემული.

კერძოდ, ანდიური ნათესაობითი ბრუნვის კლასოვანი ვარიანტები აღნიშნულია სწორად და აფხაზურთან ერთგვარი პარალელიცაა გაყვანილი (II ნაწ., გვ. 184).

წიგნი „კავკასიური ძირის ენები“ ერთ რამესაც მოწმობს: უკმარი ლექსიკური მასალის შეპირისპირება და ზერეულე გრამატიკული მიმოხილვაც კი, თუ ყველა კავკასიური ენის ჩვენებას მოვუხმობთ, ხელშესახებს ხდის ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-გენეზისურ ერთობას. ფრ. მიულერის წინასიტყვაობა ამას ცხადყოფს.

§ 26. ჰ. შუხარდტი და იბერიულ-კავკასიურ ენათა სტრუქტურის საკითხები

1895 წელს გამოვიდა ჰ. შუხარდტის ორი შრომა: 1. „ქართული ენის შესახებ“ (ვენა)¹ და 2. „გარდამავალი ზმნის პასიური ხასიათის შესახებ კავკასიურ ენებში“ (ვენა)². პირველი — როგორც სათაურიდან ჩანს, მხოლოდ ქართულს ეხება, მეორე — მიზნად ისახავს გარდამავალი ზმნის თავისებურება ქართველურს, აფხაზურ-ადიღურს, ჩაჩნურსა და დაღესტნის ენებში.

ავსტრიელი ენათმეცნიერი ჰუგო შუხარდტი (1842-1927 წ.) ინდო-ევროპულ ენათა (კერძოდ, რომანულ ენათა) სახელმძღვანელო მკვლევარი იყო, როცა ქართულისა და კავკასიური ენების შესახებ შემოხსენებული მონოგრაფიები გამოაქვეყნა. ინდო-ევროპულ ენათა სპეციალისტს ჰ. შუხარდტს ზოგადი ენათმეცნიერების ძირითადი თეორიული პრობლემებისადმი ინტერესი ახასიათებდა, რთულსა და მწვავე საკითხებს არ ერიდებოდა და ორიგინალურ აზრებს, გაბატონებულ შეხედულებათაგან განსხვავებულს, გაბედულად, მასთან მკვეთრი დაფორმულებით გამოთქვამდა. ძირითადი პრობლემა, რასაც მისი აზრი უტრიალებს, ენის განვითარების პრობლემაა და ის კანონზომიერებანი, რაც ენათა განვითარებაში დასტურდება. ბევრათა კანონზომიერი განვითარება, ენათა კონტაქტი, ენათა შერევა და მისი პროდუქტი (ნარევი ენები), ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია, ენის წარმოშობა (მონოგენეზისი თუ პოლიგენეზისი), და სხვა ამასთან დაკავშირებული საკითხები იდგა ჰ. შუხარდტის ყურადღების ცენტრში.

ბუნებრივია, თუ ასეთი სამეცნიერო ინტერესები მკვლევარს ინდო-ევროპულ ენათა წრის გარეთ გაიყვანდა. გასაგებია, თუ რომანულ ენათა (ესპანურისა და ფრანგულის) გარემოცვაში შემორჩენილმა ბასკურმა მიიქ-

¹ Hugo Schuchardt. Über das Georgische, Wien, 1895 (Selbstverlag des Verfassers), 16 გვ. (in folio).

² Hugo Schuchardt. Über den passiven Charakter des Transitivs in den kaukasischen Sprachen, — Sitzungsberichte der Kais. Akademie der Wissenschaften in Wien, Philos. - Histor. Kl., Bd. 133, Wien, 1895, 91 გვ.

ცია ჰ. შუხარდტის ყურადღება; ბასკურზე მუშაობამ ჰ. შუხარდტი მიიყვანა, როგორც თვითონ შენიშნავს, კავკასიურ ენებთან. პირველ ყოვლისა, აქ ივარაუდება ზმნის უღვლილება (ბასკურში, ერთის მხრით, აფხაზურ-ადილურსა და ქართველურ ენებში, მეორე მხრით, და კერძოდ, გარდამავალი ზმნის თავისებურება): ბასკურში გარდამავალ ზმნას რეალური სუბიექტი ერგატივში დაესმის ისევე, როგორც ქართველურ ენებსა, ჩაჩნურ, დაღესტნურ ენებსა და ადილურში. სუბიექტის ბრუნვა განსხვავებულია იმის მიხედვით, გარდამავალია ზმნა თუ გარდაუვალი: გარდაუვალ ზმნას — სახელობითში მოუდის სუბიექტი, გარდამავალს — სპეციფიკურ ბრუნვაში, ერგატივში; მერეა და: გარდამავალი ზმნის ობიექტი (უახლოესი ობიექტი, ე. წ. „პირდაპირი ობიექტი“) სახელობითში ზის, ე. ი. იმ ბრუნვაში, რაც გარდაუვალ ზმნასთან სუბიექტს აღნიშნავდა. ესეც საერთოა ბასკურისა და იბერიულ-კავკასიური ენებისათვის. ზმნის წყობის ეს თავისებურება სათანადო ენათა სტრუქტურულ ერთგვარობას, შინაგან თვისობას მოწმობს.

ჰ. შუხარდტის აზრით, კავკასიურ ენათა გარდამავალი ზმნა პასიურია; თუ ინდო-ევროპულ ენებში გარდამავალი ზმნა მოქმედებითი გვარისაა, აქტიურია, კავკასიურ ენებში, პირიქით, პასიურია; ზმნის პასიურ ბუნებას ჰ. შუხარდტისათვის ცხადყოფს ის ფარდობა, რაც არსებობს რეალურისა და ფსიქოლოგიური სუბიექტის გადმომცემ გრამატიკულ საშუალებებს (სახელის ბრუნვებს) შორის. ამ ცნებათა ზოგად დახასიათებას ჰ. შუხარდტი თავშივე იძლევა; შემდეგ კი ტექსტში ამ საკითხს არ უბრუნდება. რიგი იბერიულ-კავკასიური ენის ბრუნვა-უღვლილება დახასიათებულია ძირითადი საკითხის თვალსაზრისით; ეს დახასიათება ზოგ შემთხვევაში ძალზე მოკლეა (მაგალ., ადილურისა და აფხაზურისა), ზოგი ენისა გაცილებით უფრო ვრცელია (მაგალ., უდურისა). ყველაზე მეტი ადგილი ეთმობა ქართულს, მერე — სვანურს.

ქართული სახელისა და ზმნის მორფოლოგიის საკითხები ჰ. შუხარდტს განხილული აქვს სპეციალური ლიტერატურის (კერძოდ, ქართველ გრამატიკოსთა შრომების) გათვალისწინებით, მასთან კრიტიკულად. ჰ. შუხარდტი დამოუკიდებლად ერკვევა ქართული ენის ფაქტებში, ღრმად იხედება ქართული ენის აგებულების თავისებურებებში და მეტად საყურადღებო დაკვირვებებს იძლევა. მთის იბერიულ-კავკასიურ ენებს (აფხაზურს, ადილურს, ჩაჩნურს, ბაცბურს, ხუნძურს, ლაკურს, დარგუულს, ლეზგიურს, უდურს) უსლარის, შიფნერისა და ლოპატინსკის შრომების მიხედვით იცნობდა, ქართულზე კი ხელი მიუწვდებოდა, თუმცა საქართველოში (და კავკასიაში) არაოდეს ყოფილა.

ჰ. შუხარდტის მსჯელობის დონეზე ერთგვარი წარმოდგენა შეიძლება ვიქონიოთ იმის მიხედვით, თუ რა განმარტებას აძლევს იგი ქართული ბრუნებისა და უღვლილების ზოგ საკვანძო საკითხს.

ანტონის გრამატიკა შეეცადა ხელოვნურად გამოეყო აკუზატივი (შემასმენლობითი) ბრუნვა. საამისოდ -ი (-ჲ) დაბოლოება გამოიყენეს: „გზა“ — სახელობითია, „გზაჲ“ — შემასმენლობითი; ასევე „მარიამ“ — სახელობითი, „მარიამი“ — შემასმენლობითი... ტექსტების ჩვენებაზე დაყრდნობით ჰ. შუხარდტი სწორად ასკვნის: -ი არაა მოწოდებული აკუზატივი სახელობითისაგან განასხვავოსო.

ნაცვალსახელებში: იმან, ვინ ბრუნვის ნიშანი -ნ არისო; „ვინ“ თავდაპირველად მხოლოდ აქტიური ბრუნვა იყო, სახელობითის ფუნქციით შემდეგ გამოიყენესო („აქტიურს“ ჰ. შუხარდტი ხმარობს „მოთხრობითის“, „ერგატივის“ ბაღდალ).

აქტიურ ბრუნვას უფრო ფართო გამოყენება აქვს იმერელთა მეტყველებაშიო... სომეხნი ამ ბრუნვას ხშირად უადგილოდ ხმარობენო...

მესამე პირის ობიექტის ნიშანი ჰ- არის, მისი ეკვივალენტური -ს-ც გვაქვსო...

წინადადების სამი კონსტრუქცია გაირჩევა: სახელობითი + მიცემითი... აქტიური + სახელობითი... მიცემითი + სახელობითი (ა. დირის ტერმინებით: ნომინატიური, ერგატიული, დატიური კონსტრუქცია)... ჰ. შუხარდტს ყურადღება მიუქცევია თ. ჟორდანიას მიერ აღნიშნულ ფაქტზე: მოთხრობითი ფიცის ფორმულაში იხმარებაო: „შენმა მზემა!“ „შენმა სიცოცხლემ!“ „დედაშვილობამ!“... აქტიურ ბრუნვას აქ შემორჩენილი უნდა ჰქონდეს თავდაპირველი ინსტრუმენტალისის მნიშვნელობაო... ეს სადაოა. ასეთი დასკვნა არ იქნება დამაჯერებელი, სანამ არ გაირკვევა, თუ რა ზმნა იგულისხმებოდა სათანადო გამოთქმებში (ახლა დაისმის: „ფიცავ“; „გაფიცებ“...; მაგრამ ეს მეორეული უნდა იყოს)... ზოგ სხვა შემთხვევაში ჰ. შუხარდტის მოსაზრება პირდაპირ მცდარიც შეიძლება იყოს; მაგრამ გასაკვირი ეს კი არ არის (შეცდომებისაგან ახლაც არა ვართ ქართულის სპეციალისტები დაზღვეული!), არამედ ის შემთხვევები, სადაც ავტორი მართებულად ერკვევა რთულ საკითხებში.

შრომაში „ქართულის შესახებ“ ჰ. შუხარდტი გვევლინება ფართო ხედვის ძლიერ თეორეტიკოსად და ენობრივი ფაქტის ღრმა ანალიზის ოსტატად. ქართული ენა, — წერს ჰ. შუხარდტი, — ერთადერთი სამწერლო ენაა კავკასიურ ენათა შორის, მისი ძეგლები სწვდებიან ძალიან ადრეულ ხანას (გვ. 5). ამიტომ ქართული ენა უნდა იყოს ამ ოსავალი ქართველურ ენათა შედარებითი შესწავლისათვის (ტერ-

მინს „ქართველური“ უპირატესობას ვაძლევ „იბერიულის“ წინაშე, რომ ორაზროვნობას თავი ავარიდო). ქართველი სპეციალისტებისათვის ყველაზე ახლოს იქნებოდა ეს ამოცანა; ალ. ცაგარელს, რომელმაც გამოაქვეყნა „მეგრული ეტიუდები“ და რომელსაც სვანურიც და ლაზურიც არ დაუტოვებია უყურადღებოდ, არ განუხორციელებია ის მიზნები, რაც მან თავისი სამეცნიერო მუშაობის დასაწყისში დასახა ქართული ფილოლოგიის ვიწრო სფეროშიო.

სამხრეთ-კავკასიური მთავარი ენის შესახებ (*Muttersprache* — იგულისხმება, ქართული) არ მოგვეპოვება ნათელი წარმოდგენა, რომ ჩრდილო-კავკასიაში ვეძიოთ ნათესავები. მაგრამ მეცნიერება წინ არასოდეს წავიდოდა, წინ რომ არ მიისწრაფოდეს¹. ერკერტის შრომიდან (ლექსიკიდან, ფორმანტების ცხრილიდან, დასკვნითი დებულებებიდან) იქმნება რწმენა, რომ ჩრდილო-კავკასიური ენები უკავშირდებიან, როგორც ერთმანეთს, ისე სამხრულ-კავკასიურ ენებს, ანუ, როგორც ჩვეულებრივ იტყვიან, მონათესავე ენებია. შედარება ენათა ურთიერთობისა გავლენას ახდენს ენის განვითარების მთელს ჩვენს გაგებაზე. ნათესაობის საფეხურები გვინდა განვსაზღვროთ და ეს მაშინ, როდესაც ისეთი ახლო მონათესავე და ისე კარგად შესწავლილი ენები, როგორიც რომანული ენებია, სიძნელეებს ქმნიან — თუ შეუძლებელს არ ხდიან — სქემატური სიმარტივით გადმოვცეთ ვითარება. ფაქტებს არ შეეფერება, როცა ენის შესახებ მსჯელობისას მშობელ ენებზე მიუთითებენ. ასე, მაგალ., განსაკუთრებით უნდა ვერიდოთ, რომ ალთაური (გინა თურანული) ენები კავკასიურ ენათა მიმართ მამისა თუ დედის როლში გამოიყვანოთ, თუმცა ამ ენებს გარკვეული გავლენა მოუხდენიათ კავკასიურ ენებზე (გვ. 5).

ეს გაფრთხილება დროულია. ერთმა უნგრელმა გრაფმა მიმდინარე წელს თავის წინაპართა ნაკვალევზე კავკასიაში იმოგზაურა და ჩერქეზებში იპოვა თურანული ტომი და მადიართა (უნგრელთა) მონათესავე. ლოპატინსკის, რომელსაც ჩერქეზულის შესახებ დაწვრილებითს ცნობებს უნდა ვუმადლოდეთ, აგრეთვე უვარაუდებია ჩერქეზულისა და უნგრულის ნათესაობა და უნგრულის შესწავლას შესდგომია. ეთნოგრაფი ჰანი, — ერგვარის ირონიით შენიშნავს ჰ. შუხარდტი, — ნასიამოვნებია, რომ გამოქვეყნებული არა აქვს თავისი შრომა ჩერქეზულის შესახებ, აქაო-და უნგრელ მოგზაურთა გაცნობის შემდეგ ბევრ რასმე სხვაგვარად და უფრო ნათლად ვხედავო. თუ თბილისელი სპეციალისტები უნგრულს სწავლობენ და უნგრელები — ჩერქეზულს, სარწმუნოა, რომ ისინი ერთმანეთს გაუგებენ.

¹ „die Wissenschaft wäre nie vorgeschritten, hätte sie nie vorgegriffen“, H. Schuchardt: „Über das Georgischen“, გვ. 6.

მაგრამ კავკასიელებთან უფრო ხანგრძლივი და უფრო ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ინდო-ევროპელებს და ამიტომ კავკასიური ენათმეცნიერება მეტს დახმარებასა და ხელის შეწყობას უნდა მოელოდეს ინდო-ევროპული ენათმეცნიერებისაგან (გვ. 6).

ამ წინასწარ განმარტებათა შემდეგ ჰ. შუხარდტი ჯერ კავკასიური ენების სხვა ენებთან ურთიერთობის საკითხს განიხილავს, შემდეგ კი — ქართული ფონეტიკისა და მორფოლოგიის საკითხებს ეხება.

კავკასიურ ენათა წარმოშობითი ერთიანობის ვარაუდს რომ თავი დავანებოთ, გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ კავკასიის მიწა-წყალზე ამდენი ენა იყრის თავს; მიწა-წყლის სივრცე და ენათა სიმრავლე ერთმანეთს არ ეფარდება. როგორ აღმოცენდა ასე ახლოს ერთმანეთთან ასე განსხვავებული ენები ანდა როგორ დაშორდა ერთმანეთს ენები და სხვადასხვა ენები მოგვცა ასეთ ვიწრო ფარგლებში?

ასეთი რამ ხალხთა მიმოქცევას შეუძლია გამოიწვიოს: ჩვენ ვვარაუდობთ, რომ კავკასიაში შეჯგუფებულა ხალხები, რომლებიც წინათ გაცილებით უფრო ვრცელ მიწა-წყალზე ბინადრობდნენ¹. ეს მიწა-წყალი კავკასიის სამხრეთით არის სავარაუდებელი: ძველად აქ, ხმელთაშუა ზღვისკენ და სპარსეთის ყურისაკენ, ხალხთა ჭრელი სამყარო არსებობდა. მათ შესახებ ცნობებს გვაწვდიან მწერლების გარდა წარწერები. ამ წარწერების ენათაგან ზოგი ინდო-ევროპული აღმოჩნდა, ზოგიც — სემიტური, სხვები — თურანულად მიიჩნიეს და კიდევ სხვა — ქართულის მონათესავედ (გვ. 6).

ყველაზე მეტად — ტერიტორიული სიახლოვის გამო — ეს ეხება ვანის ლურსმულ წარწერებს, რომლებიც სეისმა გაშიფრა. ამ წარწერების ენას უწოდეს — ჰეროდოტეს შექმნილი ტერმინი — ალაროდიული. ფრ. ჰომელმა ალაროდიულ ენათა ოჯახში მოაქცია: სუზურ-ელამური, კოსიურ-რი, ხეთური, კაპადოკიური და ცოცხალ ენათაგან — ბასკური, დასავლეთის ყველაზე შორეული წევრი; ალაროდიულთან შორეულ კავშირში იგი თურანულ-შუმერულ-აქადურსაც თვლის (გვ. 6).

ვანურის (ე. ი. ურარტულის) მასალა არც საიმედოა, არც საკმარისი, რომ ქართულთან მისი უშუალო შედარება შესაძლებელი იყოსო. ჰ. შუხარდტი წერს: მე არ მინდა ასეთი ცდა უარყო. მხატვარს შეუძლია საგნები დახატოს ისე ბუნდოვნად, როგორც ის მათ ხედავს, მაგრამ ღრუბელი ანდა მთა არ უნდა დახატოს გარკვევით, თუ მან ვერ შეძლო დაედგინა, მთაა ეს თუ ღრუბელი (გვ. 6). მე არ მესმის, როგორ შეიძლება ქართულის არმცოდნემ დაადასტუროს მსგავსება ქართულისა და ვანურისაო, შენიშნავს ჰ. შუხარდტი, და მიუთითებს სეის-ის (Sayce) წერილზე

¹ ეს ეხმაურება ფრ. მიულერის ნათქვამს (იხ. გვ. 218-219).

Journal of the Asiatic Society-ში, 1882, გვ. 38 (გვ. 7). თუ, მაგალითად, ვიცით, რომ კავკასიურ ენებს აკუზატივი არ მოეპოვება და სახელობითს სუფიქსი არა აქვს, საეჭვო გახდება ან სახელობითისა და აკუზატივის სუფიქსი ვანურში ანდა ვანურის კავშირი ქართულთან. და თუ ჰომელი ვანურის § (შ)-ს, — რომელიც აგრეთვე კოსეურში, ხეთურში, ელამურში სახელობითის ანდა ნაწევრის ფუნქციისა უნდა იყოს და სუზურის ri-ს უდრის, — უდარებს „ძვ. ქართ. s-ს თარგამოსში, აგრეთვე ქართ. რა-ს („ძველ ენაში აგრეთვე ნაწევარიო“, გვ. 54), აქ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უკანასკნელის სისწორეა სადაო (ქართ. რა — was?); უფრო შეიძლებოდა ჩერქეზული ნაწევარი r შეგვედარებინა, თუ იგი ძველია (აფხაზურში შესაბამისად a- პრეფიქსი გვაქვს, გვ. 7). წარწერების ენა გვიჩვენებს სუბიექტური ნაცვალსახელის სუფიქსაციას ზმნაში; კავკასიურ ენებში ასეთი სუფიქსაცია ან სულ არა გვაქვს ანდა იგი მეორეული მოვლენაა (გვ. 7).

რა ადგილი ეკუთვნის კავკასიელებს ხმელთაშუა ზღვის რასაში? კიდევ სამი რასა ჩანს იმ თავითვე ამ რასასთან დაკავშირებული: ინდო-ევროპული, სემიტურ-ჰამიტური და ბასკური. ერკერტის წიგნის წინასიტყვაობაში ფრ. მიულერი წერს: კავკასიური ენები არც ერთ სხვა ენათა ოჯახთან მონათესავე არ არისო. მე ვფიქრობ, — შენიშნავს შუხარდტი, — შეიძლება ვამტკიცოთ მხოლოდ ნათესაობა და არა — ნათესაობის არქონა¹. თუ ნათესაობა ისტორიულ კავშირს ნიშნავს, მას ჩვენ აღვიქვამთ ყოველ ფეხის გადადგმაზე ისეთ საგნებს შორის, რომლებიც ისე განსხვავებული (არამსგავსი) არიან, როგორც კი ეს შესაძლებელია; ხოლო, სადაც კი „ენათ“ შერევას დაურჩება ადგილი, დიდი დრო არაა საჭირო მსგავსების მოსაშლელად (გვ. 7). აღმოსავლურ იბერიულსა და დასავლურ იბერიულს შორის, თავი რომ დავანებოთ სახელწოდებას, რასაც მე მნიშვნელობას არ ვანიჭებ, ადგილი აქვს ერთგვარ შინაგან ერთიანობას (*manch innere Gemeinsamkeit* — გვ. 7). მეორე მხრივ, ბასკური დაუკავშირეს ჰამიტურს და არც თუ უსაფუძვლოდ. ამიტომ ურყევად ვერ მივიჩნევთ ვარაუდს, თითქოს ხმელთაშუა ზღვის აუზის ყველა ცოცხალ ენას მრავალრიცხოვანი ძირი ჰქონდეს (გვ. 7).

ამ შორს მიმავალი სამეცნიერო ინტერესების ცენტრში ჯერჯერობით ქართული დგას. გასაკვირია, რომ დასავლეთის მეცნიერები ქართულს ასეთ მცირე ყურადღებას უთმობენ. ბროსეს შემდეგ ფრ. მიულერის გარდა არავის გამოუქვეყნებია შრომა ქართულის შესახებ (ბოპის შედარებითი ძიება ასეთად არ შეიძლება მივიჩნიოთ), გვ. 7. ინგლისელი ო. უორ-

¹ „...man kann nur die Verwandtschaft, nicht die Unverwandschaft beweisen“ (გვ. 7).

დროში სწავლობს ქართულს რუსეთში (გვ. 8). ფრ. მიულერმა („ენათმეცნიერების საფუძვლებში“) ქართულს დაუთმო ადგილი. სასიამოვნოა, რომ მისტელის „ტიპებში“ ქართული ჩანს ისევე, როგორც ბასკური. მაგრამ ბირნს (Byrne, 1885 წ.) თავის ორტომიან წიგნში სულ დაავიწყდა ქართული და საერთოდ, კავკასიური ენები (გვ. 8). ჰ. შუხარდტი კითხულობს, რას მიეწერება ესაო და უპასუხებს: დამხმარე საშუალებათა უკმარობასა და ისევ უკმარობასაო (გვ. 8). ქართული შრიფტი ადვილი არაა, თუმცა სხვა კავკასიური ენებისთვის მის გამოყენებას ვურჩევდიო (ნიშანთა შეერთებას არ მიმართავს), გვ. 8. ჩუბინაშვილის ლექსიკონი ძნელი გამოსაყენებელია; მეტ წილად ქართულად დაწერილ გრამატიკებს უნდა დავეყრდნოთ; ეს გრამატიკები არაფერს ამბობენ ისეთ რამეებზე, რაც ჩვენ გვესაჭიროება (ზოგი ფორმისა და კონსტრუქციის მნიშვნელობა)... ქართულ გრამატიკებს აგებულების მხრივ ეტყობათ ინდო-ევროპულ ენათა (მეტადრე სომხ., ბერძნ., ლათინურისა და რუსულის) გრამატიკების გავლენა... ტერმინოლოგია მერყევია და აკლია გარკვეულობა... ქართველი გრამატიკოსები აზვიადებენ თავისებურებებს: მ. ჯანაშვილს მოჰყავს „პროგრესული ზმნის“ ნიმუში: წერინ-ინ-ინ... „პროგრესული ნათესაობითი“: „კაცისისა“¹. შუხარდტს აგონდება ამასთან დაკავშირებით: ბასკები თავს იწონებენ: ყოველი ნათესაობითისაგან ნათესაობითი იწარმოებაო... მეშველი ზმნა, როგორც ზღაპრული ჯადოქარი, ჯანაშვილთან ხან სად ამოყოფს თავს და ხან — სად სხვადასხვა სახით: **-რე** (მდგომარე), **-ლი** (გუ-ლი), **-ს** (გვალავ-ს), **-სი** ნათესაობითში, **ა-** (ა-დგილი), **სა-** (სა-თვალე)... ასეთი ეტიმოლოგიური ფანტაზიები სახიფათოა უცხოელისათვის; იგი ფაქტებსა და ჰიპოთეზას ვერ არჩევსო... მ. ჯანაშვილისათვის ჩვენებითი **ე** = აქ, **ო** = მანდ, **ა** = იქ, რომ ზმნის ხმოვნებს შეუთანხმოს: **ებ**, **ობ**, **აბ**, მაგრამ ქართულისთვის ეს ისევე არაა სწორი, როგორც ფრ. მიულერის ვარაუდი, თითქოს ახლოს მყოფს ის, **იმან** აღნიშნავდეს, უფრო დაშორებულს **ეს**, **ესე**, **ამან**... სხვა მხრივ მ. ჯანაშვილის შესავალი ქართულში² საინტერესოა და ფასეული, მეტადრე დიალექტთა შედარების მხრივ და სასურველია ავტორმა ეს თავისი მუშაობა გააგრძელოსო (გვ. 9).

¹ „წერინინინინი“... ხელოვნურად არის შეთხზული: ქართულ ენაში ასეთ წარმოებას ვერ ვიპოვით; „კაცისისა“ — ბუნებრივია ქართული ენისათვის. მოულოდნელია, რომ ჰ. შუხარდტმა ერთ სიბრტყეზე დააყენა ეს ორი წარმოება.

² ჰ. შუხარდტს მხედველობაში აქვს მ. ჯანაშვილისეული ანალიზი ერკერტის შრომაში.

ამ ჩემი ნაწერით მივმართავ ქართველებს; მე ვეცადე დამერწმუნებინა ისინი, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მათს ენას ჩვენთვის, უცხოელი მკვლევარებისათვის¹ და ვისურვებდი ისინი ჩვენს სამეცნიერო მისწრაფებებს დახმარებით გამოხმაურებოდნენ (გვ. 9). აქ შევჩერდები რამდენიმე საკითხზე, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ.

ბგერათა აღწერა გრამატიკაში პირველი საქმეა; ენათმეცნიერს, რომელიც კავკასიაში იმგზავრებდა, ევალეზოდა ცალკეულ ენათა ბგერითი სისტემა გულდასმით გამოეკვლია, მეტადრე ჩრდილო-კავკასიურ ენათა სხვადასხვა ლატერალები (*I-Arten*) და შეემოწმებინა აქამდე ნავარაუდები იდენტურობა ბგერებს შორის სხვადასხვა ენაში (ერკერტის წიგნი ამ მხრივ მოთხოვნილებებს არ უპასუხებს...).

„ქართულში მოგვეპოვება ყრუ ხშულთა ორი წყება, რომლებიც აღინიშნებიან, როგორც „მტკიცე“ და „რბილი“: **პ ტ კ** და **ფ თ ქ**; პირველი იწარმოებიან ყელის ხშვითა და პირის მაგარი ხშვით, უკანასკნელი — ღია ყელით, პირის სუსტი ხშვითა და გარკვეული ფშვინვით²... გაბატონებული ტრადიციის თანახმად განმასხვავებელ ნიშანს ურთავენ ამ მეორე წყებას **ph, th, kh** (**p', t', k'**)... თავისებურნი უფრო საჭიროებენ ასეთ ნიშანს: **p', t', k'**. ყველაზე მართებული იქნებოდა, ორივე წყება განმასხვავებელი ნიშნებით დაგვეხასიათებინა... გვ. 10). 3. შუხარდტის ყურადღება მიუქცევია იმას, რომ რუს. **п ფ**-თი გადმოიცემა სიტყვებში: ფჩი, ფოჩა, მაგრამ **к კ**-თი (კუჩერი)... ა. ცაგარელი არ განასხვავებს მეგრ. **პ, ტ**-ს რუს. **п, т**-საგანაო (Мингр. эт. II, 35, 40), ზავადსკი კი ირწმუნება: რუს. **п, т, к** სვანურში არ ისმისო (СМОМПК, X, გვ. VIII), მათ ნაცვლად გვაქვს ბგერები „მკვეთრი მოკვეთით“ (с сухим отрезом; გვ. 10)... ერკერტი (სალექსიკონო ნაწილში) **ფ**-ს ხან **f**-თი გადმოსცემს (მეგრულშიც), ხან **pf**-თი (**foladi, pfoladi**)... ჩემი თბილისელისაგან ასეთი **pf** ანდა **f** მე არ გამოგონიაო (გვ. 10)... ყურადღების ღირსია, რომ სხვა ენათა **f** **ფ** **ჩ** ქართულში სისტემატურად **ფ თ ქ**-თი გადმოიცემაო (გვ. 10)... **ფ თ ქ** უნდა იყოს ზივერსის რბილი ფშვინვიერები (*aspiratae lenes*)...

¹ „...an die Georgier ist dieses Schreiben gerichtet; ich habe vernuscht sie von den hohen Wichtigkeit zu überzeugen, welche ihre Sprache für uns answärtige Forscher hat“, იქვე, გვ. 9.

² „Im Georgischen bestehen zwei Reihen stimmloser Verschlusslaute, die mit „hart“ (მტკიცე) und „weich“ (რბილი) bezeichnet werden; **პ ტ კ** und **ფ თ ქ**; die erstern werden mit Kehlkopfverschluss und festem Mundverschluss, die letzern mit offenem Kehlkopf, lockerem Mundverschluss und deutlichen Hauch gebildet“, - H. Schuchardt. Über das Georgische, 1895, გვ. 10.

კბილისმიერთაგან მაგარია **წ, ჰ** რბილია **ც, ჩ**: აქ მ ა რ თ ლ ა ც და ყ ე ლ ის მ ი ე რ ი ხ შ ვ ა ა რ ს ე ბ ი თ ი ნ ი შ ა ნ ი ა „მტკიცე“ ბგერათა¹... ყელის ხშვა „მტკიცე“ აფრიკატებთან გაცილებით უფროა თვალში საცემი, ვინემ მტკიცე ხშულებთან, ეს არ არის შემთხვევითი (გვ. 11)... აქ შუხარდტი იხსენიებს ჩერქეზული ბაგისმიერი მკვეთრის დახასიათებას ლ. ლოპატინსკის შრომაში (*отсеченная отдача*; გვ. 11), ეხება აღრევას, რასაც უცხოელ ავტორთა შრომებში აქვს ადგილი ბგერების თავისებურებათა გაუთვალისწინებლობის გამო და ა. შ. (გვ. 11-12)... სხვა ბგერებიდან **ვ**-სა და **რ**-ს ეხება; **ვ** ბგერას w-თი აღვნიშნავ, მაგრამ წყვილბაგისმიერად არ მიმაჩნიაო (გვ. 12). **რ** ბგერას ქართულში მარცვლის წარმოქმნა არ შეუძლიაო (გვ. 12)... ორი ერთნაირი თანხმოვანი მაშინდა გვექნება, თუ ეს აზრისათვის აუცილებელიაო; გგონია (გვ. 12)... მჟღერი ყრუსთან ყრუვდება (მთა...); გასარკვევია, რა ფარგლებში ხდება ესაო...

შემდეგ ჰ. შუხარდტი საკმაოდ დაწვრილებით ჩერდება მახვილის საკითხზე ქართულში. შანშოვანსა და ანტონისთან ვერაფერი ვიპოვეო; არც კლაპროთი, არც ფრ. მიულერი არაფერს ამბობენ მახვილის თაობაზე; ჩუბინაშვილი მახვილიან მარცვლად თვლის მეორეს ბოლოდან (ორმარცვლიან სიტყვებში), მესამე მარცვალს სამ- და მეტმარცვლიანებშიო... თ. ჟორდანიას აზრით, ერთი მარცვალი, გრძლად და მალლა ითქმის; ამ მარცვლის ადგილად იგივეა ნაჩვენები, რაც ჩუბინაშვილთან, ოღონდ ბოლომარცვალზეა სიტყვებში: აჰან, არ, ეჰან (გვ. 12).

მახვილიანი მარცვალი ქართულში სუსტად გამოირჩევა ისევე, როგორც ბასკური ენის ლაბურდის დიალექტშიო (ცნობილ ენათაგან — ფრანგულში; გვ. 13). ამიტომ უცხოელს უძნელდება მახვილიანი მარცვლის გამოყოფა. წინადადების ფარგლებში მახვილი ადგილს იცვლისო... ჰ. შუხარდტი კითხვას სვამს: მართლა არის კი მახვილი მარცვალზე მრავალმარცვლიან სიტყვებში... მე მეორე მარცვალზე მესმოდა: ბედნიერი... მადლიერი... ფრანსიელი... საბუთები, ცხენებმა... გვარებში: ნიყერაძე, ჭავჭავაძე..., რთულ სიტყვებში ორი მახვილი: ყველა-ფერი, რმისთანა... დანამდეილებით ვერ ვიტყვი: ჩემი ხელისშემწყობი გამოთქვამდა ასე თუ მე მანამდე მქონდა ასეთი შთაბეჭდილება შემუშავებულიო (გვ. 13). შეიძლება მე მსხვერპლი გავხდი სმენის ცთომილებისა. ქართველებს ეს საბაბს მისცემს საფუძვლიანად შეისწავლონ საკითხიო (გვ. 13).

როცა მახვილის მიხედვით მარცვლების სხვაობა სუსტია და როცა მახვილის ადგილი იცვლება წინადადებაში, იმ თავითვე მოსალოდნელია დიალექტური რყევა. მართლაც, მოხვეის ნათქვამში („მგზავრის წერილებ-

¹ „Es ist hier nämlich der Kehlkopfverschluss allerdings das wesentliche Merkmal der „harten“ Laute“ — იქვე, გვ. 11 (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

ში“) მახვილი მეორე მარცვალზეა (ვიქნები, გაიბოტნრდამ, ვშაჟლობთ...)... როცა მახვილი სისტემატურად ერთსა და იმავე მარცვალზე მოდის, იგი თავისებური ბუნებისა უნდა იყოს, ანდა სათანადო ხმოვანი გრძლად ითქვას. აქ შეიძლება უცხო გავლენის შესახებ ვიფიქროთო, დასძენს ჰ. შუხარდტი (გაიბოტენი ოსურ სოფლებთან ახლოსააო¹). თანამედროვე ქართულის სუსტი („დაბალმწვერვალიანი“) მახვილი მოგვაგონებს ქარიშხლის შემდეგ დაწყნარებულ ზღვას; ფრანგულის მსგავსად ქართულშიც ოდესღაც ძლიერი მახვილი ბატონობდაო².

დასასრულ, ჰ. შუხარდტი ქართული ზმნის საკითხზე ჩერდება: ზმნის საკითხია ყველაზე ახლოს ჩემთვისაო. ზმნა ეს არის დასაბამიერი (das Ursprünglichste: პირველთაგან იყო ზმნა — in principio erat varbum — და მუდამ რჩება ყველაზე ნიშანდობლივად — das Eigentümlichste), ესაა ენის სული. ვინც ამა თუ იმ ენის ზმნა იცის, მან თითქმის იცის ენა; ვინც მხოლოდ — სახელი, მან თითქმის არაფერი იცის (გვ. 14). კულტურულ გავლენას, რაც ენას განუცდია, სახელის მეშვეობითაც გავარკვევთ. არსებითი ხასიათის კავშირ-მიმართებანი ენათა შორის ზმნის ცოდნას მოითხოვენ, თუნდაც რომ ეს იყოს ისეთი რთული ზმნა, როგორცაა ქართული ანდა ბასკური ზმნაო (გვ. 14). უნდა შეგვეძლოს ენის კითხვაო³.

სახელის ფლექსიაც გაუგებარი გამოვა ზმნის გარეშე: ბრუნვის აფიქსი სახელისა და ზმნის ურთიერთობას გადმოგვცემს. ბრუნვათა სიმრავლე, მათი თავდაპირველ მნიშვნელობათა დიფერენციაცია, მათი გამიჯვნა და ერთმანეთში არევა, ეს ყველაფერი ასახავს იმ ურთიერთობას, რაც ზმნის შიგნით არის მოცემულიო... აქ არ ვგულისხმობთ ისეთ გრამატიკებს, რომლებიც ბრუნვათა რიცხვის შესახებ დაობენ; ბრუნვის ნიშანი და თანდებული ერთმანეთს ერწყმიან ქართულში ისევე, როგორც ბასკურში (თუ სხვაგანაო). ვფიქრობ, რომ ერთი ახალი ბრუნვა აღმოვაჩინე: ძალიან ძველი, ზმნისართული მნიშვნელობით ხმარებული; ბოლოვდება **ივ**-ით და აქვს მოქმედებითის ანდა ზმნისართული მიცემითის მნიშვნელობა: ძლივ, ძლ-ივ-ს, სხვაფრ-ივ (შდრ. არასფრით), მხრივ (=მხრით), მარჯნივ, მარცხნივ, ოთხივ

¹ ოსურის გავლენის საკითხი არ დადგება: მოხვევები კი არ ლაპარაკობენ ისე, როგორც „მგზავრის წერილების“ „მოხვევ“, არამედ მთიულები; მათს მეტყველებაში მართლაც დასტურდება მეორე მარცვალზე მახვილი, მასთან თავისი ბუნებით ტონური (ამის შესახებ იხ. ჩვენი წერილი: „ე. წ. გრძელი ხმოვნები მთიულურში“, უნივ. მოამბე, ტ. IV, 1924 წ.).

² „Die nieder Tongipfel des heutigen Centralgeorgisch gleichen dem nach dem Sturm geglätteten Meere: ganz ähnlich wie im Französischen hat im Georgischen einst ein sehr starker Akzent geherrscht“... H. Schuchardt, გვ. 14.

³ „Man muss die Sprache lesen können“, გვ. 14.

კუთხ-ივ, ღვთ-ივ (გვ. 14). ამ **გ**-ში იგივე **გ** უნდა გვქონდეს, რაც სვანურ მიცემითში აქვს ზოგ სახელს (მაგ., ღერბათ-ვ „ღმერთს“) და რომელიც მოქმედებითის **შ-გ**-ში მონაწილეობს (-**შ** ნათესაობითისაა) (გვ. 14)... სახელის მხრივ ზოგი რამ გასარკვევია, მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც ზმნაშია გასაკეთებელი. საჭიროა სრულად და ნათლად წარმოვადგეს ზმნის უღვლილება. ქართველს ამის გაკეთებას ენის ალღო გაუადვილებს: საბოლოო ანგარიშში თავი და თავი მნიშვნელობაა.

თვალში საცემია სახასიათო ხმოვანი (**Charaktervokale**) ზმნაში. ჩუბინაშვილს ნაცვალსახელური პრეფიქსაციის 25 სახე აქვს ნაჩვენები (და თავის ენას აქებს). ნამდვილად სულ ოთხი შემთხვევა გაირჩევა: 1. ხმოვანი არა გვაქვს (ვსწერ), 2. **ა**-ხმოვნიანი (ვ-ა-წერ); 3. **ი**- ხმოვნიანი (ვ-ი-წერ) ანდა 4. **ე**-ხმოვნიანი (ვ-ე-წერები). **უ**- მესამე პირში გვხვდება და **ი**-ს პარალელური ფორმაა (პირველსა და მეორე პირში და რეფლექსიური მნიშვნელობით). ამ ფორმებს გარკვეული მნიშვნელობები განუკუთვნეს, მეტ-ნაკლები შეცდომები დაუშვეს; ნაცვალსახელოვან ნაწილაკებთან დაკავშირებაც სცადეს (გვ. 15).

შენობა პატარა ქვებისაგან უნდა ავაგოთ; მთელი მასალა უნდა შემოვწმდეს, რა რას მისდევს და რა განსხვავდება, რატომაა **მ**-ყავს, მაგრამ **მ**-აქვს¹, **მ**-ცემს, მაგრამ **მ**-აძლევს, **მ**-აჩვენებს და **მ**-იჩვენებს, **ვ**-აგებ და **ვ**-იგებ...

შემდეგ საჭიროა ღრო-კილონი ანუ საშუალებანი ღროთა და მოდალურ მიმართებათა გადმოსაცემად საფუძვლიანად იქნეს შესწავლილი (სხვა ენათა მოშველიებით — ფუნქციათა გარკვევისას)... ცვლილებანი ღროსა და სივრცეში (ე. ი. ისტორია და დიალექტი — **ა. ჩ.**) არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ... რატომ მოხდა, რომ ძველი მყოფადი მოდალობაში გადავიდა („წეროს“ კავშირებითი გახდა — **ა. ჩ.**) და ახალი მყოფადი აწარმოეს: ვწერ — დავწერ, ვტრიალებ — ვიტრიალებ, ვნატრულობ — ვინატრი... ვსდგევარ — ვიდგები, ვარ — ვიქნები, მოვდივარ — მოვალ... აორისტიც მონაწილეობს ამ პროცესში: მე დავსწერე წერილი (და არა: ვსწერე). თ. ყორდანიას გრამატიკაში გვაქვს: ვანთებ, დავანთებ, (და)ვანთე; ვშლი, გა-ვშლი, (ვა)ვშალე; ვტრიალებ, ვიტრიალებ, ვიტრიალე (გვ. 15). სამწუხაროა, რომ თ. ყორდანიამ ზმნა რამდენიმე გვერდით გაისტუმრა (უკეთ: იძულებული იყო გაესტუმრებინა); ბოლოსიტყვაში ის წერს: „მეორე ნაწილი ჩვენის შრომისა, რომელშიც დაწვრილებით განხილულია უღვლილება ზმნათა და მათნი სინტაქსურნი თვისებანი, დაუბეჭდავი დაგვრჩა ჩვენის ხელმოკლეობით“. ამაზე კ. შუხარდტი შენიშნავს: კარგი იქნებოდა

¹ ამჟამად შეიძლება ეს გარკვეულად მივიჩნიოთ: მ-ყავს ← მა-ყავს, ე. ი. ჰყავს ზმნასაც მოეპოვებოდა „სახასიათო ხმოვანი“ **ა**: მისი დაკარგვა მეორეული მოვლენა — **ა. ჩ.**

„ქართველთა ამხანაგობა“, რომელმაც კაზმული სიტყვიერების ფარგლები გადალახა და „სრული სამზარეულო ქართულ და ევროპულ საჭმელთა“ გამოსცა, ევროპელ გურმანებს მიაწვდიდეს ქართულ ზმნას ისე, როგორც ეს ესმის ქართველს. შედეგს ეს მალე არ მოიტანდა (მასთან ბრჭყვიალა ლითონით), მაგრამ ეს იქნებოდა საფეხური კიბისა, რომლის წვერიდან ოდესმე შესაძლო გახდებოდა საკუთარი ხალხის წარმოშობის დანახვაო (გვ. 16).

3. უხარდტმა ცხადად წარმოაჩინა ქართული ენის შესწავლის მნიშვნელობა — ქართველური და მთის კავკასიური ენების თვალსაზრისით, წინა-აზიის ძველ ენებთან ისტორიული ურთიერთობის შესწავლის თვალსაზრისით; დასვა ბასკურთან მიმართების საკითხი. დაახასიათა აბრუპტივთა თავისებურება. გამოავლინა -იგ -სუფიქსიანი მოქმედებითი.

§ 27. ად. ღირი, იბერიულ-კავკასიურ ენათა მკვლევარი

ღიდი მუშაობა აქვს გაწეული ადოლფ ღირს (1867-1930) იბერიულ-კავკასიურ ენათა შესასწავლად; თავისი ინტერესებით ად. ღირი უფრო ეთნოგრაფი იყო, ვინემ ენათმეცნიერი. 1902 წლიდან 1913 წლამდე (ჩათვლით) კავკასიის საშუალო სკოლებში მასწავლებლობდა (ჯერ თემირ-ხან-შურაში, ახლანდელ ბუინაქსკში — 1902-1908 წწ., შემდეგ თბილისში — 1908-1913 წწ.); 1913 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე მუშაობდა ეთნოგრაფიის მუზეუმის დირექტორად მიუნხენში. 1908 წ. მიუნხენის უნივერსიტეტმა მიანიჭა დოქტორის საპატიო წოდება, ხოლო 1909 წ. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ მაკარის სახელობის პრემია. 1920 წ. მიენიჭა პროფესორის წოდება, 1924 წ. აირჩიეს ბოლონიის აკადემიის წევრ-კორესპონდენტად (იტალიაში).

ად. ღირს აღმოსავლური და კავკასიური ენები აინტერესებდა. მას ეკუთვნის მოკლე გრამატიკები ანამური ენისა, არაბულისა (სასაუბრო არაბულის), ქართულისა, სომხურისა (აღმოსავლური სომხურის) და რუსული-სა. ეს გრამატიკები ორიგინალურ სამეცნიერო შრომებად ვერ ჩაითვლება: ყველა ეს ენა ა. ღირამდე შესწავლილი იყო.

ამას ვერ ვიტყვი დადესტნურ ენათა შესახებ. მათ ად. ღირი სწავლობდა კავკასიაში ყოფნის დროს (1902-1913 წწ.).

ამ ხნის განმავლობაში ად. ღირმა თბილისში რუსულ ენაზე გამოაქვეყნა 7 მონოგრაფია დადესტნურ ენათა შესახებ: 1. „უღლური ენის გრამატიკა“, 1903 წ.¹; 2. „გრამატიკული ნარკვევი თაბასარანული ენის შე-

¹ А. Ди р. Грамматика удинского языка, — СМОМПК, вып. 33 (1904), отд. IV, ცალკე წიგნად 1903 წ., გვ. XI+101.

სახებ“..., 1905 წ.¹; 3. მოკლე ნარკვევი ანდიური ენის შესახებ“..., 1906 წ.²; 4. „აღლული ენა“..., 1907 წ.³; 5. „არჩიბული ენა“..., 1908 წ.⁴ 6. „რუთული ენა“..., 1912 წ.⁵; 7. „წახურული ენა“..., 1913 წ.⁶ გარდა ამისა 1909 წ. ა. დირმა დაბეჭდა „მასალები ანდიურ-დიდოური ჯგუფის ენათა და კილოთა⁷ შესასწავლად“, ხოლო 1904 წ. გერმანულ ენაზე გამოვიდა მისი, თეორიულ-პრაქტიკული მოკლე გრამატიკა ქართული ენისა.

ად. დირის ყველა მონოგრაფია დაღესტნურ ენათა შესახებ (ანდიურის გამოკლებით) განიხილავს ლეზგიური ჯგუფის ენებს: თაბასარანულს, აღლულს, რუთულს, წახურულს, უდურს (და არჩიბულს, რამდენადაც ამ ენას ჩვეულებრივ ლეზგიურ ჯგუფს უკავშირებენ). აგებულება-შედგენილობით ეს მონოგრაფიები ერთგვარია: გრამატიკული მიმოხილვის გარდა შეიცავს ტექსტებს (თარგმანითურთ), ლექსიკონს (სიტყვები რუსულადაა თარგმნილი) და რუსულ ინდექსს ლექსიკონში შეტანილი სიტყვებისა. ამგვარად, ა. დირის ეს მონოგრაფიები აგებულია იმავე წესით, როგორც პ. უსლარის ანალოგიურ შრომებში გვაქვს (სად რა მიწა-წყალზე ხმარობენ სათანადო ენას, რა დიალექტები გაირჩევა, რა ბგერები გვაქვს და რაგვარი ცვლილება ახასიათებს მეტყველების ნაწილებს; ესაა გრამატიკული მიმოხილვის შინაარსი; გრამატიკულ მიმოხილვას ერთვის მეტყველების ნიმუშები, პატარა ლექსიკონი).

პ. უსლარის მონოგრაფიები ერთი დიალექტის შესწავლას ემყარებოდა: იმ პირის მეტყველებას, ვისთანაც უსლარი მუშაობდა. ასევეა ა. დირის შრომებშიც.

პ. უსლარის მსგავსად ად. დირიც დაღესტნურ ენებს დაღესტანში სწავლობდა. შესწავლა დამხმარე პირთან მეტყველების ნიმუშის გარჩევას ემყარებოდა: ენის შესწავლა იმდენად, რომ დამოუკიდებელიც გა-

¹ А. Дирр. Грамматический очерк табасаранского языка с предисловием, текстами и сборн. слов, — СМОМПК, вып. 35 (1905), отд. III, стр. XVI+247.

² А. Дирр. Краткий очерк андийского языка с текстами, сборн. анд. слов и рус. указат. к нему, СМОМПК, в. 36 (1906), отд. IV, стр. XIV+200.

³ А. Дирр. Агульский язык. Граммат. очерк, тексты, сборн. агульских слов с рус. к нему указ., СМОМПК, в. 37 (1907), отд. III, стр. XV+188.

⁴ А. Дирр. Арчинский язык. Граммат. очерк, сборн. арч. слов с рус. к нему указ., СМОМПК, в. 39 (1908), отд. III, стр. VII+227.

⁵ А. Дирр. Рутульский язык. Граммат. очерк, тексты, сборн. рут. слов с рус. к нему указат., СМОМПК, в. 42 (1912), отд. III, стр. XV+204.

⁶ А. Дирр. Цахурский язык, Граммат. очерк, тексты, сборн. цахур. слов с рус. к нему указат., СМОМПК, в. 43 (1913), отд. III, стр. XV+243.

⁷ Материалы для изучения языков и наречий андо-дидойской группы — СМОМПК, в. 40 (1909), отд. III, стр. VII+114.

რკვეულიყო მეტყველების ნიმუშებში, არც პ. უსლარს დაუსახავს მიზნად და არც ად. ღირს. ასეთ ვითარებაში ბევრი რამ იყო დამოკიდებული დამხმარე პირის ალღოსა და დაკვირვების უნარზე. ცნობილია, რა სირთულეც შეუქმნა ამ გარემოებამ ზოგი ენის (მაგ., დარგულის) დამუშავებისას პ. უსლარს. ად. ღირის მუშაობას ამ მხრივ მეტი სირთულე ახლდა. ად. ღირს ერთი და იგივე პირი ეხმარებოდა აღუღურისა და არჩიბულის ენის შესწავლისას. ეს იყო სოფ. არჩიბის მცხოვრები მოჰამედ მოჰამედლინო (=მოჰამედისძე). ად. ღირი კმაყოფილებას გამოთქვამს მისი დახმარების გამო: „ის ნამდვილი პოლიგლოტია; დედა-ენის გარდა თავისუფლად ლაპარაკობს ლაკურად, ხუნძურად, აღუღურად, ფლობს ყუმბიკურსა და არაბულსაო (ზეპირს, წერილთა). საკმაოდ კარგად იცის რუსულიო. დიდად მადლობელი ვარ მისი ცოცხალი ინტერესისა და უჩვეულო მოთმინებისათვის, რაც ჩვენი მუშაობის დროს გამოიჩინაო“ (ად. ღირი: არჩიბული ენა, 1908, გვ. VII). საკითხავია, უზრუნველყოფს თუ არა პოლიგლოტობა ენის მოვლენათა გაგებისათვის საჭირო ალღოს. შეიძლება, დედა-ენის მეტი კაცმა სხვა ენა არ იცოდეს და ფაქიზად არჩევდეს ნიუანსებს და — პირუტყუ.

„ანდიური ენის“ წინასიტყვაობაში ნათქვამია: ანდიურის შესწავლისას მეხმარებოდა ორი მოსწავლე (თემირ-ხან-შურის რეალური სასწავლებლის მოსამზადებელი კლასისა) და აულ ანდის ორი მცხოვრები (ალი-დიბირი და იბრაჰიმ ჩოფალაუ). ჰიჰათლის კილოს შესახებ ზოგი რამ მაცნობა IV კლასის ერთმა მოსწავლემ. გავიგე მათგან, რაც შემეძლო. მუშაობა არ იყო ადვილი, რადგანაც მოწაფეები სრულებით არ იყვნენ საამისოდ მომზადებული. ამის გამო იძულებული ვიყავი გაურკვეველად დამეტოვებინა ანდიური ენის გრამატიკის არა ერთი მხარეო (Крат. грамм. очерк анд. яз. 1906, გვ. VI).

რუთულურის შესწავლისას 1904 წ. მშველოდა ფერშალი თუაფ გუდაევი (აულ შინაზიდან); მასთან მხოლოდ ერთს დღეს ვმუშაობდით; 1909 წ. კი — თემირ-ხან-შურის რეალური სასწავლებლის მოსწავლე აბას-ბეგ კაზიბეკოვი. ეს ყმაწვილი კაცი მეტის მეტად ყურადღება-დაფანტული იყო, მეც მაღარისი შეტევები მაწუხებდა. ამიტომ აულები დაგლა და მასალის შეგროვება, რასაც ვვარაუდობდი, ვერ შევიძელიო (Рутульский яз., 1911, გვ. IV).

რაც შეეხება წახურულის შესწავლას, დამხმარე პირი მოლა ალი რამაზან-ოღლი (აულ მიხიკიდან) რუსულისა და აზერბაიჯანულის კარგი მცოდნე ყოფილა და მონდომებით მუშაობდაო. ოღონდ ტექსტის თარგმნისას „მეტად ახლო მისდევდა რუსულს“, რის გამოც საკმაოდ ბევრი ფრაზა ვერ გამოვიყენეო (Цахурский яз., 1913, გვ. VII).

დაკვირვების საწარმოებლად, როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ად. ღირს გაცილებით უფრო ცუდი პირობები ჰქონია, ვინემ პ. უსლარს. ეს — ენაზე მუშაობისა და დამხმარე პირთა შესახებ. რაც შეეხება ენობრივი ფაქტის ანალიზს, ად. ღირის შრომებს აკლია ის საფუძვლიანობა და ზედმიწევნობა, რაც პ. უსლარის დაკვირვებას ახასიათებდა. უზუსტობანიც ად. ღირის შრომებში შესაბამისად მეტია — ფონემათა გარჩევისას, გრამატიკული მოვლენის დახასიათებისას.

მაინც ად. ღირის მონოგრაფიათა წყალობით მანამდე არსებული ხარვეზები ერთგვარად ამოივსო. მართალია, უდურის შესახებ მოიპოვებოდა ა. შიფნერის საფუძვლიანი ნარკვევი, მაგრამ თაბასარანული, აღულური, რუთულური, წახურული, არჩიბული, ანდიური ცნობილი იყო მხოლოდ ერკერტის შრომიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობებით.

გერმანიაში დაბრუნების შემდეგაც (1913) ად. ღირს არ შეუწყვეტია მუშაობა კავკასიურ ენებზე. 1924 წ. მან დაარსა ჟურნალი *Caucasica* („კავკაზიკა“, „საკავკასიო“), პირველი საენათმეცნიერო ჟურნალი კავკასიის-მცოდნეობის დარგში და სიკვდილამდის (1930 წ.) იყო მისი რედაქტორი (ამ ჟურნალის მე-6 ნაკვეთში ღირის ნეკროლოგია დაბეჭდილი; სულ გამოვიდა 11 ნაკვეთი; *Caucasica*-ს გამოცემა შეწყდა 1934 წ.). ჟურნ. *Caucasica*-ს მე-4 (1927 წ.) და მე-5 (1928 წ.) ნაკვეთებში დაიბეჭდა ა. ღირის შრომა „უბიხთა ენა“; ესაა პირველი მონოგრაფიული გამოკვლევა უბიხურისა; იგი შეიცავს გრამატიკულ დახასიათებას, ტექსტებსა და ლექსიკონს (გერმანული ინდექსითურთ). ერთი სიტყვით, იმგვარადვეა აგებული, როგორც ავტორის მონოგრაფიები დალესტნის ენათა შესახებ. ჟურნ. *Caucasica*-ს მე-5 ნაკვეთში ა. ღირმა გამოაქვეყნა „უდური ტექსტები“.

1928 წ. გამოვიდა „შესავალი კავკასიურ ენათა შესწავლაში“¹. კავკასიური ენები სამ ნაწილად არის გაყოფილი; ესენია: I. ჩრდილო-დასავლური ენები: აფხაზური, უბიხური და ჩერქეზული (გვ. 38-56); II. სამხრულ-დასავლური ენები: ქართული, მეგრული, ლაზური, სვანური (გვ. 57-130); III. ჩრდილო-აღმოსავლური ენები: A. ჩაჩნური ჯგუფი: ჩაჩნური, ინგუშური, ბაცბური; (გვ. 131-161); B. ლეზგიური (დალესტნური) ჯგუფი: ხუნძური, ანდიური, ენა-ბოთლიხისა, ლოდობერისა, კარატასი, კვანდასი, ჭამალალისა, ტინდისა, ახვანისა, დიდოური, ხვარშიული, კაპუჭური, ჰიურკანული, კუბა-ჩური, ლაკური, არჩიბული, თაბასარანული, აღულური, კურული, ჯეკური, ბუდუხური. ხინალულური, რუთულური, წახურული, უდური (გვ. 162-341).

¹ „Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen — mit einer Sprachkarte, ლაიფციგი, 1928, გვ. VII + 380.

ად. ღირს ყველა ამ ენის გრამატიკის საკვანძო საკითხები განხილული აქვს, ზოგისა — მეტად მოკლედ, ზოგისა — უფრო ვრცლად (ასე, მაგალ., კარატა ენას 3 გვერდი ეთმობა, გვ. 202-204; კვანდას — $2\frac{1}{3}$ გვ., ჭამალალურს — ერთი გვ.: 207-8... ხუნძურს — გვ. 162-183; ქართულს — გვ. 56-89, ე. ი. 33 გვ.).

ჯგუფში შემავალ ენათა მიმოხილვას მოსდევს მთელი ჯგუფის ზოგადი დახასიათება, თითო-ორორი გვერდის მოცულობისა; გამონაკლისს ქმნის ჩრდილო-აღმოსავლური (ჩაჩნურ-დაღესტნური) ენების ზოგადი, შედარებით ვრცელი, დახასიათება (გვ. 342-357). წიგნის ბოლოს (გვ. 358-361) რიცხვითი სახელებია ჩამოთვლილი — ყველა ენისა ცალ-ცალკე.

ენათა გრამატიკულ მიმოხილვას უძღვის — წინასიტყვაობისა და შემოკლებათა განმარტების გარდა: 1. „კავკასიურ ენათა მიმოხილვა“ (გვ. 1-12), 2. „მართლა განმარტებით დგანან კავკასიური ენები?“ (გვ. 24-29) და „კავკასიურ ენათა ბგერითი სისტემა“ (გვ. 29-37).

წიგნში მოთხრობილის უბრალო ჩამოთვლაც კი ცხადყოფს, რომ ად. ღირის ეს „შესავალი“ იბერიულ-კავკასიურ ენობრივ სინამდვილეს წარმოგვიდგენს ისეთი სისრულით, როგორც მანამდე არც ერთ შრომაში არ ყოფილა მოცემული: ერკერტთან არაფერი იყო ნათქვამი უბიხურზე; ად. ღირი უბიხურის მასალასაც ითვალისწინებს (ამის შესაძლებლობა შექმნათვით ად. ღირის შრომამ უბიხურის შესახებ); უფრო სრულად არის წარმოდგენილი ანდიური ჯგუფი (სახელდობრ, ბოთლიხურისა და ჭამალალურის შესახებაც არის ცნობები მოცემული); მასალა უფრო საიმედოა, ვინემ ერკერტის წიგნში — მეტადრე ეს ითქმის იმ ენათა შესახებ, რომელთაც საგანგებოდ სწავლობდა ად. ღირი (თუმცა, როგორც ეს ზემოთაც არის ნათქვამი, ცალკეული შეცდომები — ფაქტობრივი ხასიათისა — ად. ღირის მონოგრაფიებშიც გვხვდება). „შესავალში“ მეტყველების ნიმუშები ავტორს მოცემული აქვს საილუსტრაციო ფრაზების სახით (ამა თუ იმ გრამატიკული ფაქტის განხილვასთან დაკავშირებით), მეტყველების ნიმუშებით წიგნი უფრო ღარიბია, ვინემ ერკერტის წიგნი; გვაკლია ლექსიკური მასალა, ცალკე განხილული (ასეთ მასალას ერკერტის წიგნში ორას გვერდზე მეტი უკავია).

რა ზოგადი დასკვნა მიიღო ად. ღირმა? იგულისხმება ორი ძირითადი საკითხი: პირველი: რა ურთიერთობა აქვს კავკასიურ ენათა სხვადასხვა ჯგუფებს ერთმანეთთან? არის თუ არა ეს ჯგუფები მონათესავე? მეორე: რა მიმართებაში იმყოფება კავკასიური ენები სხვა ოჯახის ენებთან? მეორე საკითხი მაშინღა დაისმის, თუ პირველი დადებითადაა გადაწყვეტილი (თუ კავკასიურ ენათა ჯგუფები მონათესავე არ აღმოჩნდებოდა, ცნებაც „კავკასიური ენებისა“ მოიშლებოდა; ამ ენების სხვა ენებთან ურ-

თიერთობის ძიებაც უადგილო იქნებოდა: ცალკეულ ჯგუფთა — სამხრულის, ჩრდილო-აღმოსავლურის, ჩრდილო-დასავლურის — მიმართების საკითხი დაისმებოდა სხვა ოჯახის ენებთან).

ად. დირი გარკვეულ პასუხს არ იძლევა პირველ საკითხზე: ის ყოყმანობს — კავკასიური ენები ერთმანეთის მონათესავეა თუ არა, მაგრამ წინააღმდეგია იმ აზრისა, თითქოს კავკასიური ენები განმარტოებით მდგომი იყოს, ად. დირს სარწმუნოდ ეჩვენება კავკასიურ ენათა წარმოშობითი კავშირი სხვა ენებთან!

გასწორება ესაჭიროება ფრ. მიულერის აზრს (ერკერტის წიგნის წინასიტყვაობაში გამოთქმულს), რომლის თანახმადაც კავკასიური ენები ერთი წინარე ენიდან მომდინარეობენ, ქმნიან დამოუკიდებელ ენათ-ოჯახს, და არც ერთ ცნობილ ენათ-ოჯახს არ ენათესავენ. გამოირკვა, რომ, — წერს ად. დირი, — კავკასიური ენები ისე განმარტოებულნი არ არიან, როგორც ეგონათ: პირიქით, მათი ძირი იმავე ნიადაგიდან მოდის, რომლიდანაც სხვა ძირის ენები ანუ ენათა ოჯახები, ოღონდ შემდეგ მათ მრავალმხრივ თავისი გზით უვლიათ; „კავკასიური ხე გამოიყურება სრულიად სხვაგვარად, ვინემ სემიტური ანდა ინდო-ევროპული, — თუმცა მისი ფესვები ამ ორი უკანასკნელისას შეიძლება ძალიანაც ჰგავდეს, — და ეს გვაძლევს უფლებას დღესაც ვილაპარაკოთ «კავკასიურ ენათა» შესახებ» (გვ. 1). ოღონდ აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ხეს სამი ძირი აქვს. ჩვენ ჯერ კიდევ არ გავითხრია საკმაოდ ღრმად, რომ შეგვეძლოს თქმა, ყველა სამი საერთო ღეროდან მოდის, თუ ეს სამი ღერო ერთმანეთს შეზრდია იმდენად, რომ გამოცნობა ჭირს¹. აღვწერთ ამ სამი ღეროს სახე, მათი შტოებით, ტოტებითა და ფოთლებით — ეს არის ამ წიგნის ამოცანა (გვ. 1). ამის შემდეგ ად. დირი გადადის „სამი ძირის“ ენათა ჩამოთვლაზე: ერთია სამხრულ-დასავლურ-კავკასიური ანუ ქართველური; მეორეა — ჩრდილო-დასავლურ-კავკასიური ანუ აფხაზურ-უბიხურ-ჩერქეზული; მესამე — ჩრდილო-აღმოსავლურ-კავკასიური ანუ ჩანჩურ-დაღესტნური (შეიძლებოდა გვეწოდებინა — „კასპიის ძირის ენები“ **den Kaspiscen Stamm nennen** — გვ. 2).

თუ ზევით ად. დირი ყოყმანობდა: ჯერ არ ვიცით, ეს სამი ერთიდან მოდის, თუ ერთმანეთს შეზრდიაო, აქ ეს სამი ძირი თავისთავადს ერთეულებად აქვს ავტორს დახასიათებული. ამიტომ, რომ ქართველური ანდა აფხაზურ-უბიხურ-ჩერქეზული ად. დირისათვის კავკასიურ ენათა ჯგუფ-

¹ „Nur soll gleich gesagt werden, dass diesen Baum drei Stämme hat. Wir haben noch nicht tief genug gegraben um sagen zu können, ob sie alle drei einen gemeinsamen Wurzelstock haben, oder ob nicht drei Wurzelstöcke bis zur Unkenntlichkeit ineinander gewachsen sind“, Einführung, გვ. 1.

ფეხად შეუძლებელია იწოდოს; ჯგუფებად ად. დირს მიაჩნია ჩაჩნური და დაღესტნური ენები: ორივე ეს ჯგუფი ჩრდილო-აღმოსავლურ-კავკასიური (ანუ კასპიის) ძირისაა.

ფრ. მიულერმა იბერიულ-კავკასიურ ენათა გენეზისური ერთიანობა უეჭველად მიიჩნია, ოღონდ სხვა ენებთან მათი ურთიერთობის საკითხი უარყოფითად გადაწყვიტა. ად. დირი იბერიულ-კავკასიურ ენათა ერთიანობას უფრო უარყოფს, ვინემ იცავს. მაგრამ სხვა ენებთან გენეზისურ ურთიერთობას სარწმუნოდ თვლის. 1864 წლის შემდეგ, როცა ფრ. მიულერმა თავისი დებულება განმხოლოებით ღგომის შესახებ წამოაყენა, ბევრი რამ გამოიცვალა, — წერს ად. დირი, — „ამ შეხედულების კედლები ბევრგან შეანგრისო“... მთელი წყება სერიოზულ მეცნიერთა... სწავლობდა კავკასიურ ენათა ნათესაობის პრობლემას. რამდენად რთულია ეს პრობლემა, ამას ცხადყოფს, მაგალ., შემდეგი: ევროპის რელიქტური ენა, ბასკური, მრავალმა მკვლევარმა, მათ შორის ა. ტრომბეტიმ და ჰ. შუხარდტმა «შეუღარეს» ქამიტურსა და კავკასიურს; უფრო ზუსტად რომ ვთქვათ: «ბასკური ენათესაება (*hat verwandtschaftliche Beziehungen*) კავკასიურს ისევე, როგორც ჰამიტურს», როგორც შუხარდტი იტყვის; მეორე მხრივ, ა. ტრომბეტი და ნ. მარი ამტკიცებენ კავკასიურ ენათა ნათესაობას სემიტურ-ჰამიტურ ენებთან, რაც შუხარდტის სიტყვებით რომ ვთქვათ, არავითარ შემთხვევაში არ გამოირიცხავს ინდო-ევროპულ ენებთან ნათესაობას. ენათა ნათესაობა, — წერს ად. დირი, — ისევე, როგორც ადამიანთა ნათესაობა, შეიძლება იყოს უფრო ახლო და უფრო შორეული... ბევრი რამ გაირკვა კავკასიურ ენათა სხვა ენებთან ნათესაობის მხრივ, მეტადრე უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე... მაგრამ ეს მაინც მხოლოდ დასაწყისიაო“ (გვ. 25-26).

გამოირკვა, რომ კავკასიურ ენებს ბევრი რამ აქვს საერთო სხვა ენებთან — ლექსიკაშიცა და გრამატიკაშიც, ენის შინაგანსა და გარეგან ფორმებში... იგულისხმება არა ნასესხები მასალა, არამედ ისეთი მონაცემები, რაც სხვადასხვა ენათ-ოჯახების წარმოქმნის პერიოდს განეკუთვნება (*Werdeperioden der Sprachfamilien...* გვ. 26). ცალკეულ შრომებზე (წერილებზე) ვერ შევჩერდებით... მაგრამ საჭიროა მიმართულების ზოგად ხაზებზე მივუთითოო... მცირე აზიას თანდათანობით ეხება საბურველი, რომელიც მას ეფარა; მწვავედ დგება ეტრუსკთა საკითხი; მრავალი სპეციალისტი მუშაობს ბასკურზე, ეგვიპტურზე, მესაპურზე, კრეტულზე, სემიტურის, უნგრულ-ფინურის, ინდო-ევროპულის უძველეს ფორმებზე (გვ. 26). „მოკლედ რომ მოვჭრათ, დღეს-დღეობით კავკასიურს ფართო გაგებით განუკუთვნებენ წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის ენათა წყებას, რომელთაგან ამჟამად მხოლოდ ერთი, ბასკურია, რომ ჯერ კიდევ ცოცხლობს“

(გვ. 26). ა. ტრომბეტი თავის „ენათმეცნიერება“-ში (ტ. 1, გვ. 104), — განაგრძობს ად. ღირი, — საქმის ვითარებას ასე წარმოგვიდგენს: „შუხარდტთან ერთად ჩვენ უნდა, სხვათა შორის, ვივარაუდოთ, რომ კავკასიის ფარგლებში თავი აქვთ მოყრილი ხალხებს, რომელნიც წინათ გავრცელებული იყვნენ გაცილებით უფრო ვრცელ მიწა-წყალზე, და რომელთა ნაწილი შეერწყო სხვა ხალხებს. უახლოესი გამოკვლევები, ჩანს, იმაში ეთანხმება ერთურთს, რომ თავდაპირველ კავკასიურ ჯგუფს მეტ-ნაკლებად უკავშირდება შემდგომი ენები, რომელთაც სამ ჯგუფად ვყოფ: I. 1. ხალღური ანუ ვანური (წინარე-სომხური), 2. მიტანი, 3. ელამური და კოსეური ანდა კასპური, 4. ხეთური და არზავი; II. 1. მცირე აზიის ადგილობრივ მკვიდრთა ენები: ლიკიური, ლიდიური, კარიული, მიზიური, შემდეგ — პისიდიური, ისავრული, ლიკაონური და კაპადოკიური, 2. ეტრუსკული და ლემნოსური, 3. კრეტული; III. იბერიული და ბასკური („შესავალი“, გვ. 27).

თავი რომ დავანებოთ აქ ჩამოთვლილ რიგ ენას, რომელთაც ამჟამად ინდო-ევროპულად მიიჩნევენ (ლიდიური, ლიკიური, კრეტული... ხეთური-ნესიტური...), გვჩნება ენათა წყება (ხალღური ანუ ურარტული, მიტანი ანუ ხურიტული, ბასკური, აგრეთვე პროტოხეთური, — აქ ის დასახელებული არაა), რომელთაც არც ინდო-ევროპულ ენებად, არც სემიტურად არ თვლიან. მაშასადამე, ამ ენათა კავშირი კავკასიურთან ად. ღირს მიაჩნია სარწმუნოდ.

მით უფრო გაუგებარია, როცა ად. ღირი კავკასიურში სამი ძირის (ოჯახის) ენებს გამოყოფს. ად. ღირი ხაზგასმით აღნიშნავს: ენათა მონოგენეზისის თეორიას ვიზიარებ, პოლიგენეზისი მიუღებელიაო („შესავალი“, გვ. 24-25). ვინც მონოგენეზისის დებულებას იზიარებს, ის ყველა ენას ერთი წარმოშობისად, ანუ მონათესავედ უნდა თვლიდეს, — ზოგი უფრო ახლო მონათესავე გამოვიდოდა, ზოგიც უფრო შორი, და მაინც — მონათესავე. წარმოშობით განსხვავებული სამი ძირის (ოჯახის) ენები კი, რომლებიც ერთმანეთს შეეზარდნენ, მონოგენეზისის თვალსაზრისთან შეუთავსებელია.

ტრომბეტის შეხედულებასთან დაკავშირებით ად. ღირი ნიკო მარის იაფეტურ თეორიას ახსენებს: ცოტა არ იყოს განსხვავებული გზით, მაგრამ თითქოს იმავე მიზნისაკენ მიყვავართ რუსი აკადემიკოსის ნ. მარის იაფეტურ თეორიასაო; ეს თეორია კავკასიურ ენებთან აკავშირებს ხმელთაშუა ზღვის ენებს, ბასკურს და... უჩვეულოდ ვრცელ ენათ-ოჯახს ვარაუდობსო (გვ. 27-28). ად. ღირს მხედველობაში აქვს იაფეტური თეორიის ევოლუციის მედიტერანისტული საფეხური (1920-1923 წწ.).

ამრიგად, ად. ღირს მისაღებად მიაჩნია ტრომბეტის აზრი, რომლის თანახმადაც კავკასიური ენები ბასკურთან, ეტრუსკულთან და წინააზიის ძველ მკვდარ ენებთან ერთად ენათა ერთ წრეს ქმნიან... იმავე დროს კავკასიურ ენათა წარმოშობითი ერთობის საკითხის გადაწყვეტისაგან თავს იკავებს.

საინტერესო ცნობებს შეიცავს პარაგრაფი ბგერითი სისტემის შესახებ (გვ. 29-37): მკვეთრების, ლატერალების, სისინათა და შიშინათა შესახებ, თუმცა აქ ნ. ტრუბეცკოის შრომების დახმარება ცხადია... მახვილის საკითხზე გარკვევით რისამე თქმა ძნელიაო.

სამართლიანია ად. ღირის სურვილი — სპეციალისტი ფონეტიკოსი თავისი აპარატით რომ შეისწავლიდეს ფონეტიკის საკითხებსაო („შესავალი“, გვ. 37). საერთო შთაბეჭდილება ასეთიაო: ქართველი თითქოს ყელში წყალს ივლებსო, აფხაზ-ჩერქეზი — სტვენს, სისინებს და შიშინებს, ჩაჩანი და დაღესტნელი — ახველებს და ამოახველებსო (გვ. 37). სპეციალისტის ნათქვამს არა ჰგავს ეს სიტყვები, რომლებითაც თავდება ბგერათა სისტემის შესახებ მონათხრობი.

პარაგრაფში „თანამედროვე მეზობელი ენები კავკასიურ ენათა“ („შესავალი“, გვ. 13-23) ად. ღირი ყურადღებას ამახვილებს განსხვავებულ ენათა კონტაქტსა და პოლიგლოტიის მოვლენებზე; ორი და მეტი ენის ცოდნას ამა თუ იმ ენის („სიცოცხლის ნაკლები უნარის მქონის“) გადაშენება შეიძლება მოჰყვესო (გვ. 19); ად. ღირს აქ აგონდება უდური, შაჰ-დაღის ენები, არჩიული, ანდიური, ყოისუს ენა-კილოები... უბიხური: „ყველა ამ ენის დღეები დათვლილიაო“ (იქვე), წინასწარმეტყველებს ავტორი, რომელსაც ენის დაღვევა-გაქრობის პროცესი მარტივად წარმოუდგენია.

ცალკე აღნიშვნის ღირსია, რომ ად. ღირი, როგორც „შესავალში“, ისე მონოგრაფიებში თანმიმდევრულად ხმარობს ცნებას „გრამატიკული კლასი“ (მანამდე „სქესი“ იხმარებოდა). იბერიულ-კავკასიური ენებისათვის დამახასიათებლად „გრამატიკული კლასი“ უნდა მივიჩნიოთ.

ად. ღირმა სპეციალური წერილი უძღვნა ამ საკითხს: **О классах (родах) в кавказских языках – СМОМПК, вып. 37, отд. III (1907), გვ. 91-102.** ამ წერილში კლასის კატეგორია განმარტებულია, როგორც რანგის (ე. ი. საბოლოო ანგარიშში — ღირებულების) განმასხვავებელი — სათანადო ენობრივი კოლექტივის თვალსაზრისით, — რაც ისტორიულ ვითარებას არსებითად სწორად ასახავს.

საინტერესოა ად. ღირის მოსაზრება: კავკასიური ენები „მოქმედებით“ ბრუნვას მოქმედის აღსანიშნავად მეტწილად მაშინ ხმარობენ, როცა ეს მოქმედი მესამე პირშია; პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები ხშირად მოქმედებითს არ განასხვავებენ სახელობითისაგანაო. იმიტომ ხომ არა, რომ პირველსა და მეორე პირს თავის თავად ნაკლებ ესაჭიროებათ იმაზე მითითება, რომ ისინი მოქმედნი არიანო (**Арчинский яз., 1908, გვ. V**). სხვაობა I და II პირებსა და III პირს შორის ზოგჯერ (მაგალ., ქართველურ ენებში) ახლაც დაცულია. რიგ ენაში I და II პირებმაც გაიჩინეს ერგატივი.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა გავითვალისწინოთ კავკასიური ზმნის ბუნების შესახებ ად. დირის აზრი. „არჩიბული ენის“ წინასიტყვაობაში ად. დირს ნათქვამი აქვს: „ამბობენ, რომ ჩაჩნური და დაღესტნური ზმნა, ვნებითის ხასიათისააო (*passiver Sinn*). ხომ არ აჯობებდა გვეთქვა — ნეიტრალური ხასიათისააო. რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკი გვაქვს მხოლოდ ისეთ ზმნებზე, რომლებიც შეესატყვისება ჩვენს გარდამავალ ზმნებს. დამოკიდებულებას ქვემდებარესა და პირდაპირ დამატებას (ჩვენებური გაგებით) შორის ჩაჩანი ანდა დაღესტნელი გამოხატავს იმით, რომ გრამატიკული საშუალებით მიუთითებს მოქმედს პირზე; საგანი თუ პირი, რომელზედაც გადადის ეს მოქმედება, რჩება მარტივს, უცვლელ ფორმაში, მაგრამ გვანიშნებს მას, თუ ამის შესაძლებლობა არსებობს, ე. ი. თუ სათანადო ენას მოეპოვება კლას-ნიშნები, სწორედ ამათი საშუალებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს მექანიზმი შეიძლება ავხსნათ ასე: ჩვენი „ქვემდებარე“ გარდამავალ ზმნათა ჩაჩნ.-დაღესტნ. ენებში დგას მიცემითში (აფექტივში) ანდა მოქმედებითს ბრუნვაში (აქტიურ ბრუნვაში, ერგატივში), ჩვენი დამატება¹ — მარტივს, უცვლელ ფორმაში (სახელობითში, დასახელების ფორმაში): ზმნა ეთანხმება ამ ფორმას კლასსა (სქესსა) და რიცხვში. ჩვენ ვთარგმნით ასეთ ფორმას ჩვეულებრივ ამგვარად: „მონადირით იცემება ძაღლი“ (*охотником бьется собака*), „მამას უყვარს დედა“ *отцу люб есть (любима есть) мать...* ჩვენი ინდო-ევროპული ენები ოდესღაც ამავე წესებს მისდევდნენ. ერთ-ერთ თავის სტატიისაში ულენბეკი ლაპარაკობს, რომ წინეთ არ იყო არც სახელობითი, არც აკუზატივი, არამედ აქტიური (*Activus*) და პასიური (*Passivus*). აქტიური ბრუნვა (ახლანდელი სახელობითი) მოქმედი პირის ბრუნვაა; ის ბოლოვდება **-ს**-თი, რომელიც ძნელია დავაშოროთ ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუძეს **სო**-. პასიური ბრუნვა (ახლანდელი აკუზატივი) — ესაა ვნებული პირისა თუ საგნის სახელი, საერთოდ, იმ პირისა თუ საგნის სახელი, რომლის შესახებ რაღაც ითქმის. ეს უკანასკნელი ბრუნვა, მაშასადამე, არის გარდამავალ ზმნათა ობიექტისა და ვნებითი, აგრეთვე გარდაუვალი ზმნების სუბიექტის ბრუნვა. ასე ამბობს მოკლედ ულენბეკი. ჩემის აზრით, რაკი გარდამავალი ზმნის მოქმედი გარკვევით არის აღნიშნული გრამატიკული საშუალებით, არც არის საჭირო საგანგებო საშუალებით აღნიშნოთ ობიექტი. ამავე წესს მისდევნ კავკასიური ენებია (*Арч. яз.*, 1908, გვ. IV-VI).

¹ დედანშია „ქვემდებარე“. ლაფსუსი ჩანს; ქვემდებარე უკვე ითქვა წინადადების დასაწყისში.

სუბიექტის გაფორმება რომ ობიექტის გაფორმების საჭიროებას არ გამოორიცხავს, ამის მაგალითს ინდო-ევროპული ენებიც იძლევა, იბერიულ-კავკასიურიც: „დავითმა სიმონს წიგნი სთხოვა“, სუბიექტიცა და ორივე ობიექტიც გაფორმებულია... ასევე ადიღეურში: ფვწა-მ ფვწ-რ აწო „ღურგალი მორს თლის“: **-მ**, **-რ**-თი გაფორმებულია მოქმედი და ობიექტი... პირუკუც შეიძლება: არც სუბიექტი, არც ობიექტი არ იყოს გაფორმებული: მე შენ გხედავ... შენ მე მხედავ... (ლათ. *vicinus filium amat* მეზობელს უყვარს შეილი; *amat* — გარდამავალი ზმნა) სუბიექტიც, ობიექტიც გაფორმებულია: სახელობ., აკუზატ.; მერეა -და: ერგატივიანი და მიცემითიანი კონსტრუქციები ერთ სიბრტყეზე არ დაისმის: ერგატივი გარდამავალ ზმნასთან იხმარება, მიცემითი რეალურ სუბიექტს აღნიშნავს გარდაუვალ ზმნასთან.

და მაინც საყურადღებოდ გვეჩვენება გარდამავალი ზმნის ნეიტრალურობაზე სიტყვის ჩამოგდება, თუმცა გარკვეული გაგება ნეიტრალური ზმნისა ად. ღირს არ მოუცია. „კავკასიურ ენათა შესწავლის შესავალში“ — ქართული ზმნის შესახებ მსჯელობისას — ად. ღირმა მიმოიხილა ზმნის ბუნების საკითხი კავკასიურ ენებში (გვ. 63-75), მაგრამ აქაც გარკვეულ დასკვნას ვერ დაადგა. „პასიურია კონსტრუქცია მაშინ, თუ ლოგიკური სუბიექტი, მოქმედების ამოსავალი წერტილი, არა დგას სახელობითში“, ამბობს ერთგან ად. ღირი (გვ. 64). მაგრამ მომდევნო გვერდზე კვითხულობთ: არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ „მოკლა“ „პასიური იყოსო“ (გვ. 65), თუმცა ლოგიკური სუბიექტი („მოკლა მ ა ნ“) ერგატივშია, და არა სახელობითში... ქვემოთ კიდევ ისევ ქართულის შესახებ ნათქვამია: „გარდამავალ ზმნათა გრამატიკული სუბიექტი ხან სახელობითში ზის, ხან — ერგატივში; გრამატიკული ობიექტი ხან — მიცემით-აკუზატივში, ხან — სახელობითში... აწმყოში და მისგან ნაწარმოებ ნამყო უსრულში, მყოფადში და აწმყოს კავშირებითში სუბიექტი სახელობითშია, ობიექტი მიცემით-აკუზატივში. სხვა დროებში (დატიური კონსტრუქციის გამოკლებით) სუბიექტი — მ ა ნ -ბრუნვით გადმოიცემა, ობიექტი — სახელობითით“ („შესავალი“, გვ. 85). იქვე შენიშვნაში კვითხულობთ: „ჭეშმარიტებასთან ყველაზე ახლოს მივალთ, თუ ვივარაუდებთ, რომ აწმყო მიმდებარე ბუნებისაა, პერფექტი კი — არა, არამედ პასიური ბუნებისა“¹. პერფექტს ად. ღირი „მოკლა“-ს რიგის ნაკვეთს უწოდებს (იქვე, გვ. 85); ამრიგად: „მოკლა“ პასიური ბუნებისად მიიჩნია ად. ღირმა². ზევით კი იგივე ავტორი გვეუბნებოდა: არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ „მოკლა“ პასიური იყოსო... სამართლიანად შენიშნავს შემდეგ ად. ღირი: საქმის ვითარება ჩვენთვის ნა-

¹ „...das Präsens participialer Natur ist, das Perfekt dagegen nicht, sondern passivischer Natur“ — Einführung. გვ. 85, შენიშვნა 1.

² ალბათ, ამაში გარკვეული წილი უდევს ნ. მარის გაგებას: ნ. მარის შრომებს ქართულის შესახებ ად. ღირი იყენებს და ემყარება.

თელი არაა; ადგილობრივი გრამატიკოსებისაგანაც ვერაფერს გამოიტანო (იქვე, გვ. 85)... საერთო დასკვნა: საკითხი მეტისმეტად რთულია და მე არ ძალმიძს მისი გადაწყვეტაო. იმის ნაცვლად, რომ ვილაპარაკო პასიური კონსტრუქციის შესახებ¹, მე ვიხმარ გამოთქმებს: ერგატიული კონსტრუქცია (ლოგ. სუბ. ერგატივში), დატიური ანუ აფექტიური კონსტრუქცია (ლოგ. სუბ. მიცემითში ანდა აფექტივში) და ნომინატიური კონსტრუქცია (ლოგ. სუბ. სახელობითში) ... გვ. 75-76. ამ გამოთქმა-ტერმინების დანერგვაში ად. ღირის დამსახურება ხელშესახებია.

ზმნის ბუნების საკითხზე მსჯელობა ად. ღირის შრომებში ცხადად გვაჩვენებს, რამდენად უჭირს ავტორს რთულ ენობრივ ფაქტებში დამოუკიდებლივ გაერკვეს. ად. ღირი უფრო ეთნოგრაფია, ვინემ ენათმეცნიერი (მას ეკუთვნის რიგი წერილი ეთნოგრაფიული თუ ეთნოგრაფიულ-ლინგვისტური ხასიათისა: „ნადირთა და მონადირეობის ღმერთი კავკასიის ხალხებთან“...² „ჩაჩანთა ძველი რელიგია“...³ „ადამიანთა სახელები და გვარები, ხალხთა სახელები... აფხაზებთან, მეგრელებთან, დაღესტნელებთან“⁴...) ...ეთნოგრაფიული მასალა საენათმეცნიერო ძიებას ხელს უწყობს (და — პირუკუ), ოღონდ საენათმეცნიერო კვლევა ენათმეცნიერების მოთხოვნათა სიმალლეზე უნდა იდგეს, ეთნოგრაფიულიც — ასევე ეთნოგრაფიის სათანადო პრინციპებსა და წესებს ეფარდებოდეს.

ად. ღირის ფართო სამეცნიერო ინტერესებზე მოწმობს მისი შრომა: „ენათმეცნიერული პრობლემები ეთნოლოგიური, ანთროპოლოგიური და გეოგრაფიული გაშუქებით“ (1910)⁵. აქ ავტორი მსჯელობს ისეთ საკითხებზე, როგორცაა ენის რაობა, ენის წარმოშობა, ენის ცვლა და მისი მიზეზები (სათანადო ლიტერატურის მოხმობით). ავტორის თვალსაზრისისათვის დამახასიათებელია ასეთი დებულებები: ენა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ადამიანის საზოგადოებრივი ფუნქცია (გვ. 42)... ენის წარმოშობის საკითხს მონოგენეზისის თეორია წყვეტს სწორად (ეს თეო-

¹ ამის შემდეგ იყო (გვ. 85), რომ ქართული ნამყო სრულის პასიურობა აღნიშნა ად. ღირმა.

² Der kaukasische Wild- und Jagdgott, — ჟურნ. Anthropos, XX, Ht. 1-2, 1925, გვ. 139-147.

³ Die alte Religion der Tschetschenen, ჟურნ. Anthropos, III, Ht. 4, 5-6 (1908), გვ. 729-740; გვ. 1050-1076.

⁴ Список имен и фамилий, названий народов и имен животных у абхазцев, мингрельцев и дагестанцев, СМОМПК, вып. 44, отд. IV (1915), გვ. 1-24.

⁵ Ad. Dirr. Linguistische Probleme in ethnologischer, anthropologischer und geographischer Beleuchtung, Wien, 1910, 42 გვ. ცალკე ამონაბეჭდი ანთროპოლოგიური საზოგადოების მოამბიდან (Mitteilungen der Anthropolog, Gesellschaft, Bd. მესამე სერიის X ტ.).

რია რასათა უთანასწორობას გულისხმობს, ოღონდ არა ინტელექტის სფეროში, არამედ ხასიათსა და ტემპერამენტში)... თუ ენა გაუთიშავი კაცობრიობის საერთო შემოქმედებას წარმოადგენს, ახლანდელი ენები ამ წინარე ენის შემდგომი განვითარების სხვადასხვა საფეხურად (სტადიად) უნდა მივიჩნიოთ (გვ. 37). ... ად. ღირის აზრით, ენათა ცვლა ბევრად არის დამოკიდებული ენათა ურთიერთმოქმედებაზე: ბევრათა ცვლას ის იწვევს, რომ მეტყველების ორგანოებს სხვა ენის უჩვეულო ბგერების გამოთქმა უხდება (გვ. 39)... ეთნოგრაფიულ ჩვევას შეუძლია გარკვეული ცვლილება განსაზღვროს: არის ხალხი, რომელსაც წესად აქვს წინა კბილების გადახერხვა-ამომტვრევა; ამის შედეგად **ფ**-ბგერას ვერ გამოთქვამენ, **ფ**-ს ენაცვლება ს: **ფილიპო** „ფილიპე“ „სილიპო“-დ ითქმის (გვ. 40)... კავკასია ენათა ლაბორატორიას წარმოადგენს... მე განზრახული მაქვს დავწერო წიგნი, სადაც „კავკასიის ენობრივი სამყარო განხილული იქნება გეოგრაფიული და სოციალური თვალსაზრისითაო“.

კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიის თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ად. ღირის მოხსენება: „კავკასიური ენათმეცნიერება, მისი ისტორია და უახლოესი ამოცანები“ (წაუკითხავს 1906 წ. 12 იანვარს, მიუნხენში, ორიენტალისტთა საზოგადოებაში)¹.

მოხსენებაში ჩამოთვლილია კავკასიური ენები (სამხრ.-დასავლ., ჩრდ.-დასავლ. და ჩრდ.-აღმოსავ.), მოკლედ აღნუსხულია, ვინ როდის რა ენას სწავლობდა. აღნიშნულია, რა აზრიც გამოუთქვამთ კავკასიურ ენათა ნათესაობის შესახებ ერთმანეთთან და — სხვა ოჯახის ენებთან. ად. ღირი იმეორებს ჰ. შუხარდტის აზრს²: კავკასიურ ენებს შორის ლექსიკური ნათესაობა გვაქვს, რაც შეეხება გრამატიკას, სამხრულ-კავკასიურს ჩრდილო-კავკასიურ ენებთან ცოტა რამა აქვს საერთო, გამორიცხული არ არის მათი წარმოშობითი სხვაობა (გვ. 146). ა. ღირი დასძენს: მე დარწმუნებული ვარ, რომ შემდგომი კვლევა-ძიება ლექსიკაში კიდევ მეტს მასალას გამოავლენს, რაც ნათესაობას მოწმობს; რაც შეეხება გრამატიკულ (მორფოლოგიურ) ელემენტებს, დავკმაყოფილდებით იმაზე მითითებით, რომ საკმაოდ ბევრი საერთო მოვლენა დასტურდება, მაგრამ წინასწარ ძნელია ვთქვათ, ეს მართლა საერთოა თუ ნასესხებო (გვ. 146-147). მე თანდათა-

¹ „Die kaukasische Sprachforschung, ihre Geschichte und nächste Aufgaben“ (von A. Dirr), gehalten in der Orientalischen Gesellschaft zu München (12 Januar 1906). გვ. 140-153. უფრო ადრე 1904 წ. არის დაბეჭდილი შესაბამისი რუსული ტექსტი: Кавказское языковедение, его история и будущие задачи, – Изв. КОИРГ Общ. т. XVII, в. 5 (1904) გვ. 368-380.

² ეს აზრი ჰ. შუხარდტს გამოუთქვამს რეცენზიაში მუნკაჩის შრომაზე „ინდო-ევროპული და კავკასიური ელემენტები ფინურ-უნგრულ ენებში“.

ნობით უფრო ვიხრები იმ შეხედულებისაკენ, რომ კავკასიური ენები საერთო წინარე ენიდან მომდინარეობენ, ოღონდ ამ ენათა ცალკეულ შტოებს სხვადასხვა ოჯახის ენათა გავლენა განუცდიათო, მაგალ., ჩრდ.-კავკასიურ ენებს ფინურ-უნგრულისა თუ თურქული ენებისაო (გვ. 147, შენ. 1).

კავკასიურ ენათა სხვა ენებთან მეზობლური კავშირის შესახებ ად. დირი იხსენიებს ბროსე — ბოპის, მ. მიულერის, ფრ. ჰომელის, ჰოდგსონის (?), შარენსის, გატიერიასის, გლეის ვარაუდებს; უფრო დაწვრილებით ჩერდება მუნკაჩისა და განსაკუთრებით ტრომბეტის შეხედულებებზე. ტრომბეტი ჰამიტურ-სემიტურისა, კავკასიურისა და ურალურ-ალთაურ ენათა ურთიერთობის საკითხსა სვამს. რასაც ტრომბეტი ამბობს, — წერს ად. დირი, — ჟღერს გაცილებით უფრო დამაჯერებლად, ვინემ იმის მეტი წილი, რაც აქამდე თქმულა კავკასიურ ენათა ნათესაობის შესახებ სხვა ენათ-ჯგუფებთან. ყოველ შემთხვევაში უნდა ჩატარდეს ამომწურავი შედარებითი შესწავლა ჰამიტურ-სემიტურ, კავკასიურ და ურალურ-ალთაურ ენათა, და ამ ენათა წინარე ისტორიის შესწავლამ ინდო-ევროპულ ენათა ჩართვით შეიძლება მოგვცეს უაღრესად ფასეული და განსაცვიფრებელი შედეგებიო. ახლა ძნელია იმის თქმა, თუ რა შედეგები იქნება ეს — იქნება დადგენილი ამ ენათ ოჯახების თავდაპირველი ნათესაობა თუ ურთიერთგავლენა (სესხებანი). მაგრამ უკანასკნელ შემთხვევაშიც კი ძველი სამყაროს გარკვეული ხალხების წინარე ისტორიის თვალსაზრისით დიდი პერსპექტივები გადაიშლება. და ამ პერსპექტივის გაშლისათვის ჩვენ გვშველიან კავკასიური ენები. საფიქრებელია, — წერს ად. დირი, — ისინი წარმოადგენენ იმ შემაერთებელ რგოლს (შუა წევრს, რომელიც გვაკლია), რომელიც საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ კავშირი, რომელიც არსებობდა ინდო-ევროპულსა და ჰამიტურ-სემიტურ ენებს შორის, ერთის მხრით, ინდო-ევროპულსა და ურალურ-ალთაურ ენებს შორის, მეორე მხრით. გაკვრით შეიძლება ისიც ვახსენოთ, რომ, ალბათ, ასეთი კვლევა-ძიება ახალ შუქს მოჰფენს, გარკვეულ, აქამდე გამოუცნობი წარმომავლობის ენებს, როგორიცაა ბასკური, შუმერულ-აქადური და წინააზიის ძველი იდიომებიო¹.

ამასთან დაკავშირებით ად. დირი აღნიშნავს: ტრომბეტი მარტო არ არის; კავკასიურ ენათა მნიშვნელობა სხვებსაც აოცებს. რუსი არმენისტი მარი, დაბადებით გურული, ქართულის ჩინებული მცოდნე, აპირებს ქარ-

¹ „Sie scheinen das Mittelglied darzustellen, das missing link, das uns erlaubt, den Connex zwischen denn indo-europäischen und den hamitosemitischen Sprachen einerseits und den indo-europäischen und uralo-altäischen andererseits herzustellen. Das solche Untersuchungen wahrscheinlich auch ein neues Licht auf gewisse, his jetzt recht rätselhafte Sprachen, wie das Baskische, summero-akkadische und alte kleinasiatische Idiome werfen würden, sei nur nebenher erwähnt“ — A. Dirr, „Die kaukasische Sprachforschung...“ გვ. 150.

თული შეუდაროს სემიტურს (ჯერ-ჯერობით დაწვრილებით ამის თაობაზე მას აზრი არ გამოუთქვამსო... გვ. 150).

შემდეგ თვითონ ად. დირი ცდილობს შეუდაროს რიგი ცხოველის სახელი არაბულში (*kelb* კელბ „ძაღვი“, *dzib* ჯიბ „მგელი“, *da'lab* „მელა“...) ჩაჩნურისა და დაღესტნურ ენათა სათანადო სახელებს (გვ. 150-151; ეს შედარება დამაჯერებელი არა ჩანს... — **ა. ჩ.**). ტოპონიმისა და ეთნონიმის შედარებაა საჭიროო. როცა „ბასკ“-ს უდარებდნენ *Abasgoi* აბასგოი-ს და ესპანეთის იბერებს *H'iberi* კავკასიისა და აფრიკის ბერ-ბერებს, მოწინააღმდეგეები შენიშნავდნენ — შემთხვევითი მსგავსებააო. მაგრამ აფხაზურისა და ბასკურის აგებულება რომ გასაოცარ მსგავსებას ამჟღავნებს? ანდა ბერბერულის უღვლილება ქართულისასთან საერთო თვისებებს რომ გვიჩვენებს? (გვ. 152).

მუხკაჩისა და ტრომბეტის ნაშრომებმა დაამტკიცეს, — ამბობს ბოლოს ად. დირი, — რომ კავკასია ენობრივი მხრივ სრულებით არ არის ისე გამხოლოებული, როგორც ამას ვარაუდობენ. ანთროპოლოგიური გამოკვლევები მოწმობენ, რომ მოკლეთავიანი კავკასიური რასა მთელ წინააზიასა და ევროპის ალპურ ქვეყნებში პოვებს გაგრძელებას. ეთნოლოგიური გამოკვლევები გვიჩვენებენ, როგორ ბევრი აქვს საერთო ხმელთაშუა ზღვის აუზის ძველსა და ახალ ხალხებს. კავკასია თავის ხეობებში ფარავს კიდევ ბევრ ძველის-ძველ კულტურულ დოვლათს, რომელიც უნდა იქნეს გამოვლენილი, სანამ ეს გვიან არ არის. მნიშვნელოვანია ეს ჩვენი რასის ისტორიისათვისაო¹.

ჩანს, ად. დირს იმ თავითვე ნათლად ჰქონია გათვალისწინებული კავკასიურ ენათა შესწავლის მეცნიერული აქტუალურობა.

§ 28. დ. ჩუბინაშვილი და ქართული ენის შესწავლის დაწყება პეტერბურგის უნივერსიტეტში

პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში ქართველოლოგიას საძირკველი ჩაუყარა მარი ბროსემ. (მანვე წაიკითხა 1841-42 წ. ქართული ფილოლოგიის კურსი პეტერბურგის უნივერსიტეტში. მაგრამ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში დანიშნეს და უნივერსიტეტში მუშაობას ვეღარ გააგრძელებდა).

¹ „Der Kaukasus birgt in seinen Schluchten und Falten noch viel uraltes Kulturgut, das nur gefördert werden muß, ehe es zu spät wird. Bedeutsam genug ist es für die Geschichte unserer Rasse“ — A. Dirr. „Die kaukasische Sprachforschung, ihre Geschichte und nächste Aufgaben“... გვ. 153.

ქართული ენის სწავლება პეტერბურგის უნივერსიტეტში 1845 წ. შემოუღიათ. ქართული ენის პირველი ლექტორი დავით ჩუბინაშვილი (1814-1891) იყო. როცა ათიოდე წლის შემდეგ აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე ქართული ენის კათედრა დაარსდა, მისი ხელმძღვანელობაც დავით ჩუბინაშვილს მიანდევს¹. დავით ჩუბინაშვილის მამა, იესე ჩუბინაშვილი, ასწავლიდა ქართულს თბილისის სასულიერო სემინარიაში, ავტორია ქართული გრამატიკისა (გამოიცა თბილისში 1816-1817 წ. ცაგარელი: „გრამატ. ლიტერ“, გვ. 39-40)²; დავით ჩუბინაშვილი ბიძა — ნიკო ჩუბინაშვილი (1790 წ.-1847 წ.), ლექსიკოგრაფიული და გრამატიკული შრომების ავტორი, თბილისის „კეთილშობილთა სასწავლებლის“ დამთავრების შემდეგ ამავე სკოლაში მასწავლებლობდა. 1815 წლიდან სინოდის კონტორის მდივნად მუშაობს; 1821 წლიდან ინიშნება ვახტანგის კანონების რუსულად მთარგმნელი კომისიის წევრად; 1825 წლიდან მსახურობს პეტერბურგში ქართული ენის თარჯიმნად საგარეო საქმეთა სამინისტროს სააზიო დეპარტამენტში. 1837 წელს ავადმყოფობის გამო ბრუნდება თბილისში; 1842 წელს უმოგზაურია არქეოლოგიური მიზნით სამცხესა, იმერეთსა და სამეგრელოში; 1843 წელს კვლავ პეტერბურგშია; 1845 წ. მოუწახლეობა იერუსალიმი. გარდაიცვალა 1847 წელს პეტერბურგში.

„ამრიგად — წერს ალ. ცაგარელი — 1825 წლამდე ნ. ჩუბინაშვილი თბილისში მეტ-წილად ეწეოდა მთარგმნელობასა და სახელმძღვანელოების შედგენას, 1825-1837 წ.წ. პეტერბურგში ლექსიკოგრაფიაში და გრამატიკაზე მუშაობდა, 1842-1845 წ.წ. ქართულ არქეოლოგიას სწავლობს საქართველოსა და პალესტინაში“ (ალ. ცაგარელი, „ცნობები“, I, 3, გვ. LXVII).

ნიკო ჩუბინაშვილს დიდი ამაგი მიუძღვის ძმისწულის, დავითის, აღზრდაში; შვიდი წლის დავითი დაობლდა. ობოლ დავითს მამის მაგივრობა გაუწია ბიძამ; 1825 წ. პეტერბურგში თან წაიყვანა და საშუალო განათლება მიაღებინა. 1835 წელს დავით ჩუბინაშვილი შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლურ ენათა განყოფილებაზე; 1839 წელს კურსი

¹ დავით ჩუბინაშვილისა და ბიძა მისის, ნიკო ჩუბინაშვილის, ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დაწვრილებით მოთხრობილი აქვს ალ. ცაგარელს: *Материалы для очерка жизни и литературно-ученой деятельности Д. И. Чубинова и некоторых его предков* იხ. „Сведения о памяти грузин. письменности“, т. I, в 3 (1894) გვ. LVIII-LXXXV; ჩვენ ვემყარებით ა. ცაგარელს ამ შრომის მონაცემებს (შემოკლებით: ცაგარელი: „ცნობები“...); ალ. ცაგარელს დავ. ჩუბინაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა დაუწერია პირველწყაროების — ნამსახურობის სიისა და დავ. ჩუბინაშვილის სხვა ქალაქდების მიხედვით (იხ. „ცნობები“, გვ. LXVIII, შენიშვნაში).

² ალ. ცაგარელს აღნიშნული აქვს, რომ ქართული გრამატიკა იესე ჩუბინაშვილს დაუწერია საქართველოს ეგზარქოსის თეოფილაქტეს წინადადებით სასულიერო სასწავლებლებში სახმარად („ცნობები“, I, გვ. LXI), ოღონდ თარიღი ნაჩვენებია 1818 წელი (1816-1817 წ. შოგრენზე მითითებით მოჰყავს: წიგნს თარიღი არა ჰქონდა).

დაასრულა; 1840 წ. თარჯიმანია ჯერ საგარეო საქმეთა სააზიო დეპერტამენტში, შემდეგ საიმპერატორო კანცელარიის სამიერკავკასიო კომისიაში; 1845 წლიდან ასწავლის ქართულს პეტერბურგის უნივერსიტეტში (1849 წლიდან ქართულის მასწავლებელია კავკასიელ მოსწავლეთა, ვინც პეტერბურგში სწავლობდა: ქართული ამ წელს სავალდებულო გახადეს სამთო, საგზაო, სატყეო და ტექნოლოგიური ინსტიტუტის კავკასიელ სტუდენტთათვის, სამხატვრო აკადემიის სტუდენტებისათვის...). 1854 წელს ჩამოყალიბდა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი 9 კათედრით; მათ შორის იყო „ქართული ენისა და სიტყვიერების“ კათედრა (ფაკულტეტზე სწავლა დაიწყო 1856 წელს). 1855 წლის 1 აგვისტოს დავით ჩუბინაშვილი დაინიშნა ექსტრაორდინარულ პროფესორად; აქედან მოყოლებული ხელმძღვანელობდა კათედრას 1871 წლამდე, როდესაც დატოვა უნივერსიტეტი; დავით ჩუბინაშვილი გარდაიცვალა პეტერბურგში 1891 წელს (ალ. ცაგარელი: „ცნობები“, I, 3, გვ. LVII და შემდ.).

1840 წ. გამოვიდა „ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი“ (ამ წიგნის მეორედ გამოცემის საკითხი დავით ჩუბინაშვილს აღუძრავს 1878 წელს მეცნიერებათა აკადემიის წინაშე; აკადემიის უსახსრობა მოუმინებებია; პირველი გამოცემის 600 ცალი ჯერ კიდევ არ არის გაყიდული). მეორედ გამოვიდა — მხოლოდ ქართულ-რუსული ნაწილი (ფრანგული თარგმანი არა აქვს): „საუნჯე ქართული ენისა, ქართულ-რუსული ლექსიკონი, ხელ-ახლად შემუშავებული დავით ჩუბინოვისაგან, ს.-პეტერბ., 1887 წ., 1780 სვეტი (=890 გვ.; დაახლოებით 70 ათასი ლექსიკური ერთეული). ბოლოს აქვს მინაწერი: „30 მარტს 1878 წ. შესრულდა ხელწერილი, გარდა დაიბეჭდა 1890 წელსა, მარტს 26 დღესა, ქართულსა ქრონიკონსა მე“. ამრიგად, თავფურცელზე აღნიშნული 1887 წ. ბეჭდვის დაწყებას გულისხმობს, 1890 წ. დამთავრებას (გამოვიდა 1891 წელს. ეს თარიღი აქვს ნაჩვენები ალ. ცაგარელს: „ცნობები“ I, 3, გვ. LXXX).

ქართულ-რუსულ ლექსიკონს წინ უძღვნის „ქართული ღრამმატიკა“, (გვ. I-XL). ბოლოს (გვ. III-XII) დართულია „მოკლე რუსული ღრამმატიკა“.

1846 წ. გამოიცა დავ. ჩუბინაშვილის „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ (მიენიჭა დემიდოვის პრემია); მეორე გამოცემა — 1886 წლისაა.

იმავე 1846 წელს დაიბეჭდა ქართული ენის ქრესტომათია (ორ წიგნად). 1855 წელს კი ქართული ენის მოკლე გრამატიკა (რუსულად).

ქრესტომათიაც, ლექსიკონებიცა და გრამატიკაც სასწავლო დანიშნულებისათვის იყო შედგენილი უნივერსიტეტის რექტორის პლეტნიოვის (1846 წ.) მომართვისა და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის სემიონოვის წინადადების — 1851 წ. — შესაბამისად...

არ ითქმის ეს პირველ ლექსიკონზე; მისი თავდაპირველი „ქართულ-რუსულ-ლათინური“ ტექსტი დავით ჩუბინაშვილმა წარუდგინა პეტერბურგის სასწავლო ოლქის მზრუნველს ჯერ კიდევ 1837 წელს. ოლქის მზრუნველმა გადაუგზავნა ეს ლექსიკონი განსახილველად მეცნიერებათა აკადემიას. აკადემიამ შრომის განხილვა მიანდო ბროსეს. ბროსემ ლექსიკონი მოიწონა, ოღონდ სასურველად მიიჩნია ლათინური შესატყვისები შეცვლილიყო ფრანგულით (აგრეთვე სიტყვათა ქართული განმარტებანი ამოეღოთ)... ფრანგულად თარგმნაში მონაწილეობას მივიღებ და დავურთავ რამდენიმე ასეულ ქართულ სიტყვას, ხელნაწერებიდან ამოკრეფილსაო... ბროსე წინადადება მიიღეს. ლექსიკონი გამოიცა; დ. ჩუბინაშვილს დემიდოვის პრემია არგუნეს (5000 მ. ასიგნაციებით... ალ. ცაგარელი: „ცნობები“ I, 3, გვ. LXIX)... ქართ.-რუს.-ფრანგ. ლექსიკონი გამოვიდა, როგორც ითქვა, 1840 წ., შეიცავს იგი დაახლოებით 35 ათას სიტყვას. როცა ეს ლექსიკონი იბეჭდებოდა, გამოსულა სააზიო დეპარტამენტის თარჯიმნის ალ. სულხანოვის (სულხანიშვილის) „ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი“ — 3 ათასამდე სიტყვის შემცველი.

ერთგვარად მოულოდნელია, რომ 1837 წელს, სწორედ იმ წელს, როცა ნიკო ჩუბინაშვილი თბილისში გადავიდა, დავ. ჩუბინაშვილი, უნივერსიტეტის სტუდენტი, 23 წლის ახალგაზრდა, აღმოჩნდა ავტორი სამეწიროვანი ლექსიკონისა, მასთან ვრცელი ლექსიკონისა (35 ათასი სიტყვა!).

ამ ვითარებაში ყურადღებას იქცევს ორი ფაქტი: ბროსეს თავის რეცენზიაში აღუნიშნავს, რომ დავ. ჩუბინაშვილის ლექსიკონს საფუძვლად უდევს ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონი (ამ უკანასკნელს ქებით იხსენიებსო... (ალ. ცაგარელი: I, 3, გვ. LXIX...)). ალ. ცაგარელი, რომელიც ნიკო ჩუბინაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას გულდასმით განიხილავს, წერს: ნიკო ჩუბინაშვილი 1825-1837 წ.წ. პეტერბურგში „ქართული ლექსიკოგრაფიითა და გრამატიკით“ იყო გართულიო (ალ. ცაგარელი: „ცნობები“, I, 3, გვ. LXVII). ალ. ცაგარელს მოჰყავს ნიკო ჩუბინაშვილის მიერ შედგენილი „ნუსხა წიგნებისა, რომელიც ჩემს ძმისწულს დავითთან დამიტოვებია ს. პეტერბურგს ჩემის წასვლის დროს საქართველოში, 1837 წელს“... აქ ცალკეა გამოყოფილი „წიგნები, დაწერილი ჩემის ხელით“, ე. ი. ხელნაწერები. ნიკო ჩუბინაშვილი ხელნაწერთა შორის ლექსიკონებს გამოყოფს: „რუსული და ქართული ლექსიკონი, დიდის აკადემიის სლოვარიდამ შედგენილი, რომელსაც ფასი არ დაედება, ამისთვის, რომ ჩემი ცხოვრება სრულებით ამის შრომაზედ გამიტარებია. კიდევ ქართული და რუსული ლექსიკონი, საბა ორბელიანის ლექსიკონიდან შედგენილი, რომელშიაც ლათინურად, ბერძნულად და სომხურად მოწერილია ამ ენების ლექსები (ე. ი. სიტყვები — ა. ჩ.), ქართულში ხმარებული. ამ წიგნის ფასის დადებაც არ შეიძლება იმიტომ, რომ ამაზედაც

დიდი შრომა გამიწევია ჩემს ცხოვრებაში. ეს წიგნი დავითმა გარდასწერა და მიჰყიდა აკადემიას ოთხას რუბლად — 400. მერმე კიდევ ესევ წიგნი დაბეჭდა და მიიღო დემიდოვის პრემიიდან, სრულებით ჩემთვის ურგებათ, ხუთი ათასი რუბლი — 5000... და ჩემს გაჭირვებაში და სნეულებებაში იქიდან არაფერი შეწევნა არ მომცა რა... და სხვა ბევრი დარჩა დაუწერლად, რომელიც აღარ მახსოვს და დავითასთვის დამიტევებია იმ ჰაზრით, როგორც შეეფერებოდა ჩემგან ნაამაგვეს და ნაჭირნახულევს და შვილივით გაზრდილს ძმისწულსა, რომ ისიც ჩემს გაჭირვებაში მომხმარებოდა რითმე (ალ. ცაგარელი, „ცნობები“, I, 3, გვ. 32)... ბიძა ჩივის ძმისწულზე: რუსულ-ქართული ლექსიკონი, ქართულ-რუსულიც ჩემი შედგენილიაო. დ. ჩუბინაშვილის „ქართული გრამატიკა“ რომ გამოვიდა (1855 წ.), ნიკო ჩუბინაშვილი ცოცხალი აღარ იყო (გარდაიცვალა 1847 წ.), თორემ ვინ იცის, იქნებ, ეს შრომაც ცილობის საგანი გამხდარიყო (ნიკო ჩუბინაშვილი ქართული გრამატიკის შედგენაზედაც მუშაობდა — ალ. ცაგარლის ცნობით)... დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ-ფრანგული“ (1840 წ.) და „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ (1846) დამოუკიდებელი შრომა არ უნდა იყოს: ბიძისა და ძმისწულის წილი სარკვევია (რაც უნდა იყოს, ეს ლექსიკონები „ჩუბინაშვილების ლექსიკონად“ რჩება ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიაში)... 1887-1891 წ.წ. გამოსული მეორე გამოცემა „ქართულ-რუსული ლექსიკონისა“ ავტორობის თვალსაზრისით თითქოს არაა სირთულეებთან დაკავშირებული¹.

ქართულ-რუსული ლექსიკონი (1887-1891 წ.წ. გამოცემა) ემყარება საბას ლექსიკონს. დავ. ჩუბინაშვილის ეს ლექსიკონი ერთადერთი წყარო იყო ქართული ლექსიკონის გასაცნობად რუსულის მცოდნეთათვის. ამ მხრივ მისი დიდი მნიშვნელობა ეჭვს გარეშეა, მეტადრე მანამ, სანამ საბას „სიტყვის კონის“ ახალი, 1928 წლის გამოცემა (ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქტორობით) საბას წიგნში მოცემულ ლექსიკურ საუნჯეს ხელმისაწვდომს გახდიდა მკითხველთათვის.

„ქართული ღრამატიკა“, რაიც ქართულ-რუსულ ლექსიკონს (1887-1891 წ.წ.) აქვს წამძღვარებული, ტრადიციული სასკოლო გრამატიკის სისტემას იძლევა; მისი ნაწილებია: I. „ასოთათჳს“ (და არა: „ბგერათათვის“ — გვ. I-IV); II. „ნაწევარნი ჰაზრისა“ (გვ. V-VI); III. „განხილვა თვითეულის სიტყვის ნაწილისა“ (გვ. VI-XVIII): 1. „არ-

¹ ნიკო ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი გამოიცა 1961 წ. ალ. ლლონტის რედაქციით. ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკოგრაფიული შრომების შესახებ იხ. მან. კელენჯერიძის შრომა: რუსულ-ქართული ხელნაწერი ლექსიკონები, 1962 წ., აგრეთვე ალ. ლლონტის წერილები.

სებითი სახელი (გვ. VI-IX); 2. „ზედშესრული სახელი“ (გვ. IX-X); 3. „ნაცვალსახელი“ (გვ. X-XII); 4. „ზმნისათვის“ (გვ. XII-XXVII); „ზმნისზედისათვის“ (გვ. XXVII-XXVIII); „თანდებულისათვის“ (გვ. XXVIII); კავშირისათვის (გვ. XXVIII), შორისდებულისათვის (გვ. XXVIII)¹; IV. „წარმოება სიტყვათა“ (გვ. XXIX-XXXIII); V. „ლექსთ-თხზულება ან სინტაქსი“ (გვ. XXXIII-XL): 1. „თანხმობა ლექსთა“ (ე. ი. „სიტყვათა შეთანხმება“); 2. „გარიგება სიტყვებისა ჰაზრში“; 3. „ხმარება ბრუნვათა“; 4. „ხმარება თანდებულთა“; როგორც ამის ბუნებრივი გაგრძელება, მოდის: 5. „ნიშნანი მართლ-წერილობისა“ („მძიმე ჰზის“... „წერტილი ჰზის“...); 6. საზომი ლექსთა (ე. ი. პროსოდია: „ლექსნი მახვილოვანი“... „ლექსნი გრძელ და მოკლე მარცხლებიანი...).

მეტყველების ნაწილთა შორის ცალკე ერთეულად გამოყოფილია „ზედშესრული სახელი“, მაგრამ „რიცხვითი სახელი“ არა ჩანს (და ეს ძველ ტრადიციას შეეფერება)... პროსოდია გრამატიკის ნაწილად არის წარმოდგენილი; მართლწერა სინტაქსშია მოქცეული; თვით სინტაქსი განმარტებულია, როგორც „ლექსთ-თხზულება“, ე. ი. სიტყვათა შეკავშირება (მაშასადამე, ფილოლოგიური გრამატიკის გაგების შესაბამისად); ახალია ტერმინი „ჰაზრი“ (ძველი ტერმინის „სიტყვის“ ნაცვლად); „სიტყვა“ ტერმინი თანამედროვე გაგებითაც არის ნახმარი („წინადადებაში განირჩევიან სიტყვები“), მაგრამ მის სინონიმად „ლექსიც“ გვხვდება („ლექსთ-თხზულება“... „უპირველესი კანონი ლექსთა თანხმობისა“ § 39)... რჩება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს გრამატიკის ძველს ტექსტს ტერმინოლოგიური მოდერნიზაცია განეცადოს.

ზმნაში საინტერესოა ორი პირველსახეობითი დროის გამოყოფა: ერთია „აწმდგომი“ (ე. ი. აწმყო), მეორეა — „ქმნილი სრული“ (ე. ი. ნამყო ძირითადი); აწმდგომისაგან (ვჰსწერ, ვიწერები) იწარმოება: 1. ქმნილი უსრული (ვჰსწერდი, ვიწერებოდი); 2. აწმდგომი სათუოს სქესისა (ე. ი. კავშირებითი პირველი: ვჰსწერდე... ვიწერე [ებ] ოდ-ე); 3. ქმნილი უუსრულესი საზღვრებითისა სქესისა (ე. ი. თურმეობითი I: მიწერია)... ქმნილი სრულისაგან (ვჰსწერე) იწარმოება: 1. ქმნადი თუობითისა სქესისა (ე. ი. კავშირებითი II: ვჰსწერო); 2. ქმნილი სათუოს სქესისა (ე. ი. თურმეობითი II: მეწერა...); 3. ქმნილი უუსრულესი სათუო სქესისა (ე. ი. კავშირებითი III: მეწეროს) § 27, გვ. XVI-XVII. ამრიგად, დროთა ნაკვეთები წარმოების მიხედვით არის დალაგებული.

1855 წელს გამოცემული „მოკლე ქართული გრამატიკა“ („Краткая грузинская грамматика“, 76 გვ.) დავ. ჩუბინაშვილისა ალ. ცაგარლის აზრით „საუკეთესო სახელმძღვანელოა, უპირატესად ახალი ქართული ენისა;

¹ ამ უკანასკნელ ოთხს მეტყველების ნაწილს სათვალავი არ უზის.

ფაქტების მხრივ ახალი ცოტაა, მაგრამ გრამატიკული მასალის დალაგება შეუდარებელი უფრო რაციონალური, სისტემატურია, ვინემ წინამორბედ ავტორებთან“ (ალ. ცაგარელი: „გრამატ. ლიტერ.“, § 13, გვ. 46).

ამ გრამატიკამ (1855 წლის) გაცხოველებული კამათი გამოიწვია. რაკი ეს გრამატიკა (და რუსულ-ქართული ლექსიკონი) ადგილობრივს სასწავლებლებში სახმარად ივარაუდებოდა, სახელმძღვანელოთა კომიტეტს¹ (1852 წ. 11 დეკემბრისა და 1853 წ. 13 მარტის დადგენილებით) დ. ჩუბინაშვილის „მოკლე ქართული გრამატიკა“ (და რუსულ-ქართული ლექსიკონი) განსახილველად გადაუცია ქართული ენის განყოფილებისათვის.² რეცენზია, რომლის ავტორიც დიმიტრი ყიფიანი იყო, წარედგინა კომიტეტს იმავე 1853 წ. 31 მარტს.³ დავ. ჩუბინაშვილმა იმავე წლის 5 აგვისტოს ვრცელი პასუხი გასცა რეცენზენტს⁴... ამას მოჰყვა დიმიტრი ყიფიანის მიმართვა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ბარონ ა. ნიკოლაისადმი.⁵

დიმიტრი ყიფიანის რეცენზია არსებითი ხასიათის რიგ საკითხს ეხება; ასეთებია, მაგალითად: 1. ზედსართავი სახელის საკითხი: რუსული გრამატიკა განიხილავს ზედსართავს არსებითი სახელისაგან დამოუკიდებლად იმიტომ, რომ მათ შორის გრამატიკული მხრით საერთო არაფერიაო. ქართულ ენაში, წერს დიმიტრი ყიფიანი, პირიქით — მათ შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს, არც დაბოლოებაში, არც თვით ბრუნების ფორმაში (ალ. ცაგარელი: ცნობები, I, 3, გვ. 55). მ. ბროსეს კიდევ მიუწერია: „ზედსართავი გარკვეული მეტყველების ნაწილიაო“ (იქვე, გვ. 55, შენ. 1). დ. ჩუბინაშვილის პასუხში ნათქვამია: ყველა (? — **ა. ჩ.**) ცნობილ ენაში ზედსართავი მკვეთრად გაირჩევა არსებითი სახელისაგან ფორმებით (! — **ა. ჩ.**) და მეტადრე — მნიშვნელობით. ბევრ ენაში ზედსართავი ფორმით არ გაირჩევა არსებითი სახელისაგან;⁶ ამ ენათა გრამატიკებში კი ზედსართავს ცალკე განიხილავენ. მაინც რაკი არსებითისა და ზედსართავის შეერთებით ჩემი გრამატიკა არაფერს კარგავს (პირიქით, ერთ ნაბეჭდ გვერდს იგებს), ამ წინადადებას ვეთანხმებიო (!? — **ა. ჩ.** იხ. იქვე, გვ. 79-80). აღსანიშნავია, რომ ქართულ გრამატიკაში, დ. ჩუბინაშვილმა ლექსიკონს რომ წარუმძღვარა (1887-1891 წ.წ.), ზედსართავი („ზედშესრული“) სახელი მაინც ცალკეა გამოყოფილი.

¹ „Комитет начертания учебных пособий“.

² ამ კომიტეტის Отдел по грузинскому языку; ამ განყოფილების თავმჯდომარე დიმიტრი ყიფიანი ყოფილა.

³ დაბეჭდილი აქვს მთლიანად ალ. ცაგარელს: „ცნობები“ I, 3, გვ. 54-7.

⁴ იხ. იქვე, გვ. 79-96.

⁵ იხ. იქვე, გვ. 96-101.

⁶ აკი ყველა ცნობილ ენაში მკვეთრად გაირჩევაო!

2. დიმ. ყიფიანი წერს: სახელი — არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი — ერთნაირად იბრუნვის, მაგრამ ვერ ვიტყვით, თითქოს ბრუნება ერთი იყოს: ნათესაობითის დაბოლოება ქმნის განსხვავებასაო და სამ ბრუნებას გამოყოფს: ა) თანხმოვნებით, აგრეთვე **ა, ე, ი, უ**-თ დაბოლოებულ სახელთა ბრუნება, ბ) **ო, უ**-თი დაბოლოებულ სახელთა, ქალისა და კაცის თანხმოვნით დაბოლოებულ სახელთა ბრუნება, გ) **ალი, ელი... არი, ერი...**-თ დაბოლოებულ სახელთა ბრუნება, რომელნიც ხმოვანს კარგავენ (ალ. ცაგარელი, იქვე, გვ. 56). ამაზე მ. ბროსეს მიუწერია: „მხოლოდ ერთი ბრუნება გვაქვსო“ (იქვე). დ. ჩუბინაშვილიც არ ეთანხმება: იმ ენებში, სადაც რამდენიმე ბრუნებას გამოყოფენ (რუსულში, ლათინურში...) ნათესაობითს, მიცემითსა და სხვებს სრულიად განსხვავებული დაბოლოება აქვს... ქართულში კი დაბოლოება ერთი და იგივეაო... **ო** და **უ**-ზე დაბოლოებული დაირთავს **-ისა**-ს და **ოსი, -უსი**-საო... სამი ბრუნების გარჩევის არავითარ საჭიროებას არ ვხედავო (იქვე, გვ. 80-81),

3. შენიშვნა გამოიწვია ბრუნვათა შედგენილობამ; დ. ჩუბინაშვილმა ამოიღო შემასმენლობითი (ე. ი. აკუზატივი), დაწყებითი, მოთხრობითი; დაურთო: „მეორე მოქმედებითი“ („ტყედ“, „მინდვრად“) და „მეორე ნათესაობითი“ („მეზობლისას“, „კაცისას“)... დიმ. ყიფიანი შესაძლებლად თვლის „მეორე მოქმედებითი“ დაერთოს ბრუნვებს; მაგრამ მას შეეფერება სახელად „გარდაქცევითი“, „განსაზღვრებითი“ ანუ „ახსნიითი“¹; უფრო მოხერხებული კი იქნებოდა, ბრუნვათა რიცხვი არ გაგვეზარდა და სახელის სათანადო ცვლა ზმნისართებში შეგვეტანა: ფორმაც, მნიშვნელობაც მსგავსიო („გთხოვ სა დ ი ლ ა დ მეწვიო“, „ქალაღი დასაწერად უნდა“... ალ. ცაგარელი, იქვე, გვ. 57). მეორე ნათესაობითი მარტივ სახელთა ბრუნებაში შესატანი არაა: ესაა ნათესაობითისაგან ნაწარმოები მიცემითიო (ვის ამბავს ჰკითხულობს? მამისას... სად იყო? მამისას)... იქვე, გვ. 57, 62. შემასმენლობითისა და დაწყებითი ბრუნვის ამოღების წინააღმდეგი დიმ. ყიფიანი არ არის, მაგრამ შეუწყნარებლად მიაჩნია „მოთხრობითი“ გამოაკლდეს ქართულ ბრუნვათა რიცხვს. ამ შემთხვევაში დავ. ჩუბინაშვილი მისდევს მარი ბროსესაო, რომელმაც მოთხრობითს უწოდა უმართებულოდ „ჩვენებითი“ („demonstratif“) და მიიჩნია ბერძნული ნაწევრის ბაღლად (იქვე, გვ. 57-58): — „მან“ ისეთივე ნაწილაკია, როგორიცაა **-ისა, -ახეა, -ითა** (გვ. 58)... „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წ. გამოცემის წინასიტყვაობაში ნათქვამია: „მის უგანათლებულესობას... პატივისცემის ნიშნად შევსწირეთ დამბეჭდველნი ბროსე, ფალავანდიშვილი, ჩუბინოვი (გვ. 59)... აი რას იძლევა

¹ „Превратный“(?), „определятельный“, „объяснительный“ (გვ. 57).

მოთხრობითის უგულვებელყოფაო¹... ცოცხალი მეტყველება კი არ იღებს კანონებს, არამედ იძლევა მათ... ამბობენ: მოთხრობითი არ არის ბრუნვა, რადგანაც „მან“ პირის ნაცვალსახელია (და არა — ბრუნვის ნიშანი!). მაგრამ რაღაა თვით ნაცვალსახელი „მან“, თუ არ მოთხრობითი ბრუნვა „იგი“-ნაცვალსახელისა?! ხომ ვერ ვიტყვით, თითქოს ego, им, ему იყოს ერთი ნაცვალსახელი, он — კიდევ სხვაო (გვ. 60). „მე უგუნურმა არ ვინდომე“... „შენ უგუნურმა არ ინდომე“... „ჩუჴენ უგუნურთა არ ვინდომენთ“... „თქუჴნ უგუნურთა არ ინდომეთ... მან-ის დაურთავადაც მოთხრობითიაო გვ. 60-61...

დიმ. ყიფიანის შენიშვნა გამოუწვევია აგრეთვე ტერმინ „წრფელობითს“... „სახელობითი“ უნდა იყოსო... პლ. იოსელიანმა იხმარა ეს ტერმინი („ნომინატივის“ შესაბამი), და ეს სწორი სახელი უნდა დარჩესო (გვ. 56)...

დავ. ჩუბინაშვილმა გაიზიარა რეცენზენტის შენიშვნა წრფელობითის შესახებ: სახელობითს არ უარყოფო² ... „მეორე მოქმედებითს“ („მინდვრად“... „მეფედ“...) ვერ გამოვრიცხავ ბრუნვათა რიცხვიდან და ზმნისართებს ვერ განუყოფთ: მოქმედებითი ბრუნვაც შეიძლება ზმნისართად იხმარონო („ღამით“... „დღისით-მზისით“...) ...მოქმედებითი პირველი ფრანგულად იწოდება instrumentale-ად, მოქმედებითი მეორე — ტერმინით modale; რუსულად ძნელია ვთარგმნოთ, ქართულად კი იქნებოდა „გ ა ნ - ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი“ („მოდალური“ რომა ვთქვათ, ვერავინ გაგვიგებს). ჯობს ისევ „მოქმედებითი მეორე“ დარჩესო (გვ. 81-82)... რაც შეეხება მოთხრობით ბრუნვას, ეს იგივე სახელობითია, „მან“- ნაცვალსახელის დართვით... სახელობითიცა და მოთხრობითიც ერთსა და იმავე კითხვაზე მიუგებს ვინ? რა?³ (გვ. 83)... არც ერთ ენაში არ ყოფილა, ორი ბრუნვა ერთს კითხვაზე რომ მიუგებდესო... (გვ. 82)... განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ქვემდებარე სახელობითში აწმყოსთან იხმარება, ნამყოსთან — კი — მოთხრობითში („დავითი ჰსწერს წიგნსა“ — „დავითმან ჰსწერა წიგნი“: „ის“ — „მან“ ნაცვალსახელთა მიხედვით (გვ. 83)... „მან“ არ არის ისეთივე დაბოლოება, როგორიცაა ნათ. -ისა, მიც. -სა: -მან-ნაცვალსახელი იბრუნვის: „დავითმან“ — „დავითისა მის“ — „დავითსა მას“ (და არა: „დავითმან მის, დავითმან მას“...) გვ. 83... არც ერთი ავტორი (!) გრამატიკისა არ ლაპარაკობს, რომ

¹ მ. ბროსეს რეპლიკა ამაზე ასეთია: შეცდომა აქ არ არის, რაკი შეუძლებელია (?! — ა. ჩ.) ეს ფრაზა ორგვარად გავიგოთ, მით უფრო სასვენი ნიშნითაო: შევსწირეთ, ჩვენ დამბეჭდელნი (იქვე, გვ. 59).

² 1887-1891 წლის ქართულ გრამატიკაში დ. ჩუბინაშვილი კვლავ წრფელობითს ხმარობს.

³ უცნაურია, რომ დ. ჩუბინაშვილს არ მოაგონდა: რამ? (რა-ს საპირისპიროდ)... ეს ნათქვამი აქვს დიმ. ყიფიანს: ვინ ან რამა ქმნა? ვინ ან რამ უნდა იმოქმედოს? (გვ. 73).

„მან“ მოთხრობითის დაბოლოება იყოსო (გვ. 83)... ასეთია დ. ჩუბინაშვილის საბუთები; დასკვნა კი მოულოდნელია: „სულ ერთია, დაარქმევთ მას „მან-ნაცვალსახელიან სახელობითს“ (მარტივი სახელობითისაგან გასარჩევად), „მოთხრობითს ბრუნვას“ თუ „ისტორიულ-სახელობითს“ (именительно-исторический) — სულ ერთია: ამის საფუძველზე — რეცენზენტის პატივისაცემად — მოთხრობითი შეიძლება შევიტანოთ ბრუნვათა რიცხვში უცხოელთა ჯინაზედ,¹ რომელთაც ქართულ გრამატიკოსთა წინააღმდეგ გაბედეს უარეყოთ ეს ბრუნვა და გამოერიცხათ ბრუნვათა რიგიდანაო“ (იქვე, გვ. 84)².

4. ზმნების თაობაზე დიმი. ყიფიანის ორი მოსაზრება ჩანს მეტად საყურადღებო; ქართული ზმნა ორი ძირითადი გვარეობისაა: ზმნები, რომლებიც მოქმედებას გამოხატავენ და ზმნები, რომლებიც საგნის მდგომარეობას გვიჩვენებენ; პირველს განეკუთვნება ყველა „საურთიერთო“, უკუქცევითი და ვნებითი ზმნა; მეორეს — ყველა ე. წ. საშუალო ზმნა (გვ. 65)... ყველა სახელისაგან შეიძლება ვაწარმოოთ ზმნა, და ყველა ზმნისაგან — სახელი (იქვე)... ზმნას შეუძლია გამოხატოს მოქმედება, რომელიც გადადის ერთი პირიდან მეორესა და მესამეზე... ანდა მოქმედება, რომელიც ერთი პირიდან მეორის მეშვეობით გადადის მესამეზე... (გვ. 65)... საილუსტრაციოდ მოხმობილი მაგალითები (ვსწერ, მწერ, გწერ, გიწერ, ვუწერ, მიწერს, გიწერს...) ცხადყოფს, რომ აქ იგულისხმება რელატიური ანუ მიმართებითი უღვლილება, როგორც დიმი. ყიფიანი ოციოდე წლის შემდეგ თავის გრამატიკებში ამგვარ ფორმებს უწოდებს!... დავ. ჩუბინაშვილმა ეს მოსაზრებანი არ გაიზიარა (იქვე, გვ. 85-86)... 5. რეცენზენტი სამართლიანად შენიშნავს: გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ცოცხალს მეტყველებაში არასოდეს იხმარება წინდებული, არამედ მხოლოდ „თანდებუ-

¹ „На зло иностранцам... (!)“

² ამის მიხედვით დავ. ჩუბინაშვილს მაინც არ შეუტანია მოთხრობითი ბრუნვა თავის გრამატიკაში; ამან გამოიწვია დიმი. ყიფიანის მიმართვა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისადმი 1854 წ. 26 თებერვალს (გვ. 96-101): დ. ჩუბინაშვილმა ზოგი ჩვენი წინადადება გაიზიარა, მაგრამ მოთხრობითის შესახებ იგი გადაჭრით უარყოფს ჩვენს აზრს; მას ბროსე უჭერს მხარს და მით — მეცნიერებათა აკადემია. დ. ჩუბინაშვილის გრამატიკა რომ სამეცნიერო დანიშნულებისა იყოს, არაფერს ვიტყვით, მაგრამ ეს გრამატიკა სახელმძღვანელოა, აქაურ სკოლებში სახმარად დაიწერა (და ამიტომ მოგვენდო ჩვენ მისი განხილვა). იქნება, გრამატიკის ფილოსოფიის თვალსაზრისით ეს სადაო ბრუნვა არც უნდა არსებობდეს, მაგრამ ჩვენ, ქართველები, ეს ბრუნვა თუ გამოირიცხა, ერთმანეთს ვერ ვაუგებთ (გვ. 101), მოწაფეები სასაცილოდ აიღებენ მასწავლებელს, თუ მან მოითხოვა, სახელობითი იხმარეთ მოთხრობითის ნაცვლადო (გვ. 99)...

1891 წ. დ. ჩუბინაშვილს თავის გრამატიკაში მოთხრობითი შეტანილი აქვს.

ლიო“¹ (იქვე, გვ. 73)... ამის პასუხად დ. ჩუბინაშვილი მიუთითებს: „განვითარება“ წინდებულს (გან-) გვიჩვენებსო (გვ. 89-90). უგულებელყოფილია, რომ „განვითარება“ ნაზმნარი სახელია და „გან“ — აქ ზმნისეულია.

ერთი კერძო საკითხიც: დავ. ჩუბინაშვილს შეუნიშნავს: „ქ“ იმერულ გვარებს მოუდის, „შული“ — ქართლურსაო (გვ. 75)... დიმი. ყიფიანი უადგილოდ თვლის ამას, გამოსატოვებელიაო... კუთხური თავისებურებები რა მოსატანია; საერთო ენის ფაქტებს ვსწავლობთო... გვ. 75... ავტორმა თითქოს ეს წინადადება მისაღებად ცნო...

დავ. ჩუბინაშვილი პირველი ქართველი პროფესორი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტში (და, საერთოდ, უმაღლეს სასწავლებელში), ქართული ენის სპეციალისტი და ქართული ენისა და სიტყვიერების კათედრის გამგე. მის მიერ შედგენილი გრამატიკა-ლექსიკონები, როგორც ითქვა, სასწავლო მიზნებს ემსახურებოდა. 1855-1871 წლებში, როცა დავ. ჩუბინაშვილი უნივერსიტეტში მუშაობდა, ქართული ენის სხვა ენებთან ნათესაობის შესახებ უკვე არსებობდა სამი განსხვავებული აზრი (ბროსე — ბოპისა — 1834¹, 1846 წ., მაქს მიულერისა — 1854 წ. და ფრიდრიხ მიულერისა — 1864 წ.). ამგვარი, საკუთრივ ენათმეცნიერული საკითხებით, დავ. ჩუბინაშვილი არ დაინტერესებულა.

§ 29. ალექსანდრე ცაგარელი და ქართველურ ენათა შედარებითი შესწავლის დასაწყისი პეტერბურგის უნივერსიტეტში

თუ დავით ჩუბინაშვილი ქართული ენის პირველი პროფესორი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტში, ალექსანდრე ცაგარელს წილად ხვდა ქართველურ ენათა შედარებითი შესწავლის პიონერი გამხდარიყო ქართული ენის კათედრაზე.

დაიბადა ალექსანდრე ცაგარელი ქართლში, სოფ. კასპში, 1844 წელს². მამა მღვდელი ჰყავდა. ალექსანდრე მიაბარეს სასულიერო სასწავლებელში; 1859 წ. თბილისის სასულიერო სემინარიაში გადავიდა; სემინა-

¹ ამას (მ. ბროსეს?) შენიშვნა ახლავს სქოლიოში: „მეტად კატეგორიულად (положительно) არის ნათქვამი: „იხ.“ „თჳს სახელისა“... ე. ი. ანტონისეული ხელოვნური წარმოება ცოცხალი მეტყველების ნიმუშად არის დასახელებული და გამოყენებულია დიმი. ყიფიანის შენიშვნის გასაბათილებლად.

² ბიოგრაფიული ცნობები მოგვყავს ა. შანიძის წერილის მიხედვით: პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი (1844-1929) — იხ. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, X (1930), გვ. VII-XII. წერილი სათანადო საბუთებზე დამყარებით არის შედგენილი (გვ. XI-ზე ვკითხულობთ: „1891 წელს 8 თებერვალს პეტერბურგის უნივერსიტეტის წლიურ აქტზე წაიკითხა მოხსენება *Сношения России с Кавказом в XVI-XVII столетиях* (დაიბეჭდა იმავე წელს პეტერბურგში“). ამ მოხსენების დაბეჭდილ ტექსტს კი შენიშვნა აქვს: „ავტორის ავადმყოფობის გამო ეს მოხსენება („სიტყვა“) აქტზე წაიკითხა ორდინ. პროფ. ა. მ. პოზდნევემაო“ (გვ. 48).

რიაში სწავლობდა ოსტრს დანიელ ჭონქაძის ხელმძღვანელობით, ბერძნულს — ბერძენი ამხანაგებისაგან, ფრანგულს — დამოუკიდებლად (არც ფრანგულს და არც ბერძნულს სემინარიაში იმ ხანად არ ასწავლიდნენ). სემინარია დაამთავრა 1865 წ.; სასულიერო აკადემიაში განათლების მიღება არ ისურვა; შევიდა კლასიკური გიმნაზიის მერვე კლასში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1867 წ. შევიდა პეტერბურგის მედიკურ-ქირურგიულ აკადემიაში, მაგრამ იქიდან მალე პეტერბურგის უნივერსიტეტში გადავიდა, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ორი წლის შემდეგ (1869 წ.), რაკი ჰავა ვერ აიტანა, ექიმების რჩევით პეტერბურგი დატოვა. სწავლა გააგრძელა გერმანიაში — მიუნხენში. უსმენდა პროფ. ჰაუგს (ახალ ინდურ ენებს), ტიუბინგენში — პროფ. როთს (სანსკრიტი, შედარებითი ენათმეცნიერება), პროფ. მერქსს (არაბული), აქვე სწავლობდა სომხურსა და სპარსულს. გერმანიიდან გადავიდა ავსტრიაში: ვენაში პროფ. ფრიდრიხ მიულერთან სწავლობდა. უცხოეთში ორ წელს ყოფნის შემდეგ (1871 წ.) დაბრუნდა პეტერბურგს და ქართული ენის კათედრას ჩაუდგა სათავეში. პირველი სამეცნიერო შრომა „კავკასიურ ენათა იბერიული ჯგუფის მორფოლოგიის შედარებითი მიმოხილვა“ დაიწერა 1872 წ. **pro venie legendi** (ლექციათა კითხვის უფლების მოსაპოვებლად). იმავე 1872 წ. 9 აპრილიდან დამტკიცებულ იქნა პრივატ-დოცენტად, 1874 წლიდან — დოცენტად, 1886 წლიდან ორდინარულ პროფესორად, 1897 — დამსახურებულ პროფესორად. 1922 წელს გადმოვიდა თბილისის უნივერსიტეტში, და 78 წლის მოხუცი ერთხანს კითხულობდა აქ ლექციებს ქართული ლიტერატურის ისტორიიდან (უპირატესად ახალი ლიტერატურის პერიოდიდან — ეპიზოდების სახით). გარდაიცვალა 1929 წელს; დაკრძალულია მთაწმინდაზე.

აღ. ცაგარლის შრომათა ერთი ნაწილი ქართულ ენათმეცნიერებას განეკუთვნება, ზოგიც ქართული ლიტერატურის ისტორიას¹; გამოქვეყნებული აქვს საქართველოს ისტორიის შესახებ საბუთებიც, კერძოდ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასთან დაკავშირებული.²

¹ „Сведения о памятниках грузинской письменности“, ნაკვ. I (1886), LIV + 96 გვ. + 56 გვ. (ამ უკანასკნელი ნაწილის გვ. 17-56-ზე გამოქვეყნებულია „ქება ქებათაჲ, თქმული სოლომონისი“)... ნაკვ. II (1889), XXXIII გვ. (ჯვრის მონასტრის, სინას მთის ხელნაწერების და სხვ. შესახებ)..., ნაკვ. III (1894). CII + 320 გვ. (ბოლოს: გვ. 301-320): ტრადედია „ეჭიდენია“ მდივანბეგ დავ. ჩოლოყაშვილის თარგმანი). „Памятники Грузинской старины в святой земле и на Синае“ („Правосл. Палестин. сборник, т. IV, ნაკვ. I, 1888)... გერმანული თარგმანი Grusinische Kolonisten in Palästina — პროფ. შოლცინისა და გუეს თარგმანი დაუბეჭდავს ჟურნალს Zeitschrift des deutschen Palästina-Vereins, 1889.

² „Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. I (1891)... Новые архивные документы XVIII столет., относящиеся к Грузии“, — „Журнал. Мин. Народ. Просвещения“, янв. 1883.

ყველა საენათმეცნიერო შრომა ეკუთვნის ალ. ცაგარლის მოღვაწეობის პირველ პერიოდს — გამოქვეყნებულია 1872-1881 წ.წ.; იგულისხმება: 1. „კავკასიურ ენათა იბერიული ჯგუფის მორფოლოგიის შედარებითი მიმოხილვა“ (1872 წ.)¹. 2. „ქართული ენის ინდო-ევროპულ და თურანულ ენებთან ნავარაუდევო ნათესაობის შესახებ“ (1872 წ.)². 3. „ქართული ენის შესახები საგრამატიკო ლიტერატურის მიმოხილვა“ (1873 წ.)³. 4. „მეგრული ეტიუდები, ნაკვ. I. მეგრული ტექსტები — თარგმანითა და ახსნა-განმარტებითურთ“, 1880, XII+97 გვ. „მეგრული ეტიუდები, ნაკვ. II. მეგრული ენის ფონეტიკის მცდელობა“, ს. პეტერბ., VII+92 გვ.⁴ „საგრამატიკო ლიტერატურის მიმოხილვა“ სამაგისტრო დისერტაციად დაიცვა (1874 წ.), ხოლო „მეგრული ეტიუდებისათვის“ დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა (1880 წ.).

ალ. ცაგარლის პირველივე შრომა ცხადყოფს, რომ მის ავტორს ნათლად აქვს წარმოდგენილი, როგორც ამოცანა, ისე ამოცანის გადასაწყვეტად საჭირო საშუალებანი. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გაირკვეს ქართული ენის გენეზისური კავშირი სხვა ენებთან. გარკვეულობა ამ საკითხის შესახებ არ არსებობს. ალ. ცაგარელი მიუთითებს: კლაპროტის გაურკვეველ აზრზე (ჩრდ.-აზიის ენებს ეკუთვნის თუ განსაკუთრებული ენაა), ბროსეს და ბოპის შეხედულებაზე (ინდო-ევროპული ენაა), მაქს მიულერის მოსაზრებაზე (თურანულ ენებს ეკუთვნის), ფრიდრიხ მიულერის (აგრეთვე შლაიხერის, ლეფსიუსის, ბენფეის) აზრზე (განმხოლოებულია). „შედარებ. მიმოხ.“, გვ. 9-10)⁵. აზრთა სიჭრელე არ არის შემთხვევითი: ქართული ენის გრამატიკულ ფორმათა სირთულე და ძველი სამწერლო ძეგლების უკმარობა კი არ იწვევს ამას, არამედ, პირველ

¹ „Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков“, 1872, С.-Петербург, 49 გვ. (ლითოგრ.) — ავტორის გამოცემა. სტამბურად დაიბეჭდა 1957 წ., როგორც თბილ. სახელმწ. უნივერს. შრომების ტ. 67-ის დანართი ა. შანიძის რედაქციითა და წინასიტყვაობით (გვ. 3-6).

² „О предполагаемом средстве грузинского языка с индо-европейскими и туранскими языками“ — Журн. Министерства Народного Просвещения, сентябрь, 1872 г.

³ „О грамматической литературе грузинского языка“. Критический очерк. С. Петербург, 1873, XII + 112 გვ.

⁴ „Мингрельские этюды. Первый выпуск. Мингрельские тексты — с переводом и объяснениями“. СПб., 1880, XII + 97 стр. „Мингрельские этюды. Второй выпуск. Опыт фонетики мингрельского языка“, СПб., 1880, VIII + 92 გვ.

⁵ მორფოლოგიის შედარებითი მიმოხილვა მოგვყავს ა. შანიძის გამოცემის მიხედვით. კლაპროტის აზრი არ კი იყო მოსახსენებელი ბროსეს, ბოპისა და ფრ. მიულერის შეხედულებათა გვერდით: კლაპროტის ხომ დამტკიცების ცდაც კი არ აქვს.

ყოვლისა, ის, რომ საგანი არაა შესწავლილი ყოველმხრივ; ალ. ცაგარელი წერს: „გაუთრკვეველია მისი პიროვნება, მისი ტიპი ყველა დამახასიათებელი თვისებით, რაც მას, როგორც ერთს განუყოფელს მთლიანობას განასხვავებს სხვა მსგავსი ობიექტებისაგან. ენის ტიპის ასეთი აღდგენა ერთბაშად გაგვათავისუფლებდა იმ უმაღლური და სარისკო შრომისაგან, რასაც წარმოადგენს ადგილის დაძებნა მორფოლოგიურსა თუ გენეალოგიურს კლასიფიკაციაში ისეთი ენისათვის, რომლის ტიპიც ჯერ კიდევ არ არის გარკვეული“ („შედარ. მიმოხ.“, გვ. 9-10).

მაგრამ ენის ტიპი რომ გაირკვეს, არ კმარა თვით უძველესი სამწერლო ძეგლებიც კი: ხალხური მეტყველების მაგივრობას ეს ძეგლები ვერ გასწევენ, ენის სიმდიდრესა და ფორმათა მრავალფეროვნებას, ენის ფუნქციებს მთელი სისრულით სამწერლო ძეგლები ვერ ასახავენ; მეტი მნიშვნელობა აქვს უმწერლო ენებს, რომლის თავისუფალ განვითარებას არ ზღუდავს ლიტერატურა, დიალექტები, რომლებიც ურთიერთობის ზეპირ საშუალებას წარმოადგენენ, წარმოიქმნებიან და ვითარდებიან ისე, რომ ინდივიდუალური გონის გავლენას თითქმის არ განიცდიან და ამიტომ ისინი შეიძლება განვიხილოთ როგორც ყველაზე წმინდა გამონახულება საზოგადოებრივი გონისა, რომელიც საკუთარი გარდუვალი ბუნებრივი კანონების მიხედვით ცხოვრობს. ქართველ ტომთა — ლაზების, მეგრელების, სვანების — უმწერლო იდიომები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენათმეცნიერებისათვის — აქ ენა ცოცხლობს მის ბუნებრივს მდგომარეობაში — მუდმივი წვის პროცესში. და ამ ენებს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, თუ გვსურს შევიმუშავოთ ნამდვილი წარმოდგენა ქართული ენის ზრდასა და განვითარების შესახებ, რაც არ შეფერხებულა ლიტერატურის ჩარევით (ალ. ცაგარელი, იქვე. გვ. 10). ზემოთქმულში ნათლად იგრძნობა ავგ. შლაიხერის კონცეფცია: ფილოლოგიის საპირისპიროდ უმწერლო ენის მნიშვნელობის გახაზვა, უმწერლო ენის განვითარება, როგორც შეუზღუდავი (ლიტერატურით) ბუნებრივი განვითარება. მესამოცე წლების ეს კონცეფცია ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისა ალ. ცაგარლისთვის ამოსავალია ქართული ენის შესწავლისას, ქართული ენის სხვა ენებთან ურთიერთობის ძიებისას.

ამ ზოგად სახელმძღვანელო პრინციპს ალ. ცაგარელი თითქმის ყველა საენათმეცნიერო შრომაში იმეორებს მეტ-ნაკლები დეტალიზაციით. ასე, მაგალ. „საგრამატიკო ლიტერატურის მიმოხილვის“ წინასიტყვაობაში ნათქვამია: თანამედროვე ენათმეცნიერების მკაცრ მოთხოვნათა მიხედვით რომ ვიკითხოთ: რა მეცნიერული შედეგები მოიტანა ქართული ენის დამუშავებამ ქართველ და უცხოელ გრამატიკოსთა მიერ ორ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში? გაირკვა თუ არა მისი შინაგანი

მექანიზმის, მისი გრამატიკული აგებულების ძირითადი კანონები? ენათა რა ოჯახს უკავშირდება იგი წარმოშობით. უნდა აღვიაროთ, რომ ამ კითხვაზე დამაკმაყოფილებელ პასუხს არსებული საგრამატიკო ლიტერატურა არ იძლევა... ქართულის საკითხი დღემდე ვერ გაირკვა იმიტომ, რომ: 1. შესწავლის საგანი ძნელია; 2. მასალა, რომელსაც მკვლევრები იყენებდნენ, უკმარი იყო და 3. კვლევის მეთოდი, სისტემა არ იყო დამაკმაყოფილებელი; ქართული ენა, რომელსაც მრავალი თავისებურება ახასიათებს, უხსოვარი დროიდან განიცდის მეზობელ ხალხთა ენების ძლიერ კულტურულსა და ლიტერატურულ გავლენას; ეს იყო სხვადასხვა ოჯახის ენები (ინდო-ევროპული, სემიტური, თურანული); ამის შედეგად ქართულმა იმდენი უცხო ლექსიკური და თვით გრამატიკული ელემენტიც კი შეითვისა, მისი გრამატიკული სახე იმდენად დამახინჯდა, რომ მკვლევარს დიდი შრომა სჭირდება, რომ გამოიყოს საკუთარი ნასესხებისაგან.

„მაშასადამე, — წერს ალ. ცაგარელი, — მკვლევრის პირველი ამოცანაა — შეეცადოს ენის ტიპის აღდგენას, რაც შეიძლება სრული და მთლიანი სახით, გაწმინდოს იგი, რამდენადაც კი შეიძლება, უცხოური მინარევისაგან. ამისათვის კი, რა თქმა უნდა, არა კმარა მხოლოდ ქართული ენა, საჭიროა გ ა ვ ა ფ ა რ თ ო ვ ო თ კ ვ ლ ე ვ ი ს ა რ ე, მივაქციოთ ყურადღება იბერიული ფუძე-ენის (**Grundsprache**) სხვა დიალექტებსაც (მეგრულს, ლაზურს, სვანურს) და კილოკავებს (მაგალ., გურულს, თუშურს, ფშაურს, ხევსურულს), რომლებშიაც ხშირად ვხვდებით ენის ისეთ უძველეს ფორმებსა და თავისებურებებს, რაც ქართულს დაკარგული აქვს“ (ალ. ცაგარელი: „საგრამატიკო ლიტერატურის მიმოხილვა“, გვ. VIII-IX). „მეგრულ ეტიუდებში“ ალ. ცაგარელს მოჰყავს „მორფოლოგიის შედარებითი მიმოხილვიდან“ და „საგრამატიკო ლიტერატურის მიმოხილვიდან“ თავისი საპროგრამო დებულებები და დასძენს: დროთა ვითარებაში ჩემთვის სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება და ჩემ შეგნებაში განმტკიცდა რწმენა, რომ „სრული და ნათელი წარმოდგენა ამ მონათესავე (იბერიული) ენების ხასიათის შესახებ ისევე, როგორც იმ ენის ხასიათის შესახებ, რომელიც მათ უდევს საფუძვლად, შეიძლება მხოლოდ მაშინ შევიმუშაოთ, როცა შედგენილი იქნება ამ ენათა საერთო შედარებითი ლექსიკონი და შედარებითი გრამატიკა, რასაც ბუნებრივად წინ უნდა უსწრებდეს ყოველი ამ ენათაგანის გამოკვლევა ცალ-ცალკე“ (ალ. ცაგარელი: „მეგრული ეტიუდები“, ნაკვ. II, გვ. 11-111, ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**).

ალ. ცაგარელმა კარგად იცის, რომ იბერიული ენები, ქართული კი, სუსტად არის შესწავლილი, კერძოდ, „არაფერია გაკეთებული ფონოლოგიაში, რაიც შეადგენს შედარებითი ენათმეცნიერების ალფასა და ომეგას, და რის გარეშეც შეუძლებელია მეცნიერული შედარება“ („შედარებითი

მიმოხილვა“; გვ. 11, შენიშ. 2), გათვალისწინებული აქვს ისიც, რომ ბგერითი სისტემისა, აგრეთვე მორფოლოგიის მეცნიერულად გამოკვლევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მოიპოვება ისტორიული მასალა, ე. ი. სამწერლო ძეგლები, უპირატესად ძველი ეპოქისა; სადაც ეს არა გვაქვს, საჭიროა გულდასმით შევადართო დიალექტები და კილოკავ-თქმები ერთი და იმავე ძირითადი ენისა: მათშია ჩვეულებრივ გაბნეული მეტყველების ძველის ძველი ფორმები („შედარებითი მიმოხილვა“; გვ. 11, შენიშ. 3).

შედარებითს მიმოხილვას ალ. ცაგარელი იწყებს ნაცვალსახელთა ანალიზით (გვ. 11-12). აქ აღნიშნულია, რომ მესამე პირის ნაცვალსახელს ყველა იბერიულ იდიომში საფუძვლად უდევს ჩვენებითი ნაცვალსახელის ძირი; ეს მოგვაგონებს კავკასიურ ენათა სხვა ჯგუფებში მსგავსსავე მოვლენას; თუშურში (ე. ი. ბაცბურში) ჩვენებითი ნაცვალსახელი იმავე დროს მესამე პირის ნაცვალსახელიც არის (გვ. 12); პირველი პირის ნაცვალსახელს ქართულში, მეგრულში, ლაზურში ირიბ ბრუნვებში სხვა ძირი აქვს (მე — ჩემი)...; მეორე პირს ფუძე არ ეცვლება (შენ — შენი...) ...მრავლობითში სხვა ფუძე გვაქვს (მე — ჩუენ; შენ — თქუენ, იქვე, გვ. 12)... პირთა ნაცვალსახელების ნათესაობითი იმავე დროს კუთვნილებითი ნაცვალსახელებია (გვ. 13)... პირთა და ჩვენებითი ნაცვალსახელები შეკვეცილი სახით შედიან ზმნაში „ექსპონენტებად, როგორც აფიქსები“: I პ.: **გ, ბ, მ** — „მე“, „მა“, „მი“... II პ.: **ქ, ჰ, ხ, გ, ღ** — „შენ“, „სი“... III პ.: **ს, უ, ხ** — „ის“, „პინა“, „პიმ“, „ეჯი“ (სვ. **ჯ** — ქართ. **გ**) „იგი“ ...გვ. 13... ალ. ცაგარელი **-ქ** სუფიქსს მეგრულში (ვორექ „ვარ“, ორექ „ხარ“) მიიჩნევს მეორე პირის ნიშნად (ისევე, როგორც **ჰ**- და **ხ**- პრეფიქსებს)... არა ჩანს, როგორ შეიძლება **გ**- პრეფიქსი დაუკავშირდეს „შენ“, „სი“ ნაცვალსახელებს; ასევე **უ** — ჩვენებითს ნაცვალსახელებს. ჩვენებითი ნაცვალსახელების ძირებად გამოყოფილია **მ, გ, ს** (ნამდვილად **მ** III პირის ნაცვალსახელისაა: მან, მუქ... — **ა. ჩ.**)... **ა, ე, ი** ხმოვანთა დართვით ვიღებთ აქ, მანდ, იქ მყოფის აღმნიშვნელ ჩვენებითს ნაცვალსახელებს (გვ. 13). ლაზურში პირიქითააო: ჰამ „ის“, ჰი-ინ „ეს“ (შეცთობაა; უნდა იყოს: ჰამ „ეს“, ჰიმ „ის“ — **ა. ჩ.**)... ქართ. „ვინ?“, ლაზ. „მი?“ სწორად არის დაკავშირებული. ქართ. „რა“ და ლაზ. „მუ-ია“ სხვადასხვა ძირისაა; სწორად არის „რა“- ნაცვალსახელი გამოვლენილი რომელ - ნაცვალსახელის შედგენილობაში (გვ. 13)... ენათმეცნიერებისათვის, — წერს ალ. ცაგარელი, — განსაკუთრებით საინტერესოა ქართული ზმნა, თავისებური წარმოების უცნაურობათა და ნებისმიერ ფორმათა გამო რომ არავითარ გრამატიკულ წესებსა და კანონებს არ ექვემდებარებაო (გვ. 14).

ნაცვალსახელოვანი ელემენტები — პრეფიქსები, ინფიქსები, სუფიქსები — ისე შეზრდია ზმნის ფუძესა და ძირს, რომ ენათმეცნიერის ანატომიური დანა ხშირად ჩლუნგდება, მაგრამ შედარებითს ანალიზს აქაც შე-

აქვს სინათლე და საშუალებას აძლევს ენათმეცნიერს, აღადგინოს ნამსხვრევების მიხედვით სიტყვათა მთელი ორგანიზმიო... იქვე, გვ. 14)... ყველა იბერიულ ენაში ზმნას საფუძვლად უდევს ერთმარცვლოვანი ძირი; თუ მეტი მარცვალი ჩანს, ეს ან ძირის გამეორების შედეგია ანდა ფუძის საწარმოებელი ელემენტის ძირთან შეზრდისა (იქვე, გვ. 14)... ძირი შედგება ერთი თანხმოვნისაგან, ზოგჯერ — ორისაგან, მას ერთვის ხმოვანი ანდა ნახევარ-ხმოვანი. ძირი შეიძლება ერთი ხმოვნისაგან შედგებოდეს, უკეთ, **spiritus lenis** და ხმოვნისაგან (იქვე, გვ. 14)... იბერიულ ენათა ზმნაში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე შემადგენელი ნაწილი: ფუძე, პრეფიქსები, ფლექსიები, შემაერთებელი ხმოვანი, ზმნური დაბოლოება, რიცხვის, პირისა და დროის ნიშნები; მაგალ.; ლაზ. მე-ბ-კოთ-ა-რე „მოვჭრი“: **მე** წინსართია, **ბ**-**ლ** პ. ნიშანი, **კოთ** — ძირი, **ა** — შემაერთებელი ხმოვანი¹, **-რე** — დროის დაბოლოება (იქვე, გვ. 15)... მეგრულში ზმნა შემოგვენახა უფრო სრულად, სიმდიდრით ქართულს თითქმის არ ჩამოუვარდება (იქვე) ...ერთი და იგივე ზმნა ფორმის საწარმოებელი ელემენტების მეშვეობით შეიძლება იყოს პირდაპირი (**verba directa**), და არაპირდაპირი (**verba indirecta**), მასთან პირდაპირ ზმნას აქვს რამდენიმე არაპირდაპირი დრო (ინდირექტა ტემპორა, გვ. 15). ე. ი. ერთსა და იმავე ზმნას, როგორც ახლა ვიტყვით, სუბიექტური წყობაც შეიძლება ჰქონდეს (**ვაქებ-ტიპი**) და ობიექტური (**მაქებს-ტიპი**) და ამ უკანასკნელი ტიპის დროებიც (**მქია...**). ამას მოსდევს სქემა პირისა და რიცხვის ნიშანთა; აქ ალ. ცაგარელი განასხვავებს „სუბიექტურ ფორმებს“: I პ. — ვ, ვ-ი; II პ. — **ხ, ჰ**, (ქ)-ი; III პ. — ს, ი; „დამოკიდებულ ფორმებს“² (ე. ი. „ობიექტურ ფორმებს“): I პ. — **მე, მი**; II პ. — **გე, გი**; III პ. ე- (=უ), უ (=უ-ი)... მრ. რ.: I პ. გ-ე; გვ-ი (=გუ)... **-თ; -ან, -ხ** (=თ) (იქვე, გვ. 15)... **მ, ვ**-, წერს ალ. ცაგარელი, როგორც უკვე ითქვა, იგივეა, რაც „მე“. ამ პრეფიქსების ბგერითი სხვაობა გამოწვეულია სხვადასხვა მნიშვნელობით, რომლითაც ისინი იხმარებიან: ხან სუბიექტური ფორმაა (**ვ**-), ხან დამოკიდებული (**მ**-). მრ. I პ. **გუ**- უკავშირდება ნაცვალსახელს ჩვენ- იქნებ გ- იყოს... თავდაპირველი, **ჩ** — გვიანდელი... **ხ**- და **გ**- II პ. ნიშნები ევარდება ქართ. „შე ნ“; აქედან „თქვენ“... მესამე პირის ნიშანი **-ხ** დაიყვანება ცნობილ ნაცვალსახელურ ძირთან (ის)... ზმნის მრავლობითის **-თ** და **-ან** იგივეა, რაც სახელთა ბრუნებისას (განსაკუთრებით ნაცვალსახელთა) მრავლობითში ხმარებული **-თ** და **-ნი** (იქვე, გვ. 15)... მეორე პირის სუბიექტური ნიშანი ბევრ შემთხვევაში უკვალოდ დაკარგულია; ალ. ცაგარლის აზრით, ეს „ადვილად აიხსნება ამ პირის ხშირი ხმარებით ჩვეულებრივს საუბარში“...(!). ეს ეხება ქართულის გარდა მონათესავე იდიომებს (გვ. 15)... მეგრულსა და ლაზურში ამ დანაკლისს (ე. ი.

¹ ნამდვილად **-ა** კავშირებითი მეორის სუფიქსია.

² „Зависимые формы“.

სუბიექტის დაკარგულ ნიშანს) მეორე პირი ინაზღაურებს **-ქ** სუფიქსით, რაიც ანალოგიით მეორე პირიდან პირველშიც გადავიდა (ეს **ქ** ნიშნავს „თვითონ“: მეგრ. ი-ბგარ-**ქ**, „ვტირი“, იგარ-**ქ** „ტირი“... სვ. ხ-ვ-აფმთი „ვაქებ“, ხ-აფმთი „აქებ“ (გვ. 16)... მეგრულში **ვ**-ს გარდა პირის ნიშნად **ბ**, **ბ**, **ფ**-ც შეიძლება გვქონდეს; ეს ნიშნები „თვით ძირშიც“ შეიძლება მოექცეს (გვ. 16)... სვანურშიც **ვლუ** | პირის ნიშანს აქვს ამოსავლად... სადაც **ხ**- გვაქვს | პირში, იგი მეორესაც აღმოაჩნდება (გვ. 18)... აწმყო ს ნიშანია **-ალ** და მისი შეკვეცილი სახეები: **-ე**, **-ბ**, **-ბა**, **-გ**, **-მ**... ფრ. მიულერი, შენიშნავს ალ. ცაგარელი, ვ-ალ- ზმნაში **ლ ← რ** და, ამრიგად, **ვალ**-ზმნაში მეშველ ზმნას (ვ-არ) პოულობს... ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს „მიყვარ-ხარ“ ტიპის წარმოება და ლაზ. აწმყო მო-ბ-კოთ-არე „ვჭრი“ (მეშველი -რე-ზმნის მონაწილეობითაო...) ...მაგრამ არა ჩანს, აწმყოს სხვა სუფიქსები (**-ბ**, **-ბა**, **-გ**, **-მ**) როგორ შეიძლება „ყოფ“-მეშველი ზმნის სახესხვაობად მივიჩნიოთ (გვ. 16)... სხვა დროთაგან ალ. ცაგარელი ჩერდება ნამყო უსრულის, ნამყო სრულის (ე. ი. ნამყო ძირითადის), ნამყო წინარე-წარსულისა და მყოფადის წარმოებაზე. ნამყო სრულის ნიშნად უჩვენებს **-ი** და **-ე**-ს: მეგრ. ბ-ჭუხ-ი (უნდა იყოს: ვ-იწუხ-ი-) და ქართ. ვ-იწუხ-ე, გვ. 21... მცდარად არის განმარტებული მყოფადი, როგორც „აწმყოს გადაგვარებული ფორმა ანდა აწმყოს ანალოგიით ნაწარმოები“ (გვ. 22) ...ასევე: მყოფადი თითქოს იწარმოებოდეს ნამყო დროის მიმლეობისა და მეშველი ზმნისაგან (იქვე)... მიმლეობაში **ა**-სა და **ე**-ს თითქოს მოქმედებითი გვარის მნიშვნელობა ჰქონდეს, **ი**-სა და **უ**-ს — ვნებითისა (გვ. 23)... ვნებითის უღვლილება არსებით მომენტებში ემსგავსება მოქმედებითისას... ბგერითი სახით მეტ-ნაკლებად გაირჩევა მოქმედებითისაგან (გვ. 23)... „ბრძანებითი კილო ყველა იბერიულ იდიომში თითქმის ყოველთვის წარმოგვიდგენს ზმნის ფუძეს წმინდა სახით“ (გვ. 23)... ქართულ ენაში მოიპოვება კაუზატივები; გამოხატავს სხვის მეშვეობით შესრულებულ მოქმედებას (ილუსტრაციად ნაჩვენებია ხელოვნური წარმოება: ვაწერინებინებ... გვ. 23)... ორგანულის გარდა ზმნას აღწერითი წარმოებაც აქვს: ლაზ. აწმყო: ბ-ხაშკ-არე „ვთოხნი“ ზმნის ფუძესა და მეშველ ზმნას შეიცავს (ნამდვილად ეს მყოფადია — **ა. ჩ.**); ქართ. მი-ყვარ-ხარ მიმლეობისა და მეშველი ზმნისაგან შედგება (გვ. 23)... ზმნის აღწერითი წარმოება უფრო ხშირია სხვა კავკასიურ ენებშიც (გვ. 24)... იბერიულ იდიომებს არ მოეპოვებათ გრამატიკული სქესები — განსხვავებით ჩრდილო-კავკასიური ენებისაგან, სადაც ოთხი გრამატიკული სქესია გარჩეული (იხ. შიფნერის გამოკვლევები კავკასიურ ენათა შესახებ — გვ. 24).

იბერიულ იდიომებში არ გვხვდება ნაწევარი („ერთი“; „კაცი ერთი“ განუსაზღვრელი ნაწევარი არაა, გვ. 24)... სახელს (არს., ზედსართ., რიცხვ., ნაცვალსახელს) აქვს ფლექსია, ორი რიცხვი და რამდენიმე ბრუნვა (იქვე)... სახელობითს არა აქვს ბრუნვის ნიშანი (?! **ა. ჩ.**)... აკუზატივსაც არა აქვს

საკუთარი ნიშანი, ის სახელობითს ემსგავსება (ე. ი. ნიშანი არა აქვს, მაგრამ ბრუნვა კი არსებობს! — **ა. ჩ.**)... ლაზურში აკუზატივი და სახელობითი ერთნაირია ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებში, თანხმოვანზე დაბოლოებული ფუძე აკუზატივში **-ის** დაირთავს (?! — **ა. ჩ.**)... მეგრულსა და სვანურში აკუზატივი ხან სახელობითს ემსგავსება, ხან კიდევ — მიცემითს (?! — **ა. ჩ.** გვ. 24)... ნათესაობითმა ქართულში შეიძლება დაირთოს სხვა ბრუნვის ნიშანი (გუამისა ქრისტე-სი-სა...); ნათესაობითი მსაზღვრელის როლში გამოდის (გვ. 25)... მოქმედებითის **-ითა** და მიმართულებითის **-ად** „წინდებულისა ნაწილაკად“ (!?)¹ აქვს ალ. ცაგარელს მიჩნეული (მასთან **-ად** ნიშნის ბრუნვა იწოდება მოქმედებით მეორედ“, ისევე, როგორც დ. ჩუბინაშვილს ჰქონდა, გვ. 25)... მრავლობითის ნიშანში ან ბაგისმიერთა წყება გვაქვს (**ბ, ბ, ფ**) ანდა ნარნარა რიგისა (**ნ, რ, ლ**); პირველი ახალ ქართულს, მეგრულსა და ლაზურს ახასიათებს; მასთან **ნ, ლ**-ც იხმარება... სვანურის ბაგისმიერი წყება სულ არა აქვს: **რ** და **ლ**-ნიშნის მრავლობითი გვაქვს. ქართული ორივე რიგის მაჩვენებლებს ხმარობს, **-ბი**-ს წინ ხმოვანი უძღვის... **ნი** უპირატესად ძველს ქართულში გვაქვს (გვ. 26-27)... ქართულში შეიძლება ორივე ერთად იყოს ხმარებული: **-ებნი** (!) და **ნები** (გვ. 27)... ლაზურსა და მეგრულში ბაგისმიერ ნიშანს წინ ხმოვანი უძღვის... მოცემულია „კაცი“, მეგრ. „კოჩი“, ლაზ. „კოჯი“ (?), სვ. მარეს ბრუნების პარალელური სქემა (გვ. 28)... ზედსართავები იბრუნვის ისევე, როგორც არსებითი სახელი... (გვ. 29)... იბერიული იდიომებიდან მხოლოდ ქართულს მოეპოვება ხარისხის ორგანული წარმოება: ბრძენი — უ-ბრძენისი (გვ. 29)... ოთხზი თანხმოვნის თავყრილობა (-ბრძენ-), — შენიშნავს ალ. ცაგარელი, — ქართულისა და მონათესავე იდიომებისათვის ჩვეულებრივია, მაგრამ სრულიად უცხოა ინდო-ევროპულისა და ურალურ-ალთაური ენებისათვის (გვ. 29, შნშ. 17)... ხარისხის საწარმოებელი **უ**-ს გარდა ქართულს მოეპოვება **უ**-პრეფიქსი ზმნებში (III პ. ნაცვალსახელის ექსპონენტი) და უქონლობის **უ**- (*u privativum*), რომელიც ქართულში პრეფიქსია, სვანურში — სუფიქსი (თეთრ-ულ „უ-ფულო“...). ხარისხის საწარმოებელი **უ** უნდა იყოს იგივე, რაც უქონლობის **უ** (შდრ. რუს. *бесподобный*), გვ. 30... პრეფიქსული წარმოება ფართოდ არის გამოყენებული ქართულში: მე-ორ-ე... მე-ბოსტენ... მე-პურე... *nomina vasis et loci*: სა-ღვინე, სა-ქათმე, სა-თათრეთი... (გვ. 30). თავისებურია ნაცვალსახელთა წყობა: თვლის ათობითი სისტემა (!) გვაქვს, მაგრამ ლუწი ათეულები იწარმოება ოცის გამრავლებით ორზე, სამზე, ოთხზე... (გვ. 31). მოცემულია რიცხვითი სახელების ტაბულა... ქართული ენის ეტიმოლოგიური ფორმები უფრო რთული და მრავალფეროვანია, ვინემ სხვა იბერიული იდიომებისა, მაგრამ სი-

¹ „Предложные приставки“.

ტყვაწარმოების ფორმათა სირთულე და სიმდიდრე არ გვაძლევს უფლებას, ქართული მივიჩნიოთ სხვა იდიომების მამად, ქართული მათი ძმაა, შესაძლოა — უფროსი (გვ. 32)...

პრეფიქსული წარმოება ყველა იბერიულ ენაში გავრცელებულია სუფიქსური წარმოების გვერდით (პირთა ნაცვალსახელები ზმნის უღვლილებაში, ხარისხის წარმოება, რიგითი რიცხვითი სახელები, მოქმედი სახელები, განყენებული სახელები პრეფიქსებს ავლენს). „სიტყვაწარმოების ეს პრინციპი იბერიულ ენათა მთელს ჯგუფში ცხადყოფს, რომ იბერიული ენები არ არიან არც ინდო-ევროპული და არც თურანული წარმოშობისაო“ — ასკვნის ალ. ცაგარელი (გვ. 33). ეს დასკვნა, როგორც ვნახეთ, ფრ. მიულერს ჰქონდა გამოთქმული 1864 წელს, ოღონდ პრეფიქსაცია, საერთოდ, კავკასიური ენებისათვის მიაჩნდა ნიშანდობლივად; დასკვნაც, საერთოდ კავკასიური ენების შესახებ კეთდებოდა: პრეფიქსაცია გვაქვს სემიტურს ენებსა და აფრიკის ენებში, მაგრამ არც ინდო-ევროპულსა და არც თურანულს ენებს არ ახასიათებს; კავკასიური ენები ამიტომ არ შეიძლება არც ინდო-ევროპულ ენებს და არც თურანულს უკავშირდებოდესო... ალ. ცაგარელი ამ საბუთს იმეორებს...

ზემოთ დაწვრილებით გადმოვეცით ალ. ცაგარლის შრომის შინაარსი: ეს პირველი ცდაა ქართველურ ენათა მორფოლოგიის შედარებითი შესწავლისა... ზმნის უღვლილება, სახელის ბრუნება, სიტყვაწარმოება ალ. ცაგარელს განხილული აქვს თანამიმდევრულად და რიგი საინტერესო დაკვირვებაც აქვს გამოთქმული, მეტადრე ზმნის უღვლილებისა, კერძოდ, პირთა ნიშნების შესახებ („სუბიექტის ფორმები“, „დამოკიდებული ფორმები“, ე. ი. ობიექტის ფორმები... პირთა ნიშნები და პირის ნაცვალსახელები...), მაგრამ ავტორი წყაროებზეა დამოკიდებული (მ. ბროსე და დ. ჩუბინაშვილი — ქართულისათვის, გ. როზენი — ლაზურის, მეგრულისა და სვანურისათვის), და წყაროთა უკმარობა, ფაქტების მცდარი ინტერპრეტაცია ალ. ცაგარლის მსჯელობაშიც გადმოდის... ფონეტიკური შესატყვისობანიც გვაკლია... საყურადღებოა ავტორის ზოგად-ენათმეცნიერული პოზიცია: მას ნათლად აქვს წარმოდგენილი სამწერლო დოკუმენტაციის ღირებულება (ენის ისტორიისათვის), ქართული დიალექტებისა და ქართველური იდიომების ჩვენებათა მნიშვნელობა შედარებითი გრამატიკისა და ენის ისტორიის თვალსაზრისით.

ალ. ცაგარელმა პირველსავე შრომაში გარკვეული პროგრამა წამოაყენა: მასში მოცემულია მისი საენათმეცნიერო მრწამსი... თავის შემდგომს მუშაობაში ალ. ცაგარელი შეეცადა უმწერლო იბერიული იდიომები შეესწავლა. ყველაზე ცოტა მასალა მეგრულისა და სვანურის შესახებ მოიპოვებოდა. ალ. ცაგარელმა იმოგზაურა სამეგრელოში სამგზის: 1876 წელს ზაფხულში (ცოტა ხნით), 1877 წელს 1 მაისიდან 1 სექტემბრამდე (4 თვე

დაყო) და 1878 წელს 1 მაისიდან 1879 წ. იანვრამდე (8 თვე!), ჩაიწერა საკმაო რაოდენობის ტექსტები (უპირატესად საჩიხუოსა და სალიპარტიანოში, ე. ი. შუა და ჩრდილო-აღმოსავლეთ სამეგრელოში). საჩიხუო: მდ. ოჩხომურსა და მდ. ცივს შორის; სოფლები: საჯიჯაა, ხორში, საგვასალიო, სადანაიო, ქვლონი, ზენი, ზუბი, საგუგუნაა, საჩიხუო... სალიპარტიანო — მდ. ტეხურის ზედა წელზე, — სოფლები: წაჩხურა, სარხინო, თამოკო, თარგამული, გურძემი, კიწია, ტალერი...¹

1880 წელს გამოიცა „მეგრული ეტიუდები“, ნაკვ. 1: ტექსტები და ნაკვ. II: „მეგრულის ფონეტიკა“... პირველ ნაკვეთში ალ. ცაგარელი ეხება მეგრულის გავრცელების არეს: კულაში, ჯიხაში — იმერეთში, ლალიძგა — აფხაზეთის, საზღვარზე, და იქნებ — ჩქუთში, სურამში — ლეჩხუმში, კინტრიში — ქობულეთში იმის მაჩვენებელი იყოს, რომ მეგრული წინათ უფრო ვრცელ მიწა-წყალზე ყოფილა გავრცელებულიო (მეგრ. ეტ., I, გვ. IV)...

ტექსტებს (თარგმანითურთ) უჭირავს 97 გვერდი. ჩაწერილია ქართული ასოებით. ყოველ სტრიქონს ქვეშ ლათინური ტრანსკრიფცია (ქართულად ჩაწერილისა) ახლავს... ქვევით თარგმანია მოცემული (რუსულ ენაზე)... ტექსტის ამა თუ იმ სიტყვას საჭიროების შემთხვევაში განმარტებაც ერთვის (მაგალ.: ჭკიდი — სიმინდის პურეული, აცობენ ცხელ ნაცარში, ყველაზე გავრცელებული პურეული საჭმელია სამეგრელოში. არაიშვიათად ნაცარი ზედ დარჩება მჭადზე — იხ. „მეგრ. ეტიუდები“, 1, გვ. 9 ... როკაპი — მეგრულ ზღაპრებში, აგრეთვე ქართულში — დედაბერი დემონური ბუნებისა, ზღაპრული ციხე-კოშკების პატრონი; კუდიანი, ჯადოქარი... ყოველდღიურ სიტყვახმარებაში — უკბილო-გამხდარ ავ დედაბერზეც ითქმის... „მეგრული ეტიუდები“, 1, გვ. 26... ორგია „მხარი“, ხალხური საზომი სიგრძისა: ხელები რომ გავშალოთ ერთი ხელის თითების ბოლოდან მეორე ხელის თითების ბოლომდე... იქვე (ორგია ბერძნულიდან ნასესხები ჩანს — ა. ჩ.)... ქილა — საწყაო მარცვლეულისა 36-40 გივ... იქვე, გვ. 33... კოკა — სითხის საზომი = სამ ბათმანს, 26 ბოთლს ანუ 60 გირვანქას... იქვე, გვ. 37... ჩოჩო-კოჩი, ოჩი-კოჩი „ვაცი კაცი“, ტყის კაცი... იქვე, გვ. 46.

ალ. ცაგარლის მეგრული ტექსტების სახით პირველად არის ჩაწერილი ქართველურ ენათა მასალა საენათმეცნიერო მიზნით... შინაარსის მიხედვით ტექსტები ნაირ-ნაირია: ზღაპრები, ხალხური ლექსები, ანდაზები და ხალხური თქმები შეადგენს ძირითად ნაწილს. ათიოდე გვერდი (გვ. 87-97) ნათარგმნ მასალას უჭირავს (იგავები ოთხთავიდან). „მეგრული ეტიუდების“ მეორე ნაკვეთი მეგრულის ფონეტიკურ დახასიათებას

¹ Ал. Цагарели. Мингрельские этюды, I (1880), гв. III-IV: შემოკლებით: მეგრ. ეტ.

შეიცავს. ესაა პირველი ნაბიჯი იმ პროგრამის განხორციელებაში, რაც ალ. ცაგარელმა დასახა. ამის შესახებ ალ. ცაგარელი შემდეგ წერს: „მეგრული ეტიუდების“ ეს ორი ნაკვეთი დასაწყისია იმ შრომისა, რომლის შესრულებაც უნდა წარმოებდეს იმ პროგრამის მიხედვით, რაც ზოგადად ზევით წარმოვადგინეთ (იხ. ზევით, გვ. 3). რასაკვირველია, შეუძლებელია გარკვევით ვთქვათ, რამდენ ძალას, შრომასა და დროს მოითხოვს ამ პროგრამის შესრულება, მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ესაა ერთადერთი მეცნიერული რაციონალური გზა, რომელსაც შეუძლია ადრე თუ გვიან მიგვიყვანოს დადებით შედეგამდე, უცილობელ დასკვნამდე („მეგრ. ეტიუდ.“, II, გვ. III).

მეტია იმაზე ლაპარაკი, რამდენად მნიშვნელოვანია ბგერითი სისტემის დაწვრილებითი და ყოველმხრივი შესწავლა: ბგერითი კანონების ცოდნის გარეშე შეუძლებელია მორფოლოგიისა და სინტაქსის რაციონალურად გაგება და დალაგება, მით უფრო — მონათესავე ენებთან შედარება. მეტოდი, რომელსაც მე მივსდევ მეგრული ბგერითი სისტემის კვლევისას, ზოგადად იგივეა, რაც გამომუშავებულია და რასაც იყენებენ ინდო-ევროპულ ენებში იმ აუცილებელი მოდიფიკაციით, რასაც საკვლევი საგნის თავისებურება იწვევს (იქვე, გვ. V). მეგრულის ფონეტიკის შესწავლისას ლაპარაკიც არ შეიძლება რაიმე მოვლენის აყვანის შესახებ ფუძე-ენის (იბერიული ფუძე-ენის) პირველ სახემდე (ე. ი. არქეტიპამდე), რადგანაც ქართულის ბგერითი სისტემა არ არის დამუშავებული. ამიტომ უნდა დავკვრიბულიყავ მსგავსების ჩვენებასა და ბგერათშესატყვისობას იმ შემთხვევებში, როდესაც ეს იყო ცხადზე უცხადესი. შესადარებლად ვიღებდი ახალი ქართულის ფაქტებს, უპირატესად იმერული კილოდან, როგორც მეგრულთან უფრო ახლოს მყოფიდან. ქართულს, როგორც მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურის მქონე ენას, აშკარა უპირატესობა აქვს შედარებით მეგრულთან, რომელსაც არ ჰქონია არავითარი ლიტერატურა. განზოგადებები, სხვა ენების შესწავლისას ბუნებრივი, იბერიულ ენათა შესწავლისას ნაადრევი იქნებოდა. აქ ცალკე უნდა დამუშავდეს ყოველი ენა, ბგერებით უნდა დავიწყოთ და ლექსიკით დავამთავროთ, ნაცნობიდან უცნობზე გადავიდეთ, კერძოდან ზოგადზე, კონკრეტულიდან განყენებულზე... ამ ენებში, რომლებიც უცილობლად არქაულია, ჩვენ გვაქვს ბგერები, ფორმები და სიტყვები, რომელთაც, როგორც ჩანს, გაუვლია ფონეტიკური და მორფოლოგიური განვითარების ბგერი საფეხური, რის გამოც დამახინჯებულია ანდა დაბნელებული პირვანდელი ტიპი, რომელიც შეიძლება თანდათანობით აღვადგინოთ (იქვე, გვ. V-VI). ამრიგად, რაკი ფაქტების ნიადაგზე დარჩენა მსურდა, ყველა ბგერითს ცვლას ვერ განვიხილავდი, არამედ მხოლოდ უმთავრესსა და ყველაზე ცხადს; ასე, მაგალ., არ შემეძლო ძირეულ ხმოვანთა

არც გაძლიერება (подъем), არც დარბილება სისტემატური ანალიზის საგნად მექცია, რაკი ქართული ფონეტიკა შეუსწავლელი იყო, ძირთა ლექსიკონი არ მოგვეპოვებოდა... ზოგადად -ის დასკვნა მივიღე, რომ ძირეული ხმოვანი მეგრულში შეიძლება იცვალოს სათანადო ხმოვნად აღმავალი და დამავალი ხაზით (გვ. VII)... მახვილის შესახებ მეგრულში გარკვეულ დასკვნებამდე ვერ მივედი... ისე კი მახვილი აქ უფრო საგრძობია, ვინემ ქართულში და ქართულისაგან განსხვავებით უპირატესად უკანასკნელ მარცვალზე (?! — ა. ჩ.) მოდის, რითაც სხვათა შორის, აიხსნება მეგრულში ბოლოკიდური ხმოვნის შენახვაო (გვ. VII).

საკუთრივ ტექსტში, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება, ალ. ცაგარელს განხილული აქვს ხმოვნები (ა, ე, ი, ო, უ), ნახევარხმოვნები (გ, ძ, ჰ), მფშვინავი თანხმოვნები; ყელისმიერნი (ყ, ც, კ, გ, ქ, ღ, ხ), კბილისმიერნი (ტ, დ, თ), ბაგისმიერნი (პ, ბ, ფ, მ), კბილბაგისმიერნი (ვ, ჯ), ნარნარა და ცხვირისმიერნი (ლ, რ, ნ), სასაკბილისმიერნი (ს, ზ, ც, ძ, წ, შ, ჟ, ჩ, ჭ); პირველი ნაწილი (გვ. 1;68) თავდება თანხმოვანთა ჯგუფებით... მეორე ნაწილი (გვ. 69-92) მოგვითხრობს „ზოგადს ფონეტიკურ კანონებზე, რომელთაც ექვემდებარება მეგრულის ბგერები“. ამ თვალსაზრისით ჯერ მსჯელობა ხმოვნებსა და ნახევარხმოვნებს ეხება (ასიმილაცია; გაორმაგება; ხმოვანთა გადასვლა ერთი-მეორეში და თანხმოვნებში; ხმოვანთა და თანხმოვანთა დაკარგვა; თანხმოვანთა თავმოყრის თავიდან აცილების საშუალება; კანონი ადგილის შესახებ, რაც სიტყვაში უჭირავს ხმოვნებს, ნახევარხმოვნებსა და ფშვინვიერებს — § 41); შემდეგ ავტორი თანხმოვნებზე მოგვითხრობს (ასიმილაცია; თანხმოვნის გადასვლა ხმოვანსა და ნახევარხმოვანში; დისიმილაცია; ხმოვნების თავმოყრის, hiatus-ის აცილება; დაკარგვა — § 42); ამას მოსდევს შემდეგი ხუთი პარაგრაფი: კანონი დიფთონგებისა და ტრიფთონგების გადასვლისა დამოუკიდებელ სრულ ბგერებად (§ 43); ცალკეულ ბგერათა ეტიმოლოგიური (ე. ი. მორფოლოგიური) მნიშვნელობა (§ 44); მეგრულისა და ქართულის ბგერათშესატყვისობა (§ 45); სრულხმოვნობის ნიმუშები მეგრულში ქართულთან შედარებით (§ 46); მეგრული ბგერების გამაგრების ნიმუშები ქართულთან შედარებით (§ 47); მეგრულის ბგერითი სისტემის ზოგადი დახასიათება (§ 48).

მეგრულის ბგერათა ტაბულაში, რითაც ფონეტიკა იწყება, ყურადღებას იქცევს ყ, კ, ტ, პ თანხმოვნების, ასევე გ, დ, ბ-ს ერთბაშ (მეყვესულ-მომენტურ) თანხმოვნებად მიჩნევა მაშინ, როდესაც ქ, ღ, ხ, თ, ფ, ს, ც, ჩ, ჭ, შ, ჟ... დაყოვნებულთა წყებაშია მოქცეული.

მკვეთრების (ყ, კ, ტ, პ, წ, ჭ) თავისებულება ალ. ცაგარელს არ შეუნიშნავს; მართალია, კ-ს შესახებ წერს: მაგარი, მეყსეული, ყელისმიერი ბგერაა და გამოითქმის რუს. к-ზე ცოტა უფრო მაგარადაო (§ 13, გვ. 28),

მაგრამ **ტ**-ს შესახებ ნათქვამია: გამოითქმის როგორც რუსული **T**-ო; ასევე: **ბ** გამოითქმის, როგორც რუს. **П** ბგერაო (§ 21, გვ. 40)... ბგერათა ტაბულას მოსდევს ყოველი ბგერის დახასიათება: 1. როგორ გამოითქმის (ე. ი. ფონეტიკური თვისებები; 2. რა შესატყვისი აქვს ქართულში; 3. რა ადგილას გვხვდება სიტყვებში; 4. რა ცვლილებებს განიცდის; 5. რა ეტიმოლოგიური მნიშვნელობა აქვს (ე. ი. რა ფუნქცია ეკისრება მორფოლოგიაში, თუ კი გვევლინება ფორმანტად)... ნიმუშად მოგვყავს ერთი ხმოვნისა და ერთი თანხმოვნის ცაგარლისეული დახასიათება (ერთგვარი შემოკლებით). ხმოვანი **ო** : 1) გამოითქმის, როგორც რუს. **о**; 2) შეესატყვისება ქართ. **ო**-ს, **ა**-ს, **ე**-ს (**ო** : **ო** : ოთხი... მორთი „მოდ“... **ო** : **ა** : რუო — რვა; ვორექ — ვარ; ოშ^ო — ასი; გომორძგუა — გამარჯვება; ჯოდორი — ძაღლი; ქოთომი — ქათამი; ხოჯი — ხარი; **ო** : **ხა** : ოდგიში — სადგისი... **ო** : **ე** : ოზე — ეხო; ღომორთი — ღმერთი... 3) ადგილი სიტყვაში: სიტყვის **თავში** : ოკო „უნდა“; ორქო „ოქრო“; სიტყვის **შიგნით** („შუაში“): თოფური „თაფლი“, კოჩი „კაცი“... სიტყვის **ბოლოს** : დო „და“ (კავშ.); ხოლო „კიდევ“; ოქრო „ოქრო“... 4) ცვლილებები : **ო** იმსგავსებს **ი**-ს (ოჩო-კოჩი ← ოჩი-კოჩი „ტყის კაცი“)... იმსგავსებს **უ**-ს: მო ორე ← მუ ორე „რა არის“... იმსგავსებს **გ**-ს: ქო-მორთე ← ქემორთე „ქვე-მოვიდა“; ო გადადის **ა**-ში: კოჩი „კაცი“ — კათა „კაცთა“... **ო** გადადის **უ**-ში: მუკულულუ ← მუკოულულუ „შემოუარა“, გუუნწყისე ← გოუნწყისე „გაუხსნეს“... გადადის **ი** (подъем) ო : უა: იყუაფუ „იქნება“ ცოფა-საგან... გა-ორკეცება ქო ორე თაში... დაკარგვა: ვარდუო („არ იყო“) ← ვა ორდუო... 5. **ო**-ს ეტიმოლოგიური მნიშვნელობა: ზმნისართის ნიშანია: ჯირ-**ო** „კარგად“... ძალ-**ო** „ძალად“... ჩილ-**ო** „ცოლად“... კითხვის ფორმას გამოხატავს: რენ-**ო** „არის?“ (ძვ. ქართ. არს-**ა**); იარაღს, ადგილს, ჯერარსობას გამოხატავს: **ო**-კალმახე „საკალმახე“... **ო**-რთუმელი „სასთუმალი“... **ო**-გორგუა „საძებნელად“ (§ 4, გვ. 10-13).

ახლა თანხმოვანი რომ ავიღოთ: **ქ** : 1. რბილი ყელისმიერი ბგერა; ეს არაა **კ** + **ჰ**, არამედ დარბილებული **კ** (k spirans)¹... გამოითქმის ორგანოთა ნაკლებ ენერგიული დაძაბულობით, ახასიათებს ხშვა და ამის შედეგად ჰაერნაკადის არასრული შეწყვეტა... 2. **ქ** ბგერა შეესატყვისება ქართულში ბგერებს: **ქ**, **ხ**, **შ**, **შჰ** (?! — **ა. ჩ.**)... მეგრ. **შქ**, **სქ** შეესატყვისება ქართ. **შ**-ს: მეგრ. ქირი, ქვირი — ქართ. ფქვილი... მეგრ. ნოშქერი —

¹ ნ. მარც ქ-ს სპირანტად თვლიდა: ალბათ, ალ. ცაგარლისა არ იყოს, დარბილებული კ არისო(?!).

ქართ. ნახშირი... სქვერი — შველი... უშქური — ვაშლი... 3. **ქ**-ს ადგილი სიტყვაში: თავში: ქოთომი... შიგნით („შუაში“): მუკოქუნალი — ჩასაცმელი... ბოლოში: კოჩქ — კაცმა... 4. ცვლა და დაკარგვა **ქ**-სი: **ქ** არბილებს უ → უ, იმსგავსებს უ-ს (? — **ა. ჩ.**): შქვითი ნაცვლად შქუითი-სა. ...**ქ**-ს წინ **ფ, მ** იცვლება **ნ**-დ (ფქ, მქ → ნქ), **ლ** → **რ**-დ (ლქ → რქ), ჯიმალეფქ → ჯიმალენქ „ძმებმა“... თოლქ → თორქ „თვალმა“... **ქ** იკარგება: მუმა დო დიდაქ ნაცვლად მუმაქ დო დიდაქ „მამა და დედა“ (ეს პროცესი ფონეტიკური არ არის; მერეა — და, ითქმის: დიდა-დო-მუმაქ — **ა. ჩ.**)... 5. **ქ**-ს ფართო გამოყენება აქვს ბრუნება-უღვლილებაში, ზმნისართებში: ბრუნებაში მას აქვს განსაზღვრული ნაწევრის (*articulus definitus*) მნიშვნელობა¹: მუმაქე „მამამ“... **ქ** მომდევნო ხმოვნებითა და ნახევარხმოვნით ზმნაში იხმარება თავში (და ბოლოშიც): ქგვორექე „ქე ვარ“, ქოყოფე „ქე ყოფილა“... ზმნისართშიც გვხვდება, ალბათ, ანალოგიით: ძალამქე ახიოლუ „ძალიან გაუხარდა“ ...ათაქი „აქა“, ექი-ექი „აქა-იქა“... **ქ** ძირეული ხმოვანია I-სა და II პ. ჩვენებითი (უნდა იყოს: კუთვნილებითი) ნაცვალსახელისა: ჩქიმი „ჩემი“, ჩქინი „ჩვენი“... თქვა „თქვენი“, თქვანი „თქვენი“... ბევრგან **ქ** ანალოგიით იხმარება და გარკვეული ფუნქცია არა აქვს... (§ 15, გვ. 31-33).

მეგრულის ფონეტიკაში ალ. ცაგარელი ყველა საკითხს სვამს, რაც არსებითაა ბერის ფონეტიკური დახასიათებისა და გავრცელება-გამოყენების თვალსაზრისით; პირველად აქ არის შესატყვისობის საკითხი დასმული. ოღონდ, შესატყვისობა ალ. ცაგარელს ესმის ფართოდ: დიფერენცირებული ფუძის ჩვენებას ერთვის იდენტური ფუძისა და ზოგჯერ სულ სხვა ფუძის შეპირისპირებით მიღებული დასკვნა; ამიტომაა, რომ, ვთქვათ, მეგრ. **ჩ** ქართ. **ჩ, ც** და **ძ**-ს შესატყვისად აქვს მიჩნეული: კოჩი კაცი-ს გვერდით მოცემულია: ჩიტი — ჩიტი, ჩხუ — ძროხა (§ 37, გვ. 63)... ნამდვილად, შესატყვისობა მხოლოდ **ჩ : ც**-ს ფარდობას ეხება (ჩხუ „ძროხას“ ნიშნავს, მაგრამ სულ სხვა ძირია: ჩხუ ← ქ ჩხოუ: ქართ. ცხოველ/არ...).

ცალკე აქვს ალ. ცაგარელს განხილული თანხმომვანთა ჯგუფები (ორი, სამი, ოთხი თანხმომვანისაგან შემდგარი): ბკ, ბჩ, ბრდ, ბსკ, ბთქგ... ნწყყ... ...რძგვ... ფშქგ... (§ 40, გვ. 67-68), ოღონდ ამ კომპლექსებში არაა გარჩეული ძირეული და ფორმანტისეული ელემენტები.

შრომის მეორე ნაწილში ალ. ცაგარელი იძლევა შეჯამებას: „ზოგადი ფონეტიკური კანონები, რომელთაც ექვემდებარება მეგრულის ბგერები“ (§§ 41-48, გვ. 69-92); ჯერ განხილულია „ხმოვნები და ნახევარხმოვნები“ — მათი ასიმილაცია, გაორკეცება, გადასვლა-შენაცვლება, დაკარგვა, თანხმომვანთა შეყრის თავიდან აცილება... ამ ნაწილში საინტერესოა მეგრულში

¹ მოთხრობითი ალ. ცაგარელს ისევე ესმის, როგორც მ. ბროსეს.

სიტყვის ძირის ფორმულები: \sqrt{a} (იშვიათად), $\sqrt{a+b}$, $\sqrt{b+a}$, $\sqrt{a+b+b}$, $\sqrt{b+b+a}$, $\sqrt{b+a+b}$, $\sqrt{b+c}$, $\sqrt{b+c+b}$ (§ 41, გვ. 72); აქ: **a** აღნიშნავს ხმოვანს, **b** — თანხმოვანს, **c** — ნახევარხმოვანს; შესაბამისად ძირში გვექნება: მხოლოდ ხმოვანი (იშვიათად); ხმოვანი და თანხმოვანი; თანხმოვანი და ხმოვანი; ხმოვანი და ორი თანხმოვანი; ორი თანხმოვანი და ხმოვანი; თანხმოვანი, ხმოვანი და თანხმოვანი; თანხმოვანი და ნახევარხმოვანი; თანხმოვანი, ნახევარხმოვანი და თანხმოვანი.

აღსანიშნავია, აგრეთვე „კანონი იმ ადგილის შესახებ, რაც უჭირავს სიტყვებში ხმოვანს, ნახევარხმოვანსა და ფშვინეიერებს: სიტყვის თავში გვხვდება: ყველა ხმოვანი და ფშვინეიერი, ნახევარხმოვანთაგან მხოლოდ **ჟ** და ისიც განსაკუთრებულ შემთხვევებში... სიტყვის შიგნით და ბოლოში ყველა ხმოვანი, ნახევარხმოვანი და ფშვინეიერი“ (გვ. 76, ფშვინეიერი **придыхательный** აქ **ჰ** ბერას გულისხმობს — **ა. ჩ.**). ხმოვანთა შემდეგ თანხმოვნების შესახებაა მოთხრობილი: ასიმილაცია, დისიმილაცია, ჰიატუსის თავიდან აცილების საშუალება, დაკარგვა... ცალკეულ თანხმოვანთა ეტიმოლოგიური მნიშვნელობა (ე. ი. მორფოლოგიური ფუნქცია): **შ** — თანხმოვნითი ელემენტი ნათესაობითი ბრუნვის ნიშანში (ორივე რიცხვში); **ხ** — თანხმოვნითი ელემენტი მიცემ. ბრ. (ორივე რიცხვში); **თ** — თანხმოვნ. ელემ. მოქმედ. ბრუნვისა... **ფ** — წინამავალი **ე**-თი და მომდევნო — **ი**-თ... მრავლობითის ნიშანი... **მ** — ნაცვალსახელოვანი პრეფიქსი | პირისა მიმართებითს ფორმაში... **ღ** — ნამყო უსრულის ნიშანი და ა. შ. (§ 44, გვ. 82-84). ცალკე პარაგრაფშია თავმოყრილი დანასკვი ბერათა შესატყვისობის შესახებ; კერძოდ, აქ ნათქვამია: ბერათშესატყვისობა საკმაოდ რთული და ნაირფეროვანია; ძირებსა და სიტყვებში, რომლებიც საერთოა მეგრულისა და ქართულისათვის, არის ბგერები, რომელთაც არავითარი ცვლილება არ განუცდიათ, მაგრამ ზოგს ისეთი ცვლილება განუცდია, რომ ახლა მათი ხნობა შეუძლებელი ხდება და მხოლოდ გულდასმით გამოკვლევა და ამ ენათა ბერათშესატყვისობა იძლევა გასაღებს იმისათვის, რომ გავითვალისწინოთ პირვანდელი, საერთო წარმომავლობა და შედარებითი სიძველე სათანადო ენის ბგერითი სისტემისა (§ 45, გვ. 84-86)...

შემდეგ ჩამოთვლილია ყველა ბგერა (და არა მხოლოდ დიფერენცირებული!) და ნაჩვენებია მათი შესატყვისი... სანიმუშოდ რამდენიმეს მოვიყვანთ: მეგრ. **ა** — ქართ. **ა, ე, ო** : ანთასი — ათასი, მა — მე, მალაზონი — მოლოზანი (გვ. 84)... აქ მხოლოდ მა — მე იძლევა შესატყვისობას, ანთასი იგივე ათასია, ქართულიდან შეთვისებული, ხოლო „მოლოზანი“ ქართულში ბერძნულიდან შეთვისებულია ერთგვარი გადასხვაფერებით (**ლ || ნ, ა || ო**), მეგრულში კი ქართულიდან შესულა და ცვლილება

განუცდია... მეგრ. **ტ** — ქართ. **ტ, ჟ**: ნტერი — მტერი, ფიჟვი — ფილტვი („печень“; უნდა იყოს: легкие) გვ. 85. **ტ** — **ტ** იგივეობას წარმოადგენს, **ჟ** — **ტ** სხვადასხვა ფუძეშია და შესადარებლად არ გამოდგება...

მეგრ. **ფ** — ქართ. **ფ, ბ, მ**: მათა — მეფე; კოჩეფი — კაცები, ლიფში — ნემსი (გვ. 86)... აქაც ერთგან იგივეობაა (მაფა — მეფე); ასეთი ფაქტები ლექსიკონში შეიძლება აღვრიცხოთ კიდევ, მაგრამ **ფ**-ს შესატყვისობაზე ლაპარაკი მეტი იქნებოდა. **ფ** (კოჩეფი) **ბ**-ს სახეცვლაა, ასევე ლიფში — **ფ** ← **ბ** ← **მ**... ერთი სიტყვის, გარჩეული არ არის შესატყვისობა და იმ სხვა პროცესთა შედეგები, რაც მეგრულში სიტყვამ განიცადა...

ცალკე ჩერდება ალ. ცაგარელი ბგერების გამაგრებაზე (отверждение) მეგრულში და აქვე განიხილავს უკანანისმიერ **გ, ქ, კ**-ს განვითარებას (ჯგ:ჯ; ჩქ:ჩ; შკ:შ) § 47, გვ. 88-89. ბოლო (§ 48) პარაგრაფში მოცემულია მეგრულის „ბგერითი სისტემის ზოგადი დახასიათება: მეგრულს ისევე, როგორც ქართულს აქვს ხუთი ხმოვანი (ა, ე, ი, ო, უ); არა აქვს ბუნდოვანი (темный) ხმოვანი; არ გაირჩევა ბუნებით გრძელი და მოკლე ხმოვანი; ქართულისაგან განსხვავებით აქვს ნახევარხმოვანი **ა**... ქართულთან შედარებით უფრო იშვიათია **ჰ**... **ჟ** მეტწილად **ჟ**-თია შეცვლილი... **ქ, ლ, ხ, ბ, ფ, დ, თ, ტ** თითქმის არაფრით გაირჩევა ქართულის შესაბამისი ბგერებისაგან... **ლ** უფრო რბილია, ვინემ ქართულში და ზოგჯერ გადადის **ა**-ში... **ნ**-ს ცხვირისმიერობა ახლავს... განსაკუთრებით აქტიურ როლს ასრულებენ სისინა და შიშინა კბილისმიერნი, რომელთაც „ენის გონმა სიმტკიცისათვის დაუროთო ყელისმიერები (гортанные), რის გამოც მივიღეთ: ჭყ, ჭკ, ჩქ, წკ, წყ, ჯგ, ძგ, სქ, შქ... მაშინ, როდესაც ქართულს სათანადო შემთხვევებში ყელისმიერები არ აქვს (გვ. 90)... ყველა ხმოვანი **ჰ** და ნახევარხმოვანი **ა** ასატანია სიტყვის თავში, შიგნითა და ბოლოს... თანხმოვანი იშვიათია სიტყვის ბოლოში... თანხმონით გათავება სიტყვისა მეგრულს ეუცხოება, მაგრამ თანხმონით დაწყებისადმი მიდრეკილება აქვს მაშინაც, როცა ქართულში ხმოვანია თავში (ენა — მეგრ. ნინა, უბე — მეგრ. ლუბა) გვ. 91... დიფთონგები და ტრიფთონგები არაა იშვიათი... სამი ხმოვანი ზედიზედ და სამი თანხმოვანი ერთად ჩვეულებრივია. ოთხი თანხმოვანიც არაა იშვიათი... ხმოვანი იშვიათად იკარგება, თანხმოვანი არაიშვიათად... მეგრულს ახასიათებს სრულხმოვნობა... (გვ. 91) ...საერთოდ მეგრულსა და ქართულს შორის ისეთივე ურთიერთობაა (ანალოგიაა) როგორიც სანსკრიტსა და ბერძნულს შორის: პირველმა უკეთ შემოგვინახა პირველადი ხმოვნები¹, თანხმოვნები კი დარბილდა..., ბერძნულში პირველადი თანხმოვნებია უკეთ

¹ ამჟამად სხვაგვარად ფიქრობენ: „პირველადი“ ხმოვნები სანსკრიტთან შედარებით უკეთ შემოგვინახა ბერძნულში.

შემონახული; ასევე, ქართული თანხმოვნები მეტ სიძველეს გვიჩვენებენ, ვინემ თანხმოვნები მეგრულში, სამაგიეროდ, მეგრულ ხმოვნებს სიძველის ნიშნები უფრო ატყვიან... (გვ. 91-92).

ალ. ცაგარლის მეგრული ფონეტიკის ნარკვევი ყველა საკითხს სვამს, რაც კი მეტყველების ფონეტიკური დახასიათებისათვის არის საჭირო. პასუხი ხშირად სადაო და უმართებულოც კი ჩანს, მაგრამ საკითხის დაყენების მხრივ ალ. ცაგარლის ეს შრომა სანიმუშოა (სამწუხაროდ, თვით ქართულის მიმართაც, მეგრულსა და ჭანურზე რომ არაფერი ვთქვათ, ეს საკითხები შემდეგაც არ დასმულა; ერთადერთი გამონაკლისი ჰ. ფოტის შრომაა)...

ალ. ცაგარელი მეგრულის გარდა ჭანურისა და სვანურის შესწავლას ცდილა. 1877 და 1878 წ.წ. — წერს ალ. ცაგარელი — ჩემი მოგზაურობის დროს სვანებსა და ლაზებს რომ ვხვდებოდი, ვცდილობდი უფრო ახლოს გავსცნობოდი მათს მეტყველებას, ვცდილობდი შემემოწმებინა და გამესწორებინა ჩემს ხელთ არსებული მასალა ამ ენებისა. 1876 წ. ალ. სტოიანოვმა ქ. პიატიგორსკიდან გამომიგზავნა რამდენიმე სვანური ლექსი (ლათინური ტრანსკრიფციით) ჩაწერილი ნაწილობრივ მის მიერ, ნაწილობრივ კ. დადიშქელიანისა და ენგ. ჯაჭვლიანის (ალბათ: ჯაჭვლიანის — ა. ჩ.) მიერ... ჩემი მოგზაურობის დროს ეს ლექსები თან მქონდა და ვამოწმებდი... სოფ. გორდში სადადიანო სვანეთის მკვიდრთაგან, რომლებიც აქ თავ. მინგრელსკისთან მსახურობდნენ, ვიწერდი რიცხვით სახელებს, სიტყვებსა და ფრაზებს... 1878 წ. სოფ. ჯვარში ვხვდებოდი სვანებს და ზოგი რამ მათგან ჩავიწერე. იმავე 1878 წ. შემოდგომას ქუთაისში სასულიერო სემინარიის II კლ. მოსწავლე ბესარიონ ნიჟარაძესთან, რომელიც სოფ. უმგულიდან იყო, წავიკითხე და გავასწორე მთელი მასალა, დავაზუსტე თარგმანი და გრამატიკული კომენტარები, ჩავიწერე რამდენიმე სვანური ლექსი, რომელთა გამოცემაც განზრახული მაქვს უახლოეს ხანებში.

ლაზურზე ვმუშაობდი 1877 წ. ქუთაისში არქაბელ ლაზ ისმაილ გიმიშ-ოღლისთან (ცურო ყოფილა). ის მოდიოდა ჩემთან, მაწერიებდა ლაზურ რიცხვით სახელებს, სიტყვებს, ფრაზებს და ზოგ რასმე ზმნების შესახებ. მასთან შევამოწმე გ. როზენის ჩაწერილი ლაზური სიტყვები. გარდა ამისა — ნათქვამი აქვს ალ. ცაგარელს — 1878 წ. ორი კვირის განმავლობაში ბათუმში ყოფნისას თურქეთის ლაზისტანისაკენ მიმოგზაურია და შემთხვევა მქონია ლაზების ცოცხალ მეტყველებას გავსცნობოდიო (ალ. ცაგარელი. მეგრ. ეტიუდები, ნაკვ. II, 1880 წ., გვ. VIII, შენიშ.). ალ. ცაგარელს, თუნდაც რომ მხოლოდ ფონეტიკა დაემუშავებინა ქართულისა, სვანურისა და ლაზურისა, როგორაც მან მეგრულის ფონეტიკის ძირითადი საკითხები მეთოდური თანამიმდევრობით განიხილა, ქართველურ

ენათა შესწავლა უკვე გასული საუკუნის მეოთხმოცე წლებში იმ მეცნიერულ დონეზე აღმოჩნდებოდა, რასაც ისტორიულ-მედარებითი ენათმეცნიერების პრინციპები მოითხოვდა და რის შესახებაც ალ. ცაგარელი უკვე თავის პირველ შრომაში („მედარებითი მორფოლოგიის მიმოხილვა“) ასე გარკვევით ლაპარაკობდა. მაგრამ 1880 წლის შემდეგ ალ. ცაგარლის არც ერთი საენათმეცნიერო გამოკვლევა არ გამოსულა. ნათლად დასახული პროგრამის განხორციელებაზე მუშაობა შეწყდა...

ალ. ცაგარლის შრომა ქართული ენის შესახებ („გრამატიკული ლიტერატურის თაობაზე“) საკმაოდ დაწვრილებით განიხილავს ქართული ენის გრამატიკებს (ანტონი კათალიკოსისა და მოკლედ მის მიმდევართა გაიოზისა, ვარლამისა, ი. ჩუბინაშვილისა, სოლ. დოდაშვილისა, ალ. იოსელიანისა, დ. ჩუბინაშვილისა... აგრეთვე უცხოელთა: მაჯოს, ფატერის, მ. ბროსეს გრამატიკულ შრომებს). წიგნის მეორე ნაწილში (გვ. 83-97) თავმოყრილია, რაც ზემოხსენებულ ავტორებს უთქვამთ ქართული ენის ფონეტიკისა და მორფოლოგიის ძირითად საკითხებზე; ფონეტიკაში დაწვრილებით მსჯელობს ნიშნის შესახებ, რაც ანტონიმ შემოიღო თანხმოდანთა თავყრილობის გასათიშავად და გამოთქმის შესამსუბუქებლად, შემდეგ ანტონისეულსა და მაჯოსეულ ბგერათა კლასიფიკაციას ეხება. გვ. 90-ზე მოცემულია ქართული ბგერების ტაბულა, სადაც ყურადღებას იქცევს ჯგუფი არაფშვინივიერ ყრუ თანხმოდანთა **ჟ, კ, ტ, წ, ჰ**... ვიტყოდით, მკვეთრები გამოუყვიაო, რომ **ჩ**-ც ამათ რიგში არ იყოს მოქცეული. მორფოლოგიის მსჯელობის საგანს შეადგენს: სქესი („ნათესავი“), რიცხვი, ბრუნვა, ზედსართავთა ხარისხი და ბრუნება, ზმნის უღვლილება... ანტონისა და მის მიმდევართა გრამატიკების შესახებ, რომლებიც განასხვავებდნენ ქართულში სქესებს — სიტყვათა მნიშვნელობის-და კვალად — ალ. ცაგარელი სამართლიანად შენიშნავს: ყველა ამ გრამატიკას ავიწყდება ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, სახელდობრ, ის, რომ გრამატიკას საქმე აქვს ცნებათა, საგანთა და მოვლენათა არა ნივთიერ ანუ ლოგიკურ მხარესთან, არამედ ფორმალურ, ბგერითს მხარესთან — რამდენად, როგორ და რით მეღვანდება ეს მოვლენები ბგერაში, როცა ვლაპარაკობთ... ერთი სიტყვით, გრამატიკის მიზანია, მაგალ., სქესების შესახებ გაარკვიოს — იცვლება თუ არა ერთი და იგივე სიტყვა... თავში, შიგნით თუ ბოლოში იმისდა მიხედვით, ეხება იგი მამაკაცს, ქალს ანდა საგნებს, მოვლენებსა და ცნებებს, რომელთაც ანალოგიით განუკუთვნებენ ამა თუ იმ სფეროს — აი ეს არის გრამატიკის ამოცანა! თუმცა ეს საანბანო ჭეშმარიტებაა, — დასძენს ალ. ცაგარელი, — დღესაც საქართველოში იხმარება სასკოლო სახელმძღვანელოები, რომლებშიც გადმოცემულია ანტონისეული დაყოფა სქესებად და რომელიც გზა-კვალს უბნევს მოსწავლეებს... მაჯო ადვილად მიხვდა ამას და პირდაპირ ამბობს: ქართულში სქესები არ გაირჩევაო (გვ. 92).

ბრუნვათა შესახებ ალ. ცაგარელი წერს: ორგანული ფორმა და სპეციალური ნიშნები აქვს ნათესაობითს, მიცემითს, მოქმედებითსა და წოდებითს ბრუნვას. სახელობითს აქვს „საერთოდ სახელის ფორმა და დაბოლოება“ (! — **ა. ჩ.**); აკუზატივის ფორმა იგივეა, რაც სახელობითისა¹... მოთხრობითის ფორმა იგივე სახელობითია (? — **ა. ჩ.**), მაინ — ჩვენებით ნაცვალსახელის დართვით... ანტონის დაწყებითი გან-თანდებულიანია: ასეთი ბრუნვები შეიძლება ვაწარმოოთ იმდენი, რამდენიც არის თანდებულის... ეგევე ითქმის ბროსეს **causatif** და **local**-ის შესახებ: მამისა-თჳს, სახსა-შინა (გვ. 93)... ქართული ზმნის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ნაცვალსახელური ელემენტები პრეფიქსებად იხმარება ზმნაში შერწყმულად და აგრეთვე იმაში, რომ იცვლება ხმოვნები, რომლებიც პირის ნიშანსა და ზმნის ფუძეს (თემას) შორის იხმარება: **ვ-წერ, მ-წერ... ვ-ა-წერ, მ-ა-წერ... ვ-ი-წერ, მ-ი-წერ... ვ-უ-წერ... უ-ე-წერ-ებ-ი...** ყველა ეს ნაირსახეობა მოდის: **ვ, მ, ა, ე, ი, უ** ბგერების ცვლიდან. **ვ-** და **მ-** | პ. ნაცვალსახელიდან მოდის; **ვ** პირდაპირი ბრუნვის მნიშვნელობითაა, **მ** — ირიბისა; **ა** ხმოვანი ყოველთვის მოქმედებითის... მნიშვნელობას ანიჭებს ზმნას; **ე** — ზოგჯერ მოქმედებითსა და საშუალებად ვნებითს ისევე, როგორც **ი**; ამ თავისებურებას ყურადღება მიაქციეს ქართველმა გრამატიკოსებმაო (გვ. 95).

უმთავრეს დასკვნად ალ. ცაგარელს ის მიაჩნია, რომ: 1. ზმნის ფორმა გარეგნულად არ განირჩევა სახელის ფორმისაგან; 2. ზმნის ფუძეს თავისთავად (თავისი ფორმით) არა აქვს გარკვეული გვარის მნიშვნელობა... მხოლოდ **ვ, მ, გ, უ** პრეფიქსებისა და ხმოვნების **ა, ე, ი**, სუფ. **ს, ვი (?)**, **ები** დართვით ვიღებთ მოქმედებითი, საშუალებად ვნებითი გვარის მნიშვნელობას; ამგვარად, ყველაზე არსებითი ცვლა ქართული ზმნის ორგანიზმში ხდება არა ზმნის ფორმის ბოლოს, არამედ თავში; ესაა დამახასიათებელი თვისება ქართული ენის მეტად თავისებური გრამატიკული აგებულებისა, საერთოდ, და ზმნისა, კერძოდ (ალ. ცაგარელი: გრამატ. ლიტერატ. მიმოხილვა, გვ. 97).

ამავე შრომაში ალ. ცაგარელმა მიმოიხილა სხვადასხვა შეხედულება ქართული ენის სხვა ენებთან გენეზისური ურთიერთობის შესახებ... ალ. ცაგარელი იმოწმებს თავის წერილს² და მოჰყავს შემდეგი ადგილი იქიდან: „ქართული ენა (ისევე, როგორც სხვა კავკასიური ენები) გენეზისით არ უკავშირდება ინდო-ევროპულ ენებს, მაგრამ მას ვერ მივაკუთვნებთ ურალურ-ალთაურ ენებსაც. იგი, მსგავსად ბასკურისა ევროპაში, საფიქრებელია, არის ნარჩენი ოდესღაც მეტად მრავალრიცხოვანი ენების ჯგუფ-

¹ აქ ალ. ცაგარელი ივიწყებს სქემების შესახებ თქმულს: თუ ფორმა იგივე აქვს, როგორღა არსებობს აკუზატივი?

² Журн. Мин. Народ. Просвещения, 1872, სექტემბერი.

ფისა, რომელიც გავრცელებული იყო კავკასიის ყელზე ჯერ კიდევ მანამ, სანამ მოვიდოდნენ სემიტური, არიული და ურალურ-ალთაური ტომები კავკასიაში და მის სამხრეთით (გვ. 77). ეს აზრი არ ყოფილა ახალი. იგი გამოთქმული აქვს — ამავე რედაქციით — ფრ. მიულერს რვა წლით ადრე, 1864 წელს. ახალი იყო გზა, რომელიც დასახა ალ. ცაგარელმა საკითხის გადასაწყვეტად: ყოველმხრივ შევისწავლოთ ქართული ენა, უმწერლო ქართველური იდიომები (ჭანური, მეგრული, სვანური), ქართული ენის კილოკავ-თქმები, აღვადგინოთ ქართულის ლინგვისტური ტიპი, და ეს ტიპი შევუდაროთ სხვა ენებს. ერთი სიტყვით, შესადარებლად ავილოთ არა თანამედროვე სახე ქართული ენისა (ანდა ძველი ქართულის ძეგლებში წარმოდგენილი სახეობა), არამედ ისტორიულ-შედარებითი ანალიზის შედეგად აღდგენილი არქეტიპი. ასე ნათლად დახასიათდა არსებული ვითარება, დაისახა გარკვეული პროგრამა და ამ პროგრამის ავტორი შეუდგა მეთოდური თანამიმდევრობით სამეცნიერო-კვლევით მუშაობას პროგრამის განსახორციელებლად. პროგრამა ზოგად მეთოდოლოგიურ პრინციპებს ემყარებოდა, და ეს იყო ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება, ინდო-ევროპულ ენათა კვლევა-ძიების პრაქტიკაზე დაფუძნებული. ალ. ცაგარლის სახით დასაბამი მიეცა ქართულისა და სხვა ქართველურ ენათა პოზიტიურ კვლევას ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების პრინციპებზე დაყრდნობითა და სათანადო მეთოდიკის გამოყენებით. ეს მუშაობა პეტერბურგის უნივერსიტეტში დაიწყო, ქართული ენის კათედრაზე.

§ 30. ნიკო მარის იაფეტური თეორია და იბერიულ-კავკასიური ენები

ალ. ცაგარლისათვის ამოსავალი იყო ფრ. მიულერის დებულება: კავკასიური (და მათ შორის ქართველური) ენები წარმოშობით არ უკავშირდება არც ერთს ამჟამად ცნობილ ენათ-ოჯახსაო. ალ. ცაგარელი მიზნად ისახავდა ქართული ენის არქეტიპი აღდგენა; მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვეძიოთ სხვა ენათა ოჯახებთან ქართულის (მისი ისტორიული ძველი სახის) ურთიერთობაო. ნიკო მარმა დაიწყო ამის საწინააღმდეგოდ დებულების წამოყენებით: ქართული ენა სემიტური ენების მონათესავეაო. ქართულის ნათესაობის ვარაუდი სემიტურ ენებთან დაედო საფუძვლად ნიკო მარის იაფეტურ თეორიას. ამ ვარაუდთან დაკავშირებით გაიშალა დიდი მუშაობა ჯერ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე, შემდეგ — პარალელურად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში. ქართველოლოგიური მუშაობის განვითარებამ პეტერბურგში უმაღლეს დონეს მიაღწია ნიკო მარის იაფეტური თეორიის ევოლუციის გარკვეულ პერიოდში.

ნიკო მარი დაიბადა 1864 წელს ქ. ქუთაისში¹. მამა შოტლანდიელი იყო, განათლებით ბუნებისმეტყველი; დედა — ქართველი (გურული) იყო. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც ბრწყინვალედ დაამთავრა 1884 წ.; სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე, სადაც ერთდროულად სწავლობდა სამი განხრით: სომხურისა და ქართული ფილოლოგიის, არაბულ-თურქულისა და სემიტური ენებისა (ნ. მარი, ავტობიოგრ., რჩ. შრ., I, გვ. 9). ქართულს ისმენდა ალ. ცაგარელთან, სომხურს — პ. პატკანოვთან, არაბულს — ვიქტ. როზენთან, რომელიც წარმართავდა ნ. მარის ფილოლოგიურ წვრთნას და დიდ მონაწილეობას იღებდა მის ბედში.² უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1889 წ. პროფ. პ. პატკანოვის წინადადებით ნ. მარი დატოვებული იქნა სომხურ ენასა და ლიტერატურაში. 1891 წლიდან უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტია. 1894 წ. მიავლინეს უცხოეთში — სტრასბურგის უნივერსიტეტში უსმენდა სემიტოლოგ ნელდეკეს, სომხურში — ჰიუბშმანს. 1898 წ. ვ. როზენის წყალობით შესაძლებლობა მიეცა, მიეღო მონაწილეობა აკადემიის მიერ მოწყობილ ექსპედიციაში (კონდაკოვის ხელმძღვანელობით) და ათონის ქართული ხელნაწერები აღწერა. 1902 წ. ივ. ჯავახიშვილთან და ბიზანტინისტ ა. ვასილიევთან ერთად იმოგზაურა სინას მთასა და იერუსალიმს იქაურ ქართულ ხელნაწერთა აღწერის მიზნით (კერძოდ, თავის თეორიასთან დაკავშირებით აინტერესებდა 864 წლის სინური ხელნაწერი)... მაგრამ ამ დროისათვის ნ. მარი უკვე დამოუკიდებელი მუშაკია უნივერსიტეტისა: 1899 წ. მან დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია³, ხოლო 1901 წ. — სადოქტორო დისერტაცია⁴. 1900 წლიდან ნ. მარი უნივერსიტეტის ექსტრაორდინარული პროფესორია (მიხანკოვა, გვ. 94), სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ საშუალება ეძლევა გაშალოს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-საორგანიზაციო მუ-

¹ ნ. მარის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ცნობები ამოღებული გვაქვს ნ. მარი ავტობიოგრაფიიდან (რჩ. შრ., ტ. I, გვ. 6-13) და ვ. მიხანკოვას წიგნიდან: ნ. ი. მარი, 1948 (რუს. ენ.).

² თუმცა ქართულში ალ. ცაგარელი ხელმძღვანელობდა, სომხურში — პ. პატკანოვი, ნ. მარი თავის მასწავლებლად ვ. როზენს თვლიდა. ვ. როზენი ცდას არ აკლებდა, რომ ნ. მარს მიეღო საფუძვლიანი ფილოლოგიური განათლება, მაგრამ არ მოსწონდა ნ. მარის გატაცება ენათმეცნიერული საკითხებით (ვ. მიხანკოვა, გვ. 25, 27).

³ „Сборник притч Вардана. Материалы для истории средневековой армянской литературы, ч. I. Исследование, СПб, 1899, XI + 594 გვ. რამდენიმე წლით ადრე, 1894 წ., ნ. მარმა გამოსცა ამ შრომის მეორე და მესამე ნაწილები: Сборник притч Вардана. II. Текст; III. Приложения (ეჩმიაძინის 10 ხელნაწერის აღწერილობა...), XVI + 344 და X + 203 გვ.

⁴ Ипполит, Толкование Песни Песней... X ს. ქართული ტექსტი, სომხურიდან თარგმნილი — გამოკვლევა და რუსული თარგმანი, 1901 წ., 6 გვ. + CXIV + 32.

შაობა (იქვე, 101) ჯერ უნივერსიტეტში, სადაც მას 1911 წ. აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დეკანად ირჩევენ, შემდეგ — აკადემიაში, სადაც იგი აღიუნქტად იყო არჩეული 1909 წ. (ვ. როზენის გარდაცვალების შემდეგ), ექსტრაორდინარულ აკადემიკოსად — 14. I. 1912 წ., ორდინარულ აკადემიკოსად — 1. VIII. 1912... რიგი არქეოლოგიური ექსპედიცია სომხეთში, სადაც იგი, როგორც სპეციალისტი არქეოლოგი, აწარმოებდა გათხრებს (ნაქალაქარ ანისში, აგრეთვე გარნისსა და დვინში), რეგულარული საენათმეცნიერო ექსპედიციები თურქეთის ჭანეთში (1909 წ.), სვანეთში (1911, 1912 წწ.), აფხაზეთში (1912 წ...), დაღესტანში (1916 წ.), საფრანგეთის ბასკებთან (1927 წ.), ჩუვაშებთან — ვოლგაზე; თურქეთსა და საბერძნეთში (1932 წ.) და სხვ. და სხვ. ნ. მარის დაუცხრომელი მუშაობის ერთ-ერთი მაჩვენებელია.

ნ. მარმა 1900 წ. პეტერბურგის უნივერსიტეტში დააარსა სერია „ტიქსტები და გამოკვლევანი სომხურ-ქართულ ფილოლოგიაში“, სადაც თვითონ გამოაქვეყნა (ფილოლოგიის მოთხოვნილებათა შესაბამისად) არა ერთი მნიშვნელოვანი ძველი ძველი ქართულისა და ძველი სომხური ენისა... აკადემიაში 1909 წ. დააარსა სერია „მასალები იაფეტურ ენათმეცნიერებაში“, სადაც მეტწილად მისი და მისი მოწაფეების შრომები ქვეყნდებოდა... 1922 წ. საფუძველი ჩაუყარა „იაფეტურ ინსტიტუტს“, რომელიც 1932 წ. გადაკეთდა „ენისა და აზროვნების ინსტიტუტად“. „იაფეტურმა ინსტიტუტმა“ გამოაქვეყნა „იაფეტური კრებული“ (7 ტომი); „ენისა და აზროვნების ინსტიტუტმა“ 1932 წლიდან იწყო კრებულის გამოცემა „ენა და აზროვნება“ (1949 წ. გამოვიდა უკანასკნელი XI კრებული)... საბჭოთა ხელისუფლების წლებში, მეტადრე 1926 წლიდან, ნ. მარი თავის „იაფეტურ თეორიას“ ერთად ერთ მარქსისტულ ენათმეცნიერულ თეორიად სახავდა და მისთვის შესაბამის უფლებებს მოითხოვდა... 1928 წელს ნ. მარი აირჩიეს კომუნისტური აკადემიის წევრად (აქ ნ. მარმა დააარსა „მატერიალისტური ენათმეცნიერების სექცია“ — მიხანკოვა, გვ. 360)... 1930 წელს ნიკო მარი აირჩიეს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად... ნ. მარი იყო იმავე დროს „ენისა და აზროვნების ინსტიტუტის დირექტორი“, „მატერიალური კულტურის ისტორიის სახელმწიფო აკადემიის დირექტორი“, ლენინგრადის უნივერსიტეტის პროფესორი; მუშაობდა, როგორც მეცნიერების მუშაკთა სექციის ხელმძღვანელი და რიგ სხვა საზოგადოებრივ არჩევითს თანამდებობაზე... გარდაიცვალა 1934 წელს დეკემბერში (მუშაობა შეწყვიტა მძიმე ავადმყოფობის გამო მხოლოდ უკანასკნელ წელს)... ჩვენ, ცხადია, არ ვეხებით ნ. მარის მოღვაწეობას არქეოლოგიაში, ფილოლოგიაში, ზოგადს ენათმეცნიერებაში... ჩვენ გვაინტერესებს ნ. მარის თეორია ქართულ-ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის თვალსაზრისით.

§ 31. იაფეტური თეორიის ევოლუციის ძირითადი ეტაპები

იაფეტური თეორია ორი განსხვავებული გაგებით იხმარებოდა სპეციალურ ლიტერატურაში (და თვით ნ. მარის შრომებშიც): 1. იაფეტური თეორია, როგორც მოძღვრება იაფეტურ ენათა შესახებ (კერძოდ, მათი წარმომავლობის შესახებ) და 2. იაფეტური თეორია, როგორც ზოგადი მოძღვრება ენის შესახებ ანუ ზოგად-ლინგვისტური თეორია (ოციანი წლების ბოლოდან ნ. მარიცა და მისი მიმდევრები ამ უკანასკნელს უწოდებდნენ „ახალ მოძღვრებას ენის შესახებ“)... ეს ზოგად-ლინგვისტური ახალი მოძღვრება იაფეტურ ენათა შესწავლის პროცესში წარმოიშვა და ამიტომ ეწოდებოდა მას პირველ ხანებში იაფეტური თეორია.

იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიას, ცხადია, აინტერესებს იაფეტური თეორია, როგორც მოძღვრება იაფეტურ ენათა შესახებ. ამ გაგებით აღებული ცნება „იაფეტური თეორია“ არ ყოფილა ერთნაირი მნიშვნელობისა: იაფეტურმა თეორიამ განიცადა ევოლუცია. ამ ევოლუციის რამდენიმე საფეხურს გამოყოფდა თვითონ ნ. მარი (და მისი მიმდევრები). ჩვენ ბუნებრივი გვეჩვენება გამოიყოს იაფეტური თეორიის ევოლუციის სამი პერიოდი (საფეხური) — იმისდა კვალად, თუ რა ენებს მიიჩნევს ნ. მარი იაფეტურ ენებად.

პირველ პერიოდში იაფეტური ენები — ესაა ქართველური ანუ იბერიული ენები (წინა აზიის ზოგი მკვდარი ენაც ამ წრეს განეკუთვნება, მაგრამ ცოცხალ ენათაგან მხოლოდ ქართველურ ენებს ეწოდება იაფეტური). შესაბამისად ამ პერიოდს შეიძლება ეწოდოს ქართველოლოგიური... მისი ქრონოლოგიური ფარგლებია 1908-1916 წ.წ. მეორე პერიოდში იაფეტურ ენათა წრე ფართოვდება: ქართველურს გარდა მასში შემოდის აფხაზურ-ადილური, ჩაჩნური და დაღესტნური ენები; ამგვარად, „იაფეტური“ მოიცავს ცოცხალ იბერიულ-კავკასიურ ენებს მთლიანად; ესაა კავკასიოლოგიური პერიოდი; გრძელდება იგი 1916 წლიდან 1920 წლამდე. მესამე პერიოდში იაფეტური წრე სცილდება კავკასიის ფარგლებს: მასში შემოდის რიგი მკვდარი ენა ძველი წინა-აზიისა და ხმელთაშუა ზღვის აუზისა (პელაზგური — ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ეტრუსკული — აპენინისაზე) და ცოცხალი ბასკური ენა (პირენეის ნახევარკუნძულზე)... აღმოსავლეთით პამირის მთებში — ბურშიკული (ვერშიკულიც) ამ ენობრივ სამყაროს განეკუთვნება. მაინც მთავარია იმ წევრების შემოყვანა, რომლებიც ხმელთაშუა ზღვის აუზისად ითვლება. ამიტომ ამ პერიოდს ბუნებრივია მედიტერანისტული დაერქვას. გრძელდება იგი 1920-1923 წლამდე. ამის შემდეგაც

არა ერთს შრომაში ნ. მარი მსჯელობს ისე, როგორც ეს მედიტერანის-ტულ თვალსაზრისს შეეფერება, მაგრამ პრინციპულად ახალი დებულება უკვე 1923 წელს არის წამოყენებული: ინდო-ევროპული ენები არის იაფეტური ენების ტრანსფორმაციაო. ეს ნიშნავს: არ არსებობს წარმოშობის მიხედვით განსხვავებული ენათ-ოჯახები, სხვადასხვა ფუძე-ენებიდან მომდინარე; განსხვავებას ქმნის არა გენეზისი, არამედ განვითარების საფეხური, ამა თუ იმ ენების ჯგუფში მოცემული (როგორც ეს შემდეგ ითქვა). წამოყენებულია ახალი პრინციპი, პრინციპი სტადიური განვითარებისა. ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციას დაუპირისპირდა ენათა სტადიური კლასიფიკაცია. სტადიური კლასიფიკაცია ჩამოყალიბებული სახით ნ. მარს არ მოუცია (ვერც მისმა მიმდევრებმა გაართვეს თავი იმ სიძნელეებსა და შინაგან წინააღმდეგობებს, რაც ამგვარი კლასიფიკაციის ცდას თან სდევდა). მაგრამ სტადიური კლასიფიკაციის პრინციპი გახდა საფუძველი ენის შესახებ ახალი მოძღვრებისა. სტადია ენის განვითარებისა ლამობდა საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის ანარეკლი ყოფილიყო ენაში. ამგვარად, სტადიური თეორია, როგორც ნ. მარი და მისი მიმდევრები ირწმუნებოდნენ, იყო ერთად-ერთი მარქსისტული მოძღვრება, დაპირისპირებული ბურჟუაზიულ-რეაქციულ ინდო-ევროპეისტიკას, „რასობრივ“ კლასიფიკაციას ენათა ოჯახებად. ქართულისა და სემიტურის წარმოშობითი ნათესაობის მტკიცებით დაიწყო ნ. მარის იაფეტური თეორია. ენათა წარმოშობითი ნათესაობის უარყოფით დამთავრდა იგი. ეს უარყოფა არ გამოდგა გამართლებული არც საკუთრივ ენათმეცნიერული და არც ზოგადი იდეოლოგიური თვალსაზრისით. მაგრამ ყოველივე ამის ანალიზი ზოგადი ენათმეცნიერების საქმეა. ჩვენი ამოცანაა იმის გათვალისწინება, რაც იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლას ეხება, ე. ი. იმის მიმოხილვა, რაც იაფეტური თეორიის ევოლუციის სამი პერიოდისათვის არის ნიშანდობლივი. აქვე აღვნიშნავთ: თითოეული ეს პერიოდი გამოყოფილია იმ საპროგრამო ხასიათის შრომისა (თუ განცხადების) მიხედვით, რომელშიც ახალი გაგება იაფეტურ ენათა შედგენილობისა (და სხვა ენებთან მათი ურთიერთობისა) მოცემული აქვს თვითონ ავტორს. უფრო ადრე გამოქვეყნებული შრომებიც ხშირად გვანიშნებენ, რომ ახალი გაგება ესახება ავტორს (ასე, მაგალ., უკვე 1912 წ. ნ. მარი შესაძლებლად მიიჩნევს იაფეტურ ენებში აფხაზურიც მოაქციოს; ამით, რა თქმა უნდა, მთის იბერილ-კავკასიურ ენათა საკითხიც წყდება); მაგრამ ამგვარი ფაქტები ახალი ეტაპის შემზადებას ეხება და არაფერს ცვლის ძირითადი პერიოდების გამოყოფაში. საერთოდ, ახალი ეტაპი იაფეტურ თეორიაში არ ნიშნავს, რომ წინა ეტაპის შესაბამისი მუშაობა შეწყდა.

გარდა ამისა, ნ. მარის შეხედულებებს ისეთი ნაირ-ნაირობა, ნაირ-სახეობათა ერთმანეთში გადასვლა და მდინარება ახასიათებს, რომ მთავარი ის გამოყოფის გარეშე იაფეტურ თეორიაში გარკვევა შეუძლებელი ხდება.

§ 32. იაფეტური თეორიის ევოლუციის პირველი, ქართვლოლოგიური, ეტაპი

იაფეტური თეორია ჩნდება მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა ცნება იაფეტური ენებისა, როგორც სემიტურ ენებთან მონათესავე ენებისა, ე. ი. 1908 წ. მაგრამ სემიტურ ენებთან ქართულის ნათესაობითის შესახებ დებულება ნ. მარმა წამოაყენა ოცი წლით ადრე, 1888 წ., როცა ჯერ კიდევ სტუდენტი იყო. გაზეთ „ივერიაში“ (1888 წლის № 86) დაიბეჭდა ნ. მარის წერილი „ბუნება და თვისება ქართული ენისა“. ამ წერილში ნ. მარი მიუთითებს არასწორ ცნობებზე, რომელთაც შეიცავს ბ-ნ პ-ს წერილი „მეშვიდე კრება ორიენტალისტებისა ვენაში 1886 წ.“ პ-ს წერილში ქართულის შესახებ ფრ. ბოპის, მაქს მიულერისა და ფრიდრიხ მიულერის მოსაზრებები ყოფილა არაზუსტად თუ მცდარად გადმოცემული, მაგრამ ეს საბაზი ნ. მარისათვის, რომ თავისი შეხედულება ამცნოს გაზეთის მკითხველებს: ქართული არ ენათესავება არც ინდო-ევროპულ ენებს, არც თურანულ (ე. ი. ურალურ-ალთაურ) ენებს, მაგრამ იგი განმხოლოებით არადგას, იგი სემიტურ ენებს ენათესავებაო: „ადრე, — წერს აქ ნ. მარი, — ქართულის ენის სემიტურობა წარმოთქმულა მეცნიერებისაგან, მაგრამ გაკვრით, და ამ აზრის დასამტკიცებლად არავინა ცდილა იმდენადაც, რამდენადაც დასჭირდათ ეს ცდა, ოღონდ — კი ურალურ-ალთაურისა და ინდო-გერმანულისათვის დაეახლოვებინათ და დაენათესავებინათ ჩვენი ენა. პირველივე ცდა, — განაგრძობს ნ. მარი, — ამაო არ გამოდგა. მას უკან აგერ სამი წელიწადია, რაც მივიკვლიე ქართულის ენის ბუნებისა და თვისების კვალი. არაბულის ენის გაცნობის შემდეგ სრულებით დავმყარე იმ აზრს, რომ ჩვენს ენას დიდი მსგავსება აქვს სემიტურ ენებისა¹. რაკი ეს აზრი მივიკვლიე, მაშინვე ებრაულისა და სირიულის ენის შესწავლას მოვკიდე ხელი. მას უკან დღითი-დღე მიგროვდება მასალა და მემატება საბუთები ამ აზრის დასამტკიცებლად და გასამართლებლად. რადგანაც სიტყვამ მოიტანა, აქვე მოვიხსენიებ ბარემ მოკლედ იმ აზრს, რომლის

¹ ჯერ კიდევ 1864 წ. ფრ. მიულერი მიუთითებდა მსგავსებაზე, რომელიც ქართულს აქვს სემიტურთან და აფრიკის ენებთან, — პრეფიქსაციის პრინციპის მხრივ: პრეფიქსული წარმოება არც ინდო-ევროპულ ენებს აქვს და არც ურალურ-ალთაურს, იგი სემიტურს ახასიათებსო (იხ. აქვე, ფრ. მიულერი, 218 გვ.).

დამტკიცებას ვაპირებ. აი ის აზრი. ქართული ენა ნათესავია ხორციელად და სულიერად, ე. ი. სიტყვის ძირებით და გრამატიკით, სემიტურის ენათა ჯგუფისა, მაგრამ იგი არ არის იმდენად დაახლოებული ხსენებულს ენებთან, რამდენადაც ის ენანი ურთიერთ შორის, და, სჩანს, ქართული ენა (საკუთრად ქართული, მეგრულ-ლაზური და სვანური) წარმომდგარია ერთის მამათ მთავრის ენისაგან, რომელიც თითქმის ისევე ჰგვანება სემიტურს ენებს, როგორც ეს სემიტური ენები ჰგვანან ერთმანეთს“ (გადმობეჭდილია კრებულში: „იფეტ. თეორიის განვითარების ეტაპები“, ლენინგრადი, 1926 წ., გვ. 3-4; ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

ქართული სემიტურის მონათესავეა (სიტყვის ძირებით და გრამატიკით), მაგრამ სემიტური ენა არაა... ქართული — მეგრულ-ლაზურთან და სვანურთან ერთად — ერთი ენისაგან არის მიღებული, და ეს ენაა (ქართველური ფუძე-ენა, როგორც ახლა იტყვიან), რომ სემიტურთან იყო ახლოს: ჰგავდა მას იმგვარადვე, როგორც სემიტური ენები ჰგვანან ერთმანეთს, — ასეთია ზოგადი დებულება (უკეთ: დებულება-განაცხადი). რაიმე დასაბუთება ამ დებულებას არ ახლავს (საგაზეთო წერილში ეს არც იყო მოსალოდნელი). დასაბუთების პირველი ცდა ნ. მარმა მოგვცა 1908 წელს, ე. ი. მხოლოდ ოცი წლის შემდეგ შრომაში „ძველი ქართული ენის გრამატიკის ძირითადი ტაბულები“, რომელსაც წარუმიძღვარა „წინასწარი ცნობა ქართულის სემიტურთან ნათესაობის შესახებ“.¹ „ძირითად ტაბულებს“ მოკლე წინასიტყვაობა აქვს; აქ ნათქვამია: „ტაბუ-

¹ Н. Марр, „Основные таблицы к Грамматике древне-грузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими“, 1908 (შემოკლებით: ძირით. ტაბ.). შრომა ნ. მარმა მიუძღვნა მასწავლებლის ვიქტორ როზენის ხსოვნას. სწორედ ვიქტორ როზენს, არაბულის პროფესორს. გაუზიარა ნ. მარმა სტუდენტმა თავისი აზრი — ქართული სემიტურს ენათესავებაო. როზენმა არ მოუწონა: ასეთი ნათესაობა რომ არსებულოყო, არ დაელოდებოდნენ კავკასიიდან ვისამე მოსვლას, ეს აქამდე ცნობილი იქნებოდაო (მიხანკოვა, გვ. 24). ნ. მარს მაინც უცდია სათანადო ცნობა გამოექვეყნებია ერთ-ერთ ევროპულ ენაზე. მიხანკოვა წერს, ნ. მარის ქალაქებში მოიპოვება სათანადო ცნობის გერმანული ვარიანტი, აგრეთვე — ფრანგული სათაურით *Annonce scientifique* (მიხანკოვა, გვ. 25) „სამეცნიერო განცხადება“... როზენს არ მოსწონდა მარის ენათმეცნიერული ინტერესები, რაც მარს აშორებდა ფილოლოგიას. როზენს სიტყვა ჩამოურთმევია მარისათვის — ქართულის სემიტურთან ნათესაობის თეორიის დამუშავებაზე ხელი აეღო სადოქტორო დისერტაციის დაცვამდე (მიხანკოვა, გვ. 27). ავტობიოგრაფიაში ნ. მარი წერს: ტაბულების წინასიტყვაობა — ქართულის ნათესაობის შესახებ სემიტურთან — წაფუკითხე გ. როზენს მისი გარდაცვალების სამი დღით ადრე. რამდენჯერმე შემაწყვეტინა კითხვა: „თქვენ ყველაფერი მოფიქრებული და დამუშავებული გქონიათ! ყველაფერი ცხადი და დამტკიცებულიაო!“ (რჩ. შრ. 1, გვ. 10).

ლები“ იმათთვისაა, ვინც ქართულ-სომხურ ფილოლოგიას სწავლობს და ისმენს ჩემს ლექციებს ძვ. ქართ. ენის გრამატიკის შესახებ. გრამატიკა, რომლის მიხედვითაც ეს ტაბულებია დამუშავებული, დაფუძნებულია თეორიაზე ქართული ენის ნათესაობისა სემიტურ ენებთან. მოხდა ისე, რომ ეს ძირითადი შრომა ქართული ენათმეცნიერებისა არ გამოქვეყნდა არც ოთხმოციან წლებში, აღმოჩენის უშუალო შთაბეჭდილებით, არც ოთხმოცდაათიან წლებში, როცა იგი სრულიად მზად იყო... ახლა კი მე აღარ ვჩქარობ, მიჩვენია თითო-ოროლა მსმენელს ლექციები ვუკითხო და თანდათანობით შესწორება-დამატებანი შევიტანო (ამ გრამატიკაში). ჩემი თეორიის სისტემატური და დაწვრილებითი დასაბუთება თვით გრამატიკის შინაარსს ეკუთვნის. საქმის არსი კი წინასწარ ცნობაშია გადმოცემულიო...

ქართულის „გენეზისური ნათესაობა“ სემიტურთან ნ. მარის თქმით შემდეგს სამ დებულებას ემყარება:

1. „ქართული ენის ფონეტიკა ენათესავება სემიტური ენის ფონეტიკას“. ქართულში ისევე, როგორც სემიტურ ენებში, თანხმოვნების ხვედრი წონა განსაკუთრებულია,¹ მასთან ყელისმიერთა სიმდიდრე და ნაირგვარობა ახასიათებს ქართულსაც და სემიტურსაც. ერთნაირია ხმოვანთა სისტემაც: ძირითადია სამი მარტივი ხმოვანი — **ა, ი, უ** — და გარკვეულ პირობებში ნახევარხმოვნებად ხმარებული სუსტი თანხმოვნები (**ფ, ჟ**)... „ძირით. ტაბ.“ გვ. 2.

2. მორფოლოგიაში „პრინციპული ნათესაობა“ იმაში გამოიხატება, რომ ეტიმოლოგიური (ე. ი. მორფოლოგიური — **ა. ჩ.**) კატეგორიები გადმოიცემა ხმოვნებით, ძირები კი ისევე, როგორც სემიტურში, თანხმოვნებისაგან შედგება. მორფოლოგიაში ქართული მსგავსად სემიტურ ენათა, იყენებს პრეფიქსებსაც და სუფიქსებსაც (იქვე, გვ. 2)...

3. დამახასიათებელია, რომ ქართულში ძირი არა მხოლოდ შედგება თანხმოვნებისაგან, არამედ ეს ძირი სამთანხმოვნიანია, უფრო იშვიათად — ორთანხმოვნიანი² (იქვე, გვ. 2).

როგორც აქედან ჩანს, სამივე დებულება ფონეტიკის, მორფოლოგიის, ლექსიკის (ძირის შედგენილობის) სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ დახასიათებას შეიცავს. ნათესაობის საკითხს ეს ვერ გადაწყვეტს. მთავარია ძირთა და ფორმანტთა მასალობრივი კავშირი. ნ. მარი ასეთ მასალასაც ასახელებს: „ერთი და იგივე ძირები“ მოეპოვებათ ქართულსა და სემიტურ ენებს; ჯერ-ჯერობით ათასამდე ასეთი ძირი გამოვავ-

¹ „Подавляюще преимущественное развитие согласных“ (ძირით. ტაბ. გვ. 2).

² ნ. მარი ხმარობს ტრადიციულ არაზუსტ ტერმინებს „სამასოიანი“, „ორასოიანი“ („трехбуквенные“, „двухбуквенные“).

ლინე „სპეციალურად დამუშავებული იაფეტურ-სემიტური შედარებითი ფონეტიკის საფუძველზე“ (იქვე, გვ. 2-3). ფორმანტებიდან დასახელებულია ბრუნვის ნიშნები: „ქართულში არა თუ სამი ძირითადი ბრუნვა გვაქვს, როგორც არაბულში, რომელმაც შემოგვინახა ყველაზე წმინდა სახით სემიტური ბრუნვა, არამედ ბრუნვათა ხმოვნებიც ერთი და იგივეა: სახელ. **ი** (← უ), ნათეს. **ი** (თავდაპირველი) და მიც. resp. აკუზატ. **ა**“ (იქვე, გვ. 3). ბრუნვის ფორმათა „დამამთავრებელი თანხმოვანი“¹ **-ს** კანონზომიერად ეფარდება სემიტურ **ჰ**-ს (იქვე). გარდა ამისა ქართულს შეუნახავს ამავე ფუნქციის მქონე **-ნ** (გვ. 4)... საერთოა ვნებითის მიმღეობის სუფიქსებში **უ, ი** (არაბ. მაქსულუნ, კათრლუნ ტიპისა — გვ. 5), ასევე პრეფიქსი **მ**- მიმღეობაში და მოქმედ პირთა სახელებში (გვ. 6)... სემიტურთან შედარების საფუძველზე ნ. მარი ვარაუდობს, რომ ქართულში „მკვდარი ინვენტარის სახით“ შემონახულია მდებარეობითი სქესის სუფიქსი **-ალ || -ელ-**, არაბ. **-ათ || -ეთ-**ის ფარდი (ვრმ-ალ- — არაბ. ჰარბ ათ) ბოლო თანხმოვნის მოკვეციტ **-ა || -ე** (იქვე, გვ. 8, შნშ. 1).

ქართულის სემიტურთან ნათესაობის საუკეთესო საბუთს ქართველოლოგებისათვის — ნ. მარის თქმით — ის წარმოადგენს, რომ „მხოლოდ მასზე დაყრდნობით მოხერხდა ბოლოს და ბოლოს ჩავსწვდომოდით ქართული ენის აგებულებას და გაგვეხსნა ყველაზე რთული საკითხები ქართული გრამატიკისა, რომელთა გადაწყვეტაც თითქოს შეუძლებელი იყო, ასე, მაგალითად, ქართული ზმნების უღვლილება“ (იქვე, გვ. 7). ძნელია თქმა, რას გულისხმობს ამ შემთხვევაში ნ. მარი: ქართული ზმნის არც ერთი კატეგორია (პირი, რიცხვი, დრო, გვარი, ასპექტი...) ნ. მარს არ განუხილავს სემიტურთან შედარებით. რაც შეეხება ბრუნვას, უკვე ის გარემოება, რომ სემიტურთან ნათესაობამ აკუზატივის არსებობა (აკუზატივი-მიცემითი) ავარაუდებინა ავტორს, ცხადყოფს, რომ ქართულის ისტორიული წარსული ამ მიმართულებით ძიებამ შეუძლებელია სწორად აღგვადგენინოს: ქართულის, როგორც იბერიულ-კავკასიური ენის, ბრუნვა იმ თავითვე გამოიციხავს აკუზატივის არსებობას წარსულში... რამდენი და რა ბრუნვა იყო ისტორიულად ქართულისათვის ამოსავალი (სამი, მეტი თუ ნაკლები), ამაზე შეიძლება მკვლევრებს სხვადასხვა აზრი ჰქონდეთ. მაგრამ აკუზატივი რომ ამ ბრუნვათა შორის არ შეიძლებოდა ყოფილიყო, ეს სადაო ვერ გახდება. მიცემითი-აკუზატივი არაბულისათვის ბუნებრივია. ქართულისათვის — უცხო: აქ ქართული ენის ძირითადი თვისება არის უგულებელყოფილი.

¹ „Замыкающий согласный“.

მდედრობითი სქესის სუფიქსები გამოგვაცოფინა სემიტურთან შედარებაში. ფუძის შედგენილობაში გამჭრალი მორფოლოგიური კატეგორიის გაქვავებული ფორმანტი რომ აღმოჩნდეს, ეს შეუძლებელია, რა თქმა უნდა, არაა. ქართულს სქესები (უკეთ: უფრო ზოგადი კატეგორია — გრამატიკული კლასებისა) რომ გარჩეული ჰქონოდა წარსულში, სარწმუნოა (მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან შედარებაც უჭერს ამას მხარს). მაგრამ არსებით სახელს სათანადო ფორმანტი მხოლოდ პრეფიქსად შეიძლება ჰქონოდა (და არა — სუფიქსად). სქესის გაქვავებული ფორმანტები ამიტომ შეუძლებელია სუფიქსში აღმოგვჩნდეს. არაბულში სახელს ასეთი ფორმანტი სუფიქსად მოუდის (-**ათ**- სუფიქსი), ქართულს — პრეფიქსად. სემიტური პრინციპის გამოყენება ქართული ენის ისტორიული მორფოლოგიის კვლევას არასწორ მიმართულებას აძლევს... **-უ**, **-ი**, **-ა** არაბულში სახელობითს, ნათესაობითსა და მიც.-აკუზატივს ახასიათებს. **-ი**-ნათესაობითს ქართულშიც აქვს, მაგრამ სახელობითის **ი**- რომ **უ**-ს სახეცვლავს, ვერ დამტკიცდება იმაზე მითითებით, რომ ქართულში **უ**-ს შეიძლება **ი** შეენაცვლოს; ყველაზე რთული შედეგები მესამე (**-ა**) ნიშნის ინტეგრეტაციას ახლავს: **ა** = მიცემით-აკუზატივი. ქართულში ასეთი **ა** ნ. მარმა ივარაუდა **მან**- ნაცვალსახელში, რომელიც მოთხრობითს აწარმოებს; რაკი ბრუნვის ნიშანი მხოლოდ ხმოვანი შეიძლება იყოს (სემიტურთან ურთიერთობის თვალსაზრისით), **მან** ისევე გამოვიდა მიცემითი, როგორც **მას**... ყველა სახელი, რომელსაც მოთხრობითში **-მან** დაერთვის (კაც-მან, სპასალარ-მან...) მიცემითად მიიჩნია ნ. მარმა... მოთხრობითიანი კონსტრუქცია („სპასალარმან კრიბა ლაშქარი“) აღმოჩნდა მიცემითიანი კონსტრუქციის ტოლი და ფარდი (სპასალარს უკრებია ლაშქარი). სათანადო გარდამავალი ზმნა (კრიბა) ნ. მარმა პასიურად გამოაცხადა და ზმნის შედგენილობაში იწყო სათანადო ფორმანტების გამოყოფა: წინადადების სინტაქსში დედუქციური გზით მიღებული პასიურობა ზმნის მორფოლოგიაში ეძიებს საყრდენს. ამრიგად, ქართულ ბრუნვათა სემიტურმა ინტეგრეტაციამ დასაბამი მისცა ერგატიული კონსტრუქციის პასიურობის მარისეულ კონცეფციას.¹

როცა ორი ენა ერთმანეთის მონათესავეა, საერთო ძველი ამოსავალი მასალა შეიძლება ან ორივეში შეცვლილი იყოს, ორივეში მოცემული ვარიანტები მესამე განსხვავებულიდან მოდიოდეს; ანდა: ერთ-ერთს ძველი აღმოაჩნდეს, მეორე კი ამ პირველში მოცემულამდე დაიყვანებოდეს. ნ. მა-

¹ „ტაბულეზში“ ამ კონცეფციის ელემენტები გვაქვს; კონცეფცია სრული სახით „ძველი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკაშია“ (1925 წ.) მოცემული; ამ გრამატიკის ბეჭდვა 1918 წ. დაიწყო. მაშინ ნ. მარი სემიტურთან ქართულის ნათესაობას აღარ ანიჭებდა ძველს მნიშვნელობას, მაგრამ ქართული ენის გრამატიკა მაინც სემიტურ ენათა სისტემის მიხედვით გამართული აღმოჩნდა.

რის ვარაუდით ეს მეორე შესაძლებლობა დასტურდება სემიტურისა და ქართულის ურთიერთობაში: სემიტური ძველია, ქართული — ახალი; სემიტური იძლევა გასაღებს ქართულისათვის. შედეგი: ქართული ენის გრამატიკა სემიტური გრამატიკული სისტემის მიხედვით აქვს აგებული და განმარტებული ნ. მარს. ეს პრინციპი ბოლომდე და განუხრელად ტარდება, მიუხედავად იმისა, იძლევა ქართულის მონაცემები ამის შესაძლებლობას თუ არა. აქ არას ვამბობთ ლექსიკური მასალის — ძირების — შედარებაზე: ნ. მარსის თქმით, ძირთა შედარება მას უწარმოებია „განსაკუთრებულად გამომუშავებული იაფეტურ-სემიტური შედარებითი ფონეტიკის საფუძველზე“ (გვ. 2-3). ეს ფონეტიკა კი გამოქვეყნებული არ ყოფილა არც 1908 წ. და არც მის შემდეგ¹. ერთი კია: სამთანხმოვნიაანობის პრინციპის გატარებისას ნ. მარსის იხეთ სახეს აძლევს ქართულ ფუძეს, ისეთ ვარიანტებს აღადგენს, რაც ქართულისათვის უცხოა და შეუძლებელი: მზე ← *ზმჰ (ბოლოკიდური ჰ: ზმჰ — სამი თანხმოვანი რომ გამოვიდეს! — გვ. 3, შენიშვ. 2)... კარი ← *ყკარი (იქვე)... ბადე ← ცბადე (გვ. 4)... ბუდე ← ცბუდე (იქვე...) ქარი ← ჰგარი (გვ. 4)... სერი ← *სადრი ← *სარრი... ესვა ← ესვვა (გვ. 6): ორი **რ**, ორი **გ** ძირეულ მასალაში არ შეიძლება ვივარაუდოთ — ქართული ორ ერთნაირ თანხმოვანს ძირეულ მასალაში ვერ იგუებს...

რაც შეეხება საკუთრივ ტაბულებს, ტაბულა სულ ოცია: პირველი ქართულ ანბანს იძლევა (მთავრულს, ნუსხურს, მხედრულს და მათს რიცხვითს მნიშვნელობას უჩვენებს)... მეორე ქარაგმიან სიტყვათა სიას ჩამოთვლის... მესამეზე ბგერათა კლასიფიკაცია გვაქვს... **ტ, კ, პ** ყრულ არის მიჩნეული რაიმე დამატებითი დახასიათების გარეშე... **წ, ჭ, ყ**-ც ყრუა, ოღონდ აფრიკატი... **რ, ჰ, ლ, კ, მ, ნ**, აგრეთვე **ს, ზ, შ, ჟ** — სუსტი თანხმოვნებიაო... მეოთხე ტაბულა მოგვითხრობს „ბგერითს კანონებზე, რომლებიც მოქმედს გრამატიკაში გვაქვს“... **უ → ი... აი → აი → ეი → ე... ე + ი → ეი = ე... ო + ი → ოი = ი... უ + ი: უი → უ** || დიალექტურად: **უვი → ვი... ვა (ავ || ავ) → ო... ვე (ევ || ევ) → უ... ჰ → 0** (ე. ი. იკარგება)... **ს → ჰ, ს → ნ²... ნ → ლ... ბ, მ → ვ... თს → ც... თშ (შთ) → ჩ... თრგ ~ თგრ... რ—რ→რ—ლ ანდა ლ—რ... სჰ, სჩ... > შჰ, შჩ...** როგორც ვხედავთ, აქ გარჩეული არაა ე. წ. სპონტანური ცვლა კომბინატორული საგან... მეხუთე ტაბულაზე ჩამოთვლილია ბრუნვები (სახელ., ნათეს., მიცემითი, ნაცვალსახელობითი, მოქმედებითი, მიმართულებითი, წოდებითი, გაუფორმებელი) და ნაჩვენებია მათი დაბოლოებანი...

¹ ცალკეულ ნიმუშთა შედარებისას ზოგი დებულება კი არის დასახელებული (გვ. 3-9, შენიშვნები), მაგრამ დასაბუთება არ ახლავს.
² **ს || ნ** მორფოლოგიური შენაცვლებაა და არა — ფონეტიკური პროცესი — **ა. ჩ.**

ყურადღებას იქცევს: 1. მიც. **სა** (← **ახ**)... 2. ორგანული ბრუნვა სამია: სახე-ლობითი (**უ** ← **ო**), ნათესაობითი — **ო**, სადამატებო (дополнительный) — **ა**. უკანასკნელის შესახებ ნ. მარი შენიშნავს: იგი მნიშვნელობით ეფარდება ერთდროულად მიცემითსა და აკუზატივს ინდო-ევროპულს ბრუნებაში, მხოლოდ ამ შენიშვნით შეიძლება მას შერჩეს ტრადიციული სახელი „მიცემითი“... ამგვარად, მესამე ორგანული ბრუნვა ნ. მარისთვის არსებითად აკუზატივია („სადამატებო“-ც ამას უნდა გახადავდეს)... მეექვსე ტაბულა თანდებულებს აღრიცხავს და მიუთითებს, რა თანდებული რა ბრუნვას მოითხოვს... ამდგ-ში **-ამ** დიალექტური მიცემითია... მეშვიდე ტაბულაზე ბრუნების მაგალითებია წარმოდგენილი: „თანხმოვნთან ბრუნება“.¹ შემდეგ „ხმოვნთან ბრუნება“... მრავლობითში: ვულგარული (**-ებ**) და არქაული (**-ნ**, **-თ** სუფიქსიანი) ნაირსახეობანი... მერვე ტაბულაში პირთა ნაცვალსახელები გვაქვს — დამოუკიდებლად ხმარებული და ნაწილაკების სახით პრეფიქსად და სუფიქსად გამოყენებული... გარჩეულია: სუბიექტის ნაცვალსახელური ნაწილაკები: I პ. — **გ**, II პ. — **ხ**, III პ. — **ს**... ობიექტისა: **მ** || **გუ**, **გ**, **ს** (**ჰ**), resp. **შ**... **ო**-ანი: **მი**, **გვ**, **გი**, **უ** (←*ვი), **ი** ← *ჰი... **ა**-იანი: **მა** || **გუა**, **გა**, **ა** (→ *ჰა)... მესამე პირის ნაცვალსახელური სუფიქსი ანდა ინფიქსი მხოლოდობითში **ო** (→ **ე**), მრავლობითში — **ნი**, **ნ**, **ენ**²... მეცხრე ტაბულა წარმოგვიდგენს „სუბიექტურ ნაცვალსახელურ ნაწილაკთა შეხამებას ობიექტურთან სუბიექტური წყობის ზმნათა მიმართების ფორმებში“ — ჯერ „პირველი ჯგუფის დროებში“ — გაუფორმებლად (ე. ი. უხმოვნოდ), სანათესაობო მიმართებით (ე. ი. **ო**-ხმოვნით) და სამიცემითო მიმართებით (ე. ი. **ა**-ხმოვნით), შემდეგ ასევე — „მეორე ჯგუფის დროებში...“ ნ. მარი შენიშნავს: ობიექტური წყობის ზმნებში პირველი ჯგუფის დროებში ნაცვალსახელოვან ნაწილაკთა შეხამება იმგვარივეა, ოღონდ მათში სუბიექტური ნაცვალსახელოვანი ნაწილაკები **ლოგიკური** ობიექტის მაჩვენებელია, ხოლო ობიექტური ნაცვალსახელოვანი ნაწილაკები — **ლოგიკური** სუბიექტისაო... მეათე ტაბულა უჭირავს ზმნურ წინსართებს, პრევერბებს... მეთერთმეტე — ზმნათა ჯიმებს (ქცევების მაგვარ კატეგორიას); გარჩეულია ოთხი ჯიმი მოქმედებითი გვარის ზმნებში და ოთხიც ვნებითისაში: I — უნიშნო (გწერ... გწყრები)... II — **ო**-ნიშნიანი (ვისმენ... ვიწერები, ვიცხადები?)... III — **ა**-ნიშნიანი მოქმ. გვარისა (ვაჩერებ, ვაცხადებ) და: **დ** (**ნ**) ნიშნიანი ვნებ. გვარი-

¹ „Согласные склонения“... „Гласные склонения“.

² აქ იგულისხმება სახელობითში დასმული ობიექტი; მის მრავლობითს **-ენ** (→ **-ნ**) აღნიშნავს. თუ ეს ობიექტი მხოლოდობითია, ზმნა მის პირს არ აღნიშნავს (ნ. მარს კი საამისოდ **-ო** სუფიქსი მიუჩნევია).

სა (ვჩერდები, ვცხადდები)... IV. **ა** — **ი(ნ)ებ**-ნიშნით მოქმედებითში (ვაჩერებინებ || ვაჩერებივ, ვაცხადებინებ || ვაცხადებივ) — **ე**-ნიშნის ვნებითში (ვეცხადები)... შენიშვნაში ნათქვამია: მეოთხე ჯიში „მეორეული მოვლენა“: მოქმედებითი გვარის ზმნებში იგი ნაწარმოებია მესამე ჯიშისაგან, ვნებითში — მეორისაგან; მისი ფორმები ყოველთვის მიმართებითია, ამიტომ „მეოთხე ჯიშის ადგილი აბსოლუტურ უღვლილებაში კი არ არის, არამედ მიმართებითში“... მაგრამ „აბსოლუტური“ (ე. ი. მიუმართავი) ფორმები არა გვაქვს არც სხვა ჯიშებში მოქმედებითი გვარისა: ვწერ... ვისმენ... ვაჩერებ, ვაცხადებ — ყველა მიმართებითია, როგორც ეს დამაჯერებლად აქვს ნაჩვენები აკ. შანიძეს („პრეფიქსები“, § 13). გარდა ამისა, ერთი ჯიშისად მიჩნეულ ზმნებს ნიშანი ბგერითად ერთნაირი აქვთ, მაგრამ მნიშვნელობა — სხვადასხვა (ვისმენ — ვიწერები... ვაჩერებ — მაქვს), არც გვართა ფარდობა არის დაცული: „ვიწერები“ მეორე ჯიშისაა, მისი ფარდი მოქმედებითი (ვწერ) — პირველი ჯიშისა... არც წ ა რ მ ე ბ ი ს პრინციპი, არც ფ უ ნ ქ ც ი ა არაა გათვალისწინებული ჯიშთა დაჯგუფებაში... მე-თორმეტე ტაბულაზე „უღვლილებათა და კლასების“ ფორმანტიბია აღნუსხული — ჯერ ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი წყობის ზმნათა, მერე — ობიექტურისა, თითოეულში მოქმედებითისა და ვნებითის ფორმათა გარჩევით... უღვლილება სამია გარჩეული: პირველი — **ე**-ნიშნით აორისტში: პირველი ძირითადი: ვსტავ — ვსტე, სტო... ვირთავ, ვირთე, ირთო... პირველი ბარალელური: ვწყლავ — ვწყლე, წყლა... ვხარშავ — ვხარშე, ხარშა... მეორე უღვლილება — **ა**-ნიშნით: ვკლავ — ვკალ, კლა... ვიპყრობ — ვიპყარ, იპყრა... მესამე უღვლილება — **ი**-ნიშნით: ვწვავ — ვწვი... ვდგამ — ვდგი... თითოეულს უღვლილებაში გამოყოფილია კლასები — იმის მიხედვით, თუ რა ს უ ფ ი ქ ს ი იხმარება ა წ მ ყ ო შ ი, უკეთ რომა ვთქვათ, რა ხ მო ვ ა ნ ი გვაქვს სუფიქსში: I კლასი — **ა (ავ)**: ვსტავ, ვირთავ... II კლასი — **ე (ებ)**: ვდებ, ვიწყებ, ვაქებ... III კლასი — **ო (ობ)**: ვგმობ, ვიტყობ, ვადნობ, ვათრობ... IV კლასი — **ი (ნი)**: ვხსნი... მეხუთე კლასის ნიმუში დასახელებული არაა... მართალია, შეიძლება გვაკლდეს სხვა კლასიც (მაგალ., მესამე და მეოთხე — არ მოეპოვება მესამე უღვლილებას), მაგრამ მეხუთე კლასის ადგილი ცარიელია ყველა უღვლილებაში (და ყველა ტაბულაზე): მეხუთე კლასი მეხუთე ხმოვანს (**უ**) განეკუთვნება, მაგრამ **უ**-ხმოვნიანი სუფიქსი არც ერთს ზმნას არა აქვს... ეს იმ თავითვე ცხადი იყო; ნ. მარმა მაინც ამ ხმოვნის შესაბამისი კლასი გამოყო: **უ** ხმოვანია, ხმოვანი კი ფორმანტად შეიძლება გვქონდეს სემიტურ ენათა მორფოლოგიის ძირითადი პრინციპის თვალსაზრისით... ნ. მარის ენათმეცნიერული აზროვნებისათვის არ არის შემთხვევითი ფაქტობრივისა და სავარაუდოს ასეთი შეფარდება.

დანარჩენი ტაბულები წარმოგვიდგენს კონკრეტულ ზმნათა უღვლილებას დროთა სამსავე ჯგუფში: პირველ ჯგუფში გაერთიანებულია ორი ერთეული: აწმყო (ვაქებ) და ნამყო უსრული; ნამყო უსრული ორია: პირველი (ვაქებდი) და მეორე, ნატვრითად წოდებული (ვაქებდე). მეორე ჯგუფში — აორისტი (ვაქე) და კავშირებითი (ვაქო *составительное*); მესამეში — ნამყო სრული (ვულგ. მიქია, წიგნ.: მიქიეს), წინარეწარსული (მექო), ნამყო კავშირებითი (მექოს); სულ შვიდი ერთეულია; ნამყო სრულისა და ნამყო უსრულის ვარიანტებს თუ ჩავთვლით, ცხრა საუღვლებელი ერთეული გვექნება. გვაკლია ხოლმეობითი (პერმანსივი) — ერთი ყველაზე ძირითად ნაკვთაგანი ქართული ზმნის ისტორიაში: ნ. მარს განმარტებული აქვს — ესაა დიალექტურ ნიადაგზე აღმოცენებული აორისტი („დიალექტური აორისტი“) და როგორც „სინტაქსურად აღმოცენებული ფორმა“ (?), ტაბულებში არ შეგვიტანიაო („ძირით. ტაბ.“, გვ. 11)... მეცამეტე ტაბულა სუბიექტური წყობის ზმნათა „აბსოლუტურ ფორმებს“ უჭირავს, მეოთხმეტე — მეთვრამეტე — „მომართებთს ფორმებს“, მეცხრამეტე — ობიექტური წყობის ზმნათა აბსოლუტურ ფორმებს, მეოცე — ობიექტური წყობის ზმნათა მიმართებითს ფორმებს...

ნ. მარის „ტაბულები“ პირველი ცდაა, სადაც ქართული ზმნის უღვლილება მთლიანი სახით წარმოგვიდგება: მისი „აბსოლუტური“ და „მომართებითი (რელატიური)“ ფორმები, სუბიექტური და ობიექტური წყობა, მოქმედებითი და ვნებითი გვარი, უღვლილების ნაკვთების (დრო-კილოთა ჯგუფების) მიხედვით არის დალაგებული... ეს ცდა რიგ შენიშვნას იწვევს: 1. „აბსოლუტური ეწოდება“ მოქმედებითი გვარის ზმნებს: მათი ფორმები მიმართებითია, მნიშვნელობა არა აქვს, ობიექტის ნიშნით დაიწყება ესა თუ ის ფორმა (მაქებს...), თუ სუბიექტისათი (ვაქებ... ა. შანიძე... ამის შესახებ იხ. ზემოთ, გვ. 337)... 2. მოქმედებითად არის მიჩნეული ზმნები „მრწამს“, „მიყუარს“, „მაქუნს“ (ტაბ. XIX) მაშინ, როდესაც ეს სტატიკური ზმნებია და უგვარო; ვნებითის წყებაში მოქცეულია აგრეთვე სტატიკური ზმნები: მწყურია (ტაბ. XIX), ვყვირი (ტაბ. XIII a), ვუყვირი (ტაბ. XVIII)... ზმნა ვჰხადე — მრავლ. სახელობითის ობიექტით წარმოდგენილი (ვჰხადენ), — ვნებითი გვარისად მიუჩნევია ნ. მარს (ტაბ. XIII a, XVIII)... ასევე ვნებითი გვარისად არის მიჩნეული დინამიკური ზმნები (ვჯდები, ვთვრები — ტაბ. XIII a, სტატიკური ვბლავი — ტაბ. XIII a)... გვარების მიხედვით ქართულის ზმნათა დაჯგუფება ძნელი გადასაწყვეტია, თუ მხედველობაში არ იქნება მიღებული გვარზე უფრო ზოგადი კატეგორია სტატიკურობა-დინამიკურობისა, რომელიც ამოსავალს წარმოადგენს გვარის კატეგორიისათვის. ამაში გვარწმუნებს მოქმედებით-ვნებითის საკითხი ნ. მარის ტაბულებში.

3. დიალექტური ფორმებია შემოტანილი ლიტერატურულის გვერდით, მასთან მხოლოდ ერთი კუთხისა: ვაჭდენ (ტაბ. XIV d), ვაჯსნიებ, ვაჯსნიე (ტაბ. XVII)...

4. უმართებულოდ არის განმარტებული ბოლოკიდური **ე**, როგორც სახელობითში დასმული ობიექტის ნიშანი: მსტო**ე**, გსტო**ე**, მასტო**ე**, გასტო**ე**, (ტაბ XV), თუკი, საერთოდ, ასეთ ფორმებს მთლიანად ძველი ქართულის ფაქტად მივიჩნევდით... 5. არარეალური ფორმებია: „გვმულვარ“ (ვეგმობი-ზმნისაგან... ტაბ. XIII a), ვიჩქარები (ტაბ. XIII b, მაქუხარ, აქუხარ, გაქუხარ (აქუს-ზმნისაგან... ტაბ. XX), აგრეთვე: ვიბლავე (ტაბ. XIII a) ბლავის ზმნის აორისტად დასახელებული... 6. ხოლმეობითის არშეტანა უღვლილების სისტემაში არსებითი ხასიათის ხარვეზია.

ტაბულებს **ნ**. მარმა წარუძღვარა „დამატებითი შენიშვნები“; აქ, სხვათა შორის, აღნიშნულია ფორმათა ომონიმის შემთხვევები (მაგალ.: ვიჭერი — მოქმ. გვარის II ჯიში „მოვიჭერი ჩემთვის“ და ვიჭერი — ვნებ. გვარის I ფორმა — დავიჭერი... გვ. 11); იქვე: ვიბრუნე — მიჩნეულია აორისტად, როგორც „ვბრუნავ“, ისე „ვიბრუნებ“ — ზმნისა (გვ. 12)... ნამდვილად: ვიბრუნე „ვიბრუნებ“-ზმნის აორისტია, ვბრუნავ ზმნა კი მისი მეშვეობით ივსებს ხარვეზს... ძვ. ქართ. **ვსუი** **ნ**. მარს მიაჩნია ვ-სუ¹ვი¹მ¹-საგან მომდინარედ (არაბ. კუთილ-ის ტიპისა... გვ. 13)... ასევე: ვრბიოდი ვრბი**ნ**- ფუძეზე დამყარებულად: „არქაული წარმოება იმ დროისა, როდესაც ჯერ კიდევ იგრძნობოდა, რომ აწმყოში გვაქვს მოკვეცილი ფორმა, ნაცვლად ვრბი**ნ**-ისა..., რომ **ი** — შინაგანი ნიშანია ვნებითი გვარის მიმღეობისა (გვ. 14)... ვნებითი გვარის ნიშანი „რბის“-ზმნაში არ შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ ბოლოკიდური **ნ**-ს მოკვეცა ადვილად აიხსნება (ოღონდ არა რბე**ნ**-სთან შეპირისპირებით, როგორც **ნ**. მარი ვარაუდობს, იხ. იქვე, შენიშ. 1)... მიმართებითს ფორმებში მიმართება შეიძლება იყოს ორგვარი: „მიმართება პირდაპირი ობიექტისადმი“ და „მიმართება ირიბი ობიექტისადმი“... უნდა განვასხვავოთ: ვ-ა-კლავ „მე მას მასზე ვკლავ“... და „მე მასზე მას ვკლავ“... და ამოსავალ ფორმაში ორ **ჰ**-პრეფიქსს ვარაუდობს: ვ-¹ჰ¹-¹ჰ¹-აკლავ — „**ჰ** მესამე პირის ნაცვალსახელის გაუფორმებელი ნიშანი“ (გვ. 15, შენიშ. 4, 5)... **ნ**. მარის „ძირითადი ტაბულები“ საინტერესო დაკვირვებებს შეიცავს, მაგრამ არა გვაქვს საფუძველი, გავიზიაროთ ავტორის აზრი, თითქოს სემიტურ ენებთან ქართულის ნათესაობამ შესაძლებელი გახადა „ჩავსწვდომოდით, ბოლოს და ბოლოს, ქართული ენის აგებულებას და გავგეხსნა ყველაზე რთული საკითხები ქართული გრამატიკისა, რომელთა გადაწყვეტა თითქოსდა შეუძლებელი იყო, ასე, მაგალ., ქართული ზმნის უღვლილება („ძირით. ტაბ.“, გვ. 7).

„წინასწარი ცნობა ქართულის სემიტურთან ნათესაობის შესახებ“ იწყება ზოგადი დებულებით, სადაც განმარტებულია ხასიათი ამ ნათესაობისა, და ქართულ-ქართველურის აღსანიშნავად ნახმარია ტერმინი იაფეტური: ქართველური ანუ ივერიული ჯგუფი (ანუ უფრო ზუსტად: ქართვების, ივერიული და სვანური ჯგუფები) ცალკე შტოს შეადგენს; ამ შტოში შემოდის აგრეთვე ამჟამად მკვდარი ენები: ლურსმულ წარწერებში შენახული სუზური (ანუ ელამური),¹ წინარე-არიული ენა სომხეთისა, ამჟამად ცოცხალ ნარევი ენაში, სომხურში, წარმოდგენილი... ამ შტოს ნ. მარი პირობითად იაფეტურს უწოდებს;² წინა აზიაში ინდო-ევროპელთა გამოჩენამდე იაფეტური შტო უშუალო კონტაქტში იყო სემიტურ ენებთანაო. მე განგებ ვხმარობ, წერს ნ. მარი, ტერმინს „შტო“ და არა „ოჯახი“, რადგანაც სემიტურიცა და იაფეტურიც ერთისა და იმავე ოჯახის გამოცალკეებულ შტოებად გვევლინება; ამ ოჯახის სახელწოდება დასადგენია, თუ არ ვისურვებდით მისთვის თანამიმდევრობის დასაცავად გვეწოდებინა ნოეტური ოჯახი — კვლავ ბიბლიურ ტერმინოლოგიაზე დაყრდნობით („ძირით. ტაბ.“, გვ. 1).

ამრიგად:

1. ქართველური ენები ენათესაება სემიტურ ენებს;
 2. ქართველური ენები ქმნიან ერთ შტოს (და არა — ოჯახს!); მეორე შტოს სემიტური ენები წარმოადგენენ;
 3. ორივე შტო ერთს („ნოეტურ“) ოჯახში შედის.
- ნ. მარმა ამით გახაზა სიახლოვე იაფეტურისა სემიტურთან... ამისათვის საჭირო აღმოჩნდა სემიტური ოჯახი გამოეცხადებინა სემიტურ შტოდ.

„ძირითად ტაბულებში“ ნ. მარი სემიტურს უდარებს ქართულს; აქაიქ თუ გამოერევა ჭანური, მეგრული, სვანური... სემიტური შტო შესწავლილია, იაფეტური — არა...

რაკი ნათესაობის ფაქტი დადგენილია — წერს ნ. მარი — „ამ მეტად რთული საკითხის სწორად და ყოველმხრივ დამუშავებისათვის უახლოეს მორიგ ამოცანად მე მესახება დადგენილ იქნეს რაც შეიძლება სრულ-

¹ სუზურ-ელამურის გარდა ტექსტში ერთგან ვანის ლურსმულ წარწერათა ენასაც იხსენიებს (გვ. 9).

² იაფეტური — წერს ნ. მარი — ამ ენებს უნდა ვუწოდოთ ძალა-უნებურად, სანამ მის მონათესავე ჯგუფს ეწოდება აგრეთვე პირობითად სემიტური, თუმცა — დასძენს ნ. მარი — ძველისძველი წარმომადგენლები ისეთ უცილობლად ქართ-ივერ-სვან ხალხებისა, როგორც არიან ივერები (სპირ-ები, ტიბარენ-ები, თუბალ-ები) და მესხები (მესხი; მოსოხ-ი), სახელდობრ, თუბალი და მოსოხი ბიბლიური გენეალოგიითაც (დაბად. 10, 2) არიან სემის ძმის, იაფეტის შვილები (გვ. 1, შენიშ. 2).

ლად ენათა იაფეტური შტოს თავისებურებები“ („ძირით. ტაბ.“, გვ. 8, ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**).

დასახული მიზნის შესაბამისად ნ. მარმა მეგრულის გამოკვლევა მიანდო იოსებ ყიფშიძეს, თვითონ კი ხელი მოჰკიდა ჭანურის შესწავლას, ჭანურის შემდეგ სვანურზე გაშალა მუშაობა.

ჭანურს ნ. მარი სწავლობდა 1909 წ. ადგილობრივ, თურქეთის ლაზისტანში: ჯერ ათინურს გაეცნო, შემდეგ ამოჰყვა ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ — იმუშავა ვიწეში, შემდეგ არქაბში, აქედან კი ხოფაში გადმოინაცვლა. ამ მუშაობის დროს ჭანების ყოფა-ცხოვრებასა და ადათ-წესებსაც აკვირდებოდა; მეტყველების კვლევა, პირველ ყოვლისა, ლექსიკით იწყებოდა: ამოწმებდა და ავსებდა ჰრაჩია აჭარიანის ლექსიკურ მასალას, აგრეთვე ტექსტებს (ტექსტები შედარებით ცოტა აქვს ჩაწერილი, სულ 43 გვ.; ამათში 29 გვ. პროზა: სასაუბრო მასალა, რუს. თარგმანითურთ).

1910 წ. გამოვიდა ნ. მარის „ჭანური (ლაზური) ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონით“ — *Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем* — სერიაში „მასალები იაფეტური ენათმეცნიერებისა“, ტ. II, გვ. VIII + XXVI + 240. იმავე 1910 წელს რუს. აკადემიის მოამბეში დაიბეჭდა შრომა „თურქეთის ჭანეთში მოგზაურობიდან. შთაბეჭდილებები და დაკვირვებანი“ — რუს. მეცნ. აკად. მოამბე, 1910, გვ. 547-570, 607-632.¹

ჭანურის გრამატიკა ტექსტების სიმცირის გამო ზოგ არსებით მოვლენას (მაგალ., „შედგობრივ დროთა წარმოების თავისებურებებს) უყურადღებოდ ტოვებს, მაგრამ ლექსიკას საკმაო სისრულით ასახავს და ზუსტად თარგმნის; საგრამატიკო სისტემა იგივეა, რაც „ძირითად ტაბულებში“ გვქონდა: სემიტურ ენათა სტრუქტურის პრინციპებს ემყარება. და მიანც, „ჭანურის გრამატიკა“ ნ. მარის ერთი საუკეთესო შრომათაგანია: მასალა თუმც უკმარია, მაგრამ — სანდო, გრამატიკის მიმოხილვა უფრო სრული და ზუსტია, ვინემ ჭანურის შესახებ მანამდე არსებულ ლიტერატურაში (გ. როზენისა და ჰრ. აჭარიანის შრომებში).

საყურადღებოა იაფეტურ ენათა კლასიფიკაცია, რომელიც „ჭანურის გრამატიკაშია“ წარმოდგენილი: ამჟამად არსებული ქართულის, მეგრულ-ჭანურისა და სვანურის ნაცვლად ნ. მარს დასახელებული აქვს ოთხი ჯგუფი: 1. ქაშდ-მოსოხური (ე. ი. ქართული და მესხური; მესხური შეერწყო ქართულსაო), 2. თუბალ-კაინური (ე. ი. ივერული ანუ მეგრული და ჭანური; აგრეთვე წინარე არიული ჰაიური), 3. სონ-სომეხური (ე. ი. სვა-

¹ Н. Марр. Из поездки в Турецкий Лазистан. Впечатления и наблюдения, — Изв. АН, 1910, гв. 547-570, 607-632.

ნური და წინარე-არიული არმენული) და 4. გამოუცნობ ენათა ჯგუფი¹ (ჭან. გრამ., წინასიტყვაობა, გვ. XXIII). ამრიგად, ყოველი ერთეულის ადგილას ცალკე ჯგუფია ნაჩვენები: ამოსავალ შერთული შედგენილობაა ნავარაუდევო, აწინდელი შედგენილობა გამარტივების შედეგად არის მიჩნეული, ე. ი. შეჭვარების პროცესს გამოუწვევია... ენათა ინტეგრაციის (კონვერგენციის) პროცესი, რაც ნ. მარმა ხუთმეტოდე წლის შემდეგ ენათა ევოლუციის ერთადერთ პროცესად გამოაცხადა, უკვე 1910 წელს ძალაშია და იძლევა იაფეტურ ენათა შედგენილობის თავისებურ გაგებას. რა თქმა უნდა, ქართველურ ენათა ისტორიული შედგენილობა შეიძლება სხვაგვარიც ყოფილიყო, ისტორიული კლასიფიკაცია არ გაიმეორებს ახლანდელს, მაგრამ ისტორიულ თვალსაზრისზე მდგომი მკვლევარი **ჭანურს, მეგრულსა და ქართულს** ერთ სიბრტყეზე ვერ დააყენებს. ჭანური და მეგრული იბერიულ-ქართულის გამონაყოფია და ამოსავალ ვითარებაში ცალკე ერთეულს (მით უფრო — ორს) ვერ შექმნის ქართულის გვერდით.

1911-1914 წ.წ. ზაფხულობით ნ. მარი მგზავრობს სვანეთში და აქ სწავლობს სვანურს (ჯერ ლაშხურს — არსენ ონიანის დახმარებით, შემდეგ — ინგურის ხეობის სვანურ სოფელთა მეტყველებას). ინტენსიური მუშაობის შედეგად ნ. მარმა სვანურის დიდძალი ლექსიკური მასალა შეაგროვა (სხვადასხვა სვანური თემის ვარიანტების აღნუსხვით) და რიგი სპეციალური წერილი უძღვნა სვანურს (სამწუხაროდ, შემაჯამებელი შრომა სვანურის შესახებ არ გამოუქვეყნებია). სვანურზე მუშაობას უკავშირდება და მეტ-ნაკლებად საყურადღებო დაკვირვებას შეიცავს წერილები:

1. „სად შემოგვენახა სვანური ბრუნება?“ Где сохранилось сванское склонение? — Изв. АН, 1911, გვ. 1199-1206...

2. „თუბალ-კაინური“ შენატანი სვანურში: 1. ჭანუ „ქმარი“; ჭიშხ „ფეხი“; განწუთ „ანწლი“ — Тубал-каинский вклад в сванском. I — Изв. АН, 1912, გვ. 1093-1097...

3. „სვანეთში მოგზაურობიდან“ (1911-1912 წ.წ.) — Из поездок в Сванию (летом 1911 и 1912 г.г.), Хр. Вост., I, გვ. 1-36...

4. უფრო გვიან, 1922 წ. დაიბეჭდა „ამონაკრები სვანურ-რუსული ლექსიკონიდან ა—ზ, ბ—ფ“ — „Извлечение из сванско-грузинского словаря“, МЯЯ, X, 1922 წ.

¹ იგულისხმებაო, შენიშნავს ნ. მარი, ისეთი ენები, რომლებიც ძველი საქართველოს და ძველი წინარე-არიული სომხეთის ფარგლებს გარეთ იყო გავრცელებული (მაგალ., ლურსმულ წარწერათა სუზური, ე. ი. ელამური), რომელთა ნათესაობა იაფეტურ ენებთან სავარაუდებელიაო.

5. „მცენარეთა და ხეების იაფეტური სახელები“ (ოღენ მრავლობითი) — „Яфетические названия деревьев и растений“ (Piuralin tantum), Изв. АН, 1915, გვ. 769-780, 821-852, 937-950...

6. „მოსოხთა გადმოსახლების თარიღისათვის სომხეთიდან სვანეთში“ — „К дате эмиграции мосохов из Армении в Сванию“, Изв. АН, 1916, გვ. 1689-1692.

7. „იაფეტურ ხალხთა სამხრეთ-კავკასიიდან ჩრდილო-კავკასიაში ადგილის გადანაცვლების ისტორიისათვის“ — „К истории передвижения яфетических народов с юга на север Кавказа“, Изв. АН, 1916, გვ. 1379-1408.

8. „ნაცვალსახელთა სესხება იაფეტურ ენებში“ — „Заимствование числительных в яфетических языках“, Изв. АН, 1913, გვ. 789-790.¹

1914 წ. გამოქვეყნდა იოსებ ყიფშიძის გამოკვლევა მეგრულის შესახებ (გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი) *Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, 1914, ХХІХ + 150 + 424 გვ.*

მეგრულის გრამატიკული მიმოხილვა ი. ყიფშიძის ამ მონოგრაფიაში შედარებით ჭანურისასთან (ნ. მარის შრომაში) უფრო სრულია (150 გვერდის მანძილზე ფონეტიკისა და მორფოლოგიის ყველა არსებითი მოვლენა აქვს ავტორს გაანალიზებული); ძირითადი პ რ ი ნ ც ი პ ე ბ ი და ს ი ს ტ ე მ ა სავესებით იგივეა, რაც ნ. მარის ჭანურ გრამატიკაში (იხ., მაგ., § 8: „ბგერათა სემასიოლოგია“... § 12: „ცხრა ბრუნვიდან ძირითადი სამი: სახელ., ნათეს., მიც.“... § 58: ზმნათა სუბიექტური და ობიექტური წყობის შესახებ... § 65: დართულ მეშველ ზმნათა: **ნ, რ, ს**-ს შესახებ: **ნ** ← **ცფნ**... **ქმნა**... **რ, ს**—არსებობა... § 69 — ჯიშების ანუ ქცევათა შესახებ... § 9, სადაც მეგრულში მდებარეობითი სქესის ნაშთებზეა ლაპარაკი: სუფ. **-აღ, -არ, -ოღ** → **-უღ, -ორ** → **-ურ**... სუფ. **-უ** ახლაც მამაკაცის სახელებს ახასიათებს — ძუკუ, **-ა** ქალისას: ძაკუ... ასევე: ბურდღუ და ბარდღა...).

„ქრესტომათიაში“ წარმოდგენილია ტექსტები, პროზაულიც (107 გვ.), ლექსებიც (108-184) სამურზაყანო-ზუგდიდურისა და სენაკური კილოკავების მიხედვით და მეგრულ-რუსული ლექსიკონი (191-424 გვ.; უკანასკნელი გვერდი უჭირავს მეგრული გვარების სიას).

„მეგრული ენა ეკუთვნის იაფეტურ ენათა შტოს ტუბალ-კაინურ ჯგუფს“ (§ 1). მეგრული ჭანურთან ერთად ქმნის იაფეტურ ენათა შტოს ერთ მთავარ ჯგუფს, თ უ ბ ა ლ - კ ა ი ნ უ რ ს; ამ სახელწოდებაში ბიბლიუ-

¹ 1911 წლიდან მოყოლებული ნ. მარი იწყებს წერილების ბეჭდვას სათაურით: „იაფეტური ელემენტები სომხეთის ენებში“ — „Яфетические элементы в языках Армении“ — სულ დაიბეჭდა 11 წერილი (უკანასკნელი 1919 წ.), ყველა აკად. მოაზებში Изв. АН (შინაარსით თითქმის ყველა ლექსიკურ ფაქტებს ეხება).

რი „კაინური“ უდრის „ჭანურს“, „თუბალური“ — „მეგრულს“, ივერიულის მეშვეობით: „სხვადასხვა გვარი ფონეტიკური ცვლით ივერ || იბერ || იმერ-ისაგან მივიღეთ **გურ** (*გვერ) და გერ“, რაიც ე-გერ- (ე. ი. ეგრისში) გვაქვსო, — წერს ი. ყიფშიძე (ნ. მარის შრომაზე მითითებით: „ნათლისღება სომეხთა, ქართველთა, აფხაზთა და ალანთა“...), წინასიტყვ., გვ. XIII-XIV... ამიტომია, რომ წიგნს ეწოდება „მეგრულის (ივერულის) გრამატიკა“. (ივერული, როგორც მეგრულის სინონიმი, უმართებულოა).

ი. ყიფშიძის ვრცელი მონოგრაფია, მიუხედავად შეუფერებელი პრინციპებისა, რაც მას საფუძვლად უდევს, დღემდის რჩება მეგრულის სრულ მიმოხილვად.

ქართველურ ენათა გარდა იაფეტურ შტოს ნ. მარი 1908 წ. („ძირითად ტაბულეზში“) განუკუთვნებდა — ჰიპოთეტურად — წარწერებში დაცულ სუზურს ანუ ელამურს (ისევე, როგორც წინარე არიულ ენას სომხეთისა).

„ჭანური ენის გრამატიკაში“ 1910 წ. ნ. მარი წერდა: ჭანურში მე ვპოულობდი და ახლაც ვპოულობ შეხების ყველაზე მეტ წერტილებს ე. წ. სუზური წარწერების ენასთან; ასეთი შეხება გვაქვს, კერძოდ, მრავლ. რიცხვის **pe**-ში — ჭან. ფე... („წინასიტყვ.“, გვ. XI)¹.

სუზურის ანუ ელამურის ინტერპრეტაცია იაფეტური თეორიის თვალსაზრისით ნ. მარმა სცადა გამოკვლევაში „აქემენიდთა ლურსმული წარწერების მეორე რიგის ენის განსაზღვრა იაფეტური ენათმეცნიერების მონაცემთა მიხედვით. წინასწარი ცნობა“... „**Определение языка второй категории Ахеменидских клинообразных надписей по данным яфетического языкознания... Предварительное сообщение**“, Зап. Вост. Отд. Рус. Археол. Общ. XXII, გვ. 31-106. შრომა მოხსენდა რუსული არქეოლოგიური საზოგადოების აღმოსავლურ განყოფილებას 1912 წელს, დაიბეჭდა 1914 წ.

ნ. მარის ეს შრომა საინტერესოა, პირველ ყოვლისა, იმიტ, რაც ცოცხალი იაფეტური ენების შესახებ არის ნათქვამი. კერძოდ, აქ არის მოცემული ქართველურ ენათა ფონეტიკური ნიშნის მიხედვით დახასიათება: სიბილანტური: **ს**—ენა (ქართველისა) და **შ**—ენა (თუბ.-კაინური: ე. ი. მეგრ.-ჭანური) და სპირანტული **ქ** (|| **ხ**, **ჭ**) — სვანურის ძირითადი ფენისა: ქართ. **ს**ულ-ი — მეგრ. **შ**ურ-ი, დიალ. **შ**უნჯ-ო (ჰაიურისა და არმენული ენების იაფეტურ ფენაშია დაცულიო, შენიშნავს ნ. მარი) — სვან. **ქ**უნ... → **ქ**ვინ...

¹ ჭანურში მრავლობითის ნიშანია **-ეფ** (ქართ. **-ებ**-ის ფონეტიკური სახესხვაობა) და არა **ფე**. ბოლოკიდური **-ე** (**ფე**) სახელობ. ბრ. ნიშანია... სუფ. **-ეფ** წინამავალ ფუძისეულ ხმოვანთან შეხვედრისას იკარგება. დაწვრილებით „ჭანურის გრამატ. ანალიზი“, 1936, § 11, გვ. 49-50.

მაგრამ ამ ძირითად ფონეტიკურ ფარდობას, — წერს ნ. მარი, — ართულებს დიალექტური ვარიაციები... დიალექტურ შეჯვარებას ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ ერთი ენის ფარგლებში, შეჯვარების პროცესს ადგილი ჰქონდა ერთი და იმავე ჯგუფის სხვადასხვა ენებში, სხვადასხვა ჯგუფის ენებში... შეჯვარებულ ელემენტთა ფარდობა ისეთი იყო, რომ შედეგად ზოგჯერ ნარევი ტიპის იაფეტური ენას ვიღებდით (ასე, მაგალ., სვანურში სპირანტული ჯგუფის ძირითადი ფენა, აფხაზური ენის იაფეტური ფენის რიგისა, შეუდუღდა თუბალ-კაინურს, სიბილანტური ჯგუფის შიშინა ჯგუფისას... უფრო სუსტი გავლენა რომელიღაც იაფეტური ენისა ეტყობა ქართულს (მრავლ. -ებ)... მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა, თავის მხრივ, ქართული სხვა ენებზე — მისივე თუ სხვა ჯგუფისა... „და საერთოდ, არ მოიპოვება ისეთი იაფეტური ენა, რომელსაც არ განეცადოს გავლენა, მეტი თუ ნაკლები, სხვა იაფეტური ენისა, არა თუ ლექსიკაში, არამედ გრამატიკაშიც“ (ნ. მარი, რჩ. შრ., I, გვ. 56)...

კვლევა-ძიებას ისიც ართულებს, — წერს ნ. მარი, — რომ ზოგი იაფეტური ენა უკვალოდ გამქრალა, ზოგს კიდევ კვალი დაუტოვებია ნარევი ენაში, მაგალ., ინდო-ევროპულ ჰაიურსა და სომხურში; ანდა იაფეტურს შერევია ენა, „ერთის შეხედვით, რაღაც სხვა ოჯახისა, მაგალ., აფხაზური“ (იქვე).

როგორც მოხსენებული ადგილებიდან ჩანს, ნ. მარი ამ შრომაში (1912 წ.) უფრო გახაზავს ენა-კილოთა შეჯვარების როლსა და მნიშვნელობას, ვინემ ჰანურის გრამატიკაში (1910 წ.), მაგრამ შეჯვარება არა ჩანს გამიჯნული ერთი ენის მეორეზე გავლენისაგან...

ამავე შრომაში გაკვრით ნათქვამია: ზოგს რასმე არსებითს მივალწით არა მხოლოდ აქემენიდთა წარწერების მეორე რიგის ენის განმარტების მხრივ, არამედ იქნებ მეტიც გაირკვა ვანის ლურსმულ წარწერათა (ე. ი. ურარტულის) შესწავლის მხრივ, მაგრამ აქემენიდთა წარწერებს უპირატესობა მივეცი, რაკი პარალელური ტექსტი ორს, უკვე გარკვეულ ენაზე არის მოცემული და ტექსტის წაკითხვა უკეთ არის დადგენილი (გვ. 57).

§ 33. იაფეტური თეორიის ევოლუციის მეორე, კავკასიოლოგიური, ეტაპი.

სათანადო შეხედულებები ჩამოყალიბებულია ნ. მარის შრომაში: „კავკასიისმცოდნეობა და აფხაზური ენა“ („Кавказоведение и абхазский язык“) — დაიბეჭდა რუსეთის სახალხო განათლების სამინისტროს ყურნალში 1916 წელს № 5-ში; მოხსენებად იყო წაკითხული სოხუმში („სოხუმის ოლქის ბუნებისა და მოსახლეობის მკვლევართა და მოყვარულთა სა-

ზოგადობის“ თხოვნის პასუხად: აფხაზეთში მუშაობის შედეგებს გაგვაცანითო, მიუმართავთ ნ. მარისათვის, როდესაც იგი 1915 წლის დამლევსა და 1916 წლის დასაწყისში მუშაობდა გუდაუთაში, ამოწმებდა აფხაზური ენის ბზიფური დიალექტის მასალას).

როცა ნ. მარი ქართული ენის ნათესაობას სემიტურ ენებთან ასაბუთებდა 1908 წელს, მას არც აფხაზურის და არც მთის კავკასიური სხვა ენის შესახებ აქვს რაიმე ნათქვამი: ამ ენათა საკითხი ნ. მარისთვის მაშინ არ იდგა: ქართული, მეგრულ-ჭანური და სვანურით იყო შემოფარგლული კვლევა-ძიების არე. ამ წრეს თუ სცილდებოდა ნ. მარი, მხოლოდ ერთი მიმართულებით: ივარაუდებოდა წინა აზიის მკვდარი ენები ლურსმული წარწერებისა (სუზური ანუ ელამური...) და წინარე ინდო-ევროპული ენა სომხეთის ძველ მიწაწყალზე, რომელთა ნათესაობასაც ქართულთან ნ. მარი ვარაუდობდა... ცოცხალ ენათა წყება კავკასიის მთიანეთში ნ. მარისთვის მაშინ (1908 წ.) თითქოს არ არსებობდა. ეს მით უფრო უცნაურია, რომ ამ ენებს ქართველურ ენებთან ერთად, როგორც „კავკასიურ ენებს“ განიხილავდა XIX ს. მეორე ნახევარში ავტორთა წყება (პ. უსლარი, ფრ. მიულერი, რიხ. ერკერტი, პ. შუხარდტი... XX ს. დასაწყისში ად. დირი..., სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ)... ნ. მარმა მაშინ უყურადღებოდ დატოვა მთის იბერიულ-კავკასიური ენები და მათი მიმართების საკითხი ქართველურ ენებთან, აგრეთვე სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული აზრი... თვით ქართველურ ენათაგან არსებითად მხოლოდ ქართულის მასალა იყო შედარებული სემიტურთან და ამ შედარებით მარტივი გზით ცდილობდა ნ. მარი ეჩვენებინა, რომ ქართული სემიტურის არა თუ მონათესავეა, არამედ ახლო მონათესავეც კი, იმდენად ახლო, რომ იაფეტური-ქართველური და სემიტური ერთი ოჯახის ორ შტოდ იყო გამოცხადებული...

ასე იყო 1908 წელს. შემდგომს წლებში ნ. მარი, როგორც ითქვა, გატაცებით მუშაობდა ჯერ ჭანურზე, მერე სვანურზე (მკვდარ ენათაგან — ელამურსა და ურარტულზე)... მაგრამ უკვე 1912 წელს აფხაზურის საკითხი შემოიჭრა კვლევა-ძიების არეში: ეს გამოიწვია პეტრე ჭარაიას შრომის სარედაქციო დამუშავებამ. პ. ჭარაიას ეს შრომა (აფხაზური ენის მიმართების შესახებ ქართველურ ენებთან) პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ-ფილოლოგიური განყოფილების დადგენილების — (1894 წლის 13 აპრილის დადგენილების!) — თანახმად დაიბეჭდა 1912 წელს ნ. მარის რედაქციით (იხ. წინასიტყვაობა რედაქტორისა, გვ. V) სერიაში „იაფეტური ენათმეცნიერების მასალები“, IV; სათაურიც სათანადოდ არის შეცვლილი: „აფხაზური ენის მიმართების შესახებ იაფეტურ ენებთან (П. Чарая. „Об отношении абхазского языка к яфетическим“, 1912, გვ. VIII + 82).

რედაქტორის წინასიტყვაობაში ნ. მარი წერს: მოძველებული ტერმინები „ქართული საერთოდ“ ანუ „ივერიული“ ანუ „ქართველური“ შეცვლილი მაქვს ტერმინით „იაფეტური“; უარყოფილი ტერმინები არა მხოლოდ დაძველებულია, არამედ „ქმნიან ყალბ წარმოდგენას“ ამ სახელწოდებით აღნიშნულ ენათა შესახებ (წინასიტყვაობა, გვ. VI).

პ. ჭარაიას ტექსტში რედაქტორს შეაქვს ცვლილებები; ხშირად ეს ცვლილება სრულიად აბათილებს პ. ჭარაიას აზრს: „ზოგჯერ ავტორის აზრი დიამეტრალურად ეწინააღმდეგება რედაქტორისას, მაგრამ ასეთ შემთხვევებშიც“ — რაკი კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული რედაქტორის აზრი — „მკითხველს სრული შესაძლებლობა აქვს გაიცნოს პ. ჭარაიას ნამდვილი აზრიც და მათი გადამუშავებაც ფორმის მხრივ თუ არსებითად“ (წინასიტყვ., გვ. V)¹.

პ. ჭარაიას გათვალისწინებული ჰქონდა, რომ „ჩრდილოეთ კავკასიის ენები იყოფა აღმოსავლურ-კავკასიურ და დასავლურ-კავკასიურად; ამ უკანასკნელს ეკუთვნის ჩერქეზული, უბიხური და აფხაზური (გვ. 3); რომ მეორე ჯგუფს ქართული და მისი მონათესავე ენები შეადგენს; რომ ჩრდილო-კავკასიური ენები შორეულ ნათესაობას ამჟღავნებენ ერთმანეთთან, „სამხრულ-კავკასიური ენები“ კი ისე მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს, რომ შეიძლება იქნენ განხილული, როგორც ერთი და იმავე ენის დიალექტები“; რომ ამ ჯგუფის (ნ. მარს დაუმატებია: „ორი გეოგრაფიულად მეზობელი ჯგუფის“) ენების აგებულება მეტ-ნაკლებად შესწავლილია, მაგრამ ამ ჯგუფთა ურთიერთობა ნაკლებად არის შესწავლილი (გვ. 3)... პ. ჭარაია აღნიშნავს, რომ „ერთგვარ ნათესაობას აფხაზურისა ქართულთან“ გრძნობდა ჯერ კიდევ პ. უსლარი; რომ გ. როზენი „უფრო გაბედულად აახლოებდა“ აფხაზურს ქართულთან (გვ. 4)... პ. ჭარაია ფიქრობს, რომ ამ ავტორთა ვარაუდები მართლდება: „აფხაზური ენა წარმომავლობის მხრივ ამჟღავნებს ნათესაობის ნიშნებს ქართველურ (ნ. მარი: იაფეტურ) ენებთან“

¹ ამგვარი სარედაქციო ოპერაციის შედეგად, მაგალ., გვაქვს: „§ 15. აფხაზური სრულიად მოკლებულია ფლექსიას ყველა უმთავრესი ბრუნვებისათვის: არც ნათესაობითისა და არც მიცემითისათვის მას არა აქვს საგანგებო დაბოლოება 'მაგრამ არის იმის ნიშნები, რომ აფხაზურსაც ოდესღაც ჰქონდა ბრუნება',“ გვ. 60... ფრჩხილებში ნ. მარის აზრია, მას კორექტივი შეაქვს...

თუ პ. ჭარაიას ეწერა: „შემასმენლობითი ბრუნვა (ე. ი. აკუზატივი — ა. ჩ.) სრულებით არ მოეპოვება აფხაზურს ისევე, როგორც ქართველურ ენებსაც“ (გვ. 61), სარედაქციო ცვლილებათა შეტანის შემდეგ ვიღებთ ასეთ ტექსტს: „შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ შემასმენლობითი ბრუნვა სრულებით არ მოეპოვება აფხაზურს ისევე, როგორც იაფეტურს ენებსაცო 'მაგრამ იაფეტური ენების შესახებ უნდა ვთქვათ, რომ მათ აქვთ ობიექტური ბრუნვა, რომელიც ერთდროულად მიცემითიც არის და შემასმენლობითიც; ჩვეულებრივად მას უწოდებენ მიცემითს“...

(გვ. 5)... ამას კი ჩრდილო-კავკასიური ენებისა და სამხრეთ-კავკასიური ენების ურთიერთობის თვალსაზრისით აქვს მნიშვნელობა.

პ. ჭარაიას ნათლად აქვს გათვალისწინებული, რომ ორი ენის ნათესაობის დასადგენად უნდა გამოვიკვლიოთ და შევადაროთ ენის ორივე მხარე: მატერიალური ანუ ლექსიკური და ფორმალური ანუ გრამატიკული (გვ. 5), რომ ლექსიკა უფრო ცვალებადია (იქვე), გრამატიკული მხარე — ნაკლებ ცვალებადი და უფრო დაცულიცაა ნასესხები მასალისაგან და ამიტომ გრამატიკული წყობის შედარება „ნათესაური ურთიერთობის გასარკვევად უფრო მნიშვნელოვანია“ (გვ. 6).

პ. ჭარაია უდარებს აფხაზურის ლექსიკას ქართულისა (თუ სხვა ქართველური ენებისას), — სულ 141 ერთეულია შედარებული, — ფონეტიკურ სისტემას, აგრეთვე მორფოლოგიურ მოვლენებს, — სახელებში, განსაკუთრებით ზმნებში, — და გარკვეულ დასკვნას იძლევა: „თუ როზენისა და უსლარის წინაგრძობა, რომელსაც ჩვენი ვარაუდი განმტკიცებს, სწორი აღმოჩნდება, ე. ი. თუ აფხაზური ენა ენათესავება ქართულს, მაშინ, თუ ვივარაუდებთ ყველა ჩრდილო-კავკასიური ენების (აღმოსავლურ-კავკასიური და დასავლეთ-კავკასიური ჯგუფების) ნათესაობას, კითხვა: „რა ოჯახის ენებს ეკუთვნის ერთ-ერთი კავკასიური ენა, მაგალ., ქართული“, მიგვახლოვებდა კითხვასთან: „რა ოჯახს ეკუთვნის, საერთოდ, ყველა კავკასიური ენა?“ (გვ. 70-71, შწმ. 1).

ერთი სიტყვით, პ. ჭარაია თანამიმდევრულად მსჯელობს: ქართულს თუ აფხაზური ენათესავება, აფხაზური კიდევ ჩრდილო-კავკასიური ენების მონათესავეა, მაშინ ერთ-ერთი კავკასიური ენის (მაგალ., ქართულის) სხვა ოჯახის ენებთან ურთიერთობა გაარკვევდა საერთოდ კავკასიური ენების ურთიერთობას სხვა ენებთან (ე. ი. კავკასიურ ენათა ადგილს გენეალოგიურ კლასიფიკაციაში).

პ. ჭარაიას სიტყვები ნ. მარს შენიშვნაში ჩამოუტანია: „დაძველებულ ტერმინებშია გამოთქმული და უკვე დაგვიანებულ იმედებს გამოთქვამს: ქართულისა და მისი მონათესავე ენების წარმომავლობა უკვე გარკვეულიაო (გვ. 71, შწმ. 1; ხაზი ჩვენია — ა. ჩ.). ამისდა კვალად ნ. მარს

პ. ჭარაიას ტექსტის დასასრული ასე აქვს გადაკეთებული: თუ აფხაზური ქართულს ენათესავება, ვინც ფიქრობს, რომ ჩრდილო-კავკასიური ენები ერთმანეთის მონათესავეა... „და მათ შორის აფხაზურისა, ბუნებრივად უნდა აღიარონ, ჯერ ერთი, რომ ჩრდილო-კავკასიის ენები ეკუთვნის ნოეს ოჯახის იაფეტურ შტოს, და... მეორეცაა-და, მათ უნდა დასვან საკითხი, ერთის მხრით, მათი ადგილის შესახებ იაფეტურ ენათა შორის, მეორე მხრით — მათი მიმართების შესახებ არა მხოლოდ სემიტურ ენებთან, არამედ ქამიტურ ენებთანაც“ გვ. 71.

ერთი სიტყვით, თუ პ. ჭარაია აფხაზურის ქართულთან ნათესაობის საკითხს კავკასიოლოგიურ სიბრტყეში სვამდა, ნ. მარმა მას დააკისრა: აფხაზურის ურთიერთობა სემიტურ და ქამიტურ ენებთან უნდა გაარკვიო, თუ აფხაზური ქართულს (იაფეტურს) ენათესავებაო... ნ. მარი სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა: სემიტურისაგან მოწყვეტით ნ. მარს ქართულის განხილვა ვერ წარმოედგინა; რაც ქართულს დაუკავშირდებოდა, სემიტურს (და ქამიტურს) უნდა დაკავშირებოდა; კავკასიოლოგიური მიდგომა კავკასიის ენებისადმი ნ. მარს (ამ წლებში) არ შეეძლო. არაა ოღონდ გასაგები, რატომ ახვევდა ის ამ თვალსაზრისს პ. ჭარაიას.

რამდენად სარწმუნო ეჩვენა ნ. მარს პ. ჭარაიას ვარაუდი: აფხაზური ქართულს ენათესავებაო? ნ. მარი პ. ჭარაიას ვარაუდის გამო ფრთხილად შენიშნავს: „რასაკვირველია, ეს ნათესაობა არ არის ერთგვარი სხვადასხვა იაფეტურ ენასთან: ზოგთან აფხაზური უფრო ახლოსაა, განსაკუთრებით — სვანურთან, სხვებს — შორდება. როგორც ცნობილია, იაფეტურ ენათა უფრო ახლო ანდა უფრო შორეული ნათესაობა დამოკიდებულია იმაზე, ეკუთვნიან ისინი ერთ ჯგუფს თუ სხვადასხვას. ეკუთვნოდა თუ არა აფხაზური ენა სვანურ ჯგუფს, რომელთანაც ის უფრო ახლოსაა, და შემდეგ დაშორდა მას სხვა წარმომავლობის ენათა გავლენით, თუ აფხაზური სხვა რაღაც ენებთან ერთად ცალკე ჯგუფს ქმნიდა, ეს მომავლის საკითხიაო. აფხაზურის ქართულთან ნათესაობის საფეხურის საკითხს პ. ჭარაიაც არსებითად იმავე გვარად (в том же духе) განიხილავს, მაგრამ მოძველებული რედაქციითაო...“ (გვ. 70, შნშ. 1).

პ. ჭარაიას შრომას აფხაზურის ქართულთან ნათესაობის შესახებ ნ. მარი არა მხოლოდ სარედაქციო შენიშვნებით გამოეხმაურა. იმავე 1912 წელს ნ. მარმა დაბეჭდა ცალკე შრომა: „აფხაზური ენის ადგილის საკითხისათვის იაფეტურ ენათა შორის“ („К вопросу о положении абхазского языка среди яфетических“, МЯЯ, V, СПб, 1912, 51 გვ.). ნ. მარი ასე იწყებს: „აფხაზური ენის იაფეტურ ენებთან ნათესაობის საკითხი წინათ შეუძლებელი იყო მეცნიერულად ყოფილიყო დასმული. მეცნიერებაში არა თუ ტერმინი „იაფეტური“ არ იყო ჯერ კიდევ ცნობილი, არამედ არ არსებობდა გარკვეული და ნათელი წარმოდგენა თვით იმ ენების, ქართულისა და მისი მონათესავე ენების შესახებ, რომლებიც შეადგენენ ნოეს ოჯახის იაფეტურ შტოს“ (გვ. 1). „გარკვეული და ნათელი წარმოდგენა“ ქართულის სემიტურ ენებთან ნათესაობამ შექმნა ნ. მარის აზრით: ნოეს ოჯახის იაფეტურ შტოდ მიჩნევა ქართულისა განსაზღვრავს ნ. მარის პოზიციას. გ. როზენი იცავდა აფხაზურის ნათესაობას ქართულთან, — წერს ნ. მარი, — მაგრამ ის კატეგორიულად უარყოფდა აფხ. ა-აბ „ამა“ სიტყვის კავშირს

არაბულთან — შემთხვევითი მსგავსებააო; სიფრთხილეს ზოგჯერ მიყვავართ არანაკლებ მცდარ დებულებებთან, ვინემ ზედმეტ სითამამესაო. „ახლა ჩვენთვის ცხადია, რომ, რაკი აფხაზური რაიმე სახის ნათესაობაში (ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**) იმყოფება იაფეტურთან, იაფეტური კი ენათესავება სემიტურს, უნდა მოვიყვანოთ დადებითი ფაქტები და არ დავჯერდეთ ცარიელ განცხადებას, რომ ბგერითი მსგავსება ამ შემთხვევაში მივიჩნიოთ შემთხვევითად, ფაქტები კი ჩვენ გვარწმუნებენ, რომ ბგერითი მსგავსება არაა შემთხვევითი“ (გვ. 1-2).

დამახასიათებელია: აფხაზურის „რაიმე სახის ნათესაობა“ იაფეტურთან და აფხაზური სიტყვის (**ა**-აბ „მამა“) სემიტურთან კატეგორიული გაიგივება. აფხაზურის ქართულთან სიახლოვის ყოველ ფაქტს ნ. მარი ამოწმებს და აფასებს სემიტურთან (იაფეტურის) ურთიერთობის თვალსაზრისით: მიზანია — იაფეტურ-სემიტური ნათესაობის დებულება არ შეირყეს. „რომელიმე ენის ნათესაობის (წარმოშობითი კავშირის) დამტკიცება მეცნიერულად ახლა უფრო ძნელია, ვინემ ეს წინათ ჩანდაო“ (გვ. 4): გასაგებია, რატომ.

ნ. მარი ეკამათება პ. უსლარსა და პ. ჭარაიას (გვ. 3-4): აფხაზურ ენაში ძველ ვითარებას, არქაულ მდგომარეობას ხედავდნენ მაშინ, როდესაც აფხაზურის მორფოლოგია გაცვეთილია, აფხაზურმა დიდი ხანია მიაღწია ევროპის ახალი ენების მდგომარეობას და არამეული დიალექტების ვითარებას სემიტურ ენებში, „საერთოდ, აფხაზური გვიჩვენებს განვითარების უკიდურეს საფეხურსაო“ (გვ. 2; ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**)¹.

პ. უსლარი სუსტად ერკვეოდა, — წერს ნ. მარი, — ისეთ მარტივ სფეროში იაფეტური ენებისა, როგორც არის ბრუნება. უსლარი წერდა: შემასმენლობითი ბრუნვა (ე. ი. აკუზატივი) არა გვაქვს აფხაზურში, თვისება, რომელიც ყველა ადგილობრივი ენისათვის... საერთოაო... აქ ქართულიც და მისი მონათესავე იაფეტური ენებიც იგულისხმება, ქართულში კი გვაქვს მიცემითი: სახელდობრ — ობიექტური ბრუნვა. ესაა მიცემითიც და შემასმენლობითიც, და ქართულში შემასმენლობითი ბრუნვის არსებობის უარყოფა ნიშნავს ქართული ბრუნების ელემენტების არცოდნას. უფრო ცხადი და უფრო სწორი არც პ. ჭარაიას თეორიული მსჯელობაა აფხაზური ბრუნების შესახებაო, წერს ნ. მარი (იქვე, გვ. 3; ასე აფასებს ნ. მარი პ. ჭარაიას უდაოდ სწორ დებუ-

¹ უფრო გვიან ნ. მარი ასევე კატეგორიულად აცხადებდა: აფხაზურში არქაული ვითარებაა დაცულიო, ე. ი. პ. ჭარაიას იმ აზრს იცავდა, რასაც 1912 წ. უარყოფდა.

მართლაც, აფხაზურში ფუძის ბგერის შედგენილობას დიდი ცვლილება აქვს გამოვლილი, მაგრამ სახელისა და ზმნის მორფოლოგია არსებითად არქაულ ვითარებას წარმოგვიდგენს.

ლებას: „აფხაზური ენა მოკლებულია ფლექსიებს თითქმის ყველა უმთავრესი ბრუნვისათვის: არც ნათესაობითისა და არც მიცემითისათვის მას არა აქვს ცალკე დაბოლოება“: პ. ჭარაია, გვ. 60).

ნ. მარი ეძებს იაფეტურ (უკეთ: სემიტურ) ნიშნებს — სახელობითისა (**უ**), ნათესაობითისა (**ო**) და მიცემითისა (**ა**): თუ აფხაზური იაფეტური ენაა, ეს სამი ძირითადი ბრუნვა უნდა ჰქონოდა და საამისო ნიშნებიც უნდა აღმოაჩნდეს... ნ. მარი მათ ვერ პოულობს: „საერთო იაფეტური ბრუნების ელემენტებისაგან აფხაზურში შემოგვრჩა მეტად სუსტი, მეტსაც ვიტყვი — ისეთი გადმონაშთები, რომლებიც საეჭვოდ გამოიყურებაო“ (§ 6; გვ. 10).

სახელობ. **-უ** და ნათესაობითის **-ო** ნ. მარმა ვერსად გამოყო; მიცემითის **ა**-ს დაუკავშირა **-ყნ-** თანდებულის წინამავალი **ა** უგონოთა სახელებთან: ადგილ **ა-ყნ** „მიწა“ (89, გვ. 23), თუმცა ადამიანის სახელთან იგივე თანდებული **ო-ხმოვნინია**: ს-აბ ი-ყნ „მამაჩემთან“...(**ა-** და **ო-**კუთვნილებითი ნაცვალსახელოვანი ნაწილაკებია; ისინი საბრუნებელ სიტყვასთან არ დაისმის; ნ. მარი კი მიმართების ნაცვალსახელოვან ნაწილაკს **ო**-ს განასხვავებს ნათეს. ბრუნვის სუფიქსის **ო**-საგან — § 6, გვ. 10).

რაც შეეხება ბრუნვის ნიშანთა თანხმონითს ელემენტებს, ნ. მარი წერს: „ბრუნების გადმონაშთებში აფხაზურმა შემოგვინახა არა ერთი სახე ბრუნვის დაბოლოების თანხმონითი ელემენტებისა; მაგრამ დიდი ხანია გამორკვეულია, რომ ასეთ ელემენტებს ერთი იაფეტური ჯგუფი სესხულობდა მეორისაგან, და ისეთი, ჯერ-ჯერობით ს ა დ ა ო ი ა ფ ე ტ უ რ ი ენის შესახებ, როგორცაა ა ფ ხ ა ზ უ რ ი, შეიძლება დავსვათ საკითხი: ხომ არ არის ბრუნვის ნიშანთა თანხმონითი ელემენტები, რომელნიც იაფეტურად გამოიყურებიან, ყველა ნასესხები“ (§ 6, გვ. 11). მაგალითად მოჰყავს: ქართების მიც. გს: აბ-გს „მამად“ (გვ. 11-12), აგრეთვე ტ^გ, ნ || ლ, ლა... (გვ. 12-13)...

სახელთა მრავლობითის **ც** და **ქ** ელემენტები აფხაზურისა ნ. მარს იაფეტურად მიაჩნია და უდარებს მათ სომხურის **ც** და **ქ**-ს, აგრეთვე კოლ-**ხ**, ტაო-**ხ**-ის **ხ** სუფიქსს (გვ. 14-15).

უღვლილების შესახებ ნ. მარი ფიქრობს, რომ „თანავგარობა (сродство) აფხაზური უღვლილებისა იაფეტურთან ეჭვს გარეშეა“ (§ 10, გვ. 24: „თანავგარობა“ და არა „ნათესაობა“!) და დასძენს: საქმის არსს რაც შეეხება, ჯერ იაფეტურ ენათა ზმნების მეტად რთული მორფოლოგია უნდა იყოს წინასწარ გათვალისწინებულიო (იქვე, გვ. 24)... ნ. მარი აფხაზურ ზმნას განმარტავს, როგორც აღწერთს: **-უბ** და **-უფ** ფუძეს შეზრდილი მიმღობის ფორმებიაო („მკეთებელი“; „ქმნადის“ მნიშვნელობისა § 10, გვ. 24-25): **ს-გყო-უბ** „გ-არსებობ“... ამრიგად, ქართულთან საერთო პრინციპი დაიძებნა. ნამყო უსრულის **-ნ** აფხაზურში და ძვ. ქართულის სათანადო ფორმანტი, ნატვრითის **დ-** (**დე**) აკავშირებს აფხაზურს იაფეტურთანო (გვ. 25) და ა. შ.

აფხაზური ძირები ორ ანდა ცალ-თანხმოვნიანია: ესაა ფონეტიკურად გაცვეთის შედეგი (§ 15, გვ. 33) ...ფონეტიკური ფარდობის თვალსაზრისით (ე. ი. სიბილანტური — სისინა, შიშინა, სპირანტული) აფხაზური ხან ქართების ჯგუფს ემხრობა, ხან თუბალ-კაინურს, ხან — სვანურს... მაინც „ამ ძირითად საკითხზე ამომწურავი პასუხი შეიძლება გაიცეს აფხაზურის მასალის უფრო გაღრმავებული შესწავლის შემდეგაო“, წერს ნ. მარი (§ 18, გვ. 37).

საერთო დასკვნა ნ. მარისა პირობითი ხასიათისაა: მხოლოდ მომავალი კვლევა-ძიება გაარკვევს — აფხაზი-იაფეტიდები შერწყმული არიან სხვა იაფეტური ჯგუფის ტომებთან თუ — სულ სხვა რასის ტომებთანაო (§ 20, გვ. 42-43), ე. ი. სვანურისებური ვითარება გვაქვს თუ სომხურისებურიო... ამჟამად კი საქმე ასე წარმოგვიდგება: აფხაზურში — ი ა ფ ე ტ უ რ ი შ ე რ წ ყ მ ი ა ა რ ა ი ა ფ ე ტ უ რ ე ნ ა ს. თვით ი მ ი ა ფ ე ტ უ რ ე ნ ა შ ი სამი შრე გვაქვს: ერთი — ქართების ჯგუფს ემხრობა, მეორე — თუბალ-კაინურს; მესამე, ყველაზე არსებითი („ყველაზე უფრო რომ გამჭვალავს აფხაზურს“) მჭიდროდ ენათესავება სვანურს და ჰაიურისა და არმენულის წინარე-არიულ გადმონაშთებსაო... როგორც ნასესხები, ისე ძირითადი იაფეტური ელემენტები ცხადყოფენ, რომ აფხაზური, რამდენადაც ის იაფეტურ შტოს წარმოგვიდგენს, არა თუ მოდის შორეული სამხრეთიდან, არამედ წარმოქმნილა იქ იაფეტური ენის რთულ ტიპად, რომელშიაც დალექილა სხვადასხვა იაფეტური ჯგუფების თავისებურებანიო (§ 20, გვ. 43).

ამრიგად: პ. ჭარაიას შრომის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით ნ. მარმა დამოუკიდებელი განიხილა მის ხელთ არსებული ჩვენება აფხაზურისა. ქართულის სემიტურთან ნათესაობა, ქართული-იაფეტურის განხილვა სემიტური ენების მოდელების მიხედვით (ძირის სამთანხმოვნიანობა, სამი ძირითადი ბრუნვა, მდებრობითი სქესის მქონეობა...) ნ. მარს ურთულე და აფხაზურის დაკავშირების საკითხს ქართულთან (ქართული განიმარტებოდა არაბულის პრინციპთა მიხედვით)... მაინც იაფეტური ენის არსებობა აფხაზურში ნ. მარმა ამ წინასწარი ანალიზის მიხედვითაც აღიარა (და მით ობიექტურად პ. ჭარაიას დებულების სისწორე ცნო)...

საჭირო იყო აფხაზური ენის გაღრმავებული კვლევა ადგილზე, და ნ. მარი სათანადო მუშაობას შეუდგა 1912 წელს¹, — „ნაცადი წესით უმწერლო ენის შესწავლა დავიწყო ჯერ ერთი დიალექტიდან, მასთან მის ბუ-

¹ ზაფხულობით რომ სვანეთში მუშაობდა, ზამთრის არდადეგებს (დეკემბრის დამლევა და იანვრის დასაწყისს) აფხაზურზე მუშაობაში ატარებდა.

ნებრივ გარემოსა და ვითარებაში“ („საენათმეცნიერო მოგზაურობიდან აფხაზეთში“ — ИАН, 1913, გვ. 303-334). რა შედეგები მოჰყვა ამ მუშაობას? უკვე 1913 წელს — აფხაზეთში 1912 წ. დამლევს მგზავრობის შესახებ მოთხრობისას — ნ. მარი არა ერთ ეთნოგრაფიულსა და ენათმეცნიერულ საკითხს ეხება (ეთნიკურ ტერმინთა და რიგ მათთან დაკავშირებულ სიტყვათა ეტიმოლოგიურ განმარტებას იძლევა).

აღსანიშნავია, რომ აქ ნ. მარი უკვე ლაპარაკობს „იაფეტური თეორიის უკანასკნელი რედაქციის გადათვლიერების“ შესახებ: ფაქტობრივმა ვითარებამ ამიძულა იაფეტურ ენათა ურთიერთობის გაგებაში ცვლილება შემეტანაო („საენათმეცნიერო მოგზაურობიდან აფხაზეთში“ „Из лингвистической поездки в Абхазию“ ИАН, 1913, გვ. 313), მართლაც, ტაბულაში „ენათა იაფეტური შტო“, რომელიც ამ შრომას ერთვის („ენათმეცნიერული ტერმინები გვარეობათა და სახეობათა“ ეთნიკური სახელების ნაცვლად), მოცემულია სამი ტოტი:

1. **ნ** — განტოტება (разветвление) **ს** და **შ** ჯგუფით (ე. ი. ქართ., მეგრ. და ჭან.).

2. ენათა ნარევი ტიპები: ა) სვანური ენა; ბ) არქემენიდთა ლურს. წარწერების მეორე რიგის ენა (ე. ი. ელამური); გ) ვანის ლურს. წარწერათა ენა და დ) წინარე არიული ენა სომხეთისა, აშხარაბარში დალექილი.

3. **ქ** — განტოტება: **ნ**-ჯგუფი (წინარე-არიული ენა სომხეთისა, სამწერლო გრაბარში დალექილი) და **ლ**-ჯგუფი (ძირითადი ფენა აფხაზური ენის იაფეტური ელემენტებისა).

მკვდარ ენათა ადგილის საკითხი ნ. მარის ამ სქემაში არ არის არსებითი: იაფეტურ ენებად ისინი ნ. მარს წინათაც (1908 წ.) მიაჩნდა; ახლაც დარჩნენ; აფხაზური („მისი იაფეტური ფენა“) რომ შემოვიდა იაფეტურ ენათა წრეში, ესაა არსებითი ცვლილება. იაფეტური ენები კვლავაც „შტოს“ შეადგენენ, ე. ი. სემიტურის უახლოეს მონათესავე დითვლებიან... ეს წინანდებურად დარჩა: აფხაზურის მონათესავე ჩერქეზული (ადიღური) და უბიხურიც კი (ნახურსა და დაღესტნურ ენებს რომ თავი დავანებოთ) არსად ჩანს; ახალი წევრი, აფხაზური კი, „იაფეტურმა შტომ“ დაიტია.

სხვა ვითარება გვაქვს ამ მხრივ ნაშრომში „კავკასიისმცოდნეობა და აფხაზური ენა“ (1916 წ.): ჩრდილო-კავკასიის ენები, რაც უშუალოდ და უშუალოდ აფხაზურს უკავშირდება წარმოშობით (ე. ი. ის ენები, რომელთა შესახებაც პ. ჭარაია ლაპარაკობდა), ნ. მარმა აქ იაფეტურ ენათა წრეში მოაქცია, და იაფეტური ენები იჯახად გამოაცხადა.

ნ. მარი წერს: „საყოველთაოდ ცნობილია, რომ დედამიწის მრავალრიცხოვან ენათაგან მეცნიერებამ მოასწრო გამოეყო და გაეხადა გაძლიერებული შედარებითი და ისტორიული შესწავლის საგანი სამი ოჯახი — არიო-ევროპული (ინდო-ევროპული), სემიტური და თურქული... კავკასიის ენათა შესწავლამ დაადგინა, რომ არსებობს კიდევ ერთი ოჯახი, საშუალება მოგვცა გამოგვეყო ცალკე მეოთხე ოჯახი ენათა, იაფეტური, რომელიც არ ენათესავება არც არიულ-ევროპულ ოჯახს, არც თურქულ ოჯახს, მაგრამ ღვიძლი ნათესავია (находится в кровном родстве) სემიტურ ენათა ოჯახისა. ეს ნათესაობა ისე მჭიდროა, რომ ამ თეორიის დამაარსებელი, ამ სტრიქონების დამწერი, თავდაპირველად და კიდევ დიდხანს, თითქმის 1910 წლამდე (! — ა. ჩ.), ვარაუდობდა, რომ სემიტური ენები იაფეტურ და ქამიტურ ენებთან შეადგენდა მხოლოდ სამ შტოს ენათა ერთი საერთო ოჯახისა¹. იქნებ ეს ასეც აღმოჩნდეს დროთა ვითარებაში², მაგრამ ამჟამად ისე გაიზარდა იაფეტურ ენათა შედგენილობა, რომ გვიხდება ორ დიდ შტოდ დაგვით ისინი და გაავერთიანოთ ერთს თავისთავადს ოჯახში — იაფეტურში“ („კავკასიისმცოდნეობა და აფხაზური ენა“, რჩ. შრომები, I, გვ. 66).

რა შტოებია ეს ორი შტო იაფეტური ოჯახის ენათა, და რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან? ერთი შტო სიბილანტურია (ე. ი. სინ-მიშინა), მეორე კი სპირანტული, ე. ი. ფშვინვიერი, (იქვე, გვ. 66-67).

იაფეტური ენების სიბილანტური შტოდან შემოგვრჩა ქართული და მეგრული ჭანურიტურთ (ამ შტოდან დაკარგულია „მთელი ჯგუფები“, გვ. 67).

სპირანტულ შტოს ქმნიან მთის კავკასიური ენები, რომლებიც რამდენიმე ჯგუფად იყოფა: აღმოსავლეთიდან რომ დავიწყოთ, ეს იქნება დალესტური ენები (ხუნძური, ლაკური, ათეული ენა ანდიურ-დიდოური ჯგუფისა), შემდეგ — ჩანური ჯგუფი (საკუთრივ ჩანური, ინგუშური და თუშური — იგულისხმება ბაცბური) და აფხაზურ-ადიღური ჯგუფი (აფხაზურითა და ჩერქეზულით ანუ ადიღურით; უბიხური, უბედობის გამო, თურქეთში გადასახლებულ უბიხთა ენა, გვ. 67).

¹ 1910 წლამდე „იაფეტური, სემიტური და ქამიტური ენები“ სამ შტოდ მიმაჩნდა... ეს გაუგებარია: არა თუ 1910 წლამდე, არამედ 1910 წელსაც („ჭანურის გრამატიკაში“) ეს ენები ნ. მარს „სამ შტოდ“ ესახებოდა (ნოეს ოჯახისა)... მეტი კიდევ: 1913 წელსაც (შრომაში „საენათმეცნიერო მოგზაურობიდან აფხაზეთში“) ნ. მარი იაფეტურ ენებს (აფხაზურის გარკვეული, იაფეტური, ფენის ჩათვლით) კვლავ „შტოდ“ მიიჩნევდა: თავის თავად ცხადია, რომ იაფეტური „შტო“ ეფარდებოდა სემიტურსა და ქამიტურ შტოს, და სამივე შტო ერთი ოჯახისად ითვლებოდა.

² „შტო“ იყო და „ოჯახად“ იქცა. დროთა ვითარებაში „ოჯახს“ შტოდ რაღა გადააქცევდა!

ეს მრავალრიცხოვანი ენები არც კავკასიაშია წარმოქმნილი და არც ხალხთა გადასახლების შემთხვევითს ნარჩენებს წარმოადგენენ; ესაა შედეგი თანდათანობით დახვევისა შტობობით (თუ მთელი ოჯახით არა) უხსოვარი დროიდან — უძველესი კულტურული სამყაროს ხალხებისა სამხრეთში (ასურეთ-ბაბილონისა და შუამდინარის ფარგლებში და მიმდებარე ქვეყნებისა მცირე აზიაში). აი აქ უცხოვრიათ თავდაპირველად იაფეტურ ხალხებს, მსოფლიოში უძველესი კულტურის შემქმნელ ამ ხალხებს, უშუალო მეზობლობაში მონათესავე სემიტურ და ქამიტურ განათლებულ ხალხებთან (გვ. 67). არიოვერობულ ტომთა გამოჩენამ გათიშა სემიტური და იაფეტური ხალხები და აიძულა ეს უკანასკნელნი გადაენაცვლებინათ კავკასიის ფარგლებისაკენ... ზოგს კიდევ მოუწია შორს დასავლეთში გადასახლებულიყო: ე ტ რ უ ს კ ე ბ ი ი ა ფ ე ტ უ რ ი წ ა რ მ ო შ ო ბ ი ს ა ნ ი ი ყ ვ ე ნ (გვ. 67; ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

ძველ ადგილ-სამყოფელში იაფეტურ ენათა კვალი დარჩა წარწერებში (თიხის ფილებსა და კლდეებზე): ესაა ელამური, ძველი და ახალი შუმერული. „ელამური რომ იაფეტურს ეკუთვნის, ახლა უდაოა“, შუმერულის საკითხი კი არაა საკმარისად გარკვეულიო (გვ. 68).

კავკასიისაკენ ხანგრძლივი გადანაცვლების პროცესში — ჩრდილოეთისაკენ იაფეტური ენების მიგრაციის კვალი შემოგვგნახა ვანის ლურსმულ წარწერათა ენაში: ეს ენა ცოცხალი კავკასიური ენების მეშვეობით პოულობს ახსნას იაფეტურ ენათმეცნიერებაში (გვ. 68). მეტი კიდევ: სომხეთის მოსახლეობის ენაში აღმოჩნდა დანალექი: ერთში — სიბილანტური შტოს იაფეტური ენისა, მეორეში კიდევ — სპირანტული შტოს ენისა. ამრიგად, სომხური ენები ნარევი არიო-ვერობულ-იაფეტური ენები აღმოჩნდა (გვ. 69).

სვანური ენაც ნარევი: ერთი ფენა სპირანტული შტოსია (სახელდობრ, იმ მესხურისა, რომელიც, ალბათ, აფხაზურის ადგილის გარკვევისას იაფეტურ ენათა შორის არის მხედველობაში მისაღები), მეორე ფენა კი სიბილანტური შტოს ენისა, სახელდობრ, თუბალ-კაინური ანუ შიშინა ჯგუფისა (გვ. 59).

ჩრდილო-კავკასიური იაფეტური ენები სპირანტულ შტოს წარმოგვიდგენენ, თუმცა არაიაფეტური მინარევიც შეინიშნებაო (გვ. 69).

აფხაზური ენაც აგრეთვე ნარევი ტიპია: იაფეტურ ორგანულ ფენაზე (რაც სპირანტული და სიბილანტური შტოებიდან მომდინარეობს) დალექილია ენა, რომელიც ჯერ-ჯერობით არაა გარკვეული, როგორც ჩანს, ჩრდილოური ტომისა (გვ. 69).

საინტერესოა მიმოხილვა იაფეტური თეორიის წარსულისა, რასაც აქვე იძლევა ნ. მარი. „იაფეტურ ენათმეცნიერებას საფუძველი ჩაუყარა, — წერს ნ. მარი, — მოძღვრებამ იაფეტური ენების ნათესაობის შესახებ სემიტურ ენებთან“ (გვ. 71). ამ მოძღვრების ძირითადი დებულებები გამოქვეყნდა 1908 წელს („ძირითად ტაბულებში ქართული ენის გრამატიკისა...“).

ამ შრომის გამოქვეყნებისთანავე ცხადი გახდა ჩემთვის, რომ „დროებით თავი უნდა დავანებოთ იმ ნაწილის დამუშავებას, რაც იაფეტურ-სემიტურ ფარდობა-ურთიერთობას შეეხება (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.). მთელი ყურადღება უნდა გადაგვეტანა თვით იაფეტური ენების შესწავლის გაფართოებასა და გაღრმავებაზე. მე პირადად საენათმეცნიერო მუშაობა ჩავატარე ლაზისტანში (ხოფაში, არქაბში, ვიწესა და ათინაში); სამეგრელოში მივლენილი იყო ახალგაზრდა ქართველოლოგი ი. ყიფშიძე, ამჟამად პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი. 1911 წლიდან სვანეთში მგზავრობა ვიწყე; ამას მოჰყვა იაფეტური თეორიის სქემის შემდგომი დამუშავება, პირველ ყოვლისა, — ენათა გენეალოგიური ტაბულისა; ამან კი გამოავლინა, რომ საჭიროა შევისწავლოთ „უფრო შორეული მონათესავე ენები“, — პირველ რიგში, აფხაზური, რომელსაც შეხების წერტილები აღმოაჩნდა სვანურთან. აფხაზურზე მუშაობის დაწყებას ერთგვარად ხელი შეუწყო პ. ჭარაიას შრომამ... საჭირო იყო უშუალო დაკვირვება მეწარმოებინა აფხაზურზე. მაგრამ არქეოლოგიური სამუშაოებისა და სვანეთში ექსპედიციების გამო თავისუფალი დრო არ მრჩებოდა. 1912 წლის ზაფხულს სვანეთიდან ცხენით გავემგზავრე აფხაზეთში: მგზავრობამ დრო ბევრი წაიღო, და მხოლოდ ის შევძელი, რომ წამემუშაებინა ჯგერდელ მწყემსთან, რომელიც გზაში შეგვხვდა. მაშინ გადავწყვიტე, აფხაზეთში გასამგზავრებლად შობის არდადეგები გამომეყენებინა. პირველმა ასეთმა ჩამოსვლამ ჯგერდელში რიგი საკითხი გაარკვია და რიგი ახალი საკითხი გააჩინა (ეს იყო 1912 წ. 15 დეკემბერს; იხ. ზევით — ა. ჩ.). ამან მოითხოვა გამგზავრება თუშებთან (ე. ი. ბაცებთან — ა. ჩ.), ჩაჩნებთან, ინგუშებთან და დაღესტნის ტომებთან (ადიღეური ენის შესახებ ლ. ლოპატინსკის შრომის მოლოდინში, უბიხურის შესასწავლად თურქეთში უნდა მივევლინებინათ ლ. ლოპატინსკი, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ამ დავალების შესრულება მოუხდა ად. დირს; გვ. 72).

„პირადად მე, — ამბობს ნ. მარი, — აფხაზურმა ენამ მომცა ძლიერი ბიძგი, რომ დამეწყო მუშაობა მთის აღმოსავლურ-კავკასიურ ენებზე. ჩემთვის ცხადი გახდა, რომ მთელი მიმართულება ქართველოლოგიისა და არმენისტიკისა, კერძოდ, ჩემი, იყო ძირშივე არასწორი, ყოველ შემთხვევაში, საენათმეცნიერო ნაწილში, რადგანაც ვერც ერთი ზოგადი პრობლემა, რომელიც ჩნდე-

ბოდა ამა თუ იმ დასახელებულ სპეციალობაში (ე. ი. ქართველოლოგიასა და არმენისტიკაში), არ შეიძლებოდა სწორად ყოფილიყო დასმული და მით უფრო გადაწყვეტილი ზოგადკავკასიური პერსპექტივების გარეშე, კერძოდ, მთის ყველა მკვიდრი ენის ღრმად შესწავლის გარეშე და მათი საკითხის გადასინჯვის გარეშე იაფეტური თეორიის თვალსაზრისით და ახალ დაკვირვებათა საფუძველზე და ადგილზე ძველ ჩანაწერთა შემოწმების საფუძველზე იმ პირთა მიერ, ვისაც გავლილი აქვს იაფეტიდოლოგიური სკოლა“ (ნ. მარი: „კავკასიისმცოდნეობა და აფხაზური ენა“, რჩ. შრომ., I, გვ. 72).

ამრიგად, კვლევა-ძიების ცენტრმა გადმოინაცვლა ცოცხალ კავკასიურ ენებზე: ქართველურსა და მთის ენებზე (აფხაზურ-ადიღურ, ნახურ-ჩაჩნურსა და დაღესტნურ ენებზე).

ამ ენების კვლევა და მათი ურთიერთობის ძიება იქცა უპირველეს ამოცანად. სემიტურ ენებთან ურთიერთობის საკითხი, თუ არ მოიხსნა, ყოველ შემთხვევაში უკანა რიგში მოექცა: სემიტურისა და იაფეტურის შედარებითი გრამატიკა უკვე აღარ უდრიდა სემიტურისა და ქართულის შედარებითს გრამატიკას: სემიტურის კორელატი იაფეტური ახლა უკვე ქართველურ ენათა გარდა ენათა სამ ჯგუფს მოიცავდა; ამ ჯგუფთა შედარებითი გრამატიკა არ არსებობდა; არც ცალკეული ჯგუფის შედარებითი გრამატიკა იყო დამუშავებული; მეტი კიდევ, ბევრი ენა არ იყო შესწავლილი (თუნდაც იმგვარად, როგორც ჭანური ან სვანური). იაფეტური თეორია დაუბრუნდა იმ ამოცანებს, რაც კავკასიურ ენათა შესწავლაში კარგა ხნის წინათ იყო დასმული, კერძოდ, უსლარის, ერკერტის, ფრ. მიულერისა და ჰ. შუხარდტის შრომებში (უცნაურია, რომ ნ. მარი ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს იმ ცდებს, რაც კავკასიურ ენათა სხვადასხვა ჯგუფის ნათესაობის დამტკიცებისაკენ ყოფილა მიმართული, არც იმ ვრთუდებს, რაც ამ მხრივ ენათმეცნიერებაში მოიპოვებოდა).

იაფეტური თეორია კავკასიოლოგიურ თვალსაზრისს დაადგა არა მხოლოდ დაგვიანებით; მას მძიმე ტვირთად აწვა პირველი ეტაპის მემკვიდრეობა: სემიტურთან ქართულის ნათესაობა. ქართულის ლექსიკა და გრამატიკა სემიტური ენების აგებულების მიხედვით იყო განმარტებული; ან დანარჩენი სამივე ჯგუფი კავკასიური ენებისა ამავე წესით უნდა ყოფილიყო განმარტებული¹, და მაშინ ეს ენებიც სემიტურის მონათესავედ დამტკიცდებოდნენ ანდა თვით ქარ-

¹ რამდენად შესაძლებელი (უკეთ: რაოდენ შეუძლებელი) იყო ეს, ცხადად ჩანს ნ. მარის შრომიდან „აფხაზური ენის ადგილის შესახებ იაფეტურ ენათა შორის“, 1912 (იხ. ზემოთ).

თულის ინტერპრეტაცია (სემიტური მოდელების მიხედვით) ნ. მარს უნდა უკუეგდო და კავკასიურ ენათა ლექსიკა-გრამატიკის ნიშანდობლივი თვისებები ერკვია...

ნ. მარსის სიტყვები: ქართველოლოგიის მიმართულება საენათმეცნიერო ნაწილში, კერძოდ, ჩემი მიმართულებაც ძირშივე არასწორი იყო, გვაფიქრებინებს, რომ იაფეტურმა თეორიამ ახალ საფეხურზე სემიტურთან ურთიერთობის საკითხს ზურგი შეაქცია ყოველ შემთხვევაში, პრინციპულად... პრაქტიკულად კი პირველი ეტაპის ინერცია შემდგომშიც გაგრძელდა.

სვანურის გარდა ნ. მარს არც ერთ მთის ენაზე იმდენი არ უმუშავია, რამდენიც აფხაზურზე. სათანადო შრომების ნაწილი გამოქვეყნდა კიდევ. უკვე დასახელებულთა გარდა აღსანიშნავია: „აფხაზურ-რუსული ლექსიკონი“, დაიბეჭდა 1926 წ. *Абхазско-русский словарь*, LV + 156 გვ... აღრინდელ შრომათაგან „აფხაზ“ ტერმინის ისტორია“, 1912, *История термина „абхаз“*, ИАН, გვ. 697-706... არას ვამბობთ ისეთი შრომების შესახებ, სადაც საკითხი პალეონტოლოგიური ოპერაციების გზით წყდება... მაგალ., „ცხენი“ და „საკურთხი“ — „Лошадь“ и „тризна“ 1924 წ.

ნახურ (ჩაჩნურ) და დაღესტნის ენებზე მუშაობას ერთგვარად ასახავს ნ. მარსის შრომა: „ხელუხლებელი წყარო კავკასიის სამყაროს ისტორიისა“, 1917 წ. „Непочатый источник истории кавказского мира“, ИАН, 1917, გვ. 307-338.

იაფეტური თეორია მალე ახალი ამოცანის წინაშე დადგა ისე, რომ ძველი ამოცანები ნაწილობრივადაც არ ყოფილა გადაწყვეტილი.

§ 34. იაფეტური თეორიის ევოლუციის მესამე, მედიტერანისტული, ეტაპი

იაფეტური ენები პირველ ეტაპზე ქართველურ ენებს უდრიდა და ნოეს ოჯახის შტოდ იყო მიჩნეული; მეორე ეტაპზე „იაფეტური“ იბერიულ-კავკასიურ ენებს გულისხმობს და ოჯახს წარმოადგენს: იაფეტური შტო იაფეტურ ოჯახად იქცა.

ამ ოჯახის შედგენილობა ახლებურად განმარტა ნ. მარმა 1920 წ.; იაფეტურ ენათა წრეში ცოცხალ კავკასიურ ენათა გარდა წინა აზიის ძველი მკვდარი ენები (წარწერათა) იმ თავითვე შედიოდა; ახლა მათ შეემატა ხმელთაშუა ზღვის აუზის ძველი მკვდარი ენები: პელაზგური (წინარე ბერძნული — ბალკანეთის ნახევარკუნძულზე), ეტრუსკული (აპენინის ნახევარკუნძულზე, იტალიის ცენტრალურ ნა-

წილში)... და ცოცხალი ენა ბასკური (პირენეის ნახევარკუნძულზე, ესპანეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილსა და საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთის ზონაში)¹.

ამრიგად, იაფეტური ენების ისტორიული გავრცელების ზონაში შემოვიდა კავკასიისა და წინა აზიის გარდახმელთაშუაზღვის აუზი (აქედან ტერმინი; მედიტერანიზმი); ხმელთაშუაზღვის აუზში შეიქმნა საბერძნეთისა და რომის ცივილიზაცია; ამ აუზს (აღმოსავლეთით) ეკვრის სემიტურ ენებზე მოლაპარაკე ხალხთა ისტორიული სარბიელი. ჯერ კიდევ 1864 წ. ფრ. მიულერი წერდა: კავკასიური ენები კავკასიის სამხრეთითაც იყვნენ გავრცელებული მანამ, სანამ აქ ინდო-ევროპულ და სემიტურ ენებზე მოლაპარაკე ხალხები გამოჩნდებოდნენო. ეგვევ საკითხი დგება ნ. მარის წინაშე — ხმელთაშუაზღვის აუზის ენებისა და ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხთა ისტორიული ადგილისა და როლის შესახებ: სემიტური, ინდო-ევროპული და მედიტერანული („ხმელთაშუაზღვისიერი“) რა თანამიმდევრობით გამოდის კულტურის ისტორიის სარბიელზე?

ამ კითხვაზე ზოგად პასუხს იძლევა ნ. მარი 1920 წელს შრომაში: „იაფეტური კავკასია და მესამე ეთნიკური ელემენტი ხმელთაშუაზღვის კულტურის შექმნაში“ „Яфетический Кавказ и третий этнический элемент в созидании Средиземноморской культуры“. წაკითხული იყო მოხსენებად მატერიალური კულტურის ისტორიის (ე. ი. არქეოლოგიის) რუსეთის აკადემიაში 1920 წ. 9 ივნისს.

იაფეტურის ადგილი ხმელთაშუაზღვის კულტურის შექმნაში გაირკვა უფრო გვიან (სემიტურისა და ინდო-ევროპულის შემდეგ): გამოვლენის დროის მიხედვით იაფეტური მესამე ადგილზეა. ისტორიული თანამიმდევრობის თვალსაზრისით კი იაფეტური უსწრებს ორ სხვას — სემიტურსა და ინდო-ევროპულს: „მესამე ეთნიკური ელემენტი“ — იაფეტური ელემენტი — ნამდვილად პირველი, ყველაზე ძველი, ეთნიკური ელემენტი ხმელთაშუაზღვის კულტურის შექმნაში — ასეთია ნ. მარის ძირითადი დებულება.

ახალია თუ არა ეს აზრი? „იაფეტური კავკასიის“ გერმანული თარგმანის წინასიტყვაობაში (1920 წ. 10 ნოემბრის თარიღით) ნ. მარი წერს: ასეთი აზრი ჯერ კიდევ 1853 წელს ყოფილა ვარაუდად თქმული: ვრცელი მიწა-წყალი წინააზიისა და მცირეაზიისა, კრეტა და ეგეოსის ზღვის კუნ-

¹ იაფეტიდების გადმონაშთს ხედავს 1920 წ. ნ. მარი ევროშიკებსა (ანუ ბურეშეკებში) — შუა აზიასა და პამირში, „სომხურთან მეზობლობის კვალი ეტყობათო“ — „იაფეტური კავკასია“, რჩ. შრ., I, გვ. 113).

ძულები, საბერძნეთი დასახლებული იყო თავისებური რასით, რომელიც არც ინდო-ევროპული და არც სემიტური იყო და რომელიც გაგრძელებას პოულობს... ევროპის ხალხებშიო¹... ამაზე ნ. მარი შენიშნავს: „ეს არსებითად ცოტაა, მაგრამ რაც მთავარია, საქმე ზოგადი დებულების გამოთქმაში როდია, არამედ მის რეალური დაფორმულების ხერხებში, რომელიც (დაფორმულება) ერთდროულად გამოავლენს მითითებას იმ ადგილსა და იმ გზებზე, რომლებითაც მისი წარმომშობი მასალა მოიპოვება, რომელიც (დაფორმულება) გამოავლენს მეცნიერულ მიდგომას საკითხისადმიო²...“

მედიტერანისტული დებულება ნ. მარის დაფორმულებით ასეთ სახეს იღებს: „თუ... ეთნიკურ ელემენტებზე ვილაპარაკებდით იმის მიხედვით, თუ როდის იღებდნენ ისინი მონაწილეობას ხმელთაშუა ზღვის კულტურის შექმნაში, „მესამე“ უნდა გვეწოდებინა „ინდო-ევროპელთათვის“, რომლებიც მომდევნო არიან... სემიტებისა და ქამიტებისა; იაფეთიდებს კი შეეძლოთ პრეტენზია ჰქონოდათ პირველ ეთნიკურ ელემენტად წოდებისა. და მაინც მესამე ეთნიკურ ელემენტს ჯერ-ჯერობით მათ ვუწოდებთ იმ დროის მიხედვით, როდესაც არქეოლოგიურმა მეცნიერებამ გამოვლინა მესამე ტომობრივი ელემენტი ხმელთაშუა ზღვის კულტურისა და მასთან დაკავშირებული წინააზიური კულტურის შემქმნელთა შემადგენლობაში“ („იაფეთ. კავკასია“..., ჩრ. შრომები, ტ. I, გვ. 83; ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**).

რა საბუთებით ამტკიცებს ნ. მარი ამ მეტად მნიშვნელოვან დებულებას? მკითხველი მოელის, რომ იაფეთურ-კავკასიური ენების ფაქტებს ნ. მარი შეუდარებს ხმელთაშუა ზღვის ენათა (პელაზგურის, ეტრუსკულის, ბასკურის...) ფაქტებს. ასეთი ფაქტები არა ჩანს. „პელაზგებისაგან არ შემოგვრჩა არც ერთი სტრიქონი, ეტრუსკული კი შემოგვენახა მხოლოდ რამდენიმე ასეულ სტრიქონში მკვდარი საინვენტარო ხასიათისა“ — წერს ნ. მარი (იქვე, გვ. 106). პელაზგურის დანალექები ბერძნულ ენაში უნდა გამოიყოს, ასევე ეტრუსკულისა — ლათინურში (იქვე). ბასკურის მა-

¹ „... eine besondere weder indogermanische noch semitische Rasse grosse Gebiete von Vorder- und Kleinasien, Kreta, die Inseln des Agäischen Meeres und auch das Fesland von Griechenland bevölkert habe und in Europa in den oben schon genannten Völkern vortsetzte“ A. Kannengiesser. „Ist das Etruskische eine hettitische Sprache?“ 1908, стр. 4.

² ეს ადგილი დედანში ასე იკითხება: Этого мало по существу, а главное, дело не в высказывании общего положения, а в способе его реальной формулировки, вскрывающей одновременно указание на место и пути добычи порождающих его материалов, конкретно выявляющей научный подход к вопросу“ რჩ. შრ., I, გვ. 82... თქმულის მეორე ნაწილი მეტად ბუნდოვანია.

სალა ხომ საძებარი არ არის სხვა ენაში? რიგი დიალექტის სახით ბასკური ცოცხლობს დღემდე. ბასკურის ფაქტები — ლექსიკა, ფორმანტები — დაუბრკოლებლად შეეძლო ნ. მარს შეედარებინა კავკასიის იაფეტური ენებისათვის. მაგრამ ამ შრომაში ასეთი შედარება ნ. მარს არ მოუცია¹.

კონკრეტული ფაქტების ანალიზს ცვლის ზოგადი დახასიათება ხსენებული ენებისა — ფონეტიკური ტიპის მიხედვით (ისევე, როგორც ქართველურისა და მთის იბერ.-კავკასიური ენების მიმართ იქცეოდა ავტორი). პირველი საკითხი, რაც აქ ნ. მარს ებადება, ასეთია: იყვნენ თუ არა ის იაფეტური ტომები, რომლებიც დასავლეთში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე გადასახლდნენ „წმინდა იაფეტიდები“ თუ ნარევი, სახელდობრ, „იაფეტიდები-ინდო-ევროპელები“? რაც შეეხება მეტყველებას, გადასახლებულთა ენები იყო სადა თუ შეჯვარებული, მასთან შეჯვარებული იაფეტური იაფეტურთან თუ იაფეტური ინდო-ევროპულთან? (გვ. 106). ერთი სიტყვით, ის საკითხი დგას, რაც ჯერ კიდევ სვანურისა და აფხაზურის მიმართ (აგრეთვე ჩრდილო-კავკასიურ ენათა დახასიათებისას) ჰქონდა ნ. მარს დასმული.

ნ. მარს ვარაუდობს, რომ ეს ენები შეჯვარებული იყო: ე ტ რ უ ს - კ უ ლ ის ერთი კომპონენტი ეკუთვნის სონორულ შტოს, მეორე კი სიბილანტური შტოს შიშინა ჯგუფს (პლუს სისინა და სპირანტული მინარეგები); შიშინა უნდა იყოს საკუთრივ ეტრუსკული, სისინა მოდის რასენული-საგანაო; სონორულისა და სპირანტული შრეების წყარო იტალიაში არ ჩანსო (იქვე, გვ. 108). ბ ა ს კ უ რ ი ც ნარევი ენაა, სპირანტულ-სიბილანტური, მასთან სიბილანტური შიშინა ჯგუფისა, ერთი სიტყვით, იმავე ტიპისა, როგორც სვანურიო. სხვა ჯგუფების (მაგალ., სონორული შტოს) მინარევიც იგრძნობაო (იქვე, გვ. 108)... ძირეული პირველადი ფენა ბასკურისა სპირანტული ენა ყოფილაო (იქვე, გვ. 109).

ბასკური უკვე კავკასიაში იყო შეჯვარებული ენა, როგორც სვანური და ძველი სალიტერატურო სომხურიო (გვ. 109).

ფონეტიკურ დახასიათებას — სიბილანტური, სპირანტული — აზრი ჰქონდა ქართულისა, მეგრულ-ჭანურისა (და ერთგვარად სვანურის) ფონეტიკური ტიპის გარკვევისათვის (აქ ამ ფორმულებს კონკრეტული საყრდენი ეძებნებოდა), მაგრამ უკვე აფხაზურში ამ დახასიათებას შემეცნებითი ღირებულება აღარ მოეპოვებოდა... მით უფრო მთის იბერ.-კავკასიურს სხვა

¹ უფრო გვიან, კერძოდ, 1928 წ. დაბეჭდილ შრომაში „პირენეის გურიიდან“ (და სხვაგანაც) ნ. მარს ცალკეულ ბასკურ სიტყვებს უდარებდა იაფეტურ ენებს (მაგალ., უდაგარა „წავი“ და „ძალი“)... გრამატიკული ელემენტების შედარება, რაც უფრო არსებითია ენათა ისტორიულ-გენეზისური ვითარების გარკვევისათვის, ნ. მარს არ უწარმოებია.

ენების მიმართ. ეტრუსკულისა და ბასკურის რაობის გასარკვევად „სპირანტული“, „სიბილანტური“ და მისთ. კვალიფიკაცია არაფერს იძლევა. ენობრივი ანალიზის მაგივრობას ეს კვალიფიკაცია ვერ გასწევს.

ამრიგად, ენობრივი დასაბუთება „მესამე ეთნიკური ელემენტის“ დებულებისა ნ. მარის შრომაში არა გვაქვს.

მის მაგივრობას, ცხადია, ვერ გასწევს იაფეტიდების მიგრაციათა სურათი, რომელსაც ნ. მარი იძლევა; იაფეტიდები ხმელთაშუა ზღვის აუზში კავკასიიდან (და წინააზიიდან) არიან მოსული სხვადასხვა გზით: ერთი გზაა — სამხრეთისა — ზღვით — მცირე აზიის გავლით, მეორე — ჩრდილოეთისა, ხმელეთით, შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე გავლით... ეტრუსკებს თურმე უფლიათ ორივე გზით: ეტრუსკები ორი ხალხი იყო, ერთი — რუშ, საკუთრივ ეტრუსკი ხალხი; ვანის ტბის აუზის სამხრეთიდან — მცირე აზიითა (ლიდიაში დასადგურებით) და კუნძულებით ამ ხალხს იტალიაში მოუღწევია; მეორე — ჩრდილოური ტომი — რას, არეზის ნაპირიდან, ჩრდილო კავკასიაზე გავლით, სადაც პელაზგებად და რასენებად დაყოფილან, ჩაუღწევიათ — პელაზგებს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, რასენებს — აპენინის ნახევარკუნძულზე და იქ ეტრუსკებს შერევიან (გვ. 110).

საიდან ჩანს ეს ყველაფერი? „ტომთა სახელწოდების პალეონტოლოგიური ანალიზიდან“ (გვ. 111). კავკასიაში რომ „ლასგი“ ანუ „ლესგი“ გვაქვს (კასპიის მიმდებარე რაიონში), ეს თურმე პელაზგების აქ ყოფნის კვალი ყოფილა (გვ. 110).

სხვანაირად რომ ვთქვათ, ნ. მარმა „პელაზგ“-ტერმინში „ლასგ“ გამოყო, ის ლეზგ-ტერმინს დაუკავშირა, და „პელაზგები“ კავკასიით ამგზავრა ბალკანეთში¹...

ასევე ბასკების გზად ნაჩვენებია: ვანის რაიონი — მტკვრისა და რიონის აუზი — შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო — „სომხურთან შორდებიან კავკასიას, რომ ბოლოს და ბოლოს აღმოჩნდნენ პირენეის ნახევარკუნძულზე ისევე იმ ივერებთან მეზობლობაში, რომლებთანაც მეზობლობდნენ... ჯერ მცირე აზიაში, სომხეთის სამხრეთით და შემდგომ — კავკასიაშიო (გვ. 111)... საფუძველი? ბასკ- და აბასგ-ტერმინთა ბგერითი მსგავსება...

იბერების გზა სარკვევიაო: იბერები ადრე არიან გამოსული წინა აზიიდან ხმელთაშუა ზღვეთში, იქნებ, არა მცირე აზიით, არამედ პალესტინით. წინა აზიაში იბერები ანუ ივერები ერთ-ერთი უძველესი ხალხთა-

¹ იმავე დროს ნ. მარი ნებისმიერ ანალიზად (с ветра берущийся анализ) მიიჩნევს, როცა პელაზგ-ტერმინში -აზგ ელემენტს გამოყოფენ: პელ-აზგ (იქვე, გვ. 81)... რითა ჯობს ამ ანალიზს „პელ-აზგ-ი“ ნ. მარისა?

განი იყო იაფეტური ოჯახისა. კავკასიაში ისინი ამავე სახელით — იბერი, ივერი — გვხვდებიან... მათი ტომობრივი სახელები ცნობილია მრავალგვარი სახესხვაობით — არა მხოლოდ სიბილანტური ტიპისა — სუმერ (შუმერ) → თობელ II თუბალ → ტიბარენ, არამედ სპირანტული ტიპისაც — ბერ, საკუთრივ ჰი-ბერ — „და როგორც ახლა ბასკური მეტყველების მასალით ირკვევა, თავდაპირველად -ჰუ-მერ → კუ-პერ“... ეს სახელწოდება ნიშნავდა „შვილს“, „ბავშვებს“, რაიც ჩვეულებრივი სიტყვაა იაფეტიდებთან ტომების სახელწოდებათა აღსანიშნავად (გვ. 112).

ტომთა მიგრაცია, ერთის მხრით, ტომთა სახელწოდების პალეონტოლოგიური ანალიზი, ფონეტიკური ტიპების (მარტივი თუ შეჯვარებული სახისა) უნივერსალური გამოყენება, მეორე მხრით, ნ. მარის ამ შრომის („იაფეტური კავკასია“...) ძირითად დებულებებს განსაზღვრავს. შემდგომში მიგრაცია ნ. მარმა უარყო, როგორც იდეოლოგიურად მიუღებელი პრინციპი, ტომების სახელწოდების პალეონტოლოგიური ანალიზი (და ფონეტიკური ტიპის დახასიათება) კი დარჩა და კვლევა-ძიების აუცილებელ საშუალებად გამოცხადდა. ამ გზით დაიბადა ელემენტოვანი პალეონტოლოგიური ანალიზი. და მით აეგო წესი იაფეტურ ენათა მეცნიერულ შესწავლას. შეიქმნა „ახალი მოძღვრება ენის შესახებ“...

საკითხავია: როგორ დგას 1920 წ. ახალ ვითარებაში ნ. მარისათვის სემიტურთან იაფეტურის ურთიერთობის საკითხი? როცა „იაფეტური“ „კავკასიურს“ გაუტოლდა, იაფეტურის სემიტურთან ნათესაობამ სიძნელები შექმნა: ქართულ-არაბულის (სემიტურის) შედარებითს გრამატიკას ნ. მარი ამუშავებდა (და კითხულობდა, როგორც კურსს, აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე); კავკასიურ-სემიტური შედარებითი გრამატიკის რაიმე სახით ჩამოყალიბება კი ნ. მარისთვისაც შეუძლებელი იყო: კავკასიურ ენათა მრავალფეროვნობა (ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, ლექსიკაში) იყო ამის მიზეზი. სემიტურ ენათა მონაცემებზე დაყრდნობით ქართულის ინტერპრეტაცია — ხელოვნური, ნაძალადევი — მაინც ხერხდებოდა. მსგავსი ოპერაცია განუხორციელებელი აღმოჩნდა, რაკი აფხაზურ-ადიღური, ნახური და დაღესტნური ენების მასალა შემოვიდა, როგორც იაფეტურ ენათა შემადგენელი ნაწილი. ამ პირობებში ითქვა: იაფეტური ენებიც ოჯახია და სემიტურიც (ოჯახი და არა შტო!), იაფეტური და სემიტური მონათესავე ოჯახები აო. ეს იყო 1916 წელს. 1920 წელს იაფეტური ნ. მარმა დაახასიათა, როგორც პირველი ეთნიკური ელემენტი, სემიტურისა და ინდო-ევროპულის უწინარესი (ხმელთაშუა ზღვის კულტურის შექმნაში). ამით ძირ-ფესვიანად შეიცვალა იაფეტურისა და სემიტურის ურთიერთობა: წინათ სემიტური იყო დასაყრდენი იაფეტურის თავი-

სებურებათა გაგება-განმარტებისათვის; ახლაც პრინციპში გამოირიცხა: უფრო ძველი, იაფეტური, უფრო ახლით, სემიტური ვერ განიმარტებოდა. ამან ათქმევინა ნ. მარს: „მე იძულებული ვარ თვითონ გამოვცვალო მთელი საფუძველი... გადავაბრუნო... ის საძირკველი, რომელზედაც თანდათანობით ამოგვყავდა... ახალი შენობის, იაფეტური ენათმეცნიერების კედლებით („იაფეტური კავკასია“... რჩ. შრომ., I, გვ. 83); ამ გაგებით დღეს მე ვანგრევ მთელს ნაგებობას, როგორც ისეთს, რაც აღმოჩნდა უსაფუძვლო, არაადეკვატური იმ იაფეტილოლოგიურ მასალათა, რაც შემდგომში გახდა ცნობილი (იქვე).

ამასთან დაკავშირებით ნ. მარი იძლევა იაფეტური თეორიის მიერ გავლილი გზის საინტერესო მიმოხილვას: პირველი შრომა („ძირითადი ტაბულები“...) 1908 წ. გამოვიდა. „ტაბულები“... მთლიანად აგებული იყო ჯერ კიდევ სტუდენტის დაკვირვებებზე და იმ ზოგად დებულებებზე, რაც აქედან გამომდინარეობდა იაფეტური ენების სემიტურთან ნათესაობის შესახებ. გასაგებია, თუ თეორიას, რომელიც წარმოიშვა ასეთ იზოლაცი-აში, პირველი ნაბიჯებიდანვე შესწორებათა მოლოდინი უნდა ჰქონოდა. შესწორებანი უნდა მოეწოდებინა სამი რიგის სამუშაოებს: 1. იაფეტური ენათმეცნიერების საფუძვლების გაღრმავებას, სახელდობრ, იაფეტური ენების სემიტურ ენებთან ნათესაობის მხრივ; 2. მოწაფეთა მომზადებას...; 3. იაფეტური საენათმეცნიერო ფაქტების აღნუსხვას (იქვე, გვ. 81).

ამ ახალმა მასალამ, ახალმა ფაქტებმა, — წერს ნ. მარი, — ავტორის სურვილისაგან დამოუკიდებლივ მოამზადა აფეთქება იმ გაგებისა, რაც 1908 წ. გამოქვეყნდა. „რვა წლის შემდეგ, მაშასადამე, 1916 წ., კავკასიის ცოცხალ უმწერლო ენებთან შეხვედრა-შეხლის შედეგად, მე იძულებული გავხდი გადაამეწყვიტა, ბოლოს ხელი ამელო ჩემს მეცნიერულ მიდგომაზე, როცა მე ჩემს კვლევა-ძიებაში ამოვდიოდი მკვდარი სამწერლო ენებიდან; და ეს ნაბიჯი, მეტად სახიფათო ჩემი სამეცნიერო რეპუტაციისათვის, მით უფრო თამამად შემეძლო გამომეხატა საჯარო ლექციაში „კავკასიის-მცოდნეობა და აფხაზური ენა“, რომ მას ისმენდნენ არა მეცნიერები, არამედ სოხუმის საზოგადოება... უკვე მაშინ მომიხდა ძმური ნათესაობა იაფეტური ენებისა სემიტურ ენებთან, როგორც ეს 1908 წ. ჩანდა, შემეცვალა არაზუსტად განსაზღვრული დვიძლი ნათესაობით („кровным родством“) იაფეტური ენებისა სემიტურ ენებთან... ხოლო იმ დებულების განსამარტავად, რომ „სემიტური ენები იაფეტურთან და ქამიტურთან ერთად შეადგენენ ენათა ერთი საერთო ოჯახის სამ შტოს, მე მომიხდა შემდეგი შენიშვნა (оговорка) გამეკეთებინა: შესაძლოა, ეს ასეც აღმო-

ჩნდეს დროთა ვითარებაში, მაგრამ ამჟამად ისე გაიზარდა იაფეტურ ენათა შედგენილობა, რომ საჭირო ხდება, გავყოთ ეს ენები ორ დიდ შტოდ და გავაერთიანოთ ერთ თავისთავად ოჯახად, იაფეტურ ოჯახად“ („იაფეტ. კავკასია“... რჩ. შრ., I, გვ. 85-86; ხაზი ჩვენია — **ა. ჩ.**).

იაფეტურისა და ქართულ-კავკასიურის ურთიერთობის საკითხს ნ. მარი უბრუნდება 1922 წ. წერილში „იაფეტიდები“. აქ ნათქვამია: იაფეტური ენათმეცნიერების პირველ საფეხურზე, როცა ყურადღების ცენტრში მოქცეული იყო იაფეტური ენების ურთიერთობა სემიტურ ენებთან „იაფეტური ენათმეცნიერების ამოცანათა სწორად ათვისებას ხელს უშლიდა ორი გარემოება“: პირველი ის, რომ იაფეტური ენების წრე შემოფარგლული იყო ქართულ-მეგრულ-ჭანურ-სვანურით; არ გვქონდა ნათელი წარმოდგენა იმის შესახებაც კი, რომ ამავე წრეს ეკუთვნის აფხაზური... იაფეტურ ენათა წრე შეზღუდული იყო... მეორე მხრივ, სემიტურისა და იაფეტურის ურთიერთობის გაგებაზე მოქმედებდა ის გარემოება, რომ სემიტების გავრცელების არე დიდი იყო, რომ სემიტურ ხალხებს ჰქონდათ ძველი კულტურა, ორგანულად დაკავშირებული ქამიტურ ეგვიპტესთან, რომ ყოველ სემიტურ ხალხს მნიშვნელოვანი როლი აქვს შესრულებული მსოფლიო ისტორიულ კულტურათა შექმნაში... „უ ნ ე ბ ლ ი ე თ გ ვ ი ხ დ ე ბ ო დ ა, — წერს ნ. მარი, — განგვეხილა იაფეტიდები, როგორც ტომი (племя?), წარმოდგენილი ახალგაზრდა ხალხებით და მათი მნიშვნელობა განგვესაზღვრა მის ნათესაობით სემიტებთან, გვიხდებოდა იაფეტური ენების განხილვა, როგორც ისეთი ენებისა, რომლებიც — განსხვავებით სემიტურ ენათაგან — შემოგვენახა განახლებული სახით, თითქოს მათ შესძენოდან ბევრი სიახლე, რაც მათ ამორებდა არქეტიპს, რომელსაც პირველ ნახევარში ჩვენ აღვადგენდით უკეთ დამუშავებული სამწერლო სემიტური ენების ისტორიული ნორმების მიხედვით, მათი სახისა და მსგავსებისამებრ („იაფეტიდები“, რჩ. შრ., I, გვ. 128)... ერთი სიტყვით: სემიტური ენები ძველი კულტურის, დიდი გავრცელების ენები იყო ამოსავალი ნ. მარისთვის; იაფეტური — ქართული უფრო ახალი ეჩვენებოდა... სემიტური ენების ისტორიულ ნორმათა მიხედვით („მათი სახისა და მსგავსებისამებრ“) განიმარტებოდა ქართული... ყოველივე ეს ისედაც ნათელი იყო ქართულის ლექსიკისა და გრამატიკის განმარტებისას იაფეტურ თეორიაში, დაწყებული „ძირითადი ტაბულებიდან“... ნ. მარმა ეს აღნიშნა, როცა გავლილ გზას თვალი გადაავლო... უცნაური ისაა, რომ ხელისშემშლელ გარემოებად ნ. მარი იმას თვლის, იაფეტური მხოლოდ ქართველურ ენებს გულისხმობდაო... აფხაზურის კავშირიც კი ამ ენებთან

ცხადი არ იყო... თითქოს სხვა ვისიმე ბრალი ყოფილიყოს, რომ ნ. მარმა იმით კი არ დაიწყო, რაც ბუნებრივი იყო (აფხაზურისა და მთის იბერიულ-კავკასიური სხვა ენების ქართულთან ურთიერთობა ეკვლია, მსგავსად ფრ. მიულერისა, რ. ერკერტისა, ჰ. შუხარდტისა), არამედ ქართული არაბულ-სემიტურის მონათესავედ გამოაცხადა, და ქართულის სემიტურთან შედარებას შეუდგა ისე, რომ ქართულის ძირითადი მოვლენები მეგრულ-ჭანურთან და სვანურთანაც კი შედარებული არ ყოფილა... ხოლო ეს ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ უარყო მანამდე არსებული დებულება (კავკასიური ენები ამჟამად არსებულ არც ერთ ენათა ოჯახს არ ენათესავებო)...

§ 35. იაფეტური თეორიის ევოლუციის პალეონტოლოგიური ეტაპის დასაწყისი

1923 წლის 21 ნოემბერს მეცნ. აკადემიის ისტორიულ-ფილოლოგიური განყოფილების სხდომაზე ნ. მარმა გააკეთა განცხადება (სულ ერთი ნაბეჭდი გვერდის მოცულობისა) „ხმელთაშუაზღვეთის ინდო-ევროპული ენები“ („Индоевропейские языки Средиземноморья“), რჩ. შრ., I, 185-6. მეტყველების პალეონტოლოგიაზე მუშაობამ უკანასკნელი თვეების მანძილზე — იაფეტური ენების მასალის არაიაფეტურ ენებში შეთვისების ფაქტებმა — წერს ნ. მარი — გამოავლინა დებულება, რომელსაც მეტი შედეგები მოსდევს, ვინემ ყველაფერს, რაც აქამომდე მითქვამს იაფეტიდთა მნიშვნელობის შესახებ და მათი როლის შესახებ ხმელთაშუაზღვეთის კულტურის შექმნაში წინაისტორიულსა და პროტოისტორიულ ეპოქებში. „ვამტკიცებ, რომ რასობრივად განსხვავებული ინდო-ევროპული ოჯახი ენათა არ არსებობს... ინდო-ევროპული ენები შეადგენენ ცალკე ოჯახს, მაგრამ არა რასობრივს¹, არამედ როგორც შეფარების განსაკუთრებული... საფეხურის შედეგს, რაც გამოწვეული იყო გადატრიალებით საზოგადოებრიობაში წარმოების ახალ ფორმებთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, ლითონების აღმოჩენასა და მეურნეობაში მათს გამოყენებასთან დაკავშირებით... ინდო-ევროპულ ენათა ოჯახი ტიპოლოგიურად არის ახალ სამეურნეო საზოგადოებრივ პირობათა წარმონაქმნი, მასალების მიხედვით კი... იმავე იაფეტური ენების შემდგომი სახესხვაობა (дальнейшее состояние), მათი განვითარების გარკვეულ სტადიაზე, საერთოდ, აღნაგობით ახალი ფორმაციაა“ (რჩ. შრ., I, გვ. 185; ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

¹ ე. ი. არა წარმოშობით განსხვავებულს... — ა. ჩ.

ერთი სიტყვით, ინდო-ევროპული ენები არაა წარმოშობით განსხვავებული, ესაა იაფეტური ენების ტრანსფორმაციის შედეგი..., ახალი ფორმაცია... ამას კი თურმე მეურნეობის განვითარება (ლითონთა ფართო გამოყენება...) ედვა საფუძვლად... (არ არის გარკვეული, თუ რა როლს ასრულებდა მეურნეობის განვითარება და რა როლს — შეჯვარება ამ პროცესში)...

მთავარი და არსებითი შემდეგია: ინდო-ევროპული ენები იაფეტური ენების გარდაქმნით არის მიღებულიო, ე. ი. ერთი ენის ოჯახი მეორე ოჯახის ენებიდან შეიძლება იქნეს გამოყვანილი... ენათა ოჯახები ერთი მეორის გვერდით, ერთდროულად კი არ არსებობდნენ, არამედ ერთი მეორის შემდეგ წარმოიქმნენ ერთი და იმავე მასალისაგან მათი შეჯვარების (თუ სხვაგვარად გარდაქმნის) გზით... განსხვავებას (ენათა ოჯახებს შორის) ქმნის არა ამოსავალი მასალა (შდრ. ლათ. ტრეს, ძვ. ინდ. ტრადას, რუს. ტრი, ქართ. სამ-), არამედ განვითარების საფეხური, სტადია... ამოსავალი მასალა — როგორც მერე, 1926 წ., იტყვის ნ. მარი — ერთი და იგივეა: ესაა ელემენტები, წარმოშობით ტომთა სახელები სალ-ბერ-დონ-როშ... მათი შეჯვარებით წარმოიქმნა დედამიწის ყველა ენა...

მოკლედ: ისახება ენათა ერთიანი წარმოშობა-განვითარების პროცესი („ერთიანი გლოტოგონიური პროცესი“), ენათა განვითარების საფეხურბერივი, სტადიური, სქემა (ეს დაედო საფუძვლად „ენის შესახებ ახალ მოძღვრებას“).

იაფეტური ენები ჯერ ნოეს ოჯახის შტოდ იყო მიჩნეული (1908-1916), შემდეგ — დამოუკიდებელ ოჯახად (1916-1920), ბოლოს — ენათა განვითარების საფეხურად (1923 წლიდან).

ამრიგად ნ. მარმა დაიწყო იმით, რომ ქართულის ადგილი უნდოდა გაერკვია ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციაში. დაამთავრა იმით, რომ უარყო ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია.

§ 36. იაფეტური თეორიის პოზიტიური შედეგები იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლაში

იაფეტური ენები რომ განვითარების სტადიას წარმოადგენს, მასთან ძველის ძველს — ამას ნ. მარი თავისი სიცოცხლის უკანასკნელი 8 წლის მანძილზე დაჟინებით იმეორებდა, მაგრამ ხელშესახები საბუთები ამ დებულების ცხადსაყოფად არ წარმოუდგენია. საქმეს ისიც ართულებდა, რომ ცოცხალ იაფეტურ ენათა შორის არქაულობის მხრივ არსებითი სხვაობა შეიმჩნეოდა; ასე, მაგალ., ნ. მარი ოციან

წლებში გახაზავდა აფხაზურის დიდ სიძველეს (წინააღმდეგ იმისა, რასაც 1912 წელს წერდა). სხვა იაფეტური ენები ამ მხრივ აფხაზურთან ერთ სიბრტყეზე ვერ მოექცეოდნენ... გაურკვეველი დარჩა. რა ნიშნები ახასიათებდა იაფეტურ სტადიას (საერთოდ, სტადიის ცნების განსაზღვრა არც ნ. მარს, არც მის მიმდევრებს არ მოუხერხდათ).

იაფეტურ ენათა წრეს ხმელთაშუაზღვეთის ენები, მათ შორის, ბასკური რომ განეკუთვნება, ამის შესახებ ნ. მარს არა ერთგზის მოგვითხრობს გატაცებით, მაგრამ ცალკეულ სიტყვათა — არც თუ სარწმუნო — შედარების იქეთ დასაბუთება არ მიდის.

ნ. მარსის დამსახურება ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების წინაშე დიდი იქნებოდა, რომ მას ცხადეყო ქართველურ ენათა წარმოშობითი კავშირი აფხაზურ-ადიღურ, ნახურ და დაღესტნურ ენებთან, ე. ი. დაემტკიცებინა სისწორე აზრისა იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის შესახებ, რასაც ნ. მარამდეც არა ერთი ენათმეცნიერი თვლიდა სარწმუნოდ, მაგრამ რასაც დასაბუთება აკლდა.

ეს ამოცანა იაფეტურ თეორიას გადაუჭრელი დარჩა. არც რაიმე მნიშვნელოვანი მონოგრაფიული გამოკვლევა — ცალკე საკითხისა თუ ცალკე ენის შესახებ — ამ მხრივ ნ. მარს არ შეუქმნია.

რაც შეეხება ქართველურ ენებს, ამ მხრივ ყველაზე მეტი გაკეთდა. „ჭანურის გრამატიკა“ (1910 წ.), „ძველი-ქართულის სალიტერატურო ენის გრამატიკა“ (1925 წ.), „ქართული ენა“ („La langue géorgienne“ მ. ბრიერის თანაავტორობით 1931 წ. პარიზში გამოსული), „ძირითადი ტაბულები ძვ. ქართული ენის გრამატიკისა“ (1908 წ.) — ყველაზე არსებითია, რაც ნ. მარსამ ამ მხრივ გააკეთა. მართალია, ამ შრომებში ქართული ენის სინამდვილე სემიტურ ენათა აგებულების თვალსაზრისით შუქდება, ბოლოდროინდელი შრომები კიდევ („ქართული ენა“, „ძვ. ქართულის გრამატიკა“) პალეონტოლოგიური ინტერპრეტაციებით არის დატვირთული (უკეთ: დაბნელებული), მაინც ამ მონოგრაფიებს ქართული ენის დაინტერესებული სპეციალისტი გვერდს ვერ აუვლის.

ქართველურ ენათა ფონეტიკური ტიპების მიხედვით დახასიათება ენათმეცნიერულად ფასეულია, როცა კონკრეტულ ფაქტებზეა დაფუძნებული (და ლიტონსიტყვიერ სქემად არ იქცევა, როგორც ეს მთის კავკასიურ ენათა დახასიათებისას ხდება).

სუბიექტური და ობიექტური უღვლილების გარჩევა, რაც ნ. მარსის მეოხებით დაინერგა (იმ დაზუსტებით, რაც მასში 1920 წ. ა. შანიძემ შეიტანა) ქართული (და ქართველურ ენათა) ზმნის დახასიათებისას მნიშვნელოვანი შენაძენია.

მეტად საინტერესოა ქართველურ ენათა მასალის ეტიმოლოგიური ძიება, რასაც ნ. მარის სამეცნიერო მუშაობაში დიდი ადგილი ეთმობოდა. ხშირად ერთსა და იმავე სიტყვას ნ. მარი სხვადასხვა ეტიმოლოგიას უძებნიდა სხვადასხვა დროს (ასეთია, მაგალ., „წარმართ“-ი...)... ბევრი ეტიმოლოგია არაა დამაჯერებელი. და მაინც, ეტიმოლოგიათა უმეტესობა მეტად საინტერესოა... ზოგ-ზოგი — ბრწყინვალე მიხედვისა და ანალიზის ნიმუშებს იძლევა (მაგ., ქართ. ხუცეს — მეგრ. უჩაშ- „უფროსი“).

ნ. მარი ხშირად იმოწმებს „იაფეტურ და სემიტურ ენათა შედარებითს გრამატიკას“, მის მიერ დამუშავებულს (პეტერბურგის უნივერსიტეტში კითხულობდა კიდევ ასეთ კურსს).

სამწუხაროდ, იაფეტურ (ე. ი. ქართველურ) ენათა ასეთივე შედარებითი გრამატიკა ნ. მარს დამუშავებული არა ჰქონია (ეგვევ ითქმის ქართველურ ენათა შედარებით ლექსიკონზე)... და მაინც ყველაზე ნაყოფიერი იაფეტური თეორიის ევოლუციის პირველი საფეხური გამოდგა.

ნ. მარს, როგორც მკვლევარს, ახასიათებდა გატაცებით მუშაობა, კოლოსალური ენერგია და სინთეზის ძლიერი ნიჭი. განზოგადება, მთლიანი სურათის მოხაზვა — მისი სტიქია იყო. კონკრეტული ფაქტების ჩვენებათა ბოლომდე გაანალიზება უმძიმდა... ერთი განზოგადება ამიტომ მეორეს ცვლიდა („ფაქტების მოწოდის შედეგად“, როგორც ნ. მარი იტყოდა ხოლმე. მის მიმდევრებს მოეთხოვებოდა ყოფილიყვნენ უკანასკნელი განზოგადების ერთგული).

ნ. მარმა დააარსა სამეცნიერო სერიები:

1. ტექსტები და გამოკვლევები სომხურ-ქართულ ფილოლოგიაში — **Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии** (ამ სერიაში გამოქვეყნდა, კერძოდ, ძველი ქართული ტექსტები: III. თარგმანებად ქებისა ქებათადაც, 1901 წ.; VI. სახისა-სიტყუა, 1904 წ.; IX წარტყუნვა იერუსალმისა, 1909; VII. ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, 1911... აგრეთვე: IV. ძველი ქართველი მეხოტბეები, 1902; XII „ვეფხისტყაოსნის“ შესავალი და დასკვნითი სტროფები, 1910)...

2. „მასალები იაფეტური ენათმეცნიერებისა“ **Материалы по яфетическому языкознанию...** ამ სერიაში გამოქვეყნდა: „ჭანური ენის გრამატიკა“ ნ. მარისა (1910), „მეგრული ენის გრამატიკა“ ი. ყიფშიძისა (1914), „ძველი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკა“ ნ. მარისა (1925 წ.)...

1921 წელს მ. მარმა დააარსა „იაფეტიდოლოგიური ინსტიტუტი“ (1922 წლიდან — „იაფეტურ ინსტიტუტად“ წოდებული). ამ ინსტიტუტის შრომები იწოდებოდა „იაფეტურ კრებულად“ „Яфетический сборник“; პირველი ტომი 1922 წ. გამოვიდა, უკანასკნელი, VII, 1932 წელს.

1933 წლიდან „იაფეტური ინსტიტუტის“ ადგილი დაიჭირა „ენისა და აზროვნების ინსტიტუტმა“ *Институт языка и мышления...* ამ ინსტიტუტის შრომები იბეჭდებოდა კრებულში „ენა და აზროვნება“ „Язык и Мышление“; პირველი წიგნი გამოვიდა 1933 წელს, უკანასკნელი, XI, 1949 წელს.

პირველ წიგნს წამძღვარებული აქვს ნ. მარის მოკლე წინასიტყვაობა (იგი იბეჭდება შავის მიხედვით ნ. მარის მიძიედ ავად გახდომის გამო; 1934 წელს ნ. მარი გარდაიცვალა).

„ენა და აზროვნება“ ნ. მარის თეორიის პალეონტოლოგიურ თვალსაზრისს ასახავს. „იაფეტური კრებულიც“ (1922 წ.), არსებითად სტადიური განვითარებისა და შეჯვარების პრინციპების გამოყენებას გულისხმობს.

პოზიტიური კვლევა-ძიება იბერიულ-კავკასიურ ენათა პრობლემატიკისა უფრო „იაფეტურ ენათა მასალებშია“ წარმოდგენილი.

ძველი ქართული ენის ძეგლთა გამოცემა „სომხურ-ქართულ ფილოლოგიის“ სერიაში მაღალ მეცნიერულ დონეზე დგას. ერთი მეცნიერის სასიცოცხლო საქმედ იკმარებდა, რაც ამ მხრივ ნ. მარს აქვს გაკეთებული (საამისო პროდუქციის განხილვა ქართული ფილოლოგიის ისტორიის საქმეა).

ნ. მარმა მოგვცა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ყველა ძირითადი საკითხის გადაწყვეტის ესკიზები, ზოგი უფრო რეალური, ზოგიც ფანტასტიკური... ყველა ამ საკითხზე ნ. მარი წერდა მისთვის ჩვეული გატაცებითა და მომხიბლავი სინთეზური ნიჭით. ბევრი თქვა მეტად საინტერესოდ, შეუდარებლევ ცოტა — დამაჯერებლად. ეს ნათქვამი სამეცნიერო აზრს აღძრავს საკვლევად, კატალიზატორის როლში გამოდის, თუ მკითხველს ეს შესასწავლი სამყარო გულთან ახლოს მიაქვს. მაგრამ გარეშე პირს ჩვეულებრივ სკეპტიკურ განწყობილებას უქმნის არა მხოლოდ ნ. მარის ნათქვამის მიმართ, თვით საკითხის მეცნიერული მნიშვნელობის შესახებ. და მაინც: იბერიულ-კავკასიურ ენებზე მომუშავე სპეციალისტი უნდა იცნობდეს ნ. მარის შრომებს ქართველურ და მთის კავკასიურ ენათა შესახებ.

§ 37. იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლა ლენინგრადსა და მოსკოვში (ნ. მარის შემდეგ)

მას შემდეგ, რაც იაფეტური თეორია იქცა სტადიური განვითარების თეორიად, ისტორიულ-შედარებითი კვლევა-ძიების საკითხი „ენისა და აზროვნების ინსტიტუტში“ მოიხსნა: შედარებითი გრამატიკა ერთი წარმოშობის (ანუ მონათესავე) ენათა არსებობას გულისხმობს წინაპირობად, ეს წინაპირობა კი ნ. მარის „ახალ მოძღვრებაში“ უარყოფილ იქნა. ამიტომ

ნ. მარის მიმდევრებთან შეწყდა ისტორიულ-შედარებითი ძიება¹, როგორც მეთოდოლოგიურად უარსაყოფი (და იდეოლოგიურად მიუღებელი).

ენისა და აზროვნების ინსტიტუტის ხელმძღვანელი აკად. ივ. მეშხა-ნინოვი შეეცადა სტადიური განვითარება ეკვლია სინტაქსის მასალაზე: მან განიხილა წინადადების სხვადასხვა კონსტრუქციების (ნომინატური, ერგატიული, დატიური, გენეტიური) ისტორიული თანამიმდევრობა პალეო-აზიურისა და კავკასიური ენების ჩვენებათა გათვალისწინებით შრომაში „ზოგადი ენათმეცნიერება“ („Общее языкознание“), 1940 წ. სტადიურ განვითარებას ნ. მარი ოთხელემენტიანი პალეონტოლოგიური ანალიზის მეშვეობით სწავლობდა ლექსიკის მასალაზე. სინტაქსის საკითხების სტადიურ შესწავლას ოთხელემენტიანი ანალიზი არ სჭირდებოდა.

ცალკეულ ენათაგან „ენისა და აზროვნების“ ინსტიტუტში შესწავლის საგანი იყო: დარგული (სოფიო ბიხოვსკაიამ გამოაქვეყნა რამდენიმე წერილი), ხუნძური ენა (ანატოლი ბოკარევა დაამუშავა „ხუნძური ენის სინტაქსი“ „Синтаксис аварского языка“, გამოვიდა ავტორის გარდაცვალების შემდეგ, 1949 წ.), აგრეთვე: ჰამალალური ენის გრამატიკის ნარკვევი (Очерк грамматики чамалинского языка, 1949 წ.).

ნაყოფიერად მუშაობდა (აფხაზურზე, კერძოდ აბაზურ დიალექტებზე, ჩაჩურზე, ლეზგიურზე) ა. ჰენკო; მისი მთავარი გამოკვლევა „აბაზური ენა. გრამატიკული ნარკვევი ტაპანთის დიალექტისა“ (Абазинский диалект. Грамматический очерк наречия Тапанта), შესაძლებელი გახდა გამოსულიყო მხოლოდ საენათმეცნიერო დისკუსიის (1950 წ.) შემდეგ, 1955 წ., როცა ავტორი ცოცხალი აღარ იყო (ა. ჰენკოს ვრცელი შრომა აფხაზურის შესახებ დაიბეჭდა აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომებში 1958 წ.). ლენინგრადში მომუშავე გ. ტურჩანინოვმა ი. წაღვასთან ერთად გამოაქვეყნა „ყაბარდოული ენის გრამატიკა“ (1940) (Г. Турчанинов и И. Цагов. Грамматика кабардинского яз. 1940). გამოიცა: აღულური ენის გრამატიკული ნარკვევი (ტექსტებითა და ლექსიკონით) რ. შაუმიანისა 1941 წ. Граммат. очерк агульского языка с текстами и словарем, 1941.

მოსკოვში მთის კავკასიურ ენებზე მუშაობა წარმოებდა ოციანი წლებიდან „ეთნიკურ და ნაციონალურ კულტურათა ინსტიტუტში“ (შემდეგ გადაკეთდა „ენისა და აზროვნების ინსტიტუტის“ მოსკოვის ფილიალად); აქ მუშაობდნენ ლ. ჟირკოვი და ნ. იაკოვლევი. ლ. ჟირკოვი

¹ 1950 წლის საენათმეცნიერო დისკუსიამდე არც ლენინგრადსა და არც მოსკოვში ისტორიულ-შედარებითი რაიმე გამოკვლევა კავკასიურ ენათა შესახებ არ გამოქვეყნებულა.

გამოაქვეყნა: „ხუნძური ენის გრამატიკა“, 1924 წ. (ლითოგრ. ნაბეჭდი); „ხუნდ.-რუს. ლექსიკ.“ 1936 წ. *Грамматика аварского языка*, 1924 წ. *Авар.-рус. словарь*, 1936. „დარგუული ენის გრამატიკა“, 1926 წ. *Грамматика даргинского языка*; „ლეზგიური ენის გრამატიკა“, 1941 წ. *Грамматика лезгинского языка... Табасаранский яз. Граммат. и тексты*. თაბასარანული ენა. გრამატიკა და ტექსტები. 1948 წ. საენათმეცნიერო დისკუსიის შემდეგ: ლაკური ენა. ფონეტიკა და მორფოლოგია, 1955 წ.

ლ. ჟირკოვის ყველა შრომა იმ ენებს ეხება, რაც პ. უსლარის მონოგრაფიათა საგანი იყო. შემთხვევითი ეს არ ყოფილა: ლ. ჟირკოვი უსლარის მონოგრაფიებს ემყარება, მათს ერთგვარ შეკვეცა-გადამუშავებას წარმოგვიდგენს (ეს აღნიშნული აქვს თვითონ ჟირკოვს „ხუნდ. ენის გრამატიკის“ წინასიტყვაობაში). ლ. ჟირკოვი სათანადო ცოცხალ ენებსაც ეცნობოდა (ამ მხრივ უფრო დამოუკიდებელი ჩანს „ლაკური ენა“), მაგრამ ამოსავალი მაინც პ. უსლარის შრომები ჩანს; დამახასიათებელია ამ მხრივ „დარგუული ენა“: დარგუული ენის შესახებ მსჯელობისას ლ. ჟირკოვი ურახული დიალექტის მასალას იძლევა, თუმცა ამჟამად დარგუულ სამწერლო ენას საფუძვლად აჯუშური დიალექტი უძევს და არა ურახული; მიზეზი მარტივია: ურახული აქვს ნაკვლევი პ. უსლარს.

საერთოდ, ლ. ჟირკოვის ხსენებული შრომები არსებითად იმგვარსავე მიმართებაშია პ. უსლარის შრომებთან, როგორსაც ა. შიფნერის „დაწვრილებითი გადმოცემა“ (პ. უსლარის შრომებისა) იძლევა.

ბ. იაკოვლევის შრომები ადიღურსა და ჩაჩნურს ეხება; ეს შრომებია: „მასალები ყაბარდოული ლექსიკონის შესახებ. 1. ერთმარცვლოვან ძირეულ სიტყვათა და ღია მარცვლის ტიპის ძირთა ლექსიკონი“, 1927 წ. *Материалы для кабардинского словаря. Вып. I. Словарь односложных коренных слов и корней открытого слога*, 1927. ბ. იაკოვლევი და დ. აშხამაფი. ადიღური (კიახური) ენის მოკლე გრამატიკა... კრასნოდარი, 1930 წ. „Краткая грамматика адыгского (кяхского) языка для школ и самообразования“, 1930. ყაბარდოულ-ჩერქეზული ენის მოკლე გრამატიკა, ნაკვ. 1. სინტაქსი და მორფოლოგია, 1938. *Краткая грамматика кабардино-черкесского языка. Вып. I. Синтаксис и морфология*, 1938. „ყაბარდოულ-ჩერქეზული სალიტერატურო ენის გრამატიკა“, 1948. *Грамматика литературного кабардино-черкесского языка... Б. И. Яковлев и Д. Ашхамови, ადიღური სალიტერატურო ენის გრამატიკა*, 1941. „*Грамматика адыгейского литературного языка...*“ ბ. იაკოვლევი. პ. ხუმფაროვის, მ. საიდოვისა და ა. ბეკოვის მონაწილეობით „ჩაჩნური ენის სინტაქსი“, 1940. ბ. იაკოვლევისავე „მორფოლოგია ჩაჩნური ენისა“, გამოსცა 1960 წ. *Морфология чеченского языка*) საჩაჩნო-ინგუშეთის სამეცნ. კვლ. ინსტიტუტმა ქ. გროზნოში.

ნ. იაკოვლევი თავდაპირველად ნ. მარის პალეონტოლოგიას არ იზიარებდა, მაგრამ შემდეგში ცდილობდა ადილურ ენათა სიტყვების მარტივ ფუძეში ძველი-ძველი ელემენტები ეპოვნა, ნ. მარის ელემენტოვან პალეონტოლოგიას ერთადერთ მარქსისტულ ჭეშმარიტებად სახავდა და ვულგარული სოციოლოგიზმის ბეჯით პროპაგანდისტად გამოდიოდა. ვინც ამას არ იზიარებდა, ბურჟუაზიულ ნაციონალისტად და ხალხის მტრად აცხადებდა (ამ მხრივ გამოირჩევა ნ. იაკოვლევის „ჩაჩნური ენის სინტაქსი“)...

ნ. იაკოვლევის თითქმის ყველა მონოგრაფიას თანაავტორი ჰყავს (შესაბამისი ენის მცოდნე); ზოგჯერ ამ მხრივ უჩვეულო მდგომარეობა იქმნება: „ჩაჩნური ენის სინტაქსი“ ავტორად ნ. იაკოვლევი აწერია; მაგრამ სათაურში ცალკეა გამოყოფილი: „ა. ხუმფაროვის, მ. საიდოვისა და ა. ბეკოვის მონაწილეობითაო“; ჩანს, ესენიც თანაავტორები ყოფილან, მაგრამ „ავტორის“ გვერდით დასახელება არ ღირსებათ.

1950 წ., საენათმეცნიერო დისკუსიის შემდეგ, „ენისა და აზროვნების“ ინსტიტუტის ნაცვლად მოსკოვში შეიქმნა „ენათმეცნიერების ინსტიტუტი“ (ლენინგრადში ამ ინსტიტუტის ფილიალი მოიპოვება). ენათმეცნიერების ინსტიტუტში „კავკასიურ ენათა სექტორი“ ჩამოყალიბდა.

ამ სექტორის თანამშრომლებმა რიგი მონოგრაფია გამოაქვეყნეს: იუნუს დეშერიევმა: „ბაცბური ენა“. ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკა, 1953 (სადოქტორო დისერტაცია), *Бацбийской язык. Фонетика, морфология, синтаксис, лексика...* „ჩინალულური ენა“, 1959, *Хиналугский язык. „ჩაჩნური ენის ფონეტიკა“... Фонетика чеченского языка*; „ნახური ენების შედარებითი გრამატიკა“, 1963. *Сравнительно-историческая грамматика нахских языков.*

ესაა პირველი შედარებითი გრამატიკა ჩაჩნურ-ინგუშურ-ბაცბურისა და, საერთოდ, პირველი შედარებითი გრამატიკა, რომელშიაც ერთ-ერთი ჯგუფის ენათა ფონეტიკა და მორფოლოგია არის განხილული (ყ. დიუმეზილის „შედარებითი ძიებანი“ 1932 წ. აფხაზურ-ადილური ენების მორფოლოგიასლა ეხება).

ევგენი ბოკარევის შეჯამებითი შრომა „დაღესტნის დიდოური ენები“ (სადოქტორო დისერტ.) დაიბეჭდა 1959 წ. *Цезские (дидойские) языки Дагестана.*

„დაღესტნის ენათა შედარ. ისტორ. შესწავლის შესავალი“ ევგ. ბოკარევისა გამოსცა დაღესტნის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. 1961 წ. *Введение в сравнит-истор. изучение дагестанских языков.*

„ლაკური ენის ლექსიკონი“ *Лакско-русский словарь* გამოსცა ს. ხაიდაკოვმა 1962 წ.; მასვე ეკუთვნის გამოკვლევა ლაკური ლექსიკის შესახებ: „ნარკვევები ლაკური ლექსიკის შესახებ“, 1961, *Очерки по лексике лакского языка.*

1964 წ. გამოვიდა მუხადინ კუმახოვის გამოკვლევა „ადიღურ ენათა მორფოლოგია“, *I. Морфология адыгских языков. I.*

„ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, *Этимологический словарь картвельских яз.* 1963 წ. ეკუთვნის გ. კლიმოვს. ადრე 1962 წ. დაიბეჭდა ამავე ავტორის შრომა, სადაც ქართველურ ენათა ბრუნების შედარებითი განხილვაა მოცემული: „ბრუნება ქართველურ ენებში შედარებით-ისტორიულ ასპექტში“. *Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте.*

ორივე შრომაში ყურადღებას იქცევს ქართველურ ენათა ისტორიის რთული საკითხების გამარტივებული ინტერპრეტაცია.

§ 38. იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლა ჩრდილო-კავკასიის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში

ჩრდილო-კავკასიის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩამოყალიბდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები — ენისა, ლიტერატურისა და ისტორიისა. ენის შესწავლა აქ მიზნად ისახავდა, პირველ ყოვლისა, ადგილობრივი კულტურული საჭიროების მოვლა-მომსახურებას: ახალ სამწერლო ენათათვის სასკოლო გრამატიკების შედგენას, მართლწერის დამუშავებას, ტერმინოლოგიურ ლექსიკონთა შექმნას. უმწერლო ენათა შესწავლის საკითხი ასეთ პირობებში, ცხადია, არ დადგებოდა; არც დიალექტების შესწავლას ექცეოდა თავდაპირველად ყურადღება: დიალექტური არალიტერატურულს ნიშნავდა და ლიტერატურულ ნორმათა დარღვევის წყაროდ იყო მიჩნეული.

დაღესტნის ავტ. სს რესპუბლიკაში ექვს სამწერლო ენაზე ასწავლიდნენ პირველი ოთხი წლის განმავლობაში; მათში ერთი — ყუმიკური — ალთაური წრისაა, ხუთი სხვა — მთის იბერიულ-კავკასიურია; ეს ენებია: ხუნძურთი, დარგუული, ლაკური, ლეზგიური და თაბასარანული; ხუნძურზე სწავლობენ ანდიურ-დიდოურ ენა-კილოებზე მოლაპარაკენიც; ლეზგიური რუთულელ-წახურელთა (და ერთხანს — აღულელთა) სამწერლო ენაც იყო. ყველა ამ ხუთ სამწერლო ენაზე შედგა სათანადო ენის გრამატიკა. (გამოცა ორენოვანი ლექსიკონები: რუსულ-ხუნძური ლექსიკონი შ. მიქაილოვისა და მ. საიდოვის (1951 წ.), რუსულ-დარგუული ლექსიკონი — აბდულაევისა (1950), რუსულ-ლეზგიური ლექსიკონი მ. ჰაჯიევისა (1950 წ.), რუსულ-ლაკური ლექსიკონი ჰ. მურყელინსკისა (1953)... გარდა ამისა: რუსულ ენაზე გამოქვეყნდა: ს. ნ. აბდულაევის „დარგუული ენის გრამატიკა, ფონეტიკა და მორფოლოგია“, 1954,

Грамматика даргинского языка. Фонетика и морфология... ზ. აბდულაევისა: „ბრუნვები და მათი ფუნქცია დარგულ სალიტერატურო ენაში“, 1960... მ. მ. ჰაჯიევისა: „ლეზგიური ენის სინტაქსი“ 1. მარტივი წინადადება, 1954, Синтаксис лезг. яз. I. Простое предложение. „რთული წინადადების სინტაქსი“ 1963 წ. Синтаксис сложного предлож. в лезг. яз.; ლაკური ენის გრამატიკა სადოქტორო დისერტაციად დაამუშავა (1952 წ.) 3. მურყელინსკიმ, რომელსაც ლაკური ენის შესახებ რამდენიმე წერილი აქვს გამოქვეყნებული.

უკანასკნელი ხუთმეტი წლის მანძილზე დაღესტანში დიალექტების შესწავლასაც ექცევა ერთგვარი ყურადღება; ამ მხრივ აღსანიშნავია: ლეზგიური დიალექტების შესწავლისადმი მიძღვნილი შრომები: უ. მეილანოვასი, რ. ჰაიდაროვისა, ბ. ტალიბოვისა... შ. მიქაილოვისა — ხუნძური ენის დიალექტების შესახებ, ი. სულეიმანოვის საკანდ. დისერტაცია ანდიური ენის რიკვანის თქმის შესახებ (1961), გ. მადიევის საკანდ. დისერტაცია ბეჟიტურის (კაპუჭურის) შესახებ (1954), შ. საადიევის საკანდ. დისერტაცია კრიწული ენის შესახებ (ლეზგ. ჯგ.) (1959 წ.)...

დაღესტნის სამეცნ.-კვლევ. ინსტიტუტი (ქ. მახაჩყალაში) 1948 წლიდან სცემს კრებულს „დაღესტნის ენები“ Языки Дагестана; გამოვიდა 2 კრებული. იცემა აგრეთვე ინსტიტუტის მოამბე.

საჩაჩნო-ინგუშეთის სამეცნ.-კვლ. ინსტიტუტი (ქ. გროზნოში) ნახური ჯგუფის ორი სამწერლო ენის — ჩაჩნურისა და ინგუშურის — შესწავლას ემსახურებოდა.

დამუშავებულია სასკოლო გრამატიკები, რუსულ-ჩაჩნური ლექსიკონი (მ. ჰენტიევისი, 1940 წ.), რუსულ-ინგუშური ლექსიკონი (მ. მალსაგასი, 1929 წ.), ჩაჩნურ-რუსული ლექსიკონი (მაცეივისა, 1962 წ.); საენათმეცნიერო მონოგრაფიებიდან აღსანიშნავია: ზ. მალსაგას „ინგუშური გრამატიკა“ ინგუშურ სიტყვათა კონით, ვლადიკავკაზი (ორჯონიკიძე), 1925 წ. (მეორე გამოცემა 1963 წ.) Ингушская грамматика со сборником ингуш. слов... დ. მალსაგას „ჩაჩნურ-ინგუშური დიალექტოლოგია და ჩაჩნ.-ინგუშ. სალიტერატურო ენის განვითარების გზები“, გროზნო, 1941, „Чечено-ингушская диалектология и пути развития чеч.-ингуш. литературного языка“.

უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ქ. გროზნოში გამოიცა მონოგრაფიები: ი. არსახანოვის — „აჯის დიალექტი ჩაჩნურ-ინგუშური ენის სისტემაში“, 1959. Аккинский д. в системе чечено-ингуш. языка, ჩაჩნურ-რუსული ლექსიკონი ნ. მაცეივისა, 1962 წ. Чечен.-рус. словарь. აგრეთვე: ი. დემერევის შრომა: „თანამედროვე ჩაჩნური სალიტერატურო ენა, 1. ფონეტიკა“, 1960 (იხ. ზემოთ, გვ. 377). Современ. чечен. лит. яз. I, Фонетика. ნ. იაკოვლევის

„ჩაჩნური ენის მორფოლოგია“, 1960 (იხ. ზემოთ, გვ. 376)... საჩაჩნო-ინგუშეთის სამეცნ.-კვლევითი ინსტიტუტის მოამბეში დაიბეჭდა რიგი გამოკვლევა, და საკანდიდატო დისერტაციად დაიცვეს ავტორებმა საქართვემ. მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტიტუტში — რ. დოლაჟოვამ: „ნამყო დროთა სისტემა ჩაჩნურსა და ინგუშ. ენებში“, ჩისკიმ 11,2 (1961), 69 გვ. **Сист. прош. времен в чечен. и ингуш. языках.** ფ. ოზდოევამ: „თანდებულები ჩაჩნურისა და ინგუშურის სისტემაში“, იქვე, III, 1962, გვ. 89-150. **Послелог в сист. чечен. и ингуш. яз.;** ი. ალიროევამ: „ჩაჩნური ენის ქისტური დიალექტი“, იქვე, III, 2, 1962 (87 გვ.) **Кистин. диал. чеченского яз.,** მ. ი. ჩაპანოვმა: „წინადადების ერგატიული კონსტრუქცია ნახურ ენებში“ იქვე, IV, 2, გვ. 96-167 **Эргативная конструкция предложения в нахских языках.**

ყაბარდო-ბალყარეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დამუშავდა: კოლექტიური შრომა „ყაბარდოულ-ჩერქეზული სალიტერატურო ენის გრამატიკა“, 1957 **Грамматика кабард.-черкесского литерат. языка;** „რუსულ-ყაბარდოულ-ჩერქეზული ლექსიკონი“ **Кабард.-русский словарь.** ბ. კარდანოვისა და ა. ბიჭოვეისა (1954); „ყაბარდოულ-რუსული ლექსიკონი“ მ. აბაჟევისა, ნ. ბაღვას, პ. ბაღვას, ბ. ბალყაროვისა და ჯ. კოკოვისა, ბ. კარდანოვის რედაქციით (ყაბარდ. ენის მოკლე გრამატ. ნარკვევითურთ), 1957 წ. **Кабард.-русский словарь.**

უკანასკნელი ათი-ხუთმეტი წლის მანძილზე ყაბარდოული ენის თითქმის ყველა კილოკავი-თქმა გახდა სპეციალური შესწავლის საგანი (საკანდიდატო დისერტაციებში): „თერგის თქმები“ შეისწავლა თამ. ყუაშევამ (1954 წ.), „ყუბანის დიალექტი“ — მუხ. კუმახოვმა (1955 წ.) „მალკის თქმა“ — ამ. შაგიროვმა (1955 წ.), „ბაქსანის დიალექტი“ — კ. მამრეშევამ (1957 წ.)... ბასლინურ დიალექტს ეხება ბ. ბალყაროვის წერილი (1952)...

ამჟამად ინსტიტუტი მუშაობს ყაბარდოული ენის ვრცელ დოკუმენტირებულ ლექსიკონზე... ინსტიტუტი აქვეყნებს სამეცნიერო შრომების კრებულს „Ученые записки“...

ადიდეს ავტონ. ოლქის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა გამოსცა „ადიდური ენის განმარტებითი ლექსიკონი“ ზეინაბ კერაშისა და აბდ. ხათანოვისა, 1961 წ. **Толковый словарь адыгейского яз.;** სიტყვები თარგმნილია რუსულად; ერთვის საილუსტრაციო გამოთქმები (უთარგმნელად); მოცემულია ადიდური ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი საგნების ჩანახატები...

დამუშავდა „ადიდური ენის გრამატიკა“ ზ. კერაშისა და გ. როგავასი 1963 წ. გამოიცა „ადიდური ენის შაფსულური დიალექტის თავისებურებანი“ ზ. კერაშისა (საკანდ. დისერტ., 1953 წ.). **Особенности шапсугского**

диалекта адыгейского яз. ... ინსტიტუტმა გამოსცა სამეცნიერო შრომების ორი წიგნი „Ученые записки“, I, 1957 წ., II—1963 წ. წერილები ადიღეურის შესახებ ქვეყნდება აგრეთვე მაიკოპის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომებში.

აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ცალკეულ საენათმეცნიერო ნარკვევებს აქვეყნებდა ინსტიტუტის შრომებში (სულ გამოსულია 34 წიგნი).

ცალკე გამოცემათა შორის აღსანიშნავია: „აფხაზურ-ქართული ლექსიკონი“ ბაგრ. ჯანაშიასი, თბილ., 1954 („აფხაზურ-რუსული ლექსიკონი“ ნ. მარმა გამოსცა 1926 წ.). ხუბ. ბლაჟბას მონოგრაფია „აფხაზური ენის ბზიფური დიალექტი“ ტექსტებითურთ, 1964... მირ. ციკოლიას საკანდიდატო დისერტაცია აბჟუური დიალექტის თავისებურებათა შესახებ (დაიბეჭდა ინსტიტუტის შრომებში, ტ. XXIX (1958 წ.).

ამრიგად, დიალექტების შესწავლას უკანასკნელი ხუთმეტი წლის მანძილზე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში თანდათანობით მეტი ყურადღება ექცეოდა. სამწუხაროდ, დიალექტური ტექსტები თითქმის აღარ იბეჭდებოდა.

ავტონომიურ რესპუბლიკათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები „თავის ენას (თუ ენებს)“ სწავლობენ; ყოველ შემთხვევაში კვლევა-ძიება გარკვეული ჯგუფის ენათა ფარგლებში რჩება. რა მიმართებაშია ეს ჯგუფი (ვთქვათ, დაღესტნური, ჩაჩნური, აფხაზურ-ადიღური) სხვა ჯგუფთან, რა ისტორიულ-გენეზისური კავშირები არსებობს ჩრდილოეთისა და სამხრეთ-კავკასიის (ქართველურ) ენებს შორის და მით უფრო ერთობლივ იბერიულ-კავკასიურ ენებსა და სხვა ენებს შორის — ასეთი საკითხები კვლევის საგანი ამ ინსტიტუტებში დღემდე არ ყოფილა.

§ 39. იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლა თბილისის უნივერსიტეტსა და საქართ. მეცნიერებათა აკადემიაში

ეგვევ ითქმის იმ მუშაობის შესახებ, რასაც საქართველოში, კერძოდ, თბილისის უნივერსიტეტში (ძველი) ქართული ენის კათედრა აწარმოებდა და აწარმოებს აკ. შანიძის ხელმძღვანელობით 1919 წლიდან. ქართული ენის მორფოლოგია (ახალისა და ძველი ქართულისა) ნაყოფიერი ემპირიული შესწავლის საგანი იყო და არის ისე კი, რომ ქართულის კვლევისას ანალიზი ქართველურ ენათა ფარგლებს არ სცილდება (მაშინაც კი, როცა უამისოდ ქართულის ჩვენება არა თუ ძნელი გასაგებია, არამედ აღწერის თვალსაზრისითაც სირთულეებს ქმნის; საკმარისია მოვიგო-

ნოთ ისეთი ცნებები, როგორცაა: „უნიშნო ვნებითი“, „ზმნის ფუძის სა-
ვრცობი“ — მორფოლოგიაში, „პირდაპირი დამატება“ — სინტაქსში და
სხვ. იხ. ივ. ჯავახიშვილი, აქვე, გვ. 385-386).

ჩატარებული მუშაობის შედეგებს ასახავს რიგი საყურადღებო მო-
ნოგრაფია: ა. შ ა ნ ი ძ ი ს „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და
ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“, 1920 წ.; მისივე:
ქართული გრამატიკა. 1. მორფოლოგია, 1930 წ.; მისივე: „ქართული გრა-
მატიკის საფუძვლები. 1. მორფოლოგია“, 1953. ეს უკანასკნელი ყველაზე
სრული აღწერს ახალი ქართული ენის ბრუნება-უღვლილებისა და სიტყვა-
წარმოების ფაქტებისა; ზოგადი თვალსაზრისისა, საყრდენი ცნებების, თანამიმ-
დევრული სისტემურობის მხრივ 1953 წლის ვრცელი კურსი თვალსაჩინოდ
შორდება 1930 წლის მოკლე „მორფოლოგიას“, რომელიც, ავტორის აზ-
რით, თურმე ფორმალიზმს უხდოდა ხარკს. ა. შ ა ნ ი ძ ე ს ეკუთვნის „უმ-
ლაუტი სვანური“, 1925 წ., — შინაგანი რეკონსტრუქციის წესის გამოყე-
ნების თვალსაზრისით სანიმუშო გამოკვლევა და სვანური ენის ბრუნება-უღ-
ვლილების ფაქტების გასაგებად მეტად მნიშვნელოვანი... ივ. ი მ ნ ა ი შ ვ ი -
ლის ვრცელი მონოგრაფია: „სახელთა ბრუნება და ბრუნებათა ფუნქციები
ძველ ქართულში“, 1955; მისივე: „ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი“,
1949... ს. ს ე რ ე ბ რ ი ა კ ო ვ ი ს „ძველი ქართულ-რუსული ლექსიკონი“
Древне-грузинско-русский словарь (четвероглава), 1962.

ქართველურ ენათა კვლევა წარმოებდა უნივერსიტეტის ქართული
ენის კათედრებზე, ენათმეცნიერების ინსტიტუტში, პედაგოგიურ ინსტიტუ-
ტებში სვანური ზმნის უღვლილება ყველა დიალექტის მონაცემთა მიხედ-
ვით გაანალიზებულა ვარ. თ ო ფ უ რ ი ა ს ფუნდამენტალურ გამოკვლევა-
ში: „სვანური ენა. 1. ზმნა“, 1930. ჭანურის გრამატიკული ანალიზი მე-
გრულის ანალოგიურ ფაქტებთან შეპირისპირებით — ხოფური, ვიწურ-არ-
ქაბულისა და ათინური ახალი ტექსტობრივი მასალის ჩვენებათა გათვა-
ლისწინებით — მოცემულია არნ. ჩიქობავას შრომაში („ჭან. გრამატიკის
ანალიზი“, 1936 წ.). აღსანიშნავია მონოგრაფიები: გ. როგავა: „ქართვე-
ლურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები. 1. ხმოვანთა ისტორიის
ზოგი საკითხი ქართველურ ენებში“, 1962 წ.; ს. უღენტი, „სვანური ენის
ფონეტიკის ძირითადი საკითხები“, 1949 წ... მისივე: „ჭანურ.-მეგრული
ენის ფონეტიკა“, 1953 წ. ... მისივე: „ქართული ენის ფონეტიკა“, 1956...
ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია და ივ. ქავთარაძე. „ქართული დიალექტო-
ლოგია“, 1, 1961 წ. არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი. „ქართული
ენის კახური დიალექტი“. გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ,
1956; ალ. ჭინჭარაული, „ხევსურულის თავისებურებანი“, 1960; თედ.
უთურგაძე, „ქართული ენის თუშური კილო“, 1960; შ. ძიძიგური, „ძიება-

ნი ქართული დიალექტოლოგიიდან“, 1954; მისივე: „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის. კავშირები და საკავშირებელი სიტყვები“, 1959; ფარნ. ერთელიშვილი, „ართული წინადადება ძველ ქართულში“, 1962; ანტ. კიზირია, „მარტივი წინადადების შედგენილობა ძვ. ქართულში“, 1963; არ. მარტიროსოვი. „ნაცვალსახელები ქართველურ ენებში“, 1964. ენათმეცნიერების ინსტიტუტში დამუშავდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, ტ. I (1950)—VIII (1964).

მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან ურთიერთობის საკითხს იძიებს ქართულ-ქართველურის კვლევაში ივ. ჯავახიშვილი.

1937 წელს გამოვიდა ივ. ჯავახიშვილის კაპიტალური შრომა: „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ (754 გვ.). იგი წარმოადგენს „ქართველი ერის ისტორიის შესავლის“ მეორე წიგნს; მასში განხილულია: გრამატიკული სქეს-კატეგორიის საკითხი კავკასიურ ენებსა და ქართულში; რიცხვითი სახელები; ნაცვალსახელები; ზმნა; რიგი სახელის ეტიმოლოგია. ქართულ-ქართველური რიგი ფუძის შედგენილობაში ივ. ჯავახიშვილი გამოყოფს გაქვავებულ პ რ ე ფ ი ქ ს ე ბ ს, — გრამატიკული სქეს-კატეგორიების ფორმანტებს; ასეთი სქესი სამია ნავარაუდღევი: მამრობითი, მდედრობითი, საშუალო (მათ ნიმუშებად გვქონდაო: მამრ. სქ. **გ**: **გ**-აც-ი; მდედრ. სქ. **ნ**:- **ნ**-ეზვი; საშუალო სქესისა **ბ**:- **ბ**-ავშივი)... რიცხვით სახელებსა და ნაცვალსახელებში გამოყოფილია საერთო ძირეული მასალა... აფხაზურ-ადიღურ ენებს ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს ტერმინით „სინდური ენები“, ნახური (ჩაჩნური) ენებისათვის — ნახმარია „ლილდური ენები“, დაღესტნის ენებისათვის „ლეგურ-ალბანური“ (ანდა მარტივად „ლეგური“). სინდური, ლილდური და ლეგურ-ალბანური ენების საერთო სახელად გამოყენებულია შარომატული ანუ საურომატული ენები („მატ“ — ფუძე „ენის“ მნიშვნელობით ნახური ჯგუფის ენებშია დაცული; იმავე ფუძის სახესხვაობას წარმოადგენს ხუნძ. მაწე; ამ უკანასკნელის ვარიანტებს ვხვდებით ანდიურ-დიდოურ ენა-კილოებში...)... შარომატული ენები ენათესავეებიან ქართველურ ენებს; ამრიგად, „იბერიულ-კავკასიური ენები“ აღინიშნება ტერმინით „ქართულ-შარომატული ენები“ (შესაბამისად გვექნება „ქართულ-შარომატული ენათმეცნიერება“).

ივ. ჯავახიშვილი სათანადო ენათა მასალას განიხილავს არსებული ლიტერატურის მიხედვით; ეს წყაროები მეცნიერულად ერთნაირი ღირებულებისა, ცხადია, არ არის; სხვადასხვა ავტორს (უსლარს, ერკერტს, დირს...) თავისებური ბგერები ერთნაირად არა აქვთ აღნიშნული... ცნება „გრამატიკული სქესი“ (მამრობითი, მდედრობითი, საშუალო) მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს ცნებას „გრამატიკული კლასი“, რაც მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა უმეტესობაში მოიპოვება. ყოველივე ეს ართულდება სა-

კითხის გარკვევას. ეს გათვალისწინებული ჰქონდა ივ. ჯავახიშვილს: „წინამდებარე წიგნის ავტორმა, — წერდა იგი, — კარგად იცის, რომ არა ერთი ცალკეული ეტიმოლოგიისა და მოვლენის განმარტება სხვანაირადაც შეიძლება, თვით მასაც, ამ ნაშრომში შეტანილის გარდა, აზრად სხვაც მოსვლია. მომავალში, რასაკვირველია, შესაძლებელია ბევრი რამეც-კი შეიცვალოს, მაგრამ მას მაინც ჰგონია, რომ მხოლოდ ამ მიმართულებებით, ამ მეთოდებითა და ამნაირი მასალის გამოყენებით მოხერხდება იმ გზის გაკაფვა, რომელიც აწინდელი გარემომოზღვდილობისაგან ფართო ასპარეზზე გაგვიყვანს და ყოველმხრივ საინტერესო და უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას შეგვაძლებინებს (ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937, გვ. 625. ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

ქართულ-ქართველურის შესწავლა მთის კავკასიურ ენებთან კავშირში არის ივ. ჯავახიშვილის აზრით ის, რასაც შეუძლია გარემომოზღვდილობიდან გამოგვიყვანოს... ეს საჭიროა ქართული ენისა და ქართველი ხალხის გენეზისის საკითხთა მეცნიერულად დამუშავებისათვის. „ჩემთვის ცხადი შეიქმნა, — ვკითხულობთ ივ. ჯავახიშვილის წინასიტყვაობაში, — რომ მარტო არსებული ეთნოლოგიური და ენათმეცნიერული წყაროების გამოყენებითა და მხოლოდ ქართულ-ქართველური ენოვანი მასალის ანალიზით ქართველთა სადაურობისა და უძველესი კულტურის საკითხების გამორკვევა და გადაჭრა შეუძლებელია. ამისთვის ე. წ. კავკასიური ერებისა და ენების ეთნოგრაფიული და ლინგვისტიკური მასალების გამოყენება მაინც აუცილებლად საჭიროა“ (იქვე, გვ. XI, ხაზი ჩვენია — ა. ჩ.)... „მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ქართულისაცა და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება ძალზე შეცვლილა“... (იქვე, გვ. XIII, ხაზი ჩვენია — ა. ჩ.). „...თავდაპირველად, ქართველური და ე. წ. კავკასიური ენები ერთი და იმავე ბუნებისა და უმჭიდროესად მონათესავე ენები ყოფილა და... მხოლოდ შემდეგში, სხვადასხვა მიზეზის გამო დროთა განმავლობაში დაპშორებიან ერთმანეთს და სამ-ხუთ დიდ მთავარ ენათა ჯგუფად ქცეულან“ (იქვე, გვ. XIII, ხაზი ჩვენია — ა. ჩ.)... „რაკი გამოირკვა, რომ ე. წ. კავკასიური ენები ჩვენი წინაპრების მოძმე ტომთა ენები ყოფილა, ყოველი განათლებული ქართველი ვალდებულია ამ ენების და ტომების ისტორია ისევე იცოდეს, როგორც თავისი ერისა და ქვეყნის, მამასადამე, იმდენი მოთმინება და

გულმოდგინებაც უნდა აღმოაჩნდეს, რომ სიძნელეს არ შეუშინდეს და საკითხი საფუძვლიანად შეისწავლოს“ (იქვე, გვ. XV; ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

ეგვევ თვალსაზრისი ქართულისა და მთის კავკასიური ენების ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობის შესახებ, აგრეთვე წინააზიის არაინდოევროპულ და არასემიტურ ძველ მკვდარ ენებთან, ცოცხალ ენათაგან — ბასკურთან ასეთივე ურთიერთობის შესახებ — იყო და არის სახელმძღვანელო კავკასიურ ენათა კათედრისათვის (რომელიც თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე დაარსდა 1933 წელს) და ასევე — მთის იბერიულ-კავკასიური ენების განყოფილებისათვის (შეიქმნა 1936 წელს ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტში, 1941 წლიდან — ენის ინსტიტუტში, ამჟამად — ენათმეცნიერების ინსტიტუტი). მთის კავკასიური ენებიდან აქ შესწავლის საგანს წარმოადგენდა: აფხაზური (აბაზური დიალექტებითურთ), ადიღური (კიახური) და ყაბარდოული, ჩაჩნური, ინგუშური და ბაცბური, ხუნძური, ანდიურ-დიდოური ენა-კილოები. ლაკური, დარგუელი, ლეზგიური, თაბასარანული, აღულური, უდური, წახურ-რუთულური, ბუდუხური, კრიწული, არჩიბული... ერთის სიტყვით, ყველა სამწერლო და უმწერლო ენა-კილო (გარდა უბიხურისა, რომელიც თურქეთშიდა შემოგვრჩა ორიოდ სოფელში, და ხინალულურისა)... ცალკეულ საკითხებზე წერილები იბეჭდებოდა „ენიმკის მოამბეში“ (ტ. I-XII), შემდეგ „იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში“ (I ტ., 1948 წ., XIV, 1964 წ.); ცალკე წიგნებად გამოქვეყნდა: ქ. ლომთათიძის „აფხაზური ენის ტაბანთური დიალექტი (ტექსტებითურთ)“, 1944; მისივე: „აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტებს შორის“ (ტექსტებითურთ), 1956. გ. როგავა: „სახელთა ფუძის სტრუქტურისა და გრამატიკული კლას-კატეგორიათა შესახებ ადიღურ (ჩერქეზულ) ენებში“, 1956 წ. (რუს. ენაზე)... გ. თოფური: „ლეზგიური ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები“, 1959 წ.; არნ. ჩიქობავა და ილ. ცერცვაძე: „ხუნძური ენა“, 1962 წ.; ტ. გუდავა: „ბოთლიხური ენა“, 1963 წ.; მისივე: „ანდიურ ენათა კონსონანტიზმი“, 1964. მისივე: „ზმნურ ფუძეთა შედარებითი ანალიზი ხუნძურსა და ანდიურ ენებში“, მახაჩყალა, 1959 (რუს. ენაზე); ალ. მაჰომეტოვი: „კუბაჩური ენა“, 1963 წ. (რუს. ენაზე); მისივე: „თაბასარანული ენა“, 1965 წ.; ილ. ცერცვაძე: „ანდიური ენა“, 1965 წ. დ. იმნაიშვილი: „დიდოური ენა ხვარშიულსა და ჰინუხურთან შედარებით“, 1963 წ. (რუს. ენაზე); ელ. ლომთათიძე: „ჰინუხური დიალექტი“, 1964 წ. (რუს. ენაზე)... ზოგადი მიმოხილვა მთის იბერიულ-კავკასიურ ენებზე ჩატარებული მუშაობისა, ძირითადი მიზნისა და ამოსავალ დებულებათა გათვალისწინებით მოცემულია არნ. ჩიქობავას წერილში; „მთის იბერიულ-კავკასიური ენები და მათი

შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში“ (გერმ. ენაზე — უნგრეთის მეცნ. აკად. შრომებში „აქტა ორიენტალია“, 1961, № 9)... აგრეთვე წერილში: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ძირითადი მიღწევები“ (მოხსენდა საკავშ. მეცნ. აკად. ლიტერატურისა და ენის განყოფილების სესიას, 1957; დაიბეჭდა: ლიტ. და ენის განყოფილების მოამბეში, 1958, № 1)...

მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან ურთიერთობას ეხება: „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ არნ. ჩიქობავასი, 1942 (დადგენილია ნივთის კატეგორიის ნიშნები, საერთო ნახურ და დალესტნურ ენებთან)... მისივე: „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში“. 1. ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციის ისტორიული ურთიერთობა ძვ. ქართულში, 1948 წ. (დადგენილია, რომ ისტორიულად ქართულში გარდამავალი ზმნა ყველა ნაკვთში ერგატიულ კონსტრუქციას მოითხოვდა — ისევე, როგორც ეს ნახურსა და დალესტნურ ენებში გვაქვს, ვ. თოფურიაძე „თქვა“ და „დგება“ ზმნებში გამოყოფა ფუძეს შეხორცებული **დ**-პრეფიქსი: **თქუა** (← **დ-ქუა**), **დევ**: პირველში ობიექტის კლასის ნიშანი, მეორეში — სუბიექტისა (როგორც ეს ახასიათებს კლასოვან უღვლილებას). **დ**-ნივთის გრამატიკული კლასის ძირითადი ნიშანია ნახურსა და დალესტნურ ენებში.

§ 40. იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლა უცხოეთში

იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლას ყურადღება ექცევა უცხოეთშიც; აინტერესებთ ეს ენები ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით, წინააზრის (და ხმელთაშუაზღვეთის) ძველი ენების შესწავლის თვალსაზრისით, ბასკურის რაობის გარკვევისათვის, ზოგჯერ — ინდო-ევროპულ ენათა ისტორიის თვალსაზრისით.

ქართველურ ენათა შესახებ გამოქვეყნდა:

კიტა ჩხენკელის „შესავალი ქართულ ენაში“, ტ. I-II, ციურიხი, 1959 (გერმ. ენაზე)¹.

ფ. ცორელი: დაბადების ძველი ქართული თარგმანის გრამატიკა (ტექსტის ნიმუშებითა და ლექსიკის აღნუსხვით), რომი, 1930 წ. (გერმ. ენაზე)².

¹ K. Tschenkeli, „Einführung in die Georgische Sprache“, Bd. I (Theor. Th. – 628 გვ.), Bd. II (Prakt. Th. – 614 გვ.), Zürich, 1959.

² F. Zorell. Grammatik zur altgeorgischen Bibelübersetzung mit Textproben und Wörterverzeichnis, Roma, 1930.

ჰ. ფოგტი: თანამედროვე ქართული ენის გრამატიკის ნარკვევი, ოსლო, 1936, ფრანგ. ენაზე¹. მისივე: ქართული ენის ფონემური სტრუქტურა, ოსლო 1958²... გ. დეეტერსის ზმნა ქართველურ ენებში, ლაიფციგი, 1930³... კ. შმიდტი: ნარკვევები სამხრეთ-კავკასიური ფუძე-ენის ბგერათშედგენილობის რეკონსტრუქციის შესახებ, ვისბადენი, 1962⁴. ამათ გარდა აღსანიშნავია: რ. ლაფონის წერილები ქართული ენის გრამატიკის საკითხებზე, ქართველურ და ჩრდილო-კავკასიურ ენათა ურთიერთობის ცალკეულ საკითხებზე, ბასკურისა და იბერიულ-კავკასიურ ენათა ურთიერთობის შესახებ⁵.

ჰ. ფოგტი წერილები: ხმოვანთა მონაცვლეობის შესახებ ქართულში (1939)⁶; ზმნის სუფიქსები ძველ ქართულში (1947)⁷; ბრუნვათა სისტემა ძველ ქართულში (1947)⁸ და სხვ.

ფ. ნაისერი: ნარკვევები ქართული სიტყვაწარმოების შესახებ, ვისბადენი, 1953.

ი. იედლიჩკას წერილები მორფოლოგიის ცალკეულ საკითხებზე, მაგალ., -იგ ფორმანტიან სახელებზე (მარცხნივ, მარჯვნივ)...

ნახური ენებისათვის აღსანიშნავია ალფ. სომერფელტი - სა და გ. შმიდტის შრომები; ალფ. სომერფელტი: ჩაჩნურ-ინგუშურ-ბაცბურის ძველი ხმოვანთი სისტემა, 1933⁹; მისივე: შედარებითი ნარკვევები კავკასიურ ენათა ჩრდილო-აღმოსავლური ჯგუფის შესახებ, 1934, 1938, 1947¹⁰... გ. შმიდტი: კავკასიური ენების ჩაჩნური ჯგუფის ფონეტიკური ისტორიის საკითხები, 1947¹¹... მისივე: ზმნურ ფუძეთა წარმოქმნის შესახებ კავკასიურ ენათა ჩაჩნურ ჯგუფში, 1928¹²...

¹ H. V o g t. Esquisse d'une grammaire du géorgien moderne, Oslo, 1936.

² H. V o g t. Structure phonémique du géorgien, Oslo, 1958.

³ G. D e e t e r s. Das kharthwelische Verbum, Leipzig, 1930.

⁴ K. H. S c h m i d t. Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962.

⁵ R. L a f o n. Pour mieux connaître la langue géorgienne, Revue de Kartvéli, 1960-63.

⁶ H. V o g t. Alternances vocaliques en Géorgien. Oslo, 1939, NTS, XI.

⁷ H. V o g t. Suffixes verbaux en géorgien ancien, Oslo, 1939, NTS, XIV, 1947. Le système des cas en géorgien ancien, იქვე.

⁸ F. N e i s s e r. Studien der georgischen Wortbildung, Wiesbaden, 1953.

⁹ A. S o m m e r f e l t. Les anciens caractères du système vocalique tchéto.-ing.-bats, 1933.

¹⁰ A. S o m m e r f e l t. Études comparatives sur le caucasique de nord-est, NTS, VII, IX, XIV, 1934, 38, 1947.

¹¹ G. S c h m i d t. Lautgeschichtliche Fragen der tschetsch. Gruppe der kauk. Sprachen, Helsinki, 1947.

¹² G. S c h m i d t. Über verbale Stammbildung in der... tschetsch. Gruppe d. kauk. Spr., Helsinki, 1928.

დადესტნის ენებისათვის: კ. ბოუდას შრომებია მხედველობაში მისაღები: კ. ბოუდა: მასალები კავკასიური და ციმბირის ენათმეცნიერებისათვის. დარგული... თაბასარანული, 1939¹... მისივე: მასალები უღურის შეცნობისათვის... 1939² ... მისივე: ნარკვევები ლაკურის შესახებ, 1949³... ე. ლევი: ხუნძურის დახასიათებისათვის (ენის თეორიასთან დაკავშირებით), 1953 წ.⁴

აფხაზურ-ადიღური ენებისათვის, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ: ყ. დიუმეზილის „შედარებითი ნარკვევები ჩრდილოდასავლურ კავკასიურ ენათა შესახებ, მორფოლოგია“, 1932⁵. შემდეგ წეროლები: გ. შმიდტისა, აფხაზური ენის უღვლილების სისტემისათვის, 1925⁶; გ. დეტერსისა: აფხაზური ენის აგებულება, გიოტინგენი, 1931⁷. გ. შმიდტისა: ნარკვევი აფხაზური ნასესხები სიტყვების შესახებ, 1947⁸. კ. ბოუდასი: აბაზური, უცნობი აფხაზური დიალექტი, ბერლ. — ლაიფციგი, 1940⁹. უ. ალენისა: სტრუქტურა და სისტემა აბაზურის ზმნურ კომპლექსში, ჰერტფორდი, 1956¹⁰.

ყ. დიუმეზილისა: უბიხთა ენა, პარიზი, 1931¹¹.

იულ. მესაროშისა: უბიხური ენა, ჩიკაგო, 1934¹²; ავტორი უბიხურით დაინტერესებულა პროტო-ხეთურთან დაკავშირებით. პროტო-ხეთურისა და უბიხურის ნათესაობა ცხადად მიაჩნია.

ყ. დიუმეზილისა: უბიხური ენის ბგერითი სისტემა, 1954¹³... მისივე: უბიხური ენის გუტურალები, 1955¹⁴... მისივე: ანატოლიური დო-

¹ K. B o u d a. Beiträge zur kauk. und sibir. Sprachwiss.: Das Drg.; Las Tabassar. Leip. 1939.

² K. B o u d a. Beiträge zur Kenntnis des Udischen... ZDMG, B. 93, 1939.

³ K. B o u d a. Lakkische Studien, Heidelberg, 1949.

⁴ E. L e w y. Versuch einer Charakteristik des Awarischen... Berlin, 1953.

⁵ G. D u m é z i l. Etudes comparative sur les langues caucas. du Nord Ouest, Paris, 1932.

⁶ G. S c h m i d t. Zum Conjugationssystem des Abchasischen – „St. Orient“. Bd. I, Hels. 1925.

⁷ G. D e e t e r s. Der Abchasische Sprachbau, Nachrichten v. Gesell. d. Wiss. Götting. 1931.

⁸ G. S c h m i d t. Abchasische Lehnwortstudien, Helsinki, St. Orient. 1947.

⁹ K. B o u d a. Das Abasinische eine unbekannte abchasische Mundart – ZD, MG, 94, 1940.

¹⁰ W. A l l e n, Structure and System in the Abaza Verbal Complex – TPhS, Hertford, 1956.

¹¹ G. D u m é z i l. La langue des oubyks, Paris, 1931.

¹² J u l. M e s z a r o s, Die Päkhy-Sprache, Chicago, 1934.

¹³ G. D u m é z i l. Le système des sons de l'oubykh – BSLP, t. 50, (1954).

¹⁴ G. D u m é z i l. Les gutturales de l'oubykh – BSLP, t. 51, (1955).

კუმენტები კავკასიის ენებისა და ტრადიციათა შესახებ, პარიზი, 1960¹...

ჰ. ფოგტისა: უბიხური ენის ფონეტიკური სისტემა, 1960².

ჰ. ფოგტისა: უბიხური ენის ლექსიკონი, ოსლო, 1963³ (ა. დირის შრომის შესახებ უბიხურზე, იხ. ზემოთ, § 27).

ა. კოძეჯერსისა: ფონემა და მორფემა ყაბარდოულ ენაში, ჰაავა, 1960⁴.

ჩრდილო-კავკასიურ ენათა შედარებითი მიმოხილვა მოცემულია ჟ. დიუმეზილის შრომაში: „შესავალი ჩრდილო-კავკასიურ ენათა შედარებითს გრამატიკაში“, პარიზი, 1933⁵. აქ განალიზებულია: გრამატიკული კლასები; ნაცვალსახელური ფუძეები; სახელთა ბრუნება; ზმნის დროები... აგრეთვე ბასკურისა და ჩრდილო-კავკასიური ენების ტიპოლოგიური ურთიერთობა (სახელთა ბრუნებისა, განსაზღვრულობის კატეგორიისა, მრავლობითის წარმოებისა, პირის ნაცვალსახელთა და პირის ნიშნების მხრივ ზმნებში). ჟ. დიუმეზილს ეკუთვნის „შედარებითი ძიებანი კავკასიური ზმნის შესახებ, პარიზი, 1933 (განხილულია ჩრდ. კავკას. ენათა მასალა)⁶.

აღ. დირის „შესავალი კავკასიურ ენათა შესწავლაში“ (1928) მოხსენებულია ამ ავტორის სხვა შრომების მიმოხილვასთან დაკავშირებით.

1963 წ. გამოვიდა გ. დეეტერსის შრომა: „სომხური ენა და კავკასიური ენები“⁷.

კ. ბოუდას მოკლე „შესავალი კავკასიურ ენათმეცნიერებაში“ გამოსცა ესპანურ ენაზე სალამანკის უნივერსიტეტმა 1960 წ.⁸ ენები დახასიათებულია მოკლედ, ლიტერატურა ნაჩვენებია, რაც ავტორისთვის იყო ხელმისაწვდომი; გრამატიკულ მოვლენებს ავტორი გაკვრით ეხება; მეტყველების ნიმუშები ახლავს ჩრდილო-კავკასიურ სამწერლო ენებს (შრომა ავტორს 1955 წელს ჰქონია დამთავრებული).

კავკასიურ ენათა ზოგადი მიმოხილვა მოცემული აქვს კრებულში „მსოფლიოს ენები“ (მეორე გამოცემა, 1952 წ.) ჟ. დიუმეზილს⁹.

¹ G. D u m é z i l. Documents anatolyens sur les langues et les trad. du Caucase. Paris, 1950.

² H. V o g t. Dictionnaire de la langue oubykh. Oslo, 1963.

³ H. V o g t. Le système des sons de l'oubykh – XXV, конгр. ориент., 1960.

⁴ A. K u i p e r s. Phoneme and Morpheme in Kabardian, Hague, 1960.

⁵ G. D u m é z i l. Introduction à la grammaire comparée des langues caucasiennes du Nord, Paris, 1933.

⁶ G. D u m é z i l. Recherches comparatives sur le verbe caucasien, Paris, 1933.

⁷ G. D e e t e r s: „Armenische und kaukasische Sprachen“, Handb. der Orient., VII Bd., Leiden – Köln, 1963.

⁸ K. B o u d a. Introduccion a la lingüística caucasica, Salamanca, 1960.

⁹ G. D u m é z i l. Langues caucasiennes – „Les langues du monde“, Paris, 1952.

„ნარკვევი კავკასიურ ენათა შედარებითი გრამატიკის შესახებ“, 1938 წ. გამოაქვეყნა ჟაკ ვან-გინეკენმა¹. ავტორი ჩრდილო-კავკასიურ ენათა ლატერალებს ეძიებს ქართველური ენების თანხმოდან-ჯგუფებში, და კავკასიურ ენათა მასალა ცდილობს გამოიყენოს ზოგადი საენათმეცნიერო საკითხის — საერთოდ თანხმოდანთა და ხმოდანთა განვითარების საკითხის — გასაშუქებლად.

ცალკე აღნიშვნას საჭიროებს ნიკ. ტრუბეტკოის წერილები ჩრდილო-კავკასიურ ენათა ფონეტიკისა და ლექსიკის საკითხებზე:

„ლატერალური თანხმოდანები ჩრდილო-კავკასიურ ენებში“, პარიზის საენათმეცნ. საზ. ბიულ., 1922².

„ნარკვევები ჩრდილო-კავკასიურ ენათა შედარებითი ფონეტიკის დარგში. I „მოკლე“ და „გემინირებული“ თანხმოდანები ხუნძურ-ანდიურ ენებში“ — 1926³.

„შენიშვნები ზმნათა დაბოლოების შესახებ ჩაჩურ-დაღესტნურ ენებში“⁴.

„ლექსიკური ფარდობანი ჩრდილო-კავკასიურ ენებში“ — აღმოსავლეთმცოდნეობის ჟურნალი ვენისა, 1930⁵.

ნ. ტრუბეტკოი არის ავტორი წერილისა „ჩრდილო-კავკასიური ენები“ კრებულში „მსოფლიოს ენები“: პირველი გამოცემა, 1924 წ.⁶; ქართველურ ენათა შესახებ აქ მოთავსებულია ორგვერდიანი წერილი ან. მეიესი: „სამხრულ-კავკასიური ენები“⁷.

ამ წერილში („ჩრდილო-კავკასიური ენები“) ნ. ტრუბეტკოი უარყოფს ცნებას „კავკასიური ენები“, როგორც საენათმეცნიერო ცნებას: ჩრდილო-კავკასიური ენები ერთმანეთის მონათესავე ჩანან, მაგრამ, რაც შეეხება ჩრდილო-კავკასიურ ენათა ნათესაობას სამხრულ-კავკასიურ ენებთან, ეს ნათესაობა არც თავისთავად არის ცხადი და არც მეცნიერულად არის დამტკიცებული. ამიტომ უმჯობესია „კავკასიური ენები“ ვიხმაროთ,

¹ J. van Ginneken. Contribution à la Grammaire comparée des langues du Caucase, Amsterdam, 1938.

² N. Troubetzkoy. Les consonnes latérales des langues caucasiques septentrionales – BSLP t. 33, 1922.

³ N. Troubetzkoy. Studien auf dem Gebiete der vergleichenden Lautlehre der nord-kaukasischen Sprachen. I. Die „kurzen“ und „geminierten“ Konsonanten der awarandischen Sprachen, Caucasia, 3 (1926).

⁴ N. Troubetzkoy. Notes sur les désinences du verbe dans les langues tchéchénolesghiennes (cauc.-orientales) – BSLP, t. 39 (1929).

⁵ N. Troubetzkoy. Nordkaukasische Wortgleichungen – WZKM, B. 37 (1930).

⁶ N. Troubetzkoy. Langues caucasiques sept., – „Les langues du monde“, Paris, 1924.

⁷ A. Meillet. Langues caucasiques meridionales, – „Les langues du monde“, Paris, 1924.

როგორც გეოგრაფიული ცნება... ნ. ტრუბეცკოის მეცნიერულმა ავტორიტეტმა ამ შეხედულებას გავრცელება მოუპოვა: ვინ გნებავთ ამ შეხედულებას არ იმეორებდეს: უცხოეთში, საბჭოთა კავშირში, კერძოდ, საქართველოშიც. საქმე იქამდე მივიდა, რომ 1954 წელს, როცა ჟურნალმა „ენათმეცნიერების საკითხები“ საჭიროდ დაინახა გაემართა დისკუსია „ხეთურ-იბერიულ ენათა“ თაობაზე (ე. ი. დისკუსია იმაზე, შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-გენეზისური კავშირი წინა აზიის არაინდოევროპულ და არასემიტურ ძველ ენებთან), ევგ. ბოკარევა კითხვის ქვეშ დააყენა თვით დაღესტნის ენათა ნათესაობა: არ არსებობს ამ ენათა შედარებითი ფონეტიკა და შედარებითი გრამატიკა¹... ასე შორს ნ. ტრუბეცკოიც კი არ წასულა, მაგრამ მთავარი ეს არაა (ნ. ტრუბეცკოის, სამწუხაროდ, ხელი არ მიუწვდებოდა ქართველურ ენათა მასალაზე, თორემ მისთვის ცხადი იქნებოდა, რომ ქართველური ენები არ არიან ჩრდილო-კავკასიურ ენებთან უფრო შორს, ვინემ, ვთქვათ, აფხაზური ენა — ლეზგიურთან)... ნ. ტრუბეცკოის შეხედულებასთან დაკავშირებით უკვე ითქვა (§ 2), რომ „კავკასიური ენები“, როგორც გეოგრაფიული ცნება, არ შეიძლება ვიხმაროთ ინდო-ევროპულ, სემიტურ, უნგრულ-ფინურ ენათა გვერდით: ეს ცნებები ისტორიულ-გენეზისური ხასიათისაა, მათთან ერთ სიბრტყეზე ვერ მოექცევა კავკასიური ენები, თუ ესაა გეოგრაფიული ცნება. თუ „კავკასიური ენები“ გეოგრაფიული ცნებაა, ის საერთოდ უნდა მოიხსნას... სხვა არა იყოს რა, კავკასიის მიწა-წყალზე ინდოევროპული (სომხური, ოსური...) და ალთაური (აზერბაიჯანული, ყუმიკური, ბალყარულ-ყარაჩაული) ენები იმდენად არიან გავრცელებული, რომ გეოგრაფიული თვალსაზრისით არა ნაკლები საფუძველი არსებობს, ისინიც კავკასიურ ენებად იწოდებოდნენ: ეს ენებიც კავკასიის ენებია. ტერმინი „კავკასიური ენები“, როგორც გეოგრაფიული ტერმინი, ვერ დარჩება — ქართველური, აფხაზურ-ადიღური, ნახური და დაღესტნური ენების აღსანიშნავად. ეს ნათელია.

¹ იხ. ჟურნ. „Вопросы языкознания“, 1954, №3.

დასკვნა

§ 41. იბერიულ-კავკასიური ენები, როგორც სტრუქტურულ-ტიპოლოგიური და გენეალოგიური კლასიფიკაციის ერთეული

„კავკასიური ენები“ გამართლებულია, ჯერ-ერთი, როგორც სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ცნება; მიუხედავად დიდი სხვაობისა, რაც იბერიულ-კავკასიურ ენათა სხვადასხვა ჯგუფს შორის შეიმჩნევა, ყველა ამ ენის სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ერთიანობა თვალში საცემია; იგი ადრევე იქცევადა ყურადღებას; კავკასიური ენების ასეთი ერთიანობა ჯერ კიდევ ფრ. მიულერმა აღნიშნა 1885 წელს (ამის შესახებ იხ. § 24, გვ. 223).

კავკასიურ ენათა საერთო სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ თვისებებზე ლაპარაკობდა ივ. მემჩანინოვი (ამ ოცდაათი წლის წინათ), როცა ნ. მარის „ახალმა მოძღვრებამ“ ენათა წარმოშობითი ნათესაობა უარყო და იგი იდეოლოგიურად მავნე, რასობრივ ცნებად გამოაცხადა: კავკასიის იაფეტურ ენებს მთელი რიგი საერთო ნიშნები (სულ 12 ნიშანი) მოეპოვებაო — ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, სინტაქსში, ლექსიკასა და სემანტიკაშიო, — წერდა ი. მემჩანინოვი 1934 წ. შრომაში „ენათა კლასიფიკაციის პრობლემა ენის შესახებ ახალი მოძღვრების გაშუქებით“, ლენინგრადი, 1934 წ., გვ. 38 (რუს. ენაზე).

როცა ნიკ. ტრუბეცკოის აზრს ემყარებიან და უარყოფენ კავკასიურ ენებს, როგორც ისტორიულ-გენეალოგიურ ცნებას, უნდა გაითვალისწინონ ისიც, რომ ნ. ტრუბეცკოიმ უფრო გვიან კითხვის ქვეშ დააყენა „ინდო-ევროპულ ენათა“ წარმოშობითი ნათესაობაც, ე. ი. ინდო-ევროპული ენები, როგორც გენეალოგიური კლასიფიკაციის ცნება. ინდო-ევროპულ ენებს აერთიანებს არა წარმოშობა (ერთი ფუძე-ენის დიალექტებიდან), არამედ გარკვეული სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ნიშნებიო. ასეთია სულ 6 ნიშანი: 1. ხმოვანთა ჰარმონია არა გვაქვს; 2. თავკიდურის კონსონანტიზმი არ არის უფრო ღარიბი, ვიდრე ინლაუტისა და აუსლაუტისა; 3. სიტყვა არ იწყება უთუოდ ძირეული მასალით; შეიძლება პრეფიქსიც გვქონდეს; 4. ფორმას არა მხოლოდ აფიქსი აწარმოებს, არამედ ხმოვანთა მონაცვლეობა ძირეულ მასალაში; 5. ფორმანტის როლს შეიძლება თანხმოდანთა მონაცვლეობაც ასრულებდეს; 6. გარდამავალი და გარდაუვალი ზმნის ქვემდებარე სხვადასხვა ბრუნვაში არ დაისმის¹...

¹ Н. Трубецкой, Мысли об индоевропейской проблеме – журнал. „Вопросы языкознания“, 1958, №1, гв. 70-72.

ექვსი ნიშნიდან ორია დადებითი, ოთხი — უარყოფითი... ყველა ეხება ფონეტიკას, მორფოლოგიასა და სინტაქსს... ლექსიკა? ძირეული მასალა, რაც ამოსავალ მატერიალურ იგივეობას უნდა მოწმობდეს? ფონეტიკური შესატყვისობანი? მათ, ნ. ტრუბეცკოის აზრით, არსებითი მნიშვნელობა არა ჰქონია: „ენა, — წერს ნ. ტრუბეცკოი, — რომელსაც არა აქვს ყველა ექვსი დასახელებული ნიშანი, ვერ ჩაითვლება ინდო-ევროპულად, თუნდაც რომ მისი ლექსიკონი შეიცავდეს ბევრს ელემენტს, რაც დაემთხვევა ინდო-ევროპულს, და, პირუკუ, ენა, რომელმაც შეითვისა მეტი წილი ლექსიკური და ფორმატივების ელემენტებისა არაინდოევროპული ენებიდან, მაგრამ მოეპოვება ზემოხსენებული ექვსი ნიშანი (მასთან აქვს ერთგვარი რაოდენობა სიტყვებისა და აფიქსებისა, რაც საერთოა სხვა ინდო-ევროპული ენებისათვის), უნდა მივიჩნიოთ ინდო-ევროპულად. აქედან გამომდინარეობს, რომ ენა შეიძლება იქცეს ინდო-ევროპულად ანდა, პირიქით, ინდო-ევროპული იქცეს არაინდოევროპულად“ (იქვე, გვ. 72)... „ურალურ-ალთაურ ჯგუფს (რომელიც შეიცავს უნგრულ-ფინურ, სამოედურ, თურქულ, მონღოლურსა და მანჯურულ-ტუნგუსურს) ინდო-ევროპულთან აერთიანებს ნომინატიურ-აკუსატიური კონსტრუქცია... გარდა ამისა, ამ ჯგუფის ყველაზე დასავლური წევრი, უნგრულ-ფინური ოჯახი, წარმოგვიდგენს თანხმოვანთა თავისუფალ გრამატიკულ მონაცვლეობას... ხმელთაშუაზღვეთის ჯგუფი ენათა ოჯახებისა (რომელიც ახლა წარმოდგენილია ჩრდილოკავკასიური, სამხრეთ-კავკასიური, სემიტური, ბასკური და შესაძლოა აგრეთვე ბერბერული ენებით, ძველად კიდევ მცირე აზიის აწ მკვდარი ენებით) ხვდება ინდო-ევროპულ წყობას 1, 2, 3, და 4 მუხლებში, მაგრამ განსხვავდება მისგან თანხმოვანთა უცვლელიობით და ერგატიული კონსტრუქციით (ეს უკანასკნელი თუმცა უცხოა სემიტური ენებისათვის)“, იქვე, გვ. 73.

არც ძირების მატერიალური ერთობა, არც ბგერათ-შესატყვისობა არ ყოფილა ნიშანდობლივი ინდო-ევროპული ენებისათვის, არამედ გარკვეული სტრუქტურულ-ტიპოლოგიური თვისებები... წარმოშობითი ერთობა თურმე არც ინდო-ევროპულ ენებს ახასიათებს: ენა შეიძლება არ იყოს ინდო-ევროპული და იქცეს ინდო-ევროპულად, იყოს ინდო-ევროპული და დაეკარგოს სათანადო ნიშანთვისებები...

თუ ასეა, იბერიულ-კავკასიურ ენებსაც აქვს რიგი საერთო სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ნიშანი; მაშასადამე, „კავკასიური ენები“ არ ყოფილა „გეოგრაფიული ცნება“, როგორც ამას ნ. ტრუბეცკოი 1924 წელს ამბობდა (და როგორც ამას ახლაც იმეორებენ ნ. ტრუბეცკოიზე დაყრდნობით)... ცნება „კავკასიური ენები“ ენათმეცნიერებაში ისევეა კანონიერი, როგორც „ინდო-ევროპული ენები“.

ნ. ტრუბეცკოის თვალსაზრისი, ამრიგად, „იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს“ კი არ უარყოფს, არამედ საერთოდ „ენათა ოჯახს“ უარყოფს (და მის ნაცვლად „ენათა კავშირს“ გვთავაზობს). მაგრამ თუ გარკვეული (ექვსი) ნიშნის გამოყოფა ნ. ტრუბეცკოიმ შეიძლო ინდო-ევროპული ენებისათვის, ეს იმიტომ, რომ ინდო-ევროპული ენების წრე უკვე იყო დადგენილი, როგორც ერთი წარმოშობის ენებისა: სტრუქტურულ-ტიპოლოგიური დახასიათება საჭიროებს ენათა ჯგუფის გამოყოფას, როგორც წინაპირობას. ასეთ პირობებში სტრუქტურულ-ტიპოლოგიური დახასიათება შეიძლება გამოგვადგეს კიდევ შემდგომი კვლევისათვის ისტორიულ-გენეზისური ხასიათისა, მაგრამ ასეთი სტრუქტურულ-ტიპოლოგიური დახასიათება არც დამოუკიდებელია და არც საბოლოო.

იბერიულ-კავკასიური ენები სტრუქტურულ-ტიპოლოგიური თვალსაზრისითაც გარკვეული ჯგუფია; ეს ენები ისტორიულ-გენეზისური თვალსაზრისითაც ერთიანდებიან: რაც უფრო ღრმად ვიხედებით ამ ენათა წარსულში, მით უფრო მეტი საერთო ვლინდება ამ ენათა ბგერით სისტემაში და, რაც ამ შემთხვევაში არსებითია, მორფოლოგიურ სტრუქტურასა და მორფოლოგიურ ინვენტარში.

ინდო-ევროპულ ენათა ნათესაობა ფრ. ბოპმა დაადგინა ზმნის ფორმანტების შედარებით (ფონეტიკური კანონზომიერებანი შემდგომშილა დაადგინეს), ე. ი. მორფოლოგიური ინვენტარის ისტორიული ურთიერთობის გარკვევის გზით. ასეთივე გზა ჩანს ყველაზე საიმედო და პერსპექტიული იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობის რკვევისას.

ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს ფონეტიკურ კანონზომიერებათა ძიებას, ძირეული მასალის შედარებითს ანალიზსა და ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის დამუშავებას. ოღონდ, აქ ისტორიული ვითარება შეუდარებლივ უფრო რთულია: ურთიერთგავლენა — დიალექტებისა ერთი ენის ფარგლებში, ენებისა — ერთი ჯგუფის შიგნით (ქართული და ზანური, ზანური და სვანური...), მონათესავე ჯგუფებში შემავალი ენებისა (სვანური და ადიღური, ბაცური, და ქართული...), არამონათესავე ენებისა (ყუმიკური და ხუნძური, აზერბაიჯანული და ლეზგიური, უდური...) რთულ ვითარებას ქმნის და თვითონ საჭიროებს კვლევის დროს საყრდენს, რომ შემდეგ იქცეს საყრდენად...

იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლამ უკვე მიაღწია იმ მდგომარეობას, რომ შესაძლებელი ხდება ცალკეული ჯგუფებისათვის შედარებითი გრამატიკის შედგენა, აგრეთვე შედარებითი ლექსიკონების დამუშავების დაწყება... იგულისხმება არა ისეთი შედარებითი გრამატიკა და შედარებითი ლექსიკონი, რომელიც ყველა სირთულეს მარტივად წყვეტს: ვარსკვლავიანი ვარაუდების შეუზღუდავი გამოყენების ხარჯზე.

ასეთი შედარებითი გრამატიკა და ლექსიკონი სათანადო ენათა ისტორიული წარსულის მართალ სურათს ვერ აღგვიდგენს (კ. ბრუგმანის ნეოგრამატიკული ცოდვები დღესაც მძიმედ აწევს ინდო-ევროპულ ენათა შედარებითს გრამატიკას).

ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა, ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი (და არა: შედარებით-ისტორიული გრამატიკა...) ის სამუშაოებია, რაც იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლას იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებად აქცევს. ამ გზით შეიქმნება მტკიცე საფუძველი წინა-აზიის ძველი მკვდარი ენებისა და ხმელთაშუაზღვეთის ენების (და, პირველ ყოვლისა, ბასკურის) მეცნიერული ანალიზისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებთან ისტორიულ-გენეზისურ კავშირში.

კულტურის ისტორიის თვალსაზრისით იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლა უაღრესად აქტუალურია.

ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც იბერიულ-კავკასიური ენები — მათი თავისებური სტრუქტურა და ნაირფეროვანი მდიდარი ისტორია — სპეციალისტთა ფართო წრეების ყურადღებას იქცევს. საფუძვლიანი მეცნიერული კვლევა ამ ენებისა — ეს მოეთხოვება იბერიულ-კავკასიურ ენებზე მომუშავე სპეციალისტებს. ამის გარეშე იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წინაშე მდგარი კულტურულ-ისტორიული და ზოგად ენათმეცნიერული ამოცანები ვერ გადაწყდება.

პერიოდული გამოცემანი და კრებულები

„წინასიტყვაობაში“ ნაჩვენებია (გვ. X-XII) ძირითადი შრომები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიის შესახებ.

წიგნის ტექსტში (§ 36) დასახელებულია ზოგი სერიაც, რომელთა წარმოშობა იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლას უკავშირდება („Материалы по яфетическому языкознанию“, „Яфетический сборник“...).

იბერიულ-კავკასიურ ენათა შესახებ საინტერესო ცნობებს, ცალკეულ გამოკვლევებს, ზოგჯერ ამა თუ იმ ენის მთლიან მიმოხილვასაც კი შეეხვდებით აგრეთვე სერიებში (კრებულებში):

1. „Записки Кавказского Отдела... Русского Географического Общества“; გამოდიოდა თბილისში, I (1852) — XXXI (1919); მის ფურცლებზე მოთხრობილია ბართოლომეს ცდის შესახებ კავკასიურ ენათა ურთიერთობა შეესწავლა ნათარგმნი ლექსიკის მეშვეობით, ე. ი. იმ წესით, რასაც გიულდენშტედტის დროს მისდევდნენ: ტ. ტ. III (1855) — V (1862)¹; იხ. აგრეთვე: Известия Кавк. Отд.... Рус. Геогр. Общ.

2. „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“ (კავკასიის სასწავლო ოლქის გამოცემა: I (1881 წ.) — XLIV (1915)...

აქ დაიბეჭდა, კერძოდ, ლ. ლობატინსკის „მოკლე ყაბარდოული გრამატიკა“ Лопатинский Л. Г. „Краткая кабардинская грамматика“ (XIII, 1891 წ., 46 გვ.)... ად. დირის გრამატიკული მიმოხილვანი უღური ენისა (1904 წ.), თაბასარანული ენისა (1905 წ.), აღულური ენისა (1907 წ.) და სხვ. (იხ. § 27, გვ. 275).

3. „Доклады Академии Наук“ [СССР].

4. „Языки Северного Кавказа и Дагестана“, ტ. I (1935 წ.), ტ. II (1949 წ.).

5. „Доклады и Сообщения Института языкознания АН СССР“.

6. „Языки Дагестана“, I (1948), II (1954).

¹ ამის შესახებ: Арн. Чикобава, Сравнительный словарь родство языков (Страничка из истории изучения ибер.-кавказ. языков), — Уч. Зап. Адыг. НИИ Яз., Лит. Ист. I, Майкоп, 1957, стр. 69-76.

ამჟამად დადესტნის, ჩაჩნეთ-ინგუშეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის, ადიღეს და აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს აქვთ კრებულები („Ученые Записки“, „Труды“...), სადაც ქვეყნდება ამ ინსტიტუტებში შესრულებული შრომები.

უცხოეთში:

7. „პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოების ბიულეტენი“ („Bulletin de la Société de Linguistique de Paris“); დღემდე გამოსულია 59 ტომი; აქ დაიბეჭდა ჰრაჩია აჭარიანის „ნარკვევი ჭანური ენის შესახებ“: Adjarian H. „Étude sur la langue laze“, BSLP, ტ. X, ნაკვ. 2,3,5,6 (1897-8 წწ.)... რენე ლაფონის წერილები: „ზოგი სიახლოვე ჩრდილო-კავკასიურსა და ქართველურ ენებს შორის“: R. Lafon: „Quelques rapprochements entre les langues caucasiques septentrionales et les langues kartvèles“, BSLP, ტ. XXIX (1929)... „ერთი საერთო სუფიქსის შესახებ ბასკურსა და ზოგ კავკასიურ ენაში: R. Lafon: „Sur un suffixe nominal commun au basque et au quelques langues caucasiques“, ტ. XLIV (1948)... ჰ. ფოგტის წერილი: „ბასკური და კავკასიური ენები“: H. Vogt: „Le basque et les langues caucasiques“, BSLP, ტ. LI (1955)...
8. ჟურნ. „ადამიანი“ Anthropos... აქ დაიბეჭდა რ. ბლაიხშტაინერის წერილი: „კავკასიურ ენათა ჯგუფი“ — R. Bleichsteiner. „Die kaukasische Sprachgruppe“, „Anthropos“, ტ. XXXII, ვენა, 1937 წ.
9. ჟურნ. „Caucasica“, ლაიფციგი, I (1924) — XI (1934).
10. სააზიო საზოგადოების ჟურნალი Journal Asiatique, Paris.
11. „Caucasica“, ქ. ჰააგა, I (1963).
12. Revue de Kartvéologie

საქართველოში:

13. „თბილისის უნივერსიტეტის მოამბე“, ტ. I (1919/20) — ტ. XI (1931).
14. „თბილისის უნივერსიტეტის შრომები“.
15. „მოამბე ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტისა“ — ტ. I (1937) — XII (1942)... შემოკლ. „ენი მკის მოამბე“.

16. „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“... შემოკლ. „სმამ“.
17. „მაცნე“ — საქართვე. მეცნიერ. აკად. საზოგად. მეცნიერებათა განყოფილების ორგანო.
18. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“ საქართ. მეცნიერ. აკად. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ორგანო — (შემოკლ.: **იკე**), ტ. I (1946) — ტ. XIV (1964).

„მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა“ შესახებ საენათმეცნიერო ლიტერატურა (ქართულ, რუსულსა და უცხოურ ენებზე) იხ. გ. კაჭარავას და გურ. თოფურიას მიერ შედგენილ „ბიბლიოგრაფიაში“ (თბილისი, 1958).

იხ. აგრეთვე „ფონეტიკური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია: I. ქართველური ენები, თბილისი, 1937 წ. II. კავკასიური ენები, 1940 წ., პროფ. გ. ახვლედიანის რედაქციით.

ლიტერატურა¹ (სათანადო გვერდების ჩვენებით)

- გვ. **2:** აჭარიანი ჰრაჩია. სომხური ეტიმოლოგიური (ძირთა) ლექსიკონი, ერევანი, I (1926) — VII (1935) (სომხურ ენაზე).
- მისივე: სომხური ენის ისტორია, ერევანი, 1940 (სომხ. ენაზე).
- ხაფანციანი გრ. Капанцян Г. К. происхождению армянского языка, Ереван, 1946.
- მისივე: О взаимоотношении армянского и лазо-мегрельского языков, Ереван, 1952.
- ასმანგულიანი ა. Асмангулян А. А. Против гипотезы о «двуприродности» армянского языка — ჟურნ. „Вопр. языкозн.“, 1953, № 6.
- დეეტერსი გ. Deeters G. Armenisch und Südkaukasisch. — „Caucasica“ f. 3, 4 (1926, 1927).
- ფოგტი ჰ. Vogt H. Arménien et caucasique du sud – NTS, Bd. IX (1998), Oslo.
- მარი ნ. Марр Н. Грамматика древнеармянского языка, СПб., 1903.
- მისივე: Яфетическое элементы в языках Армении, Изв. А. Н. I (1911) — XI (1919).
- აბაევი ვ. Абаяев В. И. Осетинский язык и фольклор, I, М., 1949.
- მისივე: Историко-этимологический словарь осетинского языка, I, М.-Л., 1958.
- მისივე: Грамматический очерк осетинского языка, Орджоникидзе, 1959.
- ბალკაროვი ბ. Балкаров Б. Х. Адыгские элементы в осетинском языке, Нальчик, 1965.
- გვ. **3:** წერეთელი კონსტანტინე. ნარკვევი თანამედროვე ასურული დიალექტების შედარებითი ფონეტიკისა, თბილისი, 1958.
- გვ. **4:** ტრუბეტკოვი ნ. Troubetzkoy N. Les langues caucasiques septentrionales – „Les langues du monde“, 1924.
- გვ. **5:** შანიძე ა. ძველი ქართულის ქრესტომათია, ტფილისი, 1935.
- წერეთელი გ. ქართული წარწერები პალესტინიდან, თბილისი, 1959.
- ჯავახიშვილი ივ. ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, ტფილისი, 1926.

¹ ზოგადი მიმოხილვანი ივ. ჯავახიშვილისა, აღ. ცაგარლისა, მ. ნემიროვსკისა იხ. წინასიტყვაობაში.

- აბულაძე ილია. Абуладзе И. В. К открытию алфавита кавказа. албанцев — ენიმკის მოამბე, IV, ნაკვ. I (1938).
- გვ. **11**: შანიძე ა. Шанидзе А. Г. Новоткрытый алфавит кавказских албанцев... იქვე.
- ტრევერი კ. Тревер К. В. Очерки по истории и культуре Кавказской Албании, М.-Л., 1959.
- გვ. **12**: სტატისტიკური ცნობები კავკასიელ ხალხთა შესახებ: Ежегодник БСЭ 1960 წლისა (1959 წლის აღწერის შედეგები) გვ. 7; აგრეთვე: Подъячих П. Г. Население СССР, 1961, გვ. 101-104.
- გვ. **20**: ჩიქობავა არნ. ქართულ-ხუნძური წარწერა XIV ს. დაღესტნიდან — საქართ. ფილიალის მოამბე, 1940.
- გუდავა ტ. ორი წარწერა (ქართული და ქართულ-ხუნძური) დაღესტნიდან — „მასალები საქართვე. და კავკასიის ისტორიიდან“, ნაკვ. 30, 1954 წ.
- ჰენკო ა. Генко А. Н. Арабский язык и кавказоведение — Труды Института Востоковедения, вып. XXXVI, 1941.
- გვ. **21**: ბლაიხშტაინერი რ. Bleichsteiner R. Die kaukasischen Sprachproben in Evlija Čelibis Seyahetname — „Caucasica“, f. 11 (1934).
- ლამბერტი არქანჯელო Ламберти Арканджело. Описание Колхиды, называемой теперь Мингрелией 1654 г. — იტალიურიდან ნათარგმნი კ. განის მიერ — СМОМПК, вып. 43 (1913).
- შარაშიძე ქრ. პირველი სტამბა საქართველოში, თბილისი, 1955.
- გვ. **80**: აბულაძე ილია. ქართული გრამატიკული ლიტერატურის აღრინდელი ძეგლები. I. ზურაბ შანშოგანი — საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, — X — Б (1940).
- გვ. **383**: ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილ., 1954.
- მისივე: ქართული ენის ისტორიისათვის. I. 1964.
- მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში. 1960.
- არ. თაყაიშვილი. ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, 1961.
- არნ. ჩიქობავა. ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938.

პირთა საძიებელი

- აბაევი ვ. (Абаев В. И.) 18, 381
აბდულაევი ზ. (Абдулаев З.) 361
აბდულაევი ს. (Абдулаев С.) 360
აბულაძე ილ. 382
ადელუნგი (Adelung) 122
აიდემირ ჭირკველი 194, 195
ალენი უ. (Allen W.) 11, 370
ალიროევი ი. (Алироев И.) 360
ანტონი I 11, 13, 14, 35, 46, 92-94,
97-110, 136, 141, 143, 170, 258,
291, 309, 310
აპაყევი მ. 362
აპოლონიოს დისკოლო 106
არისტოტელე 91, 99
არსახანოვი ი. (Арсханов И.) 360
ასმანგულიანი ა. (Асмангулиан А.) 18,
381
აშხამაფი დ. (Ашхамаф Д.) 358
აჭარიანი ჰ. (Ачариан Г.) 18, 29,
150, 327, 379, 381
ახვლედიანი გ. 380
- ბ**აბუნაშვილი ელ. 14, 98
ბაკმეისტერი 111, 121, 122, 182
ბალკაროვი ბ. (Балкаров Б.) 362, 381
ბართოლომე 173, 378
ბატონიშვილი დ. 143
ბაღვა პ. (Багов П.) 362
ბაუმეისტერი 99, 104, 107
ბეერი 254, 255
ბენფეი თ. (Benfey Th.) 293
ბეჟანოვი გ. 183, 184
ბეჟანოვი სტ. 184
ბერზეკი 192, 206
ბერჟე ად. (Берже Ад.) 173, 179,
181-184, 189, 191, 192, 195,
197, 205, 207
ბიჭოევი ა. (Бичоев А.) 362
ბიხოვსკაია ს. (Быховская С. Л.) 357
ბლაიხშტაინერი რ. (Bleichsteiner R.)
13, 37, 379, 382
ბოკარევი ა. (Бокарев А. А.) 357
ბოკარევი ე. (Бокарев Е. А.) 29,
359, 373
ბოპი ფრ. (Bopp Fr.) 12, 28, 157,
159, 161, 162, 164-170, 212,
214-216, 261, 280, 291, 293,
316
ბოუდა კ. (Bouda K.) 370
ბროსე მ. (Brosset M.) 11, 12, 66,
124, 137, 139-141, 143, 144,
157, 159, 161, 162, 164, 168,
169, 172, 178, 179, 202, 207,
214, 219, 243, 244, 261, 280,
281, 284, 287-291, 293, 300,
305, 309, 310
ბრუგმანი კ. (Brugmann K.) 377
ბლაჟბა ხ. (Бгажба Х.) 363
- გ**აიოზ არქიმან. 11, 110, 143, 309
გატეირიას 239, 280
გელაშვილი გ. 16
გენკო ა. იხ. ჰენკო
გიგინეიშვილი ივ. 22, 364

- გინეკენი ჟ. (Ginneken Jack van) 372
 გიულდენშტედტი ი. (Güldenstädt J.)
 12, 13, 29, 36, 110-122, 126,
 127, 130, 133-135, 158, 173,
 243, 378
 გლეიე (Глейе) 280
 გმელინი (Гмелин) 112
 გრანჟიე ლ. 62, 147
 გუდავა ტ. 25, 367, 382
- დალი ვ.** (Даль В.) 74
 დეეტერსი გ. (Deeters G.) 13, 18, 370,
 381
 დემიდოვი (Демидов) 189, 283-285
 დეშერიევი ი. (Дешериев Ю.) 359,
 361
 დიბირი ალი 269
 დიონისე თრაკიელი (Dionysius Thrax)
 97, 104, 106
 დირი ა. (Dirr Ad.) 12, 13, 15, 22, 29,
 136, 218, 252, 254, 258, 267-281,
 332, 342, 365, 371, 378
 დიუმეზილი ჟ. (Dumézil G.) 22, 29,
 359, 371
 დოდაშვილი რ. 143
 დოდაშვილი სოლ. 11, 309
 დოლაჟოვა რ. (Долакова Р.) 362
 დოსოვი კედი (Досов К.) 189
- ერთელიშვილი ფ.** 365
 ერისთავი რ. 98
 ერკერტი რ. (Erckert R.) 12, 14, 29,
 190, 203, 220-223, 231, 249-255,
 259, 261-263, 270-272, 332,
 343, 352, 365
- ვარლამ არქიეპისკ.** (ერისთავი) 11,
 110, 309
 ვახუშტი ბატონიშვილი 91, 129, 139
 ვოლფი 99
- ზაგურსკი ლ.** 190, 243
 ზივერსი (Sievers) 263
 ზომერფელტი ა. იხ. სომერფელტი
- თამარაშვილი მის.** 40
 თაყაიშვილი ა. 382
 თოფურია გ. 16, 367, 380
 თოფურია ვ. 22, 23, 364, 368
- იაკოვლევი ნ.** (Яковлев Н.) 12, 29,
 357, 359
 იბრაჰიმ ეფენდი 148, 269
 იედლიჩკა ი. (Jedlička J.) 369
 იმნაიშვილი გრ. 364
 იმნაიშვილი ივ. 364
 იოსავა ნ. 143
 იოსელიანი პლ. 11, 77, 289
 ირბახი ნიკიფ. 38-41, 124, 140
- კამენევი 205**
 კარდანოვი ბ. 362
 კარიჭაშვილი დ. 40, 41
 კასტრენი (Kastren) 171, 186
 კახაძე ოტ. 26
 კელენჯერიძე მ. 285
 კერაშევა ზ. 362
 კიზირია ანტ. 365
 კლაპროთი ი. (Klaproth Jul.) 197,
 202, 243, 264, 293
 კლიმოვი გ. 360

- კოჰპერსი ა. (Kuipers A.) 11
კონდაკოვი 312
კოხი (Koch) 148
კრაშენნიკოვი 120
კრიუდნერი 115
კრუგი ფილ. 123
კულაკოვი 253
კუმახოვი მუხ. (Кумахов М.) 360, 362
კურციუსი კ. 99
- ლ**ამბერტი არქ. 37, 146, 382
ლაფონი რ. (Lafon R.) 12, 13, 379
ლაჩინილაუ 179, 182
ლევი ე. 370
ლენიძე ლ. 78, 79
ლერბერგი ავგ. 123
ლესიუს (Lepsius) 293
ლომთათიძე ქეთ. 23
ლომთაძე ელ. 25
ლომონოსოვი მ. (Ломоносов М.) 99, 106
ლოპატინსკი ლ. (Лопатинский Л.) 238, 253, 257, 259, 264, 342, 378,
ლიულიე ლ. (Люлье Л.) 238
- მ**აგომედბეკოვა ზ. (Магомедбекова З.) 25
მადიევა გ. (Мадиева Г.) 361
მალსაგოვი დ. (Мальсагов Д.) 24
მალსაგა ზ. (Мальсагов З.) 361
მამრეშევი კ. (Мамрешев К.) 362
მარი ნ. (Марр Н.) 105, 137, 139, 140, 143-145, 150, 168, 170, 179, 202, 214, 218, 247, 273, 274, 277, 281, 288, 304, 311-340, 342-357, 359, 363, 374, 379, 381
მარტიროსოვი ა. 364, 365
მაციევი ა. 361
მაჯო მ. (Maggio M.) 13, 14, 42-44, 46-58, 60-68, 136, 140, 143-145, 157, 217, 309
მაპომეტოვი ალ. (Магоматов А.) 26, 367
მეიე ა. (Meillet A.) 22, 29, 372
მეილანოვა უ. (Мейланова У.) 361
მენტეშაშვილი სტ. 33, 79
მერქსი 292
მესაროში ი. (Meszaros F.) 370
მეშჩანიხოვი ი. (Мещанинов И.) 357, 374
მისტელი (Misteli F.) 262
მიულერი მ. (Müller M.) 15, 212-214, 216, 217, 248, 280, 291, 293, 316,
მიულერი ფრ. (Müller Fr.) 12, 14, 125, 168, 202, 216-222, 225, 242, 243, 249, 250, 255, 256, 260-262, 264, 272, 273, 291-293, 298, 300, 311, 316, 332, 343, 345, 352, 374
მიქაილოვი შ. (Микаилов Ш.) 360, 361
მიხანკოვა ვ. (Миханкова В.) 312, 313, 317
მუნკაჩი (Munkaci) 279, 280, 281
მურყელინსკი ჰ. (Муркелинский Г.) 360, 361
- ნ**აისერი ფ. (Neisser F.) 369
ნიჟარაძე მ. 308
ნოღმა შორა (Ногма Шора) 136-138
ნუროვი ჰასან 180, 182

- ოზდოევა ფ.** (Оздоева Ф.) 362
ონიანი არს. 328
ორბელიანი საბა-სულხან 35, 69, 76,
90, 92, 284
- პალასი პ.** (Pallas P.) 111, 112, 133
პაოლინი სტ. (Paolini St.) 38-42,
124, 140
პატკანოვი ქ. (Ратканов К.) 312
პლუტარქი 129
პოზდნეევი ა. 291
პორფირი (Porphyrius) 91, 105
- ჟირკოვი ლ.** (Жирков Л.) 12, 181,
187, 358
ჟორდანია თედო 15
ჟღენტი ს. 364
- რაიცი კონრად** 115
რამაზანოლი ალი 269
როგავა გ. 362, 363
როზენი გ. (Rosen G.) 12, 29, 144-154,
156-158, 163, 168, 214, 219,
243, 300, 308, 317, 327, 333-335
როზენი ვ. (Розен В.) 312, 313, 317
- საბა იხ.** ორბელიანი საბა-სულხან
საიდოვი მ. (Саидов М.) 258-360
სეისი (Sayce) 260
სენ-მარტენი (Saint-Martin) 140, 158
სერებრიაკოვი ს. (Серебряков С.) 364
სტრაბონი 129, 184
სტოიანოვი ალ. (Стоянов А.) 308
სულეიმანოვი ი. (Сулейманов Я.) 361
სომერფელტი ა. (Sommerfelt Alf) 369
სულხანოვი (სულხანიშვილი) ალ. 284
- ტალიბოვი მ.** (талибов М.) 361
ტრევერი კ. (Треввер К.) 382
ტრომბეტი ა. (Trombetti A.) 12, 218,
247, 273, 274, 280, 281
ტრუბეცკოი ნ. (Трубецкой Н. Trou-
betzkoy N.) 12, 13, 20, 222,
275, 372-376, 381
ტურჩანინოვი გ. (Турчанинов Г.)
137, 357
- უთურგაიძე თ.** 364
ულენბეკი კ. (Uhlenbeck K.) 276
უორდროპი ოლ. (Wardrop O.) 261
უსლარი პ. (Услар П.) 137, 181, 182,
185-211, 218, 219, 232, 238,
243, 250, 255, 257, 268-270,
332, 333, 334, 336, 343, 358,
365
უშაკოვი დ. (Ушаков Д.) 72, 74
- ვალავანდიშვილი** 285
ვატერი სევ. (Vater Sev.) 143, 309
ფირალოვი გ. 11, 124, 140, 143
ფოგტი ჰ. (Vogt H.) 178, 308, 379,
381
ფრენი (Френ) 135
ფურცელაძე დ. 192
- ქავთარაძე ივ.** 364, 382
ქუთათელაძე ლ. 77, 83, 90
- ღაზალი იმამ** 180, 182
ღლონტი ალ. 35, 285
- ყარამანიანი კარ.** (Gahramanean G.)
36, 136
ყიფიანი დ. 14, 15, 192, 187-291

ციფშიძე იოს. 22, 35, 76-78, 147,
285, 327, 329, 330, 342, 355
ყუაშევა თამ. (Куашева Т.) 362

შაგიროვი ა. (Шагиров А.) 362

შანიძე ა. 20-23, 28, 35, 44, 76, 77,
83, 89, 178, 285, 292, 294, 323,
324, 354, 363, 364, 381, 382

შანშოგანი ზ. 90, 91, 93-98, 110,
136, 264, 382

შარაშიძე ქრ. 37, 382

შარენსი (Charency) 280

შარმუა (Шармуа) 137

შაუმიანი რ. (Шаумян Р.) 357

შერვაშიძე გრ. 253

შიოგრენი (Sjögren) 135, 137

შიფნერი ანტ. (Schiefner A.) 12, 13,
15, 29, 121, 136, 171, 174-186,
189-192, 194, 195, 197-199,
202, 204, 211, 218, 219, 238,
243, 248, 270, 298, 358

შლაიხერი ავგ. (Schleicher Aug.) 209,
293, 294

შმიდტი გ. (Schmidt G.) 369

შმიდტი კ. ჰ. (Schmidt K. H.) 369

შოლგინი 292

შტრალენბერგი (Strahlenberg) 37, 38

შუხარდტი ჰ. (Schuchardt H.) 218,
256-267, 273, 274, 279, 332,
343, 352

ჩაპანოვი მ. (Чапанов М.) 362

ჩიქობავა არნ. 16, 22, 36, 364, 367,
368, 382

ჩოლოყაშვილი დ. 292

ჩოფალაუ იბრაჰიმ 269

ჩუბინაშვილი დ. (Чубинов Д.) 281-291,
299, 300, 309

ჩუბინაშვილი იესე 110, 282

ჩუბინაშვილი ნ. 284, 285

ჩხენკელი კ. 368

ჩხენკელი სტ. 22

ცაგარელი ალ. (Цагарели А.) 12, 13,
15, 35, 90, 91, 98, 219, 243,
259, 263, 282-288, 291-305,
307-312, 381

ცერცვაძე ილ. 25

ცაგოვი ი. (Цагов И.) იხ. წაღვა

ციკოლია მ. 363

ცისკარიშვილი (ცისკაროვი) გ. 172,
179

ცისკარიშვილი (ცისკაროვი იობ.) 36,
136, 172, 173

ცორელი ფ. (Zorell F.) 13, 368

ძიდიგური შ. 364

ძიდიშვილი მ. 382

წაღვა ი. (Цагов И.) 357

წერეთელი გ. 21, 381

წერეთელი კ. 19, 381

ჭარაია პ. (Чарая П.) 332-339, 342

ჭენტიევა მ. (Чентиева М.) 361

ჭინჭარაული ალ. 364

ჭონქაძე დან. 292

ჭყონია ილ. 78

ხათანოვი აბდ. (Хатанов Аб.) 362

ხაიდაკოვი ს. (Хайдаков С.) 36, 359

ხამაიანც არტ. 184

ხანთაძე ი. 143

- ხანძთელი გრ. 21, 355
 ხაფანციანი გრ. (Капанцян Г.) 18
 ხორენელი მოსე 129, 184
 ხუმფაროვი (Хумпаров) 358, 359
- ჯავახიშვილი ივ. 13, 21, 28, 29, 78,
 312, 364-366
 ჯანაშვილი მ. 15, 226, 239, 243,
 253, 262
 ჯანაშია ბ. 363
 ჯაჭვლიანი ენგ. 308
 ჯეირანიშვილი ევგ. 26
- ჭაიდაროვი რ. (Гайдаров Р.) 361
 ჰანი (Ган) 260
 ჰასანოვი იანგულბაი 189
 ჰაუგი (Haug) 292
 ჰაჯიევი მ. (Гаджиев Маг.) 360, 361
 ჰენკო ა. (Генко А.) 12, 357, 382
 ჰეროდოტე 260
 ჰიუბშმანი (Hübschmann) 312
 ჰიუზინგი გ. (Hüsing) 252
 ჰოდგსონი (hodgson) 280
 ჰომელი ფ. (Hommel Fr.) 28, 218
 ჰუმბოლდტი ვ. (Humboldt W.) 209,
 210

იბერიულ-კავკასიური ენები, კილოები, კილოკავები, თქმები¹

- აბაზური კ. (ე.) 23, 27, 119, 120, 128, 130, 132, 134, 136, 146, 357, 367, 370
- აბაძეხური კ. იხ. აბაძხური
- აბჟუური კ. 23, 363
- აბძახური კ. 23, 205, 223, 225, 238, 246, 255
- ადილეური ე. 9, 23, 24, 27, 37, 129, 137, 138, 206, 257, 277, 342, 358, 362, 363, 367
- ადილეურ-ყაბარდოული იხ. ადი-
ლეური ე., ყაბარდოული ე.
- ადილური ენები 18, 23, 27, 29, 35, 192, 257, 340, 359, 360, 368, 376
- ავარიული ე. იხ. ხუნძური
- ათინური კკ. 22, 148, 327, 364
- აკუმა იხ. აჯუშური
- აკუმა-დარგუა იხ. დარგუული
- აკუშური იხ. აჯუშური
- აჯუშური იხ. დარგუული
- ალბანეთის (კავკას). ენები 18, 19, 27, 29, 36, 211
- ალთი-ქესექ-აბაზა იხ. აბაზური
- ანდალალის, ანდალალური თქმები
იხ. ჰიდურ-ანდალალურ-ყა-
რახული
- ანდი იხ. ანდიური
- ანდიური ენა-კილოები 26, 120, 130, 223, 233, 234, 236, 237, 247, 271
- ანდიური ე. 25, 117, 119, 122, 127, 128, 130, 134, 158, 192, 223, 235, 255, 268-270, 275, 361, 367
- ანდიურ-დიდოური იხ. ხუნძურ-
ანდიურ-დიდოური
- ანწუხური კ. 25, 117, 120, 127
- არჩიბული ე. 26, 189, 192, 216, 218-221, 223, 227-232, 235-237, 244, 245, 247, 255, 268-270, 275, 276, 367
- ასახურ-შაფილური თ. 25
- აფხაზური ე. 9, 18, 23, 27, 37, 118-120, 122, 128, 130, 132-134, 144-146, 151-156, 158, 183, 185-192, 194, 196, 199, 201, 205, 207, 211, 214, 216, 218, 220, 223, 225, 227, 234, 237-239, 243-246, 248, 255, 257, 261, 270, 281, 315, 331-344, 347, 350-352, 354, 357, 363, 367, 370, 373
- აფხაზურ-აბაზური იხ. აფხაზური,
აბაზური
- აფხაზურ-ადილური ჯგ. ენები 28, 340
- აფხაზურ-უბიხურ-ჩერქეზული,
აფხაზურ-ჩერქეზული ჯგ. იხ.
აფხაზურ-ადილური

¹ შემოკლებანი: ე.=ენა, კ.=კილო, კკ.=კილოკავი, თ.=თქმა, ჯგ.=ჯგუფი (ენათა).

- აღლული ე. 26, 223, 227-231, 236, 247, 255, 268-270, 357, 367, 378
- აშტიკულიური კკ. 27
- აშტის კ. 232
- აშხარული კ. 23, 367
- აჭარული კ. 21
- ახვახის, ახვახური ე. 25, 223, 233, 247, 255, 270
- ახთიური კ. 26
- აჯის კ. 24
- აჯუმური კ. 27, 122, 127, 181, 187, 192, 223, 228, 232, 247, 358
- აჯუმურ-ხაიდაყური იხ. დარგული ე.
- ახუმური იხ. აჯუმური
- ბ**აგვალალური ე. 25, 27
- ბალს-ზემოური კ. 22, 23
- ბალს-ქვემოური კ. 23
- ბალხარული კკ. 27
- ბარის კ. (ჩაჩ. ე.) 24
- ბასკური ე. 217, 218, 256, 257, 260-262, 264, 265, 267, 273, 274, 280, 281, 310, 345, 346-349, 354, 367, 369, 371, 375, 379
- ბასლინეური კკ. 238, 362
- ბაქსანის კკ. 24, 362
- ბაცბური ე. 9, 24, 29, 36, 128, 136, 171-175, 177-179, 181-183, 185, 192, 202, 214, 215, 218, 219, 223, 237, 245, 246, 257, 270, 296, 340, 360, 367, 369, 376
- ბაცბურ-თუმური იხ. ბაცბური
- ბზიფური კ. 186, 188
- ბოთლიხის, ბოთლიხური ე. 25, 234, 237, 270, 271, 367
- ბოთლიხურ-ლოდობერიული იხ. ბოთლიხური, ლოდობერიული
- ბორჩული კკ. 26
- ბუედელური კ. 23
- ბუდუხური ე. 18, 26, 223, 228-231, 236, 247, 255, 270, 367
- ბუჯხადი ე. იხ. ბოთლიხური
- ბურკიხანის, ბურკიხანული კ. 226, 228, 230, 231, 247
- ბურკუნ კ. 231
- გ**ლანჩოყის კკ. 24
- გეკხუნური თ. 26
- გუდამაყრული კკ. 21
- გურული კ. 21, 66, 79, 280, 295, 312
- დ**არგა, დარგუა იხ. დარგული
- დარგული ე. 25, 27, 29, 117-120, 122, 127, 128, 130, 134, 158, 181, 185, 187, 188, 190, 191, 193, 195, 201, 204, 216, 218, 219, 221, 223, 227, 229, 232, 237, 243-245, 247, 248, 255, 257, 269, 357, 358, 360, 361, 367, 370
- დარგულ-ლაკური ქვეგ. დაღესტ. ენებისა 119

- დალესტნური ენები 18, 20, 25, 38, 59, 131, 136, 171, 173, 191, 204, 214, 216, 228, 232, 236, 251, 255, 257, 267, 268, 270, 273, 276, 281, 314, 339, 340, 343, 349, 354, 363, 368, 373
- დიდოური ე. 25, 26, 29, 117, 119, 120, 127, 128, 130, 223, 235-237, 244, 247, 270, 359
- ვ**ართაშნული კ. 182
- ვარკუნ, ვარკუნული კ. 223, 231-233, 236, 247
- ვარკუნ-ამტი, ვარკუნ-დარგუა, ვარკუნ-კუბაჩი 232, 236
- ვიცხიური კკ. 27
- ვიწურ-არქაბული კკ. 22, 364
- ვიხლიური კკ. 27
- ზ**ანური ე. 20, 22, 33, 376
- ზაქათლის კ. იხ. ჭარული
- ზუგდიდურ-სამურზაყანული კკ. 22, 329
- თ**აბასარანული ე. 26, 27, 130, 190, 192, 195, 223, 226, 228-231, 236, 247, 248, 267, 268, 270, 358, 367, 370, 378
- თერგის კკ. 362
- თოქიტური კკ. 25
- თუბალ-კაინური (მეგრულ-ჭანური) 327-329, 331, 338, 342
- თუშთა ენა იხ. ბაცბური.
- თუშური კ. (ქართ. ე.) 21, 240, 246, 295, 364
- თუშური ე. (იგივე წოვა-თუშური ანუ ბაცბური ე.) 117, 119, 128, 171, 172, 182, 214, 247, 296, 340
- ი**აფეტური ენები 28, 314, 316, 330, 331, 333, 336-342, 344, 345, 347, 349-354
- იბერიული იხ. ქართული, ქართველური
- იბერიულ-კავკასიური ენები 7, 8, 12, 17-21, 28, 117, 136, 202, 224, 257, 275, 319, 332, 356, 365, 367, 368, 374, 376, 377
- იდი, იდერი 234, 235
- ივერიული, ივერული იხ. ქართული, ქართველური
- იმერული კ. 21, 79, 242, 246, 302
- იმერხევური კ. 21
- ინგილოური კ. 21, 223, 240, 242, 246, 255
- ინგუშური ე. 24, 27, 28, 117, 119, 128, 223, 225, 237, 247, 270, 340, 362, 367
- ინუხური იხ. ჰინუხური
- ინოყვარული კკ. 25
- იტუმკალის კკ. 24
- იხრეკ-მიხრეკული კკ. 26
- კ**ავკასიის ენები (არა იბერიულ-კავკასიური) 7, 17

- კავკასიური (ე. ი. იბერ.-კავკასიური)
ენები 7, 13, 20, 29, 122,
127, 134, 144, 158, 171, 205,
207, 208, 211-218, 220-222,
243, 246-251, 256, 260-262,
267, 270-272, 274-276, 279,
280, 310, 340, 341, 343,
345, 352, 357, 365, 367,
369, 371-375, 379, 381
- კაინური იხ. თუბალ-კაინური
- კაპუჭური ე. 25, 127, 130, 223,
235-237, 247, 270, 361
- კაპუჭურ-უნზიბური იხ. კაპუჭურ-
ჰუნზიბური
- კაპუჭურ-ჰუნზიბური ე. 223
- კარატა-, კარატაული ე. 25, 223,
234, 235, 237
- კახური კ. 21, 22, 364
- კემგუური იხ. ჰემგუური
- კვანადა-, კვანადური კ. 234, 237,
247, 270, 271
- კიახური, კვახური კ. 358, 367
- კირდი იხ. ლოდობერიული
- კიურალეი, იხ. კიურული
- კიურალეი იხ. ლეზგიური
- კიურული იხ. ლეზგიური
- კოლხური 151
- კომანის, კომანური იხ. ქომანური
- კრიწული, კრიზული ე. 18, 26,
223, 361, 367
- კუნად-, კუნადური იხ. კვანადური
- კუბაჩი-, კუბაჩური კ. 27, 37,
127, 130, 223, 232, 236,
247, 256, 271, 367
- კუმიკური იხ. ლაკური ე.
- კუმუხური იხ. ლაკური ე.
კუმუხური კკ. ლაკ. ენისა 27
კუმხასიბ-აბაზა კკ. 118, 130
- ლ**აბურდის კ. (ბასკ. ე.) 264
- ლაზური იხ. ჭანური
- ლაკური ე. 25, 27, 36, 117, 158,
189, 190, 191, 204, 218,
233, 247, 358, 359, 361
- ლაშხური კ. 152, 328
- ლეგური, ლეგურ-ალბანური 29, 365
- ლეზგიური ე., ჯგ. 25, 26, 27, 29,
37, 118, 120, 130, 184,
185, 187, 190, 191, 201,
218, 223, 225-228, 231,
232, 249, 257, 268, 270,
357, 358, 360, 361, 367,
373, 376
- ლეკური იხ. დაღესტნური
- ლენტეხური კ. 23
- ლენხუმური კკ. 21
- მ**ალკის კკ. 362
- მაჯალის-ყაიტადური 232, 236
- მაჭარულ მაწი იხ. ხუნძური ე.
- მეგრული კ. 12, 20, 22, 32, 33,
37, 69, 70, 78, 117, 119, 120,
122, 132, 142, 144-146,
150-153, 156-158, 163, 168,
218-220, 223, 225, 239,
240, 246, 263, 270, 293,
295-303, 305-308, 311,
317, 326, 327-330, 340, 364
- მეგრულ-ლაზური იხ. მეგრულ-ჭა-
ნური

მეგრულ-ჭანური იხ. ზანური	სვანური ე. 12, 22, 70, 117, 119,
მეკეგე კკ. 232, 247	120, 129, 132, 144-146, 150,
მესხური იხ. მესხურ-ჯავახური	151, 156-158, 163-165, 192,
მესხურ-ჯავახური კკ. 21, 327, 342	207, 218-220, 223, 225,
მთიულური კკ. 21, 265	239-242, 244, 246, 252,
მიქიქური კკ. 26	257, 259, 263, 266, 270,
მღურა 232	295, 298-300, 308, 311,
მიწლეშური კკ. 26	317, 326-328, 330-332,
მიცჯეგების, მიცჯეგური იხ. ნახური	335, 338, 339, 341-343, 347,
მოზდოკის კკ. 21	351, 352, 364, 376
მოხეური კ. 21, 78	სინდური (=აფხ.-ადილ.) ენები 28,
მუნებ-ქვანხიდათლური კკ. 25	365
	სურხი, სურხიული კ. 231
ნახადური კკ. 25, 236, 247	
ნახური (ჩაჩნ. ჯგ.) ენები 27, 359,	ტაპანთის, ტაპანთური კ. 23, 27,
369	357, 367
ნახურ-ჩაჩნური იხ. ნახური	ტინდი-, ტინდიური კ. 27, 223,
ნიჯური კკ. 26, 182	234, 270
„ნოეტური“ (ოჯახი ენებისა) 326	ტინდიურ-ბავკალალური იხ. ბავ-
	კალალური ე.
რაჭული კ. 21, 22	ტრაპიზონის, ტრაპიზონული კ.
რიკვანის თ. 361	147, 148
რუთულური ე. (კ) 26, 223, 225,	
226, 229-231, 236, 247,	უბიხთა ე. იხ. უბიხური
268, 270	უბიხური ე. 19, 24, 118, 192,
რუთულურ-მუხადური კკ. 26	205, 206, 223, 270, 271,
რუთულურ-წახურული 255	275, 333, 339, 340, 342,
	367, 370, 371
სავრომატული ენები (=მთის	უდთა ე., უდიური, უდური ე. 9,
იბერ.-კავკას. ენები) 28, 365	18, 26, 36, 136, 171, 179,
სამხრული კ. (თაბასარ. ენისა)	182, 183-185, 218-220, 223,
26, 226-228, 230, 231	225, 227-231, 236, 237,
სანთლადური თ. 25	244-249, 257, 268, 270,
საჰადური თ. 25	275, 367, 370, 376, 378
სენაკური კკ. 22, 329	უნსოური კ. 130

- ურახული კ. 27, 187, 189, 255, 358
- ურკარახული კ. 27
- ფერეიდნული** კ. 21
- ფშაური კ. 21, 22, 79, 246, 295
- ქამესური ენები** („ქართულ-მეგრულ-სვანური“) 20, 28
- ქართვების ე. 326, 330, 337, 338
- ქართველური ენები 12, 15, 18-20, 22, 27, 28, 118, 139, 144, 149, 157, 166, 167, 191, 205, 214-216, 219, 236, 240, 242-246, 254, 256, 257, 259, 267, 272, 275, 291, 300, 301, 308, 311, 313, 314, 317, 326, 328, 330, 332-334, 343, 345, 347, 351, 354-356, 360, 363-365, 368, 369, 372, 373, 379, 380
- ქართლური კ. 21, 22, 291
- ქართლურ-კახური იხ. ქართლური, კახური
- ქართული ე. 11-15, 21, 24, 27-29, 33, 35-47, 54, 57, 59, 60, 62, 66-69, 72, 73, 76, 78, 81, 83, 84, 86, 87, 89-91, 95, 97-101, 103, 105, 107-109, 117, 119, 120, 122, 124, 132, 136, 139-145, 147, 150, 151, 153, 155, 157-164, 166-170, 172, 174, 175, 178, 181, 183, 186, 192, 193, 205, 207, 208, 212, 215, 216, 218-220, 223-225, 236, 239-247, 249, 250, 251, 253-257, 259-265, 267, 268, 270, 271, 277, 281-287, 291-304, 306-313, 315-321, 325-328, 331-337, 340, 342, 343, 347, 349, 351-355, 363-369, 376
- ქართულ-იაფეტური 338
- ქართულ-ქართველური 139, 313, 326, 365
- ქართულ-მარომატული 28, 365, 366
- ქაშდ-მოსოხური 327
- ქერენული თ. 26
- ქვანთლადური თ. 25
- ქოშანური თ. 26
- ქიზიყური კკ. 21, 79
- ქილმიწ-ლექური კკ. 26
- ქისტური კ. 171, 362
- ქისტურ-თუშური (=ბაცბური) 218, 219
- ლაზი-ყუმუხური, ლაზი-ყუმუხური იხ. ლაკური**
- ღარბუთლური თ. 25
- ღილღური იხ. ინგუშური
- ლოდობერი, ლოდობერისა იხ. ლოდობერიული
- ლოდობერიული ე. (კ.) 25, 27, 234, 235, 237, 247
- ლუნბური კ. 247
- ყაბარდოული** ე. 23, 24, 27, 35, 118, 119, 122, 128, 132, 134, 137, 138, 158, 184, 192, 223, 238, 357, 362, 367, 371
- ყაბარდოულ-ჩერქეზული 137, 358, 362

ყაზი-ყუმუხთა, ყაზი-ყუმუხური იხ.
ლაკური

ყაიტაღური იხ. დარგუული 192

ყარაბულახური კ. ინგ. ე. 128

ყარა-კა“ტაკის, კარა-კაიტაღური კ.
იხ. ხაიდაყური

ყუბანის თ. ყაბარდ. ე. 24, 362

ყუბური კ. ლეზგ. ე. 26

ყუნყი კ. იხ. აშტის კ. 231

შაითლური თ. 25

შალხაური კკ. (ინგ. ე.) 128

შარომატული ენები 28, 365

შატოის კ. 24

შავსუღური კ. 129, 223, 225,
238, 246, 255, 363

შაჰდაღის ენები 26

შინაზური კკ. 26

ჩანური ე. 24, 27, 28, 120, 128,
134, 171, 173, 188, 189,
191, 199-203, 205, 207,
218, 220, 238, 243, 246,
247, 273, 276, 314, 340,
358, 359, 361, 362, 369

ჩანურ-დაღესტნური ენები 246,
271, 372

ჩანურ-თუშური 237

ჩანურ-ინგუშური 361

ჩანურ-ინგუშურ-ბაცბური 359, 369

ჩანურ-ინგუშურ-თუშური 119

ჩერქეზული ე. 23, 128, 130, 132,
133, 134, 137, 154, 156,
192, 212, 220, 223, 225,
238, 239, 243, 246, 253,
259, 261, 264, 270, 272,
333, 339, 340

ჩერქეზულ-ავხაზური 214

ჩრდილოური კილო (თაბასარ. ენისა)
26

ცეზური იხ. დიდოური

წახურულ¹ი ე. 18, 26, 223, 226,
228-231, 236, 252, 254,
268, 269, 270

წახურულ¹-რუთულური იხ. წახუ-
რული, რუთულური

წოვა-თუშური იხ. ბაცბური

წუდახარული კ. 27, 130

ჭაბერლოს კ. 24

ჭამალაღის, ჭამალალური ე. 25,
223, 270, 271

ჭანური კ. 12, 20, 22, 29, 69, 118,
144, 145, 147-153, 157,
166, 239, 240, 252, 308,
311, 326-330, 332, 340, 343

ჭანურ-მეგრული იხ. ზანური

ჭარული კ. 25, 117, 120, 127

ჭემგუური კ. 23

ჭოხური კკ. 25, 234, 247

ჭუხური იხ. ჭოხური

ხაიდაყური იხ. ხაიდაყური

ხაიდაყური კ. 27, 195, 223

ხაშალხუტური კკ. 25

ხეცურული კ. 21, 240, 242, 246,
255, 299, 364

ხვაინური თ. 25

ხვარში, ხვარშიული ე. 223, 236,
237, 244, 247, 270, 367

- ხინალულური ე. 18, 26, 223, 228-231, 236, 244, 247, 255, 270, 359, 367
- ხიურკილიური (=დარგული) ე. 18, 26, 223, 228, 229-231, 236, 244, 247, 255, 270, 359, 367
- ხოფური თ. 22, 364
- ხუნძახური კ. 25, 120, 127, 180, 247
- ხუნძური ე. 9, 25-27, 29, 36-38, 117-119, 180-183, 185-187, 189-198, 201, 203-205, 216, 218-220, 223, 225, 227-230, 232-237, 244, 246-248, 254, 255, 257, 269-271, 340, 357, 358, 360, 361, 367, 370, 376
- ხუნძურ-ანდიური 372
- ხუნძურ-ანდიურ-დიდოური 25-27
- ხუნძურ-დიდოური 119, 127
- ხუმნი კკ. 226-228, 231
- ჭეკური კკ. 26, 223, 227-231, 236, 244, 247, 255, 270
- ჭაკვარიული კკ. 25
- პატიყუაჰე მეტყ. (ადილ. ე.) 128
- პიდურ-ანდალალურ-ყარახელი 25
- პინუხური ე. 25, 27, 367
- პიურკანული კ. 29, 185, 190, 218, 220, 270
- პიჰათლის, პიჰათლური კ. 25, 234, 235, 237, 247, 269
- პერკანული იხ. პიურკანული

ტომის რედაქტორისაგან

აკად. არნ. ჩიქობავას ნაშრომი „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“ წარმოადგენს ფუნდამენტურ გამოკვლევას და სისტემურ კურსს, რომელიც ემყარება პირველწყაროთა ჩვენებას და მთლიანი სახით გვთავაზობს იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის სხვადასხვა ეტაპისა და მრავალი ავტორის ნაღვაწის შთამბეჭდავ დახასიათებას. მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია განხილულია საზოგადოდ ენის შესწავლის ისტორიაში გამოყოფილი პერიოდების შესაბამისად, კერძოდ, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიაში მიჯნად ავტორი მიიჩნევს მარი ბროსეს „ქართულ გრამატიკას“ (1834); მასში, ადრე ჩატარებული ენობრივი კვლევებისაგან განსხვავებით, რომლებშიც მხოლოდ ლექსიკური მასალის ჩვენებები იყო გათვალისწინებული, ავტორი ცდილობს გრამატიკულ მოვლენათა მოხმობით დაამტკიცოს ქართულის ნათესაობა ინდოევროპულ ენებთან.

არნ. ჩიქობავა ძირითადად ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას იცავს, მაგრამ ზოგჯერ, როცა უფრო ბუნებრივია ერთმანეთთან (პოზიტიურად თუ ნეგატიურად) დაკავშირებულ კონცეფციათა ერთად განხილვა, ქრონოლოგიურად ერთმანეთისაგან დაშორებულ მოსაზრებებს ერთად განიხილავს.

ავტორი, როგორც წესი, ისეთ თვალსაზრისებს ანალიზებს, რომლებმაც კვალი დატოვეს კვლევა-ძიების განვითარებაში და აჩვენებს, თუ რა გავლენა „დადებითი თუ უარყოფითი **მოახდინა შრომამ**, მკვლევარმა, მიმართულებამ და რატომ...“, რადგან „მხოლოდ ასეთ **ფაქტებზე** და მათს **ანალიზზე სწავლობენ აზროვნებას**... უმაღლესი განათლების მიზანი, პირველ ყოვლისა, ის უნდა იყოს, რომ **აზროვნება** — სათანადო სპეციალობის მასალაზე — ასწავლოს მსმენელს“ (არნ. ჩიქობავა).

იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის პირველ პერიოდში განსაკუთრებით გამოსაყოფია ფრ. მარ. მაჯოს, სულხან-საბა ორბელიანის, ანტონი პირველისა და ი. გიულდენშტედტის ნაღვაწის განხილვა, მეორე პერიოდში — მ. ბროსეს, ფრ. მიულერის, პ. უსლარისა და ალ. ცაგარლის კვლევის შედეგთა შეფასება. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ნ. მარის იაფეტურის თეორიის ევოლუციის ძირითადი ეტაპების სიღრმისეული ანალიზი, რომელიც ნათლად წარმოაჩინს ამ თეორიის ავტორის დიდ დამსახურებას კავკასიოლოგიაში და იმ ნეგატიურ შედეგებსაც, რომლებიც მისი მოღვაწეობის მეოთხე ეტაპზე გამოიკვეთა.

არნ. ჩიქობავას წიგნი XX საუკუნის 60-იან წლებში იქმნებოდა. ავტორი ამ საუკუნის 20-იანი წლების შემდგომ ჩატარებულ მუშაობას თანამედროვეობის კუთვნილებად მიიჩნევს და მის ანალიზს იბერიულ-კავკასიუ-

რი ენათმეცნიერების შესავლის საგნად სახავს, ამიტომ წინამდებარე წიგნში მათი განხილვა მხოლოდ ფრაგმენტული ხასიათისაა, ამავე დროს მასში მკითხველი არაერთ საყურადღებო დასკვნას იპოვის.

იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ის სურათი, რომელსაც ავტორი წარმოგვიდგენს, ამ ნაშრომსა და მის სხვა ნაშრომებში, იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა, რომ იბერიულ-კავკასიური ენები არა მხოლოდ სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ცნებაა, არამედ — ისტორიულ-გენეალოგიურიც, რადგან „რაც უფრო ღრმად ვიხედებით ამ ენათა წარსულში, მით უფრო მეტი საერთო ვლინდება ამ ენათა ბგერით სისტემაში, და, რაც ამ შემთხვევაში არსებითია, მორფოლოგიურ სტრუქტურა-სა და მორფოლოგიურ ინვენტარში“ (არნ. ჩიქობავა).

არნ. ჩიქობავა წიგნის დასკვნით ნაწილში იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების განვითარების ამოცანებს გვთავაზობს: ესაა ცალკეული ჯგუფის ენათა შედარებითი გრამატიკებისა და შედარებითი ლექსიკონების დამუშავება, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა და ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონები ის სამუშაოებია, რაც იბერიულ-კავკასიურ შესწავლას იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებად აქცევს“; მეტად მნიშვნელოვანია იბერიულ-კავკასიურ ენათა ურთიერთობის კვლევა ბასკურთან და ძველი სამყაროს მკვდარ ენებთან. ამასთან, უაღრესად აქტუალურია იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლა კულტურული თვალსაზრისით და ზოგადი ენათმეცნიერებისათვის, რაც საფუძვლიან მეცნიერულ კვლევა-ძიებას მოითხოვს.

არნ. ჩიქობავას წინამდებარე ნაშრომი არა მხოლოდ საფუძვლიანი და მეტად ღირებული დასკვნებით არის გამორჩეული, არამედ იმითაც, რომ იგი ცალკეული თუ ზოგადი საკითხების შემდგომი კვლევის მიმართულებით ინტერესის აღმძვრელია.

არნ. ჩიქობავას ნაშრომი ორჯერ გამოიცა: პირველად — 1965 წელს, მეორედ — 2008 წელს. XIII ტომი ავტორის სიცოცხლეში დაბეჭდილ პირველ გამოცემას ემყარება.

დიდი მადლობა ეკუთვნით ამ ტომის მომზადებაში, კერძოდ, კორექტურის სწორებაში მონაწილეობისათვის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ისტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებს — **თ. ბურჭულაძეს, მ. თეთრაძეს, დ. კაკაშვილს, რ. ფარეულიძეს, ნ. ფონიავას, ე. შენგელიას, ნ. ხანიაშვილს, ნ. ჯორბენაძეს**, წიგნის ტექნიკურ რედაქტორს **ლ. ვაშაკიძეს**, ოპერატორ **თ. გაბროშვილს**. განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ ე. შენგელიას მუშაობა, რომელმაც, კორექტურის სწორებასთან ერთად საკმაოდ მძიმე სამუშაო — ნაშრომის ამ გამოცემისათვის საძიებლების მომზადება იკისრა.

ვ. შენგელია

2018.07.06

ტექნიკური რედაქტორი **ლ. ვაშაკიძე**

ოპერატორი **თ. გაბრეშვილი**